

548/3
1950



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკად.
რუსთაველის სახელობის ჯარტული
ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ИНСТИТУТ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ
ЛИТЕРАТУРЫ ИМЕНИ РУСТАВЕЛИ

მეცნიერული უცხო
ძიებები

ЛИТЕРАТУРНЫЕ ИССЛЕДОВАНИЯ



VI



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
ИНСТИТУТ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ ИМ. РУСТАВЕЛИ

ლიზეჩაშვილი ქიქოძე
ЛИТЕРАТУРНЫЕ РАЗЫСКАНИЯ

VI

სარედაქციო კოლეგია {

- გ. აბზიანიძე (პ/მ. მდივანი)
- ა. ბარამიძე
- კ. კეკელიძე
- შ. რადიანი (პ/მ. რედაქტორი)
- მ. ჩიქოვანი

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. ი. სტალინი. მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში	V
2. ი. სტალინი. ენათმეცნიერების ზოგიერთი საკითხისათვის	XXV
3. ი. სტალინი. პასუხი ამხანაგებს	XXXI
4. ჩენი ამოცანები (სარედაქციო წერილი)	1
5. ლ. ასათიანი. ი. სტალინი და ქართული რევოლუციური პოეზია 1901—1907 წლების არალეგალურ და ლეგალურ ბოლშევიკურ პრესაში	5
6. შ. რადიანი. მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურათმცოდნეობი- სათვის	35
7. ქ. სიხარულიძე. ხალხური პოეზია საკოლმეურნეო სოფლებში	51
8. ე. ვირსალაძე. დიდი სამამულო ომის ასახვა ქართულ საბჭოთა ფოლკლორში	75
9. ალ. ბარამიძე. ვეფხისტყაოსნის ტიპაჟის საკითხისათვის	93
10. ვუკ. ბერიძე. ვეფხისტყაოსნის პროლოგის ერთი სტროფის გაგებისათვის	125
11. გ. იმედაშვილი. ორი მზე ვეფხისტყაოსანში	133
12. ამ. გაჩეჩილაძე. ქართული რეალიზმის ისტორიისათვის	145
13. გ. ხერხეულიძე. გიორგი ლეონიძის პოეზია	185
14. მიხ. ჩიქოვანი. ხალხური სიტყვიერების შესწავლის პრობლემა XIX საუკუნეში	223
15. თ. ჭყონია. ვახტანგ VI თხზულებათა ფრაგმენტები	269
პ რ ი ბ ი კ ა და ბ ი ბ ლ ი ო გ რ ა ფ ი ა	
16. ალ. ბარამიძე. Ф. Бегияшвили — «История древнегрузинской литературы, V—XII вв.»	295

მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში

მე მომპართა ახალგაზრდა ამხანაგების ჭგუფმა წინადადებით — პრესაში გამომეთქვა ჩემი აზრი ენათმეცნიერების საკითხებზე, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც შეეხება მარქსიზმს ენათმეცნიერებაში. მე ენათმეცნიერი არა ვარ და, რა თქმა უნდა, არ შემიძლია სავსებით დაეკმაყოფილო ამხანაგები. რაც შეეხება მარქსიზმს ენათმეცნიერებაში, ისევე როგორც ყველა სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებაში, ამ საქმესთან მე პირდაპირი დამოკიდებულება მაქვს. ამიტომ დავთანხმდი პასუხი გამეცა ამხანაგების რამდენიმე კითხვაზე.

კითხვა. სწორია თუ არა, რომ ენა არის ბაზისის ზედნაშენი?

პასუხი. არა, არ არის სწორი.

ბაზისი არის საზოგადოების ეკონომიური წყობილება მისი განვითარების ანა თუ იმ ეტაპზე. ზედნაშენია საზოგადოების პოლიტიკური, უფლებრივი, რელიგიური, მხატვრული, ფილოსოფიური შეხედულებანი და მათი შესაბამისი პოლიტიკური, უფლებრივი და სხვა დაწესებულებანი.

ყოველ ბაზისს აქვს საკუთარი, თავისი შესაბამისი ზედნაშენი. ფეოდალური წყობილების ბაზისს აქვს თავისი ზედნაშენი, თავისი პოლიტიკური, უფლებრივი და სხვა შეხედულებანი და მათი შესაბამისი დაწესებულებანი, კაპიტალისტურ ბაზისს თავისი ზედნაშენი აქვს, სოციალისტურს — თავისი. თუ იცვლება და ისობა ბაზისი, იცვლება და ისობა მისი ზედნაშენიც, თუ წარმოიშვება ახალი ბაზისი, წარმოიშვება მისი შესაბამისი ზედნაშენიც.

ენა ამ მხრივ ძირეულად განსხვავდება ზედნაშენისაგან. ავიღოთ, მაგალითად, რუსი საზოგადოება და რუსული ენა. უკანასკნელი 30 წლის მანძილზე რუსეთში მოისპო ძველი, კაპიტალისტური ბაზისი და აშენდა ახალი, სოციალისტური ბაზისი. ამის შესაბამისად მოისპო კაპიტალისტური ბაზისის ზედნაშენი და შეიქმნა ახალი ზედნაშენი, რომელიც სოციალისტურ ბაზისს შეეხება. მაშასადამე, ძველი პოლიტიკური, უფლებრივი და სხვა დაწესებულებანი შეიცვალა ახალი, სოციალისტური დაწესებულებებით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსული ენა ძირითადად ისეთივე დარჩა, როგორც იყო ოქტომბრის გადატრიალებამდე.

რა შეიცვალა ამ პერიოდის მანძილზე რუსულ ენაში? შეიცვალა რამდენაღვე რუსული ენის ლექსიკური შედგენილობა, შეიცვალა იმ აზრით, რომ შეეცო ახალი სიტყვებისა და გამოთქმების მნიშვნელოვანი რაოდენობით, რომლებიც წარმოიშვნენ ახალი სოციალისტური წარმოების წარმოშობასთან,

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

23063

ახალი სახელმწიფოს, ახალი სოციალისტური კულტურის, ახალი საზოგადოებრიობის, მორალის გაჩენასთან დაკავშირებით, დასასრულ, ტექნიკისა და მეცნიერების ზრდასთან დაკავშირებით; შეიცვალა მთელი რიგი სიტყვებისა და გამოთქმების აზრი, რომლებმაც ახალი აზრობრივი მნიშვნელობა მიიღეს; ლექსიკიდან ამოვარდა გარკვეული რაოდენობის მოძველებული სიტყვები. რაც შეეხება რუსული ენის ძირითად ლექსიკურ ფონდს და გრამატიკულ წყობას, რომლებიც ენის საფუძველს შეადგენენ, ისინი კაპიტალისტური ბაზისის მოსპობის შემდეგ არათუ არ მოსპობილან და ენის ახალი ძირითადი ლექსიკური ფონდით და ახალი გრამატიკული წყობით არ შეცვლილან, არამედ, პირიქით, ისეთივე დარჩნენ, როგორც იყვნენ და რაიმე სერიოზული ცვლილება არ ვანუცდიათ, — დარჩნენ სწორედ როგორც თანამედროვე რუსული ენის საფუძველი.

შემდეგ, ზედნაშენს წარმოშობს ბაზისი, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ზედნაშენი მხოლოდ ბაზისს ასახავს, რომ იგი პასიური, ნეიტრალური, გულგრილია თავისი ბაზისის ბედისადმი, კლასების ბედისადმი, წყობილების ხასიათისადმი. პირიქით, რაკი გაჩნდა, ზედნაშენი უდიდესი აქტიური ძალა ხდება, აქტიურად უწყობს ხელს თავის ბაზისს ჩამოყალიბდეს და განმტკიცდეს, ყოველ ღონეს ხმარობს იმისათვის, რომ დაეხმაროს ახალ წყობილებას ბოლო შოულოს და მოსპოს ძველი ბაზისი და ძველი კლასები.

სხვანაირად არც შეიძლება. ბაზისი სწორედ იმისათვის ქმნის ზედნაშენს, რომ ზედნაშენი მას ემსახურებოდეს, რომ იგი აქტიურად ეხმარებოდეს მას ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში, რომ იგი აქტიურად იბრძოდეს ძველი, დრომოკმეული ბაზისის და მისი ძველი ზედნაშენის ლიკვიდაციისათვის. საკმარისია ზედნაშენმა უარი თქვას თავის ამ ემსახურებრივ როლზე, საკმარისია ზედნაშენი თავისი ბაზისის აქტიური დაცვის პოზიციიდან გადავიდეს მისდამი: გულგრილი დამოკიდებულების პოზიციაზე, კლასებისადმი თანაბარი დამოკიდებულების პოზიციაზე, რომ მან თავისი თვისობრიობა დაკარგოს და ზედნაშენი აღარ იქნეს.

ენა ამ მხრივ ძირეულად განსხვავდება ზედნაშენისაგან. ენას წარმოშობს არა ესა თუ ის ბაზისი, ძველი ან ახალი ბაზისი ამა თუ იმ საზოგადოების შიგნით, არამედ საუკუნეთა მანძილზე საზოგადოების ისტორიისა და ბაზისების ისტორიის მთელი მსვლელობა. ენა შექმნილია არა ერთი რომელიმე კლასის, არამედ მთელი საზოგადოების, საზოგადოების ყველა კლასის მიერ, ასეულ თაობათა ძალდონით. ეგი შექმნილია არა ერთი რომელიმე კლასის, არამედ მთელი საზოგადოების, საზოგადოების ყველა კლასის საქირების დასაკმაყოფილებლად. სწორედ ამიტომ იგი შექმნილია როგორც საზოგადოებისათვის ერთიანი და საზოგადოების ყველა წევრისათვის საერთო საყოველთაო-სახალხო ენა. ამის გამო ენის, როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალების, სამსახურებრივი როლი ის კი არ არის, რომ ერთ კლასს ემსახურებოდეს სხვა კლასების საზიანოდ, არამედ ის, რომ თანაბრად ემსახურებოდეს მთელ საზოგადოებას, საზოგადოების ყველა კლასს. სწორედ ამით აიხსნება, რომ

ენას შეუძლია თანაბრად ემსახურებოდეს როგორც ძველ, მომავლად წყობი-
ლებას, ისე ახალ, აღმავალ წყობილებას; როგორც ძველ ბაზისს, ისე ახალს,
როგორც ექსპლოატატორებს, ისე ექსპლოატირებულთ.

არავისათვის საიდუმლოება არ არის ის ფაქტი, რომ რუსული ენა ისევე
კარგად ემსახურებოდა რუსეთის კაპიტალიზმს და რუსულ ბურჟუაზიულ
კულტურას ოქტომბრის გადატრიალებამდე, როგორც ახლა ემსახურება რუსი
საზოგადოების სოციალისტურ წყობილებას და სოციალისტურ კულტურას.

იგივე უნდა ითქვას უკრაინულ, ბელორუსულ, უზბეკურ, ყაზახურ, ქარ-
თულ, სომხურ, ესტონურ, ლატვიურ, ლიტვურ, მოლდავურ, თათარულ, აზერ-
ბაიჯანულ, ბაშკირულ, თურქმენულ და სხვა ენების სხვა ენებზე, რომ-
ლებიც ისევე კარგად ემსახურებოდნენ ამ ენების ძველ, ბურჟუაზიულ წყო-
ბილებას, როგორც ემსახურებიან ახალ, სოციალისტურ წყობილებას.

სხვანაირად არც შეიძლება. ენა სწორედ იმისათვის არსებობს, სწორედ
იმისათვის არის შექმნილი, რომ ემსახურებოდეს მთელ საზოგადოებას, რო-
გორც ადამიანთა ურთიერთობის იარაღი, რომ იგი საერთო იყოს საზოგადოე-
ბის წევრებისათვის და ერთიანი — საზოგადოებისათვის, თანაბრად ემსახუ-
რებოდეს საზოგადოების წევრებს მათი კლასობრივი მდგომარეობის მიუხე-
დავად. საკმარისია ენა ასცდეს ამ საერთო-სახალხო პოზიციას, საკმარისია ენა
დადგეს რომელიმე სოციალური ჯგუფისათვის უპირატესობის მინიჭების და
მხარდაჭერის პოზიციასზე საზოგადოების სხვა სოციალური ჯგუფების საზი-
ანოდ, რომ მან დაკარგოს თავისი თვისობრიობა, რომ იგი აღარ იყოს საზო-
გადოებაში ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, რომ იგი გადაიქცეს რომე-
ლიმე სოციალური ჯგუფის ეარგონად, დაქვეითდეს და მოსპობის გზას
დაადგეს.

ამ მხრივ ენა, რომელიც პრინციპულად განსხვავდება ზედნაშენისაგან, არ
განსხვავდება წარმოების იარაღებისაგან, ვთქვათ, მანქანებისაგან, რომლებიც
ასევე ერთნაირად ემსახურებიან კაპიტალისტურ წყობილებასაც და სოცია-
ლისტურსაც.

შემდეგ. ზედნაშენი არის პროდუქტი ერთი ეპოქისა, რომლის განმავლო-
ბაშიც ცოცხლობს და მოქმედებს ესა თუ ის ეკონომიური ბაზისი. ამიტომ
ზედნაშენი დიდხანს არ ცოცხლობს, იგი ისპობა და ქრება ამ ბაზისის მოსპო-
ბასთან და გაქრობასთან ერთად.

ენა კი, პირიქით, პროდუქტია მთელი რიგი ეპოქებისა, რომელთა მანძილ-
ზე იგი ყალიბდება, მდიდრდება, ვითარდება, იხვეწება. ამიტომ ენა გაცილე-
ნით უფრო დიდხანს ცოცხლობს, ვიდრე რომელიმე ბაზისი და რომელიმე
ზედნაშენი. სწორედ ამით აიხსნება, რომ არა მარტო ერთი ბაზისის და მისი
ზედნაშენის, არამედ რამდენიმე ბაზისისა და მათი შესაბამისი ზედნაშენების
წარმოშობა და ლიკვიდაცია არ იწვევს ისტორიაში ამა თუ იმ ენის ლიკვიდა-
ციას, მისი სტრუქტურის ლიკვიდაციას და ახალი ლექსიკური ფონდისა და
ახალი გრამატიკული წყობის მქონე ახალი ენის წარმოშობას.

პუშკინის სიკვდილის შემდეგ ას წელზე მეტი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში რუსეთში მოისპო ფეოდალური წყობილება, კაპიტალისტური წყობილება და წარმოიშვა მესამე, სოციალისტური წყობილება. მაშასადამე, მიიხსიან ორა ბაზისი მათი ზედნაშენებიახად და წარმოიშვა ახალი, სოციალისტური ბაზისი მისი ახალი ზედნაშენით. მაგრამ, თუ ავიღებთ, მაგალითად, რუსულ ენას, ამ დიდი ხნის განმავლობაში მას რაიმე რღვევა არ განუცდია, და თანამედროვე რუსული ენა თავისი სტრუქტურის მხრივ ბევრით არაფრით განსხვავდება პუშკინის ენისაგან.

რა შეიცვალა ამ ხნის მანძილზე რუსულ ენაში? ამ ხნის მანძილზე სერიოზულად შეივსო რუსული ენის ლექსიკური შედგენილობა; ლექსიკური შედგენილობიდან ამოვარდა მრავალი მოძველებული სიტყვა; შეიცვალა ბევრი სიტყვის აზრობრივი მნიშვნელობა; გაუმჯობესდა ენის გრამატიკული წყობა. რაც შეეხება პუშკინის ენის სტრუქტურას მისი გრამატიკული წყობით და ძირითადი ლექსიკური ფონდით, იგი დარჩა მთელი თავისი არსით, როგორც თანამედროვე რუსული ენის საფუძველი.

და ეს სავსებით გასაგებია. მართლაც, რა საჭიროა, რომ ყოველი გადატრიალების შემდეგ ენის არსებული სტრუქტურა, მისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი მოისპოს და ახლით შეიცვალოს, როგორც ეს ჩვეულებრივად ზედნაშენს მოსდის? ვის რათ უნდა, რომ „წყალს“, „მიწას“, „მთას“, „ტყეს“, „თევზს“, „კაცს“, „სიარულს“, „კეთებას“, „წარმოებას“, „ვაჭრობას“ და ა. შ. ეწოდებოდეს არა წყალი, მიწა, მთა და ა. შ., არამედ რაღაც სხვა? ვის რათ უნდა, რომ ენაში სიტყვების ცვლილება და წინადადებაში სიტყვების შეთანხმება ხდებოდეს არა არსებული გრამატიკის, არამედ სრულიად სხვა გრამატიკის მიხედვით? რას არგებს რევოლუციას ასეთი გადატრიალება ენაში? ისტორია საერთოდ რაიმე არსებობს ისე არ აკეთებს, თუ ეს მაინცდამაინც საჭირო არ არის. საკითხავია, რა საჭიროა ასეთი ენობრივი გადატრიალება, თუ დამტკიცებულია, რომ არსებული ენა თავისი სტრუქტურით ძირითადად სავსებით გამოსადეგია ახალი წყობის საჭიროების დასაკმაყოფილებლად? ძველი ზედნაშენის რამდენიმე წლის განმავლობაში მოსპობა და ახალი ზედნაშენით მისი შეცვლა შეიძლება და საჭიროც არის, რომ გასაქანი მიეცეს საზოგადოების საწარმოო ძალთა განვითარებას, მაგრამ როგორ შეიძლება რამდენიმე წლის განმავლობაში მოსპო არსებული ენა და მის ნაცვლად შექმნა ახალი ენა, ისე რომ ანარქია არ შეიტანოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საზოგადოების დაშლის საფრთხე არ შექმნას? დონ-კიხოტების მეტს ვის შეუძლია დაისახოს ასეთი ამოცანა?

დასასრულ, კიდევ ერთი ძირეული განსხვავება ზედნაშენსა და ენას შორის. ზედნაშენი უშუალოდ დაკავშირებული არ არის წარმოებასთან, ადამიანის საწარმოო საქმიანობასთან. იგი წარმოებასთან დაკავშირებულია მხოლოდ არაპირდაპირ, ეკონომიკის მეშვეობით, ბაზისის მეშვეობით. ამიტომ ზედნაშენი საწარმოო ძალთა განვითარების დონის ცვლილებებს ასახავს არა ერთბაშად და არა პირდაპირ, არამედ ბაზისის ცვლილებათა

შემდეგ, ბაზისის ცვლილებებში წარმოების ცვლილებათა ასახვის მეშვეობით. ეს იმას ნიშნავს, რომ ზედნაშენის მოქმედების სფერო ვიწრო და შეზღუდულია.

ენა კი, პირიქით, უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის საწარმოო საქმიანობასთან, და არა მარტო საწარმოო საქმიანობასთან, არამედ ადამიანის ყოველ სხვა საქმიანობასთანაც მისი მუშაობის ყველა სფეროში წარმოებიდან. ბაზისამდე, ბაზისიდან ზედნაშენამდე. ამიტომ ენა წარმოების ცვლილებებს ასახავს ერთბაშად და უშუალოდ, არ ელოდება ბაზისის ცვლილებებს. ამიტომ ენის, რომელიც ადამიანის საქმიანობის ყველა დარგს მოიცავს, მოქმედების სფერო გაცილებით უფრო ფართო და მრავალმხრივია, ვიდრე ზედნაშენის მოქმედების სფერო. უფრო მეტიც, იგი თითქმის უსაზღვროა.

უწინარეს ყოვლისა სწორედ ამით აიხსნება, რომ ენა, საკუთრად მისი ლექსიკური შედგენილობა, თითქმის განუწყვეტლივ იცვლება. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის, ტექნიკისა და მეცნიერების განუწყვეტელი ზრდა ენისაგან მოითხოვს მისი ლექსიკის შევსებას ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, რომლებიც საჭიროა მათი მუშაობისათვის. და ენა, უშუალოდ ასახავს რა ამ საჭიროებას, ავსებს თავის ლექსიკას ახალი სიტყვებით, სრულყოფს თავის გრამატიკულ წყობას.

ამრიგად:

- ა) მარქსისტი ენას ბაზისის ზედნაშენად ვერ მიიჩნევს;
- ბ) ენისა და ზედნაშენის ერთმანეთში არევა სერიოზული შეცდომაა.

კითხვა. სწორია თუ არა, რომ ენა მუდამ იყო და არის კლასობრივი, რომ საზოგადოებისათვის სამართო და ერთიანი არაკლასობრივი, სამართო-სახალხო ენა არ არსებობს?

პასუხი. არა, არ არის სწორი.

ძნელი არ არის იმის გაგება, რომ იმ საზოგადოებაში, სადაც კლასები არ არიან, ლაპარაკიც კი არ შეიძლება კლასობრივი ენის შესახებ. პირველყოფილმა-თემობრივმა გვაროვნულმა წყობილებამ არ იცოდა კლასები, მაშასადამე, იქ არც შეიძლებოდა ყოფილიყო კლასობრივი ენა, — იქ ენა იყო საერთო, ერთიანი მთელი კოლექტივისათვის. საწინააღმდეგო აზრი, რომ კლასად უნდა გვესმოდეს ადამიანთა ყოველგვარი კოლექტივი, მათ შორის პირველყოფილ-თემობრივი კოლექტივიც, საწინააღმდეგო აზრი კი არა, სიტყვების თამაშია, რომელიც უარყოფიდაც არა ღირს.

რაც შეეხება შემდგომ განვითარებას საგვარეულო ენებიდან ტომების ენებამდე, ტომების ენებიდან ხალხების ენებამდე და ხალხების ენებიდან ეროვნულ ენებამდე, — ყველგან განვითარების ყველა ეტაპზე ენა, როგორც საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, საერთო და ერთიანი იყო საზოგადოებისათვის, იგი თანაბრად ემსახურებოდა საზოგადოების წევრებს დამოუკიდებლად მათი სოციალური მდგომარეობისა.

მე აქ მხედველობაში მაქვს არა მონობისა და შუა საუკუნეების პერიოდების იმპერიები, ვთქვათ, კიროსის და ალექსანდრე დიდის იმპერია, ან კეისრისა და კარლოს დიდის იმპერია, რომელთაც არა ჰქონიათ თავიანთი ეკონომიური ბაზა და წარმოადგენდნენ დროებითსა და არამყარ სამხედრო-ადმინისტრაციულ გაერთიანებებს. ამ იმპერიებს არათუ არა ჰქონიათ, არამედ არც შეიძლებოდა ჰქონოდათ იმპერიისათვის ერთიანი და იმპერიის ყველა წევრისათვის გასაგები ენა. ისინი წარმოადგენდნენ ტომებისა და ხალხების კონგლომერატს, რომლებიც ცხოვრობდნენ თავიანთი ცხოვრებით და ჰქონდათ თავიანთი ენები. მაშასადამე, მე მხედველობაში მაქვს არა ეს და მათი მსგავსი იმპერიები, არამედ ის ტომები და ხალხები, რომლებიც იმპერიის შემადგენლობაში შედიოდნენ, ჰქონდათ თავიანთი ეკონომიური ბაზა და ჰქონდათ თავისი დიდი ხნიდან ჩამოყალიბებული ენები. ისტორია გვეუბნება, რომ ამ ტომებისა და ხალხების ენები იყო არა კლასობრივი, არამედ მთელი ხალხის ენები, ტომებისა და ხალხებისათვის საერთო და მათთვის გასაგები ენები.

რა თქმა უნდა, ამასთან ერთად იყო დიალექტები, ადგილობრივი კილოკავები, მაგრამ მათზე ბატონობდა და მათ იმორჩილებდა ტომის თუ ხალხის ერთიანი და საერთო ენა.

შემდგომი, კაპიტალიზმის წარმოშობასთან, ფეოდალური დაქუცმაცების ლიკვიდაციასთან და ეროვნული ბაზრის წარმოქმნასთან ერთად ხალხები განვითარდნენ ერებად, ხოლო ხალხთა ენები ეროვნულ ენებად. ისტორია გვეუბნება, რომ ეროვნული ენები არის არა კლასობრივი, არამედ მთელი ხალხის ენები, ერების წევრებისათვის საერთო და ერებისათვის ერთიანი ენები.

ზემოთ ნათქვამი იყო, რომ ენა როგორც საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, თანაბრად უწყევს სამსახურს საზოგადოების ყველა კლასს და ამ მხრივ ერთგვარ გულგრილობას იჩენს კლასებისადმი. მაგრამ ადამიანები, ცალკეული სოციალური ჯგუფები, კლასები სრულიადაც არ არიან გულგრილნი ენისადმი. ისინი ცდილობენ გამოიყენონ ენა თავისი ინტერესებისათვის, თავს მოახვიონ მას თავისი განსაკუთრებული ლექსიკონი, თავისი განსაკუთრებული ტერმინები, თავისი განსაკუთრებული გამოთქმები, ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან შეძლებული კლასების ზედაფენები, რომლებიც მოსწყდნენ ხალხს და სძულთ იგი: თავადაზნაურული არისტოკრატია, ბურჟუაზიის ზედა ფენები. იქმნება „კლასობრივი“ დიალექტები, ქარგონები, სალონის „ენები“. ლიტერატურაში ხშირად ეს დიალექტები და ქარგონები არასწორად კვალიფიცირებულია როგორც ენები: „თავადაზნაურული ენა“, „ბურჟუაზიული ენა“, — „პროლეტარული ენისათვის“, „გლეხური ენისათვის“ დასაპირდაპირებლად. ამ საფუძველზე, რა უცნაურიც უნდა იყოს ეს, ზოგი ჩვენი ამხანაგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეროვნული ენა არის ფიქცია, რომ რეალურად არსებობენ მხოლოდ კლასობრივი ენები.

მე ვფიქრობ, რომ ამ დასკვნაზე უფრო შემცდარი არა არის რა. შეიძლება თუ არა ეს დიალექტები და ქარგონები ენებად მივიჩნიოთ? რა თქმა უნდა, არ შეიძლება. არ შეიძლება, ჯერ-ერთი, იმიტომ, რომ ამ დიალექტებსა და ქარ-

გონებს არა აქვთ თავიანთი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი, — ისინი მათ სესხულობენ ეროვნული ენისაგან. მეორე, არ შეიძლება იმითომ, რომ დიალექტებსა და ქარგონებს აქვთ მოქმედების ვიწრო სფერო ამა თუ იმ კლასის ზედაფენის წევრთა შორის და სრულიად გამოუსადეგარი არიან, როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, მთელი საზოგადოებისათვის. მაშ რა აქვთ მათ? მათ აქვთ: ზოგიერთი სპეციფიკური სიტყვა, რომლებიც ასახავენ არისტოკრატის ან ბურჟუაზიის ზედაფენების სპეციფიკურ გემოვნებას; გამოთქმებისა და ფრაზების ერთგვარი რაოდენობა, რომლებიც განიჩქვებიან სინატივით, გალანტურობით და თავისუფალი არიან ეროვნული ენის „უხეში“ გამოთქმებისა და ფრაზებისაგან; ბოლოს, უცხო სიტყვათა ერთგვარი რაოდენობა. ყოველივე ძირითადი კი, ე. ი. სიტყვათა დიდი უმრავლესობა და გრამატიკული წყობა, აღებულია საერთო-სახალხო, ეროვნული ენიდან. მაშასადამე, დიალექტები და ქარგონები წარმოადგენენ საერთო-სახალხო ეროვნული ენის განშტოებებს, რომელთაც არ გააჩნიათ რაიმე ენობრივი დამოუკიდებლობა და განწირული არიან უზადრუცი არსებობისათვის. იმის ფიქრი, რომ დიალექტებსა და ქარგონებს შეუძლიათ განვითარდნენ დამოუკიდებელ ენებად, რომელთაც უნარი ექნებათ განდევნონ და შეცვალონ ეროვნული ენა, — ნიშნავს ისტორიული პერსპექტივის დაკარგვას და მარქსიზმის პოზიციიდან გადახვევას.

იმოწმებენ მარქსს, მოჰყავთ ერთი ადგილი მისი სტატიიდან „წმიდა მაქსი“, სადაც ნათქვამია, რომ ბურჟუებს აქვთ „თავიანთი ენა“, რომ ეს ენა „ბურჟუაზიის პროდუქტია“, რომ იგი გამსჭვალულია მერკანტელიზმისა და ყივჯა-გაყიდვის სულისკვეთებით. ამ ციტატით ზოგიერთ ამხანავს სურს დამატაციოს, მარქსი თითქოს იმ აზრისა იყო, რომ ენა „კლასობრივია“, რომ იგი უარყოფდა ერთიანი ეროვნული ენის არსებობას. ეს ამხანაგები რომ ობიექტურად მოჰკიდებოდნენ საქმეს, მათ უნდა მოეყვანათ სხვა ციტატიც იმავე სტატიიდან „წმიდა მაქსი“, სადაც მარქსი, ეხება რა ერთიანი ეროვნული ენის შექმნის გზების საკითხს, ლაპარაკობს „ერთიან ეროვნულ ენაში დიალექტების კონცენტრაციაზე, რომელიც განპირობებულია ეკონომიური და პოლიტიკური კონცენტრაციით“.

მაშასადამე, მარქსი აღიარებდა, რომ აუცილებელია ერთიანი ეროვნული ენა, როგორც უმაღლესი ფორმა, რომელსაც ემორჩილებიან დიალექტები, როგორც დაბალი ფორმები.

მაშ ამ შემთხვევაში რას წარმოადგენს ბურჟუების ენა, რომელიც, მარქსის სიტყვით, „ბურჟუაზიის პროდუქტია“. თვლიდა თუ არა მას მარქსი ისეთსავე ენად, როგორიცაა ეროვნული ენა, რომელსაც თავისი განსაკუთრებული ენობრივი სტრუქტურა აქვს? შეეძლო თუ არა მას ბურჟუების ენა ასეთ ენად მიეჩნია? რა თქმა უნდა, არა! მარქსს უნდოდა მხოლოდ ეთქვა, რომ ბურჟუებმა ერთიანი ეროვნული ენა წაბილწეს თავიანთი ჩარჩული ლექსიკონით, რომ ბურჟუებს, მაშასადამე, აქვთ თავიანთი ჩარჩული ქარგონი.

გამოდის, რომ ამ ამხანაგებმა დაამახინჯეს მარქსის პოზიცია. ხოლო დაამახინჯეს იგი იმიტომ, რომ მარქსს იმოწმებდნენ არა როგორც მარქსისტები, არამედ როგორც მედავიტნიეები, არ სწვდებოდნენ საქმის არსს.

იმოწმებენ ენგელსს, ბროშურიდან „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ მოკვავთ ენგელსის სიტყვები იმის შესახებ, რომ „... ინგლისის მუშათა კლასი დროთა განმავლობაში სულ სხვა ხალხად გადაიქცა, ვიდრე ინგლისის ბურჟუაზია“, რომ „მუშები ლაპარაკობენ სხვა დიალექტით, აქვთ სხვა იდეები და წარმოდგენები, სხვა ზნე-ჩვეულება, და ზნეობრივი პრინციპები, სხვა რელიგია და პოლიტიკა, ვიდრე ბურჟუაზიას“. ამ ციტატის საფუძველზე ზოგიერთ ამხანაგს გამოაქვს დასკვნა, რომ ენგელსი უარყოფდა საერთო-სახალხო, ეროვნული ენის აუცილებლობას, რომ იგი, მამასადამე, იმ აზრას იყო, რომ ენა „კლასობრივია“. მართალია, ენგელსი აქ ლაპარაკობს არა ენის, არამედ დიალექტის შესახებ, სავსებით ესმის რა, რომ დიალექტი, როგორც ეროვნული ენის განშტოება, ვერ შეცვლის ეროვნულ ენას. მაგრამ ეს ამხანაგები, ჩანს, დიდი თანაგრძნობით როდი ეკიდებიან ენასა და დიალექტს შორის განსხვავების არსებობას...

ცხადია, რომ ციტატი უადგილოდ არის მოყვანილი, რადგან ენგელსი აქ ლაპარაკობს არა „კლასობრივ ენებზე“, არამედ უმთავრესად კლასობრივ იდეებზე, წარმოდგენებზე, ზნე-ჩვეულებებზე, ზნეობრივ პრინციპებზე, რელიგიებზე, პოლიტიკაზე. სავსებით სწორია, რომ ბურჟუეზებსა და პროლეტარებს პარტიალურ საწინააღმდეგო იდეები, წარმოდგენები, ზნე-ჩვეულება, ზნეობრივი პრინციპები, რელიგია და პოლიტიკა აქვთ. მაგრამ რა შუაშია აქ ეროვნული ენა, ან ენის „კლასობრიობა“? განა საზოგადოებაში კლასობრივ წინააღმდეგობათა არსებობა შეიძლება საბუთი იყოს ენის „კლასობრიობის“ სასარგებლოდ, ან ერთიანი ეროვნული ენის აუცილებლობის წინააღმდეგ? მარქსიზმი ამბობს, რომ ენის ერთობა ერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია, ამასთან კარგად იცის, რომ ერის შიგნით არის კლასობრივი წინააღმდეგობანი. აღიარებენ თუ არა მოხსენიებული ამხანაგები ამ მარქსისტულ თეზისს?

იმოწმებენ ლაფარგს, მიუთითებენ იმაზე, რომ ლაფარგი თავის ბროშურაში „ენა და რევოლუცია“ აღიარებს ენის „კლასობრიობას“, რომ იგი თითქმის უარყოფს საერთო-სახალხო ეროვნული ენის აუცილებლობას. ეს მართალი არ არის. ლაფარგი მართლაც ლაპარაკობს „თავიდანაურული“ ანუ „არისტოკრატიული ენის“ შესახებ და საზოგადოების სხვადასხვა ფენების „ეარგონების“ შესახებ. მაგრამ ამ ამხანაგებს ავიწყდებათ, რომ ლაფარგი, რომელსაც არ აინტერესებს ენისა და ეარგონის განსხვავების საკითხი და დიალექტებს ხან „ხელოვნურ მეტყველებას“ უწოდებს, ხან „ეარგონს“, — თავის ბროშურაში გარკვეულად აცხადებს, რომ „ხელოვნური მეტყველება, რომელიც არისტოკრატის განსხვავებს... გამოეყო საერთო-სახალხო ენას, რომელზეც ლაპარაკობდნენ ბურჟუეზიც, ხელოსნებიც, ქალაქი და სოფელი“.

მაშასადამე, ლაფარგი აღიარებს საერთო-სახალხო ენის არსებობას და აუცილებლობას, ამასთან ლაფარგს საესეებით ესმის „არისტოკრატიული ენისა“ და სხვა დიალექტებისა და ჟარგონების დაქვემდებარებული ხასიათი და დაოკიდებულება საერთო-სახალხო ენისაგან.

გამოდის, რომ ლაფარგის დამოწმება მიზანს ვერ ხვდება.

იმოწმებენ იმას, რომ ინგლისში ერთ დროს ინგლისელი ფეოდალები „საუკუნეთა განმავლობაში“ ლაპარაკობდნენ ფრანგულ ენაზე, მაშინ როცა ინგლისელი ხალხი ლაპარაკობდა ინგლისურ ენაზე, რომ ეს გარემოება თითქმის საბუთია ენის „კლასობრიობის“ სასარგებლოდ და საერთო-სახალხო ენის აუცილებლობის წინააღმდეგ. მაგრამ ეს საბუთი კი არა, რაღაც ანეგდოტი. ჭერ-ერთი, მაშინ ფრანგულ ენაზე ლაპარაკობდა არა ყველა ფეოდალი, არამედ ინგლისელ ფეოდალთა უმნიშვნელო ზედაფენა მეფის კარზე და საგრაფოებში. მეორე, ისინი ლაპარაკობდნენ არა რაღაც „კლასობრივ ენაზე“, არამედ ჩვეულებრივ საერთო-სახალხო ფრანგულ ენაზე. მესამე, როგორც ცნობილია, ფრანგული ენის ეს საღალბოდ ხმარება შემდეგ უკვალოდ გაქრა და ადგილი დაუთმო საერთო-სახალხო ინგლისურ ენას. ხომ არ ფიქრობენ ეს ამხანაგები, რომ ინგლისელი ფეოდალები და ინგლისელი ხალხი „საუკუნეთა განმავლობაში“ ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ თარჯიმნების საშუალებით, რომ ისინი არ ხმარობდნენ ინგლისურ ენას, რომ მაშინ საერთო-სახალხო ინგლისური ენა არ არსებობდა, რომ ფრანგული ენა ინგლისში მაშინ წარმოადგენდა რაიმე უფრო მეტს, ვიდრე სალონის ენაა, რომელიც ინგლისის არისტოკრატის ზედაფენის მხოლოდ ვიწრო წრეში იხმარებოდა? როგორ შეიძლება ასეთი ანეგდოტური „საბუთების“ საფუძველზე საერთო-სახალხო ენის არსებობისა და აუცილებლობის უარყოფა?

რუსი არისტოკრატებიც ერთ დროს საღალბოდ ხმარობდნენ ფრანგულ ენას მეფის კარზე და სალონებში. მათ იმით მოჰქონდათ თავი, რუსულად რომ ვლაპარაკობთ, ფრანგულად ვუკიდებთ ენას, რუსულად ლაპარაკი მხოლოდ ფრანგული აქცენტით შეგვიძლიაო. განა ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთში მაშინ არ იყო საერთო-სახალხო რუსული ენა, რომ საერთო-სახალხო ენა მაშინ ფიქცია იყო, ხოლო „კლასობრივი ენები“ — რეალობა?

ჩვენს ამხანაგებს აქ, სულ ცოტა, ორი შეცდომა მოსდით.

პირველი შეცდომა ის არის, რომ ისინი ერთმანეთში ურევენ ენასა და ზედნაშენს, ისინი ფიქრობენ, თუ ზედნაშენს კლასობრივი ხასიათი აქვს, ენაც არა საერთო-სახალხო, არამედ კლასობრივი უნდა იყოსო. მაგრამ ზემოთ უკვე ვოქვი, რომ ენა და ზედნაშენი ორი სხვადასხვა ცნებაა, რომ მარქსისტი მათ ერთმანეთში არ უნდა ურევდეს.

მეორე შეცდომა ის არის, რომ ამ ამხანაგებს ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის ინტერესთა წინააღმდეგობა, მათი მძაფრი კლასობრივი ბრძოლა მიაჩნიათ საზოგადოების დაშლად, მტრულ კლასებს შორის ყოველგვარი კავშირის გაწყვეტად. ისინი ფიქრობენ, რომ რამდენადაც საზოგადოება დაიშალა და აღარ არის ერთიანი საზოგადოება, არამედ არიან მხოლოდ კლასები, სა-

ჭირო არ არის საზოგადოებისათვის ერთიანი ენაც, საჭირო არ არის ეროვნული ენა. რაღა რჩება, თუ საზოგადოება დაიშალა და აღარ არის საერთო-სახალხო, ეროვნული ენა? რჩებიან კლასები და „კლასობრივი ენები“. გასაგებია, რომ თვითეულ „კლასობრივ ენას“ ექნება თავისი „კლასობრივი“ გრამატიკა, — „პროლეტარული“ გრამატიკა, „ბურჟუაზიული“ გრამატიკა. მართალია, ასეთი გრამატიკები ბუნებაში არ არსებობს, მაგრამ ეს არ აფიქრებს ამ ამხანაგებს: მათ სწამთ, რომ ასეთი გრამატიკები გაჩნდება.

ჩვენში ერთ დროს იყვნენ „მარქსისტები“, რომლებიც ამტკიცებდნენ, ჩვენს ქვეყანაში ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ დარჩენილი რკინიგზები ბურჟუაზიული რკინიგზებია და ჩვენ, მარქსისტებს, არ შეგვეფერის ვისარგებლოთ ამ რკინიგზებით, ისინი უნდა ავყაროთ და ახალი, „პროლეტარული“ რკინიგზები გავიყვანოთ. ამისათვის მათ „ტროგლოდიტები“ დაარქვეს...

გასაგებია, რომ საზოგადოებაზე, კლასებზე, ენაზე ასეთ პრიმიტიულ-ანარქიულ შეხედულებას მარქსიზმთან საერთო არა აქვს რა. მაგრამ იგი უთუოდ არსებობს და კვლავ ცოცხლობს ზოგიერთი ჩვენი თავგზაბუნეული ამხანაგის გონებაში.

რა თქმა უნდა, მართალი არ არის, რომ მძაფრი კლასობრივი ბრძოლის არსებობის გამო საზოგადოება თითქოს დაიშალა კლასებად, რომლებიც ერთმანეთთან ეკონომიურად დაკავშირებული აღარ არიან ერთ საზოგადოებაში. პირიქით. სანამ კაპიტალიზმი არსებობს, ბურჟუები და პროლეტარები დაკავშირებული იქნებიან ერთმანეთთან მთელი ეკონომიკით, როგორც ერთიანი კაპიტალისტური საზოგადოების ნაწილები. ბურჟუები ვერ იცხოვრებენ და ვერ გაძიდდნენ თუ თავიანთ განკარგულებაში არ ეყოლათ დაქირავებული მუშები; პროლეტარები ვერ იარსებებენ თუ კაპიტალისტებს არ მიექირავენენ. მათ შორის ყოველგვარი ეკონომიური ურთიერთობის გაწყვეტა ნიშნავს ყოველგვარი წარმოების შეწყვეტას, ხოლო ყოველგვარი წარმოების შეწყვეტა იწვევს საზოგადოების დაღუპვას, თვით კლასების დაღუპვას. გასაგებია, რომ არც ერთი კლასი არ მოისურვებს თავის მოსპობას. ამიტომ კლასობრივმა ბრძოლამ, რაიგ მწყვეც უნდა იყოს იგი, არ შეიძლება გამოიწვიოს საზოგადოების დაშლა. მხოლოდ უმეცრებას მარქსიზმის საკითხებში და ენის ბუნებას სრულ გაუგებლობას შეეძლო ეკარანხა ჩვენი ზოგიერთი ამხანაგისათვის ზღაპარი საზოგადოების დაშლის შესახებ, „კლასობრივ“ ენათა შესახებ, „კლასობრივ“ გრამატიკათა შესახებ.

ინოწმებენ, შემდეგ, ლენინს და მოგვაგონებენ, რომ ლენინი აღიარებდა კაპიტალიზმის დროს ორი კულტურის, ბურჟუაზიული და პროლეტარული კულტურის, არსებობას, რომ კაპიტალიზმის დროს ეროვნული კულტურის ლოზუნგი ნაციონალისტური ლოზუნგია. ყოველივე ეს სწორია და ლენინი აქ აბსოლუტურად მართალია. მაგრამ რა შუაშია აქ ენის „კლასობრიობა“? კაპიტალიზმის დროს ორი კულტურის არსებობის შესახებ ლენინის სიტყვებს რომ ინოწმებენ, ამ ამხანაგებს, როგორც ჩანს, სურთ ჩააგონონ მკითხველს, რომ საზოგადოებაში ორი კულტურის, ბურჟუაზიული და პროლეტარული

კულტურის, არსებობა ნიშნავს, რომ ენაც ორი უნდა იყოს, რადგან ენა დაკავშირებულია კულტურასთან, — მაშასადამე, ლენინი ერთიანი ეროვნული ენის აუცილებლობას უარყოფს, მაშასადამე, ლენინი იმ აზრისაა, რომ ენები „კლასობრივია“. ამ ამხანაგების შეცდომა აქ ის არის, რომ ისინი ენას აიგივებენ კულტურასთან, ერთმანეთში ურევენ მათ. ამავ დროს კი კულტურა და ენა სულ სხვადასხვა რამეა. კულტურა შეიძლება ბურჟუაზიულიც იყოს და სოციალისტურიც, ენა კი, როგორც ურთიერთობის საშუალება, ყოველთვის საერთო-სახალხო ენაა და შეუძლია ბურჟუაზიულ კულტურასაც ემსახურებოდეს და სოციალისტურსაც. განა ფაქტი არ არის, რომ რუსული, უკრაინული, უზბეკური ენები ამჟამად ისევე კარგად ემსახურებიან ამ ერების სოციალისტურ კულტურას, როგორც ოქტომბრის გადატრიალებამდე მათს ბურჟუაზიულ კულტურებს ემსახურებოდნენ? მაშასადამე, ეს ამხანაგები ძალიან ცდებიან, როცა ამტკიცებენ, რომ ორი სხვადასხვა კულტურის არსებობა იწვევს ორი სხვადასხვა ენის შექმნას და ერთიანი ენის აუცილებლობის უარყოფას.

ლაბარაკობდა რა ორ კულტურაზე, ლენინი ეყრდნობოდა სწორედ იმ დებულებას, რომ ორი კულტურის არსებობა არ შეიძლება იწვევდეს ერთიანი ენის უარყოფას და ორი ენის შექმნას, რომ ენა ერთიანი უნდა იყოს. როცა ბუნდღეობა ლენინს ბრალი დასდეს, ეროვნული ენის აუცილებლობას უარყოფს და კულტურა „უეროვნებო“ მოვლენად მიანჩიათ, ლენინმა, როგორც ცნობილია, ამის წინააღმდეგ სასტიკი პროტესტი გამოთქვა და განაცხადა, რომ იგი იბრძვის ბურჟუაზიული კულტურის წინააღმდეგ და არა ეროვნული ენის წინააღმდეგ, რომლის აუცილებლობაც მას უდავოდ მიაჩნია. უცნაურია, რომ ზოგიერთი ჩვენი ამხანაგი ბუნდელთა კვალს გაჰყვა.

რაც შეეხება ერთიან ენას, რომლის აუცილებლობასაც ლენინი თითქოს უარყოფს, საჭიროა მოვისმინოთ ლენინის შემდეგი სიტყვები:

„ენა ადამიანთა ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა; ენის ერთიანობა და მისი დაუბრკოლებელი განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა ნამდვილად თავისუფალი და ფართო, თანამედროვე კაპიტალიზმის შესაბამისი, სავაჭრო ბრუნვისა, ყველა ცალკეულ კლასად მოსახლეობის თავისუფალი და ფართო დაჭრუფებისა“.

გამოდის, რომ პატივცემულმა ამხანაგებმა დაამახინჯეს ლენინის შეხედულებანი.

იმოწმებენ, დასასრულ, სტალინს. მოჰყავთ სტალინის ციტატი იმის შესახებ, რომ „ბურჟუაზია და მისი ნაციონალისტური პარტიები ამ პერიოდში ასეთი ერების მთავარი ხელმძღვანელი ძალა იყვნენ და არიან“. ყოველივე ეს სწორია. ბურჟუაზია და მისი ნაციონალისტური პარტია მართლაც ხელმძღვანელობენ ბურჟუაზიულ კულტურას, ისევე, როგორც პროლეტარიატი და მისი ინტერნაციონალისტური პარტია ხელმძღვანელობენ პროლეტარულ კულტურას. მაგრამ რა შუაშია აქ ენის „კლასობრიობა“? განა ამ ამხანაგებმა არ იციან, რომ ეროვნული ენა ეროვნული კულტურის ფორმაა, რომ ეროვნ-

ნულ ენას შეუძლია ბურჟუაზიულ კულტურასაც ემსახუროს და სოციალურ კულტურასაც? ნუთუ ჩვენი ამხანაგები არ იცნობენ მარქსისტების ცნობილ ფორმულას იმის შესახებ, რომ ახლანდელი რუსული, უკრაინული, ბელორუსული და სხვა კულტურები სოციალისტურია შინაარსით და ეროვნულია ფორმით, ე. ი. ენით? ეთანხმებიან თუ არა ისინი ამ მარქსისტულ ფორმულას?

ჩვენი ამხანაგების შეცდომა აქ ის არის, რომ ისინი ვერ ხედავენ განსხვავებას კულტურასა და ენას შორის და არ ესმით, რომ კულტურა თავისი შინაარსით იცვლება საზოგადოების განვითარების ყოველ ახალ პერიოდში, მაშინ როცა ენა ძირითადად იმავე ენად რჩება რამდენიმე პერიოდის განმავლობაში და თანაბრად ემსახურება როგორც ახალ კულტურას, ისე ძველს.

ამრიგად:

ა) ენა, როგორც ურთიერთობის საშუალება, ყოველთვის იყო და არის საზოგადოებისათვის ერთიანი და მის წევრთათვის საერთო ენა;

ბ) დიალექტებისა და ჟარგონების არსებობა კი არ უარყოფს, არამედ ადასტურებს საერთო-სახალხო ენის არსებობას, რომლის განშტოებებსაც ისინი წარმოადგენენ და რომელსაც ექვემდებარებიან;

გ) ფორმულა ენის „კლასობრიობის“ შესახებ მცდარი, არამარქსისტული ფორმულაა.

კითხვა. რა არის ენის დამახასიათებელი ნიშნები?

პასუხი. ენა ეკუთვნის იმ საზოგადოებრივ მოვლენათა რიცხვს, რომლებიც საზოგადოების არსებობის მთელი ხნის განმავლობაში მოქმედებენ. იგი წარმოიშობება და ვითარდება საზოგადოების წარმოშობასა და განვითარებასთან ერთად. იგი კვდება საზოგადოების სიკვდილთან ერთად. საზოგადოების გარეშე ენა არ არსებობს. ამიტომ ენა და მისი განვითარების კანონები შეგვაძლია გავიგოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შევისწავლით განუყრელ კავშირში იმ საზოგადოების ისტორიასთან, იმ ხალხის ისტორიასთან, რომელსაც შესასწავლი ენა ეკუთვნის და რომელიც ამ ენის შემოქმედი და მატარებელია.

ენა არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთგაგებას. რაკი უშუალოდ დაკავშირებულია აზროვნებასთან, ენა სიტყვებით და წინადადებაში სიტყვათა შეკავშირებით აღწესსხავს და აღბეჭდავს აზროვნების მუშაობის შედეგს, ადამიანის შემეცნებითი მუშაობის წარმატებას და, ამრიგად, შესაძლებელს ხდის აზრთა გაცვლას ადამიანთა საზოგადოებაში.

აზრთა გაცვლა მუდმივი და სასიცოცხლო საჭიროებაა, რადგან უამისოდ შეუძლებელია მოეწყოს ადამიანთა ერთად მოქმედება ბუნების ძალებთან ბრძოლაში, საჭირო მატერიალური დოვლათის წარმოებისათვის ბრძოლაში, შეუძლებელია მიღწეულ იქნას წარმატება საზოგადოების საწარმოო საქმიანობაში, — მაშასადამე, შეუძლებელია საზოგადოებრივი წარმოების არსებო-

ბაც. მაშასადამე, თუ არ არსებობს საზოგადოებისათვის გასაგები და ყველა მისი წევრისათვის საერთო ენა, საზოგადოება წყვეტს წარმოებას, ირღვევა და აღარ არსებობს, როგორც საზოგადოება. ამ გავებით ენა, რომელიც ურთიერთობის იარაღია, ამასთანავე საზოგადოების ბრძოლისა და განვითარების იარაღს წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, ყველა სიტყვა, რაც ენაში მოიპოვება, ერთად შედგენს ენის ეგრეთწოდებულ ლექსიკურ შედგენილობას. ენის ლექსიკურ შედგენილობაში მთავარია ძირითადი ლექსიკური ფონდი, რომელიც შედის ყველა ძირეული სიტყვა, როგორც მისი ბირთვი. იგი გაცილებით უფრო ნაკლებ ვრცელა, ვიდრე ენის ლექსიკური შედგენილობა, მაგრამ ცოცხლობს ძალიან დიდხანს, საუკუნეთა განმავლობაში და არის ენის ბაზა ახალი სიტყვების წარმოსაქმნელად. ლექსიკური შედგენილობა ასახავს ენის მდგომარეობის სურათს: რაც უფრო მდიდარი და მრავალფეროვანია ლექსიკური შედგენილობა, მით უფრო მდიდარი და განვითარებულია ენა.

მაგრამ ლექსიკური შედგენილობა, თავისთავად აღებული, როდი შეადგენს ენას; იგი უფრო ენის სამეზ მასალას წარმოადგენს. ისე როგორც სამშენებლო საქმეში სამენი მასალა შენობა არ არის, თუმცა უიმისოდ შენობის აგება შეუძლებელია, ენის ლექსიკური შედგენილობაც არ არის თვით ენა, თუმცა უიმისოდ წარმოუდგენელია რაიმე ენა. მაგრამ ენის ლექსიკურ შედგენილობას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, როცა იგი გადადის ენის გრამატიკის განკარგულებაში, რომელიც განსაზღვრავს სიტყვათა ცვლილების წესებს, წინადადებაში სიტყვათა შეთანხმების წესებს და, ამრიგად, ენას მწყობრ, გააზრებულ ხასიათს ანიჭებს. გრამატიკა (მორფოლოგია, სინტაქსი) სიტყვათა ცვლილების და წინადადებაში სიტყვათა შეკავშირების წესების კრებულია. მაშასადამე, სწორედ გრამატიკის წყალობით ენას შესაძლებლობა ეძლევა აღმნიანის აზრი ჩამოაყალიბოს მატერიალურ ენობრივ ვარსში.

გრამატიკის დამახასიათებელი ნიშანი ისაა, რომ იგი გვაძლევს სიტყვათა ცვალეზადობის წესებს, მხედველობაში აქვს რა არა კონკრეტული სიტყვები, არამედ საერთოდ სიტყვები, რომლებიც მოკლებული არიან ყოველივე კონკრეტულობას; გრამატიკა გვაძლევს წესებს წინადადებათა შესადგენად, მხედველობაში აქვს რა არა ესა თუ ის კონკრეტული წინადადება, ვთქვათ, კონკრეტული ქვემდებარე, კონკრეტული შემასმენელი და ა. შ., არამედ საერთოდ ყოველგვარი წინადადება, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ამა თუ იმ წინადადების კონკრეტული ფორმა. მაშასადამე, აბსტრაქციას ახდენს რა კერძოსა და კონკრეტულისაგან, როგორც სიტყვებში, ისე წინადადებებში, გრამატიკა იღებს იმ ზოგადს, რაც საფუძვლად უძევს სიტყვათა ცვალეზადობას და წინადადებებში სიტყვათა შეკავშირებას, და მისგან ქმნის გრამატიკულ წესებს, გრამატიკულ კანონებს. გრამატიკა აღამიანის აზროვნების ხანგრძლივი, აბსტრაქციის მომხდენი მუშაობის შედეგია, აზროვნების უდიდეს წარმატებათა ნაჩვენებელია.



23063

ამ მხრივ გრამატიკა მოგვაგონებს გეომეტრიას, რომელიც თავის კანონებს იძლევა ისე, რომ აბსტრაქციას ახდენს კონკრეტული საგნებისაგან, განიხილავს საგნებს, როგორც კონკრეტულობას მოკლებულ სხეულებს, და მათ შორის ურთიერთობას განსაზღვრავს არა როგორც ამა და ამ კონკრეტული საგნის კონკრეტულ ურთიერთობას, არამედ როგორც საერთოდ სხეულთა, ყოველგვარ კონკრეტულობას მოკლებულ სხეულთა ურთიერთობას.

ზედნაშენისაგან განსხვავებით, რომელიც წარმოებასთან დაკავშირებულია არა ბირდაბირ, არამედ ეკონომიკის მეშვეობით, ჭნა უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანის საწარმოო საქმიანობასთან ისევე, როგორც ყოველ სხვა საქმიანობასთან მისი მუშაობის უკლებლივ ყველა სფეროში. ამიტომ ენის ლექსიკური შედგენილობა, როგორც ყველაზე ცვალებადი, თითქმის განუწყვეტლივ იცვლება, ამასთან ენას, ზედნაშენისაგან განსხვავებით, არ უხდება ბაზისის ლიკვიდაციის ლოდინი, მას თავის ლექსიკურ შედგენილობაში ცვლილებანი შეაქვს ბაზისის ლიკვიდაციამდე და იმის მიუხედავად, თუ როგორია ბაზისის მდგომარეობა.

მაგრამ ენის ლექსიკური შედგენილობა იცვლება არა როგორც ზედნაშენი, არა ძველის გაუქმებისა და ახლის აშენების გზით, არამედ არსებული ლექსიკის იმ ახალი სიტყვებით შევსების გზით, რომლებიც წარმოიშენენ სოციალური წყობილების შეცვლასთან, წარმოების განვითარებასთან, კულტურის, მეცნიერებისა და ა. შ. განვითარებასთან დაკავშირებით. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ენის ლექსიკურ შედგენილობას ჩვეულებრივად გარკვეულ რაოდენობით აკლდება მოძველებული სიტყვები, მას ემატება გაცილებით მეტი ახალი სიტყვა. რაც შეეხება ძირითად ლექსიკურ ფონდს, იგი ძირითადად რჩება და ენა მას იყენებს, როგორც თავისი ლექსიკური შედგენილობის საფუძველს.

ეს გასაგებია. სულაც არ არის საჭირო მოისპოს ძირითადი ლექსიკური ფონდი, როცა იგი შეიძლება წარმატებით იქნას გამოყენებული მთელი რიგი ისტორიული პერიოდების მანძილზე, თუ აღარას ვიტყვით იმაზე, რომ საუკუნეთა განმავლობაში დაგროვებული ძირითადი ლექსიკური ფონდის მოსპობას, რაჟი მოკლე ხნის განმავლობაში შეუძლებელია ახალი ძირითადი ლექსიკური ფონდის შექმნა, მოჰყვებოდა ენის დადამბლავება, ადამიანთა ურთიერთობის საქმის სრული მოშლა.

ენის გრამატიკული წყობა კიდევ უფრო ნელა იცვლება, ვიდრე მისი ძირითადი ლექსიკური ფონდი. ებოჭათა განმავლობაში შემუშავებული გრამატიკული წყობა, რომელიც ენას შეუსისხლბორცდა, კიდევ უფრო ნელა იცვლება, ვიდრე იბრითადი ლექსიკური ფონდი. იგი, რა თქმა უნდა, იცვლება დროთა ვითარებაში, იგი უფრო სრულყოფილი ხდება, აუმჯობესებს და აზუსტებს თავის წესებს, იძენს ახალ წესებს, მაგრამ გრამატიკული წყობის საფუძველები რჩება მეტად დიდი ხნის განმავლობაში, რადგან ამ საფუძველებს, როგორც ისტორია გვიჩვენებს, შეუძლიათ წარმატებით ემსახურონ საზოგადოებას მთელი რიგი ეპოქების მანძილზე.



ამრიგად, ენის გრამატიკული წყობა და მისი ძირითადი ლექსიკური ფონ-
 დი შეადგენს ენის საფუძველს, მისი სპეციფიკის არსს.

ისტორია გვიჩვენებს, რომ ენა დიდ გამძლეობას იჩენს და კოლოსალურ
 წინააღმდეგობას უწევს ძალით ასიმილაციას. ზოგიერთი ისტორიკოსი, იმის
 მაგივრად, რომ ახსნას ეს მოვლენა, გააკვირვებას სჯერდება. მაგრამ გაკვირვე-
 ბისათვის აქ არავითარი საფუძველი არ არსებობს. ენის გამძლეობა აიხსნება
 მისი გრამატიკული წყობისა და ძირითადი ლექსიკური ფონდის გამძლეობით.
 თურქი ასიმილატორები ასეული წლების მანძილზე ცდილობდნენ დაემახინჯე-
 ბინათ, დაერღვით და მოესპოთ ბალკანელი ხალხების ენები. ამ ხნის განმავ-
 ლობაში ბალკანური ენების ლექსიკურმა შედგენილობამ სერიოზული ცვლი-
 ლებანი განიცადა, შეთვისებულ იქნა საკმაოდ ბევრი თურქული სიტყვა და
 გამოთქმა, იყო „დაახლოებაც“ და „გათიშვაც“, მაგრამ ბალკანურმა ენებმა
 ამას გაუძლეს და გადაარჩინენ. რატომ? იმიტომ, რომ ამ ენების გრამატიკული
 წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი ძირითადად დარჩნენ.

ყოველივე აქედან გამომდინარეობს, რომ არ შეიძლება ენა, მისი
 სტრუქტურა განვიხილოთ როგორც ერთი რომელიმე ეპოქის პროდუქტი.
 ენის სტრუქტურა, მისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონ-
 დი მთელი რიგი ეპოქების პროდუქტია.

უნდა ვიფიქროთ, რომ თანამედროვე ენის ელემენტები შეიქმნა ჯერ კი-
 დევ უძველეს დროში, მონობის ეპოქაზე ადრე. ეს იყო არართული ენა, რო-
 მელსაც მეტად მცირე ლექსიკური ფონდი გააჩნდა, მაგრამ ჰქონდა თავისი
 გრამატიკული წყობა, მართალია, პრიმიტიული, მაგრამ მაინც გრამატიკული
 წყობა.

წარმოების შემდგომმა განვითარებამ, კლასების წარმოშობამ, დამწერ-
 ლობის წარმოშობამ, სახელმწიფოს ჩასახვამ, რომელსაც მართვისათვის ესაჭი-
 რობოდა ცოტად თუ ბევრად მოწესრიგებული მიწერ-მოწერა, ვაჭრობის გან-
 ვითარებამ, რომელსაც კიდევ უფრო ესაჭიროებოდა მოწესრიგებული მიწერ-
 მოწერა, საბუკლავი დაზღვის გაჩენამ, ლიტერატურის განვითარებამ — ყოვე-
 ლივე ამან დიდი ცვლილებანი შეიტანა ენის განვითარებაში. ამ ხნის განმავ-
 ლობაში ტომები და ეროვნებანი ქუცმაცდებოდნენ და ითიშებოდნენ, ხდებო-
 და მთლი ერთმანეთში შერევა და შეჯვარდინება, შემდეგ კი გაჩნდნენ ეროვ-
 ნული ენები და სახელმწიფოები, მოხდა რევოლუციური გადატრიალებანი,
 ძველი საზოგადოებრივი წყობილებანი ახლებით შეიცვალა. ყოველივე ამან
 უფრო მეტი ცვლილებანი შეიტანა ენასა და მის განვითარებაში.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ ენის განვითა-
 რება ისევე ხდებოდა, როგორც შედნაშენის განვითარება: არსებულის მოსპო-
 ბასა და ახლის შექმნის გზით. ნამდვილად ენის განვითარება ხდებოდა არა
 არსებული ენის მოსპობისა და ახლის შექმნის გზით, არამედ არსებული ენის
 ძირითადი ელემენტების გაშლისა და სრულყოფის გზით. ამასთან ენის ერთი
 თვისობრიობიდან მეორე თვისობრიობაში გადასვლა ხდებოდა არა აფეთქების
 გზით, არა ძველის ერთბაშად მოსპობისა და ახლის შექმნის გზით, არამედ

ენის ახალი თვისობრიობის, ახალი სტრუქტურის ელემენტების თანდათანობითი და ხანგრძლივი დაგროვების გზით, ძველი თვისობრიობის ელემენტების თანდათანობითი კვდომის გზით.

ამბობენ, რომ ენის სტადიური განვითარების თეორია მარქსისტული თეორიაა, რადგან მას აუცილებლად მიაჩნია უეცარი აფეთქებანი, როგორც პირობა ენის გადასვლისა ძველი თვისობრიობიდან ახალში. ეს, რა თქმა უნდა, სწორი არ არის, რადგან ძნელია რაიმე მარქსისტული ვიზოვით ამ თეორიაში. და თუ სტადიურობის თეორია ნამდვილად აღიარებს უეცარ აფეთქებებს ენის განვითარების ისტორიაში, მით უარესი მისთვის. მარქსიზმი არ ცნობს უეცარ აფეთქებებს ენის განვითარებაში, არსებული ენის უეცარ სიკვდილს და ახალი ენის უეცარ შექმნას. ლაფარგი მართალი არ იყო, როცა ლაპარაკობდა „უეცარ ენობრივ რევოლუციაზე, რომელიც მოხდა 1789 და 1794 წლებს შუა“ საფრანგეთში (იხ. ლაფარგის ბროშურა „ენა და რევოლუცია“). არავითარი ენობრივი რევოლუცია, ისიც უეცარი, მაშინ საფრანგეთში არ მომხდარა. რა თქმა უნდა, ამ პერიოდში ფრანგული ენის ლექსიკური შედგენილობა შეიცვალა ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, ამოვარდა ზოგიერთი მოძველებული სიტყვა, შეიცვალა ზოგიერთი სიტყვის აზრობრივი მნიშვნელობა, — ეს იყო და ეს. მაგრამ ასეთი ცვლილებები სრულიადაც არ წყვეტს ენის ბედს. ენაში მთავარია მისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. მაგრამ ფრანგული ენის გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი არა თუ არ გამქრალა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის პერიოდში, არამედ დარჩა ისე, რომ არსებითი ცვლილებები არ განუცდია, და არა მარტო დარჩა, არამედ ამჟამადაც ცოცხლობს თანამედროვე ფრანგულ ენაში. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ არსებული ენის ლიკვიდაციისა და ახალი ეროვნული ენის შექმნისათვის („უეცარი ენობრივი რევოლუცია“) ხუთი-ექვსი წლის ვადა, ისე ცოტაა, რომ სასაცილოა ამაზე ლაპარაკი, — ამისათვის საუკუნეებია საჭირო.

მარქსიზმს მიაჩნია, რომ ენის გადასვლა ძველი თვისობრიობიდან ახალში ხდება არა აფეთქების გზით, არა არსებული ენის მოსპობისა და ახლის შექმნის გზით, არამედ ახალი თვისობრიობის ელემენტების თანდათანობით დაგროვების გზით, მაშასადამე ძველი თვისობრიობის ელემენტების თანდათანობითი კვდომის გზით.

საერთოდ უნდა ითქვას იმ ამხანაგების საყურადღებოდ, რომლებიც გატაცებული არიან აფეთქებებით, რომ ძველი თვისობრიობიდან ახალში აფეთქების გზით გადასვლის კანონი არ შეესაბამება არა მარტო ენის განვითარების ისტორიას, არამედ ყოველთვის როდი შეესაბამება საბაზისო ან ზედნაშენურ ხასიათის სხვა საზოგადოებრივ მოვლენებსაც. იგი სავალდებულოა მტრულ კლასებად დაყოფილი საზოგადოებისათვის. მაგრამ იგი სრულიადაც არ არის სავალდებულო ისეთი საზოგადოებისათვის, რომელშიც მტრული კლასები არ არის. 8—10 წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში განვახორციელებთ ბურჟუაზიული ინდივიდუალურ-გლეხური წყობილები-

დან სოციალისტურ, საკომუნისტრო წყობილებაზე გადასვლა. ეს იყო რევოლუცია, რომელმაც სოფლად მოსპო ძველი ბურჟუაზიული სამეურნეო წყობილება და შექმნა ახალი, სოციალისტური წყობილება. მაგრამ ეს გადატრიალება მოხდა არა აფეთქების გზით, ე. ი. არა არსებული ხელისუფლების დამხობის და ახალი ხელისუფლების შექმნის გზით, არამედ სოფლად ძველი ბურჟუაზიული წყობილებიდან ახალ წყობილებაზე თანდათანობითი გადასვლის გზით, ეს კი იმიტომ მოხერხდა, რომ ეს იყო რევოლუცია ზევდიან, რომ გადატრიალება მოხდა არსებული ხელისუფლების ინიციატივით და გლეხობის ძირითადი მასების მხარდაჭერით.

ამბობენ, რომ ენების შეჯვარდინების მრავალი ფაქტი, რომელიც ისტორიაში მომხდარა, საფუძველს იძლევა ვიფიქროთ, რომ შეჯვარდინების დროს იქმნება ახალი ენა აფეთქების გზით, ძველი თვისობრიობიდან ახალ თვისობრიობაში უეცარი გადასვლის გზით. ეს სრულიადაც არ არის სწორი.

ენების შეჯვარდინება არ შეიძლება განვიხილოთ როგორც გადამწყვეტი დარტყმის ერთეული აქტი, რომელიც თავის შედეგებს იძლევა რამდენიმე წლის მანძილზე. ენების შეჯვარდინება ხანგრძლივი პროცესია, რომელიც ასეულ წლებით გრძელდება. ამიტომ აქ არავითარ აფეთქებაზე ლაპარაკი არ შეიძლება.

შემდეგ, სრულიადაც არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ, ვთქვათ, ორი ენის შეჯვარდინების შედეგად მივიღებთ ახალ, მესამე ენას, რომელიც არა ჰქავს არც ერთ შეჯვარდინებულ ენას და თვისობრივად განირჩევა თვითეული მათგანისაგან. ნამდვილად შეჯვარდინების დროს ერთ-ერთი ენა ჩვეულებრივად იმარჯვებს, ინარჩუნებს თავის გრამატიკულ წყობას, ინარჩუნებს თავის ძირითად ლექსიკურ ფონდს და განაგრძობს განვითარებას თავისი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით, მეორე ენა კი თანდათანობით კარგავს თავის თვისობრიობას და თანდათანობით კვდება.

მაშასადამე, შეჯვარდინების დროს ვიღებთ არა რაღაც ახალ, მესამე ენას, არამედ რჩება ერთ-ერთი ენა, რჩება მისი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი და მას შესაძლებლობა ეძლევა განვითარდეს თავისი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით.

მართალია, ამ დროს ხდება გამარჯვებული ენის ლექსიკური შედგენილობის ერთგვარი გამდიდრება დამარცხებული ენის ხარჯზე; მაგრამ ეს კი არ ასუსტებს, არამედ, პირიქით, აძლიერებს მას.

ასე მოუვიდა, მაგალითად, რუსულ ენას, რომელსაც ისტორიული განვითარების პროცესში უჯვარდინდებოდნენ მთელი რიგი სხვა ხალხების ენები და რომელიც მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა.

რა თქმა უნდა, ამასთან რუსული ენის ლექსიკური შედგენილობა იცვებოდა სხვა ენების ლექსიკური შედგენილობის ხარჯზე. მაგრამ ამან არათუ არ დაასუსტა, არამედ, პირიქით, გაამდიდრა და გააძლიერა რუსული ენა.

რაც შეეხება რუსული ენის ეროვნულ თვითმყოფობას, მას ოდნავი ზიანიც არ მოსვლია, რადგან, შეინარჩუნა რა თავისი გრამატიკული წყობა და ძი-

რითადი ლექსიკური ფონდი, რუსული ენა განაგრძობდა წინსვლას და სრულყოფას თავისი განვითარების შინაგანი კანონების მიხედვით.

საყვებით უეჭველია, რომ შეჯვარედინების თეორია სერიოზულს ვერაფერს მისცემს საბჭოთა ენათმეცნიერებას. თუ სწორია, რომ ენათმეცნიერების მთავარი ამოცანა ენის განვითარების შინაგანი კანონების შესწავლაა, უნდა ვალიაოთ, რომ შეჯვარედინების თეორია არათუ არ წყვეტს ამ ამოცანას, არამედ არც კი აყენებს მას, — პირდაპირ ვერ ამჩნევს ამ ამოცანას ან არ ესმის იგი.

კითხვა. სწორად მოიძვარა თუ არა „პრაგმა“ ენათმეცნიერების საკითხებზე თანამედროვე დისკუსია რომ მოაწყოს?

პასუხი. სწორად მოიქცა.

თუ რა მიმართულებით გადაწყდება ენათმეცნიერების საკითხები, — ეს ნათელი ვახდება დისკუსიის დასასრულს, მაგრამ უკვე ახლა შეიძლება ითქვას, რომ დისკუსიამ დიდი სარგებლობა მოიტანა.

დისკუსიამ, უწინარეს ყოვლისა, გამოარკვია, რომ ენათმეცნიერების ორგანოებში როგორც ცენტრში, ისე რესპუბლიკებში, გაბატონებული იყო მეცნიერებისა და მეცნიერთათვის შეუფერებელი რეჟიმი. საბჭოთა ენათმეცნიერებაში საქმის ვითარების ოდნავ კრიტიკას, ენათმეცნიერებაში ეგრეთწოდებული „ახალი მოძღვრების“ კრიტიკის სულ გაუბედავ ცდებსაც კი სდევნიდნენ და ახშობდნენ ენათმეცნიერების ხელმძღვანელი წრეები. ნ. ი. მარის მემკვიდრეობისადმი კრიტიკული დამოკიდებულებისათვის, ნ. ი. მარის მოძღვრების ოდნავი მოუწონებლობისათვის თანამდებობიდან ხსნიდნენ ან დიბალ თანამდებობაზე გადაჰყავდათ ენათმეცნიერების დარგის თვალსაჩინო მუშაკები და მკვლევარები. ენათმეცნიერების მუშაკებს პასუხსაგებ თანამდებობაზე აწინაურებდნენ არა საქმიანობის ნიშნის მიხედვით, არამედ ნ. ი. მარის მოძღვრების უსიტყვოდ აღიარების ნიშნის მიხედვით.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ვერავითარი მეცნიერება ვერ განვითარდება და წარმატებას ვერ მიაღწევს, თუ არ არის აზრთა ბრძოლა, თუ არ არის კრიტიკის თავისუფლება, მაგრამ ამ საყოველთაოდ აღიარებულ წესს ყოველად უბოდიშოდ უგულვებელყოფდნენ და ფეხქვეშ თელავდნენ. შეიქმნა უცოდველ ხელმძღვანელთა კარჩაკეტილი ჯგუფი, რომელმაც თავი დაიხრია ყოველგვარი შესაძლო კრიტიკისაგან და თვითნებობასა და უწესობას სჩადიოდა.

ერთი მაგალითი: ეგრეთწოდებული „ბაქოს კურსი“ (ნ. ი. მარის მიერ ბაქოში წაკითხული ლექციები), რომელიც თვით ავტორმა დაიწუნა და ხელახლა გამოცემისათვის აკრძალა, ხელმძღვანელთა კასტის (ამხ. მეშჩანინოვი მათ ნ. ი. მარის „მოწაფეებს“ უწოდებს) განკარგულებით მიანიც ხელახლა გამოიცა და სრულიად უშენიშნოდ შეტანილ იქნა სტუდენტებისათვის რეკომენდებულ სახელმძღვანელოთა რიცხვში. ეს იმას ნიშნავს, რომ სტუდენტები მო-

ატყუეს, დაწუნებული „კურსი“ სრულფასოვან სახელმძღვანელოდ მიაწოდეს. დარწმუნებული რომ არ ვიყო ამხ. მეშინინოვისა და ენათმეცნიერების სხვა მუშაკთა პატიოსნებაში, ვიტყოდი, რომ ასეთი ქცევა მიენებლობას უღრის.

როგორ მოხდა ეს? ეს მოხდა იმიტომ, რომ ენათმეცნიერებაში შექმნილი არაკჩვევის რეჟიმი ნერგავს უპასუხისმგებლობას და აქეზებს ასეთ უწყესობას.

დისკუსია ფრიად სასარგებლო აღმოჩნდა უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ მან მზის სინათლეზე გამოიტანა ეს არაკჩვევის რეჟიმი და გააცამტვერა იგი.

მაგრამ დისკუსიის სარგებლობა ამით როდი ამოიწურება. დისკუსიამ არა მარტო გააცამტვერა ძველი რეჟიმი ენათმეცნიერებაში, არამედ კიდევაც გამოავლინა შეზღუდულობათა ის წარმოუდგენელი არეგ-დარევა ენათმეცნიერების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებში, რომელიც გამეფებულია მეცნიერების ამ დარგის ხელმძღვანელ წრეებში. დისკუსიის დაწყებამდე ისინი დუმდნენ და ჩქმალადდნენ იმ გარემოებას, რომ ენათმეცნიერებაში ყველაფერი რაგზე არ არის. მაგრამ დისკუსიის დაწყების შემდეგ დუმილი უკვე შეუძლებელი გახდა, — ისინი იძულებული გახდნენ პრესის ფურცლებზე გამოსულიყვნენ. და რა გამოირკვა? აღმოჩნდა, რომ ნ. ი. მარის მოძღვრებაში არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი, შეცდომები, დაუზუსტებელი პრობლემები, დაუმუშავებელი დებულებანი. საკითხავია, რატომ მხოლოდ ახლა, დისკუსიის დაწყების შემდეგ ალაპარაკდნენ ამაზე ნ. ი. მარის „მოწაფეები“? რატომ უფრო ადრე არ იზრუნეს ამაზე? რატომ თავის დროზე არა თქვეს ეს გულახდილად და პატიოსნად, როგორც ეს მეცნიერების მოღვაწეებს შეეფერებათ?

აღიარეს რა ნ. ი. მარის „ზოგიერთი“ შეცდომა, ნ. ი. მარის „მოწაფეები“ თურმე ფიქრობენ, რომ საბჭოთა ენათმეცნიერება შეიძლება შემდგომ განავითაროთ მხოლოდ ნ. ი. მარის „დაუზუსტებელი“ თეორიის ბაზაზე, რომელიც მათ მარქსისტულ თეორიად მიაჩნიათ. არა, გვაშორეთ ნ. ი. მარის „მარქსიზმი“. ნ. ი. მარს მართლაც სურდა და ცდილობდა მარქსისტი ყოფილიყო, მაგრამ მან ვერ შეძლო გამხდარიყო მარქსისტი. იგი მარქსიზმის მხოლოდ და მხოლოდ გამაუბრალთებელი და ეფულგარიზატორი იყო, როგორც „პროლეტკულტელები“ ან „რაპელები“.

ნ. ი. მარმა ენათმეცნიერებაში შეიტანა არასწორი, არამარქსისტული ფორმულა ენის, როგორც ზედნაშენის, შესახებ და თავგზა აებნა, თავგზა აუბნია ენათმეცნიერებას. შეუძლებელია არასწორი ფორმულის ბაზაზე განვითაროთ საბჭოთა ენათმეცნიერება.

ნ. ი. მარმა ენათმეცნიერებაში შეიტანა მეორე, აგრეთვე არასწორი და არამარქსისტული ფორმულა ენის „კლასობრიობის“ შესახებ და თავგზა აებნა, თავგზა აუბნია ენათმეცნიერებას. შეუძლებელია არასწორი ფორმულის ბაზაზე, რომელიც ხალხთა და ენათა ისტორიის მთელ მსვლელობას ეწინააღმდეგება, განვითაროთ საბჭოთა ენათმეცნიერება.

ნ. ი. მარმა ენათმეცნიერებაში შეიტანა მარქსიზმისათვის შეუფერებელი კადნიერი, ყოყონა, ქედმაღლური კილო, რომელიც იწვევს ყოველივე იმის დაუსაბუთებლად და წინდაუხედავად უარყოფას, რაც ენათმეცნიერებაში ნ. ი. მარამდე იყო.

ნ. ი. მარი მყვირალა ფრაზებით დასცინის ისტორიულ-შედარებითს მე-თოდს, როგორც „იდეალისტურს“, ამავე დროს კი უნდა ვთქვათ, რომ ისტორიულ-შედარებითი მეთოდი, მიუხედავად მისი სერიოზული ნაკლოვანებებისა, მაინც უკეთესია, ვიდრე ნ. ი. მარის მართლაც იდეალისტური ოთხელემენტოვანი ანალიზი, რადგან პირველი ბიძგს იძლევა მუშაობისათვის, ენების შესწავლისათვის, მეორე კი მხოლოდ იმის ბიძგს იძლევა, რომ მხართეძოზე წამოწე და ყბადაღებული ოთხი ელემენტის გარშემო იმარჩიელო.

ნ. ი. მარი ენათა ჯგუფების (ოჯახების) შესწავლის ყოველ ცდას ქედმაღლურად იგდებს აბუჩად და „წინარე ენის“ თეორიის გამოვლინებად თვლის. ხოლო არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ უეჭველია ენობრივი ნათესაობა, მაგალითად, ისეთი ერებისა, როგორც სლაჟი ერები არიან, რომ ამ ერების ენობრივი ნათესაობის შესწავლა დიდ სარგებლობას მოუტანდა ენათმეცნიერებას ენის განვითარების კანონთა შესწავლის საქმეში. აღარას ვამბობ იმაზე, რომ „წინარე ენის“ თეორიას ამ საქმესთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ნ. ი. მარს და განსაკუთრებით მის „მოწაფეებს“ ყური რომ დაუგდო, გეგონება, რომ ნ. ი. მარამდე არავითარი ენათმეცნიერება არ ყოფილა, რომ ენათმეცნიერება მას შემდეგ დაიწყო, რაც გაჩნდა ნ. ი. მარის „ახალი მოძღვრება“. რაოდენ უფრო თავმდაბალი იყვნენ მარქსი და ენგელსი: მათ მიაჩნდათ, რომ მათი დიალექტიკური მატერიალიზმი წინაპერიოდის მეცნიერებათა, მათ შორის ფილოსოფიის განვითარების ნაყოფია.

ამრიგად, დისკუსია სასარგებლო იყო იმ მხრივაც, რომ გამოააშკარავა იდეოლოგიური ნაკლოვანებანი საბჭოთა ენათმეცნიერებაში.

მე ვფიქრობ, რომ რაც უფრო მალე განთავისუფლდება ჩვენი ენათმეცნიერება ნ. ი. მარის შეცდომებისაგან, მით უფრო მალე შეიძლება გამოვიყვანოთ იგი კრიზისიდან, რომელსაც ახლა განიცდის.

ენათმეცნიერებაში არაქრევეის რეჟიმის ლიკვიდაცია, ნ. ი. მარის შეცდომების უარყოფა, ენათმეცნიერებაში მარქსიზმის დანერგვა, — ასეთია ჩემი აზრით ის გზა, რომლითაც შეიძლება გვაეჯანსაღოთ საბჭოთა ენათმეცნიერება.

ენათმეცნიერების ზოგიაკოთ საქიძისზე

ბასუბი ამხანაზ ე. კრაშინინიკოვას

ამხ. კრაშინინიკოვას!

გიპასუხებთ თქვენს კითხვებზე.

1. **კითხვა.** თქვენს სტატიის დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ ენა არც ბაზისია და არც ზედნაშენი. მართებული იქნებოდა თუ არა მიგვეჩინა, რომ ენა ისეთი მოვლენაა, რომელიც ბაზისსაც ახასიათებს და ზედნაშენსაც, თუ უფრო სწორი იქნებოდა მიგვეჩინა ენა შუალედურ მოვლენად?

პასუხი. რა თქმა უნდა, ენას, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას, ახასიათებს ის საერთო რამ, რაც აქვს ყველა საზოგადოებრივ მოვლენას, მათ შორის ბაზისსა და ზედნაშენს, სახელდობრ: იგი ისევე ემსახურება საზოგადოებას, როგორც ემსახურება მას ყველა სხვა საზოგადოებრივი მოვლენა, მათ შორის ბაზისი და ზედნაშენი. მაგრამ სწორედ ამით ამოიწურება ის საერთო რამ, რაც ყველა საზოგადოებრივ მოვლენას აქვს. შემდეგ იწყება სერიოზული განსხვავებანი საზოგადოებრივ მოვლენებს შორის.

საქმე ის არის, რომ საზოგადოებრივ მოვლენებს, ამ საერთოს გარდა, აქვთ თავიანთი სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებენ და რომლებსაც მეცნიერებისათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა აქვთ. ბაზისის სპეციფიკური თავისებურებანი ისაა, რომ იგი საზოგადოებას ემსახურება ეკონომიურად. ზედნაშენის სპეციფიკური თავისებურებანი ისაა, რომ იგი საზოგადოებას ემსახურება პოლიტიკური, იურიდიული, ესთეტიკური და სხვა იდეებით და საზოგადოებისათვის ქმნის შესაბამის პოლიტიკურ, იურიდიულ და სხვა დაწესებულებებს. რა არის ენის სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა საზოგადოებრივი მოვლენებისაგან? ეს თავისებურებანი ისაა, რომ ენა ემსახურება საზოგადოებას, როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, როგორც საზოგადოებაში აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალება, როგორც ისეთი საშუალება, რომელიც ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს გაუგონ ერთმანეთს და მოაწიონ ერთობლივი მუშაობა ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, როგორც წარმოების დარგში, ისე ეკონომიური ურთიერთობის დარგში, როგორც პოლიტიკის დარგში, ისე კულტურის დარგში, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე ყოფაცხოვრებაში. ეს თავისებურებანი ახასიათებენ მხოლოდ ენას, და სწორედ იმიტომ, რომ ისინი ახასიათებენ მხოლოდ ენას, ენა დამოუკიდებელი მეცნიერების — ენათმეცნიერების — შესწავლის ობიექტია. ენას ეს თავისებურებანი რომ არ ჰქონოდა, ენათმეცნიერება დამოუკიდებელი არსებობის უფლებას დაკარგავდა.

მოკლედ: ენა არ შეიძლება მივაკუთვნოთ არც ბაზისთა კატეგორიას, არც ზედნაშენთა კატეგორიას.

იგი არ შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე ბაზისსა და ზედნაშენს შორის „შუალედურ“ მოვლენათა კატეგორიას, რადგან ასეთი „შუალედური“ მოვლენები არ არსებობენ.

მაგრამ იქნებ ენა შეიძლება მივაკუთვნოთ საზოგადოების საწარმოო ძალთა კატეგორიას, ვთქვათ, წარმოების იარაღთა კატეგორიას? მართლაც, ენასა და წარმოების იარაღებს შორის ერთგვარი ანალოგია არსებობს: წარმოების იარაღები, ისევე როგორც ენა, კლასებისადმი თავისებურ განურჩევლობას ამჟღავნებენ და შეუძლიათ თანაბრად ემსახურონ საზოგადოების სხვადასხვა კლასებს, როგორც ძველ, ისე ახალ კლასებს. იძლევა თუ არა ეს გარემოება იმის საფუძველს, რომ ენა წარმოების იარაღთა კატეგორიას მივაკუთვნოთ? არა, არ იძლევა.

ერთხანს ნ. ი. მარმა, რაკი დაინახა, რომ მისმა ფორმულამ — „ენა ბაზისის ზედნაშენია“, — გამოიწვია საწინააღმდეგო მოსაზრებანი, გადაწყვიტა „გარდაქმნილიყო“ და გამოაცხადა, „ენა წარმოების იარაღია“. მართალი იყო თუ არა ნ. ი. მარი, ენა წარმოების იარაღთა კატეგორიას რომ მივაკუთვნა? არა, იგი უთუოდ არ იყო მართალი.

საქმე ის არის, რომ ენასა და წარმოების იარაღებს შორის მსგავსება იმ ანალოგიით ამოიწურება, რომელზეც ეს არის ახლა ვილაბარაყე. მაგრამ სამაგიეროდ ენასა და წარმოების იარაღებს შორის ძირეული განსხვავებაცაა. ეს განსხვავება ისაა, რომ წარმოების იარაღები აწარმოებენ მატერიალურ დოვლათს, ენა კი არაფერს არ აწარმოებს ან „აწარმოებს“ მხოლოდ სიტყვებს. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, აღამიანებს, რომლებსაც წარმოების იარაღები აქვთ, შეუძლიათ აწარმოონ მატერიალური დოვლათი, ხოლო იმავე აღამიანებს, რომლებსაც ენა აქვთ, მაგრამ წარმოების იარაღები არა აქვთ, არ შეუძლიათ აწარმოონ მატერიალური დოვლათი. ძნელი გასაგები არ არის — ენას რომ შეეძლოს მატერიალური დოვლათი აწარმოოს, ლაქლაქა აღამიანები მსოფლიოში ყველაზე მდიდარი იქნებოდნენ.

2. კითხვა. მარქსი და ენგელსი ენას განსაზღვრავენ როგორც „აზრის უშუალო სინამდვილეს“, როგორც „პრაქტიკულ, ...ნამდვილ ცნობიერებას“. „იდეები, — ამბობს მარქსი, — ენისაგან მოწყვეტილად არ არსებობენ“. რამდენად უნდა მუშაობდეს, თქვენა აზრით, ენათმეცნიერება ენის შინაარსობრივ მხარეზე, სემანტიკაზე და ისტორიულ სემასიოლოგიასა და სტილისტიკაზე, თუ ენათმეცნიერების საგანი მხოლოდ ფორმა უნდა იყოს?

პასუხი. სემანტიკა (სემასიოლოგია) ენათმეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. სიტყვათა და გამოთქმათა შინაარსობრივ მხარეს სეროზული მნიშვნელობა აქვს ენის შესწავლის საქმეში. ამიტომ სემანტიკისათვის (სემასიოლოგიისათვის) უზრუნველყოფილ უნდა იქნას მისი შესაფერი ადგილი ენათმეცნიერებაში.

მაგრამ სემანტიკის საკითხების დამუშავებისა და მისი მონაცემების გამოყენებისას არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაზვიადებულად შევუთასოთ მისი მნიშვნელობა, და მით უმეტეს—არ შეიძლება ბოროტად გამოვიყენოთ იგი. მხედველობაში მყავს ზოგიერთი ენათმეცნიერი, რომლებიც, მეტისმეტად გატაცებული არიან რა სემანტიკით, უგულვებლყოფენ ენას, როგორც „აზრის უშუალო სინამდვილეს“, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია აზროვნებასთან, წყვეტენ აზროვნებას ენისაგან და ამტკიცებენ, ენა დრომოქმული ხდება, შეიძლება უენოდაც იოლად წავიდეთო.

ყურადღება მიაქციეთ ნ. ი. მარის შემდეგ სიტყვებს:

„ენა არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ელინდება ბგერებით; აზროვნების მოქმედება გამოუელინებლადაც ხდება... ენა (ბგერითი) ახლა უკვე უთმობს თავის ფუნქციებს უახლეს გამოგონებებს, რომლებიც უძველესად ძლიერ სივრცეს, ხოლო აზროვნება აღმავლობის გზით მიდის წარსულში მის მიერ დაგროვებულისა და გამოუყენებელისაგან და ახალი მონახვევისაგან, და მომავალში იგი გარიყავს და მთლიანად შეცვლის ენას. მომავალი ენა ბუნებითი მატერიისაგან თავისუფალ ტექნიკაში მზარდი აზროვნება იქნება. მას ვერ გაუძლავდება ვერავითარი ენა, თუნდაც ბგერითი, რომელიც მაინც დაკავშირებულია ბუნების ნორმებთან“ (იხ. ნ. ი. მარის „რჩეული ნაშრომები“).

ეს „შრომა-მაკიური“ აბლაუბდა ჩვეულებრივი ადამიანური ენით რომ გამოეთქვათ, შეიძლება იმ დასკვნამდე მივიდეთ, რომ:

ა) ნ. ი. მარი აზროვნებას წყვეტს ენისაგან;

ბ) ნ. ი. მარს მიაჩნია, რომ ადამიანთა ურთიერთობა შეიძლება განხორციელდეს უენოდაც, თვით აზროვნების შემწეობით, რომელიც თავისუფალი იქნება ენის „ბუნებითი მატერიისაგან“, თავისუფალი იქნება „ბუნების ნორმებისაგან“;

გ) წყვეტს რა აზროვნებას ენისაგან და „თავისუფლებს“ რა მას ენის „ბუნებითი მატერიისაგან“, ნ. ი. მარი იდეალიზმის ჭაობში ეფლობა.

ამბობენ, ადამიანს თავში აზრები მანამდე ებადება, სანამ ისინი მეტყველებვაში გამოითქმებოდეს, ებადება ენობრივი მასალის გარეშე, ენობრივი გარსის გარეშე, ასე ვთქვათ, შიშველი სახითო. მაგრამ ეს სრულებითაც არ არის სწორი. ადამიანის თავში რა აზრებიც უნდა გაჩნდნენ, მათ შეუძლიათ გაჩნდნენ და იარსებონ მხოლოდ ენობრივი მასალის ბაზაზე, ენობრივი ტერმინებისა და ფრაზების ბაზაზე. ენობრივი მასალისაგან თავისუფალი, ენის „ბუნებითი მატერიისაგან“ თავისუფალი შიშველი აზრები არ არსებობს. „ენა აზრის უშუალო სინამდვილეა“ (მარქსი). აზრის რეალურობა ენით მკლავდება. მხოლოდ იდეალისტებს შეუძლიათ ილაპარაკონ ენის „ბუნებითის მატერიისთან“ დაუკავშირებელ აზროვნებაზე, უენო აზროვნებაზე.

მოკლედ: სემანტიკის გაზვიადებულმა შეფასებამ და მისმა ბოროტად გამოყენებამ ნ. ი. მარი იდეალიზმამდე მიიყვანა.



მამასადამე, თუ სემანტიკას (სემასიოლოგიას) დავიცავთ ისეთი გზებით, როგორც დღეისა და ბოროტად გამოყენებისაგან, როგორსაც უშვებენ ნ. ი. მარი და მისი ზოგიერთი „მოწაფე“, მას შეუძლია დიდი სარგებლობა მოუტანოს ენათმეცნიერებას.

3. კითხვა. თქვენ საესებით სამართლიანად ამბობთ, რომ ბურჟუებსა და პროლეტარებს პირდაპირ საწინააღმდეგო იდეები, წარმოდგენები, ზნეჩვეულება და ზნეობრივი პრინციპები აქვთ. ამ მოვლენათა კლასობრივი ხასიათი უთუოდ დაეტყო ენის სემანტიკურ მხარეს (ხოლო ზოგჯერ მის ფორმასაც — ლექსიკურ შედგენილობას, — როგორც სწორად აღნიშნავთ თქვენს სტატიასა). შეიძლება თუ არა, როცა ანალიზს უუკეთებთ კონკრეტულ ენობრივ მასალას და, პირველ რიგში, ენის შინაარსობრივ მხარეს, ვილაპარაკოთ მის მიერ გამოხატულ ცნებათა კლასობრივ არსზე, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა საქმე ეხება არა მხოლოდ ადამიანის აზრის ენობრივ გამოხატვას, არამედ სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულებასაც, სადაც განსაკუთრებით მკაფიოდ იჩენს თავს მისი კლასობრივი კუთვნილება?

პასუხი. მოკლედ რომ ვთქვათ, თქვენ გსურთ იცოდეთ, — გავლენას ახდენენ თუ არა კლასები ენაზე, შეაქვთ თუ არა მათ ენაში თავიანთი სპეციფიკური სიტყვები და გამოთქმები, არის თუ არა შემთხვევები, რომ ადამიანები ერთსა და იმავე სიტყვებსა და გამოთქმებს ანიჭებდნენ სხვადასხვა აზრობრივ მნიშვნელობას კლასობრივი კუთვნილების მიხედვით?

დიახ, კლასები გავლენას ახდენენ ენაზე, შეაქვთ ენაში თავიანთი სპეციფიკური სიტყვები და გამოთქმები და ზოგჯერ სხვადასხვანაირად ესმით ერთი და იგივე სიტყვები და გამოთქმები. ეს უეჭველია.

მაგრამ აქედან როდი გამომდინარეობს, რომ სპეციფიკურ სიტყვებსა და გამოთქმებს, ისევე როგორც სემანტიკის სხვადასხვაობას, შეიძლება სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდეთ ერთიანი საერთო-სახალხო ენის განვითარებისათვის, რომ მათ ძალუძთ შეასუსტონ მისი მნიშვნელობა ან შეცვალონ მასი ხასიათი.

ჯერ-ერთი, ასეთი სპეციფიკური სიტყვები და გამოთქმები, ისევე როგორც სემანტიკის სხვადასხვაობის შემთხვევები, ენაში იმდენად მცირეა, რომ ისინი საეჭვოა მთელი ენობრივი მასალის ერთ პროცენტს შეადგენდნენ. მამასადამე, სიტყვებისა და გამოთქმების მთელი დანარჩენი უდიდესი მასა, ისევე როგორც მათი სემანტიკა, საერთოა საზოგადოების ყველა კლასისათვის.

მეორე, სპეციფიკურ სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლებსაც კლასობრივი ელფერი აქვთ, მეტყველებაში იყენებენ არა რაღაც „კლასობრივი“ გრამატიკის წესების მიხედვით, რომელიც ბუნებაში არ არსებობს, არამედ არსებული საერთო-სახალხო ენის გრამატიკის წესების მიხედვით.

მაშასადამე, სპეციფიკური სიტყვებისა და გამოთქმების არსებობა და ენის სემანტიკის სხვადასხვაობის ფაქტები კი არ უარყოფენ, არამედ, პირიქით, ადასტურებენ ერთიანი საერთო-სახალხო ენის არსებობასა და აუცილებლობას.

4. კითხვა. თქვენს სტატიაში თქვენ სავსებით სწორად ახასიათებთ მარს, როგორც მარქსიზმის ვულგარიზატორს. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ლინგვისტიკაში, მათ შორის ჩვენც, ახალგაზრდობამ, უნდა უკუუვადლოთ მთელი ლინგვისტიკური მემკვიდრეობა მარსისა, რომელსაც მაინც აქვს მთელი რიგი მნიშვნელოვანი გამრეკლევები ენის დარგში (დისკუსიაში მათ შესახებ სწერდნენ ამხ. ჩიქობავა, ამხ. სანუევეი და სხვები)? შეგვიძლია თუ არა ჩვენ, კრიტიკულად ვუდგებოთ რა მარსს, მაინც ავიღოთ ის, რაც მას სასარგებლო და მნიშვნელოვანი აქვს?

პასუხი. რა თქმა უნდა, ნ. ი. მარსის ნაშრომები მარტო შეცდომებისაგან როდი შედგება. ნ. ი. მარსი ყოვლად უხემ შეცდომებს უშვებდა, როცა ენათმეცნიერებაში დამახინჯებულად შეჰქონდა მარქსიზმის ელემენტები, როცა ცდილობდა შეექმნა ენის დამოუკიდებელი თეორია. მაგრამ ნ. ი. მარსს აქვს ცალკეული, კარგი, ნიჭიერად დაწერილი ნაწარმოებნი, სადაც იგი, ივიწყებს რა თავის თეორიულ პრეტენზიებს, კეთილსინდისიერად და, უნდა ითქვას, უნარიანად იკვლევს ცალკეულ ენებს. ასეთ ნაწარმოებებში შეიძლება საკმაოდ ბევრი რამ მნიშვნელოვანი და საგულისხმო ვიპოვოთ. ვასაგებია, რომ ეს მნიშვნელოვანი და საგულისხმო, რაც ნ. ი. მარსს აქვს, უნდა ავიღოთ და გამოვიყენოთ.

5. კითხვა. საბჭოთა ენათმეცნიერების ერთ წერტილზე გაყინვის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ბევრ ლინგვისტს ფორმალიზმი მიაჩნია. ძალიან გვიანდა ვიცოდეთ თქვენი აზრი იმის შესახებ, თუ რა არის ფორმალიზმი ენათმეცნიერებაში და როგორ დაეძლიოთ იგი?

პასუხი. ნ. ი. მარსი და მისი „მოწაფეები“ „ფორმალიზმი“ ბრალს სდებენ ყველა ენათმეცნიერს, ვინც ნ. ი. მარსის „ახალ მოძღვრებას“ არ იზიარებს. ეს, რა თქმა უნდა, არ არის სერიოზული და ჭკვიანური.

ნ. ი. მარსი გრამატიკას თვლიდა ფუჭ „ფორმალზმად“, ხოლო იმ ადამიანებს, რომლებსაც გრამატიკული წყობა ენის საფუძვლად მიაჩნიათ — ფორმალისტებად. ეს კი მთლად სისულელეა.

მე ვფიქრობ, რომ „ფორმალიზმი“ გამოიგონეს „ახალი მოძღვრების“ ავტორებმა ენათმეცნიერებაში თავიანთ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლის გასაადვილებლად.

საბჭოთა ენათმეცნიერების ერთ წერტილზე გაყინვის მიზეზია არა ნ. ი. მარსისა და მისი „მოწაფეების“ მიერ გამოგონილი „ფორმალიზმი“, არა-

შედ არაკჩევევის რეჟიმი და თეორიული ნაკლოვანებანი ენათმეცნიერებაში. არაკჩევევის რეჟიმი შექმნეს ნ. ი. მარის „მოწაფეებმა“. ენათმეცნიერებაში თეორიული არეცდარევა შეიტანეს ნ. ი. მარმა და მისმა უახლოესმა თანამებრძოლებმა. საბჭოთა ენათმეცნიერება ერთ წერტილზე რომ არ გაიყინოს, ამისათვის საჭიროა ლიკვიდირებულ იქნას როგორც ერთი, ისე მეორე. ამ ბოროტებათა ლიკვიდაცია გააჩანსაღებს საბჭოთა ენათმეცნიერებას, გამოიყვანს მას ფართო გზაზე და საბჭოთა ენათმეცნიერებას შესაძლებლობას მისცემს პარკელი ადგილი დაიკავოს მსოფლიო ენათმეცნიერებაში.

1950 წლის 29 იანვარი.

შპრნალი „პოლპეტიკი“, № 12.

ი. სტალინი

პასუხი ამხანაგებს

ამხანაგ სანუემებს

პატივცემულო ამხანაგო სანუემე!

გიბასუხებთ თქვენს წერილზე დიდი დაგვიანებით, რადგან მხოლოდ გუშინ გადმომცეს თქვენი წერილი ცენტრალური კომიტეტის აპარატიდან.

თქვენ უმჯველად სწორად გესმით ჩემი პოზიცია დიალექტების საკითხში.

„კლასობრივი“ დიალექტები, რომლებსაც უფრო სწორი იქნება ეარგონები ვუწოდოთ, ემსახურებიან არა ხალხის მასებს, არამედ ვიწრო სოციალურ ზედაფენას. ამასთან მათ არა აქვთ თავიანთი საკუთარი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. ამის გამო ისინი ვერასგზით ვერ განვითარდებიან დამოუკიდებელ ენებად.

ადგილობრივი („ტერიტორიული“) დიალექტები, პირიქით, ემსახურებიან ხალხის მასებს და აქვთ თავიანთი გრამატიკული წყობა და ძირითადი ლექსიკური ფონდი. ამის გამო ზოგიერთი ადგილობრივი დიალექტი ერების შექმნის პროცესში შეიძლება საფუძვლად დაედოს ეროვნულ ენას და განვითარდეს დამოუკიდებელ ეროვნულ ენად. ასე მოხდა, მაგალითად, რუსულ ენას კურსკ-ორიოლის დიალექტის (კურსკ-ორიოლის „მეტყველების“) მიმართ, რომელიც საფუძვლად დაედო რუსულ ეროვნულ ენას. იგივე უნდა ითქვას უკრაინული ენის პოლტავა-კიევის დიალექტზე, რომელიც საფუძვლად დაედო უკრაინულ ეროვნულ ენას. რაც შეეხება ასეთი ენების დანარჩენ დიალექტებს, ისინი კარგავენ თავისთავადობას, უერთდებიან ამ ენებს და ქრებიან მათში.

ხდება პირიქითი პროცესებიც, როცა იმ ეროვნების ერთიანი ენა, რომელიც ჯერ კიდევ ერი არ გამხდარა განვითარების აუცილებელი ეკონომიური პირობების უქონლობის გამო, კრახს განიცდის ამ ეროვნების სახელმწიფოებრივი დაშლის შედეგად, ხოლო ადგილობრივი დიალექტები, რომლებიც ჯერ კიდევ არ შედუღებულან ერთ ენად, — ცოცხლებიან და დასაბამს აძლევენ ცალკე დამოუკიდებელი ენების შექმნას. შესაძლებელია, რომ სწორედ ასეთი იყო საქმის ვითარება, მაგალითად, ერთიანი მონღოლური ენის მიმართ.

1950 წლის 11 ივლისი.

ი. სვალინი

ამხანაგებებს ლ. ბელკინსა და ს. ფურჩიკს

თქვენი წერილები მივიღე.

თქვენი შეცდომა ის არის, რომ ერთმანეთში აურიეთ ორი სხვადასხვა რამ და ამხ. კრამენინიკოვსადმი ჩემს პასუხში განხილული საგანი შეცვალეთ სხვა საგნით.

1. მე ამ პასუხში ვაყრიტიკებ ნ. ი. მარს, რომელიც, ლაპარაკობს რა ენასა (ბგერითს) და აზროვნებაზე, ენას სწვევტს აზროვნებას და ამრიგად იდეალიზმში ვარდება. მასხადაამე, ჩემს პასუხშიც ლაპარაკია ნორმალურ ადამიანებზე, რომლებსაც ენა აქვთ. ამასთან მე ვამტკიცებ, რომ ასეთ ადამიანებს აზრები შეიძლება დაებადოთ მხოლოდ ენობრივი მასალის ბაზაზე, რომ ენობრივ მასალასთან დაუკავშირებელი შიშველი აზრები ენის მქონე ადამიანებს არა აქვთ.

ნაცვლად იმისა, რომ მიიღოთ ან უარყოთ ეს დებულება, თქვენ ლაპარაკობთ ანომალურ, უენო ადამიანებზე, ყრუ-მუნჯებზე, რომლებსაც ენა არა აქვთ და რომელთა აზრები რასაკვირველია, არ შეიძლება წარმოიშვას ენობრივი მასალის ბაზაზე. როგორც ზედავთ, ეს სულ სხვა თემაა, რომელსაც მე არ შევხებებივარ და ვერც შევხებბოდი, რადგან ენათმეცნიერებას საქმე აქვს ნორმალურ ადამიანებთან, რომლებსაც ენა აქვთ, და არა ანომალურ, ყრუმუნჯ ადამიანებთან, რომლებსაც ენა არა აქვთ.

თქვენ განსახილველი თემა შეცვალეთ სხვა თემით, რომელზეც მსჯელობა არ ყოფილა.

2. ამხ. ბელკინის წერილიდან ჩანს, რომ იგი ათანაბრებს „სიტყვების ენას“ (ბგერითი ენა) და „ჟესტების ენას“ (ნ. ი. მარის მიხედვით „ხელის“ ენას). იგი ალბათ ფიქრობს, რომ ჟესტების ენა და სიტყვების ენა თანაბარმნიშვნელოვანია, რომ ერთ დროს ადამიანთა საზოგადოებას არ ჰქონდა სიტყვების ენა, რომ მაშინ „ხელის“ ენა ცვლიდა სიტყვების ენას, რომელიც შემდეგ წარმოიშვა.

მაგრამ თუ ამხ. ბელკინი ნამდვილად ასე ფიქრობს, იგი სერიოზულ შეცდომას სჩადის. ბგერითი ენა ანუ სიტყვების ენა ყოველთვის იყო ადამიანთა საზოგადოების ერთადერთი ენა, რომელსაც შეეძლო ადამიანთა ურთიერთობის სრულფასოვანი საშუალება ყოფილიყო. ისტორიას არ ახსოვს ადამიანთა არც ერთი საზოგადოება, თუნდაც ყველაზე ჩამორჩენილი, რომელსაც არ ჰქონოდა თავისი ბგერითი ენა. ეთნოგრაფია არ იცნობს არც ერთ ჩამორჩენილ მცირე ხალხს, თუნდაც ისეთს ან უფრო მეტად პარველყოფილს, ვიდრე, ვთქვათ, გასული საუკუნის ავსტრალიელები ან ცეცხლის მიწის მცხოვრებნი იყვნენ, რომელსაც არ ჰქონოდა თავისი ბგერითი ენა. ბგერითი ენა კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ის ძალაა, რომელიც დაეხმარა ადამიანებს გამოჰყოფოდნენ ცხოველთა სამყაროს, გაერთიანებულყოფნენ საზოგადოებებად, განევითარებინათ თავიანთი აზროვნება, მოეწყოთ საზოგადოებრივი,

წარმოება, წარმატებით ებრძოლათ ბუნების ძალებთან და მიედღიათ იმ პროგრესისათვის, რომელიც ჩვენ ამჟამად გვაქვს.

ამ მხრივ ევრეთწოდებული ეესტების ენის მნიშვნელობა მისი უკიდურესი სიღარიბისა და შეზღუდულობის გამო — სრულიად უმნიშვნელოა. ეს, არსებითად, ენა კი არ არის, ან თუნდაც ენის სურთვატი, რომელსაც შეეძლოს ასე თუ ისე შეცვალოს ბგერითი ენა, არამედ უაღრესად შეზღუდულ საშუალებათა მქონე დამხმარე საშუალებაა, რომლითაც ადამიანი ზოგჯერ საზღვებლობს მისი მეტყველების ამა თუ იმ მომენტის ხაზგასმისათვის. ეესტების ენა ისევე არ შეიძლება გავუთანაბროთ ბგერითს ენას, როგორც არ შეიძლება პირველყოფილი ხის თოხი გავუთანაბროთ თანამედროვე მეტალურგულ ტრაქტორს, რომელზეც მიბმულია ხუთკორპუსიანი გუთანა ან ტრაქტორის მწყრივად სათესი მანქანა.

3. როგორც ჩანს, თქვენ უწინარეს ყოვლისა გაინტერესებთ ყრუ-მუნჯები, ხოლო შემდეგ — ენათმეცნიერების პრობლემები. როგორც ჩანს, სწორედ ამ გარემოებამ გააძლათ მოგემართათ ჩემთვის მთელი რიგი კითხვებით. რას იზამ, რაკი თქვენ დაეინებით მოითხოვთ, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო დაეკმაყოფილო თქვენი თხოვნა. მაშ ასე, რა შეიძლება ვთქვათ ყრუ-მუნჯებზე? მუშაობს თუ არა მათი აზროვნება, ებადებათ თუ არა მათ აზრები? დიახ, მათი აზროვნება მუშაობს, მათ აზრები ებადებათ. ცხადია, რაკი ყრუ-მუნჯები მოკლებული არიან ენას, მათი აზრები არ შეიძლება წარმოიშვას ენობრივი მასალის ბაზაზე. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ყრუ-მუნჯთა აზრები შიშველია, დაკავშირებული არ არის „ბუნების ნორმებთან“ (ნ. ი. მარის გამოთქმა)? არა, არ ნიშნავს. ყრუ-მუნჯთა აზრები წარმოიშვება და მათ არსებობა შეუძლიათ მხოლოდ იმ სახეთა, აღქმათა, წარმოდგენათა ბაზაზე, რომლებიც მათ მხედველობის, შეხების, გემოვნების, ყნოსვის გრძნობათა მეოხებით უყალიბდებოთ ყოფა-ცხოვრებაში გარესამყაროს საგნებისა და მათი ურთიერთობის შესახებ. ამ სახეთა, აღქმათა, წარმოდგენათა გარეშე აზრი ცარიელია, მოკლებულია რაიმე შინაარსს, ე. ი. იგი არ არსებობს.

ი. სვალინი

1950 წლის 22 ივლისი.

ამხანაგ ა. ხოლოკოვს

თქვენი წერილი მივიღე.

პასუხი ცოტა დავაგვიანე მუშაობით მეტად დატვირთულობის გამო.

თქვენი წერილი მდუმარედ ეყრდნობა ორ ვარაუდს: ვარაუდს, რომ შესაძლებელია ამა თუ იმ ავტორის ნაწარმოებთა ციტირება იმ ისტორიული პერიოდისაგან მოწყვეტით, რომელსაც ციტირება ეხება, და, მეორე, ვარაუდს, რომ მარქსიზმის ესა თუ ის დასკვნა და ფორმულა, რომლებიც მიღებულია ისტორიული განვითარების ერთ-ერთი პერიოდის შესწავლის შე-

03. ლიტერატურული ძიებანი, ტ. VI

დგად, სწორია განვითარების ყველა პერიოდისათვის და ამიტომ უცვლელი უნდა დარჩეს.

უნდა ვთქვა, რომ ორივე ეს ვარაუდი დიდად მცდარია. რამდენიმე მაგალითი.

1. გასული საუკუნის ორმოციან წლებში, როცა მონოპოლისტური კაპიტალიზმი ჯერ არ იყო, როცა კაპიტალიზმი მეტად თუ ნაკლებად უმტკივნეულოდ ვითარდებოდა აღმავალი ხაზით, ვრცელდებოდა მის მიერ ჯერ კიდევ დაუქაავებელი ახალ ტერიტორიებზე, ხოლო განვითარების უთანაბრობის კანონს ჯერ კიდევ არ შეეძლო მთელი ძალით ემოქმედნა, — მარქსი და ენგელსი მიუძღნენ დასკვნამდე, რომ სოციალისტურ რევოლუციას არ შეუძლია გაიმარჯვოს ერთ რომელიმე ქვეყანაში, რომ მას შეუძლია გაიმარჯვოს მხოლოდ ყველა ან მეტწილ ცივილიზებულ ქვეყნებში საერთო დარტყმის შედეგად. ეს დასკვნა შემდეგ ყველა მარქსისტისათვის სახელმძღვანელო დებულება გაჩაღა.

მაგრამ XX საუკუნის დამდეგს, განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, როცა ყველასათვის ცხადი გახდა, რომ წინამონოპოლისტური კაპიტალიზმი აშკარად გადაიზარდა მონოპოლისტურ კაპიტალიზმად, როცა აღმავალი კაპიტალიზმი მომავლად კაპიტალიზმად გადაიქცა, როცა ომმა განოამყვანა მსოფლიო იმპერიალისტური ფრონტის განუკურნებელი სისუსტენი, ხოლო განვითარების უთანაბრობის კანონმა წინასწარ განსაზღვრა, რომ სხვადასხვა ქვეყნებში პროლეტარული რევოლუცია სხვადასხვა დროს მწიფდება, — ლენინი მარქსისტული თეორიის საფუძველზე მივიდა დასკვნამდე, რომ განვითარების ახალ პირობებში სოციალისტურ რევოლუციას სავსებით შეუძლია გაიმარჯვოს ერთს, ცალკე აღებულ ქვეყანაში, რომ ყველა ქვეყანაში ან მეტწილ ცივილიზებულ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუციის ერთსა და იმავე დროს გამარჯვება შეუძლებელია ამ ქვეყნებში რევოლუციის მომწიფების უთანაბრობის გამო, რომ მარქსისა და ენგელსის ძველი ფორმულა აღარ შეესაბამება ახალ ისტორიულ პირობებს.

როგორც ვხედავთ, აქ გვაქვს ორი სხვადასხვანაირი დასკვნა სოციალიზმის გამარჯვების საკითხებზე, რომლებიც არა მარტო ეწინააღმდეგება ერთმეორეს, არამედ კიდევაც ერთმეორეს გამორიცხავს.

რომელიმე მედავიტენესა და თალმუდისტს, რომლებსაც ციტატები მოჰყავთ ფორმალურად, საქმის არსში ჩაუწვდომლად, ისტორიული პირობებისაგან მოწყვეტით, — შეუძლიათ თქვან, რომ ერთ-ერთი ეს დასკვნა, როგორც უფროდ მცდარი, უნდა უქუჟავდეთ, ხოლო მეორე დასკვნა, როგორც უფროდ სწორი, უნდა გავავრცელოთ განვითარების ყველა პერიოდზე. მაგრამ მარქსისტებს არ შეუძლიათ არ იცოდნენ, რომ მედავიტენეები და თალმუდისტები ცდებიან, მათ არ შეუძლიათ არ იცოდნენ, რომ ორივე ეს დასკვნა სწორია, მაგრამ არა უთუოდ, არამედ თვითეული თავისი დროისათვის: მარქსისა და ენგელსის დასკვნა — წინამონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდისათ-

ვის, ხოლო ლენინის დასკვნა — მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდისათვის.

2. ენგელსი თავის „ანტი-დიურინგში“ ამბობდა, რომ სოციალისტურ რევოლუციის გამარჯვების შემდეგ სახელმწიფო უნდა მოკვდეს. ამ საფუძველზე, ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, მედავითნეებმა და თალმუდისტებმა, რომლებიც ჩვენს პარტიაში მოიაზვებოდნენ, იწყეს იმის მოთხოვნა, რომ პარტიას მიეღო ზომები ჩვენი სახელმწიფოს უსწრაფესი კვდომისათვის, სახელმწიფო ორგანოების დაშლისათვის, მუდმივ არმიაზე ხელის აღებისათვის.

მაგრამ საბჭოთა მარქსისტები, ჩვენს ხანაში მსოფლიო ვითარების შესწავლის საფუძველზე, მივიდნენ დასკვნამდე, რომ, როცა არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, როცა სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა მხოლოდ ერთ ქვეყანაში, ყველა სხვა ქვეყანაში კი ბატონობს კაპიტალიზმი, გამარჯვებული რევოლუციის ქვეყანაში კი არ უნდა შეასუსტოს, არამედ ყოველმხრივ უნდა გააძლიეროს თავისი სახელმწიფო, სახელმწიფოს ორგანოები, დაზვერვის ორგანოები, არმია, თუ ამ ქვეყანას არ სურს, რომ იგი გაანადგუროს კაპიტალისტურმა გარემოცვამ. რუსეთის მარქსისტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ენგელსის ფორმულას მხედველობაში აქვს სოციალიზმის გამარჯვება ყველა ქვეყანაში ან მეტწილ ქვეყნებში, რომ ეს ფორმულა არ შეუფარდება იმ შემთხვევას, როცა სოციალიზმი იმარჯვებს ერთს, ცალკე აღუძურ ქვეყანაში, ხოლო ყველა სხვა ქვეყანაში კაპიტალიზმი ბატონობს.

როგორც ვხედავთ, აქ გვაქვს ორი სხვადასხვანაირი ფორმულა სოციალისტური სახელმწიფოს ბედის საკითხზე, რომლებიც ერთიმეორეს გამოიცხადებს.

მედავითნეებსა და თალმუდისტებს შეუძლიათ თქვან, რომ ეს გარემოება ქმნას აუტანელ მდგომარეობას, რომ საჭიროა ერთ-ერთი ფორმულა უკუვაგდეთ, როგორც უთუოდ მცდარი, ხოლო მეორე, როგორც უთუოდ სწორი, — გაეავრცელოთ სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ყველა პერიოდზე. მაგრამ მარქსისტებს არ შეუძლიათ არ იცოდნენ, რომ მედავითნეები და თალმუდისტები ცდებიან, რადგან ორივე ეს ფორმულა სწორია, მაგრამ არა აბსოლუტურად, არამედ თვითელი თავისი დროისათვის: საბჭოთა მარქსისტების ფორმულა — ერთს ან რამდენიმე ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების პერიოდისათვის, ხოლო ენგელსის ფორმულა — იმ პერიოდისათვის, როცა ცალკეულ ქვეყნებში სოციალიზმის თანმიმდევრობითი გამარჯვება გამოიწვევს სოციალიზმის გამარჯვებას მეტწილ ქვეყნებში და როცა, ამრიგად, შეიქმნება აუცილებელი პირობები ენგელსის ფორმულის გამოსაყენებლად.

ასეთი მაგალითების რიცხვი შეიძლება გაგვედიდებინა.

იგივე უნდა ითქვას ენის საკითხზე ორი სხვადასხვანაირი ფორმულის შესახებ, რომლებიც აღებულია სტალინის სხვადასხვა ნაწარმოებიდან და რომლებიც ამხ. ხოლოპოვს მოჰყავს თავის წერილში.



ამხ. ხოლოზოვი იმოწმებს სტალინის ნაწარმოებს „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“, სადაც გაცემებულია დასკვნა, რომ, ვთქვათ, ორი ენის შეჯვარედინების შედეგად, ერთ-ერთი ენა ჩვეულებრივ გამარჯვებული გამოდის, ხოლო მეორე კვდება, რომ, მაშასადამე, შეჯვარდინება იძლევა არა რომელიმე ახალ, შესაძენ ენას, არამედ ამკვიდრებს ერთ-ერთ ენას. შემდეგ იგი იმოწმებს მეორე დასკვნას, რომელიც აღებულია სტალინის მოხსენებიდან საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე, სადაც ნათქვამია, რომ მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების პერიოდში, როცა სოციალიზმი განმტკიცდება და ყოფაცხოვრებაში დამკვიდრდება, ეროვნული ენები გარდუვალად უნდა შეერთდნენ ერთ საერთო ენად, რომელიც, რასაკვირველია, არ იქნება არც ველიკორუსული, არც გერმანული, არამედ იქნება რაღაც ახალი ენა. ეს ორი ფორმულა ერთმანეთს რომ შეადარა და დაინახა, რომ ისინი არა-თუ არ ემთხვევიან ერთმანეთს, არამედ გამორიცხავენ ერთიმეორეს, ამხ. ხოლოზოვი სასოწარკვეთილებას ეძლევა. „თქვენი სტატიიდან, წერს იგი წერილში, მე გავიგე, რომ ენათა შეჯვარედინებით არასოდეს არ შეიძლება შეიქმნას რომელიმე ახალი ენა, სტატიამდე კი მტკიცედ ვიყავი დარწმუნებული, საკავშირო კ. პ. (ბ) XVI ყრილობაზე თქვენი გამოსვლის თანახმად, რომ კომუნისტი დროს ენები ერთ საერთო ენად შეერთდებიან“.

ამჟამად, რომ ამხ. ხოლოზოვი, რაკი აღმოაჩინა წინააღმდეგობა ამ ორ ფორმულას შორის და რაკი ღრმად სწამს, რომ წინააღმდეგობა ლიკვიდირებულ უნდა იქნას, საჭიროდ თვლის თავიდან მოიშოროს ერთ-ერთი ფორმულა, როგორც მცდარი, და ხელი ჩასჭიდოს მეორე ფორმულას, როგორც ყველა დროისა და ქვეყნისათვის სწორს, მაგრამ სახელდობრ რომელ ფორმულას ჩასჭიდოს ხელი, — ეს მან არ იცის. გამოდის რაღაც გამოუვალი მდგომარეობა. ამხ. ხოლოზოვი ვერც კი მიმხვდარა, რომ ორივე ფორმულა შეიძლება სწორი იყოს, — თვითეული თავისი დროისათვის.

ასე მოსდით ყოველთვის შედავითნეებსა და თალმუდისტებს, რომლებიც, რაკი ვერ სწვდებიან საქმის არსს და ციტატები მოჰყავთ ფორმალურად, იმ ისტორიულ პირობებთან დაუკავშირებლად, რომლებსაც ციტატები ეხება, მუდამ ვარდებიან გამოუვალ მდგომარეობაში.

ამავე დროს კი, თუ საკითხში არსებითად გავერკვევით, გამოუვალი მდგომარეობისათვის არავითარი საფუძველი არ არის. საქმე ის არის, რომ სტალინის ბროშურა „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“ და სტალინის გამოსვლა პარტიის XVI ყრილობაზე გულისხმობენ ორ სრულიად სხვადასხვა ეპოქას, რის შედეგადაც ფორმულებიც სხვადასხვა გამოდის.

სტალინის ფორმულა მის ბროშურაში, იმ ნაწილში, რომელიც ენების შეჯვარედინებას ეხება, გულისხმობს ეპოქას სოციალიზმის გამარჯვებამდე მსოფლიო მასშტაბით, როცა ექსპლოატატორული კლასები მსოფლიოში გაბატონებულ ძალას წარმოადგენენ, როცა ეროვნული და კოლონიური ჩაგვრა ძალაში რჩება, როცა ეროვნული განკერძოებულობა და

ერთა ურთიერთუნდობლობა განმტკიცებულია სახელმწიფოებრივი განსხვავებით, როცა ჯერ კიდევ არ არის ეროვნული თანასწორუფლებიანობა, როცა ენათა შეჭვარედინება ხდება ერთ-ერთი ენის ბატონობისათვის ბრძოლის გზით, როცა ჯერ კიდევ არ არის პირობები ერთა და ენათა მშვიდობიანი და მეგობრული თანამშრომლობისათვის, როცა დღის წესრიგში დგას არა ენათა თანამშრომლობა და ურთიერთ-გამდიდრება, არამედ ზოგი ენის ასიმილაცია და სხვა ენების გამარჯვება. გასაგებია, რომ ასეთ პირობებში შეიძლება იყოს მხოლოდ გამარჯვებული და დამარცხებული ენები. სწორედ ამ პირობებს გულისხმობს სტალინის ფორმულა, როცა იქ ნათქვამია, რომ, ვთქვათ, ორი ენის შეჭვარედინება შედეგად იძლევა არა ახალი ენის შექმნას, არამედ ერთ-ერთი ენის გამარჯვებას და მეორის დამარცხებას.

რაც შეეხება სტალინის მეორე ფორმულას, რომელიც აღებულია გამოცვლიდან პარტიის XVI ყრილობაზე, იმ ნაწილში, რაც ეხება ენათა შეერთებას ერთ საერთო ენად, აქ იგულისხმება სხვა ეპოქა, სახელდობრ — მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების შემდგომი ეპოქა, როცა მსოფლიო იმპერიალიზმი აღარ იქნება, ექსპლოატატორული კლასები დამხობილი იქნებიან, ეროვნული და კოლონიური ჩაგვრა ლიკვიდირებული იქნება, ეროვნული განკერძოებულობა და ერთა ურთიერთუნდობლობა შეიცვლება ერთა ურთიერთუნდობითა და დაახლოებით, ეროვნული თანასწორუფლებიანობა განხორციელდება, ენათა ჩახშობისა და ასიმილაციის პოლიტიკა ლიკვიდირებული იქნება, ერთა თანამშრომლობა მოგვარდება, ხოლო ეროვნულ ენებს შესაძლებლობა ექნებათ თავისუფლად გაამდიდრონ ერთმანეთი თანამშრომლობის გზით. გასაგებია, რომ ამ პირობებში ლაპარაკიც არ შეიძლება ზოგი ენის ჩახშობასა და დამარცხებაზე და სხვა ენების გამარჯვებაზე. აქ საქმე გვექნება არა ორ ენასთან, რომელთაგან ერთი მარცხდება, მეორე კი ბრძოლაში გამარჯვებული გამოდის, არამედ ასობით ეროვნულ ენასთან, რომელთაგან ერთა ხანგრძლივი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობის შედეგად გამოიყოფა ჯერ ყველაზე მეტად გამდიდრებული ერთიანი ზონალური ენები, შემდეგ კი ზონალური ენები შეერთდებიან ერთ საერთო საერთაშორისო ენად, რომელიც, რასაკვირველია, არც გერმანული ენა იქნება, არც რუსული, არც ინგლისური, არამედ იქნება ახალი ენა, რომელმაც შეითვისა ეროვნული და ზონალური ენების საუკეთესო ელემენტები.

მასასაღამე, ორი სხვადასხვანაირი ფორმულა შეესაბამება საზოგადოების განუყოფლობის ორ სხვადასხვა ეპოქას, და სწორედ იმიტომ, რომ ისინი მათ შეესაბამებიან, ორივე ფორმულა სწორია, — თვითეული თავისი ეპოქისათვის.

იმის მოთხოვნა, რომ ეს ფორმულები ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებოდნენ, რომ ისინი ერთმანეთს არ გამორიცხავდნენ, — ისეთივე უაზრობაა, როგორც უაზრობაც იქნებოდა იმის მოთხოვნა, რომ კაპიტალიზმის ბატონობის

ეპოქა არ ეწინააღმდეგებოდეს სოციალიზმის ბატონობის ეპოქას, რომ სოციალიზმი და კაპიტალიზმი ერთმანეთს არ გამოირიცხავდნენ.

მედავითნიებს და თალმუდისტებს მარქსიზმი, მარქსიზმის ცალკეული დასკვნები და ფორმულები მიაჩნიათ დოგმატების კრებულად, როპლებიც „არასოდეს“ არ იცვლება, მიუხედავად საზოგადოების განვითარების პირობების ცვლილებისა. მათ ჰგონიათ, რომ თუ დაიზღვირებენ ამ დასკვნებსა და ფორმულებს და შეუდგებიან მათს წაღმა-უკუღმა ციტირებას, შეექმნება: გადაწყვიტონ ყოველი საკითხი, იმ ვარაუდით, რომ დაზღვირებული დასკვნები და ფორმულები ყველა დროისა და ქვეყნისათვის, ცხოვრების ყველა შემთხვევისათვის გამოადგებათ. მაგრამ ასე ფიქრი შეუძლიათ მხოლოდ ისეთ ადამიანებს, რომლებიც ხედავენ მარქსიზმის ასოს, მაგრამ ვერ ხედავენ მის არსს, იზღვირებენ მარქსიზმის დასკვნებისა და ფორმულების ტექსტებს, მაგრამ არ ესმით მათი შინაარსი.

მარქსიზმი არის მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონთა შესახებ, მეცნიერება ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების რევოლუციის შესახებ, მეცნიერება ყველა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, მეცნიერება კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ. მარქსიზმი, როგორც მეცნიერება, არ შეიძლება ერთ ადგილზე იდგეს, — იგი ვითარდება და სრულყოფილი ხდება. თავის განვითარებაში მარქსიზმი არ შეიძლება არ მდიდრდებოდეს ახალი გამოცდილებით, ახალი უკონით, — მასთანადავ, ცალკეული მისი ფორმულები და დასკვნები ან შეიძლება არ იცვლებოდეს დროთა განმავლობაში, არ შეიძლება არ შეიცვალოს ახალი ფორმულებითა და დასკვნებით, რომლებიც შეესაბამება ახალ ისტორიულ ამოცანებს. მარქსიზმი არ ცნობს უცვლელ, ყველა ეპოქისა და პერიოდისათვის საუკუნოდ დარჩენილ დასკვნებსა და ფორმულებს. მარქსიზმი ყოველგვარი დოგმატიზმის მტერია.

1950 წლის 28 ივლისი.

ი. სტალინი

ჩვენი ამოცანები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ცხოვრებაში 1949 წელს აღდგოლი ჰქონდა მნიშვნელოვან მოვლენებს. საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ ბოლშევიკური პრინციპულობით იყო მხილებული ჩვენი ინსტიტუტის არადამაკმაყოფილებელი მუშაობა. ამ მითითების საფუძველზე მთლიანად შეიცვალა ინსტიტუტის მუშაობის ხასიათი, დასახული იქნა კონკრეტული ღონისძიებანი შეცდომათა და ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. აღნიშნულმა გარემოებამ ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა მთელი კოლექტივის გააქტიურება, შემოქმედებითი ინიციატივის გაზრდა და ლიტერატურული აზროვნების გამოცოცხლება გამოიწვია.

მკიდრო კავშირის დამყარება ჩვენს სოციალისტურ სინამდვილესთან, საბჭოთა მწერლობისა და მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის ისტორიის მეცნიერული სახელმძღვანელოების შექმნა, სოციალისტური ესთეტიკის აქტუალური საკითხების დამუშავება და ქართველი კლასიკოსების თხზულებათა აკადემიური გამოცემების მომზადება,—აი ის დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანები, რომლებიც ამჟამად ინსტიტუტის წინაშე დგას და რომელთა განხორციელებას იგი უკვე შეუდგა.

ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა მთელ კოლექტივს ყველა პირობა გააჩნია იმისათვის, რომ მის წინაშე დასახული ამოცანები წარმატებით შესასრულოს. ლენინ-სტალინის დიადი პარტია ღრმად არის დაინტერესებული ლიტერატურის მეცნიერების აღმავლობითა და წინსვლით. ამის ერთ-ერთი ნათელი გამოხატულებაა ის ფაქტი, რომ თანდათან იზრდება სტალინური პრემიით დაჯილდოვებულთა რიცხვი ლიტერატურათმცოდნეობის დარგში.

პარტიისა და მთავრობის მზრუნველობა, პირადად დიდი სტალინის მზრუნველობა ბევრს ავალდებს ლიტერატურის მეცნიერების ფორმის მუშაკებს. საბჭოთა ხალხი მათ დიდ მოთხოვნებს უყენებს, მოელის მათგან ჩვენი ეპოქის შესაფერის მეცნიერულ შრომებს, რომლებშიც მთელი სისრულით იქნება გაშუქებული მდიდარი კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობა და მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მწერლობის—საბჭოთა მწერლობის გრანდიოზული მიღწევები.

ამხანაგმა ლავრენტი ბერიაშ თბილისის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1950 წლის 9 მარტს წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა: „მე უკვე ვთქვი საბჭოთა საქართველოს წარმატებებზე კულტურული მშენებლობის დარგში. მით უფრო მეტი საფუძვლით უნდა მოვე-

ლოდეთ მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის მუშაკებისაგან, მთელი ქართველი საბჭოთა ინტელიგენციისაგან ახალ შემოქმედებითს მიღწევებს. მათ უნდა გაამდიდრონ ქართული საბჭოთა კულტურა ფერწერის, მუსიკის, ლიტერატურის ახალი მაღალ-იდეური ნაწარმოებებით, ახალი მეცნიერული ნაშრომებით. * ქართველი ხალხის საამაყო შეილის ამხანაგ ლ. ბერიას ამ მოწოდებას შემოქმედებით აღმავლობით უნდა უპასუხოთ ქართული საბჭოთა კულტურის ყოველმა მუშაკმა.

ლიტერატურათმცოდნეობა იდეოლოგიური მუშაობის ფრიალ პასუხსაგები უბანია. საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის განვითარების გზებს თუ გავაღვივებთ თვალს, დავრწმუნდებით, თუ რა მძაფრი ბრძოლება ჩატარებული კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ლიტერატურის ისტორიის, ლიტერატურის თეორიისა და კრიტიკის სფეროში მტრული შეხედულებების აღმოსაფხვრელად.

კარგად ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულა ჩვენი მეცნიერების იდეური აღმავლობისა და წინსვლის საქმეში საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946—1948 წ. წ. ისტორიულმა დადგენილებებმა ხელოვნებისა და ლიტერატურის საკითხებზე. აპოლიტიკურობა, უიდეობა, დეკადენტური ესთეტიზმი და მონური ქედის მოხრა უცხო, ბურჟუაზიული კულტურის წინაშე—აი, წარსულის ის მავნე გადანაშთები, რომელთა აღმოფხვრისაჲკენ მიმართული იყო საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი.

ბურჟუაზიული იდეოლოგიის გამოვლინებათა წინააღმდეგ ჩატარებულ ბრძოლების დროს მთელი სიცხადით გამოჩვენდა ის დიდი მნიშვნელობა, რაც საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობისათვის აქვს XIX საუკუნის რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატ მწერლებისა და კრიტიკოსების ნააზრევს. თავის მოხსენებაში ჟურნალების „ზევდასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ ამხანაგი ჟდანოვი ამბობდა: „ცნობილია, რომ ლენინიზმმა შეითვისა XIX საუკუნის რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ყველა საუკეთესო ტრადიცია და რომ ჩვენი საბჭოთა კულტურა წარმოიშვა, განვითარდა და აყვავებას მიაღწია წარსულის კულტურული მემკვიდრეობის კრიტიკულად გადაშეშავების ბაზაზე. ლიტერატურის დარგში ჩვენი პარტია ლენინისა და სტალინის პირით არაერთხელ აღნიშნავდა დიდი რუსი რევოლუციონერი-დემოკრატ მწერლებისა და კრიტიკოსების—ბელინსკის, დობროლუბოვის, ჩერნიშევსკის, სალტიკოვ-შჩედრინის, პლეხანოვის—უდიდეს მნიშვნელობას. ბელინსკით დაწყებული, რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატიული ინტელიგენციის ყველა საუკეთესო წარმომადგენელი არ სცნობდნენ ეგრეთწოდებულ „წმინდა ხელოვნებას“, «ხელოვნებას ხელოვნებისათვის» და ქადაგებდნენ ხელოვნებას ხალხისათვის, მის მაღალ იდეურობასა და საზოგადოებრივ მნიშვნელობას».

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ქართული ლიტერატურის მკვლევარების წინაშე დგას სერიოზული ამოცანა, გააშუქონ ის იდეური კავშირი, რომელიც რუსეთის რევოლუციონერ-დემოკრატ მწერლებსა და ჩვენს მესამოციანელებს შორის არსებობს. ჩვენი ვალია ღრმად შევასწავლოთ კრიტი-

კული ნაზრევი XIX საუკუნის დიდი ქართველი მწერლებისა და მოღვაწეებისა — ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ნიკო ნიკოლაძისა და სხვათა.

უხალციხეის წლების განმავლობაში მწერლობასა და ხელოვნებაში მძაფრი ბრძოლები გაიშალა ანტიპატრიოტიზმისა და კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ.

დღეს ყველასათვის ცხადია, რომ კოსმოპოლიტიზმი არის იდეოლოგიური საფარი, რომლითაც გამოდის ინგლის-ამერიკის იმპერიალიზმი, რომ თავისი მილიტარისტული ექსპანსია განახორციელოს და ხალხთა ნაციონალური დამოუკიდებლობა და კულტურული განვითარება ჩაახშოს. საბჭოთა ხალხმა დაუნდობლად ამხილა უთვისტომო კოსმოპოლიტები, რომლებიც ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ზოგ უბანში იყენენ მოკალათებულნი. არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიის შესახებ გამოქვეყნებულ შრომებში ადგილი ჰქონდა ანტიპატრიოტულ შეცდომებს, ჩვენი უძლიერესი კულტურული წარსულის გაყალბების ცდებს, რაც თავის დროზე საესე-ბით მართებულად ამხილა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ორგანომ — გაზ. „კომუნისტმა“. ჩვენი ვალია არ შევანელოთ ბრძოლა საბჭოთა ხალხისათვის უცხო, მტრული შეხედულებების ყოველგვარი გამოვლინების წინააღმდეგ.

ლიტერატურის მეცნიერების იდეური სიწმინდისათვის ბრძოლაში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს გაზეთ „პრადას“ 1950 წლის 30 მარტის ნომერში მოთავსებულ სარედაქციო წერილს — „ლიტერატურული კრიტიკის გაუხამსების წინააღმდეგ.“ ამ წერილში მთელი სიმკაცრით არის დაგმობილი ვულგარული კრიტიკა, უპარტიო და პარტიული მწერლების დაპირისპირების რაპული რეციდივები, ნიჰილისტური დამოკიდებულება კლასიკური მემკვიდრეობისადმი.

ცნობილია, რომ სოციალისტური ესთეტიკა, რომელიც მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებას ეყრდნობა, წარმოადგენს საბჭოთა ლიტერატურის განვითარების თეორიულ პროგრამას. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ მხრით ჩვენ დიდი ჩამორჩენა გვაქვს. ჩვენი მკვლევარები, კრიტიკოსები მოწოდებულნი არიან დაამუშაონ სოციალისტური რეალიზმის აქტუალური საკითხები, ღრმად შეისწავლონ მარქსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის შეხედულებანი ლიტერატურისა და ხელოვნებაზე, რაც მტკიცე საწინდარია მთელი ლიტერატურული ფრინტის იდეური სიწმინდისა და აღმავლობისა.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხანაგი კანდიდ ჩარკვიანი საქართველოს კ. პ. (ბ) მე-XIV ყრილობაზე ამბობდა: „აკადემია დიდ მუშაობას ეწევა ქართული საბჭოთა მეცნიერების ყველა დარგის განვითარებისათვის. მაგრამ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენს აკადემიას ისეთი კადრები ჰყავს და შესაძლებლობა აქვს, რომ მას შეუძლია და კიდევაც უნდა იმუშაოს უკეთესად და უფრო აქტიური როლი შეასრულოს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.“ ამხანაგ კ. ჩარკვიანის ამ სახელმძღვანელო მითითების განხორციელებისათვის განუხრებლად იბრძოლებს ლიტერატურის ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი.

ჩვენ კარგად ვგრძნობთ, რომ შეცდომების გამოსწორება, შემჩნეულ ნაკლოვანებათა დაძლევა შეიძლება მხოლოდ ბოლშევიკური კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლის გზით. ამ მხრით ინსტიტუტის ცხოვრებაში გარკვეულ გარდატეხას უკვე აქვს ადგილი. ინსტიტუტის მუშაობის ცენტრში ამჟამად მოქცეულია ქართული ლიტერატურის მრავალტომიანი ისტორიის შედგენა, საბჭოთა ლიტერატურის მიღწევათა მეცნიერული განზოგადება, რუსთაველოლოგიის პრობლემები და ქართველი კლასიკოსების ნაწერთა აკადემიური გამოცემების მომზადება.

ჩვენ ჟურნალში დიდი ადგილი დაეთმობა ნაშრომებს საბჭოთა ლიტერატურის, სოციალისტური რეალიზმის, ლიტერატურულ მემკვიდრეობისა და ფოლკლორისტიკის აქტუალურ საკითხებზე.

ზეღმძღვანელობს რა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიული დადგენილებებით იდეოლოგიური საკითხების შესახებ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის კოლექტივი და „ლიტერატურული ძიებანის“ რედაქცია ენერგიულად იბრძოლებენ ლიტერატურის მეცნიერებისა და ლიტერატურული კრიტიკის შემდგომი აღმავლობისათვის, ბოლშევიკური იდეურობისა და პრინციპულობისათვის.

ლევან ასათიანი

ი. სტალინი და ქართული რევოლუციური პოეზია 1901—1907 წლებში
პრალეზალურ და ლეზალურ ბოლშევიკურ პრესაში

ქართულ არალეგალურ და ლეგალურ ბოლშევიკურ პრესაში, რომელიც ამხანაგ ი. სტალინის ხელმძღვანელობით გამოდიოდა 1901—1907 წლების მანძილზე, თეორიული და პარტიულ-პოლიტიკური ხასიათის სახელმძღვანელო წერილებთან ერთად, მუშათა კლასის განმათავისუფლებელი მოძრაობის ამსახველ მასალების გვერდით, სისტემატურად იბეჭდებოდა რევოლუციური შინაარსის ორიგინალური და თარგმნილი მხატვრული თხზულებანი. მათ შორის, თავისი რაოდენობითა და აგრეთვე მნიშვნელობითაც, მთავარი და საპატიო ადგილი ეკავათ ლექსებსა და სიმღერებს.

რევოლუციური პოეზია, აღმოცენებული მუშათა კლასის წიაღში და გამოვლინებული ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე, მკიდროდ უკავშირდებოდა პარტიის საერთო საბრძოლო მიზნებსა და ამოცანებს. ეს სიმღერები და ლექსები მეტად ბასრ იარაღს წარმოადგენდნენ იმ სასტიკსა და შეუპოვარ კლასობრივ ბრძოლაში, რომელსაც საქართველოს მშრომელები აწარმოებდნენ თვითმპყრობელური რეჟიმისა და კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ.

დიდი ბელადები ვ. ლენინი და ი. სტალინი მუდამ დიდსა და საპატიო როლს ანიჭებდნენ მხატვრულ ლიტერატურას მუშათა კლასის საერთო განმათავისუფლებელ ბრძოლაში. თავის კლასიკურ ნაშრომში: „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ (1905 წ.) ვ. ლენინმა მკვეთრი და ნათელი ფორმულის სახით წამოაყენა ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი, კატეგორიული მოთხოვნა იმისა, რომ ლიტერატურული საქმე უსათუოდ და აუცილებლად გამხდარიყო სოციალ-დემოკრატიული პარტიული მუშაობის შემადგენელ ნაწილად. მოსყიდული ბურჟუაზიული ლიტერატურის დასაპირისპირებლად ვ. ლენინმა წამოაყენა ქეშმარიტად თავისუფალი, პროლეტარიატთან აშკარად დაკავშირებული, სოციალიზმის იდეებით გამსჭვალული ლიტერატურის პრინციპი. ეს ლიტერატურა, ვ. ლენინის სიტყვით, მოწოდებული იყო ემსახურნა „მილიონობით და ათეული მილიონობით მშრომელებისათვის, რომლებიც შეადგენენ ქვეყნის მშვენიერს, მის ძალასა და მომავალს“.

ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპი საფუძვლად ედვა იმ პოეტურ ნაწარმოებებს, სწორედ იმ ლექსებსა და რევოლუციურ სიმღერებს, რომლებმაც თავისი გამოვლინება პოეზიაში ამხანაგ ი. სტალინის ხელმძღვანელობით გამოცემულ ქართულ გაზეთებში. დიდი სტალინი, როგორც იდეური შთამბრუნებელი ბოლშევიკური პრესისა, ამ პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებულ მხატვრულ ნაწარმოებებს მიზნად უსახავდა მშრომელ მასებში რევოლუციური იდეების დანერგვას და ღრმა პროტესტის ვადვივებას უსამართლო სოციალური და პოლიტიკური წყობის წინააღმდეგ.

პირველი ქართული ბოლშევიკური გამოცემა, რომელმაც თავის ფურცლებზე ფართო ადგილი დაუთმო მუშათა კლასის რევოლუციური იდეურობითა და მძაფრი პოლიტიკური სიმახვილით გამსჭვალულ ლექსებს, იყო არალეგალური გაზეთი „ბრძოლა“.

ამხანაგი ლავრენტი ბერია თავის ცნობილ შრომაში „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“ აღნიშნავს, რომ „არალეგალური რევოლუციური გაზეთის დაარსების იდეა ამხანაგებმა სტალინმა და კეცხოველმა ჯერ კიდევ 1898 წელს წამოაყენეს; მათი მიზანი იყო რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდა და „მესამე დასის“ ქართული უმრავლესობისა და მათი ლეგალურ გაზეთ „კვალის“ წინააღმდეგ ბრძოლა. 1901 წლის სექტემბერში ამხ. კეცხოველმა ბაქოში გამოუშვა თბილისის სოციალ-დემოკრატიის ორგანოს — გაზეთ „ბრძოლის“ პირველი ნომერი.“¹

პირველი თავისუფალი ქართული გაზეთი „ბრძოლა“ გამოდიოდა 1901—1902 წლების მანძილზე. სულ გამოიცა ამ გაზეთის ოთხი ნომერი: № 1—1901 წ. სექტემბრისა, № 2—3 (შეერთებული)—იმავე წლის ნოემბერ-დეკემბრისა და № 4—1902 წლის დეკემბრისა.

ამხანაგი ლ. ბერია ზუსტად და ამომწურავად ახასიათებს არალეგალური ბოლშევიკური ორგანოს ძირითად მიზანდასახულებას: „გაზეთი „ბრძოლა“, — წერს ამხ. ლ. ბერია, — თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის, მისი ლენინურ-ისკრული ჯგუფის პირველი არალეგალური გაზეთი, იცავდა რევოლუციური მარქსიზმის თეორიულ საფუძვლებს და პროლეტარიატის რევოლუციურ-კლასობრივი ბრძოლის ამოცანებს. გაზეთი „ბრძოლა“ ასაბუთებდა და ავითარებდა იმის აფცილებლობას, რომ სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები გადასულიყვნენ მასობრივ პოლიტიკურ აგიტაციაზე, მოეწყოთ მუშათა კლასის რევოლუციური პოლიტიკური ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ; იგი იცავდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში პროლეტარიატის ჰეგემონიის ლენინურ იდეას.“²

გაზეთი „ბრძოლა“ პირველი ნომრის მოწინავე წერილში, რომელიც ამხანაგი ი. სტალინის კალამს ეკუთვნის, თავისი როლისა და დანიშნულების შესახებ წერდა: „ქართული გაზეთი ვალდებულია გააცნოს მკითხველებს ყველა პრინციპული თეორიული და ტაქტიკური საკითხი ამავე დროს იგი ვალდებულია უდგეს სათავეში ადგილობრივ მოძრაობას და ყოველ მოკლენას ააშკარავებდეს ჯეროვნად, არ დატოვოს არც ერთი ფაქტი აუხსენლად და მისცეს პასუხი ყოველ კითხვაზე, რომელიც აწუხებს ადგილობრივ მუშებს“... „გაზეთი, — ვკითხულობთ ქვემოთ იმავე მოწინავეში, — როგორც სოციალ-დემოკრატების ორგანო, უნდა უდგეს სათავეში მუშათა მოძრაობას, უჩვენებდეს მას გზას, აცილებდეს მას თავიდან შეცდომებს. ერთი სიტყვით, გაზეთის უპირველესი მოვალეობაა, რომ იგი იდგეს რაც შეიძლება ახლოს მუშათა

¹ ლ. ბერია. „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, სახელგამი, 1949 წ., გვ. 36.

² იქვე, გვ. 38.

მასასთან, ჰქონდეს საშუალება მუდამ იქონიოს მასზე გავლენა, იყოს მისი შეგნებული და ხელმძღვანელი ცენტრი.“¹

გაზეთი „ბრძოლა“ ბრწყინვალედ ასრულებდა ამხანაგი ი. სტალინის მიერ დასახულ ამოცანებს, თავის იდეურ-პოლიტიკურ აღმზრდელობით გავლენას საქართველოს მუშათა კლასზე და მშრომელთა ფართო მასებზე იგი ანხორციელებდა არა მარტო პრინციპული ხასიათის თეორიული და პუბლიცისტური წერილებით, არამედ პოეტური, მხატვრული სიტყვის საშუალებითაც. გაზეთში მოთავსებულ ლექსებსა და სიმღერებს, როგორც ორიგინალურს, ისე თარგმნილს, ახასიათებდა მაღალი იდეურობა, მძაფრი სოციალური და პოლიტიკური მიზანდასახულობა, თემატიკის აქტუალობა, საზოგადოებრივად მნიშვნელოვან მოვლენებზე სწრაფი გამომხატურება, რევოლუციური პათოსი და მეტრძოლი, მოწოდებითი ტონი.

სანამ არსებითად შეეცებოდეთ გაზეთ „ბრძოლაში“ დაბეჭდილ მხატვრულ მასალას, ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ ერთი მეტად დამახასიათებელი გარემოება. სახელდობრ ის, რომ გაზეთის რედაქცია უდიდეს ყურადღებას აქცევდა ანუ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა თავის ფურცლებზე მოთავსებული წერილებისა და კორესპონდენციების გარეგნულ ფორმას. გაზეთი ცდილობდა, რომ სტილი ამ წერილებისა ყოფილიყო სადა, ვასაგები, ქართული ენის ბუნებასთან ზედმიწევნით შეგუებული, ამავე დროს მოხდენილი და ლამაზი, მხატვრული სახეებითა და შედარებით გამდიდრებული და გამაშვენებული.

საკმარისია წავიკითხოთ „ბრძოლის“ პირველი ნომრის პირველ გვერდზედღვე, მეთაური წერილის წინ მოთავსებული მოკლე მიძღვნა გაზეთის მუშა-მკითხველებისადმი, რომ დაერწმუნდეთ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ეძლეოდა ამ გაზეთში პოეტური ფერადებით შემკულ, ძარღვიან ქართულ სიტყვას. მოგვაქვს სანიშნო ტექსტი ამ მოკლე, მკვეთრი და ამავე დროს ღრმა შინაარსით აღსავსე ნაწარმოებისა, რომელიც „მუშის“ ფსევდონიმით არის ხელმოწერილი.²

„მიიღეთ და შეიტკბეთ!—ამ სიტყვებით იწყება ეს დოკუმენტი,—უძღვნი ჩემს უძვირფასეს ამხანაგებს, ჩემთან ჭირში და ლხინში შეზრდილთ, რკინის გრდემლივით ცეცხლში გამოწრთობილთ, ცხოვრების წადმა-უკუღმა ტრიალში მებრძოლთ, უშიშარ გმირთ, სიმართლისათვის თავდადებულთ, ადამიანის ზნობრივად ამამალლებულთ, დაერდომილთა და ჩაგრულთა გამამხნეებელთ, უსამართლობის ბორკილთა დამლეწთ, ადამიანის შემბორკავ ჯაჭვთა დამამხვრეველთ, მეცნიერების გამანთავისუფლებელთ, შემზარავ საპრობოლიეთა დამგრეველთ, მანდალოსანთა პატიოსნების აღმადგენელთ, ბნელში მანათობელთ და გასალკდევებულ ვაჟაკთო, თავისუფლების, სიყვარულის და ერთობის დროშის მატარებელთ, ერთგულ და სიმართლისათვის ტანჯულ-წამებულ ამხანაგებს!“

ასეთია ეს შესანიშნავი მიმართება,—მგზნებარე რევოლუციური პათოსით ანთებული, ვაჟაკური სულით აღსავსე, სიტყვის მედგარი ძალის შეგნებითა და მხატვრული გემოვნებით აღბეჭდილი.

¹ ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 1, გვ. 7-8.

² ფსევდონიმი ვკუთვნიდა ლადო კეცხოველს,—მას ადასტურებს წარქს-მნეშელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში დაცული მასალები.

თუ რაოდენ საპატიო ამოცანა ეკისრებოდა პოეტურ ნაწარმოებებს რევოლუციური იდეების პროპაგანდის საქმეში, ამას საუკეთესოდ ნათელყოფს სიხშირე მათი ბეჭდვისა ბოლშევიკური გაზეთების ფურცლებზე. ასე, მაგალითად, „ბრძოლის“ ოთხ ნომერში გამოქვეყნდა ექვსი ლექსი, მათ შორის ორი ნათარგმნი; გაზეთ „ახალ დროებაში“, რომელიც 1906 წელს სულ ნომერი გამოვიდა, დაიბეჭდა რვა ლექსი, მათ შორის ერთი ნათარგმნი.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ ბოლშევიკურ გაზეთებში ლექსებთან ერთად იბეჭდებოდა სატირული ფელეტონები, მხატვრულ-პუბლიცისტური ნარკვევები და მხატვრული პროზის სხვა ნიმუშები, ჩვენთვის ცხადი ვახდება ის ყურადღება, რომელიც ექცეოდა პარტიისა და პირადად ამხანაგი სტალინის მხრივ მხატვრულ ლიტერატურას პარტიული პრესის ფურცლებზე.

„ბრძოლის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1901 წლის ისტორიული საპირველმაისო დემონსტრაციის შემდეგ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხანაგი ი. სტალინი და რომელიც უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენდა საქართველოსა და ამიერკავკასიის მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში მის დასაწყის ეტაპებზე. „1901 წელს, — წერს ამხანაგი ლ. ბერიძე, — თბილისის მუშებმა პირველად გამართეს ქუჩაში საპირველმაისო დემონსტრაცია. თბილისის სოციალ-დემოკრატიის ხელმძღვანელმა ჯგუფმა ამხანაგ სტალინის და ვ. კურნატოვისა, სელმძღვანელობით უდიდესი საავტიაო და ორგანიზაციული მუშაობა ჩაატარა ამ დემონსტრაციის მოსამზადებლად“... „1901 წლის 22 აპრილს სალდათის ბაზარში, ყოფ. ალექსანდრეს ბაღის რაიონში, ქალაქის ცენტრში, გაიმართა დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო თბილისის ქარანებისა და ფაბრიკების ორი ათასამდე მუშამ. დემონსტრანტებზე იერიში მიიტანეს პოლიციამ და კავკეზმა. შეტაკების დროს დაჭრილ იქნა 14 მუშა და დაპატიმრებული 50-ზე მეტი დემონსტრანტი. ამხანაგი სტალინი მონაწილეობას იღებდა ამ დემონსტრაციაში და პირადად ხელმძღვანელობდა მას.“¹

მუშათა დემონსტრაციამ „რუსეთის თვითმპყრობელობის კავკასიის ციტადელის“ — თბილისის ქუჩებში უდიდესი რევოლუციური ზემოქმედება მოახდინა მთელ კავკასიაზე. თბილისის დემონსტრაციის შესახებ ლენინური „ისკრა“ 1901 წელს წერდა:

„ის ამბავი, რომელიც კვირას, 22 აპრილს (ძველი სტილით), მოხდა თბილისში, ისტორიულად ღირსშესანიშნავია მთელი კავკასიისათვის: ამ დღიდან კავკასიაში იწყება აშკარა რევოლუციური მოძრაობა“ („ისკრა“ № 6, 1901 წლის ივლისი).

გაზეთმა „ბრძოლამ“ ამ ისტორიულ ფაქტს თავის პირველსავე ნომერში მიუძღვნა საინფორმაციო ცნობა და სავანგელოდ ამ თემაზე დაწერილი ლექსი „ოცდა ორ აპრილს“, ხელმოწერილი „შავბიჭა“-ს ფსევდონიმით.

„თბილისი არასდროს არ მოსწრებია იმგვარ მოძრაობას, — წერდა გაზეთი, — როგორც წრევანდელს. ჯერ არ გათავებულიყო შარშანდელი შესანიშნავი

¹ ლ. ბერიძე. „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, სახელგამო, 1949 წ., გვ. 22—23.

გაფიცვა რკინისგზის მუშებისა, რომ ახალი გაფიცვები ერთი მეორეს მოჰყვა, მუშების მოძრაობამ უმაღლეს წერტილამდე მიიღწია და ოცდაორ აპრილს მოქმედება ქუჩაზე გადმოვიდა.¹

ეს საპირველმასოდ დემონსტრაცია „ბრძოლამ“ უფრო დაწვრილებით აღწერა მომდევნო ნომერში (№ 2—3) და მისცა მას სათანადო პოლიტიკური შეფასება. აი როგორაა აღწერილი ეს დემონსტრაცია სტატიის „მუშათა მოძრაობა კავკასიაში 1899—1901 წ. წ.“ (მოგვაქვს ნაწყვეტები):

„22 აპრილს, თბილისში, შიგ შუა ქალაქში, დღის შუაგულს, ურიცხვი ხალხის თვალწინ აფრიალდა წითელი დროშა, მუშათა საერთაშორისო რევოლუციური დროშა, შემკული მუშების დიდებულ მოძღვართა სურათებით და შესანიშნავი დევიზის ზედწარწერით: „ყველა ქვეყნის მუშებო, შეერთდით!“ და სხვ. დროშის აფრიალებასთან ერთად გაისმა მედვარი ხმები: „გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას!“, „ძირს ტირანია!“ და სხვ.“

შემდეგ გაზეთი, ეხება რა დემონსტრაციის შემადგენლობას, დაწვრილებით გვიამბობს მუშების შეტაკების ამბავს პოლიციასთან. „თვალის დახამხამებაში,—წერს გაზეთი,— [დემონსტრაციას] დაესხა თავს ურიცხვი ცხენოსანი ჯარითურთ თავით ეხებამდე შეიარაღებული პოლიცია, რომელიც ჯერ კიდევ ერთი კვირის წინადვე შესდგომოდა მზადებას ამ შემთხვევის ასაცილებლად... და მთელი ქალაქი საომარ ფეხზე დაუყენებია. დიახ, თავს დაესხნენ მუშებს და ასტყდა კიდევ შემზარავი ხელჩართული ომი. პოლიციის და ჯარის გამხეცება უკიდურეს წერტილს გადასცდა და ბევრი მუშა მხოლოდ ბედმა გადაარჩინა სიკვდილს, თუმცა სასიკვდილოდ კი იყო დაჭრილი და ნაკემ-ნავგვერი. რასაკვირველია, ხეირი არც მტრებს დაჰყრიათ და მუშებმა, თავისი სწორედ გმირული თავდაცვის დროს, რამდენიმე მათგანს საკრძობელი დალი დაამჩნიეს, მძიმედ დასჭრეს რა ერთი პრისტაევი მისი გარდავითურთ. რალა თქმა უნდა, ამ დროს ბევრი მუშები შეიპყრეს და დაატუსაღეს...“

„... 22 აპრილმა,—დასძენს გაზეთი,—ჩვენ მუშებს უკვე საცხებით დაანახვა და საბოლოოდ დაარწმუნა, რომ დღეს-დღეობით ყველაზე უფრო საჭიროა ბრძოლა მთავრობასთან, ბრძოლა პოლიტიკურ თავისუფლების მოსაპოვებლად.“¹ როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ დიდმნიშვნელოვან მოვლენას საქართველოს მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში გაზეთმა „ბრძოლამ“ თავის ფურცლებზე მიუძღვნა სავანგებოდ ამ შემთხვევისათვის დაწვრილი ლექსი. ეს პოეტური ნაწარმოები უსათაუროა და შედგება შვიდი სტროფისაგან. სანიმუშოდ გვინდა მოვიტანოთ პირველი სამი სტროფი ამ ლექსისა, — იგი წარმოდგენს მოგვცემს ნაწარმოების იდეურ შინაარსზე და მის მხატვრულ თავისებურებაზედაც:

ფცდა ორ აპრილს... ოცდა ორ აპრილს...

არ დაივიწყებს ჩამომავლობას..

ყველას აუთგერს სიამით გულსა,

მუშა ხალხისა გმირთა-გმირობა.

¹ „ბრძოლა“ 1901 წ., № 2—3, გვ. 12—13, წერილი „მუშათა მოძრაობა კავკასიაში 1899—1901 წ.“

და გმირთა-გმირებს, წინამორბედებს
 დადგათ ძველი ხელუხლებელი,
 მათ, ვინც შელენა და დაამხვრია
 საერთო ტანჯვის მძიმე უღელი!
 მათ, ვინც შესწირა, ზვარავად დადგა
 თავი მოძმეთა საჭირნახულოთ,
 არ შეუშინდა მტარვალთა მახვილს,
 დროშა აღმართა სასიხარულოთ... და სხვ.

როგორც ვხედავთ, პოეტი თავის ალტაცებულ სტრიქონებს უძღვნის იმ გმირთა-გმირებს საქართველოს მუშათა კლასიდან, იმ „წინამორბედებს“, ვინც 1901 წლის საპირველმისო დემონსტრაციაზე¹ მედგრად შეებრძოლა ხალხის მზავრულებს და თამამად ასწია ჰაერში წითელი დროშა.

ავტორი ლექსის მეორე ნახევარში პოეტურად განმარტავს ამ დროშის მნიშვნელობას, იმ დიად შინაგან აზრს, რომელსაც გამოხატავდა მისი ამაყი ფრიალი. ავტორის სიტყვით, წითელი დროშა გულისხმობს მუშათა კლასის თავისუფლებასა და ერთობას, განურჩევლად ეროვნებისა; იგი ქვეშაირტების და სიმართლისათვის ბრძოლის ნიშანია; მან ნუგეში უნდა სცეს სოციალურად დაბეჩავებულ მასებს; კლასობრივი ბრძოლის ქარცეცხლში იგი „მუშის სისხლითა და ოფლით არის შეზავებული და დამძიმებული“. დასასრულ პოეტი გარკვეულ მისამართსაც აძლევს წითელი დროშის ქვეშ მებრძოლ ამხანაგებს: მისი სიტყვით, მუშათა კლასის ალაში არის არა მარტო „ბურჟუას ძირიანად მომსპობი და აზომჯდები“, ირამედ საზოგადოების იმ ნაწილისაც, იმ ფენებისა, ვისაც ბურჟუაზიის „დუღუკისათვის ფეხი აუყოდებია“; ეს დროშა, ავტორის ღრმარწმენით, კაცობრიობისათვის მიმნიჭებელია ბედნიერი ცხოვრებისა, — „იმ დღის, როდესაც ყველგან, ყოველთვის, ინეტარიყფებს სული ყოველი“.

ასეთია ლექსის შინაარსი და მისი იდეური გამიზნულობა. იგი კარგად გამოხატავს მებრძოლ-რევოლუციონერის უშუალო განცდებსა და ფიქრებს.

ფსევდონიმი „შაეზიკა“, რომლითაც ხელმოწერილი იყო ეს ლექსი, ეკუთვნოდა რევოლუციონერს ლადო იოსების ძე იაშვილს (1872—1910). ლადო იაშვილი ადრე ჩაება რევოლუციურ მუშაობაში, იყო აქტიური მონაწილე 1905 წლის რევოლუციისა საქართველოში, რისთვისაც მეფის ხელისუფლების მხრივ სასტიკ დევნას განიცდიდა. მისი პიროვნების დასახსნიათებლად შეიძლება მოვივიკონოთ ის ფაქტი, რომ ერთხელ, როდესაც იგი დაპატიმრებული მიჰყავდათ, მატარებლიდან გაექა მცველ ჯარისკაცებს. რამდენიმე ხნის შემდეგ მეფის ენდარმებმა ლადო იაშვილი მაინც ჩაიგდეს ხელში. იგი გადასახლეს ირკუტკის გუბერნიაში, სადაც 38 წლის ვაჟკაცი ქლექისგან დაიღუპა.²

¹ მაისობის დღედ დანიშნული იქნა პირველი კვირადღე პირველი მაისის შემდეგ, — ელდე ძველი სტილით 22 აპრილს მოდიოდა.

² ცნობები ამოკრეფილია ლადო იაშვილის საბიოგრაფიო მასალებიდან, რომელიც ინახება მარკს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის საგანგებო ფონდში.

აქვე გვინდა ვისარგებლოთ შემთხვევით და მადლობა გამოუყვანოდთ ინსტიტუტის დირექციას და კერძოდ უფრ. მეცნ. თანამშრომელს ამბ. ზინა გუგუშიძეს საპირო ცნობებზე თავზიანი მითითებისა და კონსულტაციისათვის. — ლ. ა.

ლადო იაშვილი რევოლუციურ-პრაქტიკულ მოღვაწეობასთან ერთად ლიტერატურულ შრომასაც ეტანებოდა: თანამშრომლობდა პერიოდულ გამოცემებში, წერდა ლექსებს, აგროვებდა ზეპირსიტყვიანობის ნიმუშებს. მისი ლექსები „ლასინი“-ს ფსევდონიმით გამოქვეყნებულია ჟურნალ „კვალში“ (1896 წ. №№ 36 და 39) და საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილში“ (1897 წ. № 4). ამავე „ჯეჯილშია“ მოთავსებული მის მიერ ჩაწერილი ხალხური ანდაზები და ლექსები (1898 წ. №№ 1—9).

საცხებით ბუნებრივია, რომ პოეტი-რევოლუციონერი უყურადღებოდ არ დასტოვებდა ისეთ თვალსაჩინო მოვლენას, როგორც იყო 1901 წლის თბილისის მშრომელთა გრანდიოზული საპირველმართო დემონსტრაცია, რომლის მონაწილეც თავითონ იყო.

განელეს ათეულმა წლებში. საქართველოს გამარჯვებულმა მუშათა კლასმა, თავისუფალმა საბჭოთა ხალხმა არ დაივიწყა ის მედგარი გმირები, რომლებიც შეუპოვრად იბრძოდნენ ლენინისა და სტალინის დიადი დროშის ქვეშ და დაეცნენ ამ თავგანწირულ ბრძოლაში.

1941 წლის გაზაფხულზე, როცა ჩვენმა საბჭოთა პრესამ ღირსეულად აღნიშნა 1901 წლის საპირველმართო დემონსტრაციის ორმოცი წლის თარიღი, სხვა მებრძოლთა შორის მოგონებულ იქნა ვაზეთ „ბრძოლაში“ დაბეჭდილი ლექსის ავტორიც. იმ დღეებში ქართული საბჭოთა მწერლობაც, თავისი ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის სახით, მხურვალედ გამოეხმაურა „პირველ მაისის პირველ მომღერალს“. აქ ჩვენ ვგულისხმობთ პოეტ ა. აბაშელის ლექსს, რომელიც ავტორმა უძღვნა ლადო იაშვილის ხსოვნას (იხ. ვაზ. „ზარია ვოსტოკა“, 22 აპრილი, 1941 წ. № 94). ამ ნაწარმოებში საუბახოდ არის გამოხატული ისტორიული მნიშვნელობა „შაბიქას“ მიერ არალეგალურ ბოლშევიკურ ვაზეთში დაბეჭდილი ლექსისა, ამავე დროს მოცემულია საბჭოთა ხალხის დამოკიდებულება „წინამორბედთა ბრძოლის“ ამ ერთ-ერთი პირველი მგალობლისადმი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 1901 წლის საპირველმართო დემონსტრაციის დროს ბევრი მისი მონაწილე მუშა იქნა დაპატიმრებული და მეტეხის ციხეში მოთავსებული. მეფის ჟანდარმერიამ და პოლიციამ გააძლიერა თავისი რეპრესიული ღონისძიებანი რევოლუციური მოძრაობის ჩასახშობად.

დემონსტრაციის შემდეგ თბილისის ორგანიზაციის ცენტრალურმა პარტიულმა ჯგუფმა, ი. სტალინის ხელმძღვანელობით, გამოსცა მთელი რიგი პროკლამაციებისა და მოწოდებების, სადაც იგი ღირსეულ ქება-დიდებას ასხამდა დემონსტრაციაში მონაწილე მუშათა გმირულ თავდადებას. „მეხივით დაეცა მთავრობას 22 აპრილი, — წერდა ვაზეთი „ბრძოლა“, — მან მიმართა ყოველ ავაზაკურ ღონეს, რომ მოესპო თბილისში მუშათა მოძრაობა, მაგრამ შედეგებმა დაგვარწმუნა, რომ თბილისელ მუშებს არ ეშინიათ ციხისა და პოლიცია-ჟანდარმების სვრემისა“ (ვაზ. „ბრძოლა“, № 1, გვ. 6, 1901 წ.).

„ბრძოლის“ იმ ნომერში (№ 2—3), რომელიც გამოვიდა 1901 წლის დამლევს და სადაც პოლიტიკური შეფასება ეძლეოდა საპირველმართო დემონსტრაციის, მოწინავედ დაიბეჭდა ი. სტალინის ისტორიული წერილი — „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები.“ ამ წე-

რილში ამხანაგი ი. სტალინი, სხვათა შორის, აცხადებდა რა მუშათა დემონსტრაციებს პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ უძლიერეს იარაღად, წერდა: „ის მსხვერპლნი, რომლებსაც დღეს ვწირავთ თავისუფლებას ქუჩის დემონსტრაციებში, გვიბრუნდებიან ერთიასად. ბრძოლაში დაცემული ან ჩვენი ბანაკიდან მოტაცებული თვითეული მებრძოლი იწვევს ასობით ახალ მებრძოლთ.“¹

ამხანაგ ი. სტალინის ამ წერილს გაზეთში მოსდევდა ლექსი სათაურით „ამხანაგებს“, ხელმოწერილი „ტუსაღის“ ფსევდონიმიით. ეს ლექსი, როგორც ბოლო მინაწერიდან ჩანს, ავტორს დაწერილი აქვს 1901 წელს, მეტეხის ციხეში. ეს ნაწარმოები საუკეთესოდ გამოხატავს საპირველმასისო დემონსტრაციის დროს დაპატიმრებულ მუშების მებრძოლ განწყობილებას და მათს შეუღრკელობას მეფის საბურობილის სასტიკი რეჟიმის პირობებში:

ძმანო მებრძოლნო, კვლავ ბრძოლა!
 ლომუღს ვით გატეხს ტყვეობა,
 პირიქით, გვიორკვცდება
 ვაჟაკობა და მხნეობა!..

ასე იწყება ეს საგულისხმო ლექსი. ავტორი „სიმაართლის მოციქულებს“ უწოდებს მოწინავე მუშებს და აცხადებს მათი სახელით, რომ იბრძოლებენ, „სანამდის გული ძგერას არ შესწყვეტს სრულადა“. პატიმრობა არ აკრთობთ მებრძოლთ. პირიქით, ისინი სთვლიან, რომ ტყვეობა მათთვის დროებითი დასვენებაა, რომლის შემდეგ ისინი უფრო მედგრად შეებზიან თვითმპყრობელობის დამცველთ. ისინი მანამდე იბრძოლებენ, სანამ ყველას არ მისწვდება მათი ყოყინა, სანამ მუშათა მასები მთლიანად არ ჩაებმებიან ბრძოლაში. და როცა ეს მოხდება, —წინასწარმეტყველებს ავტორი, —მაშინ თვითმპყრობელობის ციხე-სიმაგრე დაემხოება ბასტილიის მსგავსად, ხოლო ნიკოლოზ მეორე ლუი კაპეტის ბედს გაიზიარებს:

მაშინ დადგება ის ხანა,
 რაც ჩვენ დღეოშაზე სწვრია;
 შეერთდით, ქვეყნის მუშებო,
 და მით დათრგუნეთ მტერია!
 ბრძოლა და ბრძოლა მედგარი,
 ეს ჩვენი წმინდა ვალია,
 აწმყოს დაეცა თვახარი,
 ახლო ჩანს მომავალია!

ასეთი სტრიქონებით თავდება ლექსი. თქმა არ უნდა, რომ ეს პოეტური ნაწარმოები მხატვრულ ფორმაში გამოსთქვამს საპირველმასისო დემონსტრაციის იმ პოლიტიკურ შეფასებას, რომელიც მოცემული აქვს ამავე ნომერში გაზეთ „ბრძოლას“. იგი გამოხატავს საქართველოს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის აზრსა და შეხედულებებს, ამავე დროს სა-

¹ „ბრძოლა“ №2—3, 1901 წ.; ი. სტალინი, თხულებანი, ტ. 1, გვ. 27.

უკეთესოდ გადმოგვეცემს ამ ორგანიზაციის გარშემო შემქმნელობული მუშათა მოწინავე რაზმის საბრძოლო განწყობილებას.

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში დატული მასალებიდან ირკვევა, რომ ფსევდონიმი „ტუსალი“, რომლითაც ხელმოწერილი ზემოხსენებული ლექსი, ეკუთვნოდა ბოლშევიკური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეს, მოწინავე მუშას, მიხო ბოჭორიძეს. ი. სტალინის ხელმძღვანელობით მიხო ბოჭორიძე, სხვა მოწინავე მუშებთან ერთად, ერთი აქტიურ მონაწილეთაგანი იყო 1901 წლის საპირველმისო დემონსტრაციისა. მან უშუალო მონაწილეობა მიიღო მასში და მოკლე სიტყვის წარმოთქმაც კი მოასწრო, სანამ დემონსტრაციას თავს დაესხმოდნენ პოლიციელები და ჯარის ნაწილები. იგი იმავე წლის 11 სექტემბერს დააპატიმრა პოლიციამ, რის შემდეგაც მან მეტეხის ციხეში გაატარა ექვსი თვე. როგორც ჩანს, სწორედ ამ დროს არის დაწერილი და ციხიდან გამოგზავნილი ზემოხსენებული ლექსი.

აქ ზედმეტი არ იქნება რამდენიმე სიტყვა ვთქვათ მ. ბოჭორიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.

მიხეილ ზაქარაიას-ძე ბოჭორიძე (ბოჭორიშვილი) კახელი გლეხის შვილი იყო. იგი დაიბადა ს. გურჯაანში 1875 წელს. მიხო ჰაბუკობიდანვე ეწეოდა მძიმე ფიზიკურ შრომას. 90-ანი წლებიდან იგი თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოში მუშაობს მჭედლად. ამავე ხანებს ეკუთვნის მისი დაახლოება რევოლუციურ წრეებთან. იგი ამ დროს ხარბად ეწაფება თვითგანვითარებას. მისი ნიჭისა და ფართო გონებრივი ინტერესების მაჩვენებელია განსაკუთრებული მიდრეკილება ლიტერატურისა და კერძოდ პოეზიისადმი. მიხო ბოჭორიძეს ამ დარგშიც უცდია თავი. მისი მუშური კალმის ნაყოფი ცალკე ბროშურის სახითაც არის გამოქვეყნებული. 1895 წელს ზაქარაია ჰქვინაძეს გამოცემული აქვს პატარა წიგნაკი სათაურით: „ლექსთა კრება, თქმულნი მჭედლის მიხეილ ბოჭორიძის მიერ“. 90-ანი წლების დამლევებიდან მ. ბოჭორიძე უკვე სავსებით ებმება რევოლუციურ მუშაობაში. ამ დროს იგი წვევრია თბილისის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ცენტრალური სოციალ-დემოკრატიული ჯგუფისა, რომელსაც მეთაურობს ამხანაგი ი. სტალინი და რომლის შემადგენლობაშიაც შედიან ა. წულუკიძე, ლ. კეცხოველი და სხვები. 1898 წლის დაზღვევს ამხანაგი სტალინი მჭიდროდ დაუკავშირდა მოწინავე მუშებს, წრეების ორგანიზატორებს: მ. ბოჭორიძეს, ზ. ჩოდრიშვილს, ვ. სტურუას, გ. ნინუას და სხვ. და 1898 წლის იანვრიდან დაუწყო ხელმძღვანელობა მუშათა სოციალ-დემოკრატიულ წრეებს.¹ „მაგონდება 1898 წელი, წერს ამხანაგი ი. სტალინი, — როცა პირველად ჩავიბარე რკინიგზის სახელოსნოების მუშათა წრე... მაგონდება, როგორ მივიღე პრაქტიკული მუშაობის პირველი ვაკეითლები ამა. სტურუას ბინაზე... ჩოდრიშვილის... ბოჭორიშვილის, ნინუას და თბილისის სხვა მოწინავე მუშების თანდასწრებით.“²

მიხო ბოჭორიძე დაუცხრომელი ენერგიის რევოლუციონერი იყო. ი. სტალინისა და ლადო კეცხოველის ხელმძღვანელობით, მოწინავე

¹ ლ. ბერძე, ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის, გვ. 19—20.

² ი. სტალინი, თხზულებანი ტ. 8, გვ. 190.

მუშებთან, ზ. ჩოდრიშვილთან, ვ. სტურუასთან და სხვებთან ერთად, იგი დიდ საორგანიზაციო მუშაობას ეწეოდა 1899 და 1900 წლების მუშათა მისიობის მოსაწყობად და ჩასატარებლად. ამ შეკრებებზე იგი გამოდიოდა მგზნებარე სიტყვებით. ასეთივე აქტიური მონაწილეობა მიიღო მან ი. სტალინის მიერ ჩატარებულ თბილისის რკინიგზის სახელოსნოებისა და დეპოს მუშათა 1900 წლის აგვისტოს ცნობილ გაფიცებებში.

1903 წლის დამლევს, ამხანაგი ი. სტალინის მითითებით, მიხო ბოკორიძე აწყოებს ავლაბრის არალეგალურ ბოლშევიკურ სტამბას, სადაც იბეჭდებოდა ლენინისა და სტალინის ისტორიული შრომები და ბოლშევიკური პარტიის სხვა უნიშვნელოვანესი დოკუმენტები.

ავლაბრის სტამბა ჟანდარმებმა აღმოაჩინეს 1906 წლის 15 აპრილს, სამი დღის შემდეგ კი ხელში ჩაიგდეს მიხო ბოკორიძეც, რომელიც ამ დროს, კონსპირაციის მიზნით, ნიკოლოზ ოთაროვის სახელს ატარებდა. ამგვარად, მიხო ისევ მეტეხის პატიმარი შეიქნა. იმავე წლის ივნისში მიხომ მოაწყო ციხიდან გაქცევის საქმე. მან წინ გაუშვა ამხანაგები, ამიტომ თვითონ ვეღარ მოასწრო წასვლა, ციხის მცველებმა იგი შეიპყრეს და ისევ თავის საკანში დააბრუნეს. მაგრამ ამ მარცხმა მიხო ვერ შეაერთო. იმავე წლის ოქტომბერში მან მაინც მოახერხა მეტეხიდან გაქცევა და ამის შემდეგ იგი მოუხელთებელი დარჩა პოლიციელებისათვის. მიხო ბოკორიძე გარდაიცვალა 1912 წელს, როსტოვის საავადმყოფოში.¹

ჩვენ საგანგებოდ შეეჩერდით მიხო ბოკორიძის ბიოგრაფიაზე ასე დიდხანს, რომ გვეჩვენებინა, თუ ვინ იყვნენ უმთავრესად „ბრძოლისა“ და სხვა ბოლშევიკური გაზეთების ფურცლებზე გამოქვეყნებულ პოეტურ ნაწარმოებთა ავტორები. როგორც ვხედავთ, ესენი იყვნენ მეტწილად მოწინავე მუშები, პროფესიონალი რევოლუციონერები. პარტიულ მუშაკთა კადრები.

სხვათა შორის, აქ საჭიროდ მიგვაჩნია აღენიშნოთ, რომ ამხანაგი ი. სტალინი მუდამ დიდსა და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მოწინავე მუშათა მოზიდვის საქმეს პარტიულ ორგანოში სათანამშრომლოდ, მუშა-ლიტერატორთა მუდმივი ბირთვის ჩამოყალიბებას და დარაზმვის გაზეთის რედაქციის გარშემო. ამ მხრივ მეტად საინტერესოა ერთი მოგონება, რომელიც ეხება ამხანაგ ი. სტალინის, როგორც რედაქტორის, მუშაობას გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში“ (1904—1905 წ.წ.). „ჩვენი პარტიული ორგანოს — პროლეტარიატის ბრძოლისათვის“, — ვკითხულობთ ამ მოგონებაში, — ამხანაგმა სტალინმა ფართოდ გაშალა მასალების მოკრების საქმე მოწინავე მუშებისა, რევოლუციურ ჯარისკაცებისა და სოფლად მცხოვრები ამხანაგებისაგან... კორესპონდენტები აღგლებიდან საიმედო მისამართებით მოდიოდა, ხოლო თბილისელ მუშებს თვითონ მოჰქონდათ თავიანთი შენიშვნები... მუშის ყოველ სტატიას, ყოველ

¹ მიხო ბოკორიძის საბიოგრაფიო ცნობები უმთავრესად ამოკრფილი გვაქვს მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის ფონდებში დაცული მასალებიდან.

წერილსა თუ შენიშენას ამხანაგი სტალინი გულისყურით კითხულობდა და რედაქციას უკეთებდა.¹

აქ საჭიროა გავისენოთ აგრეთვე ამხანაგი ი. სტალინის მოწინავე წერილი „ჩვენი მიზნები“, დაბეჭდილი გაზეთ „პრავდის“ პირველ ნომერში, 1912 წელს, სადაც საუკებოდ არის განმარტებული მუშათა უშუალო მონაწილეობის უაღრესად დიდი მნიშვნელობა პარტიული პრესის განვითარებისა და საერთო წარმატების საქმეში. „ვიწყებთ რა მუშაობას,—ვკითხულობთ ზემოხსენებულ მოწინავეში,—ვიცი, რომ ჩვენი ვაჟ ეკლებით არის მოფენილი... მაგრამ ეკლები საშიში არ არის, თუ მუშების თანაგრძნობა, რომელითაც „პრავდა“ ახლა არის გარემოსილი, შემდეგშიც გაგრძელდება. ამ თანაგრძნობაში ჰპოვებს იგი ენერჯიას ბრძოლისათვის! ჩვენი სურვილია, რომ ეს თანაგრძნობა იზრდებოდეს. ჩვენი სურვილია, გარდა ამისა, რომ მუშები თანაგრძნობით კი არ კმაყოფილდებოდნენ, არამედ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი გაზეთის გაძლოლა-გამოცემის საქმეში, დაე ნუ იტყვიან მუშები, რომ მწერლობა მათთვის „უჩვეულო“ სამუშაოა: ლიტერატორი მუშები მზამზარეულად როდესაც ცვივიან ზეციდან, მათი გამოუმუშავება ხდება მხოლოდ თანდათანობით, ლიტერატურული მუშაობის მსვლელობაში. ოღონდ საჭიროა უფრო გაბედულად მოჰკიდო ხელი საქმეს: ორიოდჯერ წაიბორძიკებ, და ამასობაში წერასაც ისწავლი... მაშ ასე, ერთსულოვნად შევედგეთ მუშაობას!“²

¹ იხ. კრებული „ნამაობი დიდი სტალინის შესახებ“ (რუს. ენაზე), წ. 2, გამოც. „ზარია ვოსტოკისი“, 1941 წ. გვ. 28.

² ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 266.

თავისი არსებობის ორი წლის თავზე, 1914 წელს, გაზეთი „პრავდა“ აღნიშნავდა, რომ „მუშათა ბეჭდვითი სიტყვა ჰქმნის მუშა-მწერლებს და პირიქით, მუშა-მწერლები ამავრებენ და ანვითარებენ მუშათა ბეჭდვით სიტყვას“ („მუშა-მწერლები“). იმავე სტატიაში რედაქცია განგებოდ ვებობდა მუშა-ლიტერატორთა თანამშრომლობის საკითხს პარტიის ცენტრალურ ორგანოში: „რუსეთში პირველი ყოველდღიური მუშური გაზეთის ორი წლის არსებობას,—წარდა რედაქცია,—უთვალავი კეთილი შედეგი მოჰყვა ჩვენი მუშათა მოძრაობისათვის. და ამ საქმეში მცირე როლი არ უთამაშნია იმ გარემოებას, რომ მუშათა გაზეთმა შესაძლებელი გახადა მუშა-მწერლების პირველი კადრების მომზადება.“ წერილის დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ:

„მუშათა პირველი რუსული გაზეთის (იგულისხმება „პრავდა“) ორი წლის არსებობის მანძილზე წამოიწიენ არა მარტო ასობით მუშა-კორესპონდენტები, არამედ ათობით მუშებიც, რომლებიც მონაწილეობას იღებენ გაზეთის საერთო განყოფილებაში. წერენ პოლიტიკური ცხოვრების, პროფესიული მოძრაობის და სხვ. საკითხებზე. ისახიბან მუშა-პოეტები, მუშა-ბელეტრისტები. „Путь правды“-ში დაბეჭდილი ლექსებისა და მოთხრობების ავტორთა დიდი უმრავლესობა პროლეტარები არიან, რომლებიც თავიანთი მოცალების ხანმოკლე წუთებს ბელეტრისტიკას სწირავენ.

საფუძველი ჩაყრილია. მაშ გულმოდგინედ გავუფრთხილდეთ და მეგობრულად გავამხვევთ თითოეული მუშური ნიჭი, თითოეული გამობრწყინება მუშური ტალანტისა.

შედეგით, ამხანაგო მუშებო, თქვენივე თავიდან რედაქტორებისა და მუშა-ჟურნალისტების, აგრეთვე მუშა-ლიტერატორების გამოუმუშავებას. საჭიროა განუწყვეტლად იზრუნოთ ამისათვის, საჭიროა მოახმაროთ ამ საქმეს თქვენი დრო და ძალები. გახა-ფართო მუშას! გაუმარჯოს მუშა-მწერალს!“ (გაზეთი „Путь правды“ № 67, 1914 წ. წერილი დაიბეჭდა „პრავდის“ ორი წლის არსებობის სათებლედ: თარიღთან დაკავშირებით. ციტ. მოგვსაქვს კრებულიდან: „Дооктябрьская „Правда“ об искусстве и литературе“, Гослитиздат, 1937. стр. 26—28).

„ბრძოლა“ საქართველოს მუშათა ფართო მასების საყვარელი გაზეთი იყო. მის ფურცლებზე მშრომელები ეზიარებოდნენ ეპოქის მოწინავე მსოფლმხედველობას—რევოლუციური შარქისზმის ცხოველმყოფელ იდეებს, ეცნობოდნენ ცხოვრების უკუღმართობის წარმომშობ მიზეზებს კაპიტალიზმის პირობებში, ითვისებდნენ იმ საბრძოლო მეთოდებს, რომლითაც შეიძლებოდა უსამართლო სოციალური და პოლიტიკური წყობილების დაშობა და თავისუფალი ცხოვრების მოპოვება.

თავის მებრძოლ ორგანოსადმი საქართველოს მუშათა კლასის გულწრფელი სიყვარულის ერთ-ერთ გამოხატულებას წარმოადგენდა ლექსი, მიძღვნილი „ბრძოლისადმი“, რომელიც გამოქვეყნდა ამ გაზეთის 1901 წლის № 2—3-ში. ეს ლექსი ხელმოწერილი იყო ფსევდონიმით—X (იქსი). საგულისხმოა ამ ლექსის შინაარსი და იდეური გააზრება. ეს პოეტური ნაწარმოები შეიცავს ბოლშევიკური გაზეთის მნიშვნელობისა და მისი საბრძოლო ამოცანების უაღრესად სწორს შეფასებასა და დახასიათებას. ავტორი მიმართავს „ბრძოლას“ და ამკობს მის სხვადასხვა სასიყვარულო ეპითეტით. ეს ეპითეტები უკვე თავისთავად შეიცავენ გაზეთის წინაშე დასახულ საბრძოლო ამოცანათა ფორმულებს. ასე, მაგალითად, ავტორი უწოდებს რევოლუციურ ორგანოს „ბრძოლას“ ქემშარიტების ერთადერთ მლაღადებელს, წყვდიადში მყოფი ჩაგრული ხალხის გამამხნეებელსა და ნუგეშს, სამშობლოს ცაზე მოკიადე ვარსკვლავს, თავგანწირულსა და მამაც გმირს, რომელიც დიად აზრებს ქადაგებს ხალხში. პოეტი სთხოვს „ბრძოლას“ მედგრად შეუტოს მუშათა კლასის მტრებს:

მაშ დაჰკა მედგრად და ილაღად
 დამაშვრალთ მწარე გულის ტყვილი,
 ვის არ უსმინეს ოხვრა და კვება,
 არცა მუდარა, არცა ჩივილი!

პოეტის სიტყვით, ეს ქვეყანა მაშვრალთა ხელით არის აგებული და გამშენებული, მათი ოფლით იკვებება და ლაღობს ამ სოფლის „ნებიერი ძე“, ანუ საზოგადოების პრივილეგიური ნაწილი, მათს ზურგზე ბრუნავს ცხოვრების ჩარხი! მიუხედავად ამისა, ჯალათები მაინც სდევნიან და სიცოცხლეს უსაბოგნ მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლებს. ავტორი მოუწოდებს გაზეთს გაფანტოს გარემოცული სიბნელე და აღადგინოს ჩაგრული ხალხის უფლებები, დაამხოს თვითამყრობელობის ტახტი და მოუპოვოს გამარჯვება თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირებს, რომელთა დროშაზე წარწერილია თავისუფლებისა და სიყვარულის დიადი ღოჭუნგი.

ასეთი ეს ლექსი—მიძღვნა, დაწერილია არაპროფესიონალი პოეტის გამოუცდელი ხელით, მაგრამ აღსავსე რევოლუციური იდეურობით, გამსჭვალული მგზნებარე ტემპერამენტით და ბრძოლის პათოსით.

„ბრძოლაში“ გამოქვეყნებული ორიგინალური ლექსებიდან საჭიროა მოხსენებულ იქნეს აგრეთვე გაზეთის 1902 წლის № 4-ში დაბეჭდილი სამაისო ლექსი სათაურით: „ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე!“. ხელმოწერილია იგი ფსევდონიმით: „პუკი“. ლექსი იწყება პათეტიკური სტრიქონებით:

მალღა ავმართოთ წითელი დროშა
და იერიშით მივიდეთ მტერზე,
ძირს შეფის ტახტი! ძირს მტარვალები!
ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე!

ნაწარმოები წარმოადგენს თამამ მოწოდებას თვითმპყრობელობის ტახტის დამხობისაკენ. ავტორი ჩამოთვლის ხალხის დამცირებასა და შევიწროებას, რომელსაც იგი იტანს უსამართლო პოლიტიკური რეჟიმის მხრივ, — ციხეს, დევნას, ბორკილებს, სახრჩობელებს, ციხშირში გადასახლებას, — ყველა იმ სისასტიკეს, რომელსაც მიმართავს ცარიზმი თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირების გასანადგურებლად. ყოველი ტაეპი ამ მოზრდილი ლექსისა მთავრდება სტრიქონით: „ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე!“.

ეს სამაისო ლექსი-სიმღერა, თავისი მოტივებითა და იდეურ-პოლიტიკური გამიზნულობით, ანალოგიურია რუსეთის მუშათა კლასისათვის ცნობილი და პოპულარული ლექსებისა, რომელთაც მუშები მღეროდნენ საპირველმაისო დღე-სასწაულებზე.

საქართველოს მუშათა კლასს ამ დროისათვის საპირველმაისო დემონსტრაციების უკვე საკმაო გამოცდილება ჰქონდა. ამ წლების მანძილზე თბილისელი მუშები, ი. სტალინის ხელმძღვანელობით, უკვე სამჯერ იყვნენ გამოსული საპირველმაისო ზეიმზე.

საინტერესოა, რა სიმღერებს მღეროდნენ ამ შეკრება-დემონსტრაციების დროს მუშები? რა სიტყვებითა და მელოდიებით გამოხატავდნენ ისინი თავიანთ რევოლუციურ განწყობილებას, აღფრთოვანებასა და სიხარულს?

ი. სტალინისა და ლადო კეცხოველის ერთგული თანამებრძოლი, მოწინავე მუშა-ბოლშევიკი ვანო სტურუა წერს თავის მოგონებაში 1900 წლის საპირველმაისო მიტინგის შესახებ: ნაძალადევის მიდამოებში გამართულ სამაისო „დღესასწაულის დასრულების შემდეგ სიმღერით „ნეტაე რას დარდობ, დედილო, ცრემლი რად მოგდის თვალზედა“... დავიშალენით. მაშინ არ ვიცოდით არც „მარსელიოზა“ არც „ინტერნაციონალი“. როცა მუშათა უბანში მუშებმა სიმღერით ჩამოიარეს, ყველა გაკვირვებული იყო, თუ რისთვის იყვნენ ისინი ასე მხიარულნი“. ¹ როგორც ვხედავთ, 1900 წელს ქართველ მუშებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ რევოლუციური გამოსვლებისათვის შესაფერი პოლიტიკური სიმღერები. მათ ნაცვლად ისინი მღეროდნენ ქართველი პოეტების უკვე ცნობილ ლექსებს, რომელთა შინაარსიც ასე თუ ისე უპასუხებდა მშრომელთა რევოლუციურ განწყობილებას. ასე, მაგალითად, მუშებს, სხვათა შორის, გამოუყენებიათ რაფეელ ერისთავის ლექსიც „ნეტა რას სტირი, დედილო“, რომელიც პოეტს თითქოს ალა-მაჰმად-ხანის შემოსევაზე ჰქონდა დაწერილი, სინამდვილეში კი ალეგორიას წარმოადგენდა და რუსეთის თვითმპყრობელობის ძალადობას გულისხმობდა.

¹ ლენა სტურუა, „ვანო სტურუა“, თბილისი, 1948 წ., გვ. 39.

გაზეთი „ბრძოლა“ კარგად გრძნობდა მუშებისათვის რევოლუციური სა-
 სიმღერო ლექსების მიწოდების გადაუდებელ საჭიროებას. მას საუცხოოდ ჰქონ-
 და შეგნებული, რომ „საბრძოლველი სიმღერა... ააშკარავებს არსებულ წესყობი-
 ლებას, ააშკარავებს ჩვენს საზოგადოებრივ წყლულებს“ (ი. სტალინი).¹ სწორედ
 იმ ამ გადაუდებელ საჭიროებას აკმაყოფილებდა „ბრძოლის“ ფურცლებზე
 გამოქვეყნებული სიმღერა—„ძმებო, გავიდეთ ბრძოლისა ველზე“.

მაგრამ მებრძოლი სტალინური ორგანო ამით არ შემოფარგლულა. იგი
 საჭიროდ სთვლიდა ქართულ ნიადაგზე გადმოიწერება და მუშათა ფართო მა-
 სებში პოპულარული ვებადა აგრეთვე საერთო-რუსული პროლეტარული სიმ-
 ლერებიც, რომელთა შორის იმ დროს ფართოდ იყო გავრცელებული და დიდი
 მოწონებით სარგებლობდნენ „ვარშაიანკა“ და „მარსელიოზა“. გაზეთმა, მართ-
 ლაც, გადმოთარგმნა და თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა ორივე ეს სიმღერა.

„ვარშაულა“ დაიბეჭდა „ბრძოლის“ 1901 წლის № 1-ში. ამ სიმღერას
 თავისი საინტერესო ისტორია აქვს და ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შე-
 ვიხთ მას. „ვარშაულა“, ანუ „ვარშაიანკა“, პოლონელ მუშათა რევოლუციური
 სიმღერა იყო. პოლონური ტექსტი ამ სიმღერისა დაწერილია 1883 წელს ვა-
 ცლავ სენციციკის მიერ.² თავის დროზე ეს სიმღერა ძალიან პოპულარული ყო-
 ფილა პოლონეთის მუშათა კლასში. 1897 წელს მოსკოვის ბუტირკის ციხეში
 მოთავსებულმა პოლონელმა რევოლუციონერმა მუშებმა თავიანთი სიმღერები
 გააცნეს იმ დროს პატიმრად მყოფ გლეხ კრეჟიანოვსკის, დიდი ლენინის
 ერთგულ თანამებრძოლს, პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათ-
 ვის ბრძოლის კავშირის“ ერთ-ერთ თვალსაჩინო წევრს.³

გ. კრეჟიანოვსკიმ ციხეშივე გადათარგმნა, ანუ უკეთ რომ ვთქვათ, გა-
 დააკეთა რუსულად რამდენიმე პოლონური სიმღერა და მათ შორის „ვარშაი-
 ანკაც“. ტექსტი ამ სიმღერისა ჩქარა გასცილდა საპყრობილის კედლებს და
 ფართოდ გავრცელდა რევოლუციურ წრეებსა და მუშათა მასებში. სხვათა შო-
 რის, გვინდა აღვნიშნოთ, რომ „ვარშაიანკა“ დიდი ლენინის საყვარელი რე-
 ვოლუციური სიმღერების რიცხვს ეკუთვნოდა. არსებობს ცნობა, რომ ციმბირში
 გადასახლებულ ვლადიმერ ილიას ძეს, გადასახლებულთა გუნდში, მდინარე
 ენისეის ნაპირებზე, არა ერთხელ უმღერია „ვარშაიანკას“ ჰანგები.
 (იხ. ჟურნ. Смена, 1948 წ. № 16, გვ. 4). „ვარშაიანკა“ ხშირად იბეჭდებო-
 და რუსულ არალეგალურ სოციალ-დემოკრატიულ კრებულებში და აგრეთვე
 ცალკე ფურცლების სახითაც.⁴

¹ „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია და მისი უახლოესი ამოცანები“, — „ბრძო-
 ლა“, 1901 წ., № 2—3; თხზულებანი, ტ. 1, გვ. 26.

² იხ. კრებული „პროლეტარული პოეტები“ (რუს. ენაზე), ლენინგრადი, გამომცემლ.
 „საბჭოთა მწერალი“, 1935 წ., ტ. 1, გვ. 329—330.

³ მის შესახებ იხ. აკად. ა. ვინტერო—გ. მ. კრეჟიანოვსკი (დაბადებიდან 75 წლის-
 თავის გამო), — „სსრკ მენ. აკადემიის მოამბე“, 1947 წ. № 1, გვ. 142—151.

⁴ ინტერესს არაა მოკლებული თვით ძველი ბოლშევიკისა და გამოჩენილი საბჭოთა მეც-
 ნიერის, აკადემიკოს გლეხ კრეჟიანოვსკის მოგონების მიხედვით ჩაწერილი ცნობა „ვარშაიან-
 კას“ დაწერის შესახებ: „ბუტირკის ციხეში, —გადმოგვიცემს გ. კრეჟიანოვსკი, —გადასახლებაში
 გაგზავნას ელოდებოდნენ ლენინური „ბრძოლის კავშირის“ წევრები. იქვე ისხდნენ პოლონელი
 რევოლუციონერნი მუშები. ციხეში მათ მოიტანეს უცხოთი რევოლუციური სიმღერები. ეს

თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა „ბრძოლის“ რედაქცია ამ რევოლუციურ სიმღერას, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მისი ტექსტი გამოქვეყნდა ვაზეთის პირველსავე ნომერში, ამხანაგ ი. სტალინის მიერ დაწერილი სტატიის („რედაქციისაგან“) შემდეგ, მესამე გვერდზე.¹

ქართული ტექსტის შემოწმება გვიჩვენებს, რომ იგი ძალიან უახლოვდება რუსულ დედანს. მთარგმნელის დიდი პასუხისმგებლობა და სიყვარული გამოსკვივის ამ ნაწარმოების ყოველ სტრიქონში. მას დაცული აქვს ორიგინალის მეტრული წყობა და სტროფიკა. ლექსი გადმოღებულია ათმარცვლოვანი მეტრით და შედგება სამი რუასტრიქონიანი ტაეპისაგან. თითოეულ მათგანს მოსდევს რეფრენის სახით მისამღერი ორი სტრიქონი. ნიმუშისათვის მოგვაქვს პირველი ტაეპი ამ ვაჟაკური სულით გაჟღენთილი ნაწარმოებისა:

შავი ღრუბელნი თავს გვევლებიან,
შხეცური ძალით გვიხრიან ქედსა,
მაგრამ გავშალეთ ბრძოლისთვის მკლავი
და უფრო მწარეს ველით ჩვენ ხედრსა.
ავმართავთ მალღა წმინდა დროშასა,
წმინდა საქმისთვის მთელის ქვეყნისა
გამოვალთ ერთად ჩვენ დასაცველად.

მაშ, ძმებო, აბა გავსწიოთ წინა,
წმინდა საქმისთვის წინ, წინ და წინა!..

ვინ არის მთარგმნელი ქართული „ვარშაულასი“? ეს საკითხი ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი. მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში დაცული მასალის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ ამ სიმღერის თარგმნაში ახლო მონაწილეობა აქვს მიღებული თვითონ ლადო კეცხოველს, მაგრამ სულ ერთია, როგორც არ უნდა იყოს კეცხოველის დამოკიდებულება თარგმანის განხორციელების საქმესთან, ეს ლექსი მიანიც უშუალოდ დაკავშირებულია რევოლუციის ამ კეთილშობილი რაინდის სახელთან და ეს აძლევს მას შთამომავლობის თვალში დაუფასებელი ისტორიული დოკუმენტის ღირებულებას.²

საბრძოლო ჰანგები მოეწონათ „მოზუცებს“. მაგრამ პოლონურიდან გაკეთებულმა სიტყვა-სიტყვითმა თარგმანმა არ დააკმაყოფილა რუსი რევოლუციონერები.

— გლებასია, უნდა დასწვრო ჩვენი ტექსტი,—მოსთხოვეს მათ თავიანთ „პოეტს“—ახალგაზრდა ინჟინერს კრეკიანოვსკის. და აი, გლებ მაქსიმილიანეს ძემაც შესთხზა „ვარშაიანკას“ და „იმძეინვარეთ ტირანებო“-ს ახალი ტექსტები. ციხის საერთო საკანში პატიმრებმა მოაწვეეს პირველი გუნდური შესწავლა ამ სიმღერებისა“. (ლ. პოდვიოსკი—„ვარშაიანკა“, იხ. ჟურნ. „სმენა“, 1948 წ. № 16, გვ. 4).

¹ „ბრძოლის“ პირველი ნომერი 14 გვერდისაგან შედგებოდა.

² „ვარშაულა“ გაცილებით გვიან, 1906 წელს გადმოთარგმნა ირ. ევდო შვილიშვილი („ძმებო, შევბედი თავს დაგეტრიალებს“). იხ. მისი „თხზულებანი“, შ. რადიანის რედაქციით, 1935 წ. ტ. 1, გვ. 298—299. ეს ლექსი პოეტ იასამანსაც (მიხ. კინწურაშვილს) აქვს თარგმნილი 1905 წელს.

„ვარშულაზე“ უფრო მნიშვნელოვან მოვლენას ჩვენი ხალხის რევოლუციური მოძრაობის ისტორიაში წარმოადგენდა „ბრძოლის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული თარგმანი მარსელიოზას ტექსტისა. ცნობილია, რომ მარსელიოზა წარმოადგენდა ყველაზე საყვარელსა და გავრცელებულ სიმღერას საქართველოში, პირველი რევოლუციის მომზადებისა და მისი ამბოქრების ხანაში, აგრეთვე რეაქციის მშვიდობის პერიოდშიაც. ამ სიმღერით გამოდიოდნენ წითელი რაზმელები ბარეკალებზე, მისი ჰანგი უძლიადა წინ მიუშვება და აჯანყებულ გლეხობას დაუვიწყარ 905-ის დღეებში, ამ სიმღერითვე იმარხებოდნენ ბრძოლაში დაცემული გმირები, მისი ხმები აცილებდნენ კატორღაში მიმავალ თავგანწირულ ვაჟაკებს და სახრჩობელაზე ასულ შეუღარეკლ მებრძოლებს.

დიდი სტალინის გენით შთაგონებულმა არალეგალურმა ბოლშევიკურმა გაზეთმა „ბრძოლამ“ პირველმა გადაისროლა ამ მგზნებარე რევოლუციური სიმღერის ცეცხლოვანი სიტყვები ჩვენი ხალხის გულში. ეს იყო ერთი ისტორიულ დამსახურებათაგანი ამ გაზეთისა, მარსელიოზამ განუხონდა დიდი როლი შეასრულა ჩვენი ხალხის ბრძოლაში პოლიტიკური აღზრდის საქმეში¹.

როგორც ცნობილია, მარსელიოზას პირველი სამშობლო საფრანგეთია. იგი წარმოიშვა საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დღეებში. ტექსტი ამ სიმღერისა 1792 წელს შექმნა პოეტმა რუჟე დე ლილმა.

შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ რევოლუციურ სიმღერას, ვარდა „ინტერნაციონალისა“, არ მოუპოვებია მსოფლიოში ისეთი ფართო პოპულარობა, როგორც წილად ზედა მარსელიოზას. რუსულ ენაზე მისი ტექსტი თარგმნა, უფრო სწორად, გადააკეთა ცნობილმა ნაროდნიკმა პეტრე ლაეროვმა. მის მიერ შექმნილი რუსული მარსელიოზა წარმოადგენდა რევოლუციური სასიმღერო პოეზიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო თვალსაჩინო ნიმუშს. რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მოძრაობამ, თავის წიაღში აღმოცენებულ საბრძოლო სიმღერებთან ერთად, გამოიყენა აგრეთვე საუკეთესო ნიმუშები მანამდე არსებული რევოლუციური პოეზიისა და მათ შორის მარსელიოზას ტექსტიც. 90-ანი და 900-ანი წლების რუსული არალეგალური სოციალ-დემოკრატიული გამოცემები ხშირად აქვეყნებდნენ თავიანთ ფურცლებზე რევოლუციურ სიმღერებს და მათ შორის მარსელიოზასაც.²

ქართული მარსელიოზა დაიბეჭდა „ბრძოლის“ 1902 წლის მე-4 ნომერში. მარსელიოზას ტექსტი შედგება ათი ოთხსტრიქონიანი ტაჰისისაგან, ყოველ ორ ტაჰებს მოსდევს რეფრენი: „აღსდევ, შემოკრები, მუშავ, აღსდევინ“ და სხვ.

ქართული მარსელიოზას ტექსტი გამოქვეყნდა ხელმოუწერლად. არსებობს სანდო გადმოცემა, რომ ლადო კეცხოველს ამ თარგმანშიაც აქვს მიღებული გარკვეული მონაწილეობა, და არა მარტო რედაქტორული, არამედ წმინდა შემოქმედებითი ხასიათისა.

¹ ამასთან დაკავშირებით გვინდა გავიხსენოთ ერთი ადგილი ეგნატენიო შვილი ის კრძო ბარათიდან: „ვინ იცის, იქნება როდისმე თუ არა ისეთი ბედნიერი შემთხვევა, ისეთი ბედნიერი დრო, რომ მე... თავისუფლების ჰანგებით სავსე Marseille-ს გავიგონო...“ (წერილი თ. სახოკიასადმი, 1888 წლის 30 აგვისტოს თარიღით). სამწუხაროდ ეს ნატურა მწერალს არ აუსრულდა. მარსელიოზას ჰანგები მისი სიკვდილის შემდეგ დაირხა საქართველოში.

² იხ. კრებული „პროლეტარული პოეტიკი“, ტ. I, 1895—1910 (რუსულ ენაზე), ლენინგრადი, 1935 წ., გ. გვ. XLVIII.

„ბრძოლის“ მიერ გამოქვეყნებული ტექსტი ქართული მარსელიოზასი სწრაფად გავრცელდა მუშათა მასებში, იგი მოედო მთელ საქართველოს. ეს ტექსტი ერთგვარ კანონიზებულ ტექსტად დარჩა და იგი ველარ განდევნა ისეთი სახელგანთქმული პოეტის ხელახალმა თარგმანამაც კი, როგორც იყო იროდიონ ევლოშვილი.¹

მარსელიოზა, როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე უფრო გავრცელებული რევოლუციური სიმღერა იყო საქართველოს მშრომელთა ფართო მასებში. ამ გარემოებას, ცხადია, აღარ სჭირდება დოკუმენტური წყაროებით დასაბუთება. საილუსტრაციოდ გვინდა მხოლოდ მოვიტანოთ ერთი კოლორიტული ეპიზოდი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა სასოებით სწავლობდნენ ჩვენი რევოლუციურად განწყობილი გლეხები ამ ბრძოლის პათოსით აღსავსე სიმღერას. გურიაში განთქმული იყო თავისი სიმღერებით გიგო ერქომანიშვილის ოჯახი. ერთ საინტერესო წერილში, რომელიც ამ მომღერალთა ოჯახს ეხება, სხვათა შორის, ვკითხულობთ: „1904 წლის მიწურულში, გვიან ღამით დაბრუნდა შინ გიგო. არტემი, ანანი და პატარა ლადიკო (შვილები.—ლ. ა.) საშხარეულოში გაიყვანა: წამოდით, ახალ სიმღერას გასწავლით, ახალთაობის სიმღერასო. თქვენც თქვენს ტოლებს უნდა ასწავლოთ, ფრთხილად კი იყავით, ჯაშუშებმა არ გაიგონ; რევოლუცია მზადდება, ამ სიმღერით გამოვა ხალხი,—თქვა სახეგაბრწყინებულმა გიგომ და შვილებს ახალი სიმღერა ასწავლა. ეს მარსელიოზა იყო:

„ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს,
შემოვიბერტყათ ფეხზე, ვით მტვერი“.

1905 წელს, თავის შვილებთან და მეგობრებთან ერთად, მარსელიოზას სიმღერით გამოვიდა გიგო ერქომანიშვილი“...²

მარსელიოზასთან ერთად პოპულარობით სარგებლობდა აგრეთვე „ვარშაულას“ სიმღერა. აქაც მხოლოდ ერთი მაგალითით დაგვმაყოფილდებით.

1907 წელს სამტრედიის რაიონის სოფელ ჭაგანში დასაფლავდნენ უდროოდ გარდაცვლილი მუშა, პროფესიული რევოლუციონერი გიორგი თელია. ეს დამარხვა პოლიტიკური ხასიათის დემონსტრაციად იქნა გამოყენებული. გაიმართა მიტინგი, რომელსაც ათას ხუთასზე მეტი კაცი დაესწრო. მიტინგში მონაწილეობა მიიღეს თბილისისა და საქართველოს სხვა ქალაქების ქარხნის მუშებისა და პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. წარმოითქვა რევოლუციური შინაარსის სიტყვები, რის შემდეგაც, — ბოლშევიკური გაზეთის „დროს“ (1907 წ. № 15) კორესპონდენტის სიტყვით, — „მიტინგი დაიხუ-

¹ რუჟე დე ლილის მარსელიოზა ი. ევლოშვილმა თარგმნა 1907 წელს. იხ. მისი თხზულებანი, შ. რადიანის რედაქციით, ტ. II, 1936 წ., გვ. 280.

² გრ. ბერძენიშვილი. „მომღერალთა ოჯახი“, გახ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949 წ. № 42.

რა და დაიწყო უკანასკნელი გამოთხოვება ძვირფას ამხანაგთან. მიეღ საათ-ნახევარს ვაგრძელდა სიმღერა ქართულ-რუსულ მარსელიოზასი, „თქვენ მსხვერპლი ვახდით“, „ვარშავიანკასი“ და სხვა რევოლუციური სიმღერებისა¹.

ზემოთ მოტანილი მაგალითები საკმაო წარმოდგენას გვაძლევს იმის შესახებ, თუ რა დიდი რეზონანსი ჰქონდა ხალხში ვაზეთ „ბრძოლის“ რევოლუციურ სიმღერებს, მათ შორის მარსელიოზასა და ვარშაულას.

დიდი სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლის ლადო კეცხოველის არალეგალურმა ორგანომ ამ მხრივ ისტორიული წვლილი შეიტანა ჩვენი ხალხის რევოლუციური სასიმღერო რეპერტუარის გამდიდრებისა და ვაფართოების საქმეში².

1906 წელს, პირველი ქართული ლეგალური ბოლშევიკური ვაზეთის „ახალი ცხოვრების“ დახურვის შემდეგ, ამხანაგ ი. სტალინის ხელმძღვანელობით იმავე წლის 14 ნოემბრიდან ბოლშევიკური რედაქციით გამოსვლას იწყებს პროფკავშირული ვაზეთი „ახალი დროება“. ვაზეთი კვირეული იყო, გამოვიდა სულ ცხრა ნომერი, რის შემდეგ ისიც დაიხურა მთავრობის განკარგულებით.

„ახალ დროებაში“ პირველ ნომრიდანვე იბეჭდებოდა ი. სტალინის სახელმძღვანელო წერილები. „ამ სტატიებში,— აღნიშნავს ამხანაგი ლ. ბერიკა,— ამხანაგი სტალინი ავითარებს მარქსისტულ მოძღვრებას დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძვლების შესახებ. იგი უდიდესი სიღრმით ამუშავებს სოციალისტური რევოლუციის და პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობისა და გარდუვალობის საკითხს, მებრძოლი პროლეტარული პარტიის აუცილებ-

¹ სხვათა შორის, მეტად საგულისხმოა ის გარემოება, რომ ზემოხსენებულ რევოლუციურ სიმღერებთან ერთად, 1905 წლის გამოსვლების დროს სოფლად ასრულებდნენ აგრეთვე აკაკისა და ირ. ევდოშვილის ლექსებზე შედგენილ სიმღერებსაც. ასე, მაგალითად, 1905 წლის მარტში ქართლის სოფ. ახალქალაქში მომხდარი კრების შესახებ, რომელსაც რამდენიმე ათასი გლეხი დაესწრო, მემუარისტო გვიამბობს: „ჯერ არ იყო გათენებული, რომ ხალხმა დენა დაიწყო მდინარე თემის ნაპირზე მდებარე „გარიყულახე“. ხალხი წითელ დროშებით და რევოლუციური სიმღერებით მიარღვევდა არე-მარეს: „წინ, წინ, მდებარე შევებოძოლოთ ბედუტელძობით ამ ჩვენ დროისა“, „ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრისათვის საღრჩობელი“ და სხვა. (იხ. გრ. პარკაძე—რევოლუციის განთავიძ ქართლში, სახელგამი, 1932 წ., გვ. 39). როგორც ვხედავთ, ამ ორი სიმღერიდან პირველი ეკუთვნის ირ. ევდოშვილს („მეგობრებს“), ხოლო მეორე—აკაკის (ნათელას სიმღერა, პოემა „ნათელა“—დან).

² საჭიროა გავიხსენოთ, რომ ამხანაგი ი. სტალინი თავის საკუთარ ნაწერებშიც მეტად მოხერხებულად იყენებდა მარსელიოზას მგზნებარე სტრიქონებს, როგორც მოწოდებებს სოციალური და პოლიტიკური ბრძოლისაკენ. ასე, მაგალითად, 1912 წლის საპირველმანისო პროკლამაციაში ამხანაგ ი. სტალინს სათანადო კომენტარებით მოტანილი აქვს რამდენიმე სტრიქონი მარსელიოზადან. მოგვაქვს ეს ადგილები:

„...ხილთი ვუცქერთი ჩვენ ოქროს კრებებს! არ გვინდა ბურჟუათა და მჩაგვრელთა სა-მეფო! წვევლა-კრულვა და სიკვდილი კაპიტალიზმს, რომლებსაც თან სდევს სილატაკისა და სისხლისღერის საშინელებანი! გაუმარჯოს შრომის სამეფოს, გაუმარჯოს სოციალიზმს!..“

„...მეფის ტახტის ვართ მოსიხსნე მტერი!“ „ჩვენ მხარის მიცეით ჩვენს ტანჯულ მოძმეს, მშვიერ ხალხს ხელი ჩვენ ვაუწყოლოთ!“ სიკვდილი პირისხლიან კარიზმს! სიკვდილი თავდაზნაურთა საკუთრებას!“ და სხვ. (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 234—235, 236).

ლობის საკითხს, აგრეთვე მისი სტრატეგიისა და ტაქტიკის ამოცანებს. ეს ნაშრომები წარმოადგენენ პროლეტარიატის რევოლუციური კლასობრივი ბრძოლის საარსებო ამოცანებთან მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ღრმა საკითხების დაკავშირების ნიმუშს¹.

გაზეთ „ახალი დროების“ ფურცლებზე, პროფკავშირული საკითხების გარკვევასთან ერთად, დიდი ყურადღება ექცეოდა პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის პრობლემებს. გაზეთი რაზმივდა თავის მკითხველებს თვითმპყრობელობისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ².

გარდა პოლიტიკური წერილებისა, ფელეტონებისა და კორესპონდენციებისა, გაზეთში ხშირად იბეჭდებოდა რევოლუციური შინაარსის ლექსებიც. სულ გაზეთის ცხრა ნომერში გამოქვეყნდა რვა ლექსი, მათ შორის ერთი ნათარგმნი. ეს ლექსები, ისევე, როგორც გაზეთის სხვა ყველა მასალა, ხელმოწერილი იყო ფსევდონიმებით. მრავალფეროვანია ამ პოეტურ ნაწარმოებთა თემატიკა. ისინი ეხებიან ჩვენი ხალხის სოციალური და პოლიტიკური ბრძოლის საკითხებს, ხალხის ჩაგვრას თვითმპყრობელობის რეჟიმის პირობებში, რევოლუციონერთა დევნას და სხვა. ლექსები კარგად გვიხატავენ მუშათა კლასისა და მთელი ჩვენი ხალხის სულისკვეთებას პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ, სასტიკი რეაქციის გაბატონების პერიოდში.

ამ ლექსების უფრო ახლო გაცნობა საშუალებას მოგვცემს გაეთვალისწინოთ თავისებური ხასიათი ბოლშევიკურ გაზეთში გამოქვეყნებული პოლიტიკური ლირიკის ნიმუშებისა. ასე, მაგალითად, ლექსში „სურვილი“³ ოცი სტრიქონის მანძილზე ავტორს ვადმოცემული აქვს სოციალური და პოლიტიკური ბრძოლის მთელი პროგრამა. პოეტის სურვილს შეადგენს სახელმწიფოს იმგვარად მოწყობა, რომ ხალხი განთავისუფლდეს მიმიე და აუტანაწილი ხარჯებისაგან; რომ მას აღარ აწუხებდნენ ბიუროკრატი მოხელეები; ბოლო მოეღოს მშრომელთა უსამართლო ჩაგვრას; მოისპოს ხალხთა შორის ომი; მეომრები დაუბრუნდნენ მშრომელთა ოჯახს და მათზე გაწეული ხარჯი მოხმარდეს ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდას; მოისპოს წოდებრივი განსხვავება, დამყარდეს ძმობა-ერთობა, სიტყვის, კრებისა და პრესის თავისუფლება; დასასრულ ავტორი გამოსთქვამს სურვილს „სასულიერო მამათა“ აღვისას პირისაგან მიწისა.

სასულიერო მამების პასუხადაა დაწერილი გაზეთის მომდევნო № 3-ში გამოქვეყნებული ლექსი „სახრჩობელასთან“, რომელსაც ხელს აწერს „ცალ-ხელი“.

„ძირს კერები!“—ამ პათეტიკური მოწოდებით იწყება პირველი სტრიქონი ლექსისა. ავტორი ბრძოლას უცხადებს კლერიკალ-ფანატიკოსებს, რომლებიც მუშათა კლასის მტრების ბანაკს მიჰკედლებიან. იგი მზადაა ფეხქვეშ

¹ ლ. ბერია. „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, 1949 წ. გვ. 114.

² ლეგალური ბოლშევიკური გაზეთების: „ახალი დროების“, „ჩვენი ცხოვრებისა“ და „დროს“ დახასიათება იხ. აგრეთვე ვ. ვენიასის წიგნში: „საქართველოს ბოლშევიკური პრესის ისტორიიდან“, 1949 წ. გვ. 100—149.

³ „ახალი დროება, 1906 წ. № 2, ხელს აწერს კ ი რ კ ა.

განთელის კერპომსახურნი და მათი ცრუ იდეალები, რადგან „ვეულკანის ძეთა“ სამშობლოსა და ნამდვილ ტაძარს სოციალიზმი წარმოადგენს. ლექსი თავდება გამომწვევი მუქარით:

ქედს არ ვიხრი... ფეხებეშ ვთელავ
 მტარვალებს და იმთ მცნებას!

„ახალი დროების“ ფურცლებზე დაბეჭდილ პოეტურ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა იროდიონ ევლოშვილის ლექსი „ნერონი“ (1906 წ. 11 დეკემბრის № 5). ლექსს ახასიათებს მძაფრი პოლიტიკური სიმახვილე და პოეტური მგზნებარება. ამ დროისათვის უკვე სახელგანთქმული პოეტი თავისი ალგორითული ლექსის სტრიქონებს მიმართავს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ:

რომი იწვება, რომი ინთქება,
 გახეულია ის ცეცხლის ალში,
 კენესა, ვება, ტირილ-გოდება,
 ისმის ყოველგან დატანჯულ ხალხში.
 აქ გარბის დედა ძუძუთა შვილით,
 დანგრეულ ოჯახს იქ სტირის მამა,
 ათათასი უმანკო მსხვერპლი
 შთანთქა გენიამ, შთანთქა საფლავმა!

ამ ტაეებით იწვება ეს ლექსი. პოეტი აღწერს ხალხის მასობრივი დარბევისა და აწიოების საზარელ სურათს და მკითხველი კარგად გრძნობს, რომ აქ ლაპარაკია არა ძველი რომის ცხოვრებაზე, არამედ თანამედროვე რეალურ სინამდვილეზე, როდესაც მეფის პლასტუნებისა და ჩაფრების დამსჯელი რაზმები ცეცხლსა და მახვლს აძლევდნენ რევოლუციანი დამარცხებულ ქვეყანას, ანადგურებდნენ ხალხის დოვლათს, ათასობით ზოცავდნენ და აწამებდნენ ხალხის საუკეთესო შვილებს. პოეტი აგვიწერს იმპერატორ ნერონის (იგულისხმება ნიკოლოზ მეორე) და მისი კარისკაცების ხროვის ზეიმს ხალხის უბედურების ფაშს. ლექსი თავდება ხალხის შურისძიების მრისხანე სურათით, როდესაც ტანჯულ-ნაწამებმა მასებმა ნანგრევებად აქციეს იმპერატორის სასახლე და „უბრალო მონამ გული გაუპო მეფეს სისხლის მსმელს, მეფეს მტარვალსა“.

საესებით გასაგებია ჩვენთვის, თუ პოლიტიკურად რა აქტუალური და მახვილი უნდა ყოფილიყო ეს ლექსი შავი რეაქციის მძვინვარე დღეებში. ამხანაგ ი. სტალინის მებრძოლ ორგანოში დაბეჭდილი ეს ლექსი თუ ერთის მხრივ აღწერდა ხალხის საარაკო რბევასა და განადგურებას, მეორე მხრივ მკითხველში აღძრავდა ნათელი რპტიმიზმის გრძნობას, ტირანების დამხობისა და სოციალური სამართლიანობის გამარჯვების მტკიცე და ურყევე რწმენას.

ი. ევლოშვილის ლექსი გაზეთში დაბეჭდილია თვალსაჩინო ადგილას, მნიშვნელოვანი ხასიათის თეორიული წერილის წინ. ეს უკვე მიგვითითებს იმ საპატიო როლზე, რომელსაც განუკუთვნებდა რედაქტორი ამ იდეურად გამიზნულ ლექსს გაზეთის სხვა დანარჩენ მასალათა შორის.

გაზეთ „ახალი დროების“ 1906 წ. № 7-ში მოთავსებულია ლექსი „ამხანაგებო, შეერთდით“. ეს პოეტური ნაწარმოები შეკავშირებისაკენ მოუწოდებს

მუშათა მასებს, აფრთხილებს მათ არ აჰყენენ მზაკვრულად შენიღბულ მტრებს, რომლებიც მუშათა კლასის „პატრონობას“ ჩემულობენ. როგორც ვთქვით, „ახალი დროება“ პროფკავშირული გაზეთი იყო და ეს ლექსიც თავისი თემატიკით უპასუხებდა ბოლშევიკური პროფკავშირული ორგანოს მიზნებსა და ამოცანებს.

„ახალ დროებაში“ გამოქვეყნებულ ნაწარმოებთაგან უნდა აღინიშნოს აგრეთვე ლექსი „ბაზარზე“ (1907 წ. № 9), რომელიც აგვიწერს ქალაქის ქუჩის სურათს და ერთის მხრივ გვიჩვენებს „განცხრომის ძეს“, ხოლო მეორე მხრივ კურტნიან მუშას, ჯაფითა და სიღარიბით დაოსებულს. ქუჩის პერსონაჟთა შორის ავტორი გვიხატავს მძავე ქალსაც, როგორც უკუღმართი სოციალური წყობილების ნაშვირს.

გაზეთის 1907 წლის 1-ლ იანვრის ნომერში, სხვათა შორის, მოთავსებულია თარგმანი ვიქტორ ჰიუგოს ლექსისა „ბარეკადაზე“. ამ ლექსის თემა თავისი ხასიათით საკმაოდ ნაცნობი იყო ქართველი მუშებისათვის, რომელთაც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ჰქონდათ გავლელი საბარეკადო ბრძოლის ქარცეცხლი.

ამაზე ვამთავრებთ „ახალ დროებაში“ გამოქვეყნებული პოეტური მასალის მიმოხილვას.

„ახალ დროებასთან“ ერთად ამხანაგი ი. სტალინი ხელმძღვანელობდა გაზეთ „მნათობის“ გამოცემასაც. ამ გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა 1907 წლის 1-ლ იანვარს. რედაქციამ მოასწრო სულ ხუთი ნომრის გამოცემა, მათ შორის ორი აიკრძალა. იმავე წლის 6 იანვარს გაზეთი დაიხურა თბილისის გუბერნატორის განკარგულებით. მიუხედავად ამისა, გაზეთმა მაინც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პარტიის სამოქმედო პროგრამის გაშუქების თვალსაზრისით.

ამხანაგი ი. სტალინი შემდეგნაირად ახასიათებდა მიმდინარე მომენტს: „დღეს უკვე ცხადია, რომ ხალხის რევოლუცია არ ჩამქრალა, რომ მიუხედავად „დეკემბრის დამარცხებისა“, ის მაინც იზრდება და უმადლესი წერტილისაკენ მიექანება. ჩვენ ვამბობთ, რომ ეს ასეც უნდა იყოს: რევოლუციის მამოძრავებელი ძალები ისევ ცოცხლობენ და მოქმედებენ“... „...შორს აღარაა ის დრო, როცა ხალხის რევოლუციური მღელვარება მრისხანე ნიაღვრად გადმოხეთქავს... ჩვენ აჯანყების წინა დღეებში ვიმყოფებით“¹.

ამხანაგ ი. სტალინის ამ გენიალური პროგნოზის ერთგვარ მხატვრულ ილუსტრაციას წარმოადგენდა გაზეთ „მნათობის“ 1907 წლის საახალწლო ნომერში (1 იანვ., № 1) დაბეჭდილი ლექსი „საჩუქარი“. ნაწარმოები აღნიშნავდა რეაქციის ტერორის საშინელებას და ბოლშევიკების თავგანწირულ ბრძოლას თვითმპყრობელობასთან; ამასთან იგი შეიცავდა რევოლუციურ ბარეკადებისაკენ თამამ მოწოდებას. აი ეს ლექსიც:

¹ ი. სტალინი „დღევანდელი მომენტი და მუშათა პარტიის გამაერთიანებელი ყრილობა“, 1906 წ.; თხზულებანი, ტ. I, გვ. 236—237.

„მეგობრებო, ამ ახალ წელს
 მსურს მოგიძღვნათ საჩუქარი:
 ამხანაგთა საფლავები
 და დედების გლოვის ზარი!
 მეგობრებო, ამ ახალ წელს
 მსურს გასურვით მხოლოდ ერთი,—
 იგივე ბედი, იგივე გზა,
 გოლგოთასთან შემავრთი!
 მეგობრებო, ახალ წელსაც
 არსადა სჩანს განთიადი,
 მამ საჩუქრად მომიძღვნია
 თქვენთვის წმინდა ბარიკადი!

ეს ლექსი, რომლის ავტორიც ირ. ევდოშვილი იყო, აჯანყებისა და საბარკადო ბრძოლისაკენ მიუწოდებდა მუშა-შკითხველთა ფართო მასებს. ცხადია, ასეთი მასალების დაბეჭდვა დაუსჯელად არ ჩაუვლდა გაზეთს და, როგორც ვთქვით, იგი აკრძალული იქნა კიდევ მეხუთე ნომრის შემდეგ.

ირ. ევდოშვილი 1906—07 წლების მანძილზე ახლო თანამშრომლობას ეწეოდა ბოლშევიკურ ორგანიზაციაში. გარდა რევოლუციური ბრძოლის სულისკვეთებით გაყვნილი ლექსებისა, პოეტი იქ ათავსებდა მახვილ პუბლიცისტურ-სატირულ ფელეტონებსაც, რომელთა თემატიკა მიმდინარე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საკითხებს შეეხებოდა¹.

ჩვენ ზემოთ შევხებთ ირ. ევდოშვილის ლექსებს, გამოქვეყნებულს „ახალ დროებასა“ და „მნათობში“. ამ გაზეთების დახურვის შემდეგ ირ. ევდოშვილის ლექსები იბეჭდებოდა გაზეთ „ჩვენს ცხოვრებაში“.

ამ გაზეთის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ამხანაგი ი. სტალინი იყო. გაზეთი გამოდიოდა თბილისში 1907 წლის თებერვლიდან. სულ გამოვიდა 13 ნომერი და იმავე წლის ექვს მარტს დაიხურა „უკიდურესი მიმართულებისათვის“. გაზეთი მებრძოლი ბოლშევიკური ორგანო იყო. მის ფურცლებზე დაიბეჭდა ამხანაგი ი. სტალინის მთელი რიგი შრომებისა თეორიულ და ტაქტიკურ საკითხებზე, მათ შორის „საარჩევნო ბრძოლა პეტერბურგში და მენშევიკები“, გაგრძელება ნაშრომისა „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ და სხვ.

ამხანაგი ი. სტალინი ამ გაზეთის ფურცლებზედაც საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა რევოლუციური პოეზიის ნიმუშებს. ასე, მივლითად, „ჩვენი ცხოვრების“ ფურცლებზე მან გამოაქვეყნა ირ. ევდოშვილის სამი ლექსი, მ. გორკის ცნობილი ლექსი „მზე ამოდის და მზე ჩადის“ და სხვ.

სტალინის რეჟიმის შავბნელ ხანაში გამოდიოდა გაზეთი „ჩვენი ცხოვრება“. ამხანაგი ი. სტალინი რეაქციის ამ საშინელი ეპოქის შესახებ 1922 წელს წერდა: „პარტიის ახალგაზრდა წევრებს, რა თქმა უნდა, არ განუცდიდათ და არ ახსოვთ ამ რეჟიმის სიმშვენიერენი. რაც შეეხება მოხუცებს, მათ, ალ-

¹ ასეთებია: „სახალწლო ვიზიტები“ (რეკლამეტოს ხელმოწერით) — „ახალი დროება“, 1906 წ. № 8; „ყარამანიანი“ (ფელეტონი) — „მნათობი“ 1907 წ. № 2; „ტრაგიკომედია“ (ლექსად) — „ჩვენი ცხოვრება“, 1907 წ. № 4; „პატარა ფელეტონი“ — „ჩვენი ცხოვრება“, 1907 წ. № 5; „პატარა ფელეტონი“ — „დრო“, 1907 წ. № 7, 9, და 15; „ტრაგიკომედია“ — „დრო“, 1907 წ. № 19.

ბათ, ახსოვთ ავად მოსაგონარი დამსჯელი ექსპედიციები, ავაზაკური თავდასხმები მუშათა ორგანიზაციებზე, გლეხების მასობრივად გამათრახება და, როგორც ყოველივე ამის საფარი, — შაგრაზმულ-კადეტური სათათბირო. საზოგადოებრივი აზრის შეზოკილობა, საერთო დაღლილობა და აპათია, გაჭირვება და სასოწარკვეთილება მუშებს შორის, გლეხთა დაბეჩავეულობა და დაშინებულობა პოლიციურ-მემამულურ-კაპიტალისტური ხროვის საერთო თარეშის პირობებში — ასეთია სტალინური „დამშვიდების“ დამახასიათებელი ნიშნები... სავსებით ზეიმობდა მათრახი და სიბნელე. „სისაძაგლე აობრებისა“ — ასე ხასიათდებოდა მაშინ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრება“¹.

როგორი მდგომარეობა იყო იმ დროს ამიერკავკასიისა და კერძოდ საქართველოში? ამის შესახებ საუკეთესო პასუხს გვაძლევს ამხანაგი ლ. ბერიძე, თავის წიგნში. „რუსეთის ცარობში, — წერს ამხანაგი ლ. ბერიძე, — სასტიკად იძებდა შურს ამიერკავკასიაზე, როგორც რევოლუციის ერთ-ერთ უძლიერეს კერაზე. მეფის სატრაპი მეფისნაცვალის ვორონცოვ-დაშკოვი გააფთრებით ატარებდა კავკასიაში სტალინური სასტიკი ტერორისა და მუშათა და გლეხთა რევოლუციური ორგანიზაციების განადგურების პოლიტიკას. გადასახლება, კატორღა, სიკვდილით დასჯა თავს ატყდებოდა პირველ რიგში რევოლუციურ პროლეტარიატს და მის მოწინავე რაზმს — ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციას.

ამიერკავკასიის ხალხთა საუკეთესო რევოლუციური წარმომადგენლების ძვლებით მოჰფინა მეფის მთავრობამ შორი გზა კავკასიიდან ციმბირისაკენ. 1907 წელს თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებიდან ადმინისტრაციული წესით გადასახლებულთა რიცხვი, არასრული ცნობებით, 3074-ს აღწევდა“².

ასეთ პოლიტიკურსა და საზოგადოებრივ ვითარებაში გამოდიოდა ბოლშევიკური გაზეთი „ახალი ცხოვრება“. ამ ვითარებამ თავისი გამოხატულება პპოვა არა მარტო გაზეთის თეორიული და პუბლიცისტური ხასიათის წერილებსა და ფელეტონებში, არამედ იმ პოეტურ ნაწარმოებებშიაც, რომელიც მის ფურცლებზე ქვეყნდებოდა. აქ პირველ რიგში გვინდა აღვნიშნოთ ირ. ვედო-შვილის ორი ლექსი, სადაც ღრმა ლირიზმი პოეტისა ორგანულად არის დაკავშირებული თანადროულობის მნიშვნელოვან სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემებთან. „ჩვენნი ცხოვრების“ 1907 წლის №2-ში დაბეჭდილია ირ. ვედო-შვილის ლექსი „გულის ტოლო“, ხოლო №3-ში მისივე ლექსი „ტკბილი წარსული“. ამ ლექსების გამოკვეყნება სტალინური ორგანოს ფურცლებზე უნდა ჩაითვალოს საგულისხმო ფაქტად, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვიტანოთ გარკვეული ხასიათის სახელმძღვანელო დასკვნა. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია უფრო ახლო დავუკვირდეთ ამ პოეტურ ნაწარმოებთა შინაარსსა და იდეურ გამიზნულობას.

¹ ი. სტალინი. „პრავდის“ ათი წლისთავისათვის, — „პრავდა“, № 98, 1922 წ. 5 მაისი; თხზულებანი, ტ. 5. გვ. 141—142.

² ლ. ბერიძე, „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“, გვ. 133.

ნუ გაგვივიკირდება, თუ ვიტყვით, რომ ორივე ეს ლექსი თავისი თემატიკით სასიყვარულო ლირიკის ჟანრს მიეკუთვნება. ორივე ლექსის მთავარი გმირი ახალგაზრდა შეყვარებული ქალია. ლექსში „გულს ტოლო“ ქალი მიმართავს თავის სატრფო-ვაჟაკს, ჩებრძოლ რევოლუციონერს, რომელიც მეფის ჯალათებს ბორკილებში ჩაუჭედავთ და შორეული ციმბირისაკენ წასაყვანად გაუშვანდებათ. მაგრამ აქ უმჯობესია პოეტს დავუთმოთ სიტყვა და გავეცნოთ მის ლექსს:

გულს ტოლო, შენთან ერთად
 მეც წამოვალ ცივის ციმბირში,
 ვერ დაგტოვებ, მიიდა შენთან
 ვიყო მწარე გასაჰირში!

შეგვეერთა სიყვარულმა
 და ვერ გაგვერის მწარე ბედი,
 არ ჩვეულა შენი სატრფო
 დაიხაროს დაბლა ქედი!

კარგად ვგრძნობდი, საყვარელო,
 ვისაც მივე ჩემი გული,
 ვიცოდი, რომ გოლგოთისკენ
 შენ გზა გქონდა აღმართული!

ჩვენ ახრი ახრა შევეუთანხმეთ,
 ჩავეკონეთ ფიქრი ფიქრებს,

ახლაც ცრემლით დავასველებ
 მავარ რკინას, შენს ბორკილებს!
 მოუბყარი თავით ჩემს გულს,
 ნუ გცხვენია ცრემლებსა,
 სამშობლოდან მოწყვეტილო,
 მსხვერპლო ცივის ციმბირისა!

აქვითინდი ამ ჩემს მკვრდებ,
 მოეშვება გულს ნაღველი,
 მოკვდა ჩვენთვის, გაჭრა ჩვენთვის
 გაზაფხული სანატრელი!

გულს ტოლო, შენთან ერთად
 მეც მოვდივარ ცივის ციმბირში,
 როგორც აქა, ისე იქა
 ერთად ვიყოთ გასაჰირში!

როგორც ვხედავთ, სიყვარულის ფაქიზი გრძნობა ამ ლექსში აყვანილია მაღალი საზოგადოებრივი მორალის ხარისხამდე. იგი ავტორის მიერ ნაჩვენებია ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ფართო ფონზე. თავგანწირულება შეყვარებული ქალისა პოეტს დაკავშირებული აქვს მშობლიური ხალხის ტრაგიკულ ბედთან. თემა სიყვარულისა აქ მშობლიური კონკრეტული ისტორიულ ასპექტში და გააზრებულია არა როგორც დროსა და სივრცის მოწყვეტილი განყენებული იდეა, არამედ როგორც ფაქტი დიდი სოციალური მნიშვნელობისა.

მეორე ლექსი, სათაურით „ტკბილი წარსული“, აგრეთვე სასიყვარულო ლირიკის ნიმუშს წარმოადგენს. შეყვარებული ქალი ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაშორებულია თავის სატრფოს, რომელიც მას იდეალურ გმირად წარმოუდგენია. ბოლოს იგი ხვდება თავის სანატრელ ადამიანს. სამწუხაროდ, ამ შეხვედრას ქალისთვის მხოლოდ იმედების გაცრუება და სულიერი სატანჯველი მოაქვს:

გავიდა წელი, შეგხვდი, მაგრამ ის აღარ იყავ,
 ცბიერ ცხოვრებას დაეჩინა თავისი კვალი,
 სადღა იგი გულწრფელობა, უმანკობა,
 შენს არსებაში ჩაბმულიყო სიმი ახალი!

და ის კენესოდა: მეც ცხოვრების ერთი შვილი ვარ,
 გარემოების სათამაშო, მან გადამლახა,
 შენ გმირს ეძებდი, მე კი მხოლოდ ყმა და მიწა ვარ,
 ამ ჩემ მკვრდებდაც მის ბრტყალები გამოისახა!

აქ თავდება ქალის იდეალური სიყვარული. ვიწრო ეგოისტური ინტერესების ნაჭუჭში ჩაკეტილი ობივატელი არასოდეს არ გახდება მისი გულის მოზარე. როგორც ქალი და ადამიანი, იგი მწარედ დასტირის თავის ბედსა და გაცრუებულ სიყვარულს, მაგრამ როგორც მაღალი საზოგადოებრივი შეგნებისა და მორალის მატარებელი პიროვნება, ის არჩევს ყოფილ სატრფოსთან სამუდამო განშორებას.

ამგვარად, ჩვენ ვნახეთ, რომ ევდოშვილის ლექსები, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალურ სატრფილო ლირიკის ჟანრს მიეკუთვნებიან, ატარებენ მაღალ იდეურ მიზანდასახულებას და ეხმაურებიან თავისი დროისა და ცხოვრების მიერ წამოჭრილ საზოგადოებრივ პრობლემებს.

ი.რ. ევდოშვილის ეს ლექსები ამ შემთხვევაში გვიანტერესებენ არა როგორც მაგალითები მისი შემოქმედების ზოგიერთი თავისებურობის დასახასიათებლად. ეს ნაწარმოებები ჩვენს ყურადღებას იპყრობენ, როგორც მაღალი იდეურობით გამსჭვალული პოეტური ნიმუშები, სადაც კანონზომიერად და დიდი ტაქტით არის დაკავშირებული ერთმანეთთან მარადიული თემა სიყვარულისა კონკრეტულ-ისტორიულ სინამდვილესთან, ხალხის ცხოვრების აქტუალურ პრობლემათკაცასთან.

აი, ასეთი ხასიათის სასიყვარულო ლირიკის ნიმუშების ბეჭდვას თავის ფურცლებზე საჭიროდ და მიზანშეწონილად სთვლიდა მეტროპოლი ბოლშევიკური გაზეთი და მისი ხელმძღვანელი და შთამომავლებელი დიდი სტალინი.

ეს საგულისხმო ფაქტი ღრმა მნიშვნელობის სახელმძღვანელო მაგალითს წარმოადგენს ჩვენი თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურისათვის.

ი.რ. ევდოშვილის ნაწარმოებთაგან „ჩვენი ცხოვრების“ ფურცლებზე დაიბეჭდა კიდევ ლექსი „სულმდაბალნო, გულით, გრძნობით...“ (№ 9).

გაზეთი „ჩვენი ცხოვრება“, თავის ფურცლებზე გამოქვეყნებული მაღალი იდეური ლექსებით, რეაქციის მძვინვარებისა და საზოგადოებრივი დებრესიის ეპოქაში რევოლუციურ სულისკვეთებას და მხნეობას ნერგავდა მასებში, აღვივებდა ბრძოლის წყურვილს და შეურიგებლობის გრძნობას ცარიზმისადმი.

უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა „ჩვენი ცხოვრების“ ფურცლებზე (1907 წ. № 1) მაქსიმ გორკი) სახელგანთქმული ლექსის „მზე ამოდის და მზე ჩადის“ გამოქვეყნება. მისი ჩინებული თარგმანი ეკუთვნოდა ი.რ. ევდოშვილს:

მზე ამოდის და მზე ჩადის,
ჩემს ციხეს კი ბნელი ფარავს,
დღე და ღამე ყარაულნი
სდარაჯობენ ჩემს ფანჯარას.

როგორც გსურდეთ, მიდარაჯეთ,
არა ვფიქრობ მე გაქცევას,
თუმც კი მინდა, მაგრამ ვიცი,
ვერ დავამტვრევ ამ რკინის ჯაჭვს.

მზ, ბორკილო, რკინის ხუნდო,
შენ ხარ ჩემი ყარაული
ვერ დაგამტრევე, ვერ დაგამსხვრევე,
დაავადდა ჩემი გული.

ეს ლექსი თავის დროზე დიდი პოპულარობით და სიყვარულით სარგებლობდა რუსეთის რევოლუციური მუშათა კლასში. მან თავისი გამოძახილი პოეზია ქართულ ბოლშევიკურ პარტის ფურცლებზედაც. როგორც ცნობილია, მ. გორკის ეს ლექსი ამოღებულია მისივე სახელგანთქმული პიესიდან „ფსკერზე“. ეს პიესა პირველად 1902 წელს დაიბეჭდა და იმავე წლის დეკემბერში დაიდგა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენაზე. დამდეგი წლის თებერვალში იგი უკვე აკრძალა მთავრობამ. თბილისის რუსულ სცენაზე პიესა ორჯერ წარმოადგინეს 1903 წლის ივლისში. ამ სპექტაკლებს, რომლებიც საქართველოში ჩამოსული მ. გორკის პატრისაგან დაიდგა, დაესწრო თვითონ ავტორი.

პიესა „ფსკერზე“ ქართულ ენაზე პირველად 1907 წელს გამოიცა. მისი მთარგმნელი იყო პოეტი ბეგლარ ახოსპირელი¹. შემდგომი წლის მაისში პიესა პირველად წარმოადგინეს ქართულ სცენაზე. ამ სპექტაკლში მონაწილეობდნენ გამოჩენილი ქართველი მსახიობები: ვასო აბაშიძე, ვალ. გუნია, ნატო გაბუნია, ვ. გამყრელიძე, ალ. იმედაშვილი, ნიკო გოციარიძე და სხვები. შემდეგში ეს პიესა ხშირად იდგმებოდა ქართულ სცენაზე, ქუთაისისა და ბათუმის თეატრებში. მომდევნო თაობის მსახიობთაგან ამ პიესაში მონაწილეობა მიუღიათ შალვა დადიანს, მიხ. გელოვანს და სხვებს.

მ. გორკი ქართველი მკითხველი მასების საყვარელი მწერალი იყო. მისი ნაწარმოებები ძალიან ხშირად იბეჭდებოდა ქართულ პერიოდულ გამოცემებში 900-ანი წლების დასაწყისიდანვე. მ. გორკის მოთხრობების პირველი ქართული კრებული 1902 წელს გამოიცა. ამ გამოცემის წინასიტყვაობაში, სხვათა შორის, ეწერა: „ამდენი გატაცებული მკითხველი, ამდენი თავყვანისმცემელი ასე მოკლე დროში არცერთ რუსის მწერალს არ მოუპოვებია“.

გაზეთ „ჩვენს ცხოვრებაში“ მ. გორკის პოპულარული ლექსის „მზე ამოდის და მზე ჩადის“ გამოქვეყნება გამოწვეული იყო, ჯერ ერთი, მისი აქტუალური შინაარსით: იქ ხომ საპურობილესა და ბორკილებზეა ლაპარაკი, რომლებიც იმდროინდელი პოლიტიკური სინამდვილის მრავალმეტყველ სიმბოლოებს წარმოადგენდნენ. მეორე მიზეზი ლექსის გამოქვეყნებისა, ჩვენი აზრით, იყო ბოლშევიკური გაზეთის რედაქციის სურვილი—უფრო ღირსეული, მაღალმხატვრული თარგმანის სახით მიეცა მ. გორკის სახელგანთქმული სიმღერა ქართველ მკითხველთა მასებისათვის. მართლაც, ბეგლარ ახოსპირელის უფერულ, ღარიბ თარგმანთან შედარებით, ირ. ევდოშვილის თარგმანი შეუდარებლად მაღლა იდგა, როგორც მხატვრული თვალსაზრისით, ისე ორიგინალთან სიახლოვითა და მისი დედააზრის ზუსტი გადმოცემით.

გაზეთი „ჩვენი ცხოვრება“, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავისი რევოლუციური მიმართულების გამო მთავრობამ აკრძალა. გაზეთის დახურვასთან ერთ-

¹ მ. გ. ო. კ. „ფსკერზე“, თარგმანი ბეგლარასი. თბილისი, 1907 წ., გამოცემა „მერანისა“.

თად პოლიციამ კონფისკაცია გაუკეთა მთელ მის სასტამბო მოწყობილობასაც. მაგრამ ამ გარემოებამ ვერ შეაფერხა ბოლშევიკური პრესის გამოცემის საქმე. ამხანაგ ი. სტალინის ხელმძღვანელობით, „ჩვენი ცხოვრების“ დახურვის მეოთხე დღესვე თბილისში გამოსვლას იწყებს ყოველდღიური გაზეთი „დრო“. გაზეთი გამოდიოდა 1907 წლის 11 მარტიდან 15 აპრილამდე. სულ გამოვიდა 31 ნომერი, შემდეგ კი ისიც დაიხურა თბილისის გუბერნატორის განკარგულებით, როგორც „უაღრესად მავნე მიმართულების გაზეთი“.

„დრო“ უკანასკნელი ლეგალური ქართული ბოლშევიკური გაზეთი იყო. მის შემდეგ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ბოლშევიკური გაზეთების გამოცემის საქმე საქართველოში შეუძლებელი შეიქნა¹.

ამხანაგი ი. სტალინი, როგორც ორგანიზატორი და ხელმძღვანელი ამ გაზეთისა, პირადად იყო ჩაბმული სარედაქციო საქმიანობაში. მასთან ერთად რედაქციაში მუშაობდნენ მ. ცხაკაია და მ. დავითაშვილი. ამხანაგი ი. სტალინი უშუალო რედაქციის უკეთებდა გაზეთის მასალებს, წერდა მოწინავე სტატიებსა და თეორიულ წერილებს. მისი სტატიები იბეჭდებოდა „კობას“ ფსევდონიმით. გაზეთ „დროში“ გამოქვეყნდა ამხანაგ ი. სტალინის მთელი რიგი ნაშრომებისა: „პროლეტარიატი იბრძვის, ბურჟუაზია კავშირს ჰკრავს მთავრობასთან“, „კადეტების თვითმპყრობელობა თუ ხალხის თვითმპყრობელობა“, „ამხ. გ. თელიას ხსოვნას“, გაგრძელება ნაშრომისა—„ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“ და სხვ.

გაზეთ „დროს“ ფურცლებზედაც, ისევე, როგორც მის წინამორბედ გამოცემებში, პერიოდულად იბეჭდებოდა პოეტური პროდუქცია. გაზეთში გამოქვეყნდა ხუთი ლექსი, მათ შორის ერთი ნათარგმნი. ამ ლექსებიდან პირველ ყოვლისა გვინდა შევჩერდეთ ლექს-აკროსტიხზე, რომელიც მიძღვნილი იყო მუშა-ბოლშევიკ გიორგი თელიას ხსოვნისადმი. გიორგი თელიას გარდაცვალების გამო ამხანაგმა ი. სტალინმა ამავე გაზეთის ფურცლებზე გამოაქვეყნა შესანიშნავი წერილი, სადაც ბიოგრაფიის გარდა მოცემული იყო გ. თელიას, როგორც პარტიის ერთგული და თავდადებული მუშაკის, კლასიკური დახასიათება.²

გ. თელია (1880—1907) იყო თბილისის რკინიგზის სახელოსნოების მუშა. იგი აქტიური მონაწილე იყო 1901 და 1903 წლების დიდი დემონსტრაციებისა თბილისში, რომლის შემდეგ, არალეგალურ მდგომარეობაში გადასული, ენერგიულ პარტიულ მუშაობას ეწეოდა. 1903 წელს გ. თელია დააპატიმრეს და წელიწად-ნახევარს იჯდა ქუთაისის ციხეში, სადაც ჭლებით დასნეულდა. ამან ხელი არ შეუშალა მას, რომ ციხიდან გაქცეულიყო და კვლავ ინტენსიურად განეგრძნო პარტიული მუშაობა. 1905 წელს გ. თელია, ამხანაგ ი. სტალინთან ერთად მონაწილეობდა სრულიად-რუსეთის პირველ ბოლშევიკურ კონფერენციაზე ტამერფორსში, როგორც ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების დელეგატი.

¹ გ. ყვანიია „საქართველოს ბოლშევიკური პრესის ისტორიიდან“, გვ. 131—149.

² „დრო“, 1907 წ. 10 მარტის № 10; ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. II, გვ. 28-32.

გ. თელია ლიტერატურულ მოღვაწეობასაც ეწეოდა. ბოლშევიკურ გაზეთებში „ახალ ცხოვრებასა“ და „დროში“ მან მოათავსა მთელი რიგი თეორიული და პოლემიკური ხასიათის წერილებისა.

გ. თელიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით გაზეთ „დროში“ დაიბეჭდა მრავალი სხვადასხვა ხასიათის მასალა. ამხანაგ ი. სტალინის წერილის გარდა, გაზეთის ფურცლებზე მოთავსებული იქნა რამდენიმე სტატია და საინფორმაციო შინაარსის წერილი, სადაც გაშუქებული იყო ბოლშევიკი მუშის რევოლუციური მოღვაწეობა, მისი გარდაცვალების ამბავი და ვრცელი კორესპონდენცია დასაფლავების დროს მოწყობილი დემონსტრაციის შესახებ¹.

გაზეთი არ დასჯერდა ამ მასალას და საჭიროდ დაინახა პოეტური სიტყვითაც აღენიშნა პარტიის გამორჩენილი წევრის ხსოვნა. გაზეთის მე-18 ნომერში დაიბეჭდა მუშა-ავტორის ლექსი-აკროსტიხი, მიძღვნილი გ. თელიასადმი². ლექსში დახასიათებულია გ. თელიას შეუპოვარი ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მისი ურყევი რწმენა, რომ „ოქროს კერპები“ დაემხოზიან და ხალხი მოიპოვებს თავისუფალ ცხოვრებას. ეს ლექსი თავისი შინაარსითა და იდეური გამიხსნელობით გაზეთში მოთავსებული პოლიტიკური წერილებისა და ინფორმაციების საუკეთესო მხატვრულ ილუსტრაციას წარმოადგენდა:

გაზეთის ფურცლებზე მოთავსებულ პოეტურ ნაწარმოებთაგან აღსანიშნავია აგრეთვე გმირული სულით და ნათელი ოპტიმიზმით გამსჭვალული ლექსი „მეგობრებს“ („დრო“, № 24). ეს ნაწარმოები პათეტიკურ მოწოდებას წარმოადგენს რევოლუციური მებრძოლებისადმი:

ნუ გაშინებთ ციხე, ტყვია,
 სახრჩობელა, მათრახები,
 ნურც ციმაზი, ნურც კატორღა
 და ნურც ვერაგ-ჯალათები...
 ...გასწით! შედგრაღ მტერს ვკვეთეთ.
 შეალიეთ ღონე, ძალი,
 სიკვდილი, ან გამარჯვება!
 ან ჩვენა და ან მტარვალს!

მეტად საგულისხმოა „დროს“ ფურცლებზე (№ 31) მოთავსებული ლექსი „ოდეს ცისკარი გააღებს კარებს“. აქაც ნაწარმოები გამსჭვალულია ხალხის გამარჯვების ურყევი რწმენით და მძლე ოპტიმისტური სულისკვეთებით. გარდა ამისა, ლექსში გამოხატულია მშრომელთა გულში საუკუნოებით ნახარდი იმედი ჩაგრულთა და ტვირთმძიმეთა მხსნელი გმირის გამოჩენისა ხალხის წი-

¹ გაზ. „დრო“, 1907 წ. №№ 9, 10, 11, 13, 15.

² ლექსი ხელმოწერილი იყო ფსევდონიმით „მიმინო“, რომელიც ეკუთვნოდა მუშა-ბოლშევიკს დ. ხ ა ნ დ ა მ ა შ ვ ი ლ ს. მისი ნაწერები, ამავე ფსევდონიმით, იბეჭდებოდა აგრეთვე შემდეგ გამოცემებში: გაზ. „ცის ნაში“ (1907 წ.), გაზ. „მასხარა“ (1907 წ.), კრებ. „ოხუნჯი“ (1907 წ.), ჟურნ. „შურდული“ (1907 წ.), კრებული „ბზიკი“ (1907 წ.), აღმანახი „ქორწინება“ (1909 წ.) (იხ. ქართული პერიოდიკის ბიბლიოგრაფია, 1947 წ.).

³ ავტორი—„არაგველი“.

აღიდან. ლექსი იწყება ქართლის განთიადის პოეტური სურათით. მზე ამოდის, მისი სხივები მდელს ეფინება. ღამის წყვილია ქრება. ნიავე მოჰქრის ჭალაში. ბულბული სტვენით ატკბობს არაგვის პირებს. ბუნების ამ დიდებული ზემის შემყურე პოეტის სულში ილიქებს იმედის გრძნობა:

ოდეს მინდვრიდან ხმა მაშვრადისა
არაგვის ხუილს შეუერთდება
და ზედ დაძაბილ ოროველას ხმით
ირგვილივ მიდამო სმენით დატკბება,—
მაშინ ეძლევა ამ გულსაც ლუნა,
მაშინ ეძლევა ამ გულს ნუგეში
და ვხედავ სურათს, დიდებულ სურათს—
გმირს, გაღვიძებულს დატანჯულ ერში*.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ მეგრძოლი ბოლშევიკური გაზეთი სასტიკ ცენზურულ პირობებში, „მთარახისა და სინელის სრული ზემის ეპოქაში“, მაინც ახერხებდა რევოლუციური მგზნებარებით აღსავსე თამამი სიტყვა მიეწვდინა მშრომელთა ფართო მასებისათვის. ამ მხრივ ბოლშევიკური პრესა კარგად იყენებდა ისეთ ნაცადსა და საიმედო იარაღს, როგორც იყო რევოლუციური პათოსით გაჟღერებული ლექსი და სიმღერა.

* * *

ზემოთ განხილული მხატვრული მასალა, გამოქვეყნებული არაღვეალური და ლეგალური ბოლშევიკური გაზეთების ფურცლებზე 1901—1907 წლების მანძილზე, საკმაო წარმოდგენას გვაძლევს იმ დიდ იდეურ-პოლიტიკურ როლზე, რომელსაც ასრულებდა რევოლუციური პოეტური სიტყვა ჩვენი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობაში. ჩვენ ვნახეთ, რომ დიდი სტალინი, იდეური შთამგონებელი და პრაქტიკული ხელმძღვანელი საქართველოს ბოლშევიკური პრესისა რევოლუციის მომზადების ხანაში და აგრეთვე რეაქციის უმძიმეს წლებში, მწერლობას უსახავდა უდიდეს საზოგადოებრივ ამოცანებს, აქცევდა მას დიდი პოლიტიკური და სოციალური იდეების რუპორად, რევოლუციური ბრძოლის უშუალო მონაწილედ, ხალხის ქირისა და ლხინის ერთგულ მოზიარედ.

ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული პოეტური პროდუქციის გაცნობა საშუალებას გვაძლევს ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ მის საერთო ხასიათსა და მნიშვნელობაზე ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში.

ბოლშევიკურ გაზეთებში უმთავრესად იბეჭდებოდა პოლიტიკური ლირიკის ნიმუშები. მათი თემატიკა აღებული იყო ჩვენი ქვეყნის რევოლუციური სინამდვილიდან და ასახავდა ხალხის ცხოვრებას, მის უსამართლო ჩაგვრას, მის შეუპოვარსა და თავგანწირულ ბრძოლას თვითმპყრობელობისა და კაპიტალისტურ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ. ამ ლექსებს ახასიათებს იდეურ-შინაარსობრივი აქტუალობა, რევოლუციური პათოსი, მეგრძოლი ოპტიმისტური განწყობილება.

ლექსების ავტორთა უმეტესობა არ ეკუთვნოდა პროფესიონალი პოეტების რიცხვს. ლექსებს ბეჭდავდნენ მუშები, პროფესიონალი რევოლუციონერები, პარტიული ინტელიგენციის წარმომადგენლები. კონსპირაციის თვალსაზრისით ლექსების უმეტესობა ფსევდონიმებით იყო ხელმოწერილი. ფსევდონიმებად გამოყენებული იყო დამახასიათებელი სახელწოდებანი. რიგი მათგანი მიუთითებდა ავტორის პროფესიას ან სოციალურ მდგომარეობაზე, ზოგი მათგანი წარმოადგენდა პარტიულ ზედმეტ სახელს. ასეთებია, მაგალითად, ფსევდონიმები: კირკა, ბუკი, ცალ-ხელი, ტუსაღი და მრავალი სხვა.

ექვი არაა, ამხანაგ ი. სტალინი, როგორც რედაქტორს, გამოუცდელ ავტორთა ლექსებში შეჩქონდა გარკვეული ხასიათის შესწორებანი, რათა მეტი იდეურ-პოლიტიკური სიმახვილე და მხატვრული გამართულობა მისცემოდა პოეტურ ნაწარმოებს.

ბოლშევიკურ ვახეთებში გამოქვეყნებულ ლექსებსა და სიმღერებს დიდი რეზონანსი ჰქონდა საქართველოს მშრომელთა ფართო მასებში. თავის ადგილას უკვე აღვნიშნეთ, რომ მარსელიოზას ტექსტი, დაბეჭდილი „ბრძოლაში“, მიღებულ იქნა ხალხის მიერ და ფართოდ გავრცელდა მასებში. იგივე უნდა ითქვას „ვარშაულას“ შესახებაც, რომელსაც მუშები მღეროდნენ დემონსტრაციებისა და სხვა რევოლუციური გამოსვლების დროს.

ქართულმა ბოლშევიკურმა პრესამ, რომელსაც ხელმძღვანელობდა ამხანაგი ი. სტალინი, ჯერ კიდევ მიმდინარე საუკუნის დასაწყისი წლებიდანვე ფართოდ შეუწყო ხელი მაღალი იდეურობით, რევოლუციურ-მარქსისტული მსოფლმხედველობით გამსჭვალული მებრძოლი პოეზიის გამოვლინებასა და პოპულარიზაციას. ამ პოეტურმა ნაწარმოებებმა, მიმართულმა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიულ-მემამულური ჩაგვრის წინააღმდეგ, ფართო გამოძახილი ჰპოვა ხალხში. საუკეთესო ნიმუშები რევოლუციური პოეზიისა, პირველად გამოქვეყნებული ბოლშევიკური პრესის ფურცლებზე, მასობრივი პოლიტიკური აგიტაციის მძლე იარაღად გადაიქცა.

ამ ლექსებმა და სიმღერებმა, პირველი რევოლუციის მომზადებისა და განვითარების წლებში და შემდეგაც, რეაქციის გამძვინვარების პერიოდში, დიდი როლი ითამაშეს მშრომელთა ფართო მასებში კლასობრივი შეგნების განმტკიცებისა და რევოლუციური აქტიურობის გაცხოველების თვალსაზრისით. მათ ხელი შეუწყვეს მასების პოლიტიკურ დარაზმვასა და წარმართვას თვითმპყრობელური რეჟიმისა და კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგ წარმოებულ სამეკდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.

შალვა რაღიანი

მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურათმცოდნეობისათვის

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ კლასობრივ საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობა ყოველთვის ატარებს კლასობრივ ხასიათს, რომ კლასთა ბრძოლა არის ისტორიის განვითარების მამოძრავებელი და გამსაზღვრელი ძალა. ყოველი თეორია, სულ ერთია, ეს იქნება პოლიტიკური, ფილოსოფიური, ეთიკური, ესთეტიკური თუ სხვა ხასიათისა, გამოხატავს ანა თუ იმ კლასის ინტერესებს. ამიტომ კლასობრივი ხასიათი აქვს იდეოლოგიურ ურთიერთობასაც. ლიტერატურა, როგორც ცხოვრების შემეცნების სპეციფიკური ფორმა, შედის იდეოლოგიურ ზედნაშენთა სისტემაში და თავის განვითარებაში შეპირობებულია საზოგადოებრივი ურთიერთობის საერთო კანონებით. მწერლის მიერ ცხოვრების ცოდნა და განმარტება განისაზღვრება კლასობრივი ბრძოლის იმ პირობებით, რომელშიც ყალიბდება მისი შეგნება, მსოფლმხედველობა. მწერლის ნაწერებში, მიუხედავად იმისა, სურს მას ეს თუ არა, თავისებურად მქლავდება განსაზღვრული კლასობრივი თვალსაზრისი, განსაზღვრული კლასობრივი ინტერესები.

ლიტერატურა, უპირველეს ყოვლისა, არის სინამდვილის გამოხატულება. ამიტომ მასში ყოველთვის ამა თუ იმ სახით გამოქვეყნებულია განსაზღვრული ტენდენცია. მის გარეშე არ არსებობს მწერლის შემოქმედება, მხატვრული ნაწარმოები. ამას ნათლად ადასტურებს მსოფლიო ლიტერატურის მთელი ისტორია. სწორედ ამის შესახებ შესანიშნავად წერდა ფრ. ენგელსი: „მე არავითარ შემთხვევაში არ ვარ მოწინააღმდეგე ტენდენციური პოეზიისა, როგორც ასეთისა. ტრაგედიის მამა ესქილე და კომედიის მამა არისტოფანე იყვნენ მკვეთრად გამოხატული ტენდენციური პოეტები, ისევე, როგორც დანტე და სერვანტესი, ხოლო შილერის „ცბიერება და სიყვარული“ მთავარი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ეს არის პირველი გერმანული პოლიტიკურ-ტენდენციური დრამა. თანამედროვე რუსი და ნორვეგიელი მწერლები, რომლებიც წერენ საუცხოო რომანებს, სულ ტენდენციურები არიან. მაგრამ, მე ვფიქრობ, ნაწარმოებში ტენდენცია თავისთავად უნდა გამომდინარეობდეს მდგომარეობისა და მოქმედებიდან, ვიდრე მასზე საგანგებოდ მიუთითებდნენ, და რომ მწერალი არ არის ვალდებული მკითხველს მიაწოდოს მზამზარეულად მის მიერ გამოხატული საზოგადოებრივი კონფლიქტების მომავალი ისტორიული გადაწყვეტილებანი. ამასთანავე ჩვენს პირობებში რომანი მიმართულია უპირატესად ბურჟუაზიული მკითხველებისადმი, ე. ი. იმათადმი, რომლებიც ჩვენ, ჩვენს წრეებს არ ეკუთვნიან, და ამიტომ, ჩემი შეხედულებით, სოციალისტური ტენდენციური რომანი სავსებით ასრულებს თავის დანიშნულებას, ხედავს რა სიმართ-

ლით რეალურ ურთიერთობას, არღვევს რა გაბატონებულ პირობებს ილუზიებს ამ ურთიერთობის ბუნების შესახებ, არყევს რა ბურჟუაზიული სამყაროს ოპტიმიზმს, ბადებს რა ეჭვებს მისი არსებობის უცვლელობაზე¹. არც თუ ისე იშვიათად, წარსულში ტენდენციურობა იყო სინონიმი მოწინავეობისა, იდეურობისა.

რუსული, ქართული და სხვა ხალხთა ლიტერატურის ისტორია ნათლად მიუთითებს, რომ მოწინავე ტენდენციით, იდეურობით გამსჭვალული მწერლობა ყოველთვის ასახავდა სინამდვილის არსებით მხარეებს და იბრძოდა სინამდვილის გარდაქმნისათვის. მე-19 საუკუნის სამოციანი წლების ჩვენმა ახალმა თაობამ, რომელიც აღზრდილი იყო გამოჩენილ რუს რევოლუციონერ-დემოკრატ მოღვაწეთა—ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლინის შეხედულებებზე, ქართულ ლიტერატურაში შემოიტანა ლიტერატურისა და ხელოვნების ახლებური გაგება, ახალი ესთეტიკური პრინციპები. ქართულ ლიტერატურაში მათ დაამკვიდრეს კრიტიკული რეალიზმი, რომელიც დიდად პროგრესული მოვლენა იყო თავისი დროისათვის. ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარებამ მოითხოვა ლიტერატურა ფართო სოციალური დიპაზონით, მხატვრული ლიტერატურა, რომელიც ადამიანს დაეხმარებოდა მის გარშემო არსებული სინამდვილის შეცნობაში. ასეთ ლიტერატურად კი შეიძლება ვამბდარიყო მარტოოდენ რეალიზმი. 60-იანი წლების ახალი თაობა აცხადებს რეალიზმს, როგორც უმაღლეს საფეხურს ხელოვნების განვითარებაში, როგორც ერთადერთ სწორ მეთოდს მხატვრულ შემოქმედებაში. მათ კარგად ესმით, რომ მხატვრული ლიტერატურა წარმოადგენს სინამდვილის შეცნობის სპეციფიკურ ფორმას. ამიტომ ძირითადი საკითხი მათ ესთეტიკურ შეხედულებებში არის გარკვევა იმისა, თუ როგორ ურთიერთობაში იმყოფება მხატვრული ლიტერატურა, ხელოვნება ცხოვრებასთან, საზოგადოებრივ განვითარებასთან. ხელოვნების ამოსავალ საწყისად ისინი სინამდვილეს თვლიან. ხელოვნება ყოველთვის გამოდის, როგორც მეორადი, ხოლო პირველადი არის თვით სინამდვილე. ი. ჭავჭავაძე, რომელმაც ყველაზე სრულად ჩამოაყალიბა ახალი თაობის ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებანი, პირდაპირ აყენებს თეზისს, რომ პოეზია იქმნება ცხოვრებისაგან. „პოეზია განსახებდა ქეშმარიტებისა, ცხოვრებისა“. მშვენიერება არის სინამდვილის თვისება და არა საიდლანაც მოტანილი რამ. „მშვენიერია თვით ცხოვრება“. ამაში მდგომარეობს მისი მტკიცების მთავარი აზრი. ხელოვნება არის ცხოვრების ნაწილი, ერთ-ერთი სპეციფიკური ფორმა ადამიანის შემოქმედებითი მოღვაწეობისა. ასახავს რა სინამდვილეს, ხელოვნება თავის განვითარებაში ემორჩილება იმავე კანონებს, რასაც ემორჩილება საერთოდ სინამდვილის განვითარება. ხელოვნება, ლიტერატურა მშვენიერია მაშინ, როდესაც იგი ეთანხმება ცხოვრების „ბუნებრივ მისწრაფებებს“; ი. ჭავჭავაძე ხშირად და მტკიცედ იმეორებს, რომ არა ცხოვრება მიჰყვება ლიტერატურულ თეორიებს, არამედ თვით ლი-

¹ К. Маркс и Ф. Энгельс. „Избранные письма“. Госполитивлат. 1947, стр. 395.

ტერატურა, ხელოვნება იცვლება ცხოვრების განვითარების შესატყვისად. „ცხოვრება არ გამოიჭრება ხოლმე კაცისაგან მოგონილ რიკრიკაზედ. თუმცა იგი ბერდება, მაგრამ თვითონვე გვაძლევს ხოლმე თესლს მომავალ ვადახალისებულ ცხოვრებისათვის; მეცნიერება და ხელოვნება არ არიან მოგონილი კაცის ჭკუის და გონების ვარჯიშობისაგან; რომ იგინი იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის; რომ იგინი წინ მიდიან ცხოვრების მეოხებით და მერე თითონ მიჰყავთ ცხოვრება წინა.“¹ ამ უკანასკნელ სიტყვებით ი. ჭავჭავაძე გამოსთქვამს საყურადღებო მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მეცნიერება და ხელოვნება არის სინამდვილის არა უბრალო ამსახველი, არამედ მათ აქტიური როლი აქვთ მინიჭებული საზოგადოებრივი წემენების ფორმირების საქმეში. ცხოვრების ნიადაგზე აღმოცენებული ხელოვნება თავის მხრით ახდენს ზეგავლენას ცხოვრების მიმდინარეობაზე. ამ შემთხვევაში, ჩვენ ნათლად ვხედავთ ახალი თაობის მისწრაფებას, ხელოვნება დაუმორჩილოს ცხოვრების გარდაქმნის საქმეს. სამოციანი წლების მოღვაწენი ხელოვნების ღირებულებას ხედავენ მის ცოცხალ კავშირში თავის თანამედროვეობასთან, რომ ხელოვნებაში თავის გამოხატულებას უნდა პოულობდეს ძირითადი საარსებო საკითხები საზოგადოებრივი ცხოვრებისა, ხელოვნება მჭიდრო კავშირში უნდა იყოს სინამდვილის პროგრესულ განვითარებასთან.

ყოველი მწერალი, რომელიც ცხოვრობს განსაზღვრულ საზოგადოებრივ პირობებში, ყოველთვის გამოხატავს ამა თუ იმ იდეას, ამა თუ იმ წარმოდგენას ცხოვრებაზე. ამიტომ სამოციანი წლების მოღვაწენი იყვნენ საქართველოში პირველი წარმომადგენელნი და პროპაგანდისტები იდეური ლიტერატურისა; მწერალი თავისი დროისა და თავისი ხალხის შვილია. ხელოვნება უნდა იყოს თავისი თანამედროვეობის ცოცხალი გამოძახილი. ისინი სასტიკ მტრად გამოდიოდნენ თეორიისა „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, დაუზოგველად ამართახებდნენ ცხოვრებისაგან განდგომილ მწერლობას: „დაე... ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებას, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალეები და ბუღბუღსავით უაზრო სტევენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს... დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლებში ცურვასა“, „გაფაღარათებული ვარსკვლავების ცაში ბოლთის ცემას“, მთვარის ხეწმას, რომ ჩემს საყვარელს უთხარიო: ცხრა მთას იქით ერთი უბედურე პოეტია, რომელსაც შენ გამო „ოხვრის კვამლი“ თვალებს სწვავს და ცრემლს ადენსო... დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღრეჭას და თვალეების სრესას, ეგება ცრემლი მომივიდესო. დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ ცხოვრების ძირში ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექს და ლაფსა, არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორის“. ამგვარად, მოთხოვნილება, რომელსაც ი. ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლნი ლიტერატურ-

¹ ი. ჭავჭავაძე. ტ. 4, გვ. 393.

რას და ხელოვნებას უყენებენ, ეს არის სინამდვილის ასახვა მთელი სისრულით. მათი გაგებით არ არსებობს „დაბალი ბუნება“, „დაბალი მოვლენა“, რომელიც არ იყოს ღირსი ხელოვნების ნაწარმოებში გამოხატვისა. მისწრაფება ხელოვნების შინაარსის მარტოოდენ „მაღალი“ პრობლემებით შემოფარგვლისა, ფაქტიურად ნიშნავს სინამდვილის დამახინჯებულ ასახვას; ხელოვნებას არ აქვს უფლება ზურგი შეაქციოს რეალურ, შეუფერავ სინამდვილეს. ლიტერატურა და ხელოვნება თუ უტილიტარული, ტენდენციური არ ვახდება, ისე ის ვერ ავა თავის მოწოდების სიმაღლეს; ახალი თაობის მოღვაწენი მოითხოვდნენ სინამდვილის ასახვასთან ერთად, მის მართებულ განმარტებას, მისთვის მსჯავრის დადებას. როგორც მეცნიერება, ისე ხელოვნება ი. ჭავჭავაძეს ცხოვრების გასაუმჯობესებელ ძალად მიაჩნია: „მეცნიერებასა და ხელოვნებას ჩვენ უყურებთ, როგორც ცხოვრების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათა“. ამ თვლსაზრისით გამსჭვალული ი. ჭავჭავაძე გადაჭრით ებრძვის ვიწრო, კარჩაკეტილ, ცხოვრებისაგან დაშორებულ მწერლებს. აქაც, ამ შემთხვევაშიაც, ხახვამულია ხელოვნების აქტიური როლი; მეორე წარმომადგენელს ახალი თაობისა—ა. წერეთელს მწერლობა მიაჩნია ბასრ იარაღად დღიურ ავკარგინობის საბრძოლველად. მისი სიტყვებია: „წერა მხოლოდ მაშინ უნდა, წინ რომ გედგას იდეალი“; ანალოგიურ მოსაზრებას გამოსთქვამს გ. წერეთელი. მისი თქმით, „მწერალი არის ერთი თავის საზოგადოების წევრთაგანი, ერთი იმ პირთაგანი, რომლის კრებაც შეადგენს საზოგადოებას. ეს არის საზოგადოების ტანჯვის და შვების თანამგრძობელი. რაში მდგომარეობს მისი ღვაწლი საზოგადოების წინ?—აჩვენოს საზოგადოებას თავისი აზრი ამ ნაკლოვანების მოსასპობლად“. მწერალი უნდა ჩასწვდეს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შინაგან მიზეზებს, უნდა გამოიხატოს და განსაზღვროს, თუ რა წარმოდგენს მოვლენაში მთავარს, ორგანულს და რა არის მასში დროული, შემთხვევითი. ნაწარმოებში განუყოფელია ერთმანეთისაგან იდეურობა და მხატვრულობა.

*
**

1905 წელს ბოლშევიკურ გაზეთ „Новая жизнь“-ში, ლენინმა გამოაქვეყნა წერილი—პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. როდესაც გამოქვეყნდა ლენინის ეს სტატია, მაშინ ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობდა მძაფრი რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლები ცარიზმისა და ბურჟუაზიულ-მემამულური წყობილების წინააღმდეგ. გაბატონებულმა კლასებმა ხალხის საპირისპიროდ წამოაყენეს არა მარტო შეიარაღებული ძალა, ტერორი, არამედ მთელი იდეოლოგია. ცხადია, ბრძოლა შეეხო ლიტერატურასაც. დეკადენტურ-ბურჟუაზიულ-თავადანაზნაურული რეაქციის იდეოლოგები გააფთრებულ იერიშებს აწარმოებდნენ რევოლუციურ-დემოკრატიული, პროგრესიულ-მებრ-

ძალი ლიტერატურის მიმართ. ლიტერატურულ ცხოვრებაში დიდი გასაქანი მიეცა დეკადენტობის ნაირსახეობებს. დეკადენტობა იყო პირდაპირი რეაქცია რეალისტური ლიტერატურის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელის სოციალურ შინაარსს დეკადენტები ცვლიან ვიწრო-ინდივიდუალისტური მოტივებით; რეალისტების დემოკრატიზმს დეკადენტებმა დაუპირისპირეს „პოეტური არისტოკრატისმი“, რწმენას ცხოვრებისადმი, ოპტიმიზმს—პესიმიზმი, მისტიციზმი. ავადმყოფურმა სუბიექტივიზმმა, „ზეკაცის“ იდეამ და ცხოვრების უფულველობის კულტმა დაიჭირა გაბატონებული მდგომარეობა რეაქციულ ლიტერატურულ წრეებში. ყველაზე დამახასიათებელ მოვლენას ამ წლებს ლიტერატურაში წარმოადგენდა რეალისტური ტრადიციების უარყოფა და გადასვლა სხვადასხვა ანტირეალისტურ, ირაციონალისტურ მიმართულებებზე.

ასეთ ისტორიულ ვითარებაში ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის წამოყენებასა და დაცვას უდიდესი საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა. რევოლუციური მასების ავანგარდმა პარტიამ—ბოლშევიკურმა პარტიამ გამოჰკვეთა ბასრი იდეური იარაღი, რაც მიმართული იყო ბურჟუაზიულ-დეკადენტური ლიტერატურის, მისი ესთეტიკის წინააღმდეგ. ლენინმა ნათელჰყო, რომ ლიტერატურა არ შეიძლება იდგეს კლასობრივი ბრძოლის გარეშე. მხატვრული შემოქმედების თავისუფლება ბურჟუაზიულ საზოგადოებაში წარმოადგენს მხოლოდ ნიღბს, რომლითაც დაფარულია ხელოვნების დამოკიდებულება გაბატონებული კლასებისაგან. საპირისპიროდ ფარისევლური განცხადებისა, მწერალთა და ხელოვანთა შემოქმედების „თავისუფლების“ შესახებ კაპიტალისტურ საზოგადოებაში, ლენინი მიუთითებს, რომ ბურჟუაზიული მხატვრის „თავისუფლება“ ნამდვილად არის დამოკიდებულება „ფულის ტომრისაგან“. პირობითე ლაპარაკი „ხელოვნების თავისუფლებისა“, ფაქტიურად ნიშნავს მწერლის მონურ მდგომარეობაში ყოფნას გაბატონებული ექსპლოატატორული კლასების წინაშე. ლენინი დაუზოგავად ამხელს ამ ფარისევლურ და ყალბ აზრს, იგი გვიჩვენებს, რომ ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის დამახასიათებელი არის ინდივიდუალიზმი, ანარქიულობა. ბურჟუაზიული ლიტერატორები, რომლებიც ტრამპანტებზე თავიანთი „უპარტიოებით“, სინამდვილეში მებატონეთა ყურმოჭრილ მსახურებად არიან გამხდარნი: „ბატონო ბურჟუაზიულო ინდივიდუალისტებო, უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი სიტყვები აბსოლუტურ თავისუფლებაზე მხოლოდ ფარისევლობაა. ფულის ბატონობაზე დამყარებულ საზოგადოებაში, საზოგადოებაში, სადაც მშრომელთა მასები ლატაკობენ და ერთი მუჟა მდიდრები მუჟათახორბენ, შეუძლებელია იყოს „თავისუფლება“ რეალური და ნამდვილი. განა თქვენ თავისუფალი ხართ თქვენი ბურჟუაზიული გამომცემლისაგან, ბატონო მწერალო? თქვენი ბურჟუაზიული საზოგადოებისაგან, რომელიც თქვენგან მოითხოვს პორნოგრაფიას ჩაბრახებას და სურათებში, პროსტიტუციას „წმინდა“ სასცენო ხელოვნებისადმი „დამატების“ სახით?.. არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე და საზოგადოებისაგან თავისუფალი იყო. ბურჟუაზიული მწერლის, მხატვრის, მსახიობი ქალის თავისუფლება—ეს არის მხოლოდ შენიღბული (ანდა ფარისევლურად ნიღბაფარებული) დამოკიდებუ-

ლება ფულის ქისისაგან, მოსყიდვისაგან, ხასიობისაგან¹. ამგვარად ნათელყო ლენინმა კლასობრივი აზრი ბურჟუაზიულ-რეაქციული შეხედულებისა პიროვნების „თავისუფლებაზე“, ხელოვნების „თავისუფლებაზე“. ამ შემთხვევაში მას განსაკუთრებით მხედველობაში ჰქონდა კერძოდ, დეკადენტ-სიმბოლოსიტები, რომელთაც გამოაცხადეს საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან მწერლის სრული „თავისუფლება“ და „ღამოუკიდებლობა“. ლენინმა მთელი პირდაპირობით ამხილა თეორია — „წმინდა ხელოვნებისა“, თეორია — „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, ცდა მწერალი და ლიტერატურა დაეყენებიათ კლასთა ბრძოლის გარეშე. ამ თეორიის მიმდევარნი ცდილობდნენ გამოეთიშათ ხელოვნება პოლიტიკური ცხოვრებისაგან, გამოეცალათ მისთვის იდეური შინაარსი. ნამდვილად ეს თეორია გულისხმობდა ხელოვნების გამოყენებას რეაქციული კლასების მიერ იდეოლოგიურ ბრძოლაში მოწინავე რევოლუციური კლასისა და მისი ხელოვნების საპირისპიროდ.

ლენინის შეხედულების სისწორეს ნათელყოფს ლიტერატურისა და ხელოვნების მთელი ისტორია. ხელოვანის მდგომარეობას კაპიტალისტურ საზოგადოებაში საუცხოოდ ახასიათებს ბალზაკის რომანი — „გაცრუებული ოცნებანი“. ბალზაკი გვიჩვენებს, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ნიჭი და აზრი ყიდვა-გაყიდვის საგნად არის გამხდარი, რომ ის ემსახურება მდიდართა კლასობრივ ინტერესებს. ბურჟუაზია, ოქრო არა მარტო ხრწნის მწერლებსა და მხატვრებს, არამედ ასევე, პრესა, ლიტერატურა, თეატრი გადაქცეულია საზოგადოების მომწამვლელ საშუალებად. პროვინციიდან პაროზში ჩამოსულ ლუსიენ რუბამპერს სჯერა, რომ სახელისაქენ ადამიანი მიჰყავს ნიჭს. ბურჟუაზიული ცხოვრების გაცნობამ კი აიძულა იგი უარეყო ეს ილუზია. „მხოლოდ ორი საათი დასჭირდა ლუსიენს, დარწმუნებულყო, რომ ყველაფერი ფულზე იყო დამოკიდებული, რომ თეატრში, გამომცემლობაში, ვაზეთში ხელოვნებისა და სახელის შესახებ არაფერიც არ იყო მითითებული. უზარმაზარი ფულის სასახლის კეტი ერთნაირი მოძრაობით ურტყამდა მას თავსა და გულზე“. პარიზის პრესის ბატონმატრონი სწრაფად გარდაქმნიან ლუსიენს თავიანთი ინტერესების შესაფერისად, შეასწავლიან მას ბრძანების მიხედვით სწრაფად შეიცვალოს თავისი აზრები. წარმატებისა და სიმდიდრის ძიებაში ლუსიენ რუბამპერე ჰკარგავს სახელსაც და ნიჭს, ილუბება შეუმჩნევლად. ამ რომანში ნათლად არის ნაჩვენები, თუ როგორ ყალიბდებიან ბურჟუაზიის იდეოლოგიური მსახურნი. ლუსიენ რუბამპერს ბედი ტიპურია ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის; სხვა შემთხვევაში, ბალზაკი გვიჩვენებს, რომ მხატვარ პიერ გრასუს სურათები ამდიდრებენ არა მის ავტორს, არამედ სპეკულიანტს, რომელიც ყიდის ამ სურათებს.

ლიტერატურა უნდა იყოს თავისუფალი, მაგრამ უპირველეს ყოვლისა, ის განთავისუფლებული უნდა იქნას კაპიტალის შემბოროკავი გავლენისაგან, ბურჟუაზიული ინდივიდუალიზმისაგან, რაც ხელს უშლის მის ჭეშმარიტ განვითარებას. ბურჟუაზიულ „თავისუფლებას“ ლენინი უპირისპირებს ლიტერატურის პარტიულობის პრინციპს. იგი პირდაპირ მიუთითებს, რომ უპარტიოება არის ბურ-

¹ ლენინი. „ლიტერატურის შესახებ“, სახელგამი, 1945 წ. გვ. 11.

ყუაზიული იდეა, პარტიულობა კი — პროლეტარული, სოციალისტური იდეა. ჯერ კიდევ მარქსი და ენგელსი „კომუნისტურ მანიფესტში“ წერდნენ, რომ პროლეტარიატი არ მალავს თავის მიზანდასახულებას, ის ყველას გასაგონად ლაპარაკობს ამის შესახებო.

პარტიულობის ლენინური პრინციპი იმ პირობებში სახავდა შემოქმედების თავისუფლების ერთადერთ სწორ და ნამდვილ გზას, აშორებდა მას „ფულის ტომრის“ ბატონობისაგან, რაც ბორჯავდა და სცემდა ხელოვნების სოციალურ აზრსა და დანიშნულებას, მის ამალღებულ და კეთილშობილურ ხასიათს. „წინააღმდეგ ბურჟუაზიული ზენეგულელებისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული სამეწარმეო, ჩარჩული ბეჭედითი სიტყვისა, წინააღმდეგ ბურჟუაზიული ლიტერატურული კარიერისა და ინდივიდუალიზმისა, „ბატონკაცური ანარქიზმისა“ და მოგებისადმი გამოღვევებისა, — სოციალისტურმა პროლეტარიატმა უნდა წამოაყენოს პარტიული ლიტერატურის პრინციპი, განავითაროს ეს პრინციპი და ცხოვრებაში გაატაროს იგი, რაც შეიძლება უფრო სრული და მთლიანი ფორმით¹“. ლაპარაკობს რა ყოველი იდეოლოგიის პარტიულობაზე საერთოდ, ლენინი აღნიშნავს ახალ თვისებას, პრინციპულად ახალ ხასიათს პროლეტარული პარტიულობისა, მისი შეგნებული სამსახურით თავისი კლასის იდეალებისა და ბრძოლისადმი. მწერლის ნამდვილი თავისუფლების გზა მდგომარეობს იმაში, რომ იგი განაყოფიერდეს ბოლშევიკური პარტიის იდეებით. მწერალი, რომელმაც თავისი თავი დაუკავშირა ბოლშევიკურ პარტიას, სდგას ყველაზე პროგრესულ პოზიციებზე, მონაწილეობს ხალხის უკეთილშობილესი იდეალების განხორციელებისათვის ბრძოლაში. ამ შემთხვევაში ის სამსახურს გაუწევს არა ვიწრო წრეს, არამედ მთელ ხალხს. ეს გზა უზრუნველყოფს ლიტერატურის ნამდვილ თავისუფლებას.

ლენინი მისთვის ჩვეული სიღრმით არკვევს, თუ რაში მდგომარეობს ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი. „ეს პრინციპი მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ სოციალისტური პროლეტარიატისათვის ლიტერატურული საქმე არ შეიძლება პირთა თუ ჯგუფთა მოგების იარაღი იყოს, იგი საზოგადოდ არ შეიძლება იყოს ინდივიდუალური საქმე, საერთო პროლეტარული საქმისაგან დამოუკიდებელი... ძირს ზეკაცნი ლიტერატორები! ლიტერატურული საქმე უნდა გახდეს საერთო-პროლეტარული საქმის ნაწილი, „პატარა ბორბალი და ხრახნი“ ერთი მთლიანი, დიდი სოციალ-დემოკრატიული მექანიზმისა, რომელიც მოძრაობაში მოჰყავს მთელი მუშათა კლასის მთელ შეგნებულ ავანგარდს“². ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპი გმობს აბოლიტიკურობას და სინამდვილის პასიურ ჰერეტას, ხალხის სასიცოცხლო ინტერესებისადმი გულგრილობას.

პარტიულობის პრინციპი არ ზღუდავს ხელოვნების თავისუფლებას, არ ეწინააღმდეგება მის სპეციფიკურობას, არამედ აძლევს მას დიდ გასაქანს, ფართო შესაძლებლობას. ლენინი მხედველობიდან არ უშვებს საკითხს მწერლის ბუ-

¹ ლენინი. „ლიტერატურის შესახებ“, სახელგამო, 1945 წ. გვ. 8.

² იქვე, გვ. 8.

ნების, ლიტერატურის თავისებურების შესახებ. იგი ებრძვის ნიველირების ყოველგვარ ცდას ხელოვნებაში, მოითხოვს დიდი გასაქანის მიცემას შემოქმედის პირადი ინიციატივისათვის: „უდავოა, ლიტერატურული საქმე ყველაზე ნაკლებად ემორჩილება მექანიკურ შეთანაბრებას, ნიველირებას, უმცირესობაზე უმრავლესობის ბატონობას. უდავოა, ამ საქმეში უშეკვლად საჭიროა მეტი გასაქანი მიეცეს პირად ინიციატივას, ინდივიდუალურ მიდრეკილებებს, გასაქანი მიეცეს აზრსა და ფანტაზიას, ფორმასა და შინაარსს.“¹ ამ მოსაზრებას ვადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ქეშმარიტი შემოქმედების განვითარებისათვის.

ლენინის მოძღვრების თანახმად, პროლეტარიატი უშეკვლად შექმნის თავის ლიტერატურას, რომელიც თავისუფალი იქნება ბურჟუაზიული-პოლიციური გავლენისაგან, კარიერიზმისაგან და ანარქიული ინდივიდუალიზმისაგან. ეს იქნება დიადი, პროგრესიული, ხალხური ლიტერატურა. მის შესახებ წერს ლენინი, რომ „ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, იმიტომ რომ არა ანგარება და არა კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეა და მშრომელებისადმი თანაგრძნობა მიიზიდავს ახალ-ახალ ძალებს მის რიგებში. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, იმიტომ რომ იგი სამსახურს გაუწევს არა სალონების მოყიდვებულ „გმირ-ქალს“, არამედ მილიონობით და ათეული მილიონობით მშრომელებს, რომელნიც ქვეყნის რჩეულთ, მის ძალას, მის მამავალს შეადგენენ. ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, რომელიც კაცობრიობის, რევოლუციური აზრის უკანასკნელ სიტყვას გაანაყოფიერებს სოციალისტური პროლეტარიატის გამოცდილებით და ცოცხალი მუშაობით.“² ამ დახასიათებიდან გამომდინარეობს პრინციპული დებულება—მწერლის რევოლუციური მსოფლმხედველობის აუცილებლად შეერთებისა სოციალიზმისათვის ბრძოლის გამოცდილებასთან. ასეთი შერწყმა თეორიისა და სასიცოცხლო ფაქტებისა, ამაღლებს მწერლის საზოგადოებრივ როლს, განსაკუთრებულ რეზონანს აძლევს მთელ მის შემოქმედებას.

ლიტერატურის პარტიულობის ლენინური პრინციპისათვის სრული მხარდაჭერისა და მისი განვითარების საქმეში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის დიდ სტალინს. სწორედ ამხანაგი სტალინი ვამოხმებურა პირველად ლენინის სტალიანს—„პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“. ვაზ. „Новая жизнь“—ში გამოქვეყნებული ლენინის მწერლის სარედაქციო მიმოხილვა დაუყოვნებლივ დაიბეჭდა ამხანაგ სტალინის მიერ დაარსებულ ვაზ. „Кавказский Рабочий Листок“—ში. ამ სარედაქციო მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ ვაზ. „Новая жизнь“—ში მოთავსებულია ლენინის საყურადღებო სტატია, რომელიც სახავს ახალ ამოცანებს, რათა შევქმნათ პარტიული ბეჭდვითი სიტყვა. მიმოხილვაში განსაკუთრებით ხაზგასმულია ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი.

ლენინის მიერ წამოყენებული ამ ფრიად მნიშვნელოვანი თეორიის განვითარება და გარღმავება მოგვცა დიდმა სტალინმა სტატიაში—„უპარტიო

¹ ლენინი. „ლიტერატურის შესახებ“, სახელგამი, 1945 წ. გვ. 9.

² იქვე, გვ. 11—12.

ახირებულნი.“ ეს სტატია გამოქვეყნდა 1912 წელს, პეტერბურგის გაზეთ „Земля“-ში. არკვევს რა რეაქციის წლებში მოდაში შემოსულ და გავრცელებულ „უპარტიოების“ ბუნებას, ამხანაგი სტალინი წერს:

„რუსეთში არსებობენ მეშამულეები და გლეხები. მათი ინტერესები საწინააღმდეგოა, მათ შორის ბრძოლა — გარდაუვალი მოვლენაა. მაგრამ უპარტიოება გვერდს უვლის ამ ფაქტს, იგი მიდრეკილებას იჩენს მიაფუჩეროს ინტერესთა წინააღმდეგობა.

„რუსეთში არსებობენ ბურჟუები და პროლეტარები. ერთ-ერთი ამ კლასის გამარჯვება მეორეს დამარცხებას ნიშნავს. მაგრამ უპარტიოება ჩქმალავს ინტერესთა წინააღმდეგობას, იგი თვალს ხუჭავს, რომ ვერ შეამჩნიოს მათი ბრძოლის ფაქტი.

„ყოველ კლასს ჰყავს განსაკუთრებული პროგრამის, განსაკუთრებული სახის მქონე თავისი პარტია. პარტიები ხელმძღვანელობენ კლასთა ბრძოლას: უპარტიოებად ბრძოლა კი არ იქნებოდა, არამედ ქაოსი, გაურკვეველობა, ინტერესთა აღრევა. მაგრამ უპარტიოებას არ უყვარს სიციხადე და გარკვეულობა, იგი ამჯობინებს ბუნდოვანებასა და უპროგრამობას.

„კლასობრივ წინააღმდეგობათა მიფუჩეჩება, კლასთა ბრძოლის მიჩქმალვა, ფიზიონომიის უქონლობა, პროგრამულობასთან ბრძოლა, ქაოსისა და ინტერესთა აღრევისაკენ მისწრაფება — ასეთია უპარტიოება“¹.

ეს ღრმა მნიშვნელობის სიტყვები მთელი სიმართლით ახსიათებენ „უპარტიოების“ ბუნებას ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

მართებულად მიუთითებდა „Правда“ სარედაქციო წერილში: „ლენინის სტატიის „პარტიული ორგანიზაცია და პარტიული ლიტერატურა“ გენიალური იდეები აღაფრთოვანებდნენ და აღაფრთოვანებენ მწერლებს მტრული ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, ყველაზე მოწინავე, ყველაზე იდეური სოციალისტური ლიტერატურის განვითარებისათვის ბრძოლაში. გამყიდველი ბურჟუაზიული ლიტერატურის საწინააღმდეგოდ ლენინმა წამოაყენა ნამდვილად თავისუფალი, პროლეტარიატთან აშკარად დაკავშირებული, სოციალიზმის იდეებით გამსჭვალული ლიტერატურის პრინციპი. ეს ლიტერატურა მოწოდებულია ემსახუროს „მილიონობით და ათეულ მილიონობით მშრომელებს, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ნაწილს, მის ძალას, მის მომავალს წარმოადგენენ“. ამ მიმართულებით ვითარდება საბჭოთა ლიტერატურა. მის არა აქვს სხვა ინტერესი, ვარდა ხალხის, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესისა“.

ლენინმა ამხილა სიყალბე ლიტერატურის „უპარტიოების“ ლოზუნგისა, რომლის საფარველ ქვეშაც გამოდიოდნენ ბურჟუაზიული პარტიები. მაგრამ ლენინის სტატია დაიწერა განსაზღვრულ ისტორიულ-კონკრეტულ ვითარებაში. ამისი დაიწვევა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. სხვა საზო-

¹ ი. სტალინი. თხზულებანი, სახელგამი, 1947 წ. ტ. II, გვ. 244—245.

გადოებრივ პირობებში, როდესაც ჩვენს ქვეყანაში გაიმარჯვა სოციალისტურმა წყობილებამ, შეეხედოთ უპარტიოებს უნდობლობით, არ იქნებოდა მართებული. შემთხვევითი არაა, რომ „Правда“-მ მძაფრად გააკრიტიკა კრიტიკოსი ბელიკი, რომელმაც ხელოვნურად გაპყლი მწერალი-კომუნისტები და მწერალი-უპარტიოები, დაუპირისპირა პარტიული მწერლები უპარტიო მწერლებს. „ლენინური სიტყვების რეალური, კონკრეტულ-ისტორიული აზრი ვერ შეუგნია ყოყოჩა ვაი-კრიტიკოს ა. ბელიკს. მექანიკურად გადააქვს რა ბურჟუაზიული უპარტიობის ლენინური კრიტიკა საბჭოთა ლიტერატურაზე, ა. ბელიკი ამახინჯებს ლენინურ დებულებათა აზრს, იძლევა არასწორ წარმოდგენას პარტიის პოლიტიკაზე უპარტიო მწერლების მიმართ“. ახლა ვითარება ჩვენს ქვეყანაში ძირეულად შეიცვალა. სოციალიზმის გამარჯვების შედეგად ჩვენში ჩამოყალიბდა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, შეიქმნა კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკი.

„წინათ კომუნისტები უპარტიოებს და უპარტიობას ერთგვარი უნდობლობით ეპყრობოდნენ,—ამბობს ამხანაგი სტალინი,—ეს იმით აიხსნება, რომ უპარტიობის დროში ხშირად თავს იფარავდნენ სხვადასხვა ბურჟუაზიული ჯგუფები, რომლებისთვისაც ხელსაყრელი არ იყო უნიღბოდ გამოსულიყვნენ ამომრჩეველთა წინაშე. ასე იყო წარსულში. მაგრამ ახლა ჩვენში სხვა დროა. ახლა უპარტიოებს ბურჟუაზიისგან ბარიერი ჰყოფს, რომელსაც საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილება ეწოდება. იგივე ბარიერი აერთიანებს უპარტიოებს კომუნისტებთან, საბჭოთა ადამიანების ერთ საერთო კოლექტივად. ცხოვრობენ რა საერთო კოლექტივში, ისინი ერთად იბრძოდნენ ჩვენი ქვეყნის ძლიერების განმტკიცებისათვის, ერთად ომობდნენ და სისხლს ღვრიდნენ ფონტებზე ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და სიდიადისათვის, ერთად ჰედდნენ და გამოჰედეს გამარჯვება ჩვენი ქვეყნის მტრებზე. განსხვავება მათ შორის მხოლოდ ის არის, რომ ერთნი პარტიაში არიან, მეორენი კი არა. მაგრამ ეს განსხვავება ფორმალურია. მნიშვნელოვანია ის, რომ ერთნიც და მეორენიც ქმნიან ერთ საერთო საქმეს“.¹ ჩვენი ვალაა ღრმად ჩავწვდეთ ამ სიტყვების აზრს.

სოციალისტური საზოგადოების პირობებში საბჭოთა მწერლების მთელი მასა დაირაზმა კომუნისტური პარტიის გარშემო, ისინი საერთო ძალით ქმნიან ყველაზე მოწინავე ლიტერატურას მთელ მსოფლიოში. ლენინ-სტალინის პარტიის დიადი იდეები შეადგენენ მათი შემოქმედების მთავარ, განმსაზღვრელ შინაარსს. ამიტომ შეცდომა იქნება დღეს დაუპირადაპირობო პარტიული მწერლები უპარტიოებს. პარტია ერთნაირად ზრუნავს ყველა საბჭოთა მწერალზე, სულერთია ის პარტიული თუ უპარტიოა, რადგანაც ისინი თავიანთი შემოქმედებით გამსახურებიან კომუნისტების მშენებლობას ჩვენს ქვეყანაში.

¹ ი. სტალინი. „სიტყვა ქალაქ მოსკოვის სტალინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასარჩევნო კრებაზე, 1946 წლის 9 თებერვალს“.

*
* *

სოციალისტური რეალიზმი შეადგენს საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებით მეთოდს. ეს მეთოდი, რომელიც ემყარება მოწინავე რევოლუციურ მსოფლმხედველობას, არ არის უბრალო გაგრძელება „ძველი რეალიზმისა“, ეს არის პრინციპულად ახალი, თვისობრივად განსხვავებული მეთოდი შემოქმედებისა, უმაღლესი სახეობა მხატვრული რეალიზმისა. მასში ორგანულად გვაქვს შერწყმული ახალი იდეები და ახალი პოეტური ფორმები. მის საფუძველს შეადგენს მეცნიერული მსოფლმხედველობა მარქსიზმ-ლენინიზმისა. ცნობილია, რომ სოციალისტური რეალიზმის, როგორც მხატვრული ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდის განსაზღვრა ეკუთვნის ამხანაგ სტალინს.

სოციალისტური რეალიზმი იმიტომ ვახდა საბჭოთა ლიტერატურის განმსაზღვრელი შემოქმედებითი მეთოდი, რომ ის არის ისტორიულად პროგრესიული და ყოვლის შემცველი მეთოდი სინამდვილის წვდომისა; სოციალისტური რეალიზმი—არის პრინციპი მწერლის მიერ სამყაროს ახლებურად ხედვისა და გააზრებისა; ის მწერლის წინაშე შლის კემშარიტად განუსაზღვრელ შესაძლებლობებს და ამავე დროს მოითხოვს მისგან აქტიურად შექრას ცხოვრებაში, ნათელ წარმოდგენას ისტორიული პროცესის აზრისა და არსის შესახებ. თუ ძველი ტიპის რეალიზმი—კრიტიკული რეალიზმი, უმთავრეს ამოცანას ხედავდა თავისი დროის ექსპლოატატორთა საზოგადოებრივი წყობილების კრიტიკაში, სოციალისტური რეალიზმი იბრძვის განახლებული და გარდაქმნილი ცხოვრების განმტკიცებისათვის. ეს არის აქტიური, სინამდვილის ახალი ფორმების განმამტკიცებელი რეალიზმი. ცხოვრების სიმართლით გამოხატვა, ახალ მოვლენათა არსში ჩაწვდომა, ჩვენება მომავლის თვისებებისა თანამედროვეობაში—აი, ეს არის დამახასიათებელი ჩვენი რეალიზმისა, სოციალისტური რეალიზმისა.

პირველად ლიტერატურის ისტორიაში სოციალისტური რეალიზმში მოგვეცა დასრულებული და თანამიმდევარი გადაწყვეტა რეალიზმისა და რომანტიზმის პრობლემისა. ჩვენი საბჭოთა თანამედროვეობისადმი ღრმა ერთგულებასთან ერთად დანახო, განჭვრიტო მომავალი, ხელი შეუწყო მის დადგინებას, — არსებითი თვისებაა სოციალისტური რეალიზმისა. საბჭოთა ლიტერატურისათვის სავალდებულოა ცხოვრების სიმართლე, ის დგას რელურა სინამდვილის საფუძველზე, ცხოვრებას განიხილავს მოძრაობაში, განვითარებაში. მისთვის უცხოა ძველი ტიპის რომანტიკა, რომელიც ხატავდა არ არსებულ ცხოვრებასა და გმირებს, სამაგიეროდ, მას ახასიათებს ახალი ტიპის რომანტიკა, რადგანაც თვით ჩვენი სინამდვილისათვის არის ნიშანდობლივი ამაღლებული რომანტიკული გმირობა.

ამ პრობლემასთან უშუალო კავშირი აქვს ამხანაგ სტალინის სიტყვებს ჩვენი მწეებლობის პერსპექტივების შესახებ: „ჯეროვნად შენება არ შეიძლება, თუ არ იცი—რისთვის აშენებ. ერთი ნაბიჯითაც არ შეიძლება წინ წაიწიო, თუ არ იცი მოძრაობის მიმართულება. პერსპექტივის საკითხი უმნიშვნელოვანესი

საკითხია ჩვენი პარტიისათვის, რომელიც მიჩვეულია, რომ წინ ნათელი და გარკვეული მიზანი ჰქონდეს. ვაშენებთ სოციალიზმისათვის იმ იმედით, რომ სოციალისტური მშენებლობა გაიმარჯვებს, თუ ვაშენებთ საალბათოდ, ბრმად, იმისათვის, რომ „მთელ მსოფლიოში სოციალისტური რევოლუციის მოლოდინში“ ნიადაგი ვაგუპოხიეროთ ბურჟუაზიულ დემოკრატიას, — ეს არის ახლანდელი ერთი ძირითადი საკითხი. არ შეიძლება ჯეროვნად მუშაობა და შენება, თუ არ გაქვს ნათელი პასუხი ამ არა ნაკლებ ნათელ კითხვაზე. ასობით და ათასობით პარტიული მუშაკები, პროფესიონალისტები და კოოპერატორები, სამეურნეო დარგისა და კულტურის დარგის მუშაკები, სამხედრო მუშაკები და კომკავშირელები მოგემართავენ ჩვენ, გვეკითხებიან ჩვენ, ეკითხებიან ჩვენს პარტიას: საითკენ უნდა წაიყვანოთ საქმე, რისთვის უნდა ვაშენოთ? და ვაი იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც ვერ შესძლებენ ან არ ისურვებენ ნათელი და გარკვეული პასუხი გასცენ ამ კითხვაზე, რომლებიც დაიწყებენ გაძრომ-გამოძრომას და ადამიანებს გაგზავნიან მონტოელისაგან პილატესაკენ, ინტელიგენტურ სკეპტიციზმში ჩაახშობენ ჩვენი მშენებლობის სოციალისტურ პერსპექტივებს¹. ეს ღრმა მნიშვნელობის სიტყვები ნათელჰყოფენ სოციალისტური რეალიზმის ბუნებასაც, მასში რომანტიზმის მნიშვნელობასა და ხასიათს; ამ ფორმულაში გამოირიცხულია ყოველგვარი სინთეზი რეალიზმისა და რომანტიზმისა, როგორც განსხვავებული ლიტერატურული სტილისა და პრინციპისა. სოციალისტური რეალიზმი ორგანულ მთლიანობაში გვაძლევს საბჭოთა ლიტერატურის შემოქმედებითი მეთოდს.

*
**

ლიტერატურის იდეურობის ლენინურ-სტალინურ პრინციპთან მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა პატრიოტიზმის იდეა. ჩვენი ქვეყნის მშრომელებს მხურვალედ უყვართ თავიანთი სამშობლო, წმინდათ ინახავენ მის სახელოვან ტრადიციებს. საბჭოთა პატრიოტიზმი ჩამოყალიბდა დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებისათვის და სოციალისტური საზოგადოების აშენებისათვის ჩვენი ხალხების მიერ ჩატარებულ ისტორიულ ბრძოლებში. საბჭოთა პატრიოტიზმის საფუძველი ეს არის ჩვენი ხალხის განუსაზღვრელი სიყვარული სოციალისტური წყობილებისადმი, თავდადებული ერთგულება სოციალისტური სამშობლოსადმი. „საბჭოთა პატრიოტიზმის ძალა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — იმაში მდგომარეობს, რომ მის საფუძველს წარმოადგენენ არა რასობრივი, ან ნაციონალისტური ცრურწმენანი, არამედ ხალხის ღრმა ერთგულება თავისი საბჭოთა სამშობლოსადმი, ჩვენი ქვეყნის ყველა ერის მშრომელთა ძმური თანამეგობრობა. საბჭოთა პატრიოტიზმში ჰარმონიულად შეხამებულია საბჭოთა კავშირის ხალხთა ნაციონალური ტრადიციები და ყველა მშრომელთა საერთო სასიცოცხლო ინტერესები. საბჭოთა პატრიოტიზმი კი არ სთიშავს, არამედ, პირიქით, ერთიან ძმურ ოჯახად აკავშირებს ჩვენი ქვეყნის

¹ ი. სტალინი. თხზულებანი, სახელგამი, 1947 წ. ტ. VII, გვ. 225—226.

ყველა ერსა და ეროვნებას.¹ საბჭოთა პატრიოტიზმში ხალხთა ნაციონალური ტრადიციებისა და მშრომელთა საერთო სასიცოცხლო ინტერესების ჰარმონიული შერწყმა მიღწეულია საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძველზე, ბოლშევიკური პარტიის ბრძნულ ნაციონალურ პოლიტიკის საფუძველზე.

საბჭოთა პატრიოტიზმი სათუთად ინახავს საბჭოთა ხალხების საუკეთესო, მოწინავე, ჯანსაღ ტრადიციებს, ანეითარებს და ამიღიდრებს მას იმ ახალი ტრადიციებით, რაც შეიქმნა სოციალისტური ურთიერთობის პირობებში. მგზნებარე პატრიოტიზმი იყო წყარო ჩვენი ხალხის ყველა შემოქმედებითი მიღწევებისა. მსოფლიო ისტორიამ არ იცის წარსულში სხვა მაგალითი ისეთი ცხოველყოფელი და ძლიერი პატრიოტული გრძნობისა, რაც შექმნა ჩვენს ქვეყანაში გამარჯვებულმა სოციალიზმმა.

საბჭოთა პატრიოტიზმის თემას უქირავს მთავარი ადგილი საბჭოთა ლიტერატურაში. არ არსებობს საბჭოთა მწერლისათვის უფრო სასახელო და საამაყო თემა, ვიდრე გამოხატვა სიყვარულისა სამშობლოსადმი. სოციალისტური წყობილების პირობებში საბჭოთა პატრიოტიზმი გახდა ხალხის ცხოვრების კანონი. საბჭოთა ლიტერატურის საუკეთესო ნაწარმოებებში სრულ გამოხატულებას პოულობს საბჭოთა პატრიოტიზმის, როგორც ახალი ტიპის პატრიოტიზმის ეს თვისებები. სამამულო ომის წლებში განსაკუთრებით მძლავრად გამოჩვენდა საბჭოთა ლიტერატურის პატრიოტული სულისკვეთება, მისი მებრძოლი მიმართულება. სამშობლოსადმი ამიღლებულ სიყვარულს გამოხატავს ქართველი პოეტების, პროზაიკოსების და დრამატურგების მრავალი ნაწარმოები. საკამარისია დავასახელოთ: გ. ლეონიძის „სამშობლოს“, „სიმღერა ბელადზე“, „არ დაიდარდო დედაო“, გ. ტაბიძის—„სამშობლო, უპირველეს ყოვლისა“, ა. მირცხულავას—„ჰიმნი სამშობლოს, „სამშობლო ბელადისა“, ა. აბაშელის—„არ მოუშვა, დაჰკარი“, ს. ჩიქოვანის—„სიმღერა დავით გურამიშვილზე“, ლ. ქიაჩელის—„მთის კაცი“, ი. გრიშაშვილის—„ორი სიტყვა“, ი. მოსაშვილის—„სამშობლოვ ჩემო“, „აი, ქართველო, შენი სამშობლო“, კ. კალაძის—„ქართველი მხედრის სიმღერა“, „ბარათი დედას“, ი. აბაშიძის—„კაპიტანი ბუხაიძე“, ა. გომიაშვილის—„სამი სიმღერა სამშობლოზე“, შ. აფხაიძის—„სამშობლოსადმი“, რ. გვეტაძის—„ცხოვრება იწყება თავიდან“, კ. ლორთქიფანიძის—„მწვენი ღილი“, გრ. აბაშიძის—„ძღვეის ქედი“, „სამხრეთ საზღვარზე“, ს. შანშიაშვილის—„კრწანისის გმირები“ და სხვები. საბჭოთა ლიტერატურაში გამოხატული მგზნებარე პატრიოტიზმი დიდ როლს ასრულებს მასების პოლიტიკურ აღზრდაში.

ამიღლებული პატრიოტიზმი უნდა ახასიათებდეს საბჭოთა მწერლის ყოველ ნაწარმოებებს, სულ ერთია, რა თემაზედაც არ უნდა წერდეს იგი. საკოლმეურნეო ცხოვრება, სოციალისტური წარმოება, შრომა, წარსული,—საბჭოთა მწერლის მიერ გამუქებული უნდა იქნეს იმ გრანდიოზულ ამოცანათა საფუ-

¹ ი. ს. ტაღლინი. „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“, სახელგამი, 1947 წ. გვ. 178—179.

ძვლზე, რასაც ისახავს ლენინ-სტალინის პარტია. ქართული საბჭოთა ლიტერატურის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მისი საუკეთესო წარმომადგენლების ნაწარმოებნი მართლაც გამსჭვალულია რევოლუციური სულისკვეთებით, პატრიოტული შეგნებით.

*
*
*

საბჭოთა ქვეყანაში ბოლშევიკური პარტიის პოლიტიკა წარმოადგენს სოციალისტური წყობილების სასიცოცხლო საფუძველს. იდეოლოგიური მუშაობის ყველა დარგის მაღალ-იდეური სულისკვეთებით გამსჭვალვის მოთხოვნა, გამოხატავს ძირითად ინტერესებს მთელი საბჭოთა ხალხისა, რომელიც სავსებით მხარს უჭერს ბოლშევიკურ პარტიას. საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის აუცილებელ, ურყვე პრინციპებს შეადგენენ იდეურობის, ხალხურობის, ისტორიზმის პრინციპები. ამ პრინციპების შეუფასებლობას ან მისგან ოდნავ გადახვევასაც — კი, მივეყვართ. ყოველი სახის შეცდომისაკენ.

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენილებებმა იდეოლოგიური საკითხებზე, ახალ საფეხურზე აიყვანა ბოლშევიკური იდეურობის პრინციპი. ეს დადგენილებანი გვავალებენ დავიცვათ მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურათმცოდნეობის სიწმინდე.

ჩვენი ლიტერატურა, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სოციალისტურ მშენებლობაში და გამოხატავს საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალ პათოსს, უპირისპირებად ამერიკულ-ინგლისურ ბურჟუაზიულ დეკადენტურ ლიტერატურას, რომელიც გამსჭვალულია უიდეობით, ინდივიდუალიზმით, ავადმყოფური სულისკვეთებით, დაცემისა და ველურობის აპოლოგიით. „პოეტი არ შეიძლება ჩვერიოთ პოლიტიკაშიო,“ — აცხადებს ინგლისელი დეკადენტი სტივენ სპენდერი. მაგრამ მისი თანამოკალმე, კოსმოპოლიტურ-კათოლიკური ლიტერატურის წარმომადგენელი ელიოტი საკმაო პირდაპირობით განმარტავს, თუ ნამდვილად რას ნიშნავს ეს ბრძოლა პოლიტიკასთან: „ჩვენ განაჩენი გამოგვაქვს პოეზიისა, რომელსაც ეწოდება პოლიტიკური, თუ ჩვენ არ ვეთანხმებით იმ პოლიტიკას, რომელსაც ის გამოხატავს“. თანამედროვე ამერიკულ-ინგლისელ დეკადენტებმა სავსებით დაადასტურეს ამ ფორმულის სიმართლე. ისინი, რომლებიც „წმინდა ხელოვნების“ საფარველით უარყოფენ პოლიტიკას, იდეურობას, ნამდვილად რეაქციულ-იმპერიალისტური პოლიტიკის ერთგული დამცველნი არიან.

რეაქციულ-ბურჟუაზიული მწერალი და ფილოსოფოსი სარტრი ცდილობს თავისი ერთგულება ამერიკულ-ინგლისელი იმპერიალისტებისადმი დაფაროს „უპარტიოების“ საშოშველით. სარტრი აცხადებს, რომ მწერალს არ აქვს უფლება დაკავშირებული იყოს ერთ კლასთან, ერთ პარტიასთან, რომ პარტიულობა ეწინააღმდეგება ლიტერატურის ბუნებას. მაგრამ თავის სტატიაში — „რა არის ლიტერატურა?“ იგი ამჟღავნებს თავისი „უპარტიოების“ ნამდვილ ხასიათს. სარტრი წერს: „მე თუ მკითხავენ, მწერალი უნდა ემსახუროს თუ არა კომუნის-

ტურ პარტიას, მე ვუბახუბებ—არა!“ ნათელია ამ სიტყვების მთელი აზრი. აპო-ლიტიკურობის საფარველით სარტრი და მისი მსგავსნი „წმინდა ხელოვნების ქურუმნი“ არსებითად იცავენ ყოველივე რეაქციულს, ამართლებენ მონოპოლი-სტური ბურჟუაზიის შავ საქმეებს.

ბოლშევიკური პრინციპი იდეურობისა მახვილი იარაღია, რომლითაც უნდა ვამხილოთ მანე აზრები ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმისა. კოსმოპო-ლიტიზმი—ეს არის უარყოფა ხალხების ნაციონალური ტრადიციებისა და კულ-ტურისა, უარყოფა ნაციონალური დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტისა, კოს-მოპოლიტიები არსებითად უგულვებელყოფენ ცალკეულ ხალხთა ლიტერატურის თვითმყოფად განვითარებას. კოსმოპოლიტიზმის საფარველით ცდილობენ ინ-გლისელი და ამერიკელი იმპერიალისტები დაფარონ თავიანთი დამპყრობელო-ბითი, მსოფლიოში ბატონობის პოლიტიკა.

საბჭოთა ქვეყნის სიძლიერე და განუხრელი აღმავლობა კომუნისმის მა-ღალი საფეხურებისაკენ, საერთაშორისო რეაქციის, რომელსაც ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტები მეთაურობენ, გააფთრებასა და გაცოფებას იწვევს. დაღუპვისაკენ მიმავალმა, განწირულმა ბურჟუაზიამ აშკარად გამოაცხადა ეგ-რედწოდებული „იდეოლოგიური ლაშქრობა“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ასეთ რთულ ვითარებაში უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანები დგას ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის ყოველი მოღვაწის წინაშე. ამ გრანდიოზული ამო-ცანების პირობებში მეტისმეტად სახიფათო და მოუთმენელია ძველი, ჩამორ-ჩენილი შეგნების ნიშნები, რაც სამწუხაროდ ახასიათებს ჩვენი სამწერლო და სამეცნიერო ინტელიგენციის ზოგიერთ წარმომადგენელს. განსაკუთრებით სა-ხიფათოა კოსმოპოლიტიზმის იდეოლოგია, რომლის შემადგენელ ნაწილს შეა-დგენს ქედმოხრილობა ბურჟუაზიულ კულტურის წინაშე. ამ საშიშ გარემოებაზე დროულად გაამახვილა ყურადღება გაზ. „Правда“-მ და „Культура и жизнь“-მა.

სამწუხაროდ, ქედმოხრილობასა და ანტიბატრიოტულ შეხედულებებს ატა-რებდა თავის ნაშრომებში ქართული ლიტერატურის ზოგიერთი მკვლევარი. სა-ესებით მართებულად იქნენ მხილებულნი ამ შეცდომათა მატარებელნი გაზ. „კომუნისტის“ ფურცლებზე, წერილში—„ლიტერატურის ისტორიის გაყალ-ბებისა და ანტიბატრიოტიზმის წინააღმდეგ“. ჩვენს ლიტერატურათმცოდნეო-ბაში ვხვდებით ქართული კულტურისა და კერძოდ ქართული ლიტერატურის თვითმყოფადი ხასიათის უგულვებელყოფას, ქართული ლიტერატურის განვი-თარების უცხოური გავლენით ახსნას, ქართული ლიტერატურის მოვლენათა განხილვას ქართული ხალხის ცხოვრებისა და ბრძოლის ისტორიისაგან მოწყ-ვეტიით. ჩვენი ვალაია მკაცრად ვამხილოდ ჩვენი ეროვნული ღირსების და-მამცირებელი შეხედულებანი. ჩვენი საბჭოთა ინტელიგენცია მოწოდებულია აღ-ზარდოს ჩვენ ხალხში საბჭოთა ნაციონალური სიამაყის გრძობა. ამიტომ სრუ-ლიად მოუთმენელია სამარცხვინო ქედმოხრილობა ბურჟუაზიული დასავლეთისა და ჩამორჩენილი ფეოდალური აღმოსავლეთის წინაშე. რაც უფრო მაღე გა-მოგასწორებთ ჩვენს შეცდომებს, რაც უფრო მეტ მეცნიერულ გაბედულებას და მოქალაქეობრივ შეგნებას გამოვიჩინთ ამ მხრით, იმდენად უფრო წინ წაე-

წევთ ჩვენი მეცნიერების საქმეს. ბრძოლა კოსმოპოლიტიზმის წინააღმდეგ არ ატარებს კამპანიურ ხასიათს. მასთან ბრძოლა სისტემატურად და თანამიმდევრად უნდა გაგრძელდეს.

ლენინისა და სტალინის ყოვლის შემძლე მოძღვრება უნდა იყოს სახელმძღვანელო საბჭოთა კრიტიკისა და ლიტერატურის მეცნიერებისა. იდეოლოგიური ფრონტის ყოველი მოღვაწე უნდა გამოძინარეობდეს იმ ისტორიული ამოცანისაგან, რასაც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ასე სასახელოდ ანხორციელებს საბჭოთა ხალხი.

მანია სინარულიძე

ხალხური პოეზია საკოლმეურნეო სოფლებში

მიმოხილვის ობიექტად აღებული მასალები წარმოადგენს იმ მთქმელების რეპერტუარს, რომელნიც ცხოვრობენ ყვარლის რაიონის ერთ ძირითად ზონაში. ამ ზონაში შედის სოფლები: ყვარელი, შილდა, ენისელი, საბუე, ალმატი, გრემი, შაქრიანი.

საკვლევი მასალები უკანასკნელ წლებშია მოპოვებული. აქ შედის „საუნჯის“ ტომებში გამოქვეყნებული მასალა, ჩვენი საკუთარი ჩანაწერები 1943 წელს გრემში და 1944 წელს შილდაში სამეცნიერო მივლინებაში ყოფნისას; დიდი ნაწილი მასალებისა შეკრებილია 1947 წელს ჩვენი ხელმძღვანელობით ჩატარებული ექსპედიციის მიერ. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ კვალიფიციური ფოლკლორისტები: დოც. ელენე ვირსალაძე, თამარ ოქროშიძე, ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკი აპოლონ ცანავა და მედეა ოქროშიძე.

ყვარლის რაიონი მეტად მდიდარია ხალხური სიტყვიერების სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებებით. გავრცელებულია როგორც ძველი ფოლკლორული ნიმუშები, ისე თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები. საბჭოთა წყობილების დამყარება საქართველოში, დაპირისპირება ძველი და ახალი ყოფისა, კოლექტიური მეურნეობა, სოციალისტური ინდუსტრიის სწრაფი ზრდა, დიდი ბელადების—ლენინისა და სტალინის სახეები, ჩვენი აღამიანების შრომითი მამაცობა—სრულ გამოხატულებას პოულობენ ამ ლექსებში. ყვარლის რაიონში გავრცელებულია ლექსები დიდ სამამულო ომზე. ამ ლექსების ნაწილი ომის უშუალო მონაწილეთა მიერ არის შექმნილი. ისინი ასახავენ ომის მნიშვნელოვან ეპიზოდებს და საბჭოთა არმიის მსოფლიო—ისტორიულ გამარჯვებას. ამ ლექსებისათვის დამახასიათებელია ნათელი რეალიზმი.

ძველი ზეპირსიტყვიერებიდან განსაკუთრებით ძლიერია ფანტასტიკური ზღაპრების ტრადიცია; მეტად გავრცელებული ყოფილა ამ რაიონში აგრეთვე საწესო-მაგიური პოეზიაც; საკმაო რაოდენობითაა საგმირო-საისტორიო ნაწარმოებნი, ადგილობრივი ხასიათის თქმულებანი, ეპიკური ციკლის ნაწარმოებნი, საგმირო, საყოფაცხოვრებო და სატრფიალო ლირიკული და ლირიკულ-ეპიკური ლექსები, მცირე ჟანრის ნაწარმოებნი და სხვ.

ყვარლის რაიონში ისე, როგორც საქართველოს სხვა კუთხეებში, ყურადღებას იპყრობს რეპერტუარის ასაკობრივი განაწილება. გვხვდება მთქმელთა მრავალგვარი ტიპი. ზოგს თემატიკურად და ჟანრობრივად მრავალფეროვანი რეპერტუარი აქვს, ზოგი კი ფოლკლორის მხოლოდ გარკვეული უბნის ნაწარმოებებს ასრულებს.

ამ ნარკვევში მიზნად ვისახავთ დავახასიათოთ ხალხური პოეზიის ცალკეული უბნების ტრადიცია.

ეპიკური ციკლის ნაწარმოებების (ამირანიანი, როსტომიანი, ტარიელიანი, ეთერიანი) და პროზული ჟანრის ნაწარმოებთა ტრადიცია ცალკე იქნება განხილული.

* * *

საბჭოთა ფოლკლორი ყვარლის რაიონში წარმოდგენილია მხოლოდ პოეზიის ნიმუშებით. თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ლექსების ნაწილის ავტორები ცნობილია. ესენია: სოფელ ყვარლის მცხოვრებნი—სანდრო ჭიბოშვილი და სანდრო ახალკაცი¹, სოფელ საბუის მცხოვრებნი—გიორგი ნანიკაშვილი და მეწისქვილე ვასილ ნადირაშვილი და სამამულო ომის მონაწილენი, სოფელ გრემის მცხოვრებნი—იროდიონ ტატულაშვილი და სოფელ ალმატის მცხოვრებნი—ვალეკო ჟიჟიაშვილი, ლეო ტურაშვილი და გიორგი ბაწილაშვილი. სანდრო ჭიბოშვილია და სანდრო ახალკაცი ყვარელში კარგ მოლექსეებად ითვლებიან. მათი რეპერტუარის ნაწილი, კერძოდ, საკუთარი ლექსები ფართო მკითხველი მასისათვის ცნობილია „საუნჯის“ ტომებიდან. „ქვეით უბანში მე ვიყავი და ზეით ახალკაცი“,—ასე განაცხადა ახალი ცხოვრების გზებით მომღერალმა, წელში მოხრილმა პატარა ტანის 70 წლის მოხუცმა ს. ჭიბოშვილმა, როდესაც მისი რეპერტუარის ფიქსაციას ახდენდა ფოლკლორული ექსპედიცია 1947 წელს. მისივე ცნობით, იგი ყვარელში სადილზე შეხვედრია დიდ ქართველ მგოსანს ვაჟა-ფშაველას, რასაც წერა-კითხვის მცირე მცოდნე მოლექსეზე, რომელიც წიგნებს არ კითხულობს, დიდი გავლენა მოუხდენია. სანდროს ვაჟისთვის სუფრაზე უმღერია „ღურუჯი“, რომელიც იმჟამად გამოქვეყნებულია.² ამის შესახებ ს. ჭიბოშვილმა ექსპედიციას აცნობა: „იმავე მითხრა: სანდრო ეგ ლექსი არ დაივიწყო, ვაზეთებში გავა ესაო. მერე მე მასწავლა მუხლებზე მიყოლა—პირველი სიტყვა იმდენი უნდა აბრუნო, სანამ გეყოფა, სანამ მიგვეყვს, მიჰყეო და მერე გადააბრუნეო და ახლა მეორე მუხლი მეორე სიტყვაზე ასხიო. მართლაც, იმას მივეყე და მარჯვედ მომიდიოდა“³. ბერის მხრივ საგულისხმო ეს ცნობა ამ შემთხვევაში იმიტომ მოვიყვანეთ, რომ სანდრო ჭიბოშვილს ახალი ლექსებიც იმავე შემოქმედებითი ხერხებით აქვს შექმნილი, როგორც ძველი საყოფიერო და სატრფიალო ლექსები. სანდრო ჭიბოშვილის მიერ შექმნილი თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ლექსები თემატიკურად მრავალფეროვანია. ამ ლექსების თემა დიდი ბელადების—ლენინისა და სტალინის სახეები⁴; კოლექტიური მეურნეობა⁵; ახალი ცხოვრების უპირატესობა წარსულზე⁶; პირველი მაისი⁷; დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება⁸.

¹ ს. ახალკაცი გარდაიცვალა 1948 წელს.

² „საუნჯე“, ტ. II, გვ. 18.

³ საქართველოს სსრ მეცნ. აკად. რუსთაველის ინსტიტუტის ფოლკლორის არქივის მას. № 30166

⁴ „ლენინმა უთხრა თავადებს“, „საუნჯე“, ტ. II, გვ. 80; „თუმცა არა გვეყვს ლენინი“, რაიონული გაზ. „ლენინური გზით“, 1940 წ. № 4; „სტალინისა“, ჩაუბრელი 1947 წელს ფოლკლორული ექსპედიციის მიერ ფ. არქ. № 30166.

⁵ „კოლმეურნის სიმღერა“, „საუნჯე“, ტ. I, გვ. 125.

⁶ „საახალწლო მილოცვა“, „ლენინური გზით“, 1938 წ. № 64.

⁷ „პირველ მაისს“, „ლენინური გზით“, 1939 წ., № 20.

⁸ ჩაწ. 1947 წ. ფოლკლორ. ექსპედიცია—ფ. არქ. № 30167.

ახალგაზრდული გზებით უმღერის ახალ ცხოვრებას სანდრო ახალკაციც. „საუნჯის“ ფურცლებიდან ცნობილ საინტერესო მოლექსის რეპერტუარის ფიქსაცია მოახდინა 1947 წელს ფოლკლორულმა ექსპედიციამ. 76 წლის მოხუცი უკვე ლოგინად იყო ჩავარდნილი. მან წერა-კითხვა კარგად იცოდა. როდესაც ექსპედიცია ესტუმრა, ხელში ეჭირა მე-10 კლასის სახელმძღვანელო—„ქართული ლიტერატურის ქრესთომატია“. სანდრო ახალკაცი ყოფილი მწყემსია. საკუთარ ლექსებს გარდა აქვს მრავალფეროვანი რეპერტუარი ყოველი ჟანრის ხალხური სიტყვიერებისა. მისი საკუთარი ორი ლექსი, ჩაწერილი 1947 წ. დიდი სტალინისადმი მიძღვნილი¹. ერთი—კი დაცინვა ძველი ყოფის გადმონაშთისა. უკანასკნელი ლექსი სათაურით „ღვდღებისა“ ჩაწერილია 1947 წ. ფოლკლორული ექსპედიციის მიერ². ამავე ლექსის ვარიანტი ავტორ-მთქმელის სახელის მითითებით თერთმეტი წლის წინ გამოქვეყნდა „საუნჯის“ ფურცლებზე სათაურით „ეს რა ვნახე.“³ სათაური ცხადია რედაქციამ შეუცვალა ლექსს. ამ ლექსის ადრე და გვიან ჩაწერილი ვარიანტების შედარება იძლევა შესაძლებლობას გავითვალისწინოთ, თუ წლების მანძილზე ერთი და იგივე მთქმელი როგორ ცვლის თავის ნაწარმოებს. გამოქვეყნებული ვარიანტი 38 სტრიქონია, ახალ ჩაწერილი კი—60 სტრიქონი. ზოგი სტრიქონი შესაძლებელია რედაქციამ ამოიღო. მათ შორის საერთოა 33 სტრიქონი, აქედან—ცხრა სტრიქონი შეცვლილია. მაგრამ სტრიქონების შეცვლა რომ ყოველთვის რედაქციას არ ეკუთვნის, ეს ნათლად ჩანს ერთ მაგალითზე. დაბეჭდილი ვარიანტით მღვდელს აღშფოთებაში მოყავს „პაწაწა გოგონა“. ახალ ჩაწერილით—კი „ახალგაზრდა კომუნისტი“, რაც უფრო ნათლად გვაჩვენებს ახალი ადამიანის ბრძოლას ძველი ყოფის გადმონაშთების წინააღმდეგ. გარდა ამისა, ახალ ჩაწერილ ვარიანტში მეტრი დაცულია, რაც დარღვეულია დაბეჭდილში. ავტორ-მთქმელმა წლების მანძილზე უფრო გაჩაჩხა თავისი ლექსის ფორმა და ნათელი გახადა მისი შინაარსი.

წლების მანძილზე ავტორ-მთქმელის მიერ საკუთარი ნაწარმოების შეცვლის თვალსაზრისით საინტერესოა აგრეთვე ს. კობოშვილის ლექსის დაბეჭდილი და ახალჩაწერილი ვარიანტები. „საუნჯეში“ დაბეჭდილი ლექსი „ღურღუმა თქვა“⁴ 1947 წელს ექსპედიციამ ავტორ-მთქმელისაგან ჩაწერა საკმაოდ შეცვლილი სახით⁵. ამ შემთხვევაშიაც ცვლილება ყოველთვის რედაქციას არ უნდა ეკუთვნოდეს.

მოხუცი ავტორ-მთქმელების რეპერტუარზე დაკვირვება, ცნობები მათი ლექსების შექმნის გარემოს შესახებ წარმოდგენას გვაძლევს წარსულში პროფესიულ მოლექსეთა ურთიერთობაზე. მათ შორის იყო შეჯიბრი, ერთგვარი ბრძოლა პირველობისათვის. დამახასიათებელია, რომ წარსული დუხჭირი ცხოვ-

¹ ფ. არქ. №№ 30183, 30184.

² ფ. არქ. № 30185.

³ „საუნჯე“, ტ. II, გვ. 18.

⁴ „საუნჯე“, ტ. I, გვ. 264.

⁵ ფ. არქ. № 30169.

რების მომსწრე მოხუცი მოლექსეები, რომელნიც ალტაცებით უმღერიან გაახლებულ ცხოვრებას, ეჯიბრებიან ერთიმეორეს დიდი სტალინის შესახებ საუკეთესო ლექსის გამოთქმაში.

სანდრო ახალკაცი დაბეჯითებით ამბობს, რომ მას ამოუწურავი მარავი აქვს დიდი სტალინის სადიდებელი ლექსებისა:

იქნება ხალხსა ჰგონიათ,
 ლექსები შემომელა?
 ხურჯინის თვლები საცემ მაქ,
 გუდა პირ მუხსნენლა.
 სანდრო ახალკაცის შვილი
 მე ვარ ლექსების მთქმელია,
 შე ვასურათებ ამ ლექსებს
 და ხელიც მამიწვრია.
 გაუმარჯოს ჩვენ დიდ სტალინს
 ჰოე—დილა—დილა—დელა¹.

ეს სტრიქონები გაგრძელება და განვითარებაა წარსულ პროფესიულ მოლექსეთა ტრადიციისა.

თანამედროვე პოეზიის ტრადიციასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ დასახელებული ცნობილი ავტორ-მთქმელების ლექსების ნაწილი დაიბეჭდა რაიონულ გაზეთსა და „საუნჯეში“. ამ გარემოებას მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ჯოჯოხორის გაერცელების გზების გასათვალისწინებლად. ზეპირ ტრადიციასთან ერთად ლექსების გაერცელების ფაქტორი წიგნი თუ გაზეთიც არის.

თანამედროვეობის ამსახველი საკუთარი ლექსები აქვს სოფელ საბუის მცხოვრებ, 60 წლის გიორგი ნანიკაშვილს. 1947 წ. ექსპედიციის მიერ ჩაწერილ მის რეპერტუარში მოიაზრება ერთი ლექსი სოფლის კოლექტივიზაციაზე² და მეორე დიდი სამამულო ომის შესახებ³.

თანამედროვე ხალხური პოეზიის ავტორ-მთქმელთაგან აღსანიშნავია 1947 წ. ექსპედიციის მიერ გამოვლენილი 53 წლის წერა-კითხვის მცირე მცოდნე საბუელი მეწისქვილე ვასილ ნადირაშვილი. მისი ლექსები მიძღვნილია დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებისადმი. მისი რეპარცელოვანი ლექსების ფორმა ტრადიციულია⁴.

ყვარლის რაიონის პოეზიის ტრადიციაში ყურადღებას იპყრობს ფრონტელთა შემოქმედება. ფრონტელი ავტორ-მთქმელების ნაწილი ტრადიციული ხალხური პოეზიის ფორმით ქმნიან დიდი სამამულო ომის ეპიზოდების ამსახველ ლექსებს. ასეთია სოფელ აღმატის მცხოვრები ვალიკო ჟიჟიაშვილი, იგი აღმატში განთქმული მოლექსის იოსებ ჟიჟიაშვილის შვილია. ასეთია აგრეთვე ლეო ტურაშვილი. პირველისაგან საკუთარ ლექსს გარდა, ჩაწერილია ავტორ

¹ „სტალინისა“, ჩაწერილი 1947 წ. ექსპედ. მიერ, ფ. არქ. № 30183.

² ფ. არქ. № 30566

³ ფ. არქ. № 30571.

⁴ ფ. არქ. №№ 30671, 30738.



დაკარგული თანამედროვე ლექსებიც—ერთი ფინეთის ფრონტზე მებრძოლ ვლადიმერ ნანეიშვილზე¹ და მეორეც—ტრანსფორმირებული შაირი სამამულო ომზე². მისგან ჩაწერილია ტრადიციული სატრფიალო შაირებიც. ლეო ტურა-შვილისაგან—კი ჩაწერილია მხოლოდ ერთი მისი საკუთარი ლექსი შექმნილი ომის ცეცხლში³. ამ ავტორ-მთქმელთა ლექსები შაირის ზომითაა, შესრულებული სტრიქონებიც ხალხურ ყაიდაზე—დაბოლოვება „ონით“ ერთმებთან ერთიმეორეს. მათ ლექსებს სასიმღერო ხასიათი აქვს, რაზედაც ლექსის დასაწყისიც კი მიუთითებს ხალხური ინსტრუმენტის ხსენებით:

ხელში ავიღებ ჩონგურსა
გათლილსა ვერვის ხისაო,
დაჟვრამ, ამბებს დავძახებ
ამ ექვსიოდ წლისაო⁴.

ავტორ-მთქმელთა მეორე ნაწილი ცდილობს დაარღვიოს ტრადიციული ხალხური პოეზიის ფორმა-სტილი, მეტრი, რითმა. ისინი ყოველ შემთხვევაში მაინც ვერ ახერხებენ ამას და განიცდიან ტრადიციულ ხალხური პოეზიის დიდ გავლენას. წიგნისა და ზეპირი პოეზიის ტრადიციის ერთგვარი კიდილის მაგალითია მთლიანად გრემის მცხოვრები, ენისლის მეღვინე-მევენახეობის ტექნიკუმის მეოთხე კურსიდან სამამულო ომში გაწვეული 27 წლის იროდიონ ტატულაშვილის შემოქმედება. წიგნის გავლენით შექმნილი მისი ლექსები ათმარცვლოვანია. მოგვყავს მაგალითი ლექსიდან „ფრონტელის თავგადასავალი“:

გავწმინდეთ მტერი ბუხარესტიდან,
სახეზე მომდის ნაკადი ოფლის,
კარპატის მთიდან სიმხიარულის
გამარჯვებების ნიავე მოაქრის.
გადავრჩენილვარ ბევრჯერ ცოცხალი,
ტყვისა ცეცხლში როცა შავჭრილვარ,
გრონის ნაპირზე ფაშისტის ტყვეით
იროდიონი მკლავში დავჭრილვარ⁵.

ავტორ-მთქმელი ყოველთვის ვერ ახერხებს ამ ზომის დაცვას. სამამულო ომის თემაზე შექმნილი მისი პოემის („ტყვეს მდგომარეობა“) ერთი ნაწილის სტრიქონები ათმარცვლოვანია, მეორე ნაწილში იგი უკვე გადადის რვა მარცვლოვან სტრიქონებზე⁶. ლექსი „ჯარისკაცისა“—მთლიანად ხალხურ ყაიდაზეა შექმნილი:

მხოლოდ ექვსი თვე გავიდა,
ორმოცდაერთი წლისაო,
საბჭოთა კავშირს დაეცა
ჯარები გიტლერისაო.

¹ ფ. არქ. № 30514.

² ფ. არქ. № 30515.

³ ფ. არქ. № 30118.

⁴ იქვე.

⁵ ფ. არქ. № 30113.

⁶ ფ. არქ. № 30114.

ამ ლექსის მთქმელი ჩონგურზე
 ყადორის ძირში ხისაო,
 ელის და ელის ბრძანებას
 ყვარლიდან კომისრისაო...
 და სხვა ¹.

ზეპირსიტყვიერების ტრადიციას მიყვება ირ. ტატულაშვილი აგრეთვე იმითაც, რომ ლექსშივე აღნიშნავს თავის ვინაობასა და სადაურობას: „ამის დამწერი იროდიონი მცხოვრებელი ვარ სოფელ გრემშია“²; ან კიდევ: „ოხ, შენ ლექსო დავამთავრე მე იროდი გიოსძემია.“³ უნდა აღინიშნოს, რომ ირ. ტატულაშვილის ლექსები უფრო გამართულია, როდესაც ხალხურ ტრადიციას მისდევს. იგი ხშირად სუფრაზე მღერის საკუთარ ლექსებს. მიუხედავად ვრცელი მოცულობისა, მას ზეპირად ახსოვს ისინი. 1947 წელს ექსპედიციას სხვა ლექსებთან ერთად, მან ჩააწერინა 116 სტრიქონიანი ლექსი „ფრონტელის თავგადასავალი.“⁴ იგი ამ ლექსს მღერის „Кирпичики“-ს ოდნავ გაქართულებული ხმით.

ირ. ტატულაშვილს აქვს აგრეთვე სატრფიალო ლექსები ფრონტიდან მოწერილი სატრფოსადმი, რასაც აგრეთვე ჩონგურზე დასძახის⁵ და ლექსები მიცვალებულებზე, დასაფლავების დღეს შესასრულებელი⁶.

ავტორ-მთქმელისაგან არის 1947 წ. ჩაწერილი თანამედროვე ლექსი „სამღერა აღმატზე.“ შეიღწეულ დამთავრებულ 27 წლის სოფელ აღმატის მცხოვრებ გიორგი ბაწილაშვილს მიზნად დაუსახავს უმღეროს გაახლებულ და გამარჯვებულ სამშობლოს.

* * *

ყვარლის რაიონში გავრცელებულია ისეთი ლექსები და შაირებიც სამამულო ომზე, რომელთა ავტორების სახელები უკვე დაკარგულია. ასეთი ლექსები და შაირები ავტორ-მთქმელებსაც შეუტანიათ თავიანთ რეპერტუარში და ასრულებენ საკუთარ ნაწარმოებებთან ერთად⁷. ასეთი ლექსების დიდი ნაწილი ჩაწერილია ქალებისა და ბავშვების მიერ. ამ ლექსებისა და შაირების მეტი წილი ვარიანტები ცნობილია საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ორი ავტორ დაკარგული რეპერტუარის მქონე 36 წლის, სოფელ საბუის მცხოვრებ წერა-კითხვის მცოდნე სონა ბერიძისაგან. ერთი სასიმღერო ლექსი, რომელსაც მთქმელმა „მატროსის ლექსი“ უწოდა, როგორც შინაარსიდანა ჩანს, მეზღვაურის მიერ უნდა იყოს შექმნილი და წერილის სახით გამოგზავნილი მშობლიურ კუთხეში:

¹ ფ. არქ. № 30520.

² „ფრონტელის თავგადასავალი“, ფ. არქ. № 30113.

³ „ტყვეს მდგომარეობა“, ფ. არქ. № 30114.

⁴ ფ. არქ. № 30113.

⁵ ფ. არქ. № 30117 და სხვები.

⁶ ფ. არქ. №№ 30115, 30116.

⁷ იხ. ფრონტელ ვ. ჟიჯიაშვილის რეპერტუარიდან „ლექსი ლადო ნანეიშვილზე“ (ფ. არქ. № 30514) და შაირი „რობელიც კარგი ქალია“ (ფ. არქ. 30515).

დაუჯარ ჩემო ჩონგურო,
გათლილო იფნის ზისაო,
ამის დამწერი მატროსი
საბრძოლო გემზე ზისაო,
გემია რკინის ასხმული
საბჭოთა კავშირისაო.
მიდის და მიეჭანება
გაპურელი არის ზღვისაო.

ზედ ზარბაზნები მოდგმული
წინამდევია მტრისაო.
ასე ვატარებთ დღე-ღამეს,
მუდამ წინ ვდგევართ მტრისაო.
დაუჯარ ჩემო ჩონგურო,
მოკრილო ძუნის ზისაო,
უნდა იხაროს სამშობლომ,
შუქი აფინოს მზისაო.¹

მეორე ლექსიც მეზღვაურისა უნდა იყოს, რაზედაც მიუთითებს სათაური:
„მეზღვაური იროდი ბერძნის ლექსი“.²

იმავე ექსპედიციის მიერ არის ჩაწერილი 1947 წელს ორი ტექსტი სოფელ
ალმატში განთქმული მომღერლისა და მოლექსის, შვიდწლედ დამთავრებული
18 წლის მარგო ტურაშვილისაგან. ერთია—საქართველოს ყველა კუთხეში
გავრცელებული, სასიმღეროთ ატაცებული, ფრონტზე შექმნილი ათმარცვლოვანი
ლექსი. მთქმელმა მას „ქერჩისა“ უწოდა, რადგან ლექსი ქერჩისთვის ბრძოლა-
სთან არის დაკავშირებული³. მეორე ტექსტი ჩაწერილია ექვს ახალგაზრდა-
სთან გაშვირების პროცესში. მთქმელმა შაირით გაიკცხა ისინი, ვინც თავს
არიდებდა ფრონტზე წასვლას.

საინტერესოა მოშაირე, 17 წლის ნატო ბაწილაშვილის თქმით ჩაწერილი
ათმარცვლოვანი ლექსი „ოცდაორ იენისს ომი დაიწყო“. ეს ლექსი ჯერ კიდევ
არ არის გაზარხული. ლექსს სამაგიეროდ ახასიათებს ღრმა იდეურობა, რის
გამოც ახალგაზრდა საბჭოთა ქალს ის შეუტანია თავის რეპერტუარში. ამ ლექ-
სის მიხედვით, გაიკცხულია ქალი, რომელმაც უარყო ფრონტიდან დაბრუნე-
ბული ინვალიდი ქმარი⁴. ნატო ბაწილაშვილისაგან გაშვირების პროცესში
ჩაწერილია აგრეთვე სამამულო ომთან დაკავშირებული შაირი.

* * *

საბჭოთა პოეზიის ნიმუშები ფართოდ არის გავრცელებული ყვარლის
რაიონის ბავშვებში 7—14 წლის ასაკამდე. უნდა აღინიშნოს, რომ საბავშვო
რეპერტუარში შესული თანამედროვე ლექსები ყველა სამამულო ომის ამსახვე-
ლია. მათგან მეტწილად შაირებია ჩაწერილი. საბავშვო ფოლკლორში შესული,
სამამულო ომის ამსახველი შაირების ერთი ნაწილი იუმორისტულია. ზოგი
მათგანი მკაცრი სატირია მიმართული დამარცხებული ვერაგი მტრის წინააღ-
მდეგ. 13 წლის მამულა თავდიდიშვილისაგან არის ჩაწერილი შაირი:

პიტლერი მოვდა დილითა,
გამათრიეს ვირითა,
ჩანგალაზე ჩამოკიდეს
თავის შხამიან კბილითა⁵.

¹ ფ. არქ. № 30447.

² ფ. არქ. № 30448.

³ ფ. არქ. № 30502.

⁴ ფ. არქ. № 30506.

⁵ ფ. არქ. № 30710.

საბავშვო რეპერტუარში შესული სამამულო ომის ამსახველი შაირები გვაცნობს საბჭოთა ბავშვების ჯანსაღ სულისკვეთებას, ომის მრისხანე დღეებში მათ ჩანერგილი ჰქონდათ საბჭოთა ხალხის გამარჯვების ურყევი რწმენა.

სამამულო ომმა ბევრი ბავშვი მოწყვიტა მშობელი მამის მკერდს, ბევრს მოაწორა ახლო ნათესავები, ამას ღრმად განიცდიდა ბავშვის მგრძობიარე გული. ყველაფერი ეს ნათლად არის ასახული შაირებში, რომელსაც მღერიან ყვარლის რაიონის ბავშვები. თუ რა მოუთმენლად ელოდნენ ბავშვები სამამულო ომში გაწვეულ მამებს, ამას გვაგრძობინებს 13 წლის მამულა თავდი-დიშვილის შესრულებული შაირი:

წყარო ჩამაწაწკარებს,
ჩემი გული ფანცქალბს,
შორი გზიდან მამა მოვა,
მოვა და გამახარებს¹.

ომში გაწვეული მამის ნახვის დიდი ნატურაა ასახული 14 წლის მერი ტურაშვილის მიერ შესრულებულ შაირშიაც.

ვერაგი მტრის მოულოდნელად თავდასხმამ ჩენს სამშობლოზე ბევრ ბავშვს მოუკლა გული ახლო ნათესავების დაღუპვითა თუ დაკარგვით. ბავშვები უფროსებთან ერთად განიცდიდნენ, თუ მებრძოლებისაგან ცნობა არ იყო. ყვარლის რაიონის ბავშვები ასრულებდნენ ასეთი განწყობილების ამსახველ შაირებსაც. ასეთია მაგალითად მერი ტურაშვილისაგან ჩაწერილი შაირი:

შალატოში წვიმა მოდის,
ენისელში დარია,
ძიას წერილი არ მოდის,
ჩემი გული მკვდარია².

ვრცელი მოცულობის ლექსებიდან საბავშვო რეპერტუარში შესულა ქერჩის ბრძოლებთან დაკავშირებული პოპულარული ლექსი „დედას ერთი შვილი ყავდა“³. იგი ჩაწერილია აღმატის მცხოვრებ მე-ნ კლასის მოსწავლე, 12 წლის სონა ბაწილაშვილისაგან. ვრცელი ლექსების შესრულებისას ბავშვები ყოველთვის ვერ ახერხებენ მეტრისა და რითმის დაცვას. ამის ნიმუშებია სოფელ საბუის მცხოვრებ, 12 წლის მერი საბაშვილის მიერ შესრულებული ცხრა სტრიქონიანი ლექსი „ზევით წყარო ამღვრულა“⁴ და პირველი კლასის მოსწავლის 7 წლის ნანა გივიშვილის თქმით ჩაწერილი ოცდაერთ სტრიქონიანი ლექსი „1941 წელსაო“⁵.

თანამედროვე ცხოვრების ამსახველი ლექსების ერთი ნაწილი ტრანსფორმაციის ნიმუშებია. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს ტრადიციული სასიმღერო პოეზიის ახლებურად გაახრებასთან. ისინი წარმოადგენენ დიდი სამამულო

¹ ფ. არქ. № 30138. „ჩემი მამა სამამულო ომში იყო“, შენიშვნა მთქმელმა.

² „ძია ჯარშია“, შენიშვნა მთქმელმა, ფ. არქ. № 30146.

³ ფ. არქ. № 30508 ა.

⁴ ფ. არქ. № 30489.

⁵ ფ. არქ. № 30579.

ომის წლების ჰეროიკის გამოხატულებას. ასე მაგალითად, ალმატში განთქმული მოლექსის ვალიკო ჟიქიაშვილისაგან ჩაწერილია შაირი:

რომელიც კარგი ქალია,
იმასა ჰქვია მარია,
ქმარიც მოჟულეს საწყალსა,
ჭიტლენს დაუდგეს თვალია¹

ეს არის ტრანსფორმაცია ლექების თარეშის ამსახველი გავრცელებული ძველი ლექსისა „ალვანში ერთი ქალია, სახელად ჰქვია მარია“. მისი ერთი ვარიანტი 1943 წ. ჩაწერილია გრემში. იგი ასე იწყება:

ალვანში ორი ქალია,
ერთი მზე, ერთი მთვარია,
რომელიც კარგი ქალია,
სახელად ქვია მარიამ.
შირაქში ქმარი მოჟულეს,
მტერსა დაუდგეს თვალია* და სხვ.²

ტრანსფორმაციის ნიმუშია ბავშვებში გავრცელებული შაირი „აქეთ ნუ-ში, იქით ნუში“.

ყვარლის რაიონში თანამედროვე ხალხურ პოეზიასთან დაკავშირებით აღსანიშნავია ტრადიციული მეტრის, რემარცელოვანი სტრიქონების გვერდით ათმარცელოვანი ლექსების გავრცელება. ზოგი ათმარცელოვანი ლექსი ფართოდ არის გავრცელებული და იგი მართა ავტორ-მთქმელთა რეპერტუარში არ გვხვდება. ასე მაგალითად, ათმარცელოვანია საქართველოს ყველა კუთხეში სასიმღეროდ ატაცებული ლექსი „შორსა მზარესა, ბრძოლისა ველზე“³.

* * *

ყვარლის რაიონში გავრცელებულია წარსული ყოფაცხოვრების ამსახველი ლირიკული, ლირიკულ-ეპიკური და ეპიკური ნაწარმოებების ტრადიცია. მათი ხასიათი და თემატიკა მრავალფეროვანია. ზოგი ლექსი ადგილობრივი ხასიათისა არის და უშუალოდ ყვარლის რაიონის მცხოვრებთა ყოფას გვიხასიათებს, ზოგი—კი ცნობილია საქართველოს სხვა კუთხეებშიც და საერთოდ საქართველოს წარსულს ასახავს. ზოგჯერ თვით მთქმელებიც აღნიშნავენ ლექსის სხვა კუთხეში შექმნას. ასე მაგალითად, მწყემსებისა ან ნამწყესართა რეპერტუარში გვხვდება თუშური ლექსები, რაზედაც თითონ მთქმელები მიუთითებენ⁴.

ამ პოეზიის მდიდარ განყოფილებას შეადგენს საგმირო და საისტორიო ლექსები. საქართველოს ყველა კუთხეში ცნობილ ასეთი ხასიათის ლექსებიდან გავრცელებულია თამარ მეფის ციკლის ეპიტაფიის ხასიათის ლექსი „თამარ დედოფა-

¹ ფ. არქ. № 30515.

² ჩაწერილი 1943 წ. გრემში სოლიკო გურასკაშვილისაგან.

³ ფ. არქ. № 30502.

⁴ იხ. მაგალითად, ს. ანაღკაცისაგან ჩაწერილი ლექსი „ივანე აქიმისშვილი“, ფ. არქ. № 30198.

ლი ვიყავ“. ჩაწერილია ამ ლექსის რამდენიმე ვარიანტი¹. აღსანიშნავია, რომ ამ ლექსის ორი ვარიანტი ჩაწერილი ერთი და იმავე სოფლის მთქმელებისაგან, საკმაოდ განსხვავდება ერთიმეორისაგან.

იქვე გავრცელებულია აგრეთვე ი. დავითაშვილის ლექსის „საქართველოს დედოფლის“ ხალხური ვარიანტები. ამ ლექსის თექვსმეტსტრიქონიანი საინტერესო ვარიანტი ჩაწერილია ვანო ფუტყარაშვილის თქმით. მთქმელი სოსლანის ნაცვლად ამბობს ოსლანი². აღმატში მცხოვრებ ნიჭიერმა მთქმელმა და მომღერალმა, წერა-კითხვის მცირემცოდნე 60 წლის დარო ტურაშვილმა 1947 წელს ექსპედიციას ჩააწერინა თამარ მეფის ციკლის აღნიშნული ორი ლექსის კონტამინაციის საინტერესო, ტრანსფორმირებული ნიმუში.

საქართველოს სხვა კუთხეებშიც გავრცელებულ ერთეულ მეორის ციკლის ლექსებიდან აღსანიშნავია მრავალფეროვანი რეპერტუარის მქონე ნამწყვესარ, 77 წლის აღმატის მცხოვრებ იოსებ სტეფანიშვილისაგან ექსპედიციის მიერ 1947 წელს ჩაწერილი „ხნალო ფრანგისა ნაქედოს“ სხვა ლექსებთან შერწყმული ვარიანტი:

ხნალო, ხვესურად ნაგდებო,
 ქალაქში თუშა გაქფეროს,
 გაკურთხოს მეფე ერეკლემ,
 საომრად ჯვარი დაგწეროს.
 ვინ შეეყრება იმ დროსა,
 მე რომ ომში ვტრიალებდი,
 გამარჯვებულ ბაირაღსა
 სამგან მივფურიალებდი.
 ხეობაში ხე გამხმარა,
 წყლითაც უნედლებდნენ ძირსა,
 სხვათა შვილი სხვათა შვილთა
 ვხევეა და ჭამდა ჭირსა³.

ერთეულ მეორის ციკლიდანვე საინტერესოა „აქილას“ სახელით ცნობილი მოლექსის, საბუის მცხოვრებ 21 წლის სოლომონ შეღვიაშვილის რეპერტუარში შესული „გიორგი ნათელაშვილის ლექსი“. გიორგი—იგივე გელა, ერეკლეს თანამებრძოლი ბაზალეთელი გმირი ყოფილა. მრავალრიცხოვანი ცხვარისა და ღორის პატრონ გლეხს ბევრჯელ უსახელებია თავი საქართველოში მოთარეშე ლეკებისა და თათრების წინააღმდეგ ომებში.

იგი დაღუპულა ლეკების წინააღმდეგ ბრძოლაში, რაზედაც მის თანამედროვეს ლექსიც კი შეუქმნია. გელა ნათელაშვილზე არსებობს გადმოცემებიც⁴. ჩვენთვის უცნობი იყო აქილას თქმით ჩაწერილი ლექსის ვარიანტი:

გიორგი ნათელაშვილო
 სარდალო მწყემსებისაო,
 ვგრე არიგებ მწყემსებსა,
 როგორც დედ-მამა შეილსაო.

¹ ფ. არქ. №№ 30072, 30102, 30687.

² ფ. არქ. № 30708.

³ ფ. არქ. № 30687.

⁴ იხ. „ღროება“, 1878 წ. № 169 ან საქ. მუხ. განკ. II—1993 ხ. მთაწმინდელი—გელა ნათელაშვილი, ერთგული რაინდი მეფე ერეკლესი.

ბიძაჯან, წუხელ სიზმარში
ნავალი იყო მტრისაო,
მოუჩოქე და ვესროლე,
ფიცხლავ დაეცა ძირსაო.
გიორგიმ ღორი აჰყარა,
იქითკენ გორი ძირსაო,
ხოცა და ხოცა ლეკები
ურჯულთა დაღისტნისაო.
ერთი ურჯულთა ლეკია
მომფარდა გორი ძირსო,
მოუჩოქა და გიორგის,
გიორგიც დაეცა ძირსაო.
(მივიდნენ გიორგის უთბრეს):
თქვენი ხანჯალი გვეგონა,
მაგრამ ჩვენიცა ჭრისაო,
პირი აქვს რიკან-ფოლადი,
ტარი—კამეჩი რქისაო¹.

ეს ლექსი არსებითად განსხვავდება გელა ნათელაშვილის სიკვდილზე შექმნილ და ზ. ჰიკინაძის (მთაწმინდელის) მიერ გამოქვეყნებულ ტექსტისაგან.

ცნობილი მოლექსის სანდრო ახალკაცის რეპერტუარში გვხვდება საპართველოს სხვა კუთხებშიც გავრცელებული შალვა ახალციხელის ციკლის ლექსის საინტერესო ვარიანტი. იგი მთქმელმა ანაგურელ ბიქს დაუკავშირა:

გორს იქით კაცი ნაბრძოლი
გუხელ ქორივით კიოდა,
შენ ბიჭო, ანაგურელო,
ხმა შენი გამავგვიოდა.
თავს ქონდა ხმალთა ნაცემი,
გულს სისხლი ჩამასდიოდა,
ომში ტრიალღეს ვეფხურებ,
დაჭრილი ამას ჰკიოდა.
სამასი თურქი მოგვლა,
კიდე ლაჩრობას ჩიოდა².

ფართოდ არის გავრცელებული ყვარლის რაიონში საგმირო-საისტორიო ეპოსის შესანიშნავი ნიმუშის არსენას ლექსის ვრცელი ვარიანტები. მდიდარი რეპერტუარის მქონე ვანო მიქელაშვილის ვარიანტი სამას სტრიქონს აღემატება³. ჯორჯაძეების ყოფილმა მენახირემ ვანო მიქელაშვილმა ლექსის დამთავრებისას შენიშნა: „ამ ლექსს ძროხაში ვამბობდითო“. მთქმელის შენიშვნა ადასტურებს ილია ჭავჭავაძის მიერ „კაკო ყაჩაღში“ შესანიშნავად აწერილ ამ ლექსის ტრადიციას. 1947 წელს ექსპედიციის მიერ მოპოვებული არსენას ლექსის ცხრა ვარიანტი სულ ხანში შესული მამაკაცებისაგან არის ჩაწერილი⁴. მათი ცნობით, ამ ლექსს მესტიერეები ასრულებდნენ.

¹ ფ. არქ. № 30560.

² ფ. არქ. № 30189.

³ ფ. არქ. № 30063.

⁴ იბ. ფ. არქ. № 30663, 30664, 30665, 30709, 30716 და სხვები.

საგმირო და საისტორიო ლექსების საინტერესო ფრაგმენტები შედის დარო ტურაშვილის რეპერტუარში. მისგან ჩაწერილი საქართველოს ძნელბედობის ერთ-ერთი ეპიზოდის ამსახველი ფრაგმენტული ლექსი ასეთია:

იქუბა და ირაგრაგა,
 მთა და ველი გადალახა,
 ყმაწვილების კალო ლეწეს,
 დედამ შეილი ველარ ნახა¹.

თუ ეს ვარიანტი არ არის ალა-მამამდ-ხანის მიერ თბილისის აოხრებაზე შექმნილი ლექსისა რომელიც ასე იწყება:

ორშაბათ დილას გათენდა
 ავი დღე და ავი დარი,
 ყმაწვილების კალოს ლეწეს
 თურქმანის ცხენის ნალი,

ან, თუ მასში ასახული არ არის შამილის მიერ ყვარლის აღება, მაშინ შეიძლება გრემიდან გამოთხოვილმა მთქმელმა, რომელსაც რეპერტუარი წინაპრებისაგან აქვს ათვისებული, ამ ფრაგმენტით შემოგვინახა შაჰ-აბასის მიერ კახეთის სისხლით წალეკვის ამბავი.

ყვარლის რაიონში შეკრებილი საგმირო და საისტორიო ლექსების დიდი ნაწილი საქართველოში თათრებისა და ლეკების თარეშს ასახავს. ყველა ასაკის მოქმელებისაგან არის ჩაწერილი ვარიანტები ლექსისა „ლეკებმა რომ დამიჭირეს, დამდეგ იყო მკათათვისა“². ყვარლის რაიონის მოქმელები ასრულებენ ლექსებს შამილის შეპყრობაზე, განსაკუთრებით საინტერესოა სანდრო ჭიბოშვილის თქმით ჩაწერილი 120 სტრიქონიანი ვარიანტი.

თათრებისა და ლეკების თარეშის ამსახველი ლექსები შედის ყველა ასაკის ცნობილ მომღერალთა და მოლექსეთა რეპერტუარში. ასე მაგალითად, რამდენიმე ასეთი ლექსია ჩაწერილი 1947 წელს ექსპედიციის მიერ 54 წლის, აღმატის განთქმული მეფანდურის იოსებ ყიყიაშვილისაგან³; 21 წლის მოლექსე აპილასაგან (სოლ. შეღვიაშვილი)⁴ და სხვებისაგან. საინტერესოა საბუთში კარგ მოლექსედ ცნობილ, ტრაქტორისტის, 33 წლის ნიკა ხშიადაშვილისაგან 1947 წელს ჩაწერილი 288 სტრიქონიანი პოემა ლეკების წინააღმდეგ მებრძოლ გმირზე—ომან ხაჩიაშვილზე, პოემის მიხედვით ლეკების წინააღმდეგ მებრძოლ ომანს შეუყვარდება მტრის ბელადის ქალი. მამამ დააპატიმრა ქალი და სიკვდილი მიუსაჯა. ქალი ომანმა გამოიტაცა⁵. პოემის წიგნური იერი აქვს. ცნობილია ომან ხეჩიაშვილის შესახებ არსებული ლექსის ან-სტრიქონიანი იმერული ვარიანტი, ჩაწერილი ს. წევაში ფოლკლორის ცნობილი შემკრების სევასტი გაჩეჩილაძის მიერ. ამ ვარიანტის მიხედვითაც ომანი ლეკების წინააღმდეგ მებრძოლია⁶.

¹ ფ. არქ. № 30092.

² ფ. არქ. №№ 30091, 30449, 30500, 30649.

³ ფ. არქ. № 30509, 30510.

⁴ ფ. არქ. №№ 30551, 30553, 30555, 30560.

⁵ ფ. არქ. № 30431.

⁶ „ხალხ. სიტყვ.“ I, გვთ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი ს რ ე ლ., გვ. 4—5.

პოეზიის ტრადიციის თვალსაზრისით საინტერესოა საქართველოში ლექსების თარეშის მიჩვენებელი, მანგლისის აშენებასთან დაკავშირებული საკმაოდ ძველი ლექსის 1947 წელს ჩაწერილი ვარიანტები. ამ ლექსის საკმაოდ სრული და საინტერესო ვარიანტი გამოქვეყნდა 1934 წელს¹. 74 წლის მოხუცისაგან ახალ ჩაწერილი ამ ლექსის ვარიანტიც დაკავშირებულია მანგლისის აშენებასთან. მასში შემონახულია კვალი მშენებლობის ძველი წესისა, როცა კედლებში ან ფუძეში ცოცხალ ადამიანს ჩაატანდნენ, რაც კარგად ჩანს 13 წლის წინ გამოქვეყნებულ ვარიანტში. სამაგიეროდ მასში აღარ იხსენიება ლექები². 21 წლის აქილასაგან ჩაწერილ ვარიანტს კი ძირითადად სატრფიალო ხასიათი აქვს. ამ ვარიანტში ხაზგასმითაა აღნიშნული წარსულში ლექთაგან ქართველი ქალების გატაცება ფულის აღების მიზნით. სამაგიეროდ ახალგაზრდა მთქმელის მეხსიერებაში უკვე აღარ არის მანგლისის აშენება და მშენებლობის ძველი წესი:

ერთხელ მეც ვიყავ მეცხვარე,
 ცხვარი მიმიდის გზაზე,
 ერთმა გოგონამ დამსწვევლა,
 დამსწვევლა სამსწესარზე:
 მეცხვარევე, ეგ შენი ცხვარი
 სულ გაგებრატოს ჰირითა,
 დაკლასა ვერ აღდიოდე,
 ეზიდებოდე ვირითა.
 ახლა დასწვევლა მეცხვარემ
 თავის ლამაზი ჰირითა:
 შენამც მიჰყვანდე ლეკებსა,
 დუდუკითა და სტეირითა.
 უკან მოგდევდნენ თქვენები
 ტირილითა და ქუხითა,
 მე მოვდიოდე ზეიდან,
 ფულიც მომქონდეს გუდითა,
 დაგინსა, წამოგიყვანო
 ჩემი კუდალა ვირითა³.

ძველი საგმირო-საისტორიო ლექსის ტრანსფორმაციის თვალსაზრისით საინტერესოა წერა-კითხვის უცოდინარ 73 წლის სანდრო შეღვიაშვილის თქმით 1947 წელს ჩაწერილი ცნობილი ბალადის „შემომეყარა ყივჩაღის“ ვარიანტი. თანამედროვე მთქმელის მეხსიერებიდან ყოველი გამოქრალია. მის ნაცვლად ლექსში ყაჩაღი იხსენიება. რაკი ყივჩაღი ყაჩაღის სინონიმი ლექსის მიხედვით, ამიტომ ეს გარემოება არ ცვლის მის შინაარსს. სხვა მომენტები ძველი ლექსისა კარგად არის დაცული ახალ ჩაწერილ ვარიანტში:

¹ ხალხური პოეზია, 1934 წ.

² ფ. არქ. № 30724.

³ ფ. არქ. 30552.

ამბავს ჩემსა გიამბობ,
 ჩემსა და ყაჩაღისასა,
 ცოლი მიმყვანდა სამშობლოს,
 სამშობლოს სიამარისასა,
 ყაჩაღი შემეყვარა,
 სამძღვარსა მუხრანსკისასა,
 პურსა მოხოვდა და ვაჭმევდი,
 გამამაცხვარა ქაბახისასა,
 ზორცა მოხოვდა და ვაჭმევდი,
 შემწვარსა კაკაბისასა,
 ღვინოსა მოხოვდა, ვასმევდი
 ტკბილსა და ბადავისასა,
 ცოლი მოხოვდა და არ მივე,
 მიმყვანდა ცოლისძმისასა,

არ დაიშალა ყაჩაღმა,
 გედმეფწოდა, აკოცა,
 ცხრა ნაწნავ გიშრი თმისასა,
 ქალმა შაზენდა, შასტირა,
 ბრალი ამ ჩემი ქმრისასა,
 ხანჯალზედ ხელიც გაივლო,
 ნაჩუქარ ცოლისძმისასა,
 ერთი გადაყრა ყაჩაღსა,
 ელვასა ჰგვანდა ცისასა,
 მეორეც გადაუქნე,
 რისხვასა ჰგვანდა ღვთისასა,
 კაცი და ცხენი გადააქრა,
 წვერმა უწივა ქვიშასა¹

ფართოდ არის გავრცელებული ყვარლის რაიონში ვაჟა-ფშაველას „ბახტ-რიონისა“ დ სხვა პოემების ხალხური ვარიანტები.²

საგმირო პოეზიის გავრცელებული ნიმუშებიდან ყვარლის რაიონში გვხვდებ-ბა სოლოღას ლექსი³. სანდრო ახალკაცის თქმით ჩაწერილია აგრეთვე ათ-სტრიქონიანი ვარიანტი „სოლომონ ბუტულაშვილისა“⁴. ამავე ლექსის 57 სტრი-ქონიანი ვარიანტი ჩაწერილია ვ. მიქელაშვილის (კონკილას) თქმით⁵.

იქაური მოქმედები ასრულებენ პოემას ქიზიყულ სახალხო გმირზე მიხა ქუჭულაშვილზე⁶. წარსულში სოციალური ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლი გმირისადმი ხალხის დიდი სიყვარულის მაჩვენებელია ის გარემოება, რომ ამ საკმაოდ ვრცელ პოემას ჩონგურზე დამღერის ახალგაზრდობა. 1947 წელს საბუის მცხოვრებმა 26 წლის ცაცო ფილიშვილმა ექსპედიციას ჩააწერინა პოემის 290 სტრიქონიანი ვარიანტი და აღნიშნა „ჩონგურზე ვმღერით ამასო“⁷. საგმირო პოეზიის ტრადიციის თვალსაზრისით საგულისხმოა ისიც, რომ სახალ-ხო გმირზე ლექსის შემქმნელს პატივს სცემდა ხალხი. ასეთ მოქმედებს ასაჩუქ-რებდნენ. ეს გარემოებაც მაჩვენებელია სახალხო გმირებისადმი ხალხის დიდი სიყვარულისა. ამის ნიშნები შემონახულია ლექსების დასასრულშივე. თათრების წინააღმდეგ მებრძოლ თუშ გმირზე ივანე აქიმისშვილზე არსებული ლექსი სანდრო ახალკაცმა ასე დაამთავრა.

ვაჭებდენ აქიმის შვილო,
 ვეფხვი ყოფილხარ, კანჯარი,
 ამ ერთ ლექსს გამოგვიგზავნის
 შენი დედის ძმა ქავთარი.
 საჩუქრად გამომიგზავნე

შენ მოკლულ თათრის ხანჯალი,
 თუ ვგე ვერ გაიმეტო,
 თვალწითელ ცხვარსა ასხლიტე
 ცივად თეთრ მამალ ბატკანი,
 ჩემთვის ყველაყა საჭირო,
 ღარიბი ვარ და საწყალი⁸.

¹ ფ. არქ. № 30643.

² იხ. „ლიტ. ძიებანი“, ტ. V.

³ ერთი ვარიანტი ჩაწერილია გრემში 1943 წ. მეორე—1947 წ.

⁴ ფ. არქ. № 30559.

⁵ ფ. არქ. № 30192.

⁶ ფ. არქ. № 30060.

⁷ ფ. არქ. № № 30610, 30551.

⁸ ფ. არქ. № 30610.

იმავე მოქმედმა ლექსი სოლომონ ბუტულაშვილის შესახებ ასე დაასრულა:

ე მე ლექსის გამოთქმელსა,
შავი ჩოხა ჩამაცვესა,
მე მაჩუქეს ხარ-კამჩი,
შოლტი, სახრე ხელთ მომცესა.
დამსვეს და პური მაჭამეს,
შავი ღვინით დამათვრესა¹.

ლექსების ამგვარი დაბოლოებანი შესაძლებელია პროფესიონალობის კვალზედაც მიუთითებდეს. ყვარლის რაიონის მოქმედები ამბობენ ლექსებს იმპერიალისტურ ომსა და სალდათობაზე². ამ ლექსებში იმის ხალხის ჩივილი იმის გამო, რომ „გარეკეს ბრძოლის ველზედა შიგნით ნარჩევი ყმანია“³.

აღსანიშნავია, რომ საგმირო ხასიათის ლექსებში მტკიცედ არის დაცული ტრადიციული ხალხური მეტრი. ჩვენთვის ცნობილი ყოფილ ლექსი რეამარცვლოვანი შაირის ზომით ხასიათდება. აღსანიშნავია ისიც, რომ მათი დიდი რაოდენობა სასიმღეროა. ასეთი ლექსების ძირითადი ფონდი ცნობილია საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

* * *

ყვარლის რაიონის მოქმედების რეპერტუარში საკმაო რაოდენობით არის შესული საყოფიერო ლექსები, მათ შორის არის ოჯახური ურთიერთობის ამსახველი ლექსები—ხალხური პოეზიის ტრადიციულ თემებზე, როგორცაა რძლების ქიშპობა⁴, დედინაცვლისა და გერის ურთიერთობა⁵ და სხვ. დამახასიათებელია მთიდან შემოტანილი ნამწყესარი მოქმედების რეპერტუარში შესული საკმაოდ არქაული ლექსი ქმრის მოლაღატე ქალის სიკვდილით დასჯაზე. ამ ლექსში შემონახულია თუშეთსა და სხვა მთიან ადგილების შორეულ წარსულის ყოფაში დადასტურებული წესი, რომლითაც ქალი სიძვის გამო ისჯებოდა ცხვირის მოჭრით, თმების შეკრეპით. მიტრია ხეჩუაშვილის (პიტნა) თქმით ჩაწერილ ვარიანტში ქალის პირითვეა გადმოცემული დასჯის შემზარავი ეპიზოდი. იმავე ვარიანტში შემონახული უნდა იყოს უძველესი წესი სიკვდილით დასჯილი ქალის თმის მოშობლების მიერ შესყიდვისა და კარებზე გამოკიდება-გამოუენისა. ეს უნდა იყოს ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული გადმონათობი ძველი სარწმუნოებრივი შეხედულებისა თმის პარციალური სულის შესახებ⁶:

ზეგორიდან გამოვთხოვდი,
ქვემოთ შავირთე ქმარიო,
შამყარდა ოქროსმედელო,
შამიკრა ოქროს ჯამიო.
შაბათს გამგზავნეს მუშაში

პირველად პატარადალო.
დასხდა, დაჯარდა მუშაი,
შვიდგანა შვიდი ჯარიო.
ყველას მივართვი-მოვართვი,
ქმარსა დამიკლდა ჯამიო.

¹ ფ. არქ. № 30192.

² ფ. არქ. №№ 30512, 30612; „საუნჯე“, ტ. II, გვ. 274.

³ „საუნჯე“, ტ. II, გვ. 274.

⁴ ფ. არქ. № 30056, 30195.

⁵ ფ. არქ. № 30197. ⁶ ვ. ბარდაველიძე, ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან, „მიომზილველი“, I თბილისი. 1949.

⁷ ლიტერატურული ძიებანი, ტ. VI.

დაჯდა და დაიბუტბუტა:
 —ვია, ქალო შენი ჯვარიო!
 შავგახე მამის ლურჯაი,
 თავდა შევჯექ ქალიო,
 უკან მამღვეენ მახლები:
 —სად მიხვალ ჩენი რძალიო,
 მოსულან შენი ძმანიო.
 ჩემ ძმანი არას მოსულან,
 მოსულან ჩემი დღენია.
 ერთ ბნელ გომურში ჩამაგდეს,
 გამამიკეტეს კარიო,
 სარკეში ამამახედეს,
 სოფელს მავლე თვალიო,
 ჯერ ხომ ცხვირ-პირი ამპტრეს,
 მერმე გიშრისა თმანიო.

სანდრო ახალკაცის თქმით ჩაწერილ ამ ლექსის ვარიანტს უფრო ადგი-
 ლობრივი ელფერი აქვს მიღებული. მასში ლალატისა და სიძვის მოტივი გამკ-
 რთალბულია. არც დასჯის წესია ისე მძაფრად შემონახული, როგორც პირველ
 ვარიანტში. ქმრის შურისძიებისა და ნაწნავის კარზე გამოფენის მოტივები—
 კი მასშიც შემონახულია:

შილდური ქალი ვიყავი
 და ყვარული პატარძალი,
 მუშებთან ჯერი წავიღე,
 გავტეხე ინგლისის ჯამი.
 სუჯველას კერძი მივართვი,
 იგრე დამრჩა ჩემი ქმარი.
 მალმალე გადმოხედავდა,
 სულ ჩემკენა ქონდა თვალი.
 —ჩემი კერძის დაკლებიდათვი
 შენ თუ ვერ გაგიქრო თავი.
 ავდეკი და წამოველი,
 სულ უკან მეჭირა თვალი.
 წინიდგან წამომიბრძინა,
 მოკვეთა ცოდნიყო გზანი.
 შამამიქნია ხანჯალი,
 სწრაფად მამაშორა თავი,

დაფინეს ხალის ფარდაგი,
 დამკვეს როგორც მხალიო.
 ვადამავალმა ყორანმა
 გადაიტანა ჩქამიო.
 საწყალ დედაჩემს უთხარათ:
 —თამარ მოგიკლეს ქალიო,
 გაყიდე დედულ-მამული,
 იყიდე ჩემი თმანიო,
 დარბახის კარსა დაჰკიდე,
 ანიავებდეს ქარიო.
 გამლელ-გამამლელ სწორებსა,
 ზედაც კი ჰქონდეს თვალიო,
 —ლმერთმა გაცხონოს ქალოჯან,
 ესეც ყოფილა თმანიო¹.

მზემც მიტირა და მივარემცა,
 მასკულავებმაც მიიციეს ზარი.
 წადი, უთხარი დდილოს:
 აღარ არი შენი ქალი.
 შეკანახოს თავის ლურჯაი,
 დამანახოს ჩემნი გზანი.
 მივიდეს, ერთი მიტიროს,
 თავის შვილს აღრისოს ნამი,
 მერმე ატრაჲ შეგვიშერნი,
 შევნაწნავნი ჩემნი თმანი.
 ავეცოს, წყობით დააწყოს
 შვიდეკვი და შეიდი მზარი,
 მალა ბალკონზე გადინონ,
 როდესაც რომ ქროდეს ქარი,
 იტყოდნენ თუ მშვენიერი
 ნეტარ ვისი იყო ქალი?²

ეს ვარიანტი საგულისხმოა ტექსტის პოეტური ევოლუციის გასათვალის-
 წინებლად.

ყვარლის რაიონში ჩაწერილია საყოფიერო ლექსები მახვილი სოციალური
 მოტივებით. იუმორისტული ლექსის საგანია მუქთახორა მღვდელი³. იქვე
 გვხვდება ლექსი ობლისა და მოჯამაგირის ბედზე ძველად⁴. ხალხურ შემოქ-
 მედებაში გაკიცხულია უხეირობა და უქნარობა. ამ თემაზეა შექმნილი ლექსი

¹ ფ. არქ. № 30767.

² ფ. არქ. № 30199.

³ ფ. არქ. № 30567.

⁴ ფ. არქ. № 30568.

„პატარუანთ ბასაო.“¹ საინტერესოა ლექსები მონადირეთა შესახებ. ლექსში მოცემულია მონადირის ცხოვრება და განწყობილება². ჩაწერილია სასიმღეროდ ატაცებული, ნადირობასთან დაკავშირებული ლექსის „გუშინ შვიდნი გურჯანელნი-ს“ ვარიანტი³. საყურადღებოა აგრეთვე ლექსები მეცხვარეობასა და მელორეობაზე. კარგად არის მოცემული მწყეგის ყოფა და განწყობილება ძველად, რევოლუციამდე შემდეგ ლექსში:

დავებრდი, დავჩაჩანაკდი,
წვერი გამიხდა ჭალარი.
სუ ამ მთა-ბარში დავდივარ,
თან ძალღი დამდეგს სალარი.
ნადირი ვერას მამტაცებს,
გული მითა მაქ მაგარი.
მხარზე მკიდია მე თოფი,
ჩახმახი აქონდა მაგარი.
ჯამოტყვრა ჩემი მაგარი,
გორებს გააქონდა ხანხარი.
ხანჯალი გვერდზე მკიდია,
ჯოხიც მიჭირავს მაგარი.
გორიდან გორზე გადავალ,
იქ ხევი არის დაბალი,
ჟკან ვიხედუ, მამდეგდა
ის ჩემი ძალღი სალარი⁴.

მეცხვარეებისა და მელორეების ძველად ყოფისა და განწყობილების ამსახველია სხვა საინტერესო ლექსებიც⁵.

ცნობილი მოლექსის ს. ჭიბოშვილის რეპერტუარში არის გაბაასების ფორმის ლექსები. ერთ მათგანში კარგად არის დახასიათებული წელიწადის ოთხი დრო და მათი მნიშვნელობა სოფლის მეურნეობისათვის⁶. შესანიშნავად არის დახასიათებული მშრომელთა სარჩო ლექსში „ქება“⁷. მასში გაბაასებული და ერთიმეორესთან შედარებულია პური, ღვინო, წყალი, ცხვარი და ქათამი.

საქართველოს სხვა კუთხეებშიც ცნობილი ლექსებიდან საინტერესოა გრემის მცხოვრებ დარო გურასპიშვილის თქმით ჩაწერილი ქალთა საქმიანობის ამსახველი ლექსი, რომელიც მთქმელმა სტუმარ-მასპინძლობას დაუკავშირა. ოჯახს მოწყენოდა სტუმრის შენახვა და რძალმა ასე უთხრა მულს:

ორბოვილად მოქსოვილო
ჯეჯიმულად დადგი მულო,
ეს სტუმარი არსად მიდის,
შაკამანდი მიდგი მულო.

¹ ფ. არქ. № 30699.

² ფ. არქ. № 30566, 30661, 30701, 30726.

³ ფ. არქ. № 30722.

⁴ ფ. არქ. № 30758.

⁵ ერთი ვარიანტი ჩაწერილია 1943 წ. ს. გრემში, დანარჩენები იხ. ფ. არქ. №№ 30557, 30702, 30759.

⁶ ფ. არქ. № 30171.

⁷ ფ. არქ. № 30174.

სტუმრის პასუხი:

იანვარი, თებერვალი,
 დადგა მარტი, დაშრა ველი,
 სტუმარი რომ არსად მიდის,
 იცოდეთ, რომ დარსა ველი¹.

საინტერესოა აგრეთვე ხორველზე შექმნილ ცნობილი ლექსის ვრცელი ვარიანტი ჩაწერილი მდიდარი რეპერტუარის მქონე ვანო მიქელაშვილის თქმით². იქაური მოქმედების რეპერტუარში არის ცნობილი ლექსები ფრინველებისა და ცხოველების შესახებ³. ჩაწერილია სასიმღერო ლექსის „შაშვი კაკაბი შეიბნენ“ ვარიანტები⁴. გვხვდება ლექსები ადამიანის ბედზე⁵, მორალზე⁶ და სხვ. ყვარლის რაიონში გვხვდება აგრეთვე ადგილობრივი წარმოშობის ლექსები, ასეთია ს. კიბოშვილის „ღურთუჯის“ ძველი და ახალი ვარიანტები⁷, ლექსები იქაურ დღესასწაულებსა და დროს ტარებაზე⁸ და სხვ.

მეტი წილი საყოფიერო ლექსებისა საქართველს სხვა კუთხეებშიც არის ცნობილი, ხოლო აქ ზოგ მათგანს მისცემია ადგილობრივი ელფერი. აღსანიშნავია ისიც, რომ ასეთი ხასიათის ლექსები ყველა ასაკის მოქმედების რეპერტუარში შედის.

* * *

სატრფიალო-რომანტიული პოეზიის განყოფილებაში გვხვდება არქაული ლექსების ვარიანტები. სანდრო ახალკაცის რეპერტუარში არის „თავფარავნელი ქაბუკის“ ვარიანტი⁹. ამ ლექსის უფრო სრული ვარიანტები ცნობილია საქართველოს სხვა კუთხეებშიც, მაგალითად, ქართლში.¹⁰ საინტერესოა აგრეთვე მისგან ჩაწერილი რ. ერისთავის ლექსის „ქალი-აყვანას“ ვარიანტი. რ. ერისთავის ლექსის წყაროა ლეგენდა, რომელიც ამჟამადაც გავრცელებულია ყვარლის რაიონში და იძლევა ხალხურ ეტიმოლოგიას შილდასა და ყვარელს შუა ნეკრესის მიმართულებით არსებულ გორაკის „ქალი-აყვანას“ სახელწოდებისა.¹¹ რ. ერისთავის ლექსის 80 სტრიქონიდან სანდრო ახალკაცის თქმით ჩაწერილ ვარიანტში დაცულია 70 სტრიქონი — ზოგი შეცვლილი სახით¹².

¹ ჩაწერილია 1943 წ. ს. გრემში.

² ფ. არქ. № 30065.

³ ფ. არქ. №№ 30071, 30133, 30224 და სხვები.

⁴ ფ. არქ. № 30705, 30721.

⁵ ფ. არქ. № 30075.

⁶ ფ. არქ. № 30680.

⁷ ფ. არქ. №№ 30168, 30169.

⁸ ფ. არქ. № 30558.

⁹ ფ. არქ. № 30188.

¹⁰ „ხალხური პოეზია“, 1934 წ., გვ. 10.

¹¹ ფ. არქ. № 30596.

¹² ფ. არქ. № 30196 შ. ერისთავი, ლექსები, ტ. I, 1935 წ., სახელგამი, შ. რა-
 დიანის რედაქციით, გვ. 13. -147.

ს. ახალკაცის რეპერტუარში საინტერესოა საკუთარი ლექსი „მარგალიტასი“; შექმნილი მის პირველ სიყვარულთან დაკავშირებით¹.

მთქმელების ცნობით შესტირეთა რეპერტუარიდან არის გავრცელებული ნაწილი სატრფიალო ლექსებისა, როგორცაა: „ქუჩუნა გოგო, ჭირიმე შენი“, „შაზანდარი და ქებაო, დედა ნუ მოგიკვდებიო“² და სხვ. აღსანიშნავია სატრფიალო ლექსების ფერხულის დროს შესრულება. 1947 წელს, 60 წლის ევა მოსიაშვილისაგან (აქვს მრავალფეროვანი რეპერტუარი) საბუეში ჩაწერილია შემდეგი ტექსტი:

—ქალო რად გინდა ეგ ქმარი,
ხაშალია³ და მოკვდება
—ბიჭო რას გეღემევიდე,
წამალ ვასმევ და მორჩება.
ო-რი თქროს დიელა!
ოქრო მიზის მინდორზედა,
თეთრი ცხენი მოგოგავდა,
ზედა ზის კაცი ვაჟაკი,

(შეგარდენს თუ ქორსა გავდა),
ქალო, ჟვან მაიხედე,
ო-რი თქროს დიელა,
ხელსახოცსა გადმოგიგებ
თქრომკედით მოქარგულსა,
შიგ გავიხვევ ჩემსა გულსა
შემგნით დამწვარ-დადაგულსა.

ამ ლექსის შესახებ მთქმელმა ჩინწერს აცნობა: „ფერხისის ცეკვისას ქალები შევიკრიფებოდით, ხელიხელს გადავებამდით და ვმღეროდით. სამ ზავშეს დავსვამდით მწვანეზე და გარეშემო უვლიდით იმ ზავშეებს და ვმღეროდით ამ სიმღერას. ეგ ვიცოდით ბედნიერ დღეებში, აღდგომა-დღესასწაულებში, კვირა დღეებში, მინდორზე თავმოყრილებმა“⁴.

ყვარლის რაიონში პოეზიის ტრადიციასთან დაკავშირებით აღსანიშნავია მიცვალებულთათვის შექმნილი, დასაფლავების დღეს წარმოსათქმელი ლექსები. ასეთ ლექსებს ქმნის, ჩაგალითად, საბუის მცხოვრები, 60 წელს გადაშორებული გიორგი ნანიკაშვილი. მას სხვადასხვა სოფელშიც იწვევენ მიცვალებულთათვის ლექსის წარმოსათქმელად. 1947 წელს, როდესაც ექსპედიცია იწერდა მის რეპერტუარს, ერთ-ერთმა მეზობელთაგანმა შენიშნა: „ამის ლექსის წაკითხვაზე ჭირისუფლებს და დამსწრე ხალხს გული ამოუჯდებოდათ და აქვითინდებოდათ“. ასეთი ხასიათის ლექსებში ხშირად აღნიშნულია გარდაცვლილის სახელი და გვარი, ასაკი და ჩამოთვლილია მისი კარგი თვისებები. ლექსში სინანულით აღნიშნულია მისი განშორება მშობლებისაგან, დაძმებისაგან, ცოლ-შვილისა თუ ქმარ-შვილისაგან და სხვებისაგან. ასეთი ხასიათის ლექსები ხშირად პირველი პირითაა ნათქვამი. გ. ნანიკაშვილს, თავისი სიძის გარდაცვალებაზეც შეუქმნია ლექსი. მოლექსეს აღნიშნული აქვს სიცოცხლეში მისი გამრჯელობა და გულადობა. გარდაცვლილის პირით აღნიშნულია დამორება ორ ძმასთან, მოხუც დედასთან, ცოლ-შვილთან.

¹ ფ. არქ. № 30187.

² ფ. არქ. № 30727.

³ მთქმელის განმარტებით „ავადმყოფი“.

⁴ ფ. არქ. № 30585.

*
*
*

შაირის ტრადიცია ძლიერია ყვარლის რაიონში, ისე როგორც საქართველოს სხვა რაიონებშიც. ეს მოქნილი ჟანრი ზეპირსიტყვიერებისა წარმოდგენილია მრავალფეროვანი თემატიკით. ზეერთ აღვნიშნეთ თანამედროვე ცხოვრების ამსახველი შაირების ფართო გავრცელება. ფართოდ არის გავრცელებული საყოფიერო და სატრფიალო შაირებიც. დიდი რაოდენობითაა ჩაწერილი გამოსაჯავრებელი და საღალაობო შაირები. შაირები ჩაწერილია ყველა ასაკის მთქმელებისაგან. ჩაწერილია ტექსტები რამდენიმე პირის გაშაირების პროცესშიც. ყვარლის რაიონში შაირების ტრადიციაში აღსანიშნავია შემდეგი ახალი მომენტები:

1. ტრადიციული ხალხური შაირის დასაწყისის ანალოგიის მიხედვით გაშაირებისას იყენებენ ლიტერატურულ ნაწარმოებსაც. ასე, მაგალითად, ალმატში განთქმულმა მომღერალმა და მოლექსემ მარგო ტურაშვილმა ექვს პირთან გაშაირების პროცესში წარმოსთქვა ხალხური ტექსტი:

ნეტავი აქ არ მამყოფა,
 უღრან ტყეში მომცა ბინა,
 წელიწადი, თორმეტი თვე
 მე შენს მკლავზე დამაწვინა.

შემდეგ ამას მოაყოლა ი. დავითაშვილის ლექსი:

ნეტავი აქ არ მამყოფა,
 ქალაქში ჩამიყვანაო,
 მასწავლა რამე ხელობა,
 მასწავლა ანა-ბანაო¹.

2. რეპარტევიანი ლექსის გარდა, იყენებენ ათმარცვლოვან ლექსებსაც. იმავე მარგო ტურაშვილმა გაშაირებისას გამოიყენა ტექსტი:

ვარდს ვერასოდეს ისე ვერ მოსწყვეტ,
 ეკალმა სისხლი არ დაგადინოს,
 ისე ვერავის ვერ შეიყვარებ,
 რომ ხალხმა შენზე არ გაიცინოს².

მესტიურილი პოეზიის ტრადიციაზე საინტერესო ცნობები შეკრიბა აპ. ცანავამ. ყვარლის რაიონის მცხოვრებნი მესტიურებად იმერლებს ასახელებენ. როგორც ჩანს მესტიურები განსაკუთრებით ხშირად დადიოდნენ კახეთში,

¹ ფ. არქ. № 30570.

² ფ. არქ. № 30504.

³ ფ. არქ. № 30504.

როგორც საქართველოს ერთ-ერთ მდიდარ კუთხეში. დადიოდნენ ისინი წელიწადის გარკვეულ დროს—შემოდგომასა და ზამთარში. საინტერესოა ამ მხრივ 1878 წელს დაბადებულ საბუის მცხოვრებ იორდანე გოდერძიშვილის ცნობა: „მესტირეები იმერლები იყვნენ, კახელი მესტირე არ გამიგონია. ისინი დადიოდნენ ნიკოლას დროს, შემოდგომიდან მოყოლებული ზამთრობით სულ დადიოდნენ. საცა დაუღამებოდნენ, იქ ათენებდნენ. იღებდნენ სუ ყველაფერს—პურსა, ფქვილსა, ფულსა, ყველსა, ღვინოს, აქვე ღუქანში ყიდდიდნენ. ვაიტანდნენ ტომრებით და გაყიდდიდნენ“. დაახლოვებით ასეთივე ცნობებს იძლევიან 76 წლის ალექსი ჰიტაშვილი, 69 წლის მეცხვარე ფილიპე ელოისძე და სხვები. მესტირეების საშუალებით კახეთში და კერძოდ, ყვარლის რაიონში შემოდოდა და ვრცელდებოდა სხვადასხვა კუთხეში შექმნილი ლექსები. ზოგჯერ მესტირეებს თითონ შექონდათ თავიანთ რეპერტუარში კახეთში შექმნილი ლექსები და ავრცელებდნენ სხვა კუთხეებში.

* * *

საწესო-მაგიურ პოეზიას ჩვენს სინამდვილეში გამოცლილი აქვს სოციალური ფუნქცია, ბევრი ნიმუში ფოლკლორის ამ თავისებური დარგისა დაიფუცებას ეძლევა, ბევრი—კი გარკვეულ წეს-ჩვევებს მოწყვეტილი ახალ სოციალურ ფუნქციას იძენს. ყვარლის რაიონში მეტად ძლიერი ყოფილა საწესო-მაგიური პოეზიის ტრადიცია. იქაურ მცხოვრებთ ჰქონიათ მეტად მდიდარი და საინტერესო რეპერტუარი, როგორც საწესო-კალენდარული, ისე არა კალენდარული მაგიური პოეზიისა. უკანასკნელ წლებში შეკრებილი მასალები, რომელნიც გადანაშთის სახითაა შემორჩენილი, წარმოდგენას გვაძლევენ მაგიური პოეზიის შემსრულებლებზე, შესრულების გარემოსა და წესებზე.

ყვარლის რაიონში გავრცელებული ყოფილა საწესო-მაგიური პოეზიის შემდეგი დარგები: ა) სადღეგრძელოები (საქორწილო, საახალწლო, ჩვეულებრივი ღვინის); ბ) საქორწილო (მაყრული); გ) „იავ-ნანა“; დ) „გონჯა“ (იგივე „ლაზარე“); ე) კალენდარული პოეზია (ალილო, დიდება); ვ) შელოცვები (სამკურნალო, სამეურნეო).

სწავლა-განათლებით შეიარაღებულ ახალგაზრდობას არ იზიდავს მაგიური რიტუალი და არც მასთან დაკავშირებული პოეზია. საწესო-მაგიური პოეზიის ნიმუშები ხანში შესულთა რეპერტუარში შედის.

ყვარლის რაიონში საწესო პოეზიიდან ყურადღებას იპყრობს სუფრაზე დალოცვა--სადღეგრძელოები. ეს სადღეგრძელოები საუკუნეთა მანძილზე ამშვენებდა ქართულ სუფრას.

პოეზიის ეს ნიმუშები სხვადასხვა დანიშნულებისაა. ზოგი მათგანი უბრალო სადღეგრძელოა წარმოსათქმელი სუფრის რომელიმე წევრის მიერ გარკვეული პირისადმი მიძღვნის მიზნით. ზოგი ტექსტი საქორწილოა და თამადის



ან სუფრის სხვა წევრთა მიერ ნეფე-დედოფლის დალოცვას წარმოადგენს. ზოგი სადღეგრძელო დედოფალთან შეხუმრების მიზნითაა ნათქვამი, არის საახალწლო სადღეგრძელოებიც. უკანასკნელ წლებში შეკრებილი მასალების მიხედვით ზოგი ტექსტი სადღეგრძელოსი ტრადიციულია, ზოგი—კი იმპროვიზაციის ნიმუშია.

სუფრაზე დალოცვის ტექსტები (საქორწილო, საახალწლო და სხვა სადღეგრძელოები) ჩაწერილია მოხუც მამაკაცებისგან. ჩვენის აზრით, პოეზიის ეს დარგი თავიდანვე მამაკაცების საკუთრება უნდა ყოფილიყო. ლექსად სადღეგრძელოს მიქმელ მოხუცებს ამეამადაც შეხედებით ყვარლის რაიონში, ისინი მეტწილად ყოველგვარი თხოვნის გარეშე წარმოსთქვამენ სადღეგრძელოს.

სუფრაზე წარმოსათქმელ ტექსტებს მეტწილად ადგილობრივი ხასიათი აქვს. თუ მიქმელთა ცნობებს დაეფუჯებოთ, ზოგი სადღეგრძელო ყვარლის რაიონში საქართველოს სხვა კუთხეებიდანაა შეტანილი. ასე მაგალითად, მიტრა ხეჩუაშვილმა, რომლისაგანაც ჩაწერილია რვა მეტად საინტერესო ნიმუში მაგიური პოეზიისა, საახალწლო სადღეგრძელოს შესახებ აღნიშნა: „მეტვირეები მღეროდნენ, შაზანდრულს ვეძახითო“. კახეთში მეტვირეების საშუალებით გავრცელებულ, მ. ხეჩუაშვილისაგან ჩაწერილი საახალწლო დალოცვა მეტად საინტერესოა, როგორც შინაარსით, ისე ფორმით. იგი მნიშვნელოვანია საახალწლო წესების გასათვალისწინებლად. ლექსი მეტად რიტმიულია. იგი უდაოდ განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა მსმენელებზე. ტექსტი მოგვყავს მთლიანად:

ხელში ორ ჭიქას ავიღებ,
ვილოცებოდე ღვინითა,
ყველა კარგად დაესწარით,
მრავალ ახალ წელს დილითა.
ნათლიმამა თან მოგდედეღს,
თაფლი მოჰქონდეს ჭილითა,
ხურჯინი სავსე მოჰქონდეს
ჩურჩხელებით და ხილითა.
დილითვე არაყს მიირთმევთ,
ხილსაც მოგართმევთ სინითა,
ეს ჭიქა დიდი ყოფილა,
მეც ზომ ვითერები ღვინითა,
როცა ძაან დავითვრები,
გვიან ავდგები დილითა.
თქვენი კოდები ყოფილა

სავსე და წმინდა ფქვილითა;
თქვენი ქვევრები ყოფილა
სავსე და წითელ ღვინითა;
თქვენი ფარები ყოფილა
სავსე და ცხვრითა ბინითა;
თქვენი გომური ყოფილა
სავსე და ძროხის ბინითა;
თქვენი მტერი წაქცეულა,
ველარა ძღება ძილითა;
ხალხი სუ ამოწვევტოდა,
ეზიდებოდა ვირითა;
ვირი რო არ ადდიოდა,
ურმებს იჭვრდა ქირითა,
მკვდარი არ გამოლეოდა
მუდამ ორშაბათ დილითა.¹

სახალხო რიტუალებთან დაკავშირებული სიტყვიერი შემოქმედების ნაწილი მხოლოდ ქალთა პოეზიაა. მიქმელთა ცნობებით ქალები ასრულებენ გონჯობას, რომელთანაც დაკავშირებული ტექსტი ამინდის ღვთაებისადმი მიმართული ვედრებაა. აღსანიშნავია, რომ ყვარლის რაიონში ამინდის შეცვლის გამოსაწვევი მაგიური ხასიათის რიტუალი, რომლის აუცილებელ ელემენტს „გონჯა“ შეადგენს, დაკავშირებულია ადგილობრივი ხასიათის საისტორიო

თქმულებასთან. ამ პატრიოტული თქმულებით, რომელიც წააგავს ბერძნულ ნითს აბოლონისა და დაფნის შესახებ (მისი ვარიანტები ჩაწერილია ყვარელში, შილაში, საბუეში, აღმატში, გრემში), როდესაც კახეთს შემოესია შაბაშ ყვინი (ზოგი ვარიანტით შამილი, ან კიდევ უბრალოდ—ლევები), მოსახლეობა აიყარა და ტყეს შეეხიზნა, გაქცეულთა შორის ყოფილა გოგოლაშვილის ქალიც. მას თან წაუყვანია აკვანში მწოლიარე ბავშვი. ქალს ის იყო უნდა დაწეოდა მტერი, დაუჩოქია და ღმერთისთვის უთხოვია: „თათრის ხელში ნუ ჩამავდებ და ქვად მაქციეო“. ღმერთს აუსრულებია თხოვნა და ქალი ბავშვიანად ქვად უქცევია. ყვარლის რაიონის მცხოვრებნი ახლაც აჩვენებენ საბუეს ბოლოს ქვებს, რასაც ქალ-ქვას უწოდებენ. როდესაც ძველად ყვარლის რაიონში გვალვა ან მეტად წვიმიანი ამინდი იყო, რაც მოსავლის გაფუჭებას იწვევდა, ამ ქალ-ქვასთან სრულდებოდა რიტუალი. ქალთა ჯგუფს ქალ-ქვასთან მიყავდათ ერთი რომელიმე გოგოლაშვილის ქალი. იგი ქვას მიმართავდა: „ამყე მამილო!“—ამის შემდეგ ქვას გადაბრუნებენ და წყალში ჩაავდებენ, თანაც დასძენენ: „ღმერთო, წვიმა გვალისრეო“, ან „ღმერთო, მზის თვალი გვალისრეო“. შემდეგ სიმღერით, ფეხ-შიშვლები მიდიოდნენ სოფლებში, მიქონდათ გონჯა (თოჯინა) და ყველა შემხედრს წუწავდნენ. საწესო პოეზიის კარგი შემსრულებელი, საბუეს მცხოვრები, 60 წლის, ევა მოსიაშვილი გონჯაობის შესახებ ასეთ ცნობას იძლევა: „შავიკრე-ფავდით ქალები თავსა, ეზოში ჩამავივლიდით. რასაც გამავგიტანდნენ, იმით ვიქე-ფებდით. თუ როგორმე არ გამავგიტანდნენ, ხელში კოვზი ექირა მებარგულეს და იმას მიწაში ამასუვებდით: „ეგრე დანიავდეს თქვენი სახლკარი“. ზოგი მთქმე-ლის ცნობით, ვინც არ დასაჩუქრებდა გონჯაობის შემსრულებელთ, ოჯახის განიყვების მიზნით ეზოში გონჯას შეუგდებდნენ.

ყვარლის რაიონში ბოლოდრომდეა შემორჩენილი სამეურნეო დღესასწაუ-ლი „პირველმამისობა“. ოცი-ოცდაათი ქალი ებმება ფერხულში და თან სიმღე-რით ასრულებენ „დიდებას“. ევა მოსიაშვილის ცნობით „ოთხი და ორი ცალ-ცალკე მღეროდა, სხვები ბანს ეუბნებოდა“.

საფერხულო „დათო-დათოც“ ქალების რეპერტუარში შედის. ევა მოსიაშვილის ცნობით „დათობანას“ ქალები ასრულებდნენ ხელიხელ გადაბ-მულნი, შუაში დათვი და მისი ცოლი იყო. ფერხულში მამაკაცები არ მონა-წილეობდნენ. ამავე მთქმელისაგან ჩაწერილი საფერხულოს ტექსტი ასეთია:

დათო, დათო, ჩვენო დათო,
ჩვენო დათუნაო,
დათო ცოლი მაიყვანე

(დათვი ხელსახოცს გადაუგდებდა კისერზე და მოიყვანდა ქალს)

დათვსა ცოლი ავადა ჰყავ.
ჩვენი დათვია,
დათო, ექიმი მოუყვანე

(და ექიმს მოუყვანდა. ახლა ვეტყვოდით)

ახლა წამალი მოუტანე (დაალევიანება),
 დათესა ცოლი კარგადა ჰყავ,
 ჩვენო დათვიათ,
 ითამაშე, ითამაშე,
 ჩვენო დათვიაო¹.

ქალების პოეზიას წარმოადგენს სახადით (ხველა, წითელა, ყვავილი) დაავადებულთან შესასრულებელი „ივენანა“. ჩაწერილია „ივენანას“ საინტერესო ვარიანტები. ტექსტები ჩაწერილია საწესო-მაგიური პოეზიის ცნობილ შემსრულებლებსაგან. შილდელი მასო ჩალმელაშვილი ირწმუნებოდა, რომ ყვავილი, წითელა, ქუნთრუშა და ყვიანა — ბატონებია. ისინი შვილებია ღვთაები ბარბარესი და ემორჩილებიან მის ბრძანებებს. ასეთი რწმენა ხალხისა ასახულია სასიმღეროებშიც. მასო ჩალმელაშვილისაგან ჩაწერილი ტექსტი, რომელსაც მან „ლოცვა ბატონებისა“ უწოდა, ვედრებაა წმინდა ბარბარესადმი. ამ სიმღერას მთქმელის ცნობით ქალთა გუნდი ასრულებს ცეკვით.

საყურადღებოა „ივენანას“ ტექსტებში ისტორიული პირის ლევან ბატონიშვილის ხსენება. გავრცელებულია ლექსები ერეკლე მეორის ვაჟის, სამხედრო ნიჭითა და გმირობით განთქმულ ლევან ბატონიშვილის შესახებ. ერთი ლექსი რომელიც მისადმი მიმართული, მტერთაგან გატაცებულ ქართველი ქალის მუდარას წარმოადგენს. იგი ასე იწყება:

ბატონიშვილო ლევანო,
 მარგალიტისა მტევანო,
 დაღისტელ ლეკებს მივყვარ,
 დამიხსენ, მათი ტყვე ვარო.²

ამ საისტორიო ლექსის დასაწყისით ყვარლის რაიონის საწესო პოეზიის შემსრულებლები აბოლოვებენ „ივენანას“. აღმატში ჩაწერილია „ივენანას“ შემდეგი ტექსტი:

ივენანა ვარდონანა, ივენანიანო!
 აქ ბატონები მობრძანდენ, ივენანიანო,
 როგორც მასვლით გაგვახარე, ივენანიანო,
 ისე წასვლით გაგვახარე, ივენანიანო.

იგუნდის მარანშიაო ღვინო დგება ლალისაო,
 შიგ ალვის ხე ამოსკლა, ნორჩია და მზრებს შლისაო,
 აჲ ბატონები მობრძანდენ, მაიყოლეს ბულქის პური,
 ივენანიანო,

ბატონიშვილო ლევანო, მარგალიტისა მტევანო,
 ივენანიანო³.

საბუეში ჩაწერილი ტექსტი, რომელიც შესრულებულია ავადმყოფ პატარა ვანოსთან ასე მთავრდება:

¹ ფ. არქ. № 30586.

² ფ. არქ., № 3235.

³ ფ. არქ. № 30741.

შიგა წვეს ბატონიშვილი, იავნანიანო,
 ბატონიშვილი ლევანი, იავნანიანო,
 მარგალიტისა მტევანი, იავნანიანო!

ყვარლის რაიონში ძლიერი ყოფილა შელოცვების ტრადიცია. ახლა ის მხოლოდ გადანაშთის სახით ვგვხვდება. შელოცვების ფიქსაცია არ არის ადვილი. კარგი შემსრულებლები მას უყურებდნენ, როგორც შემოსავლის წყაროს და ყველას არ ეტყოდნენ, რომ არ აეთვისებინათ მათი რეპერტუარი. ამისთვის შელოცვების ჩამწერს ხშირად უხდება ავადმყოფობის მომიზეზება და შელოცვინება. გარდა ამისა, სწამდათ, თითქოს შელოცვა ხმამაღალი შესრულებით კარგავდა ძალას. ასე, მაგალითად, საბუეს მცხოვრები ფეფე მქედლიშვილი მხოლოდ ჩურჩულით ასრულებდა შელოცვებს. შილდის მცხოვრებმა მაშო ჩალმელაშვილმა, რომელიც შელოცვების შესრულებაზე დათანხმდა ექსპედიციის წევრთა მასპინძლის დიდი პატივისცემით (იყო მისი დედობილი) მასა და ჩამწერს თამარ ოქროშიძის შორის ფანქარი ჩასდო. ამგვარად მისი რწმენით შელოცვა შეინარჩუნებდა ძალას. შელოცვების ტრადიციაში აღსანიშნავია კიდევ შემდეგი მომენტები: ტექსტის სამჯერ შესრულება; ტექსტის კავშირი მოქმედებასთან (ნადირის პირის შესაკრავ შელოცვისას სავარცხლის კბილების შეკრა და სხვ.); სიყრბის (პირველი) შვილის წინ დაყენება; შემსრულებლისათვის გასამრჯელოს მიცემა (ს. ალმატის მცხ. 52 წლ. თამარ ვარდოშვილის ცნობით, წინააღმდეგ შემთხვევაში შელოცვა „არ გასჭრის“). შელოცვების ტრადიციაში აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველთვის არ არის აუცილებელი უშუალოდ შელოცვის ობიექტთან ტექსტის შესრულება.

ყვარლის რაიონში მეტწილად სამკურნალო ხასიათის შელოცვები ყოფილა გავრცელებული. არის სამეურნეო (ნადირის პირის შესაკრავი, მატლის და სხვა) შელოცვებიც.

მათ მეტწილად ასრულებდნენ მოხუცი ქალები, იშვიათად — მამაკაცებიც. მამაკაცთაგან შელოცვების მცოდნეა მრავალფეროვანი რეპერტუარის მქონე, საბუეს მცხოვრები, ვანო მიქელაშვილი. ჩვენის აზრით, მამაკაცები მეტწილად სამეურნეო შელოცვებს ასრულებდნენ. ქალთაგან გამოირჩევა შილდელი 70 წლის მაშო ჩალმელაშვილი, რომელიც მხოლოდ მაგიური პოეზიის შემსრულებელია. მაშო ჩალმელაშვილი ირწმუნებოდა, რომ მის შელოცვებს განსაკუთრებული ძალა აქვს.

მაშო ჩალმელაშვილს აქვს სიტყვების მეტად მდიდარი მარაგი. განსხვავებით შელოცვების სხვა შემსრულებლებისგან იგი თავის ტექსტებს ასე აბოლოკვბდა:

ცულიჲ პირით მონაქერი
 ცულსა ტარათ დეგვება.
 ჩემი პირით შანალოცი
 ამ ავანტყჱფს შერგება.

ამას თან ურთავს იგი ტრადიციულ სტრიქონებს:

ზელი და სიტყვა ჩემი,
 რგება შენი უფალო!

ასე დაამთავრა მაშო ჩაღმელაშვილმა თოთხმეტი ტექსტი შელოცვისა¹. საწესო-მაგიური პოეზიის ტრადიციასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ პოეზიის ეს თავისებური უბანი ამჟამად კვდომისა და გადაგვარების გზაზეა. ამის მიჩვენებელი სხვათაშორის ისიცაა, რომ მასში შედის არა მაგიური პოეზიის ნიმუშები ან ელემენტები. ასე მაგალითად, საწესო-მაგიური პოეზიის ტიპური შემსრულებლის, ნატო პეტრიშვილისგან ჩაწერილ „ივენანას“ ტექსტში გამოცანაც არის შესული.

ივენანა, ვარდონანა, ივენანინაო.
 აქ ბატონები მობრძანდნენ, ივენანინაო.
 ბატონის დედა ბარბარე, ივენანინაო.
 იადონის მარანშია, ივენანინაო.
 ღვინო დგება ლაღისაო, ივენანინაო.
 ზედ ბულბული შამოჯღღარა, ივენანინაო.
 ტიკტიკითა, გალობითა, ივენანინაო.
 ეს აკვანი ხარატული, ივენანინაო.
 შიგ მწოლელი დახატული, ივენანინაო.

ეს აკვანი ანწლისაო, ივენანინაო.
 შიგ მწოლელი ცხრა წლისაო, ივენანინაო.
 ასიანთ ქალი ვიყავ, ივენანინაო.
 ასი კაბა მეცვა, ივენანინაო
 ასმა ნიავმა შამშკრა, ივენანინაო.
 ასათ ჩამიკეცა, ივენანინაო.
 ბატონი ქულსა ვკერავდი, ივენანინაო.
 ახლო ახლო ლინდავით, ივენანინაო.
 დაბლა ნემსი ჩამივარდა, ივენანინაო.
 ბატონი დედა ბარბარე, შენ მამიტანეო, ივენანინაო!

საწესო-მაგიური პოეზიის კვდომის მიჩვენებელია ისიც, რომ საშობაო „ალალოს“ სიმღერით შესრულების პროცესში ჩაწერილ ტექსტში შესულია სალალობო შირი.

საწესო-მაგიური პოეზიის ნიმუშთა ტრანსფორმაციის თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს აგრეთვე „მაყრულის“ ტექსტი. წერა-კითხვის მცირემცოდნე მთქმელისაგან ჩაწერილი საქორწილო სიმღერა ნიმუშთა სუფრულის, ვაჟაფშაველას „ბატრიონის“ გახალხურებული ფრაგმენტისა და გამოცანის კონტამინაციისა:

არულალო. თარულალო,
 არი ალალო!
 მრავალჯამიერ, მრავალჯამიერ,
 მადლობელი ვარ!
 მადლობელი ვარ ჩვენო თამადავ

სადღეგრძელოფთვინ!
 სადაური ხარ დედილო,
 ან სადაური ქალიო,
 თბილისური ვარ ქალიო,
 ბერიძე მყავდა ქმარიო.

¹ ფ. არქ. № 30615—20627.

² ჩაწერილი ყვარულში 1947 წ. 2/VIII ექსპედიციის წევრის ელენე ვირსალაძის შიერ.

შეიდი გავზარდვ ვაქვაცი,
 შვიდივე ლობთა დარიო.
 შვიდივე ერთ დღეს დამებოცნენ,
 მამაც იმათთან მკვდარიო.
 შეიდ დღესა ვთხარე საფლავი

იმათი შასადარიო
 ეს ხომ იცი, ჩემი ძმა ხარ,
 ახლა ჩემი ცოლია შეილი,
 წადი, მამაშენს უთხარი,
 მამავ, მაგივიდა შეილი.¹

აღნიშნული გარემოებანი საწესო-მაგიური პოეზიის ტრადიციისა, მაჩვენებელია ფოლკლორის ამ თავისებური უბნის კვდომისა, ან კიდევ მისთვის ძველი სოციალური ფუნქციის გამოცლისა.

რაც შეეხება მოქმედებს, როგორც აღვნიშნეთ, ყვარლის რაიონში საწესო-მაგიური პოეზიის გარკვეულ ნაწილს მამაკაცები ასრულებდნენ, გარკვეულს—ქალები. ზოგს—კი (მაგალ. შელოცვებს) ორივე სქესის წარმომადგენლები.

საწესო-მაგიური პოეზიის შემსრულებლების რეპერტუარში შედის ფოლკლორის თითქმის ყველა დარგის ნაწარმოები. იყენენ ისეთი მოქმედებაც, რომელნიც მხოლოდ საწესო-მაგიური პოეზიის ნიმუშებს ასრულებდნენ. ასეთებია: შილდის მცხოვრები მამო ჩაღმელაშვილი და ყვარლის მცხოვრები ნატო პეიტრიშვილი.

*
*
*

ყვარლის რაიონში გავრცელების ფართო არე აქვს მცირე ქანრის ნაწარმოებებს, როგორცაა—ანდაზები და გამოცანები. იქ ჩაწერილია სხვადასხვა გზით შექმნილი ანდაზები. ზოგი ზეპირი წარმოშობისაა ცხოვრებაზე უშუალო დაკვირვების შედეგად. ზოგი—კი წიგნიდან მომდინარეობს. იქ ჩაწერილი ანდაზები მცირე გამოცანის გარდა, ცნობილია საქართველოს სხვა კუთხეებშიც.

რაც შეეხება გამოცანებს, მათი ტრადიცია ძლიერია ბავშვებში. გამოცანები უფროსებშიც არის გავრცელებული. გამოცანების ტრადიციაში აღსანიშნავია შეჯიბრი სოფლებითა და ქალაქებით. ეჯიბრებიან ადგილობრივი სოფლებითა და ქალაქებით, როგორცაა: თელავი, შილდა, ყვარელი, საბუე, და სხვ. ცდილობენ შეინარჩუნონ კარგი ადგილები. ვინც ვერ ახსნის გამოცანას, ის „წააგებს“ ქალაქს ან სოფელს. ზოგი გამოცანა ჩაწერილია ასეთი შეჯიბრების პროცესში. ასე, მაგალითად, ჩვენ გვაჯიბრეთ ხუთი ბავშვი და ამგვარად ერთ სეანსზე ჩავიწერეთ 55 გამოცანა. ყვარლის რაიონში ბოლო დრომდე გავრცელებულია ბევრი ისეთი გამოცანა, რომელიც ძველი ყოფის საფუძველზეა შექმნილი. მათი ახსნა გაუძნელებათ თანამედროვე ბავშვებს. ასეთია

¹ ფ. არქ. № 30718.

გამოცანები დიდ მარხვაზე, სინთელზე და სხვები. გამოცანების გარკვეულ ნაწილს ადგილობრივი ვლფერი აქვს. ზოგი მათგანი ასახავს საქართველოს ამ კუთხის წარსულ ბედუკუღმართობას. ასე, მაგალითად, გამოცანა ზღმარტლზე ქცეულა კახეთში ლეკთა თარეშის ამსახველად: „ტყვიდან წუწიანი დიდო გამიიყურება“. ამ პატარა გამოცანაში აშკარად იგრძნობა კახელი მოსახლეობის დიდი სიძულვილი მოთარეშე გარეშე მტრებისადმი.

გამოცანების შემსრულებლები ყველა ასაკის მთქმელებია, — განსაკუთრებით კი, როგორც აღვნიშნეთ, გამოცანის ტრადიცია ძლიერია ბავშვებში.

ალენე მიხსალაძე

დიდი სამამულო ომის ასახვა პართულ საზოგადოებაში¹

წიჯელ არმიას აქვს ომის თავისი კეთილშობილური და დიადი მიზანი, რომელიც აღადგინოვანებს მას საგმირო საქმეებისათვის. სწორედ ამით აიხსნება, რომ სამამულო ომი ჩვენში წარმოშობს ათასობით გმირ ვაჟებსა და ქალებს, რომლებიც მზად არიან თავი დასდონ თავისი სამშობლოს თავისუფლებისათვის². დიდმა სამამულო ომმა კიდით კიდემდე შესძრა ჩვენი მრავალეროვანი ქვეყანა, წარმოშვა მრავალი გმირი, რომელთაც თავისი სიცოცხლე ხალხის კეთილდღეობას შესწირეს. შეუძლებელია ყოველივე ეს არ წახსულიყო ხალხურ შემოქმედებაში.

ფოლკლორი ყოველთვის მეტად სწრაფად და უშუალოდ ეხმარება ყოველ ახალ მოვლენას ხალხის ცხოვრებაში. სამამულო ომში კი ხალხური შემოქმედება ზოგჯერ თვით წარმოადგენდა ერთ-ერთ მოქმედსა და აქტიურ იარაღს.

საბჭოთა ფოლკლორისტიების წინაშე სდგას დიდი სამამულო ომის ფოლკლორის შეკრებისა და შესწავლის საპასუხისმგებლო და საპატიო ამოცანა. ამ გრანდიოზული ეპოპეის ამსახველი ფოლკლორული მასალის თავის მოყრა, შეკრება ლექსებისა და სიმღერების, რომელიც ჩვენ მებრძოლთა თანამგზავნი იყვნენ მათ გმირულ ბრძოლაში—დიდი ისტორიული მნიშვნელობის საქმეა. ამ ლექსებსა, შაირებსა და მოთხრობებში აღიბეჭდა ჩვენი ხალხის გმირული სახეები. ამ სიმღერებით მიდიოდნენ ჩვენი მემორები ბრძოლაში, ამ სიმღერებში აგვიწერდნენ გამარჯვების სიხარულსა და ომის სიძნელეებს. მათშია აღბეჭდილი საბჭოთა ხალხისათვის დიდი სამამულო ომის სამართლიანობისა და საბოლოო გამარჯვების ურყევი რწმენა.

როგორც უდიდესი მასშტაბის ისტორიულმა მოვლენამ, დიდმა სამამულო ომმა ბიძგი მისცა ახალ ნაწარმოებთა შექმნას. ჩვენს წინაშე, ამ შემოქმედებით პროცესის ფიქსაციის ამოცანა სდგას. ამგვარი მასალის თეორიული, პრინციპული მნიშვნელობა მეტად დიდია.

ახალი ფოლკლორული ფაქტების ზუსტი ფიქსაცია, ახლად შექმნილ ნაწარმოებზე გულისხმიერი დაკვირვება, მისი სოციალური და მხატვრული გამიზნულების შესწავლა,—ახალ ფოლკლორულ ჟანრთა და ნაწარმოებთა შექმნას, ცოცხალ და ჯანსაღ ფოლკლორულ ტრადიციის არსებობას დაგვანახებს.

¹ წაკითხულია მოსკოვში სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ მოწვეულ ფოლკლორისტთა საკავშირო კონფერენციაზე.

² ი. ს. ტაღლინი—„დიდი სამამულო ომის შესახებ“, 1945 წ., გვ. 44.

ქართველმა ფოლკლორისტებმა იმთავითვე გაუწიეს ანგარიში დასახულ ამოცანათა დიდ მნიშვნელობას და განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება დიდი სამამულო ომის მასალათა შეკრება-შესწავლაზე. სსრ მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ფოლკლორული განყოფილების შემკრებლობითი მუშაობა ომის პერიოდში არ შენელებულა— ჩატარებულ იქნა მივლინებები და ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა რაიონში.

ამ მუშაობის შედეგად შეკრებილია დიდი და მრავალფეროვანი მასალა. დიდი სამამულო ომის ამსახველ ფოლკლორის ტექსტთა უმრავლესობა საქართველოში სიმღერებისა და შიპირების სახით არის წარმოდგენილი. ეს სიმღერები იქმნებოდა როგორც უშუალოდ ფრონტზე, ისე ზურგში. ნაწილი ამ ტექსტებისა ომის უშუალო მონაწილეებისაგან არის ჩაწერილი. მდიდარ მასალას გადაღვევენ ამ მხრივ, ფრონტიდან გამოგზავნილი წერილები.

მასალის მრავალფეროვნება და სიუხვე პირველ რიგში მისი სისტემატიზაციის საჭიროებას ქმნის.

უპირველეს ყოვლისა, დგება საკითხი იმისა, თუ რა კრიტერიუმით უნდა ვიხელმძღვანელოთ მასალების შერჩევის დროს? სად და როგორ უნდა გვატაროთ ზღვარი, რომელიც გამოპყოფს ქეშარიტად ფოლკლორულ ნაწარმოებს პოეტის ინდივიდუალურ შემოქმედებიდან?

ამ თვალსაზრისით, მასალა შეიძლება ორ მთავარ განყოფილებად გაიყოს.

1. ე.წ. ავტორ-მთქმელთა შემოქმედება,
2. საკუთრივ ფოლკლორული, უავტორო, მრავალ ვარიანტად გავრცელებული ტექსტები.

პირველი განყოფილების მასალას თავის მხრივ დიფერენცირებული მიდგომა ესაჭიროება. ჩვენ უნდა გამოვყოთ ავტორ-მთქმელთა შემოქმედება დამწყებ პოეტთა შემოქმედებისაგან, რომელსაც ან არაფერი აქვს საერთო ხალხურ ტრადიციასთან, ან მის ხელოვნურ მიბაძვას წარმოადგენს. განყოფა რა თქმა უნდა, დიდი სიფრთხილით უნდა სწარმოებდეს. როდესაც ავტორ-მთქმელის მიერ შექმნილი ტექსტის შესახებ ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ ისეთ ტექსტს, რომელსაც ჰყავს გარკვეული ავტორი, მაგრამ შექმნილია ფოლკლორული ტრადიციის საფუძველზე და განსაზღვრულია ზეპირსიტყვიერების სპეციფიკით.

ეს მხატვრული შემოქმედების ის პირველადი ნაბიჯია, რომელიც უძველეს საფუძვლად ყოველგვარ ფოლკლორულ ტექსტს. ეს არის მთქმელის შეგნებული გამოხმაურება თავის ეპოქის მნიშვნელოვან მოვლენებზე, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ფოლკლორის განვითარება ამა თუ იმ ეპოქაში. შემდეგში, ეს ტექსტი კარგავს პირველი ავტორის სახელს, იცვლება და მომდევნო თაობებში ურიცხვ ახალ ავტორს იძენს.

ამგვარი მასალის თეორიული და მეცნიერული ღირებულება ექვს გარეშეა. მართალია, ხალხის მეხსიერება, ტრადიცია, ამ მასალას თავის ქურაში გამოაწრთობს, გამოატარებს ხოლმე, ნაწილს დაიწვევებს მისცემს, სამაგიერ-

როდ დანარჩენს იგი დახვეწს, დასწმენდს და სამუდამოდ გახდის ხალხის საუნჯედ. ავტორ-მთქმელთა ლექსებს განსაკუთრებით ახასიათებს მკვეთრი თვით-შეგნება და მაღალი იდეური დონე. თუმც მხატვრული თვალსაზრისით მათ ზოგჯერ არ აქვთ ჯერ გამოუმუშავებული კემშარიტი ხალხური ლექსის სისადავე, დახვეწილობა, ლაკონურობა, მაგრამ ხშირად ისინი მეტად მხატვრულნი და შთამბგონებელნი არიან.

დაგემშიედობე გომბორო, ტყე-გელო გორებთანო,
მთებო, ამაყად აღზრდილნო, ფერდობებ ხავერდიანო,
ივრის ხეობავ, ლამაზო, ნაპირებ სოფლებიანო,
სამური ხარ საცქერლად ქალივით ხალებიანო,
სამშობლოვ, ჩემო სამშობლოვ, ლალიან ბარაქიანო...
არ დაგივიწყებთ ფშაველები, რაც გინდა დავიგვიანო!
მანამა ეცოცხლობ ძმობილო, სანამ ფშაველი მქეიანო,
მანინც შენ გეტრფი, მანინცა ჩემო ქვეყნავ მთიანო.
მტერს მედგრად უნდა დაუხედეთ, დედებ იმთა გვზრდიანო¹.

ეს ლექსი თვრამეტი წლის მწყემსის, ფშაველ გიორგი ჩარბოდაშვილის გამოთქმულია.

ცნობილი მთქმელია 76 წლის სანდრო ახალკაცი (ს. ყვარელი). იგი თავის ლექსს ხალხთა ბელადს, დიდ სტალინს უძღვნის:

ქირიმე შენი ვაკაცო,
ქირიმე შენი ხმლისაო,
გულადო, მძლავრო, მაგარო,
არ გეშინია მტრისაო,
შენ მტერი ვერას დაგაკლებს,
გული გაქვს ფოლადისაო!

ტიპიური ავტორ-მთქმელია 73 წლის მთიული მოსე ბურჯული. მან გამოთქვა ორასტრიქონიანი პოემა დიდი სამამულო ომის შესახებ. ეს პოემა 1946 წელს ჩასწერა რუსთაველის სახ. ინსტიტუტის მეცნ. თანამშრომელმა აპ. ცანავაძემ. მოსე ბურჯული ტრადიციული მთქმელია. მისგან ჩაწერილია მთიულური ფოლკლორის მრავალი ტექსტი. 1944 წელს მას განუზრახავს ეპიკური ნაწარმოების შექმნა ჰიტლერელთა ვერაგული შემოსევის შესახებ და შეუქმნია დიდი პოემა, სადაც ძლიერად და საქმოდ ნიჭიერად აგვიწერს ომის ყველა მთავარ მომენტს: მოსკოვის დაცვას, სტალინგრადის ეპოპეას, კავკასიის გმირულ დაცვასა და გამარჯვებას.

ოცდაორ თიბათეშია
კვირა დღე გათენდებო...

აგვიწერს მთქმელი ომის დასაწყისს. ომი გრძელდება. მტერი მოსკოვის მისადგომებთან არის.

¹ მთქმელი 18 წ. გიორგი ჩარბოდაშვილი (ს. გომბორი), ჩამწერი გ. გილაშვილი ■ სახალხო შემოქმედების სახლის მასალებიდან.

² რუსთაველის სახ. კართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი (შემოკლებით ფ. არქ.) № 30183.

მოადგა გერმანის ჯარი,
 სტალინი დაუხვდებოა,
 სამ თვეს ებრძოდეს მოსკოვსა,
 მოსკოვი მთელი რჩებოა...

მოსკოვთან და ლენინგრადთან დამარცხებული მტერი კავკასიას მოადგა:

გავიდეთ საქართველოში,
 გვგმა მით შესრულდებოა.

მათ მძინარე სარდალს გამოეტახლება ქალი და ეუბნება:

საქართველოს ვერ აღდებ,
 ბერლინი გვიკარგებოა,
 მთლად საქართველოს გმირები
 ყველაი მკვდრებით დგებოა,
 ისეთ დღეს დაგაცენებენ,
 გაქცევა დაგპირდებოა.¹

კავკასიის დაცვას სათავეში ჩაუდგება ქართველი ხალხის სამამულო შვილი,
 დიდი სტალინის სახელოვანი თანამებრძოლი ამხანაგი ლავრენტი ბერიძე.

ამის შემდეგ პოემა ავეიწერს ჩვენი ჯარის გამარჯვებულ წინსვლას: ჯერ
 ოკუპირებულ ქვეყნების განთავისუფლებას ბოლოს გამარჯვებას ბერლინზე.

მთელი თავისი აღნაგობით, სულითა და მხატვრული სტილით ეს პოემა
 ქართული მთის ფოლკლორის ტრადიციით არის შექმნილი და გამოკვებილი,
 მაგრამ ამავე დროს იგი ახალი, საბჭოთა ეპოქის შექმნის ცდას წარმოადგენს.
 საინტერესოა, რომ პოემაში არც ერთი სიტყვა მთქმელის პირად განცდაზე არ
 არის თქმული. მხოლოდ პოემის დასასრულს, ხალხური ტრადიციის თანახმად,
 მთქმელი გვაცნობს თავის თავს, როგორც ავტორს ამ ნაწარმოებისა:

ამ ლექსის დამღეპსებელი
 არ გამიწვიეს ომშია...
 სამოცდაათი წლისა ვარ,
 ცოტა მოხრილი მხრებშია,
 სიბერით ველარ დადივარ,
 ჩინი არა მაქვს თოლშია,
 თმი მეც გადავიყარე
 თოთხმეტ და ჩვიდმეტ წელშია.

ასეთივეა დიდი სამამულო ომის მონაწილის იროდიონ ტურაშვილის ეპი-
 კური პოემა, მიძღვნილი ამ გმირულ ეპოპეისადმი, ჩაწერილი დოც. ქს. სიხა-
 რულიძისა და ჩემს მიერ 1947 წელს, ყვარლის რაიონში.²

ამგვარივეა კავკასიისა და სევასტოპოლის გმირული დაცვის მონაწილის,
 მთიული იოსებ ნადიბაიძის ლექსი ჩაწერილი აპ. ცინავას მიერ 1946 წ.

ოქტომბრის თვეში შევედით ელზოტის მაღალ ტყეშია,
 სიტყვა უთხარით ბიჭებმა, ფიცი დავდევით ხალხშია:
 არ უღალატოთ სამშობლოს, მისთვის ვართ გამოზრდილია,
 სამშობლოსაც აქვს იმედი,—ქართველი ხალხი გმირია.³

¹ ფ. არქ. № 32289.

² ფ. არქ. № 30113.

³ ფ. არქ. № 32331.

ომში დაღუპულ ძმობილის საფლავზე სდებენ ფიცს მისი ამხანაგები:

სიტყვა მივეცი ჩემ ძმობილს, თავზე ავიღო ხელია,
ვიბრძოლებ თაგანწირულად, სისხლი ავიღო ზეგრია...
სამისკრაგადაც¹ დაკალით რქა დაწრეხილი ცხვარია,
შეშანდობელი დალიეთ,—სამშობლოსათვის მგვდარია!²

ამგვარი მასალები უამრავია.

გასაგებია, რომ ავტორ-მთქმელთა ტექსტების წმინდა ფოლკლორულ ნაწარმოებთაგან გამოყოფა,—პირობითია. ამ მასალას მეტად ფრთხილი მიდგომა ესაჭიროება. უნდა ვერიდოთ ხალხური შემოქმედების ფალსიფიკაციას, მაგრამ უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ინდივიდუალური ავტორობის ცხადი ნიშნების მიუხედავად, მრავალი ამგვარი ტექსტი ზოგად-ქართული, ხალხური გახდა, გამოვიდა თავის სოფლისა თუ კუთხის ფარგლებიდან, ავტორის სახელი დაჰკარგა და ვარიანტული ცვლილებანი განიცადა.

განსაკუთრებით აშკარად ვხედავთ ამას ფინეთის ომთან დაკავშირებულ ტექსტებზე მუშაობის დროს. ფინეთის ომის შემდეგ განვლო რამდენიმე წელიწადმა და ამ ლექსებმა ფართო გავრცელება მოიპოვეს, გადაიქცნენ სავსებით ფოლკლორულ, ვარიანტულ უავტორო ლექსებათა და სიმღერებად.

ხელშიდ ავიღებ ჩონგურსა ვათილსა ცაცხვის ხისაო,
მინდა გაიმბოთ ამბავი ოცდაცხრამეტი წლისაო.
დახედეთ ლაჩარ ფინეთსა გეგმა ქონია რისაო,
დაუხატინათ რუქები საბჭოთა კავშირისაო,
ერთად სდომიათ აღება ლენინგრად-მოსკოვისაო.
გვეჩხუბებიან გულადად, იმედი ქონდათ სხვისაო:
ნორვეგიის და შვეციის, საფრანგეთ-ინგლისისაო.
ჩვენ შეუთვალეთ ფინეთსა „ტყუილად იტებ ცვირსაო,
შენ თუ რუსეთი აიღო, ნურვის დაუღებ წილსაო“.
ვერ იცნობ ქვეყნის ძალასა, წითელ დროშასა შლისაო,
ვერც ჩვენ ქებულ მემობარსა, ლადო ნანიშვილსაო,
მტერს ისე ზოცავს ბრძოლაში, თითქოს ყანასა მკისაო.“³

საინტერესოა, რომ ეს ლექსი ჩვენ მიერ ფიქსირებულია საქართველოს მრავალ კუთხეში (ქართლი, კახეთი, რაჭა, მთიულეთი), მრავალ განსხვავებულ ვარიანტად.

მასალათა მეორე განყოფილებას შეადგენს სწორედ ასეთი, საკუთრივ ფოლკლორული ნაწარმოებნი, რომელნიც უკვე გავიხილეთ ხალხში და გავრცელდნენ მრავალ ვარიანტად. დღესდღეობით ეს ჯგუფი უფრო ნაკლებ მასალას შეიცავს ვიდრე პირველი, მაგრამ მასში შეიძლება უკვე რამდენიმე ქვეჯგუფი გამოვყოთ:

ა) ფოლკლორული ნაწარმოებნი, რომელნიც ძველ ფოლკლორულ ქანართა და ნაწარმოებთა ახალ გაახრებასა და გადაკეთებას წარმოადგენენ.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ამგვარ ნაწარმოებთა შექმნა ძველის გზით, ძველი ფორმის ახალი შინაარსით შეესების გზით მიდის, მაგრამ ამ შეთხვევა-

¹ მოსახსენებლად.

² ფ. არქ. № 32330

³ მთქმელი მარო მებრეველი, ჩამწერი ვთერი არჯვჯანიძე. ჩაწერილია რაჭაში. მთქმელს ეს ლექსი კახეთში, ყვარლის რაიონში გაუგონია და უსწავლია.



ში, უმეტესად საქმე გვაქვს ხოლმე, ტექსტის ახალ გააზრებასა და ძირფესვიან შეცვლასთან. ეს შეცვლა ნაწარმოების სოციალური გამიზნულეების შეცვლით არის გამოწვეული.

ძველ სიმღერათა ცალკეული ტაემები განაგრძობენ ხოლმე არსებობას დამოუკიდებელ შაირების სახით, მაგრამ მათ ახალი, დამოუკიდებელი შინაარსი და განვითარება გააჩნიათ. მაგალითად, ძველმა ქართულმა შრომის სიმღერამ, რომელსაც ჯერ ისევ XIX საუკუნის ჩანაწერებითაც ვიცნობთ:

კამეზი წვეს და იცხნის
თავის ამინდი ჭგონია,
ლაფში ჩაფლული ურემი
შინ მიტანილი ჭგონია,

ებლა ახალი, პოლიტიკურად გამაზვიანებელი შინაარსი და სახე მიიღო:

ბიტლერი წვეს და იცნებობს
თავი მოსკოვში ჭგონია,
ლაფში ჩაფლული ტანკები
გამარჯვებული ჭგონია,¹

ფართეთ გავრცელებული შაირი:

ბიტლერს ჯარები გაქცა
მთვარიანი ღამითა,
ბიტლერი უკან მისდევდა
ყანგიანი დანითა.²

ეს წარმოადგენს გმირი თამარ ვაშლოვნილის შესახებ არსებული ძველი ლექსის გადაკეთებას.

ძველი შრომის სიმღერა, რომელიც შრომით გატაცებასა და შრომის შექმნას გადმოგვცემდა, ებლა სულ სხვაგვარად ქლერს:

ამ კომკავშირულ გოგონას, ბევრი ვერ ვნახე ვაჟაკი
ვეფხვის სიფიცხე ჭკონია, იმაზე უკეთესია,
თამში შევა და გამოვა, თორმეტი მტერი დააწვო,
თავი ქორწილში ჭგონია. ერთი არ დაუკვნესია.³

ვხვდებით აგრეთვე ჯარისკაცთა ძველი სიმღერების გადაკეთებასა და ახალ გააზრებას. მაგრამ აქ მხოლოდ გარეგნული მსგავსება რჩება (საწყისი, ცალკეული ეპიზოდი). ამ საკითხს ჩვენ ქვემოთ შევხვებით უფრო დაწვრილებით.

ბ) დიდი სამამულო ომის ფოლკლორის ნაწარმოებთა მეორე ჯგუფს წარმოადგენს ლიტერატურულ ნაწარმოებთა გადაკეთებანი ან მიბაძვანი. იმ ფართო ვაზზე, რომლითაც შედის ბექედითი სიტყვა თანამედროვე სოფელში, წიგნისა და ხალხური შემოქმედების ურთიერთგავლენა ბუნებრივსა და ორგანულ პროცესს წარმოადგენს: ლიტერატურიდან ხალხში გადასულ ნაწარმოებთა შორის პირველ რიგში უნდა ვახსენოთ პოეტ ირაკლი აბაშიძის პოპულარული ლექსი „კაპიტანი ბუხაიძე“, რომელიც ფართოდ გავრცელდა საქართველოში და ჩაწერილია ხევსურეთში, სვანეთსა და საქართველოს სხვა რაიონებში ვარიანტული ცვლილებებით. მთქმელებს დღეს იგი ხშირად ხალხურად მიაჩნიათ. იგი სრულდება როგორც ინდივიდუალურად, ჩონგურის აკომპანიმენ-

¹ ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ ქ. გორში, 1943 წელს. მთქმელი დარეჯან გვენიცაძე.

² იქვე.

³ ჩაწერილია ელენე ვირსალაძის მიერ სოფ. რუისპირში, 1945 წელს, მთქმელი თ. ჰეპელაშვილი.

ტით, ისე გუნდურად. ასეთივე დიდი პოპულარობით სარგებლობენ გიორგი ლეონიძის ლექსები, განსაკუთრებით „არ დაიღარღო დედო“ და ალექსანდრე აბაშელის „დედის წერილი“.

შეიძლება აღინიშნოს რუსული საფრონტო სიმღერების გავლენის ცალკეული შემთხვევები. ასეთია, მაგალითად, საქართველოში ფართოდ გავრცელებული სიმღერა „ოცდაორ იენისს ბრძოლა დაიწყო“, რომელიც ისაკოვსკის პოპულარული სიმღერის „Огнем“-ის ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს. ჩვენ ხელთ გვაქვს ფრონტზე ჩაწერილი ქართულის ანალოგიური რუსული ვარიანტი. ეს ვარიანტი მოგვითხრობს მოღალატე ცოლის შესახებ, რომელმაც უარყო ფრონტიდან დაბრუნებული დასახიჩრებული ქმარი. ქართული ვარიანტით მამას შვილი სიყვარულით მიიღებს და მზრუნველობას უწევს.

გ) დიდი სამამულო ომის დროს შექმნილ ფოლკლორულ ტექსტთა მესამე ჯგუფს შეადგენს თემატიკით, სიუჟეტითა და ზოგჯერ ფორმითაც ახალი ფოლკლორული ნაწარმოებები. ეს არის ხალხურად ქცეული, უაუტორო სიმღერები, მათი შემსრულებელი მთელი საქართველოა. მათ ასრულებდნენ და ისმენდნენ როგორც ახალგაზრდები, ისე მოზულებები და ბავშვები. შემსრულებელთა შორის იყვნენ პროფესიული მთქმელებიც, კოლმეურნეიცა და მოსწავლეთა ფართო მასა. ვის არ გაუგონია საქართველოში ეს სიმღერა?

დედას ერთი შვილი ჰყავდა,
 ისიც, ფრონტზე გაგზავნილი,
 დღე და ღამე სულ ფიქრობდა
 როდის მოვა ჩემი შვილი?
 შვილო, დედის ნეტარება,
 საითა ხარ, რომელ მხარეს?
 დაჭრილი ხარ, დედას ეძებ
 თუ ვის ჭკაულებ კარებს?
 ნეტავ შვილო, მეც შემეძლოს,
 რომ ავიღო თოფი ხელში,
 ჩვენს სამშობლოს დასაცავად
 მეც ამოგდგომოდი გვერდში?!

ეს სიმღერა ფართოდ არის ცნობილი საქართველოში. შემდეგი ჩანაწერები ამ ლექსისა გაკეთებული გვაქვს სულ სხვადასხვა პირთაგან. მთქმელთა შორის კოლმეურნეიცა და სტუდენტებიც იყვნენ. აუდიტორიაში იგი ხშირად აღელვებასა და ცრემლებს იწვევდა.

რით აიხსნება ამ უბრალო, სადა სიმღერის ესეოდენ დიდი პოპულარობა? რით ხიბლავდა იგი მსმენელს? მისი ლექსიცა და სახეები სავსებით რეალისტურია. მასში არ არის არც ბუნების მოვლენათა წიაღიდან აღებული სახეები და შედარებები, არც ძველი საგმირო ეპოსის სახეები, იგი თითქოს უფრო რომანსის ტიპის ქალაქური ფოლკლორის ნიმუშს ჰგავს, მაგრამ ამავი დროს ეს ლექსი ორგანულად უკავშირდება ქართული ხალხური ლექსის ტრადიციას. ძუნწი, ლაკონური და თანაც მეტად კონკრეტულია ამ ლექსის სახეები, მაგრამ მათ მაღალი იდეური პათოსი ახასიათებთ.

დედამ ერთადერთი შვილი ფრონტზე გაისტუმრა. ეს ამბავი გააზრებულია ლექსში როგორც ბუნებრივი, და აუცილებელი ნაბიჯი. მაგრამ დედის ჯვარი, წუხილი და დღევა, როგორც საბჭოთა ქალის ადამიანური გრძნობები, ღრმა კონკრეტულობით არის მოცემული ამ ლექსში.

¹ ჩაწერილია ელენე გირსალაძის მიერ უსინათლო მთქმელ 68 წ. ნიკოლოზ მესტიას შვილისაგან 1944 წ.

შვილო, დედის ნეტარებაჲ,
საითა ხარ, რომელ მხარეს,
დაჭრილი ხარ, დედას ეძებ,
თუ ვის უკაჟუნებ კარებს?

დედას ესმის ამ ბრძოლის აუცილებლობა, მისი გარდუვალობა. მას ესმის ამ ბრძოლის მიზანი. იგი ოცნებობს იმაზე, რომ შესძლოს გვერდში ამოუდგეს თავის ვაჟს იარაღით ხელში, დაეხმაროს მას სამშობლოს დაცვის წმინდა საქმეში. ეს სახე ენათესავენა ქართველი ქალის ქვეშაირიტ ბუნებას, ქართველი ქალისა, რომელიც მუდამ მზად იყო გაეღო მძიმე მსხვერპლი, მუდამ იყო ვაჟკაცის, შვილისა თუ ძმის შთამავგონებელი მტერთან ბრძოლაში, მზად იყო იარაღით ხელში ამოსდგომოდა გვერდში მამაკაცს. ეს სახე ღრმად ორგანულია ქართული ხალხური პოეზიისათვის.

მეორე სიმღერა, „ქერჩისა“, არანაკლები პოპულარობით სარგებლობდა ომის წლებში. იგი ეძღვნება ქართული დივიზიის გმირულ დესანტს ქერჩში. ამ სიმღერაში აღწერილია ქართველი მეომრის გმირული სიკვდილი. თავდება იგი სიტყვებით:

აქ განისვენებს გმირი ქართველი,
სამშობლოსათვის თავდადებული¹

ხეცსურული „ლექსი სთქვი, დედისერთაო, ახლანდელ თაობაზედა“ უკავშირდება ქართული საგმირო ლირიკის საუკეთესო ტრადიციებს. მეომრის განცდები ბრძოლის ველზე, ომის სიძნელები, ომის სიმძიმე და ამავდროს გმირული ძალა ჩვენი მეომრებისა, მათი ვაჟკაცობა და გამარჯვების რწმენა ამ ლექსში გადმოცემულია სახეთა იმ ხელშესახებით კონკრეტულობით, რომელიც მხოლოდ ცხოვრების უშუალო შემომქმედმა, ბრძოლის უშუალო მონაწილემ შეიძლება გვაგრძნობინოს.

ტყვიო ვარშავისაო, ახლოს ნუ იწვე ძალზედა,
ნაძირი გახდა სამოსი, რაც კი რამ გვეცვა ტანზედა...
ზოგ ტოტზე წაეყუდება, ვით მანძილა ხარ რქაზედა,
ბევრია დედისერთი ბეწვითა ღბავის ცაზედა.
ომში წასული ვაჟკაცის გულ მაგარ გახდა ქვაზედა,
დედიო, ხეცსურის ქალო, გვარ არ აყვილო გვარზედა,
ვიცი, რომ მოგაგონდები, ცრემლ არ მიუშვა თვალზედა!
ის დღე გათენდეს, როდესაც თავის შინ ვიჯდე სკანზედა,
გვერდითა მყვანდეს სწორები, ქება ეთქვათ კი ყმაზედა².

ეს სამამულო ომის ფოლკლორის ერთ-ერთი შესანიშნავი ნიმუშთაგანია. საქართველოში შექმნილია მრავალი სიმღერა, მშობლიურ კერასთან დაბრუნებულ საბჭოთა გმირების შესახებ, მათ შესახებ, ვინც ვალმოხდილი დაუბრუნდა ოჯახსა და შრომას.

ძმაო, შორი გზა გვივლია,
ათასი მთები ტყიანი,
ცოლად თუ მოგიყვანია,
ქალი თვალ-წარბა, თმინი?

¹ ჩამწერი ვ ლ ე ნ ე ვ ი რ ს ა ლ ა ძ ე.

² ჩამწერი ალ. ქვიციანი, კახეთი, სოფ. გვარელი, 1942 წ.

ერთად ვიბრძოდით ყირიმში,
დაჭრილი გამოვიყვანე,
მორჩა და სიტყვა მიგვეცი
შინ ცოლად წამოვიყვანე.¹

ეს სიმღერა ფართოდ არის ცნობილი თელავის რაიონში, მრავალფეროვანი გონებაშახველი შაირები გვიჩვენებენ ჩვენი ხალხის ალ-ლოსა და რეაგირებას ყველა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ამბის მიმართ.

ჭიტლერი მოკვდა დილითა,
მოასვენებდნენ ვირითა,
ჟვან ჰებელსი მიჰყვება .
ერთი ვაგონი იხვითა.

ჭიტლერი იჯდა, ტიროდა:
სულ გამიწყვიტეს ჯარები,
ისე მიღეწენ ტანკებსა,
როგორც ლობიოს ჯამებსა.

ჭიტლერმა თქვა: უკრაინას
მე მივართმევ ქადათაო
საქართველოს დაეყოლებ
შავ ღვინოდ და მწვადათაო,
უახროა, ჭიტლერ, შენი ფიქრები,
ძალიან მალე სამარეში იქნები.²

ან საინტერესო შაირი, ჩაწერილი მის. ჩიქოვანის მიერ 1944 წ.

ჭიტლერი ვნახე ჰაღში,
ჰაობი აუროლებული,
ჩვენი წითელი ჯარები —
ბერლინში შებრძანებული.³

შეიძლება ითქვას, რომ განარჯვების ეს რწმენა ახასიათებს დიდი სამამულო ომის დღეებში შექმნილ ხალხურ სიტყვიერების ყოველ ნაწარმოებს.

ომის წლებში ხალხი ხშირად ლექსად იმეორებდა ბელადის მოწოდებებს, რომელნიც ღრმად სწვდებოდნენ მის გულსა და გონებას:

დაგვიდგა დღესასწაული, ჩვენს ქუჩაზედაც მღერიან,
ვგრე ვავსრისთო ჭიტლერი, როგორც მკათათვის გველია,
გავაცამტვეროთ ურჯუჟი არ დარჩეს მისგან მტვერია,
ყველგან მისწვიდება მტარვალეხს შურისმგებელი ხელია.
მათივე მიწის ბუნაგში დავახრჩოთ სისხლის მსმელია.

ვამბობთ და ყველგან იმარჯვებს დიადი საქმე მართალი;
მამა გვეყავს დიდი ბელადი, მარშალი მთავარსა დალი.
დიდხანს იცოცხლებს სტალინი ნათელი ჩაუჭრობელი,
დაჩაგრულ ხალხის მზრუნველი, ჩვენი მამა და მშობელი!⁴

¹ ჩაწერილი ვლენე ვირსალაძის მიერ 1945 წ. სოფ. რუისპირში თ. ჰეპელა-შვილის აგან.

² ჩამწ. ვლენე ვირსალაძე, გორის რაიონი, 1945 წ.

³ მთქ. გრიგოლ სვანიძე, კოლმეურნი, ფორნტული, ს. ცხუკუშვირი. ცაგერის რაიონი, ჩამწ. მ. ჩიქოვანი 25.VIII.1944 წ.

⁴ ჩამწ. ი. მჭედელი შვილი, მთქმელი სერგანტი გ. ხომასტრიძე. ხალხ. შემოქმედების სახლის მასალებიდან.

დიდი სამამულო ომის ფოლკლორში წამყვან ქანრად საქართველოში გვესახება შაირები და მოკლე ლირო-ეპიკური სიმღერები, სადაც ფაქტების აღწერა მოცემულია მათი უშუალო მონაწილის ღრმა განცდით. მაგრამ ამავე დროს, ჩვენ ვხედავთ აშკარა ტენდენციას ფართო მასშტაბის ეპიკური პოემებისაკენ, სადაც ხალხის მიერ ღრმად განცდილის განზოგადოების ცდებს ვხედავთ. ასეთია ჩვენს მიერ ზემოთმოყვანილი ორასისტრიქონიანი პოემა მოსე ბუჩუყურისა. მასვე ეხმაურება კახელი მთქმელის იროდიონ ტურაშვილის პოემა. ასეთივეა ფინეთის ომის მონაწილე ლადო ნანეიშვილზე შექმნილ ლექსთა ციკლი.

ძველად, ცარიზმის დროს ჯარისკაცისათვის უცხო და გაუგებარი იყო იმპერიალისტური ომის მიზანი. მაშინდელ ჯარისკაცთა სიმღერების სოციალური დანიშნულება იყო პროტესტი იმ უადამიანო დამოკიდებულებისა და მდგომარეობის წინააღმდეგ, რომელსაც განიცდიდა ქართველი ჯარისკაცი მეფის რუსეთის არმიაში. დღეს ამგვარ ლექსების გამიზნულობა სულ სხვაა. ამ ლექსებში ნათლად სჩანს ის თვისობრივად ახალი მოვლენები, რომელთაც ადგილი აქვთ ჩვენი ხალხის ცხოვრებასა და შეგნებაში, ამ ლექსებში საბჭოთა ადამიანის ამაღლებული პატრიოტული შეგნება მოსჩანს:

მტერს უნდა დაგხედეთ მედგრად
 გმირები ჩვენის ხნისათ,
 როგორ დაკვარგოთ ნაშრომი
 ამდენი წლის და ხნისათ...¹

ქართულ ფოლკლორში, ერთ-ერთ წამყვან იდეას, რომლითაც განმსჭვალულია მთელი ქართული ხალხური შემოქმედება, წარმოადგენდა პატრიოტიზმის მაღალი იდეა, რომელიც წარმოშობდა და აყალიბებდა მთელ რიგ ხალხურ ნაწარმოებთა სიუჟეტებს, წარმოქმნიდა სახალხო გმირთა ტიპებსა და იდეალებს.

მრავალფეროვანი საგმირო და საისტორიო ეპოსი გამოხატავს ქართველი ხალხის საუკუნოებრივ ბრძოლას ეროვნული დამოუკიდებლობისათვის. მძიმე განსაცდელისა და ნგრევის დროსაც ქართველ ხალხს ახსოვდა თავისი სამშობლოს ისტორიის ნათელი ფურცლები, მისი კულტურის აყვავებისა და სახელმწიფო ძლიერების ეპოქები; სწამდა მისი მომავალი. ამიტომ ბუნებრივია, სამშობლოს იდეა ქართული ხალხური შემოქმედების ერთ-ერთ წამყვან, ცენტრალურ იდეათ მივიჩნიოთ, საქართველოს ისტორიული წარსულის ამსახველი ფოლკლორი გვიჩვენებს ქართველი ერის ჩამოყალიბების აქტიურ პროცესს. ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარის, ერეკლე II-ის სახელები პოპულარობით სარგებლობენ ხალხში, მათი სახით ხალხი უმღერს საქართველოს გაერთიანებისათვის მებრძოლ ადამიანებს, იმ ადამიანებს, რომელნიც წინააღმდეგობას უწევდნენ, როგორც თავგასულ ქართველ ფეოდალებს, ისე უცხო შემოსეულ მტერს, წინ სწევდნენ საქართველოს კულტურასა და ისტორიას.

¹ ფ. არქ. № 32369.

ამავე დროს, ქართველმა ხალხმა თავის მეხსიერებაში შეინახა და ჩვენამდე მოიტანა მშრომელ მასების წიაღიდან გამოსულ მთელ რიგ გმირთა სახელი. ეს არის სახელები ზეზვასი, ჯაფარასი, პაატა თემურიშვილისა, სოლოღასი, სოლომონ ბუტულაშვილისა, არსენასი და მრავლის სხვების. ამ გმირებში ისახელეს თავი უცხო ან შინაურ მტერთან ბრძოლაში, ისინი ეროვნულ გმირებად იქცნენ.

საქართველოს მთელმა ისტორიამ გამოსჭედა ხალხის წარმოდგენაში გმირის, ვაჟკაცის სახე:

ვაჟკაცსა გული რკინისა,
აბჯარი თუნდა ხისაო,
მტრებსა უწყვეტდეს სინსილას
მოყვრებს უწყვედეს ლხინსაო,¹
ვაჟკაცსა უნდა უყვარდეს
მამული, თავის ერია,
არ შედრკეს, თუნდა ბუხივით
თავზე ეხვიოს მტერია.
არ გადიწყვიტოს იმედი,
არც შეიცვალოს ფერია,
თორემ დაგმობს და დასწყველის
მოძმე, ერი და ბერია.²

სამშობლოს მოსიყვარულე გმირმა მტერთან მტრობა უნდა იცოდეს:

მტერს უნდა მტრობას უწყვედეს,
ვაჟკაცის შესაფერია.
ვისაც მტრის მტრობა აშინებს,
— ქვეყანად ის არაფერია.
არც მოუხდება ვბჯარი,
არც ომში წასასვლელია.
არც ვაჟკაცებთან ხსენდების,
არარად ჩასათვლელია.
უნდა გაზარდოს დედამა
ვაჟი მტრის გამარჯვებული
არ იყოს აუგის მთქმელი,
არც ფეხის დამწყნარებელი,
არც აშინებდეს სიკვდილი,
სიცოცხლეს გამწვარებული.³

ხალხი ჰგმობს და ზიზღით იხსენიებს მოლაღატეს, გამცემს:

ხმლით დაკოდილი სჯობია
ცუდის ვენით დაკოდილსო,
ხალხს ჯალათი ურჩევნია
დამბეზღებელს, წამხდარ შეილსო.⁴
ერთ სიტყვას ისეთს გასწავლი
დასამარხავად კმარ იყოს,
არ მოეხმარო ქვეყნის მტერს,
თუ სადმე წყალმა წაიღოს⁵

¹ ჯანაშვიას სახ. საქართველოს მუზეუმის კოლექცია H 1926.

² იქვე.

³ საქ. მუზ. H 1926.

⁴ იქვე, H 1924.

⁵ იქვე, H 1924.

ვაჭკაცი მარად უნდა ყოფილიყო მზად მტრის დასახვედრად, თავის მიწა-წყლის დასაცავად:

აჭგი ყმა, მაშინ კარგია, ხმალნი რომ შევლენ ელვასა,
 მოციქულობდნენ ისარნი, მშვილნი აძლევდნენ ენასა.¹

ასე ყაზიბდებოდა ხალხის შეგნებაში სამშობლოს ყოვლისმომცველი, წმინდა იდეა:

მაშულთ, შენთვის მოვკვდები,
 შენთვის ჩავიცემ შავსაო,
 შენ შემოგწირავ სიცოცხლეს,
 შემოგვეღწი თავსაო.²

ქართველ ადამიანს სამშობლო ყოველთვის პირად ინტერესებზე მაღლა უნდა დაეყენებინა.

ოქტომბრის დღემა სოციალისტურმა რევოლუციამ ახალი სინათლე შეიტანა მანამდე დამონებული რუსეთის იმპერიის მრავალმილიონიან მოსახლეობის ცხოვრებასა და შეგნებაში. მან გამოავლინა ხალხის წიაღში მთველმარე ძალები, გამოიწვია ნაციონალური კულტურათა არნახული აღმავლობა და აყვავება. ამ საფუძველზე შენდებოდა სოციალიზმის ტეფენის დიდი კულტურა—ნაციონალური ფორმით, სოციალისტური შინაარსით.

საბჭოთა საქართველოში ჩვენ მშრომელთა მასების მხატვრული შემოქმედების დიდ აღმავლობის მოწმენი ვართ. გაჩნდა და ფართოდ გავრცელდა უამრავი ნიმუში ახალი, საბჭოთა ფოლკლორისა. მისი სიხალე არა მარტო თემატიკის შეცვლაშია. ჩვენ საკმე გვაქვს ღრმად ორგანულ პროცესთან. ახალი სიმღერა, ანდაზა, შაირი, ეს ახალი მორალისა, ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შექმნის აქტიური ფაქტორია. ბოლშევიკური პარტიისა და მისი დიდი ბელადების—ლენინისა და სტალინის შესახებ გამოთქმული სიმღერები, სოციალისტური მშენებლობის, ახალი ყოფის, ოჯახის და სწავლის შესახებ შექმნილი ტექსტები, საბჭოთა ფოლკლორის თემატიკის მთავარ ჯგუფებს შეადგენენ. ყველა ამ ნაწარმოების წამი იდეა—ეს არის პატრიოტიზმის იდეა. მაგრამ აქ ჩვენ მას, განვიტარებთ ახალ საფეხურზე ვხედავთ. „საბჭოთა პატრიოტიზმის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მის საფუძველს წარმოადგენენ არა რასობრივი და ნაციონალისტური ცრურწმენანი, არამედ ხალხის ღრმა ერთგულება თავის საბჭოთა სამშობლოსადმი, ჩვენი ქვეყნის ყველა ერის მშრომელთა ძმური თანამეგობრობა. საბჭოთა პატრიოტიზმში ჰარმონიულად შეხამებულია საბჭოთა კავშირში შემაგვალ ხალხთა ნაციონალური ტრადიციები და ყველა მშრომელთა საერთო, სასიცოცხლო ინტერესები“.³

ქართველი ხალხი უმდერის თავის სასახელო შევიღებს, რომელთაც საბჭოთა კავშირის გმირის მაღალეი სახელი დაიმსახურეს, რომელთაც სიცოცხლე შესწირეს საბჭოთა სამშობლოს:

¹ საქ. მუხ. H 1990.

² იქვე, H 1926.

³ ი. სტალინი. „დიდი სამამულო ომის შესახებ“. 1945 წ. გვ. 156.



მზემ ისევ გამოანათა
აყვავდა იასამანი,
განთავისუფლდა ყირიმი,
განთავისუფლდა ტამანი.
შესწყდა მთებისა გულიდან
ღვართაჟაფად სისხლის დენაო,
შენს გვერდზე ბევრი ქართველი
ვაჟაკი მიესვენაო.
შენს სიცოცხლისთვის, სიცოცხლე,
არად ჩააგდეს, არადა...

მტრებს შეესივნენ ვეფხვებად
ხევში, მთაში თუ ბარადა.
მათი ქართული ყოჩიანა
შავი ზღვასავით ლელავდა.
მზეზე, მტრის სისხლით ნაფერი
ქართული ხმალი ელავდა...
რუსი, სომეხი, ქართველი,
ომში ძმად გაიფიცოდა...
— მამულისათვის, ძმებოო...
მებად ძახილი ისმოდა !

ჩვენ ვხედავთ, რომ დიდი სამამულო ომის ფოლკლორში პატრიოტიზმის ცნება, ცნება სამშობლოსი, აყვანილია ახალ საფეხურზე. ეს არის საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობა, რომელიც დაფუძნებულია ხალხთა დიად და ღრმა მეგობრობაზე. სოციალისტურა სამშობლო ეს არის ხალხთა ოჯახი, რომელშიც ჩვენი დიადი სამშობლოს შეილები ძმებად იქცნენ. ამ სამშობლოსთვის არის რომ მეგობრებმა თავისი სიცოცხლე „არად ჩააგდეს, არადა...“

ქართველი ალტაცებით ლაპარაკობს რუსი ხალხის სიმამაცეზე:

გერმანიავ და ავსტრიაავ
რად ეომებით რუსსაო?
რუსი ეგეთი ბიჭია,
მოგახდენებთ ქულსაო! ?

ჩვენ მშრომელთა თვალში, ხალხთა მეგობრობის უმაღლესი გამოხატულებაა ჩვენი ეპოქის უდიდეს ადამიანთა ლენინისა და სტალინის მეგობრობა.

ლენინო, მუშათ ამდგენო,
შენ გახდი მუშათ მამაო.
ვინ გზობა იმ ცხონებულმა.
მუქუს გაჭმევდა თანაო.
წყნარად გირწმევდა აკვანსა,
ალერსით გითბრა ჩანაო.
გიძღვნით მაღლობას ლენინო,

შენ მოგვაშორე მტრია,
მუდამ შენ სასაფლაოზე,
ია და ვარდი ფენია.
თუმცა მოგვეორდი ლენინო,
მანც არავართ ობლები,
შენ მაგივრად გვყავს სტალინი,
შენს კანონს არა ვშორდებით. ?

ხალხთა დიდი ბელადისადმი უსაზღვრო მაღლობა ისმის სიმღერაში:

სტალინო, ჩვენი გული ხარ,
ჩვენი იმედი, მიზანი,
მტერი მოისრა, დამარცხდა,
დღე დაგვიყენე მზიანი...

სტალინო, ჩვენი გული ხარ
არც დარდი დამეზურება,
მთას თუ მზის შუქი ათბუნებს,
ნისლი რად დაებურება. ?

ასე უმღერის ხალხი ჩვენს გამარჯვებათა დიად ორგანიზატორს, პროგრესიული კაცობრიობის გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს ამხანაგ სტალინს.

1 სახალხო შემოქმედების სახლის მასალებიდან. მთქმ. ამირხანაშვილი.
2 ჩამწერი ელენევირსალაძე, მთქმელი დავით დათოაშვილი 78 წლისა
წ. კ. უცოლინარი სოფ. ზემოზოდაშენი, ანბეტის რაიონი, 1945 წ.
3 იქვე.
4 ჩამწერი ელენევირსალაძე, სოფ. რუსიპირი, მთქმელი პეპელაშვილი 1945 წ.

ალექსანდრე ბარამიძე

ვეფხისტყაოსნის ტიპაჟის საკითხისათვის

ჩვენი გამოკვლევა მიზნად არ ისახავს რუსთაველის გენიალური პოემის გმირთა (პერსონაჟთა) დახასიათებას. ჩვენ გვინტერესებს იმის გარკვევა, თუ რა ტიპოლოგიურ სახეობას, ან სახეობრივ ტიპოლოგიას, იძლევა „ვეფხისტყაოსანი“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ გვინდა დავადგინოთ—1) რუსთაველის პერსონაჟები (ტარიელი, ავთანდილი, ნესტანი, თინათინი...) რეალურ კონკრეტულ ადამიანთა მხატვრული პორტრეტებია, 2) ფანტასტიკური, გამონაგონი, ირეალური ბრსებანია, დროისა და სივრცის გარეშე წარმოსადგენნი, 3) თუ რეალისტურად მოფიქრებული ზოგადის კონკრეტიზებული ინდივიდუალური სახეები (სახე-ტიპები, ან სახე-ხასიათები).

ლიტერატურული ნაწარმოების გმირთა (პერსონაჟთა) ტიპიურობის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული საზოგადოდ რეალიზმის პრობლემასთან. როგორც ცნობილია, რეალიზმისა და ტიპიურობის კლასიკური განსაზღვრა ეკუთვნის ფრ. ენგელსს: „ჩემი აზრით, რეალიზმი ჰგულისხმობს დეტალების სიმართლის გარდა, ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში სწორ გადმოცემას“. ენგელსის სიტყვები შეეხება ბურჟუაზიულ ე. წ. კრიტიკულ რეალიზმს. რეალიზმის მრავალი სახეობა არსებობს და თვითეული ამ სახეობისათვის ძალაში რჩება ენგელსის ციტირებული სიტყვები („ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში სწორი გადმოცემა“). ჯერ კიდევ არისტოტელემ აჩვენა პოეზიის, როგორც უფრო ზოგადის (და, მასადაამე, ტიპიურის) ამსახველობითი დანიშნულება. ვლ. ლენინს ამომწურავი სისრულით აქვს მოკვებული კერძობითისა და ზოგადის ერთობლიობის ფორმულა: „Отдельное не существует иначе как в той связи, которая ведет к общему. Общее существует лишь в отдельном, через отдельное. Всякое отдельное есть (так или иначе) общее. Всякое общее есть (частичка или сторона или сущность) отдельного“ (В. И. Ленин, Философские тетради, 1936, стр. 327).

რეალიზმი არ არის XVIII—XIX საუკუნეთა ბურჟუაზიული კულტურის წიაღში შექმნილი მეთოდი სოფლმეგრძობისა. ასევე წყდება ტიპიურობის საკითხიც. ჩვენი აზრით, სავეგებით მართებულია პროფ. დ. ბლაგოის განცხადება: „И, в широком значении этого слова, все образы и лица любого художественного произведения неизбежно носят типический характер, являются литературными типами“. ეს მოსაზრება სავეგებით ეგუება არ ისტოტელეს შემდეგ მსჯელობას: „ზოგადი, რომელიც პოეზიას თავისი გმირებისათვის სახელების მიცემის დროსაც კი უკვე მიზნად აქვს, ის არის, რომ წარ-

მოადგინო, თუ რომელ კაცს როგორი სიტყვა ან ქცევა შეეფერება ალბათობის ან აუცილებლობის კანონის მიხედვით¹.

იმის ზომიერი ჩვენება, თუ „რომელ კაცს როგორი სიტყვა ან ქცევა შეეფერება“, ნიშნავს რეალისტური პრინციპებით ხელმძღვანელობას შემოქმედებითს პროცესში. მაგრამ ჩვენ საკვლევი საკითხის მიანიჭ უფრო კონკრეტული მხარე გვინტერესებს, სახელდობრ, რამდენად რეალისტურია რუსთველის პოემის გმირები და რამდენად ტიპიურია ამ გმირთა სახეები ტიპიურობის ცნების ვიწრო, სპეციფიკური (და არა ფართო) მნიშვნელობით. საკითხის ამგვარი დასმა არ არის ახალი. ჯერ კიდევ XVII საუკუნის ქართველ მოაზროვნეებს აფიქრებდათ „ვეფხისტყაოსნის“ რეალიზმის პრობლემა საზოგადოდ, კერძოდ კი საკითხი პოემის პერსონაჟთა ტიპიურობის შესაძლებლობის თაობაზე.

პოეტი არჩილი (1647—1713) თუმცა მიუწვდომელად თვლიდა რუსთველის შემოქმედებითს ძალას და „ვეფხისტყაოსანს“ აღიარებდა ქართული პოეზიის საფუძვლად, გარკვეულად ემიჯნებოდა დიდებული პოემის შინაარსობლივ მხარეს. არჩილი უარყოფდა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტის ფანტასტიკურობასა და ზღაპრულობას, ირეალობას. შემოქმედებითი მიმართულების თვალსაზრისით ის არ ასხვავებდა და, პირიქით, ერთგვარი ნიშანდობლივი თვისების მქონედ მიიჩნევდა რუსთველისა და თეიმურაზ პირველის პოეზიას (გაბაასება, 37). სხვაგანაც არჩილი რუსთველისა და თეიმურაზის პოეზიას უწოდებს „ზღაპრულს“, „ტყუფილად გასაგონარს“ და ამდენადვე „საკიცხავსა“ და მოუწონარს. ერთი სიტყვით, რუსთველისა (და თეიმურაზის) პოეზიის თემატიკურ-შინაარსობლივი მხარე არჩილს დაუძრავს, რამდენადაც იქ ამოუკითხავს მხოლოდ უცხოური, ფანტასტიკური, რეალურობისადმი შეუფერებელი გარემოება. არჩილის თვალსაზრისი განვითარებული აქვს, ერთი მხრით, მის უფროს თანამედროვეს ფეშანგს, — მეორე მხრით, მის გამგრძელებელს — თეიმურაზ მეორეს (1700—1762). ფეშანგის სიტყვით, „სიბრძნით სავსემან რუსთველმან“ „ყველა ტყვილი შეატმასნა“, „აქო უცხონი ინლო და არაბელია“, ნაჭორი ამბის შეთხზვაზე გარდააგო „ტკბილნი გონებანი“ (შაწნავაზიანი, 8, 9, 10 და სხვ.). თეიმურაზ მეორეს „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები მიაჩნია ნატყურად, გამოწვინად: „ნესტან-დარეჯან ვინ იყო, რომ აქო დაუცხრომელად“ ტყუილის ტარიელისთვის სტირის ცრემლის შეუშრობელად“ (გაბაასება რუსთველთან, 3,1—2). თეიმურაზი ჩამოთვლის პოემის გმირებს და ყველა მათ აღიარებს ვამონაგონ, ირეალურ სახეებად:

¹ პოეტიკა, წინასიტყვაობა, თარგმანი და კომენტარები პროფ. ს. დანელიასი, თბ. 1944. გვ. 21; დაყოფა ჩემია, ა. ბ.

არ გაფიქროვია ინდოეთს ნესტან-დარეჯან ქალადა,
არცა ტარიელ კაცს ვრქვას, გიწოდებია ძალადა!
არაბისტანში თინათინ არ იყო ბროლ-ფიქალადა,
ვერც ჰპოვებთ ავთანდილსაცა მის ეშუით დანათურალადა,
არა ყოფილა ფარსადან ექვს სამეფოზედ მჯდომელად,
არცა განთქმული ინდოეთს რომ ყოფილიყოს მფლობელად

(5-6).

სამივე დასახელებული პოეტი (არჩილი, ფეშანგი, თეიმურაზ მეორე) რუსთველის ვითომდა ფანტასტიკას უპირისპირებს სიმართლის ოქმას, ანუ რეალისტურ შემოქმედებითს პრინციპს. „სხვის ზღაპრულს ამბავს—აწბობს არჩილი და ჰგულისხმობს რუსთველსა და თეიმურაზს—ესე მართალი ამბავი ვარჩიე გასალექსავად“-ო. ანდა კიდევ: „რაც მასმოდა, ან მენახა, ამბავ ვთქვი მე მართლები“-ო. ასევე ფეშანგიც: „მართლად ვიტყვი, არა ჭორად“-ო (13,1). თეიმურაზ მეორე შემდეგი სიტყვებით მიმართავს რუსთველს [9]:

თქვენი ღრმად შეტყვევებანი უცხო რამ, საკვირველია,
თუმცა მართალზე თქმულიყო, რა ტკბილი საკითხველია!

„მართლის თქმა“, ანუ რეალისტური თვალსაზრისი არჩილს მეტად შეზღუდული, ვიწრო მნიშვნელობით ესმოდა. არჩილისათვის რეალისტური იყო მხოლოდ ისტორიული, — კონკრეტულად, რეალურად არსებული, — იქნებოდა ეს ცალკე პერსონაჟი, თუ მთელი ამბავი. არჩილმა მართლაც ისტორიული ამბავი დაუდვა საფუძვლად თავის უმთავრეს პოეტურ ნაწარმოებს „თეიმურაზისა და რუსთველის გაბაასებას“. არჩილმა ასწერა ნამდვილად მოხდარი, რეალური ისტორიული ფაქტები, სცენაზე გამოიყვანა რეალურ-ისტორიული პირები (თეიმურაზ პირველი, გიორგი სააკაძე, ზურაბ ერისთავი და ა. შ.). არჩილისათვის რეალისტური სახეებია სწორედ ასეთი ისტორიული პირები. გიორგი სააკაძე, მაგალითებრ, რეალისტური სახეა (და არა გამოსაგონი, „ნაჰორი“, ზღაპრული, ავტორის შემოქმედებითი ფანტაზიის ნაყოფი), რადგანაც ის რეალურად არსებობდა, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ვარკვეულ დროსა და სივრცეში, იყო გარკვეული იდეების მატარებელი, ციკლხალი, მოქმედი, მებრძოლი. ჩვენ ამჯერად არ ვეხებით იმას, თუ რამდენად რეალისტურად ასახა არჩილმა ეს ისტორიული პიროვნება, ან რამდენად რეალისტურად ასწერა ისტორიული ამბავი, ჩვენ საკითხის პრინციპული მსარე გვიანტერესებს. მაშ, ვიმეორებთ, არჩილისათვის რეალისტურია მხოლოდ ისტორიული. ამდენადვე, არჩილის თვალსაზრისით, რეალისტური არ იქნებოდა რომელიმე ზოგადი, მაგრამ ავტორის მიერ შექმნილი („გამინაგონი“), თუ გინდ უადრესად ტიპური სახე, ვთქვათ, როგორცაა ლუარსაბ თათქარიძის სახე. არჩილის თვალსაზრისით რომ ვიმსჯელოთ, ლუარსაბ თათქარიძე ნატიყუვარი, ზღაპრული სახეა, რადგანაც ასეთი პირი, ასეთი პერსონაჟი, რეალურად, ნამდვილად მართლაც აროდეს ყოფილა. მაშასადამე, არჩილისათვის უცნობია და მიუღებელიც ტიპურობის გაგება. რა თქმა უნდა, აღნიშნული შეეხება არჩილის ლიტერატურული პოზიციის თეორიულ მხარეს, თორემ თავისი შემოქმედებით პრაქტიკით არჩილმა მოახაზა მრავალი ნიშანდობ-

ლივად ტიპიური სიტუაცია და თავისი ისტორიული გმირები პორტრეტული შესატყვისობის ჩარჩოებით როდი შეზღუდა. არისტოტელეს პოეტიკის ენით რომ განვსაზღვროთ, არჩილი იყო პოეტი და ისტორიკოსი, ან, უკეთ, უფრო პოეტი, ვიდრე ისტორიკოსი, თუმცა მისი შემოქმედებითი საგანი იყო ისტორიული ამბავი, ისტორიული თემატიკა. მაგრამ ამაზე მსჯელობა შორს წაგვიყვანდა...

დავუბრუნდეთ ჩვენ პირდაპირ საკითხს. ახლა ვასაგები უნდა იყოს, თუ რად მიიჩნევს არჩილი ნატუყუვარ-ნაჭორად „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებსაც და „ვეფხისტყაოსნის“ სიტუაციებსაც. არჩილის გაგებით (და ეს არსებითადაც ასეა), რეალურად, ისტორიულად აროდეს ყოფილან ტარიელი და ნესტანი, ავთანდილი და თინათინი... მოგონილია და შეთხზული „ვეფხისტყაოსნის“ «ამბავი», სხვადასხვა სიუჟეტური სიტუაციები, კოლიზიები და ა. შ. არჩილის არგუმენტებს ემყარება თეიმურაზ მეორეც. ოღონდ ამასთან საკითხი უფრო გაშლილად არის წარმოდგენილი. თეიმურაზი ასახელებს რეალურ-კონკრეტულ პირს, თუმცა უცხოელსა და ისტორიული თვალსაზრისით სრულიად უმნიშვნელოს, რომელსაც შეეფერებოდა რუსთველური პოეტური სიტყვის ძალით შემკობაო.

ამრიგად, XVII—XVIII საუკუნეების ქართველი პოეტები და მოაზროვნენი „ვეფხისტყაოსანში“ რეალისტური სოფლმეგრძნობის ნიშანწყალსაც კი ვერ ამჩნევდნენ და მთლიანად მთელ პოემას (თავისი პერსონაჟებითა და სიტუაციებით) განიხილავდნენ როგორც ავტორის ლალი ფანტაზიის ნაყოფს, ზღაპრულსა და სინამდვილის ელემენტების უქონელს¹.

„ვეფხისტყაოსნის“ პირველ მეცნიერ მკვლევარს ვახტანგ VI-ს პოემა მიიჩნდა უცილობელ ორიგინალურ ნაწარმოებად, რომელიც ვითომც ალევორიულად გამოხატავდა საღვთო და საკაცობო (საცოლქმრო) მიჯნურობას. ჩვენი საკითხისათვის უფრო საინტერესოა თეიმურაზ ბატონიშვილის შენიშვნები. მისი სიტყვით, „ესე უკვე წიგნი ლექსთანი ვეფხისტყაოსანი ყოველთა ქართველთა სიბრძნისმოყვარეთა შორის უმეტეს ყოველთა ზედა სხვათა ბევრთა თხზულებისაგან არს უმეტეს მოწონებული, ვინაჲდგან ქართულსა ხარაკტირსა ზედა არს შეწყობილი. ხოლო მოლექსეობას შინა რუსთაველი არცა ბაძავს ბერძენთა, არცა სპარსთა, არამედ აქეს მას მხოლოდ აღრჩეულ ლექსთა თვისთა შეთხვისათვის საკუთარი ქართული ხარაკტერი და ჩვეულება, გინა ზნეობა“². ამასვე იმეორებს თეიმურაზი სხვაგანაც: „წიგნი ესე ვეფხისტყაოსანი შეიცავს თვის შორის თუმცაღა ზღაპარსიტყვაობასა, მაგრამ ფრიადისა ხელოვნებითა შეწყობილ არს ესე სრულიად ძველსა ქართველთა ზნეობათა, ჩვეულებათა და ხარაკტერსა ზედა ენისა ჩვენისასა“³.

¹ ჩვენ არაფერს ვამბობთ „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგის შესახებ. მთელ რიგ პოეტებს (მათ შორის კედელაურს და თეიმურაზ პირველს) რეალურად ეხატებოდათ რუსთველისა და თამარის მიჯნურობის ამბავი.

² ე. თაყაიშვილი. Описание рукописей, II, 586.

³ იქვე, II, 588.

მოყვანილი ციტატებიდან ნათლად ჩანს, რომ თუმცა თეიმურაზ ბატონიშვილი აღიარებს „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის ზღაპრულობას, მაგრამ ეს ფაბულა მას მიაჩნია ქართველთა ზნეობისა, ჩვეულებისა და ხასიათზე („ხარაქტერზე“) შეწყობილად. თეიმურაზისათვის „ვეფხისტყაოსნის“ მორალიტიკტი, „ვეფხისტყაოსნის“ მოქმედი პირები, „ვეფხისტყაოსნის“ იდეოლოგია ქართული ეროვნული სინამდვილის გამომხატველია და, მისასადამე, პოემა აგებულია რეალისტურ საფუძვლებზე.

თეიმურაზ ბატონიშვილის მოსაზრება არსებითად გამეორებული აქვს აკადემიკოს ბროსეს. „ვეფხისტყაოსნის“ ღირებებათა შორის ბროსეს დასახელებული აქვს „ემსაყოფელი აღწერა რუსთველის მიერ ზნეთა და შინაგანთა ცხოვრებათა ქართველთა“.¹

ვახტანგისა, თეიმურაზ ბატონიშვილისა და ბროსეს შეხედულებანი „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობისა და ქართული ეროვნული სინამდვილის გამომსახველობის შესახებ უთუოდ მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო წინ XVII—XVIII საუკუნეების მწერალ-მოაზროვნეთა თვალსაზრისთან შედარებით. თეიმურაზ ბატონიშვილი და ბროსე—წინააღმდეგ არჩილისა და მისი სკოლისა—ამტკიცებენ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ არ არის უცხოური, ტყუილისა და ნაჰორის მომთხრობი; რომ „ვეფხისტყაოსანი“ გამოხატავს საკუთრივ ქართული ზნეობითი ცხოვრების ტიპოლოგიურ (ქარაქტერულ) სინამდვილეს. საკითხის ამგვარად დასმამ შედეგად გამოიღო პოემის მიჩნევა ისტორიულ-ნაციონალური ხასიათის მქონე ალეგორიულ ნაწარმოებად. ფორმალურად პირველი სიტყვა ამ მხრით ეუთვნის ბროსეს (თუმცა არ გვგონია, რომ არსებითად ბროსე ყოფილიყო „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ნაციონალური ინტერპრეტაციის წამომწყები). „ვეფხისტყაოსნის“ უკვე დასახელებული მეორე გამოცემის წინასიტყვაობაში ბროსე აღნიშნავს, რომ რუსთველს „თვით შეუთხზავს ზღაპარი ესე უფრო თამარ მეფის ქებისათვის, და დაუწერია შეთანხმობითა საქართველოს მოთხრობისათა“. ბროსე იქვე მიუთითებდა კონკრეტულ ისტორიულ ანალოგიებზე, რასაც—მისი აზრით—ადვილი უნდა ჰქონდეს „ვეფხისტყაოსნისა“ და „ქართლის ცხოვრების“ (საკუთრივ თამარის ისტორიის) შორის. ბროსე ამბობს: „ხვარაზმშაჰისძის ნესტან-დარეჯანზე გამიჯნურების აშავი: ვინ არ მიხვდება მოსვლასა ხვარაზმშაჰისა ტფილისის და თხოვნა[სა] თამარ მეფისა ცოლად, როგორც მოუთხრობს ვახტანგ მეფე თვის ქართლის ცხოვრებაში. და უსააცილოდ სხვანიცა მოქმედნი პირნი ვეფხისტყაოსნისა თვით ქართველნი არიან და წარმოადგინებენ თვითო მათგანი საქმეთა თამარ მეფის დროს მომხდართა“.²

¹ „ვეფხისტყაოსნის“ მეორე გამოცემის წინასიტყვაობა (პეტერბურგი, 1841).

² გვ. IX, დაყოფა ჩემია, ა. ბ. შდრ. აგრეთვე ბროსეს „Взгляд на историю и литературу Грузии“ (ЖМНП, XIX, 310).

დაყოფილი ნაწყვეტიდან აშკარად ჩანს, რომ ბროსეს აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენს ალევორიული ხასიათის ნაწარმოებს, სადაც ყოველ ცალკეულ სიტუაციას და ყოველ ცალკეულ მოქმედ პირს შეესატყვისება სათანადო ისტორიული ხასიათის სიტუაცია და ისტორიული მოქმედი პირი XII საუკუნის საქართველოს ისტორიული სინამდვილიდან.

ბროსეს (თუ მისი ჩამოკონტბლის) ეს აზრი შემდეგში დაედვა საფუძვლად „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ნაციონალური ინტერპრეტაციას მრავალჯგის ცდას, ისტორიული ანალოგიების დადგენის პირველი სერიოზული ნიმუში მოგვცა დ. ჩუბინაშვილმა¹. ჩუბინაშვილის შემდეგ ანალოგიების ძიებას მიმართავენ „ვეფხისტყაოსნის“ როგორც პროფესიონალი მკვლევარნი, ისე ქართული მწიგნობრობის მოყვარულნი, მწერალნი, პუბლიცისტი და ა. შ. ჩვენ არ შევუდგებით საკითხის ისტორიის მიმოხილვას (დაინტერესებული პირი ამის თაობაზე სათანადო ცნობებს იპოვის გ. იმედაშვილის „რუსთველოლოგიაში“ და პროფ. იუსტ. აბულაძის ნარკვევში „ვეფხისტყაოსნის შესწავლის ისტორიიდან“, ვეფხისტყაოსანი სკოლაში, თბ. 1937, გვ. 196—231). ვიტყვი მხოლოდ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ნაციონალური ინტერპრეტაციის თვალსაზრისი ბოლო დროს განავითარეს, ერთი მხრით, ცნობილმა რუსთველოლოგებმა პავლე ინგოროყვამ და კორნელი კეკელიძემ, მეორე მხრით, „ვეფხისტყაოსნის“ მოყვარულმა—მკვლევარმა დ. დანდუროვმა. მე აქ არ შევხები დანდუროვის ნარკვევს (Шота Руставели. Из серии „жизнь замечательных людей“, М. 1937), ვინაიდან ის საფუძვლიანად გაარჩია და ავტორის სრული მეცნიერული უმწეობა ცხადჰყო პროფ. კ. დონდუამ². მოკლედ შევჩერდები პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის კონცეფციებზე.

პ. ინგოროყვას აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ „ისტორიული შიფრის შემცველი ნაწარმოები ყოფილა“ (შოთა რუსთაველი, თბ. 1938, გვ. 17), ხოლო „ამოცნობა „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიული შიფრისა—ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა პოემის სხვა საკითხთა შორის“ (იქვე, გვ. 18); რადგანაც „იგი იძლევა „ვეფხისტყაოსნის“ პრობლემის ნამდვილს გასაღებს“ (იქვე, 17). პ. ინგოროყვას, მისი სიტყვით, გაუშიფრავს „ვეფხისტყაოსანი“, ამოუცნია იმისი ისტორიული ქარგა და, ამრიგად, გადაუწყვეტია პოემის სიუჟეტის პრობლემა. მკვლევარი საბოლოოდ დასკვნაში წერს: „პრობლემა „ვეფხისტყაოსნის“ სიუჟეტისა, რომლის გამოხანგრძლივი კამათი იყო გამართული რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში, საბოლოოდ გამორკვეულად უნდა ჩაითვალოს მას შემდეგ, რაც აღდგენილ იქნა პოეტის ბიოგრაფია და ამასთან დაკავშირებით ამოშიფრულ იქმნა ისტორიული ქარგა ვეფხისტყაოსნისა“ (გვ. 73, დაყოფა ჩემია, ა. ბ.).

¹ О Грузинской поэме Вепхис-тквасани или Барсова кожа (ქართული ქრისტოპატია, 1846, ტ. II, გვ. VI—IX).

² Чудовищная безграмотность (გახ. „Известия“ 23. XII. 37); იგივე წერილი გამოქვეყნდა ქართულადაც („საშინელი უმეტება“, „მნათობი“, 1938, № 1, გვ. 193—196).

პ. ინგოროყვა ჯერ სიფრთხილით შენიშნავს, რომ: „პოემის იდეალურ გმირებზე ვადატანილია ცალკეული ხაზები თამარისა და შოთას ცხოვრებიდან“ (გვ. 17, დაყოფა აქაც და ქვევითაც ყველგან ჩემია, ა. ბ.). მკვლევარი ფიქრობს, რომ ტარიელი შოთა რუსთველის (შოთა ბაგრატიონის) ორეულია, ხოლო ნესტან-დარეჯანი—თამარისა (19). მართალია, მკვლევარი წინასწარ სავანგებოდ შენიშნავს: „ვეფხისტყაოსანი, რასაკვირველია, არის Dichtung, პოეზია, მაგრამ ამასთან ერთად, როგორც ირკვევა, პოემაში მოცემულია Wahrheit, სინამდვილის ანარეკლი“ (17—18). შემდეგ ავტორი უფრო კატეგორიულად აცხადებს: „ის—რაც „ვეფხისტყაოსანში“ მოთხრობილია პოემის გმირის ტარიელის სავგარეულო ისტორიაზე, სავსებით უდგება იმას, რასაც ჩვენ ვგებულობთ საისტორიო წყაროებიდან თვით შოთას¹ სავგარეულო ისტორიის შესახებ“ (26). ზოგჯერ ანალოგიების მხრით ყოფილა „სრული იდენტივობა ნიშანდობლივ ხაზებში“ (იქვე). მკვლევარი უფრო აკონკრეტებს ისტორიული შიფრის შინაარსს და წერს: „პოემის გმირი ქალი ნესტან-დარეჯანი წარმოადგენს პოეტურ ასპექტში თამარს, ხოლო გმირი ტარიელი თვით შოთას“ (50). პ. ინგოროყვა მიუთითებს სათანადო პარალელებზე და ასკვნის: „ამრიგად, როგორც ვხედავთ, „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელის სავგარეულო ისტორიის სახით მოთხრობილია შოთას სავგარეულო ისტორია“² (54). მოყვანილი დასკვნა ისეთი ფორმით არის გამოხატული, რომ ერთგვარად ძალას უკარგავს შემდეგ შემარბილებელ ვანცხადებას: „ამრიგად, როგორც ირკვევა, „ვეფხისტყაოსანში“ გაირჩევა ისტორიული სინამდვილის ანარეკლი. ეს, რასაკვირველია, სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ჩვენ გვქონდეს ისტორიული ამბების ქრონიკა“ (გვ. 59). ამას მიჰყვება მსჯელობა კვლავ Dichtung-ისა და Wahrheit-ის შესახებ: „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ეს ზევითაც გვქონდა ნათქვამი, პირველ ყოვლისა არის, რასაკვირველია, Dichtung—პოეზია და მხოლოდ შემდეგ Wahrheit—სინამდვილე. ისტორიული სინამდვილე აქ პოეტურ ასპექტშია მოცემული, და ბევრ შემთხვევაში ძნელია აქ ზუსტად ხაზის გავლება, თუ სად თავდება Dichtung და სად იწყება Wahrheit (იქვე).

ასე და ამრიგად, პ. ინგოროყვა საბოლოოდ იმ აზრს ადგას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ პოეტური გზით აწერილია საქართველოს XII საუკუნის კონკრეტული ისტორიული სინამდვილე, უფრო ზუსტად, „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს, შოთა რუსთველს, თავის პოემაში გადმოუცია საკუთარი ბიოგრაფიული ამბავი, თავისი, „სავგარეულო ისტორია“. სხვაგვარად რომ ვთქვათ,

¹ აქ უნდა მოვიგონოთ ის გარემოება, რომ პ. ინგოროყვას თვალსაზრისით შოთა რუსთველი უნდა იყოს ჰერეთის ბაგრატიონი შოთა.

² სხვათა შორის, ვაჟა-ფშაველას აზრითაც, რუსთველს „ტარიელად თავის თავი ჰყავს წარმოდგენილი“ (ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ, „ჯანათლება“ 1911, VIII, 448), ხოლო აკაკი წერეთელი შენიშნავდა: „ბევრი დღესაც ამტკიცებენ, რომ რუსთველმა მისი და თამარ მეფის სიყვარული აწერა“ (სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“, კრებული, 1898, VI, გვ. 1, გვ. 31).



„ვეფხისტყაოსანი—პ. ინგოროყვას კონცეფციით—უნდა წარმოადგენდეს პოეტიზირებულ საგვარეულო ეპოპეას. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟები—ისტორიული პირების პორტრეტებია, კერძოდ „პოემის იდეალური პერსონაჟები განასახიერებენ მათ (ე. ი. შოთა ბაგრატიონისა და თამარ დედოფლის, ა. ბ.) გრძნობებსა და განცდებს“ (გვ. 17).

პ. ინგოროყვას ყურადღების ცენტრშია ტარიელისა და ნესტანის, პოემის უმთავრესი პერსონაჟების, ამბავი, რადგანაც სწორედ ესენი გამოხატავენ ავტორის, შოთა რუსთაველის, და მისი მიჯნურის, თამარის, სათავგადასავლო სინამდვილეს. ხოლო „პოემის დანარჩენ პერსონაჟებშიაც შესაძლოა ამოცნობილ იქნას ისტორიულ პირთა მოგონება“ (გვ. 58). ასე, ხვარაზშმა „პოეტურ ასპექტში წარმოგვიდგენს თამარის საქმროდ მოწვეულ გიორგი რუსს“ (იქვე). დღეარი „ნიშანდობლივ“ რუსულანია, თამარის მამიდა და აღმზრდელი (იქვე). რაც შეეხება „არაბეთის გმირთა პერსონაჟებს“, პ. ინგოროყვას აზრით, აქ უნდა იყოს „ერთგვარი პოეტური დუბლირება“. სახელდობრ, ავთანდილი „სახეცვლილი პოეტური ორეულია ტარიელისა, როგორც თინათინი მეორე ასპექტია ნესტანისა, როსტევან—ფარსადანისა“ (გვ. 59, შენ.1). მოყვანილი „შიფრის“ გამო პ. ინგოროყვა შენიშნავს: „სწორედ ამ პოეტურ დუბლირებაში არის გენიალური სიდიადე რუსთაველის ხელოვნებისა, რომელიც ერთი და იმავე პრეტორიკის სხვადასხვა პოეტურ პლანში წარმოადგენით შლის მზღვარს Dichtung-სა და Wahrheit-ს შორის“ (იქვე).

ახლა გადავიდეთ იმ ისტორიული შიფრის გარჩევაზე, რასაც პ. ინგოროყვა იძლევა. მკვლევარის სიტყვით, 1156 წელს გაიფიქრებული გიორგი მესამე დიდხანს უშვილო იყო. ასეთ პირობებში გიორგის „ბუნებრივია, უნდა ეფიქრნა ტახტის მემკვიდრეზე. დემნა ბატონიშვილი, შვილი მისი ძველი მეტოქის დავითისა, ცხადია, მიუღებელი იყო გიორგისათვის“ (57). გიორგი იძულებული გამხდარა ტახტის მემკვიდრე მოექმენა „ბაგრატიონთა გვარის გვერდის შტოიდან“. მართლაც, თურმე, „მე-12 საუკუნის სამოციან წლებში იწყება ჰერეთის ბაგრატიონთა გვარის ამაღლება და გიორგი III მათ წყალობით უტკერის“ (57). 1163 წელს გიორგის ერთი-ორად გაუდიდება ჰერეთის ბაგრატიონების სამფლობელო. ამის ახლო ხანებში, სახელდობრ, 1166/1169 წ. წ., დაბადებულა შოთა, ჰერეთის ბაგრატიონთა ოჯახის წევრი. „უშვილო და უმემკვიდრო გიორგიმ,—სწერს პ. ინგოროყვა,—საფიქრებელია, შოთა იშვილა და აღსაზრდელად აიყვანა იგი“ (იქვე). 1770—71 წელს დაბადებულა თამარი, გიორგის ასული. ისე, როგორც „ტარიელი უფროსი იყო ნესტანზე ხუთი წლით, შოთაც აგრეთვე დაახლოებით ხუთი წლითვე იყო უფროსი თამარზე“ (იქვე).

თამარის მოულოდნელ გაჩენას საქმე გაურთულებია. მამას გადაუწყვეტია თავისი ქალის გამეფება. შოთას პოლიტიკური წონა დაცემულა, ის უკვე აღარ იყო საქირო, როგორც ტახტის კანდიდატი. გიორგის უმადურობა გამოუჩენია და „შოთა ამის შემდეგ უნდა დაებრუნებიათ თავისი მშობლებისათვის“ (57). ე. ი. გიორგის უარი უთქვამს თავის შვილობილზე ღვიძლი შვილის

სასარგებლოდ. გიორგის ნაბიჯს უქმაცოფილება გამოუწვევია ჰერეთის ბაგრატიონებში, მათ თავი შეურაცხყოფილად უგრძნიათ. პ. ინგოროყვა შენიშნავს, რომ: „70-იან წლებში მომხდარა განხეთქილება გიორგი III-ის და ჰერეთის ბაგრატიონთა სახლს შორის“ [58]. ამიერიდან ჰერეთის ბაგრატიონები „ოპოზიციასში უდგანან გიორგი III-ეს, თუმცაღა ისინი სწორედ გიორგი III-ის მიერ იყვნენ დაწინაურებულნი“ [58]. 1177 წელს დემნა ბატონიშვილის მეთაურობით მოეწყო აჯანყება გიორგის წინააღმდეგ. ამ აჯანყების დროს „ჰერეთის ბაგრატიონებს ჩვენ ვხედავთ გიორგი III-ის მოწინააღმდეგე ბანაკში“. ჰერეთის ბაგრატიონებს თავი გამოუდგიათ, დიდი ბრძოლა გაუმართათ, გიორგის წინააღმდეგ აუმხედრებიათ „არა მარტო ჰერეთი, არამედ მოკავშირე დაღისტანი და კავკასიის მთიელები“. ასეთ ვითარებაში „გიორგი III-ის ბედი, ჰერეთის ბაგრატიონთა განდგომის გამო, სასწორზე იდო“ [58].

დაეუშვათ, რომ პ. ინგოროყვას მიერ მოხმობილი ფაქტები შეიცავს ხალას ისტორიულ სინამდვილეს (რაც ჩვენ პირადად საეჭვოდ მიგვაჩნია) და ჰერეთის ბაგრატიონი შოთაც „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი შოთა რუსთველია. მაინც გაუგებრობას იწვევს შემდეგი გარემოება: 1177 წლის აჯანყება მოაწყო დემნა ბატონიშვილმა, ის იძიებდა უკანონოდ მიტაცებულ ტახტს. პ. ინგოროყვას მოწმობით იმავე ტახტისათვის იბრძოდა შოთა ბაგრატიონიც, რომელიც გიორგის მიერ ყოფილა ნაშვილები და „სახელმწიფოდ“ აღზრდილი. გამოდის, რომ ორივე, დემნა ბატონიშვილი და შოთა ბაგრატიონი, იბრძვის ერთიანიხვევ არც თუ ვაკანტური ადგილისათვის. ამდენადვე დემნა ბატონიშვილი შოთა ბაგრატიონის მეტოქეა, ის შოთას ტახტს ეცილება (უკეთ, შოთა ეცილება ტახტს იმის ლეგიტიმურ მემკვიდრეს). ერთი სიტყვით, დემნა და შოთა პოლიტიკური მოქიშპენი არიან, და არ შეიძლებოდა, რომ მათ საერთო ინტერესი ჰქონოდათ, საერთო პოლიტიკურ ნიადაგზე მდგარიყვნენ. მეტის თქმაც შეიძლება. შოთასთვის განსაკუთრებით საშიში უნდა ყოფილიყო სწორედ დემნა ბატონიშვილი, უკანასკნელის გამარჯვება სამუდამოდ წარუკვეთდა მას გამეფების იმედს. თუ კი შოთა იბრძოდა გიორგი III-ის მიერ აღთქმული და შემდეგ მიტაცებული უფლების აღდგენისათვის, ის ვერ გამოვიდოდა დემნა ბატონიშვილის პოლიტიკურ მოკავშირედ და თანამებრძოლად. მსგავს დაძაბულ პოლიტიკურ სიტუაციაში შოთა ბაგრატიონი იბრძას ვერ აისხამდა დემნას გასამეფებლად. ამით ირღვევა ისტორიული და მხატვრული ანალოგიის საფუძველი. ჩვენი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ სიტუაცია ვერ გაამართლებს, ანდა ვერ დაადასტურებს იმას, რაც პ. ინგოროყვას ამოკითხული აქვს ჰერეთისა და ქართლის ბაგრატიონების ურთიერთ დამოკიდებულების ისტორიიდან.

საყურადღებოა საანალიზო საკითხის მეორე მხარეც. „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით, ტარიელის ბრძოლას ტახტისა და მამულისათვის („ტარიელ არს მემამულე“) სარჩულად ედგა სიყვარულის გრძნობა. ტარიელის ბრძოლას ძალას აძლევდა და ფრთებს ასხამდა მისი უზომო სიყვარული ნესტანისადმი, სხვათა შორის, ინდოეთის ტახტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრისადმი ტარიელის უწინ თუ ტარიელის შემდეგ. ტარიელი და ნესტანი ერთიან პოლი-

ტიკურ ნიადაგზე იდგნენ და ერთი მიზნისათვის იბრძოდნენ. როგორც ვთქვით, ამ ბრძოლას აღვივებდა სიყვარულის ცეცხლი. სიყვარული იყო პირველი მიზეზი და საფუძველი. სიყვარულის გრძობამ განსაზღვრა ბრძოლის შინაარსი და მას გარკვეული ფორმა დაუსახა. სიყვარულის მომენტი კი სრულიად გამორიცხულია პ. ინგოროყვას ისტორიული შიფრის პირობებიდან. მართლაც და, პ. ინგოროყვას მოწმობით, შოთა დაბადებულია 1166/1169 წლებს შუა, ხოლო თამარი 1170/1171 წელს. ე. ი. დემნა ბატონიშვილის აჯანყების დროს, 1177 წელს, შოთა იქნებოდა სულ რაღაც 11/8 წლის ბავშვი, ხოლო თამარი 6/7 წლის ჩვილი ბაღლი. ნაშასადიშე, ამ მხრითაც ანალოგიაზე ლაპარაკი არ შეიძლება. იქნებ არც ის იყოს უნიშვნელო აღვნიშნოთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ მიხედვით ნესტანის მიერ ჩაგონებული ტარიელი თვითონ პირადად მეთაურობს ბრძოლას მამულისათვის. საისტორიო წყაროებით კი (ვიმეორებ, თუ თვითონ ეს ცნობებია სწორი) ყრმა შოთა ბაგრატიონი ბრძოლაში ვერაფრითაა მონაწილეობას ვერ მიიღებდა, ალბათ, იმის სახელით იბრძოდნენ სხვები, ჰერეთის ბაგრატიონთა ოჯახის უფროსი თაობის წარმომადგენლები, ჩვენთვის უცნობი პოლიტიკური ავანტურისტები. ამით კიდევ უფრო იზრდება ის უფსკრული, რომელიც არსებობს მოხმობილ ანალოგიათა შორის.

დასასრულ, ხვარაზმშაპის შესახებ. პ. ინგოროყვას მიერ შენიშნული შიფრით ხვარაზმშაპი ასახიერებს გიორგი რუსს. პოემით სწორედ ხვარაზმშაპის ძის ინდოეთის ტახტის მემკვიდრედ მოწვევამ დაბადა ტარიელისა და ფარსადანის კონფლიქტი. რა თქმა უნდა, 1177 წლისათვის სრული ანაქრონიზმი იქნებოდა გიორგი რუსის სახელთან დაკავშირებული რაიმე ისტორიული ანალოგიის ძიება.

ამრიგად, ჩვენ საბოლოოდ იმ დასკვნამდის მივდივართ, რომ პ. ინგოროყვას ისტორიული შიფრის კონცეფცია ვერ უძლებს კრიტიკას. მკვლევარის მიერ დასახელებული ანალოგიები და პარალელები თუმცა შეიცავს საცთურს, მაგრამ მეტწილად ნებისმიერია. საქმეს ვერ შევლის ვერც „დიხტუნგისა“ და „ვარჰაიტის“ აპელაცია. „დიხტუნგი“ თავისთვის რჩება და „ვარჰაიტი“ თავისთვის. მათ შორის პოეტური ხიდის გადგმა არ ხერხდება.

კ. კეკელიძემ თავისი ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომის პირველ გამოცემაში მკვეთრად გააკრიტიკა „ვეფხისტყაოსანში“ ისტორიული ანალოგიების ძიების პრინციპი¹. შემდეგ ეს პრინციპი თვითონვე უხვად გამოიყენა „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ისტორიულ-ლიტერატურული საკითხების ახლებური დაყენებისა და გადაწყვეტისათვის². ამჯერადაც კ. კეკელიძე არა თუ უარყოფს, არამედ საზოგადოდ სასურველად და საიმედოდ აღიარებს კვლევის ისტორიულ-აღგოგორიულ მეთოდს. ის წერს: „დღევანდელ პირობებში ასეთი გზა (—ლაპარაკია აღგოგორიულ გზაზე, ა. ბ.) თუ ერთადერთი არა,

¹ ქართული ლიტ. ისტორია, II. 1924, გვ. 114—118.

² ავტორი „ვეფხისტყაოსნისა“ და დრო მისი დაწერისა („მნათობი“ 1931, №№ 7—8, 9—10).

ერთ-ერთი საიმედო და მისაღები გზაა, თუ, რასაკვირველია, ალფ-გორია და ისტორიული სინამდვილე ერთმანეთს ზუსტად ემთხვევიან და ისტორიული ინტერპრეტაცია ნაძალადევი არაა.¹⁴ კ. კეკელიძე «ვეფხისტყაოსანში» ეძებს არა იმდენად ცალკეული პერსონაჟებისა და სიტუაციების ისტორიულ ანალოგიებს, რამდენადაც მთლიანად მთელი პოემა ალფგორიული თვისების მქონედ მიაჩნია, „რომელსაც აღმზრდელობითი ხასიათი და დანიშნულება აქვს“ (გვ. 140). კ. კეკელიძის აზრით რუსთველის პოემაში «ეს ქვეყანა და წუთისოფელი ძალზე უარყოფითა დაა წარმოდგენილი» (გვ. 130. დაყოფა ავტორისა, ა. ბ.), «პოემაში მძლავრად ისმის გმობა და მღურვა წუთისოფლისა... მართალია... პოემაზე ბედნიერებით თავდება, მაგრამ როგორაა ის მოპოებული? გაკვირვების, ვაების, ტანჯვის და სიმწარის გზით». «როგორ შეუთანხმოთ ასეთი განწყობილება, აზრები და შეხედულებანი წუთისოფლის შესახებ თამარის დროის ლალს და ცხოველმყოფელ სოფელმხედველობას» — კითხულობს მკვლევარი (გვ. 131) და შემდეგ პასუხს იძლევა: «პოემა დაწერის თარიღით არ ემთხვევა თამარის დროსა და მეფობას» — (გვ. 132), და «პოემა არ შეიძლება დაწერილი იყოს უადრეს მონღოლთა და ხვარაზმელთა შემოსევისა ჩვენში» [132]. პოემის იდეური ანალიზითა და ისტორიული რეალიების გათვალისწინებით კ. კეკელიძე «ვეფხისტყაოსნის» წარმოშობის კონკრეტულად უკავშირებს რუსუდან დიდოფლის მეფობის ხანას, 1230 წლის მახლობელ დროს (136).

ესაა საქართველოს ისტორიაში ძლიერი კრიზისის ხანა. ქვეყანას თავს დაატყდა საშინელი უბედურება გარეშე მტრების მოძალებისა და შინაგანი უთაურობის წყალობით. ხვარაზმელებისა და მონგოლების შემოაკეცისას ქვეყნის სათავეში აღმოჩნდა რუსუდან დედოფალი. «რუსუდანი — კ. კეკელიძის სიტყვით — ნამდვილი უბედურება იყო თავისი დროისა» (გვ. 138). «ზნედაცემული და ბილწი», «უძღები და ენებიან ქინს» აყოლილი, ის ასახიერებდა ისეთ ადამიანს, რომლის შესახებ პოემაში ნათქვამია «დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა», რომელსაც არ შეუძლია «გული ერთსა დააჯეროს», რომელიც უგულო სიყვარულის, ხვეწნა-კოცნისა და მტლამა-ტლუშის გამომზატველია (გვ. 139). თუ კარგად ჩავუვიკრიბებით მოტივს დახასიათებას, რუსუდან დედოფლის მხატვრულ ორეულად პოემაში უნდა მივიჩნიოთ სუბუქი ყოფაქცევისა და საძრახი ზნეობის პატრონი ფატმან-ხათუნი. მაგრამ ეს სხვათა შორის. უკუღმართი დროისა და ზნედაცემული მანდილოსნის მეფობის მომსწრე პოეტი «ვეფხისტყაოსანში» ხატავს ზნეობრივობისა, პოლიტიკური სიმტკიცისა, პატრონყმური ერთგულებისა, ძმობა-მეგობრობისა, სიყვარულისა და მისთანათა მძალადიდვალემს, აქებს აწ უკვე გარდაცვლილ თამარს, როგორც მის დროინდელ საქართველოს სიმბოლოს (გვ. 135). «ვეფხისტყაოსნის» ავტორის განზრახვით «თამარის პიროვნებისა და მისი დროის მოგონებას უნდა გამოვლევდებინა და გამოეფხიშლებინა თანამედროვენი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი

¹⁴ ქართული ლიტერის ისტორია, II, 1941, გვ. 152, დაყოფა ჩემია, ა. ბ.

და მორალური ძილისაგან“ (გვ. 135). ასევე მსჯელობს მკვლევარი ქვევითაც: „პოეტს უნდა გამოიყენოს თამარის სახელი, რომელიც ყველას აგონებდა მის ბრწყინვალე მეფობას, სტიმულად აღნიშნული დეფექტების (ლაპარაკია რუსუდანის დროინდელი ცხოვრების დეფექტებზე, ა. ბ.) გამოსწორება-აღმოფხვრისა და თავისი პოემის მხატვრულ სახეებში იძლევა ამ დეფექტების საწინააღმდეგო კონკრეტულ მაგალითებს“-ო (გვ. 136). „ერთი სიტყვით—ასკენის კ. კეკელიძე—ვეფხისტყაოსანი... თამარის სახელისა და მისი მეფობის მოგონებით ამათრახებს რუსუდანის დროისა და მისი პირადი ცხოვრების ანომალიებს“ [140].

მაშასადამე, ამ გაგებით, „ვეფხისტყაოსანი“ იგაფურად, თუ აღეგორიულად, ერთი მხრივ, ხატავს ავტორის თანამედროვე უკუღმართი სინამდვილის სურათს, მეორე მხრივ, აჩვენებს მახლობელი წარსულის ბრწყინვალე ცხოვრების ნიმუშს. კონტრასტული ფერების საშუალებით ავტორი ახორციელებს პრაქტიკულ დიდაქტიკურ-აღმზრდელობითს ამოცანებს.

ზოგჯერ კ. კეკელიძეს მითითებული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებისა, თუ სიტუაციების კონკრეტულ ისტორიულ პარალელებზე. ასე, მაგალითებ, ერთგან მკვლევარი ამბობს: „იქნება ხვარაზმშას შვილის ინდოეთში სიძელ ვახდომისა და აქ მისი გამეფების განზრახვა, რომელიც, პოეტით, ვერ განხორციელდა, სიტყვაგადაკვრით გულისხმობდეს ჯალალედინ ხვარაზმელის სურვილს რუსუდანის ცოლად შერთვისა და საქართველოში გამეფებისას, რომელიც აგრეთვე უშედეგოდ დარჩა“ (141--142).

კ. კეკელიძეს თავისებურად აქვს გაშიფრული და განმარტებული „ვეფხისტყაოსნის“ პრილოგ-ეპილოგის ისტორიულ-ლიტერატურული და ისტორიულ-ქრონოლოგიური ხასიათის ცნობები.

აქ არ შევუღებები იმის განხილვას, რამდენად მართებულია კ. კეკელიძის თვალსაზრისი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის განწყობილებათა შესახებ. ჩემი თემისათვის საჭიროა კ. კეკელიძის „ისტორიული ინტერპრეტაციის“ საფუძვლების გარჩევა. კ. კეკელიძე ფიქრობს, რომ „ვეფხისტყაოსანი, რომელიც თამარის სახელისა და მისი მეფობის მოგონებით ამათრახებს რუსუდანის დროისა და მისი პირადი ცხოვრების ანომალიებს, ამავე დროს, პოეტის სიტყვით, განკუთვნილია ტახტის მემკვიდრის, მის მიერ უკვე მეფედ წარმოდგენილის, ულუ დავითის „საკამათებლად“, ესე იგი გასართობ ამაღალ, მაგრამ ისეთ ამაღალ, რომელსაც აღმზრდელობითი ხასიათი და დანიშნულება აქვს“ (გვ. 140, დაყოფა ჩემია, ა. ბ.). მკვლევარის აზრით. ულუ დავითი მოხსენებულია როგორც პროლოგში, ისე ეპილოგში. ესაა ტახტის მემკვიდრე, ის „ლომი“, რომელსაც „შენის ხმარება მეფისა მზის თამარის შუბისა და ფარ-შიშურისა“ (სტრ. 3), საერთოდ სამეფო რეგალიებისა“-ო (გვ. 140). „ვეფხისტყაოსნის“ ამ მრავალმხრივ მნიშვნელოვანი სტროფის ანალიზისათვის საჭიროა მთელი ტექსტის მოყვანა და მისი შინაარსის ზუსტად გათვალისწინება. აი ეს სტროფიც:

ვის ჰშვენის,—ლომსა,—ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა,
მეფისა მზის თამარისა, დაწვ-ბადახშ, თმა-გიშერისა.
მას, არა ვიცი, შეფჳკადრო შესხმა ზოტბისა შე-რისა,
მისთა მკერეტელთა ყანდისა მირთმა ხამს, მართ მი-შერისა.

რომ მხედველობაში არ მივიღოთ მე-3 და მე-4 ტაეპის სადაოდ ქცეული სიტყვების (შერისა, მი-შერისა) მნიშვნელობა, სტროფის აზრი საერთოდ, როგორც ეს არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული¹, თითქოს სავსებით ნათელია. პოეტი ამბობს, რომ მან არ იცის, როგორ უნდა მოახსენოს (შეჳკადროს) შესაფერისი ქება-დიდება (შესხმა, ზოტბა) განსაცვიფრებელი სილამაზის პატრონის, მზიური მეფე თამარის ლომს, რომელსაც ჰშვენის ხმარება შუბისა და ფარ-ხმლისა (ფარ-შიმშერისა). აქედან ჩანს, რომ შუბისა და ფარ-ხმლის ხმარება შეშვენის თამარის ლომს. ვინც არ უნდა იყოს ეს ლომი, ის მოწიფული ვაჟკაცია, გმირია, დაწვ-ბადახშოვანი და თმა-გიშეროვანი მეფე მზე-თამარის ლომია. სწორედ მას, და არა სხვა ვინმეს, ნამდვილ ლომ-ვაჟკაცს შეშვენის კიდევაც სავაჟკაცო საჭურველი—შუბი და ფარხმალი. კ. კეკელიძის აზრით, ლომს შეშვენის ხმარება მეფის მზის თამარის შუბისა და ფარ-შიმშერისა, საერთოდ სამეფო რეგალიებისა. ჯერ ერთი, შუბი და ფარ-შიმშერი არ უნდა იყოს სამეფო რეგალიების სპეციალური ნიშნები. ასეთი რეგალიების ტარების უფლება ჰქონდა ყოველ ფალავანს, რაინდს, მეომარს. მერმე, რად სჭაროდა თამარს შუბი და ფარ-ხმალი! არასიდან ჩანს, რომ ის პირადად ატარებდა სამხედრო საჭურველს. მაგრამ მოთავარი ისაა, რომ რუსთველის კონტექსტით შუბისა და ფარ-შიმშერის ხმარება განეკუთვნება ლომს (მართალია, თამარის ლომს) და არა თვისონ საკუთრივ თამარს. რომ მივიღოთ კ. კეკელიძის ინტერპრეტაცია, მაშინაც თამარის შუბი და ფარ-ხმალი შვენის მოწიფულ ლომს, ვაჟკაცს (ისეთს, რომელსაც შეუძლია შუბისა და ფარხმლის მოხმარა) და არა ლომის ლეკვს, ჩვილ ყმაწვილს. აღნიშნულის მიხედვით, ვფიქრობ, ძალაში უნდა დარჩეს „ლომის“ ტრადიციული გაგება. „ლომის“ ულუ დავითთან გაიგივება დასაბუთებულად არ მიმაჩნია. ასევე ისმის ეპილოგის საკითხიც. კ. კეკელიძის სიტყვით, პროლოგის ლომი, ტახტის მემკვიდრე, ეპილოგში სახელით არის აღნიშნული“ (გვ. 140), და მითითებულია 1666-ე სტროფის პირველ-ორ ტაეპზე. მოგვყავს სტროფის მთელი ტექსტი:

ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე მსახურებს სარებლად,
ესე ამბავი ვაღლექსე მე მათად საკამათებლად,
ვინ არის აღმოსავლეთით დასავლეთს ხართა მარებლად,
ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა გამახარებლად.

კ. კეკელიძის სიტყვით „ეს ქართველთა ღმერთი დავითი“ არის ულუ დავითი, ლაშა გიორგის-ძე, და არა დავით სოსლანი, როგორც ზოგიერთს ჰგონია. საქმე ისაა, რომ ამ დავითს ვილაც „მზე“ მსახურებს „სარებლად“.

¹ Н. Я. Марр. Вступительные и заключительные строфы «Витязя в барсовой коже...», З. ინ ვ ო რ ო ყ ვ ა, რუსთველიანა 1, 1926, გვ. 8; ვ. ბერძენიძე, ვეფხისტყაოსნის კომენტარიები (გამოუქვეყნებელია) და სხვა.

ესე იგი — მომრებელად, მომვლელად ანუ მზრდელად; მაშასადამე, აქ უნდა ვიგულისხმოთ არა დავით სოსლანი, რომელსაც თამარი („მზე“) მომვლელად და აღმზრდელად არ ჰყოლია მიჩენილი, არამედ ულუ დავითი; ამ შემთხვევაში „მზე“ არის რუსუდანი (პოემაში მეფეს ხშირად ეწოდება „მზე“ და „მზისა დარი“), რომელსაც ძმამ, ლაშა გიორგიმ, ასეთი ანდერძი დაუტოვა: „დასა ჩემსა რუსუდანს ვამცნობ წინაშე ღმრთისა სასმენელად თქვენდა ყოველთა, რათა აღზარდოს შეილი ჩემი დავით“. მეორე მხრით, ეს დავითი არის „აღმოსავლეთით დასავლეთს ზართა მარებელი, ორგულთა მათთა დამწველი, ერთგულთა გამხარებელი“, ესე იგი ნამდვილი თვითმპყრობელი მეფე; დავით სოსლანი კი, როგორც „ეფრემიანი“ და არა „დავითიანი“, არ იყო ნამდვილი მეფე. ის მეფე იყო იმდენად, რამდენად ქმარი იყო ნამდვილი გვირგვინოსანი მეფისა“ (გვ. 140, დაყოფა ჩემია ა. ბ.).

ეს ვრცელი ამონაწერი იმისათვის მოვიყვანეთ, რომ სურათი ყოველმხრივ ნათელი ყოფილიყო. თავი რომ დავანებოთ სადაოდ ქცეულ საკითხს იმის თაობაზე, იყო თუ არა დავით სოსლანი ნამდვილი მეფე, ან და საზოგადოდ რამდენად იყო ის მეფე¹, საყურადღებო ისაა, რომ საანალიზო სტროფის მეფე, კ. კეკელიძის სიტყვით, უკვე არის ნამდვილი თვითმპყრობელი მეფე, აღმოსავლეთისა და დასავლეთისათვის ზარის დამცემელი, ორგულთა აღმწველი და ერთგულთა გამახარებელი. ხოლო ასეთი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ულუ დავითი, ვინაიდან იმ დროს (რომელსაც მკვლევარი გულისხმობს) ის ყოფილა აღსაზრდელი ბაღლი. მეორე და, რაც მთავარია, რუსუდანს, თურმე, რუსთველი უწოდებს „მზეს“, რომელსაც მინდობილი ჰქონია ქართველთა იმედისა და სასოების, ქართველთა ღმრთის, პატარა ულუ დავითის მოვლა-პატრონობა და აღზრდა, სამეფოდ მომზადება. ვფიქრობ, აქ წინააღმდეგობას აქვს ადგილი. თავისი დროის ნამდვილ „უბედურებას“, „უძღებს“, „ზნედაცემულსა“ და „ბილწს“ რუსთველი ვერ დასახავდა ქართველთა უფლისწულის ღირსეულ აღმზრდელად და მას ვერ მიაკუთვნებდა ეპითეტს „მზეს“. ან რუსთველი არ სთვლის რუსუდანს „ზნედაცემულად“ და „ბილწად“, ან ამ „ზნედაცემულსა“ და „ბილწს“ იდეალურ აღმზრდელად ვერ მიუჩნდა პოეტი ტახტის მემკვიდრეს. ფაქტმანათუნის ყოფაქცევის გამომზატველ, უზნეო რუსულ ტახტს რუსთველი ვერ მიანახებდა თავისი ქვეყნის მომავლის ბედს. ყოველ შემთხვევაში ის გუნდრუკს ვერ უკმევდა ასეთი აღმზრდელის არჩევანს. პირიქით, რუსთველის განწყობილებებისათვის სწორედ მსგავსი მოვლენა უნდა გამხდარიყო სასოწარკვეთილების გამომწვევე გარემოებად. თუ რუსთველი „ამათრახებდა“ რუსუდანის დროსა და რუსუდანის პიროვნებას, რუსუდანს თამარს უპირისპირებდა, მაშინ რუსუდანის ხელში მოქცეულ ბაღლს რუსთველი კარგ მომავალს ვერ უწინასწარმეტყველებდა, ის ვერც აწმყოში და ვერც მომავალში ერთგულებს ვერ გაახარებდა, აღმოსავლეთსა და დასავლეთს შიშის ზარს ვერ დასცემდა. მკვლევარი გრძნობს აღნიშნულ წინააღმდეგობას და ამისათვის

¹ შდრ. აღ. ბარამიძე. ნარკვევები ქართული ლიტ-რის ისტორიიდან, I, 1945. გვ. 147 — 150.



წინასწარ შენიშნავს: „ავტორი ჩვენი პოემისა, თუ გავითვალისწინებთ მის იდეალს მეფისა და მმართველასა, საზოგადოდ პატრონისას, ვერ იქნებოდა მომხრე და დამცველი ისეთი მეფისა, როგორც იყო რუსუდანი, მაგრამ მას არ შეეძლო პირდაპირ გალაშქრება მის წინააღმდეგ“ (140). რუსთველი თითქოს „ორი ბოროტებისაგან“ ირჩევს უმციროესს და მოუწოდებს მკითხველებს „კრძალულება და მორჩილება აღმოუჩინონ რუსუდანს, აღმოუჩინონ, იკულისხმება, დროებით, რადგან მალე სრულწლოვანი შეიქმნება მემკვიდრე ტახტისა“ ულუ დავითი (140). კი მაგრამ, რა იმედი უნდა ჰქონოდა იმდროინდელ საზოგადოებრივობას, რომ ბილწი დედოფლის აღზრდილი პირი უტურნებდა ქვეყანას წყლულებს? უფრო ბუნებრივი არ იქნება ვიფიქროთ, რომ ქართველ საზოგადოებრივობას დააშინებდა გიორგი ლაშას არჩევანი უფლისწულის აღმზრდელად რუსუდანის განკუთვნილ შესახებ? რუსუდანის მომსურე პოეტი რა ზნეობრივი უფლება ექნებოდა საზოგადოებისაგან მოთხოვნა მოთმინება უფლისწულის დასრულწლოვანების მილოდინში, თუ კი ეს უფლისწული ზნეცემული დედაკაცის ხელში უკვე იყო გამხდარი მსხვერპლი. რუსთველი ამ წინააღმდეგობას ვერ დაფარავდა. უკომპრომისო აზროვნების გამომხატველი, სპეტაკი ზნეობრივი იდეალების მქადაგებელი პოეტი ვერც თვითონ განიგულებდა იმედს და ვერც თავის საზოგადოებრივობას მოუწოდებდა შემწყყნარებლობისა და უკეთესი მერმისის მშვიდად მილოდინისათვის შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის პირობებში, ეს ვაანელებდა ჩვენს წარმოდგენას რუსთველის მახვილ პოლიტიკურ კეულზე და მის უზადო ზნეობითს იდეალებზე. რუსთველს თუ არ შეეძლო რუსუდანის წინააღმდეგ პირდაპირი გალაშქრება, რად უნდა ვაკისრებინოთ მას ზნეობრივი პასუხისმგებლობა ამავე რუსუდანის დაცვაზე უფლისწულის ღირსეული აღმზრდელის როლში, არც ის მიმართა მართებულად, ვითომც გამოთქმა „მსახურებს სარებლად“ ნიშნავდეს „ესე იგი—მომრებელად, მომვლელად, ანუ მზრდელად“ (140). სარებლად უნდა იყოს ნაწარმოები სიტყვიდან „რება“ (хожление), მაშინ ტექსტის აზრიც სხვაგვარი გამოვა.

დასასრულ, ერთი შენიშვნა კონკრეტული ისტორიული ანალოგიის შესახებ. ხვარაზმშაჰის ძის ინდოეთში ზედსიძედ მოყვანისა და ნესტანის ქმრად გახდომის განზრახვა „სიტყვაგადაკვრით“ კ. კეკელიძეს აგონებს ჯალალედინ ხვარაზმელის სურვილს ცოლად შეერთო რუსუდანი. რომ არაფერი ვთქვათ ამ პარალელის შეუსაბამობაზე დეტალებში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოყვანილი შეპირისპირებით რუსუდანი გამოდის ნესტანის ორეული. ეს კი ეწინააღმდეგება „ვეფხისტყაოსნის“ მთელ იდეურსა და სიუჟეტურ ხულს. როგორც ზეკით უკვე აღვნიშნეთ, რუსუდანს თუ მოეპოვება „ვეფხისტყაოსანში“ შესატყვისი მხატვრული პერსონაჟი, ესაა ფატმან-ხათუნი. ფატმან-ხათუნი სრული ანტიპოზია ნესტანისა. ამიტომაც ფატმან-ხათუნი-რუსუდანის ნესტანის როლში დასახვამ თუ გინდ „იგავგადაკვრით“ ის ნაძალადევი ისტორიული ინტერპრეტაცია იქნებოდა, რომელიც დამოზილი აქვს კ. კეკელიძეს.

ამრიგად, ჩვენ საბოლოოდ იმ დასკვნამდის მივიღვართ, რომ ისტორიულ-ალეგორიული ინტერპრეტაციის ვერცერთი ცდა ვერ იძლევა დამაჯერებელ

შედევს, ისტორიული სინამდვილე და ალეგორია ერთმანეთს არ ემთხვევა, ვლებულობთ ნაძალადევ ისტორიულ ინტერპრეტაციას.

„ვეფხისტყაოსნის“ ტიპაჟის საკითხს საინტერესო ნარკვევები უძღვნეს აკაკი წერეთელმა¹ და ილია ჭავჭავაძემ². აკაკი წერეთლის აზრით, „ვეფხისტყაოსანში“ დასახელებული ქვეყნები მხოლოდ გადარქმეული საქართველოს სხვადასხვა კუთხეებია; ხალხიც ქართველთა ტომია და პოემის გმირებიც მათი წარმომადგენელი; ამას იმათი ზნე, ჩვეულება, თვისება და ცხოვრების წეს-წყობილება გვიმტკიცებს³. „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს სურდა—წერს აკაკი წერეთელი—„დაეხატა მთელი საქართველოს სურათი და გამოეყვანა მისი საიდულო გმირი როგორც მამაკაცის, ისე დედაკაცისა“. მაგრამ რადგანაც ქართველთა ტომები სხვადასხვა ბუნებისა და ხასიათისანია, რუსთველმა, „საჭიროთ დაინახა ერთი გმირის მაგიერ აელო სამი, გადაეკავშირება ერთმანეთთან, ერთიმეორით შეეცსო და ისე წარმოედგინა ჩვენთვის. ამ აზრით იმან აიყვანა ამერიდან ტარიელი, იმერიდან ავთანდილი და შავი ზღვის პირიდან ფრიდონი, და მათი შეერთებით დაგვიხატა ერთი სრული გმირი მთელი საქართველოსა“ (კრებული, VI, 32). აკაკი ახასიათებს თვითუფლ აქ დასახელებულ პერსონაჟს და დასცენის სახით კვლავ იმეორებს: „ტარიელში იხატება ქართლელების ხასიათი და ზნე, ავთანდილში იმერლების და ფრიდონში შავი ზღვის პირელების“-ო (იქვე, 46—47). „ვეფხისტყაოსნის“ ქალთა პერსონაჟის თაობაზე აკაკი შენიშნავს: „რაც აქ კაცების შესახებ ვთქვით და დავინახეთ, იგივე ითქმის ქალების შესახებაც“-ო (იქვე, 47). სახელდობრ, ნესტან დარეჯანი „ამერთა ქალია“, ხოლო თინათინი „იმერთა“, ერთი მათგანი (ე. ი. ნესტან-დარეჯანი) ძალიან ემსავსება ხასიათებით ტარიელს და მეორე (ე. ი. თინათინი) ავთანდილს“ (იქვე, 49). ამრიგად, აკაკი წერეთლის თვალსაზრისით „ვეფხისტყაოსანში“ გამოხატული ტიპები, როგორც კაცები ისე ქალები, ნამდვილი ქართველები არიან, სხვადასხვა კუთხეებიდან აღებული“ (იქვე, გვ. 55, დაყოფა ჩემია, ა. ბ.).

აკაკი წერეთლის თვალსაზრისიდან განსაკუთრებით საყურადღებო ისაა, რომ მან თავი დააღწია „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ალეგორიული ინტერპრეტაციის მეთოდს, პოემის გმირები წარმოიდგინა გარკვეული ხასიათების მქონე ქართველ პერსონაჟებად, სცადა ზოგად ქართველის ცნების ეთნიკურ ნიადაგზე დანაწერება და პოემის შესატყვისი საექვივალენტო ტიპოლოგიური სახის გარკვევა.

¹ სამი ლექცია ვეფხისტყაოსანზე (კრებული, V, 1898, განყ. I, გვ. 11—31; იქვე, VI, 1898, განყ. I, გვ. 19—55); რამდენიმე სიუჟე ბატ. ილია ჭავჭავაძის საპასუხოთ ვეფხისტყაოსნის გამო (კრებული, V, 1898, განყ. II, გვ. 1—18).

² აკაკი წერეთელი და მისი ვეფხისტყაოსანი (ილიას ნაწერების კრებული, IV, 1927, გვ. 183—198).

³ კრებული V, 1898, გვ. 8, დაყოფა ჩემია, ა. ბ.

როგორათაც არ უნდა შეფასდეს აკაკის ლექციები, ერთი აშკარაა, მან ახალი, ორიგინალური თვალსაზრისი წარმოადგინა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის დასაბუთებისა და მისი ტიპების რაობის გარკვევისათვის.

დაუნდობელი სიმკაცრით გააკრიტიკა აკაკის შეხედულება ილია ჭავჭავაძემ¹.

ილიას აზრით, აკაკი წერეთელმა „ვეფხისტყაოსნის“ მნიშვნელობა „ვიწრო ფარგალში მოამწყვდია“ (193) და დიდი რუსთველი „უბრალო ეთნოგრაფის საჩიბრკედლო საქმეზედ ჩამოახდინა“. (185). აკაკი წერეთლის გამოკვლევის შედეგად ისე გამოდის, მწარედ ასკენის ილია, რომ: „რუსთაველი დიდად სადიდებელი პოეტი კი არ არის, არამედ უბრალო ეთნოგრაფია, ან ამის მსგავსი ერთი ჩურჩუტი რამ არამკითხველ მოამბე“ (198). დიდი მწერალი ისაა, ამბობს ილია ჭავჭავაძე, ვინც „ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნის (186), ან „ზოგად-კაცობის ტიპსა“ (იქვე), და არა რომელიმე „ქართულს; კახელს, პეტრეს, ივანეს“ (193). კერძო პიროვნების, პორტრეტის მხატვარი ილიას არ მიაჩნია შემოქმედ ხელოვანად, იმას მხოლოდ ოსტატს (ხელოსანს) უწოდებს (193). ხელოვნების, შემოქმედების აზრს ილია ჭავჭავაძე ეძებს განზოგადებაში, ტიპიურობის ასახვაში. თავისი შეხედულება ზოგადისა და კერძოს მიმართებაზე ასე აქვს ილიას გამოთქმული: „ზოგადი სახე ადამიანისა, რამოდენადაც ამ შემთხვევაში უფრო წვრილზედ დახურდავებული იქნება, მაგალითებრ, ზოგადი-კაცი რომელისამე ერის კაცად, ერის კაცი რომელისამე თემის კაცად, თემის კაცი რომელისამე გვარეულობის კაცად, გვარეულობის კაცი ოჯახის კაცად, ოჯახის კაცი ივანედ, ფრიდონად და მებრეე სხვა, — იმოდენად შემოქმედობა მწერალისა მაღლიდამ დაბლა ჩამოდის, იმოდენად მწერალი ნიჭ-ნაკლებია და დაქვეითებული“-ო (193). ჰომეროსი, შექსპირი და ძმანი მათნი თავიანთი შემოქმედებით გამოხატავენ—ამბობს ილია ჭავჭავაძე—არა კერძოსა და ცალკეულს, არამედ ზოგადს, საერთოს, „ვიწრო მოედანი მარტო ფალანგის სარბიელია და არა იმისთანა გოლიათისა, როგორიც შექსპირია და თუნდა ჩვენი რუსთაველიცა. რუსთაველის ტიპებს იმ პაწია ჭუჭრუტანიდამ სინჯვა კი არ უნდა, საიდანაც მარტო ქართული, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელწოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელ სარკმლიდამ, რომ მთელს კაცად-კაცობას თვალი გადავლევოდეს, მის სრულს სივრცე-სივანესა და სიღრმე-სიმაღლეზედ“ (194). ამ საზომით იხილავს ილია ჭავჭავაძე „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს. ეს პერსონაჟები მას მიაჩნია ზოგადკაცობრიულ ტიპებად, ზოგად ადამიანებად, რომლებიც ვერ მოექცევიან ვერც ნაციონალურსა და, მით უმეტეს, ვერც ტომობრივ-ეთნიკურ საზღვრებში. „ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, და სხვანი მამაკაცი და დედაკაცი „ვეფხისტყაოსნისა“ ყველაზედ უწინარეს ადამიანები არიან და, მათთანადამ, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით შექმნილნი და აგებულნი“-ო, აცხადებს ილია (187), და სხვაგანაც იმეორებს: „კიდევ ვიტყვი, რომ ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი

¹ აკაკი წერეთელი და მისი „ვეფხისტყაოსანი“, (თბ. კრებული, IV, 183–198).

და სხვანი კაცად-კაცი არიან, ზოგად ადამიანის ბუნების მიხედვით აგებულნი და სულდგმულნი“ (195). „ამაშია მთელი სიდიადე რუსთაველის გენიოსობისა“-ო, ასკენის ილია (გვ. 195). „ვეფხისტყაოსნის“ თვითეული პერსონაჟის მოქმედებას, ილიას აზრით, განსაზღვრავს არა ავტორის თვითნებური წადილი, არამედ ამ პერსონაჟის ბუნება, მისი ტიპიური ხასიათი. თუ, მაგალითად, თინათინი და ნესტანი ერთგვარ შემთხვევაში სხვადასხვანაირად მოქმედებენ, ეს იმიტომ, რომ „თინათინი სხვა ბუნებისაა და ნესტან-დარეჯანი სხვა, და ეს ბუნების სხვადასხვაობა სხვადასხვა შემოქმედებასაც ექვემდებარება“ (190—191). ასევე ტარიელი, ავთანდილი და პოემის სხვა მოქმედი პირი. „აქ რა შუაშია ან ქართლელი, ან კახელი, ან იმერელი“, ირონიულად კითხულობს ილია ჭავჭავაძე (გვ. 189). ილია გრძნობდა თავისი კრიტიკული კილოს სიმწვავეს და შემდეგი განცხადებით ხურავს პოლემიკურ წერილს: „ჩვენ რუსთაველის სახელი მეტის-მეტად დიდ სახელად მიგვანინა და მოგვიტევეონ, რომ მის სახელს და დიდებას ადვილად ვერავის დავუთმობთ“-ო (გვ. 198).

ეჭვი არაა, ამ გამოსვლით ილია ჭავჭავაძემ ახალი სიტყვა თქვა რუსთაველოლოგიაში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერთ ნარკვევს, რომელიც ჩვენს პრესაში გამოქვეყნდა 1884 წელს¹, ილია პირველი იყო, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ გაარჩია ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალსაზრისით, გარჩევას საფუძვლად დაუდვა მაღალი მოთხოვნების კრიტერიუმი, პოემის ღრმა და საფუძვლიანი ანალიზის შედეგად მან საგულისხმეირო დასკვნები მიიღო. ილია ჭავჭავაძემ რუსთაველს წაუყენა ისეთი მოთხოვნები, რომლებითაც მსოფლიოში განთქმული კრიტიკოსები იხილავდნენ, ვთქვათ, ჰომეროსს ან შექსპირს. ამ განხილვამ ილია დაარწმუნა, რომ შ. რუსთაველი სწორედ დასახელებული მსოფლიო გენიოსების თანამოძმე პოეტი ხელოვანია. ილია არ ასახელებს, მაგრამ არ-ორაზროვნად მიწასთან ასწორებს „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ალეგორიული ინტერპრეტაციის წარმომადგენლებს, რადგანაც უკანასკნელი პოემაში ეძებდნენ კერძოს, ცალკეულისა და პირადულის ისტორიულ შესატყვისობათ, ისტორიული პორტრეტების ექვივალენტებს. ილია ჭავჭავაძე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელოვან მხატვრად არ თვლის კერძოსა და ცალკეულის, პორტრეტულის მხატვარს. ილია ჭავჭავაძე პოეზიის ამოცანად სახავს ზოგადსა და ტიპურს. „ვეფხისტყაოსნის“ სიდიადეს ილია ხედავს ამ პოემის პერსონაჟების ტიპიურობაში.

ილია ჭავჭავაძის კრიტიკული წერილის მნიშვნელობა არავითარ ცილობას არ იწვევს, ოღონდ ჩვენ მაინც ვფიქრობთ, რომ ჩვენი დიდებული მწერალი და მოაზროვნე კრიტიკოსი უმჯველად ცდება, როდესაც მეტის-მეტად განყენებულად სახავს ზოგადი ადამიანის ცნებას. ამ ზოგად ადამიანს თითქოს წარხოცილი უნდა ჰქონდეს არა თუ ეთნიკური, გვაროვნული, ოჯახური, კერძო ხასიათის თვისებები, არამედ ეროვნულიც კი. ზოგადი ადამიანი მაღლა

¹ „Кавказ“, 1884, № № 265, 267, 268; ივერია, 1884, № № XI—XII, გვ. 68—102; დროება, 1884, № № 258, 259, 261, 262, 264, 265.

უნდა იდგეს პირადულის, გვაროვნულის, ეთნიკურის და ეროვნულის სახეო¹აზე, ის რალაც მეტაფიზიკური ადამიანის ზოგად წარმოდგენას უნდა გამოხატავდეს. მე ვფიქრობ, რომ რამდენადაც ლიტერატურული ტიპი, სახე ცოცხალი ინდივიდუალობის მქონეა, ეროვნული თვისების მატარებელია, იმდენად ის უფროა ზოგადკაცობრიული და ტიპიური. ეროვნულისა და ზოგადკაცობრიულის დაპირისპირება ილია ჭავჭავაძესთან უთუოდ მცდარი მომენტია და ამ მხრით მართებული იყო აკაკი წერეთლის საპასუხო შენიშვნა ილია ჭავჭავაძის წერილის გამო: „რატომ არ შეიძლება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირებიც ერთსა და იმავე დროს ქართველებიც იყონ და საზოგადო, საყოველთაო ტიპებიც?“ (რამდენიმე სიტყვა ბატ. ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ ვეფხისტყაოსნის გამო, „კრებული“, 1898, V, გვ. 15, განყ. II). ამ მართებულ, სწორ შენიშვნას აკაკი წერეთელი ერთგვარად აფერმკრთალებს შემდეგი, პოლემიკური გაცხარებით გამოწვეული შეკითხვით: „ნუთუ მართლა ქართველები ისე ყოფილან, რომ მათგან ზოგადი ტიპი და მსოფლიო გმირი არ გამოიხატებოდეს?“ (იქვე, 15).

რა თქმა უნდა, აკაკი წერეთლის მართებული შენიშვნა სრულიად იმას არ ნიშნავს, ვითომც მართებული ყოფილიყოს მისი პოზიცია „ვეფხისტყაოსნის“ ტიპების განხილვის თვალსაზრისით.

უკანასკნელი დროის ნაშრომებიდან ჩვენი საკითხისათვის დიდი ინტერესის გამომწვევია ორი: 1. აკად. ივ. ჯავახიშვილის „რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა ვეფხისტყაოსანი“ (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 10.1.38) და 2. ვლ. ნორაკიძის—ადამიანობის იდეის დახასიათებისათვის „ვეფხისტყაოსანი“-ში („მნათობი“, 1944, №№ 3,4—5). პირველს, ივ. ჯავახიშვილის წერილს, ჩვენ ქვევით სპეციალურად დაეუბრუნდებით, აქ კი შევხებით ვლ. ნორაკიძის ნარკვევს, რომელსაც საყურადღებო კრიტიკული შენიშვნები უძღვნეს გ. ნადირაძემ² და ს. ჩიქოვანმა³.

ვლ. ნორაკიძე აკრიტიკებს „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ხასიათების გარკვევის არსებულ ცდებს (მათ შორის ილ. ჭავჭავაძისა და ჩემ წერილებს) და თავის მხრით აღგენს ახალს, თავისდათავად საინტერესოს, თუმცა ჩემი აზრით სრულიად შიუღებელ თვალსაზრისს. ვლ. ნორაკიძე ფიქრობს, რომ „ვეფხისტყაოსანი“ იმ ტიპის ნაწარმოებია, როგორც, მაგალითებრ, „ფაუსტი“, სადაც „ზოგადი ფილოსოფიური იდეა“ გადმოცემული „მხატვრული სახეებით“. „რუსთაველის პოემა იმგვარ ნაწარმოებთა რიგში დგას, როგორც ფაუსტი“, —წერს ვლ. ნორაკიძე,—ასეთი მხატვრული ნაწარმოები მეტად მცირეა მსოფლიო ლიტერატურაში, რადგან ზოგადი ფილოსოფიური იდეის, რომელიც მხოლოდ ცნებებში შეიძლება გამოითქვას, მხატვრული სახეებით მოცემა გე-

¹ გ. ნადირაძე, რუსთაველის ესთეტიკური კონცეფციის საკითხისათვის (სადისერტაციო შრომა, რომელიც ავტორმა წარმატებით დაიცვა 1948 წლის 8 იანვარს. შრომა ბეჭდურად არ გამოქვეყნებულა), გვ. 60—64.

² ს. ჩიქოვანი, ქართული საბჭოთა მწერლობის ახლანდელი ვითარება და ჩვენი ამოცანები (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“ 23. V. 48).

ნიოსის გაქნებას მოითხოვს“-ო (მნათობი, № 3, გვ. 120). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ვლ. ნორაკიძის აზრით, „ვეფხისტყაოსანი“ წმინდა ფილოსოფიური თხზულებია, ლექსად გამოთქმული ფილოსოფიური ტრაქტატი, აქ ღრმა ფილოსოფიური იდეები გადმოცემულია, ანუ ილუსტრირებულია მხატვრული სურათებითა და მხატვრული ხასიათებით. მსგავს ვითარებაში, რა თქმა უნდა, გადამწყვეტი უნდა იყოს პირველი, ფილოსოფიური იდეები, მეორე — მხატვრული სურათები და მხატვრული ხასიათები — მხოლოდ იოლად ასათვისებელ საილუსტრაციო მასალას წარმოადგენს.

ვლ. ნორაკიძის აზრით, რუსთაველს მიზნად აქვს დასახული მხატვრული სახეებით გადმოსცეს ზოგადი, უნივერსალური ადამიანის, ადამიანობის იდეა. „ვეფხისტყაოსნის“ წამყვანი პერსონაჟები წარმოადგენენ ამ იდეის მატარებელ, თუ განომხატველ, ლიტერატურულ სქემებს. პოემის პერსონაჟების ქარაქტეროლოგიური ტიპოლოგიის ანალიზით ავტორი იმ დასკვნამდის მიდის, რომ უწინარესად ყოვლისა ტარიელია „ადამიანობის იდეის გამომხატველი პერსონაჟი“ (მნათობი, № 3, გვ. 125). „ავთანდილთან ერთად ტარიელიც, — პირველ რიგში ტარიელი, — ითვლება რუსთაველის სოფლმხედველობის მედიუმად“ (მნათობი, № 4—5, გვ. 210). მაგრამ ტარიელი ერთი როდია. ტარიელი „ტარიელობას“ გამოხატავს და შეეკრებლობითი (უნივერსალური) თვისების მქონე მხატვრული სახეა. პოემის დანარჩენი წამყვანი ვაჟი გმირები ან ტარიელში არიან, ან ტარიელს (ტარიელობას) ავითარებენ და აგრძელებენ. ავთანდილი ორეული კი არ არის ტარიელისა, არამედ „იგივე ტარიელია“. ვლ. ნორაკიძის სიტყვით „პოემის მთავარი გმირები ამ მხრივ (ე. ი. ქარაქტეროლოგიური ტიპოლოგიის მხრივ, ა. ბ.) არ განსხვავდებიან ურთიერთისაგან. კერძოდ, ავთანდილი იგივე ტარიელია, მხოლოდ სხვა მხრივ წარმოსახული და თავისებურ სიტუაციაში ამოქმედებული“ (მნათობი, № 4—5, გვ. 202). ვლ. ნორაკიძე ანალიზებს ავთანდილის სახეს ქარაქტეროლოგიურად და ასკვნის: „ასეთია ავთანდილი, როგორც პიროვნება, როგორც ქარაქტეროლოგიური ტიპი. საკმარისია იგი შევადაროთ ამვე თვალსაზრისით განხილულ ტარიელის ხასიათს, რომ მათ შორის ვიპოვოთ სრული იგივეობა. განსხვავება მათ შორის მხოლოდ მათი განცდებისა და ქცევების განსხვავებულ სიტუაციაში მიმდინარეობის შედეგია“ (იქვე, 207). აქედან ბუნებრივია, რომ: „ტარიელის მდგომარეობაში ავთანდილის გზაც ისეთივე იქნებოდა, როგორც ტარიელისა“ (იქვე, 210). ან და: „პოემაში მოთხრობილი თვითონ ავთანდილის მთელი ცხოვრება, სხვა სიტუაციაში გაშლილი, იგივე ტარიელის ცხოვრებაა“ (მნათობი, № 4—5, გვ. 216). ერთი სიტყვით, ადამიანობის იდეის გამომხატველად რუსთაველმა დასახა ისეთი სუბიექტი, რომლის ერთი მხარეა ტარიელი, მეორე ავთანდილი (იქვე, 216). კიდევ მეტი, არსებითად ამ განყენებულ სქემატიკურ სუბიექტს ორი კი არა, სამი მხარე გააჩნია, ის სამ-სახოვანია, რადგანაც ტარიელთან და ავთანდილთანაა ფრიდონიც, ვლ. ნორაკიძე პირდაპირ ამბობს: „შეიძლება და ავთანდილთანაა ფრიდონიც, ვლ. ნორაკიძე განსხვავდება მათგან (ე. ი. ტარიელისა და ავთანდილისაგან, ა. ბ.) ქარაქტეროლოგიური ტიპოლოგიის თვალსაზრისით“-ო (იქვე, 212). პოემის სამსახოვანი

მოქმედი გმირის დახატვის შემდეგ ძალა ეკარგება ვლ. ნორაკიძის განცხადებას იმის თაობაზე, რომ: „ტარიელი [resp. ავთანდილი] არის არა სქემა, არა ხორცშეუსხმელი სიმბოლო, არამედ ნამდვილი მიწიერი ადამიანი, ყველა ადამიანური თვისებით აღჭურვილი“ (მნათობი, № 3, გვ. 129, დაყოფა ჩემია, ა, ბ.). ამ განცხადების გაკეთება ვლ. ნორაკიძეს იმიტომ დასჭირდა, რომ ნებისთ თუ უნებლიეთ მისი ტარიელი [resp. ავთანდილი, ფრიდონი] მართლაც ნამდვილი სქემა და ხორცშეუსხმელი სიმბოლო გამოვიდა.

ვლ. ნორაკიძის გამოკვლევის გამოქვეყნებულ ნაწილში არაა განხილული „ვეფხისტყაოსნის“ ქალთა პერსონაჲების ქარაქტეროლოგიური ტიპოლოგიის საკითხი. მაგრამ განხილული მასალის გაანალიზების ლოგიკიდან ჩანს, რომ ნესტან-დარეჯანი იგივე თინათინი აღმოჩნდება.

გამოკვლევის შესავალ აბზაცებშია გადმოცემული ავტორის ძირითადი თეზისი: „მთელი პოემის მანძილზე ვერ შეხვდებით ისეთ ტენდენციას, სადაც რუსთაველი თავისი პოემის მოაგარ გმირებს განასხვავებდეს ურთიერთისაგან ხასიათის, სოფლმხედველობის, ინტელექტის დონის, გმირობის, მეგობრობის, მიჯნურობისა და ეთიკური თვისებების მიხედვით. ტიპაჲი არ არის წამყვანი პოემის სიუჲეტის განვითარებისა, მისი კომპოზიციისა“ (მნათობი, № 3, გვ. 118).

გვაპატივოს პატივცემულმა მკვლევარმა, მაგრამ მან თავისი თეორიით „ვეფხისტყაოსნის“ ტიპაჲიდან შექმნა არა თუ სქემატიკური და სიმბოლიკური სახეები, არამედ უარესიც, რაღაც ნიველირებული, ინდივიდუალობას მოკლებული ადამიანური იერის მქონე სტანდარტული ჩარჩოები. მართლაც და, რა ინდივიდუალობებულ ცოცხალ ადამიანურ სახეებს უნდა გამოხატავდეს „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჲთა გალერეა, თუ ამ გალერეის თითოეული წევრი მეორისაგან არ განსხვავდება არც უკეთით, არც სოფლმხედველობით, არც ხასიათით, არც მორალური თვისებებით და ა. შ. მაშასადამე, ვიმეორებ, ჩვენ საქმე გვქონია არა ადამიანების ცოცხალ მხატვრულ სახეთა სისტემასთან, არამედ ერთიან, დაუნაწევრებელ, განყენებულ და მშრალ, სტანდარტიზებულ უნივერსალურ სახე-ცნებასთან.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ვლ. ნორაკიძეს ეს სქემატიკურ-სტანდარტული სახე-ტიპი ეგულება „ვეფხისტყაოსნის“ „მთავარ გმირთა“ წრეში. სამაგიეროდ გულანშარის გარემოში „სახეებით განსხვავებული ტიპები არიან (წარმოდგენილი) ავთანდილთან და ტარიელთან შედარებით“-ო, ასევე ქალთა საზოგადოებაშიც: „ფატმანი... აბსოლუტურად განსხვავდება თინათინისა და ნესტანისაგან“ (მნათობი, № 4-5, გვ. 213). ეს იმას ამტკიცებს, ამბობს ვლ. ნორაკიძე, რომ რუსთველმა კარგად „იციოდა ლიტერატურული ქარაქტეროლოგიური ტიპოლოგიის პრინციპები“, მან იციოდა, რომ: „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“. როცა დასჭირდა, აი, „კალმის ერთი მოსმით ასახა განსხვავებული ქარაქტეროლოგიური ტიპები“-ო (გვ. 213, მნათობი № 4-5). მაგრამ თუ მთავარ გმირთა წრეში პოეტი არ იძლევა განსხვავებულ ქარაქტეროლოგიურ ტიპებს, ეს ისევ და ისევ იმიტომ, რომ მისი მიზანია „ადამიანობის უნივერსალური ტიპის“ შექმნაო (იქვე, 214).

ვლ. ნორაკიძეს სრულიად არ აქვს ახსნილი, თუ ბოლოს-და-ბოლოს მაინც რაღა დასჭირდა რუსთველს ისეთი განსხვავებული ქარაქტეროლოგიური ტიპის დახატვა როგორცაა, მაგალითებრ, ფატმანი. რა იდეურმა ვითარებამ განსაზღვრა რუსთველის მხრით ასეთი ნაბიჯის გადადგმა. ვლ. ნორაკიძის აზრით, რუსთველი ხომ შეგნებულად გაურბის განსხვავებული ქარაქტეროლოგიური ტიპების ხატვას. ნუთუ, მართლა, ფატმანი, უსენი და გულან-შაროს სხვა პერსონაჟები რუსთველმა მხოლოდ იმიტომ შემოიყვანა პოემაში, იმიტომ ასახა ტიპოლოგიურად, რომ მკითხველისათვის ენახებინა, რომ ის იცნობს „ლიტერატურული ქარაქტეროლოგიური ტიპოლოგიის“ პრინციპებს? ვლ. ნორაკიძის მსჯელობიდან სრულიად აუხსნელი რჩება „ვეფხისტყაოსანში“ განსხვავებული ქარაქტეროლოგიური ტიპების არსებობის საკითხი. ჩვენ კარგა ხანია, რაც მივუთითეთ, რომ რუსთველი ხატავს და ერთმანეთს უპირისპირებს განსხვავებული სოციალური გარემოს ტიპებს. ტიპაჟის სოციალური სხვაობის ასახვა და შესაფერისად მძაფრი კონტრასტული ფერების ხატვა რუსთველის მხატვრული აზროვნების უაღრესად დამახასიათებელი მხარეა. სოციალურად განსხვავებული ტიპაჟის ზნებრივ-მორალური, ყოფაცხოვრებითი, გონებრივი და ფიზიკური რაგვარობის დაპირისპირებით რუსთველი გარკვევით ამჟღავნებს თავის სიმპათია-ანტიპათიას, თავის სოციალურ პრინციპებს, თავის იდეოლოგიას, თავის სოფლმხედველობას¹. ეს უაღრესად საყურადღებო გარემოება ვლ. ნორაკიძეს სრულიად უყურადღებოდ დარჩა.

საზოგადოდ, „ვეფხისტყაოსნის“ ქარაქტეროლოგიური ტიპოლოგიის საკითხის გარკვევისას და პერსონაჟთა სახასიათო თვისებების ანალიზისას ვლ. ნორაკიძე სრულიად არ უწყვეს ანგარიშს რუსთველის აზროვნების (სოფლმხედველობის) სოციალურ, რწმ არ ვთქვათ, კლასობრივ მხარეს. რუსთველი თურმე მხატვრულად აყალიბებს ზოგადს, ყოველგვარი სოციალური შინაარსისაგან დაცლილ ადამიანობის, უნივერსალური ადამიანობის განყენებულ იდეას. ტარიელი, ავთანდილი და „ვეფხისტყაოსნის“ სხვა წამყვანი გმირები სოციალურად უშინაარსო ამ განყენებული ადამიანობის იდეის დასურათხატების საილუსტრაციო მასალას წარმოადგენენ.

ახლა დაეუბრუნდეთ ვლ. ნორაკიძის ძირითად თეზისს, რუსთველი არ ხატავს განსხვავებულ ქარაქტეროლოგიურ ტიპებსო. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ ავტორს იმაში, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ერთი კატეგორიის მოქმედი პირები, როგორც, მაგალითებრ, ტარიელი და ავთანდილი, ერთი „გვარისანი“ არიან. „ერთფერი“ პერსონაჟებია (გვ. 216, მნათობი, №4—5). „ვეფხისტყაოსანში ადგილი აქვს სიუჟეტურ ერთგვარ დუბლირებას² (არაბეთის ამბავი, ინდოეთის ამბავი), შესაფერისად დუბლირებული არიან პერსონაჟებიც (ტარიელი, ავთანდილი, ნესტანი, თინათინი). დუბლირებული ამბების შინაარსობლივი მომენტები ერთმანეთს ენათესავენა თემატიკის მხრით (სიყვარულის თემა), მაგრამ თემა-

¹ ვეფხისტყაოსნის სოციალური გარემო (წიგნიდან: ნარკვევები ქართული ლიტ. ისტორიიდან, I, 1932, გვ. 130—169; იგივე მეორე გამოცემა, თბ, 1945, გვ. 155—180).

² როგორც ეს პ. ინგოროვცამ აღნიშნა (შოთა რუსთაველი, თბ, 1938, გვ. 59).

ტიკური სიახლოვე ერთგვარობას სრულიად არ ნიშნავს. შემსგავსებული ამბები სხვადასხვა სიტუაციურ ვითარებაშია გაშლილი. ასევე გმირებიც. რა თქმა უნდა, ტარიელი ბევრ რამეში ჰგავს ავთანდილს (ისე, როგორც ნესტანი ჰგავს თინათინს). ამის თაობაზე მე საკმაოდ მიწერია ჩემს ნარკვევში „ტარიელი“ (ნარკვევები, I, 1945). ერთგვარ სიტუაციაში ტარიელი და ავთანდილი (ნესტანი და თინათინი) ხშირად ერთგვარად იქცევიან. ჩვენ ისიც შეგვიძლია დავადგინოთ, რომ შემსგავსებულ სიტუაციაში ისინი ხშირად შემსგავსებულადვე მოქცეოდნენ. ოღონდ ეს ოდნავადაც იმას არ ნიშნავს, თითქოს დუბლირებული გმირები ერთგვარი არიან ქარაქტეროლოგიური ტიპოლოგიის ნიადაგზე და მათ შორის განსხვავება არ არსებობს. ჯერ ერთი უნდა აღინიშნოს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა ერთი „გვარობა“ აიხსნება არა მათი ხასიათის „ერთგვარობით“ (ხასიათის „ერთგვარობა“ შედეგადა მათი ბუნებისა და არა მიზეზი), არამედ სოციალური ნიადაგის ერთგვარობით. აქაც, ამ შემთხვევაშიც, ვლ. ნორაკიძე უგულვებელჰყოფს სოციალურ მომენტს და საკითხს მხოლოდ შიშველი ფსიქოლოგიური თვალსაზრისით იხილავს. ტარიელი და ავთანდილი ფეოდალურ-რწინდული საზოგადოებრიობის იდეალიზებული წარმომადგენლები არიან. ბუნებრივია, რომ რწინდული იდეოლოგიის გამომხატველმა რუსთველმა თავისი იდეალიზებული რწინდები დაახლოებით მსგავსი სახასიათო თვისებებით შეამკო ფიზიკური რავგარობის მხრითაც, გონებითაც, ზნეობითაც და ა. შ. მეტის თქმაც შეიძლება. რწინდული თვისებების კვალობაზე ტარიელი და ავთანდილი არა თუ ერთმანეთს ჰგვანან, არამედ იმათ ბევრი აქვთ საერთო თავიანთ შორეულ თანამომეებთან (მაგალითებურ, ნოუფალთან, როლანდთან, ოლივიესთან, ზიგფრიდთან და ა. შ.). დასახელებული გმირების სახასიათო თვისებების სიახლოვეს ჰქმნის სოციალური ფსიქოლოგიის ბუნება. მაგრამ, აღნიშნულის მიუხედავად, ტარიელი და ავთანდილი არაერთმანეთს შემთხვევაში ერთიმეორეს არ უდრის, მათ შორის ყოველად შეუძლებელია იგივეობის ნიშნის დასმა. ტარიელი და ავთანდილი საერთო სოციალური ნიადაგიდან მომდინარე მსგავსი სახასიათო თვისებების მიუხედავად სრულიად გამოკვეთილი ინდივიდუალიზებული სახეებია, თავიანთი საკუთარი, პირადული მხარეებით. ამ მრავალფეროვნებაშია რუსთველის სიდიადე. ტარიელი და ავთანდილი, ნესტანი და თინათინი რომ ქარაქტეროლოგიურად განუსხვავებელი პერსონაჟები ყოფილიყვნენ, მაშინ „ვეფხისტყაოსანი“ ბევრს დაჰკარგავდა ღირსების მხრით, დუბლირებული გმირები ზედმეტი უნდა ყოფილიყვნენ, პოემის სეუეტური არქიტექტონიკისა და იდეური რაობისათვის შეუფერებელნი და გაუმართლებელნი. „ვეფხისტყაოსანი“ დაჰკარგავდა თავის განუმეორებელ მონუმენტურ მთლიანობას, რადგანაც მის შემადგენლობაში ზედმეტი ელემენტები აღმოჩნდებოდა, ხოლო „ის, რის მომატებას ან გამოკლებას არავითარი სინათლე არ შეაქვს ნაწარმოებში, მთელის არავითარ ნაწილსაც არ შეადგენს“ (არისტოტელე, პოეტიკა, 20).

ვლ. ნორაკიძის იმ დებულების გასაბათილებლად, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ერთგვარ სიტუაციაში ყოველთვის ერთგვარად იქცევიან, მოვიყვანოთ ორ მაგალითს, ერთს ქალთა და ერთს ვაჟთა პერსონაჟებიდან. „ვეფხისტყაოსნის“ მიხე-

დვით, მანდილოსნები (ნესტანი და თინათინი) პირველნი უმხელენ სიყვარულს-თავიანთ სატრფო მამაკაცებს¹. მიჯნური მანდილოსნები პირისპირ პირველად-ხვდებიან თავიანთ მიჯნურებს. სრულიად ერთგვარი სიტუაციაა, მაგრამ შეხვედრა მინც სხვადასხვაგვარ შინაარსს ღებულობს, უკეთ, შემხვედრთა ქცევა-ღებულობს სხვადასხვა სახეს. ამ გარემოებას თავის დროზე ყურადღება მიაქცია ილია ჭავჭავაძემ და ის საუცხოოდ გააანალიზა კიდევაც. ილიამ შენიშნა, რომ ნესტანისა და ტარიელის პირველი შეხვედრა დამთავრდა მუნჯი სცენით, მიჯნურების გაუსიტყვებლად, თინათინისა და ავთანდილის შეხვედრა კი ხალისიანი და მხიარული სამიჯნურო საუბრით წარმართა. „აი, გულთამბილავი რუსთაველი, — წერს ილია ჭავჭავაძე, — რამ-სიდიდე გრძნობას ჰხედავს ნესტან-დარეჯანის გულში და რა ხატით გვაჩვენებს ჩვენც მის ძლიერებას, სიდიადეს და ძლევაშოსილობას: ქალმა ველარა თქვა-რა, სიტყვა შეეკრაო. ეგ რატომ არ მოუვიდა თინათინს, როცა ავთანდილი დაიბარა პირველად სალაპარაკოდ? იმიტომ, რომ ღრმად კაცად-კაცის მცოდნე რუსთაველმა იცოდა, რომ თინათინი სხვა ბუნებისაა და ნესტანდარეჯანი სხვა. და ეს ბუნების სხვადასხვაობა სხვადასხვა ზედმოქმედებასაც ექვემდებარება.“²

სრულიად ერთგვარ სიტუაციაში იმყოფებოდნენ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები—ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი ქაჯეთის ციხესთან ბრძოლის წინ-როგორც ცხოზილია, რაინდებმა თათბირი გამართეს საბრძოლო გეგმის შესადგენად. თითოეულმა მათგანმა განსხვავებული გეგმა წარმოადგინა და გეგმის პროექტის დასაბუთება სცადა. ამ გეგმების წარმოდგენისას გამომჟღავნდა თითოეული ჭაბუკის ინდივიდუალური სახასიათო თვისება. თავისდათავად ყველა გეგმას ჰქონდა თავისი დადებითი და უარყოფითი მხარე. ამ გეგმების ნაირსახეობამ და მათი ვარგისიანობის (თუ უვარგისობის) დასაბუთების ცდამ ნათელჰყო რაინდების პირადული ხასიათის სპეციფიკა. მაშასადამე, ერთგვაროვანმა სიტუაციამ ერთგვარი ქცევა არ მოგვცა შედეგად სამი „ერთგვარი“ რაინდის მხრით. ეს იმას ნიშნავს, რომ ტარიელი არ არის იგრძე ავთანდილი, მით უმეტეს, იგივე ფრიდონი. ისე როგორც ავთანდილი არ არის იგივე ტარიელი. თითოეული მათგანი ცალკე აღებული შესანიშნავი ჭაბუკია, საკუთარი და განსხვავებული გულისთქმის კაცი, სხვადასხვა ქარაქტეროლოგიური ბუნების მქონე.

თუ ვლ. ნორაკიძე ამტკიცებს ტარიელისა და ავთანდილის ქარაქტეროლოგიური ტიპოლოგიის ერთგვარობას, აბსოლუტურად საწინააღმდეგო თვალსაზრისს ავითარებს აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი. ივ. ჯავახიშვილმა რუსთაველის საიუბილეო დღეებში მწერალთა კავშირის პლენუმზე გააკეთა გრცელი მოხსენება თემაზე—„რუსთაველის ეპოქის სოციალური კულტურა და პოემა

¹ ამის თაობაზე ნახეთ ჩემი „ვეფხისტყაოსნის სოციალური გარემო“ (ნარკვევები, I, 1945, გვ. 160).

² აკაკი წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“ (თხზულებათა კრებული, IV, 191, დაყოფა-ჩემია, ა. ბ.).

„ვეფხისტყაოსანი“. ჯერ-ჯერობით გამოქვეყნებულია ამ მოხსენების მხოლოდ მცირე ნაწილი¹. მაგრამ უკვე გამოქვეყნებულ ნაწილში დასმულია და გადაწყვეტილი ზოგიერთი ისეთი საკითხი, რომელიც ჩვენ თემასთანაა უშუალოდ დაკავშირებული.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, „ძნელი არ იქნებოდა იმის დამტკიცება“, რომ „ვეფხისტყაოსანში“ „გადმოცემულია ცხოვრების ზოგიერთი ისეთი პირობები, ისეთი ჩვეულებანი, რომლებიც მაშინდელ საქართველოში არსებობდა“. თუმცა მკვლევარი არ იხილავს „საკითხს, თუ რამდენად ახლოა ქეშმარიტებასთან საქართველოს ისტორიული ცხოვრების ის სურათი, რომელიც მოცემულია შოთა რუსთაველის პოემაში“. ვ. ი. ივ. ჯავახიშვილი გვერდს უდგის „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-ნაციონალური ინტერპრეტაციის პრობლემას, მაგრამ სრულიად გარკვეულად იმ აზრს ადგას, რომ „ვეფხისტყაოსანში“ გამოხატულია XII საუკუნის საქართველოს პროგრესული ფენების „სოციალური ხასიათის სიბრძნე“. რომ პოემის პერსონაჟები თუმცა ეროვნებით არაქართველები არიან, „მაგრამ ისინი აზროვნობენ, ცხოვრობენ, იბრძვიან სრულებითაც არა ისე, როგორც ეს იქნებოდა იმ ქვეყნებში, რომლებიც იქ დასახლებულია“. პოემის ანალიზით მიღებული შედეგი ივ. ჯავახიშვილს არწმუნებს, რომ „შოთა რუსთაველის გმირებში ქართველის გული ძვერს, მის გმირებს მაშინდელი საქართველოს საკითხები აღელვებს“ (დაყოფა ჩემია ა. ბ.). „ვეფხისტყაოსნის“ ორი ძირითადი პერსონაჟი—ტარიელი და ავთანდილი—ივ. ჯავახიშვილს აგონებს ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი ცხოვრების ორ „სავსებით საწინააღმდეგო ტიპს.“ ამის თაობაზე ივ. ჯავახიშვილი ამბობს: „შოთა რუსთაველმა ორი სავსებით საწინააღმდეგო ტიპი წარმოგვიდგინა. აქ ჩვენ გვაქვს ორი სისტემის, ორი მიმდინარეობის, ორი პოლიტიკური დოქტრინის ასახვა, რომლებიც საქართველოში იყო, და რომელთა შორისაც იმ ეპოქის საქართველოში სწარმოებდა ბრძოლა“ (დაყოფა აქაც და ქვევითაც ჩემია, ა. ბ.). ივ. ჯავახიშვილი იქვე განმარტავს დასახლებული ორი სისტემის, მიმდინარეობისა და პოლიტიკური დოქტრინის ხასიათს: „პოემაში მოცემულია სამხედრო ძალის ორი ტიპი. ერთი მხრით, უხეში ფიზიკური სამხედრო ძალა, პირადი ვაჟაკობა, პირადი სიმამაცე წარმოადგენს ერთადერთ ნორმას, რომელიც განაგებს სახელმწიფოს. ასეთი მიმდინარეობის წარმომადგენელია „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ტარიელი. იგი თვით მამაცია, იგი იბრძვის, მაგრამ მის ბრძოლას არა აქვს იდეური ხასიათი. მეორე მიმდინარეობის წარმომადგენელია ავთანდილი, რომელიც თუ იშისვლებს ხმალს, იშისვლებს მხოლოდ იმისათვის, რომ დაეხმაროს შეურაცხყოფილთ, იმისათვის, რომ განათავისუფლოს ჩაგრულნი“.

ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელობა არ აქვს იმის გამოძიებას, რამდენად მართებულიადაა ივ. ჯავახიშვილის მიერ დახასიათებული „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი პერსონაჟები. ჩემთვის საინტერესო ისაა, რომ, ივ. ჯავახიშვილის

¹ გახ. „ლიტერატურული საქართველო“, 10. 1. 38.

დაკვირვებით, ეს პერსონაჟები საქართველოს იმდროინდელი ისტორიულ-სოციალური სინამდვილის გამომხატველნი არიან და (მკაცრად) განსხვავებულ-ინდივიდუალურ სახასიათო თვისებებს ატარებენ.

ივ. ჯავახიშვილს XII საუკუნის საქართველოს ისტორიულ სინამდვილიდან კიდევაც აქვს დასახელებული ტარიელის „პოლიტიკური დოქტრინის“ შესატყვისი ფაქტი. ის მოგვითხრობს: „თამარ მეფის ისტორიკოსი ვადმოგვცემს, რომ მხედართმთავრები გამოცხადდნენ გიორგი III-თან და განუცხადეს, მშვიდობიანობა გაგვიკრძეღდა, მეტი ცდა აღარ შეგვიძლიან, საქიროა ომი, საქიროა ლაშქრობა და ახალი ტერიტორიების შემოერთებაო. თუმცა გიორგი III თანახმა არ იყო, მაგრამ იძულებული გახდა გამოეცხადებინა ომი მეზობლებსათვის“. ივ. ჯავახიშვილი პირდაპირ არ ამბობს, მაგრამ ტარიელის ხატაეთში ლაშქრობა მას აგონებს გიორგი III-ის აგრესიულად განწყობილ მხედართმთავრების საქციელს. მე ვფიქრობ, რომ ანალოგია არ არის სწორი და ამდენადვე არ არის სწორი არც ტარიელის ისეთი მკაცრი დახასიათება, თითქოს ის მარტოოდენ უხეშ ფიზიკურ-სამხედრო ძალას ემყარებოდა და მის ბრძოლას არ ჰქონია იდეური ხასიათი. საისტორიო ცნობებით, აგრესიულად განწყობილმა დიდებულებმა თვითონ მოიხოვეს გიორგი III-ეს უდანაშაულო მეზობლების წინააღმდეგ გალაშქრება, ასეთ მოქმედებას მათ თითქოს სამხედრო პროფესიული ინსტინქტი უკარნახებდა: „არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა“-ო (ცტორიანი და აზმანი შარავანდღეთანი, კ. კეკელიძის გამოცემა, თბ. 1941, გვ. 65).

გიორგი III-ის დიდებულებს ამოძრავებდათ მეზობლების რბევა-აწიოკების, ძარცვა-გლეჯის, ალაფის შექმნის, პირადი გამორჩენის სურვილი. მათ ლაშქრობას მართლაც აკლდა „იდეური ბრძოლის“ ხასიათი. სულ სხვაა ტარიელის მოქმედება. პირადად ტარიელი ყოველთვის გაურბოდა თავდასხმას, სხვის დაჩაგვრას, სისხლის ღვრას და ა. შ. ტარიელს არ გააჩნდა აგრესიული ზრახვები, ის აროდეს არ ფიქრობდა პირად მოხვეჭაზე და ნადავლის შეძენაზე. ხატაეთში მოპოვებული მიდიარი ნადავლიდან ტარიელმა აიღო მხოლოდ „ყაბაჩა და ერთი რიდე“. მაგრამ მთაფარი სხვაა. რამ გამოიწვია ტარიელის ხატაეთში ლაშქრობა? ჯერ ერთი, ტარიელს ნესტანმა დაეავლა: „წა, შეები ხატაელთა, თავი კარგად გამაჩვენე“-ო (379,2). ის თავისი ინიციატივით არ წასულა ხატაელების წინააღმდეგ საბრძოლველად. მეორე, ტარიელი გიორგი III-ის დიდებულებივით უმიზეზოდ კი არ დასხმია თავს ხატაელებს, არამედ მის სამხედრო ლაშქრობას იმდროინდელი კვალობაზე სამართლიანი ომის ხასიათი ჰქონდა. ხატაელები იყვნენ ინდოეთის მოხარკენი („ხატაეთს მყოფნი ყველანი ჩვენნი სახარაჯონი“-აო, სწერდა ნესტანი ტარიელს, 377,3). ხატაეთი ვასალურ მორჩილებაში იმყოფებოდა ინდოეთის სახელმწიფოს მიმართ. ხატაეთის მუხთალმა ხანმა რამაზმა დაარღვია ვასალიტეტის არსებული წესი, ხარკის ძლევა შეუწყვიტა ინდოეთს, თვითნებურად გამოვიდა ინდოეთის წიფის მორჩილებიდან. „აწ მათნი ჯავრნი ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია“-ო, აღნიშნავდა სახელმწიფოებრივი გონიერების გამომხატველი ნესტანი და ტარიელს მოუწოდებდა ინდოეთის შელახული სუვერენიტეტის აღდგენისაკენ.

ორგულობა და განდგომილობა ხატაელებისათვის პირველი არ უნდა ყოფილიყო. ვაზირებში გაათრთხილეს ახალგაზრდა მხედართმთავარი ტარიელი (424,2—3):

მითხრეს, თუ: ხარო ყმაწვილი, ბრძენნი მით გაადრებთ გლახ ნით:
არიან მეტად მუხთალნი, ჩვენ ერთხელ კვლაცა ვნახენით.

დამარცხების შემდეგ მაინც შეწყალებულმა რამაზმა თვითონვე აღიარა ორგულობის დანაშაული და გამოსწორების პირობა დადვა [472]:

ხატაელმან დაუმაძლა, დადრკა, მდაბლად ეთაყვანა;
მოახსენა: ორგულობა თქვენი ღმერთმან შემანანა,
თულა ოდეს შედაგოდო, მაშინ მომკალ მეცა განა.

მაშასადამე, ინდოეთის სახელმწიფოებრივი ინტერესის თვალსაზრისით რამაზი იყო მოლალატე და შესაფერისი სასჯელის ღირსი. განდგომილი რამაზის დამორჩილება დავეღა ტარიელს, როგორც ინდოეთის ამირბარსა და ნესტანის მიჯნურს. ყველაფერთან ერთად ხატაეთის ლაშქრობას უნდა დამეტკიცებია ტარიელის ნესტანისადმი რაინდული მიჯნურობის უფლება. ტარიელი არ აპყვა წუთიერ სამხედრო ვნებათა ღელვას, ის გონივრულად შეუდგა სამზადისს. ჯერ მოლაპარაკებით და უომრად სცადა კონფლიქტის მოგვარება, თავაზიანი დიპლომატიური წერილით მოიპატიუა ხატაეთის ხანი (388,1—2):

ჩვენო ძმანო და პატრონო, თქვენგან არ გაეიმწარებით;
ესე რა ნახოთ ბრძანება, აქამცა მოიარებით.

რა თქმა უნდა, თავაზიან დიპლომატიურ კილოს ბეჯითი ულტიმატუმის ხასიათი ჰქონდა, ტარიელი აფრთხილებდა რამაზს:

თქვენ თუ არ მოხვალთ, ჩვენ მოვალთ, ზედა არ მოგეპარებით,
სჯობს, რომე გვნახნე, თავისა სისხლთა ნუ ეზიარებით.

რამაზმა იუკადრისა ტარიელის მიმართვა, უდიერი პასუხი მოიწერა, აბუჩად აიგდო ინდოეთის მეფის სუვერენობა და უარი თქვა ყოველგვარ მოლაპარაკებაზე (400):

სიტყვანი შემოეთვალნეს ლანდი და უკადრონია:
არცა თუ ჩვენ ვართ ჯაბანნი, არც ციხე უმაგრონია.
ვინ არის თქვენი ხელმწიფე, ჩვენ ხედა რა პატრონია?

რახან მოლაპარაკება არ მოხერხდა, ტარიელი იძულებული გახდა ხმალი ეშიშვლა. ომის პერიოდში რამაზმა მეტად მუხთლური და მზაკვრული ხერხი გამოიყენა. ტარიელმა ყოველივე ეს გაიგო, მაგრამ მას ოდნავადაც არ გადაუხვევია ბრძოლის რაინდული წესებიდან. რამაზი სასტიკად დაამარცხა, ტყვედ ჩაიგდო, ციხე-ქალაქების კლიტენი მიითვალა, შურისძიებისათვის მაინც არ მიუმართავს, დემორალიზებული ხატაეთის ლაშქარი არ გაუქვლეთია („მისნი სპანი ყველაკანი დავიპყრენით, არ მოკვლენით“-ო, 451,4), მით უმეტეს არ

გაუწყებია ხატაეთის მშვიდობიანი მოსახლეობა, შეურაცხყოფა არ მიუყენებია რამაზისათვის. ტარიელი სიხარულით შეეგება ფარსადანის წინადადებას რამაზის შეწყალების თაობაზე. ერთი სიტყვით, ხატაეთის ომის ეპიზოდით ტარიელმა გამოამჟღავნა არაჩვეულებრივი სამხედრო ქველობა, მხედართმთავრული ოსტატობა, პირადი დაჟსაკობა, ამასთან სამავალითო სახელმწიფოებრივ-დიპლომატიური ნიჭი; გულკეთილობა, კაცთმოყვარეობა, სულგრძელობა, უანგარობა და სხვა მისთანა კეთილშობილურ-რაინდული თვისება. ვფიქრობ, რომ ტარიელი არაფრით არ ჰგავს მოხვეჭისა და მტაცებლობის სურვილით შეპყრობილ გიორგი III-ის დიდებულებს, ან უხეში ფიზიკური ძალის გამომახტველ ავანტურისტს.

ვერ გავიზიარებთ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას, ვითომც ტარიელის „ბრძოლას არა აქვს იდეური ხასიათი“ (დაყოფა ჩემია, ა. ბ.). იდეური მოტივებით ხელმძღვანელობდა ტარიელი ხატაელების წინააღმდეგ ომის დროს, ეს, ვფიქრობთ, ნათელია უკვე ჩატარებული ანალიზის შემდეგ. იდეური საფუძველი გააჩნდა ტარიელის ყველა სხვა მოქმედებას (კონფლიქტი ფარსადანთან, ფრიდონის დახმარება, ქაჯეთის ბრძოლა).

მეორე მხრით, არა გვგონია მთლად სწორი იყოს მოსაზრება, ვითომც ავთანდილი—ვითარცა მეორე მიმდინარეობის წარმომადგენელი—„თუ იშიშვლებს ხმალს, იშიშვლებს მხოლოდ იმისათვის, რომ დაეხმაროს შეურაცხყოფილთ, იმისათვის, რომ გაანთავისუფლოს ჩაგრულნი“. როგორც ცნობილია, ავთანდილმა ერთხელ იშიშვლა ხმალი სრულიად უდანაშაულო, მშვიდად მძინარი კაცის—ქაშნაგირის წინააღმდეგ.

ერთი სიტყვით, არსაიდან ჩანს, რომ ტარიელი და ავთანდილი ასახიერებდნენ მოპირდაპირე პოლიტიკურ სისტემას, თუ პოლიტიკურ დოქტრინას, ან სამხედრო ძალის ორ ტიპს. ტარიელი და ავთანდილი ერთ სოციალურ-კლასობრივ წრეს ეკუთვნიან და თავიანთი ინდივიდუალური ხასიათების მიუხედავად ამ წრის იდეოლოგიურ და ტიპოლოგიურ სახეებს გამოხატავენ.

ამ გზობის პრინციპულ ინტერესს მოკლებული იქნებოდა იმის ძიება, ტარიელია თუ ავთანდილი რუსთველის მთავარი გმირი¹. ოღონდ ვერ დავეთანხმებით ჩვენი დიდი მეცნიერის დასკვნას: „ჩვეულებრივ ფიქრობენ, რომ შოთა რუსთაველი აღტაცებულია ტარიელით, რომ ტარიელი იქნა საყვარელი გმირია. ეს შემცდარი აზრია“—ო (დაყოფა ჩემია, ა. ბ.). ქაჯეთის ბრძოლის წინ რუსთველი საგანგებოდ ახასიათებს თავის გმირებს და არ-ორაზროვნად აცხადებს (1411,1—3).

თუცა ფრიდონ და ავთანდილ სიკეთე მიუწოდონია,
 მაგრა ტარიას შებმანი არვისგან მოსანდომია;
 მზე მნათობთაცა დაჭფარავს, არცალა ნათლად ხომნია.

ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ თუმცა რუსთველი ავთანდილსა და ფრიდონს თვლიდა „სიკეთე მიუწოდომელ“ კაბუტებად, ტარიელს მაინც იმათვე მიღლა

¹ ამ საგანზე იხილე ჩვენი „ტარიელი“ (ნარკვევები, 1, 1945, გვ. 181—203).

აყენებდა. ტარიელს პოეტი უწოდებს მ ზ ე ს, რომელიც მნათობებს (ავთანდილსა და ფრიდონს) ჰფარავს, რომელთანაც შედარებით ვარსკვლავთა კრებული (ხომნი) სინათლის ძალას მოკლებულია. ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს ცნობილი ფსევდო რუსთველური სტროფი (1669), ის სწორად ასახავს ტარიელისა და რუსთველის ურთიერთდამოკიდებულებას, ტარიელისთვის რუსთველი „მისია“, „მისთვის ცრემლ-მეუწრობელი“-ა. ტარიელია რუსთველის ვეფხისტყაოსანი.

საკითხის ისტორიულ-კრიტიკული მიმოხილვის შემდეგ, ჩემი აზრით, შეიძლება გაკეთდეს გარკვეული პოზიტიური დასკვნები. უწინარესად ყოვლისა, მართებულია ის მოსაზრება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირთა გალერეა საქართველოს XII საუკუნის სოციალური სინამდვილის ამსახველია. რუსთველის დადებითი გმირები XII საუკუნის ქართველი საზოგადოების მოწინავე ფენების სოციალურ-პოლიტიკურ ზრახვებს გამოხატავენ, ამდენადვე ისინი ამოზიდული არიან ნაციონალური სოციალური ნიადაგიდან, მაგრამ ზოგად-კაცობრიულ ბუნებასაც ამჟღავნებენ და გარკვეული სოციალურ-კლასობრივი ფსიქოლოგიის ჩარჩოებში საუცხოოდ ათავსებენ ეროვნულისა და ზოგად-ადამიანური ხასიათის თვისებებს, რუსთველი არც ვიწრო ფარგლებით იზღუდება და არც განყენებულ, ზოგად-კაცობრიულ-კოსმოპოლიტურ სახეებს ძერწავს. ტარიელი და ავთანდილი რაინდებისა და რაინდობის საუკეთესო ზოგად თვისებებსაც გამოხატავენ და იმავე დროს ატარებენ ქართული პატრონემური სოციალური ინსტიტუტის მკაფიო კოლორიტს. ესაა რუსთველის, როგორც სოციალური ტიპაჟის მხატვრის, დიდი ღირსება. რუსთველის პოემას ვასდევს სოციალურ-კლასობრივი აზროვნების ნიშანდობლივი ტენდენცია. ის ძირითადად ასახავს ორ სოციალურ გარემოს—რაინდულ-არისტოკრატიულსა და ვაჭრულს. პოემის მთავარი პერსონაჟები ამ სოციალურ გარემოში ლაგდებიან. ერთ მხარეზეა ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტანი, თინათინი... მეორეზე—ფატმანი, უსენი... რუსთველი პირველი გარემოს პერსონაჟებს აიღვალეს, მეორისაღმა კი ირონიულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს¹. მე მგონია, რომ რუსთველის შემოქმედებითი მეთოდის ცხადსაყოფელად მართლაც გამოგვადგება არისტოტელეს პოეტიკის ის ადგილი, სადაც საუბარია მოქმედ პირთა კლასიფიკაციის თაობაზე². არისტოტელე ამბობს: „ვინაიდან ხელოვანი ასახავს მოქმედ პირებს, ესენი კი აუცილებლად ან კარგები, ან ავები უნდა იყვნენ (ხასიათებს ყოველთვის თითქმის მარტო ეს თვისებები ახლავს თან, ვინაიდან ხასიათში ყველა ადამიანი განსხვავდება სიავით და სათნოებით), ამიტომაც ხელოვანი წარმოადგენს მათ ან როგორც უკეთესებს, ან როგორც უარესებს, ან როგორც ისეთებს, როგორც ვართ ჩვენ, — ე. ი. წარმოადგენს ისე, როგორც წარმოადგენენ ხოლმე მხატვრები...“³ რუს-

¹ ამაზე ვრცლად ჩემს ნარკვევში „ვეფხისტყაოსნის სოციალური გარემო“ (ნარკვევები, I, 1945, გვ. 155—180).

² შდრ. გ. ნ ა დ ი რ ა ძ ე, რუსთველის ესთეტიკური კონცეფციის საკითხისათვის, გვ. 70.

³ პოეტიკა, ს. დ ა ნ ე ლ ი ა ს თარგმანი, გვ. 5.

თველი თავის საყვარელ გმირებს, თავისი სოციალურ-კლასობრივი სოფლმხედ-ველობის შესაბამისად, აიდეალებს, ე. ი. მით ხატავს „როგორც უკეთესებს“, საძრახისებს კი—მაგალითად ქაჯებს—სამაგიეროდ წარმოგვიდგენს „როგორც უარესებს“, ხოლო პერსონაჟთა მესამე კატეგორიას—ვაჭურულ საზოგადოებრიობას (ფატმანს, უსენს)—„როგორც ისეთებს, როგორიც ვართ ჩვენ,—ე. ი. წარმოადგენს ისე, როგორც წარმოადგენენ ხოლმე მხატვრები“, ანუ, სხვანაირად, შეუფერავი სინამდვილის კვალობაზე, არც გაზვიადებული იდეალიზაციით, არც გაზვიადებული ძრახვით.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტზე დაკვირვება ცხადყოფს, რომ ავტორი საზოგადოდ გაურბის ზედმეტ ფანტასტიკას. ის, რამდენადაც კი შესაძლებელია, არ სცილდება რეალურ სამყაროს, ყოველ შემთხვევაში რჩება ადამიანის გონების საშუალებით წარმოსადგენი სინამდვილის ფარგლებში. როგორც ცნობილია, გაცილებული ავთანდილის შექითხვას ქაჯთა ბუნების თაობაზე („მაგრამ ქაჯნი უხორციონი რას აქნევენ, მიკვირს, ქალსა?“) ფატმანი დამშვიდებით უპასუხებს (1246, 1247, 1249):

არ ქაჯნია, კაცნიაო, მინდობიან კლდესა სალსა.

ქაჯნი სახელად მით ჰქენიან, არიან ერთად კრებულნი,
 კაცი გრძნებისა მცოდნენი, ზედა გახელდნებულნი,
 ყოველთა კაცთა მვენნი, იგი არვისგან ვნებულნი;
 მათნი შემბმულნი წამოვლენ დამბრმალნი, დაწბილებულნი.

ამისთვის ქაჯად უხმობენ გარეშემონი ყველანი,

თვარა იგიცა კაცნია ჩვენებარვე ხორციელანი.

ცხადივ ზღაპრული ამბავი „ვეფხისტყაოსანში“ მცირეა. ბოლოსდაბოლოს ესაა დევებთან ბრძოლის ეპიზოდი და ფატმანის „მონა გრძნეულის“ მიმოსვლა ფატმანთან. სხვა მხრივ რუსთველი არსებითად მოვლენათა რეალური წარმოსადგომის ჩარჩოებშია, თუმცა თავის ფანტაზიას აძლევს აღმაფრენას. მაგრამ ფანტაზიის დიდს მნიშვნელობასა და საჭიროებაზე შემოქმედისათვის (და არა მარტო შემოქმედისათვის) მიუთითებს დიდი ლენინი¹. მაშ, ასე. ფანტასტიკური ამბის აწერისას, ან ამბის ფანტასტიკური საღებავებით შეფერადებისას, რუსთველი მაინც რეალისტური პოეზიის ნიადაგზე დგას. შეიძლება დავეთანხმოთ პროფ. შ. ნუცუბიძეს, როდესაც ის ქაჯთა ხორციელობის ანალიზისას ასკვნის: „Так мог аргументировать в пределах средств поэтического изображения только тот, кто стоял на почве реализма граничащего с материализмом“². აიდეალებს, აზვიადებს, მაგრამ მაინც რეალისტურად ხატავს რუსთველი თავის სათაყვანებელ გმირებს. კიდევ უფრო რეალისტურად ასახავს დიდი პოეტი ვაჭართა საზოგადოებრიობის სინამდვილეს, კერძოდ ვაჭრულ პერსონაჟებს (ფატმანს, უსენს), თუმცა გაზვიადების მომენტი არც აქაა დავიწყებული. ვადაჭრითი სიმკაცრით ეპყრობა რუსთველი უსენს, პოეტი ერთგვარად აზვიადებს ამ სარფიანი ვაჭრის მღაბო ზნეობრივსა და ფიზიკურ თვისებებს.

¹ „Фантазия есть качество величайшей ценности“, ამბობს ე. ლენინი (Ленин о литературе, М, 1941, стр. 179).

² Руставели и восточный ренессанс, 251.

ოლონდ ეს კია, რომ არც იდეალიზაციის და არც ირონიული ათვალის-წუნების პირობებში რუსთველი არ ღალატობს მხატვრულ ზომიერებას. ის ყველგან და ყოველთვის შეუბღალავად იცავს კლასიკური სრულყოფილობის ნორმებს.

რუსთველი, როგორც აღვნიშნეთ, აიდეალებს რაინდულ-არისტოკრატიული საზოგადოებრიობის ყოფითი სინამდვილის საუკეთესო მხარეებს, მას უბღება თავისებურად დუბლირებული სახეების დახატვა და შემსგავსებული, აგრეთვე დუბლირებული, სიტუაციების აღწერა. ამ შემთხვევაში სრულიად ბუნებრივად ეს დუბლირებული სახეები ბევრ რამეში ერთმანეთს ჰგვანან. აბა, როგორ შეიძლება ერთმანეთს არ ჰგვანებოდნენ ერთი და იმავე იდეალიზებული სოციალური წრის იდეალიზებული წარმომადგენლები — ტარიელი და ავთანდილი? რუსთველმა ხომ ორივეს შესაფერისად გაუნაწილა თავისი საკუთარი სულის საბალო? მაგრამ სოციალური ტიპოლოგიის კვალობაზე რუსთველმა მიინც შექმნა უაღრესად ინდივიდუალიზებული პერსონაჲების სახეები. ტარიელი არ არის იგივე ავთანდილი (როგორც ამტკიცებს ვლ. ნორაკიძე), ტარიელი არც უპირისპირდება ავთანდილს (წინააღმდეგ ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებისა). ტარიელი და ავთანდილი რაინდობისა და რაინდების გამოწმინდველი მხატვრული სახეებია. ამ შემთხვევაში ეს სახეები კერძონიცაა და ზოგადიც (ინდივიდუალიზებულნიც და ტიპოლოგიურნიც), რადგანაც კერძო არ არსებობს ზოგადის გარეშე, ხოლო ზოგადი არ წარმოიდგინება კერძოსაგან მოწყვეტილად. როგორც თავის ადგილას უკვე აღვნიშნეთ, შესანიშნავად განმარტავს კერძოსა და ზოგადის ურთიერთმიმართებას ვ. ლენინი: „Отдельное не существует иначе как в той связи, которая ведет к общему. Общее существует лишь в отдельном, через отдельное. Всякое отдельное есть (так или иначе) общее. Всякое общее есть (частичка или сторона или сущность) отдельного“¹.

თქმა არ უნდა, რეალისტური ამსახველობის მეთოდამდის რუსთველი მივიდა სტიქიური გზით. „ვეფხისტყაოსნის“ რეალიზმი სტიქიური რეალიზმის ბუნებისაა. „ვეფხისტყაოსნის“ მთავარი გმირებიც არა იმდენად ტიპური რეალისტური სახეებია, რამდენადაც სახე-ხასიათები, ძლიერი შინაგანი ბუნების მქონე პერსონაჲები. ამის მიუხედავად, „ვეფხისტყაოსნის“ ეს პერსონაჲები როდია მოკლებული ტიპოლოგიური ზოგადობის ნიშნებს. უაღრესად საკლასიციზმეროა „ვეფხისტყაოსნის“ პოეტიკის მონაცემები. ამგზობის მე ვერ შევხვები რუსთველის პოეტიკის სპეციალურ საკითხებს. მე ახლა მაინტერესებს ჩვენი პრობლემის გადაწყვეტისათვის საჭირო მხოლოდ ერთი მომენტი.

როგორც ცნობილია, პროლოგში რუსთველი ავითარებს მიჯნურობის ორიგინალურ თეორიას და ამასთან დაკავშირებით განსაზღვრავს იდეალური (რაინდული) მიჯნურობის სახეობას (23):

მიჯნურსა თვალად სიტურფე ჰმართებს, მართ ვითა მგობა,
 სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, საუქმე და მოკალეობა,
 ენა, გონება, დათმობა მძღუთა მებრძოლთა მძღობა.
 ვისცა ეს სრულად არა სჭირს, აკლია მიჯნურთ ზნეობა.

¹ Философские тетради, 1936, стр. 327.

მოყვანილ ბრწყინვალე სტროფში რუსთველი კლასიკური სინათლით ჩამოთვლის იდეალური რაინდი მიჯნურის თვისებებს. რასაკვირველია, რუსთველი საკუთარი სოფლმხედველობრივი თვალსაზრისიდან გამომდინარეობდა და ისე აყალიბებდა გარკვეულ ნორმებს. შესაძლებელია ეს ნორმები ყველა დროის, კერძოდ ჩვენი დროის, მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდეს. მაგრამ აქ გასაკვირა არაფერია. რუსთველი იმუშავებდა ფეოდალური საზოგადოებრიობის გარკვეული სოციალური წრის შესატყვის ზნეობითს ნორმებს. ამ ნორმების ღირსება-ნაგლოვანებანი უნდა იქნას შეფასებული შესაფერისი პოზიციიდან. ხოლო თავისი პოზიციის კვალობაზე რუსთველი ჰქმნის კლასიკური სრულყოფილობის მაქსიმუმს, მოკლედ, სხარტად და შეაფიოდ განსაზღვრავს რაინდობის ტიპოლოგიურ ნიშნებს. ჩვენთვის ესაა საინტერესო. პროლოგში რუსთველი თეორიულად აღგენს რაინდობის ზოგად ტიპოლოგიურ სახეობას. საკუთრივ პოემაში კი ამ სახეობას ასხამს ხორცს, გამოჰყავს შესაბამისი თვისებების მატარებელი კონკრეტული პერსონაჟები. ასევე იქცევა რუსთველი სხვა შემთხვევებშიც. საერთოდ, პროლოგის იდეებს პოემაში ეძლევა მხატვრული განსახიერება. «ვეფხისტყაოსნის» თხრობითი ნაწილი მხატვრული ილუსტრაციაა პოეტის იმ პრინციპებისა, რომლითაც აღბეჭდილია განთქმული შესავალი. მამასა-დამე, ვიმეორებთ, რუსთველა ჯერ პროლოგით აყალიბებს რაინდობის ტიპოლოგიურ ნიშნებს, შენდევ კი პოემაში მას სამოქმედო ასპარეზზე გამოჰყავს ამ ნიშნების მქონე გმირები. ამიტომაც შეცდომა არ იქნებოდა ამ პერსონაჟების გარკვეულ ტიპებად დახარისხება და დაჯგუფება. ტარიელი ასეთი და ასეთი თვისების მქონე რაინდის ტიპია, ავთანდილი კი, ვთქვათ, ასეთისა და ასეთისა...—მაგრამ ჩვენ მიანიც ვფიქრობთ, რომ გმირის კონკრეტული სახის დახატვისას რუსთველი იყენებს ისეთ ფერებს, მიმართავს იდეალიზაციისა და რომანტიზაციის ისეთ ხერხებს, რომ საბოლოო ანგარიშში პერსონაჟი გვევლინება არა იმდენად სახე-ტიპის თვისებათა მატარებლად, რამდენადაც სახე-ხასიათისა. ეს დასკვნა, უპირველესად ყოვლისა, შეეხება პოემის წამყვან იდეალიზებულ გმირთა გალერეას, არა იდეალიზებულ გმირთა ჯგუფს (ვაჟართა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს) რუსთველი უფრო აძლევს სახე-ტიპის ხასიათს. აქ უფრო საგომწონბი ხდება რუსთველის რეალისტური ხატვის მანერა.

აღნიშნულიდან გამომდინარეობს ჩვენი საბოლოო დასკვნა: რუსთველი თეორიული გააზრებითაც და შემოქმედებითი პრაქტიკითაც დაუახლოვდა საგანთა და მოვლენათა რეალისტური ასახვის მეთოდს. მეტიც, რუსთველის შემოქმედებაში უშუალო კონკრეტული გამოხატულება ჰპოვა ე. წ. სტიქიურმა რეალიზმმა. რუსთველის პერსონაჟები, მართალია, არ წარმოადგენენ ისტორიულ პირთა პორტრეტებს, თუმცა შესაძლებელია (და საფიქრებელიც) ზოგჯერ იქნებ სწორედ კონკრეტული ისტორიული პირით იყოს ჩაგონებული და მოხაზული პოემის მხატვრული სახე, თუ სახე-იდეა (მაგალითებრ, ნესტანი-თამარი). რუსთველის გმირები არც გამოწვანონი, ირეალური, ფანტასტიკური სახეები. «ვეფხისტყაოსნის» გმირები გარკვეული სოციალურ-კლასობრივი შეგნების ნიადაგზე მდგომი ავტორის მიერ შექმნილი ცოცხალი სახე-ხასიათებია, ან, ცალკე შემთხვევაში, ტიპური სახეები.

ვუკოლ ბერიძე

ვეფხისტყაოსნის პროლოგის ერთი სტროფის ბაზებისათვის

ვეფხისტყაოსნის წინასიტყვაობაში, როგორც ცნობილია, შოთა ეხება სხვადასხვა კატეგორიის მოშაირეს და თითოეულს სათანადოდ ახასიათებს, თითოეულს სათანადოს მიუზღავს.

ასე:

15. მოშაირე არა ჰქვიან, თუ სადმე თქვას ერთი ორი,
თავი ყოლა ნუ ჰგონია მეღვქსეთა კარგთა სწორი;
განაღა თქვას ერთი, ორი, უმსგავსო და შორი-შორი,
და მაგრა იტყვის: „ჩემი სჯობსო“, უცილობლობს ვითა ჯგორი.

დახასიათებულია მოშაირეთა ერთი კატეგორია: ის არაა ნამდვილი მოშაირე, რომელიც ერთს-ორს იტყვის და იმასაც ცუდსა და ერთმანეთის შეუწყობელს.

შემდეგ:

16. მეორე ლექსი ცოტაი, ნაწილი მოშაირეთა,
არ ძალუც სრულქმნა სიტყვათა გულისა გასაგმირეთა.
ვამსგავსე მშვილდი ბედითი ყმაწვილთა მონადირეთა,
და დიდსა ვერ მოკვლენ, ხელად აქეთ ხოცა ნადირთა მცირეთა.

არის მეორეგვარი ლექსი, იმ მოშაირეთა ხვედრი, იმ მოშაირეთა მიერ შეთხზული, რომელთაც არ შეუძლიათ შექმნან სიტყვა გულის გამგმირავი; ამგვარი მოშაირეები მე ვივამსგავსე ახალგაზრდა მონადირეების საბრალო, საწყალ მშვილდს: დიდ ნადირს ვერ მოკვლენ, მათი ხელობაა მცირე მხეცების ხოცვა.

ამრიგად: მეღვქსეთა თითოეული კატეგორიისათვის პოეტს განკუთვნილი აქვს თითოეული სტროფი, სხვაგვარად: ერთ სტროფში მხოლოდ ერთი კატეგორიის შესახებაა ლაპარაკი; არ არის ისეთი ვითარება, რომ ერთსა და იმავე სტროფში ორი ამბავი იყოს მოცემული, არ არის ისეთი მდგომარეობა, რომ პოეტი ერთსა და იმავე სტროფში ორ საკითხს იხილავდეს, ორ რასმე ეხებოდეს. გავითვალისწინოთ ეს და გადავიდეთ შემდეგ სტროფზე.

17. მესამე არს ლექსი კარგი სანადიმოდ, სამღერელად,
სააწიკოდ, საღაღობოდ, ამხანაგთა სათრეველად;
ჩვენ მათიცა ვვეამებოს, რაცა ოდენ თქვან ნათელად,
და მოშაირე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.

რაზეა აქ ლაპარაკი?

არის მესამე კატეგორიის ლექსი, რომელიც გამოსადეგია:

სანადიმოდ, სამღერლად, სააშიკოდ, სალაღობოდ, სხვაგვარად: ყველა ამგვარი ლექსი განკუთვნილია სიამოვნებისათვის, გასართობად. აგრეა, მაგრამ ბოლოს აქ ხაზი ტყდება და დახასიათების უკანასკნელი წევრი სხვა რიგისაა: იგი განკუთვნილია ტრადიციული წაკითხვით ამხანაგთა სათრეველად.

რა არის სათრეველი? სათრეველი—სალანძლავი, საგინებელი რამაა.

ამდროინდელ ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში ბევრჯერ გვხვდება სათრეველი და ყოველთვის ამ მნიშვნელობისაა, საამისოდ ავიღოთ თუნდაც ვის რამიანი. ვისი ეუბნება რამინს:

„არ გახსოვს, ოდეს წიგნი მოგეწერა და ათასი საგინებელი და სათრეველი ეწერა“ (258); ან: „არა კმა იყო, რომელ ჩემი სათრეველი წიგნი მომწერე და საგინებელი და სისხლნი ჩემნი მას წიგნსა შიგან დალუარე“ (262).

აქ ახსნაც ზედმეტია. სათრეველი რომ სალანძლავი, საგინებელია, ამონაწერიდან ნათლად ჩანს. ანდა: „მაგრა ესრე სათრეველი და სააბეზარო წიგნი რაისათვის მომწერე“? (265). აქაც სათრეველი და სააბეზარო კვალად საგინებელი, კვალად სალანძლავია.

სათრეველის წინსართიანი ფორმა იქნება გასათრეველი, რაც კვალად საგინებელია, ამგვარი მნიშვნელობითაა იგი წარმოდგენილი ვეფხისტყაოსანში.

1101. „გამიცხე, ბოზო დიაცო და დამდეგ გასათრეველად?“

მაშასადამე, რა არის სათრეველი ლექსი? სათრეველი ლექსია ვინმე გასალანძლავი ლექსი, სხვაგვარად, პამფლეტი. ამხანაგთა სათრეველი ლექსი ამხანაგთა გასათრევი, ამხანაგთა გასალანძლავი ლექსია.

შეიძლება თუ არა აქ, ამ სტროფში, იყოს სალანძლავი ლექსებზე ლაპარაკი? არა, არ შეიძლება. რატომ? იმიტომ რომ, როგორც ზემოთ დავინახეთ, თითოეული სტროფი თითოეული კატეგორიის ლექსისთვისაა განკუთვნილი. რომელია ეს კატეგორია? გასართობი ლექსების კატეგორიაა: სანადიმოდ, სამღერლად, სააშიკოდ, სალაღობოდ და როგორ შეიძლება უტყბ: ამხანაგთა სათრეველად?!

არა, ყოველად შეუძლებელია, რომ აქ ამხანაგთა სათრეველად იყოს! მით უმეტეს, რომ მთელი სტროფის შეფასებაც უთუოდ ეწინააღმდეგება ამას. როგორაა სტროფი შეფასებული? ჩვენ მათიცა გვეამბის, ე. ი. ამგვარი ლექსი სისიამოვნოა და რა სისიამოვნო უნდა იყოს ამხანაგთა, მეგობართა გათრევა?

უთუოდ აგრე ფიქრობდა და გრძნობდა მკვლევარი პ. ინგოროყვა, როდესაც მან სათრეველად უარყო და სტრიქონი ამგვარად გამართა:

სანადიმოდ, სამღერლად, ამხანაგთა სათრეველად.

სათრეველად ის ნაცვლად რომ სათრეველად ვიხმაროთ, უთუოდ დიდი ნაბიჯია წინ წადგმული, მაგრამ საბოლოოდ არც სათრეველად იამისალები! რატომ? რა არის თრევა და მისგან ნაწარმოები სათრევი, სათ-

ნეველი? იგი ორაზროვანია: თუ ზოგჯერ მოწონებას აღნიშნავს, ხშირად პირფერობას, მლიქვნელობასაც შეიცავს, ყოველ შემთხვევაში, შოთას უფრო უკანასკნელი მნიშვნელობით, უარყოფითი მნიშვნელობით აქვს იგი ნახმარი.

განვიხილოთ ჯერ ის სტროფები, სადაც თნევა მოწონებას ნიშნავს.

ა. ხატაეთზე გალაშქრებულ ტარიელს რამაზ მეფემ მოციქულნი გამოუგზავნა: უომრად დაგნებდები და ნუ დამარბევო. მოციქულთაგან ერთი გამოეყო და ტარიელს მოახსენა: მე მამათქვენის გაზრდილი ვარ და არ შემიძლია არ გაგაფრთხილო, რომ ჩვენები თქვენ გლალატობენო.

435. მეფე ცოტათ მოგვეგების, ვის მკერეტი ვერ გელევიან;

მაღვით ჩაიციმენ აბჯარსა, მიენდო, მით გეთნევიან.

ე. ი. რამაზ მეფე ცოტა ჯარით შემოგვეგებება შენ, რომელსაც მკერეტელნი ვერ გელევიან, ვერ გიმეტებენ. დამალულად ჩაიციმენ აბჯარს, რომ მიენდო და ისინი რომ სათნო, მოსაწონი იყვნენ შენთვის.

ბ. ავთანდილი მოუთხორობს თინათინს ტარიელის ამბავს. თინათინმა მოისმინა ამბავი, აღსრულდა წადილი და ამბობს: რა პასუხი ვთქვა იმისთანა, რომ ტარიელის მოსაწონი, სათნო იყოს, რაა წამალი, რომ მისი წყლული განიკურნოსო?

701. ქალსა რა ესმა ამბავი, მიჰხვდა წადილი ნებისა,

განათლდა პირი მთვარისა, ვით ნათლად ნაენებისა;

იტყვის: რა ვუთხრა პასუხი მისთა ნებისა თნებისა,

და რაა წამალი მისისა წყლულისა განკურნებისა?

თნება აქ უთუოდ მოწონებაა.

გ. ავიღოთ სტროფი ავთანდილისა და ვაზირის საუბრიდან.

732. რა ჯალაბი გაიყარა, ყმა ვაზირსა ეუბნების,

ეტყვის: „შენი დამალული დარბაზს არა არ იქმნების,

რაცა გწადდეს საურავი, მეფე იქმს და შენ გეთნევის...“

ე. ი. რაცა გწადდეს საზრუნავი, მეფე დიგაკმაყოფილებს და შენ მოგეწონება. დ. კვალად ამგვარივე მნიშვნელობითაა ეს სიტყვა შემდეგ სტროფში:

193. რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქმნების,

მხისა შუქთა ვერ მკერეტელი ია ხმების, ვარდი ჰნების,

თვალთა ტურთა საკერეტელი უცხო რადმე ეშვენების,

და მე ვით გავძლო უმისობა, ან სიცოცხლე ვით მეთნების.

ე. ი. როგორ გავძლო მე უმისობა, უტარიელობა, ან სიცოცხლე უიმისოდ როგორ იქნება ჩემთვის სათნო, მოსაწონი?

ე. მოვიხილოთ ერთი ადგილი ფრიდონისა და ავთანდილის საუბრიდან.

629. ესე მესმა ფრიდონისგან, მომემატა ცეცხლთა სიცხე,
 ცხენისაგან გარდავიქერ, თავი სრულად გავიციცხე,
 ჩემთა ლაწითა დანადენი მე ჩემივე სისხლი ვიციცხე.
 და ვუთხარ: მომკალ, უჩემოსა ენახამცა ვისცა ისც ხე!

630. ე'ე ჩემგან გაუკვირდა ფრიდონს, მეტად ეუცხოვა,
 მაგრა მეტად შევებრალებ, ტირილითა მესათხოვა,

ე. ი. ტირილით მომეფერა, ჩემთვის სათნო, მოსაწონი შეიქმნა.
 ამგვარივეა 375 სტროფიც.
 ყველა დანარჩენ შემთხვევაში თნევა და მისი ვარიანტები
 პირფერობის აღმნიშვნელია.

ასე:

ა. 39. თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბაღია,
 არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლა დია!"

ე. ი. თუმცა ქალია, მაგრამ ის ხელმწიფედაა დაბადებული, პირში არ
 გეფერებით, არ ვმლიქვნელობთ, უთქვენოდ, ზურგს უკანაც, დიაღაც არაერთ-
 ხელ გვითქვამს.

ბ. როსტივან მეფე და აეთანდილ შეეჯიბრნენ ერთმანეთს ნადირობაში.
 გათავდა ნადირობა.

79. ერთმანეთსა თუ: მე გჯობო, სიცილით ეუბნებოდეს,
 ამხანაგობდეს, ლაღობდეს იქით და აქათ დგებოდეს,
 მერმე მოვიდეს მონანი, რომელნი უკან ჰყვებოდეს,
 და უბრძანა: თქვითო მართალი, ჩვენ თქვენგან არ გვეუნებოდეს.

მონები მოწმებდად ჰყავდათ წაყვანილი და მეფემ მათ უბრძანა: მართალი
 თქვით, პირფერობა, პირმოთნეობა არ დაიწყეთო.

გ. ტარიელი ეხვეწება ასმათს: ნესტანის ამბავი მითხარი, მეტი არაფე-
 რი თქვაო. ასმათმაც უპასუხა: გეტყვი მართალსა, ჩემგან პირფერობას ნუ
 მოელიო.

492. მიაშვე მისი ამბავი, სხვად ნურად მეუბნებია!
 მითხარ თუ: გკადრებ მართალსა, აწ ჩემგან არ სათნებია.

მაშასადამე, თნევა, თნება უპირისპირდება მართალს,
 სიმართლეს.

ეს გარემოება განსაკუთრებით მკაფიოდ გამოსკვირს ვეფხისტყაოსნის
 მეორე ადგილას, სახელდობრ:

დ. ფარსადანი წყრომით შეეკითხა ტარიელს: უდანაშაულო ხვარაზმშა რად
 მოკალი, თუ ჩემი ქალი (ნესტანი) გინდოდა, წინასწარ რად არ გამაგებინეო?

* ტარიელმა უპასუხა:

¹ საიუბილეო გამოცემაში სწერია ამბავსა, ხოლო ზოგ ხელნაწერში მართალსა.

565. ვერ გათნივ, თქვენმან კეთილმან, აწ ვგე არ მართალია:
ღმერთმან არ მოგცა ყმა შვილი, გიხის ერთი ქალია,
ხვარაზმშა დავსვა ხელმწიფედ, დამრჩების რა ნაცვალა?
და სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მერტყას მე ჩემი ხრმალია!

ე. ი. პირში არ გეფერები, მეფეო, არ ვმლიქვნელობ.

ე. მოვიხმოთ კიდევ მაგალითები:

ავთანდილი ეხვეწება ვაზირს: მიშუამდგომლე როსტევან მეფესთან—გამიშ-
ვას მეორედ ტარიელის დასახმარებლად, სამაგვიროდ „ასი ათასი წითელი შენ
ქრთამად შეიწირეო“. ვაზირი ცივ უარზეა:

743. თავმან მისმან მუნვე მომკლავს, ვეპე, წამიცა არ წამაროს,
შენი ოქრო შენვე დაგრჩეს, მე გლახ, მიწა მესამაროს.

ავთანდილი მაინც განაგრძობს ხვეწნას. სასოწარკვეთილი, გამოუვალ მდგო-
მარეობაში ჩავარდნილი, ვაზირი ამბობს:

744. გზა არ წავა თავსა წინა, სიცოცხლე, გლახ, ვით გათნიო?

ე. ი. გზას, სიცოცხლეს თავისი ბუნებრივი მსვლელობა აქვს, დროზე აღრე იგი არ
გათავდება, და რატომ დაგითმო, რატომ შემოგწირო იგი შენ?

ვ. საგულისხმია ერთი ადგილი ავთანდილის ანდერძიდან, სადაც თნევა კვა-
ლად პირფერობის სინონიმია.

805. ამას იქით ჩემგან ჩემი ამავეიცა არ გეცნევის.
ამად გვედრებ სულსა ჩემსა, წიგნი გაადრებს, არ გეთნევის.

ზ. შემდეგ: მეორედ წასული ავთანდილი მიადგა ტარიელის ბინას, მაგრამ
ტარიელს გაეტება პირობა და ველად გაჭირილიყო. ამის გამო ავთანდილი
ერთვარ საყვედურსაც კი ამბობს ტარიელის მიმართ: თუ მე უმისოდ ქვეყ-
ნად ყოფნა ჩირადაც არ მიღირდა, რატომ გატება მან სიტყვა, რატომ არ
დამიცადა, რატომ გაიპარაო?

ტარიელის მაგიერ ავთანდილს პასუხი ასმითმა ვასცა: მართალი ხარ
შენ, რომ სიტყვის გატებამ დაგამძიმა, მაგრამ ფიცისა და პირის გასრულებას
გული უნდა და ტარიელი კი ამყამად უგულოდაა და დღე-დღეზე მოვლის-
სიკვდილსო.

847. კვლა ქალი ეტყვის: მართალ ხარ მავისსა დამძიშებასა,
„მაგრა რა გაბრჭო მართალი, ნუ მეპე რასაცა თნეხასა“.

მართალს ეტყვი და ნუ იფიქრებ, რომ პირში გეფერებიო.

თ. მხოლოდ ამგვარადვე გაიგება ვეფხისტყაოსნის შემდეგი ადგილი:
ავთანდილი ცდილობს გონს მოიყვანოს სასოწარკვეთილი ტარიელი, რომე-
ლიც ვეფხ-ლომთან ბრძოლის შემდეგ მიწაზე დანარცხებულია და ხელი აუღია
ბრძოლაზე.

880. ისმინე ჩემი თბრობილი, შეჯე, წავიდეთ ნებასა,
 ნუ მიჰყოლიხარ თავისა თათბირსა, გაგონებასა,
 რაცა არ გწადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ წაიღოთა ნებასა,
 და ასრე არ სჯობდეს, არ გეტყვი, ნუ მეჭე რასაცა თნებასა.

ე. ი. მოიქეცი ისე, როგორც გეუბნები, აგრე რომ არ სჯობდეს, არ გეტყვი,
 ნუ იფიქრებ შენ ჩემ შესახებ, რომ შე გეპირფერებო.

ი. ან კიდევ კვალად ავთანდილ-ტარიელის საუბრიდან:

895. „შერასმეჭყვეს საუბარსა, სიტყვა ჰქადრა არ მალული (ავთანდილმა):
 ერთსა რასმე მოგახსენებ, გამიცხადე დაფარული,
 ვგე სამხრე მისეული, შენ განხია ვისგან წყლული,
 და რავგარ გიყვარს, რავგარ გიღირს? თქვი, დავილო მერზე სული!

896. მან უთხრა: სახე არ გითხრა მის უსახოსა სახისა!
 ესეა ჩემი სიცოცხლე, ჩემი მომცემი ახისა,
 მჯობო ყოველისა სოფლისა, წყლისა, მიწისა და ზისა;
 და არ სასმენლისა მოსმენა არს უმეავესი წმინთისა.

897. ავთანდილ უთხრა: ვლამოდი მართ მაგისისა თქმევასა;
 აწ რადგან გითქვამს, პასუხსა ჰქადრებ და ნუ მეგე თნევასა.

ე. ი. პასუხს გეტყვი და (კვალად) ნუ იფიქრებ, რომ შე პირში გეფერებო.

ი. ცოტა სხვაგვარი ელფერიითაა, მაგრამ არასგზით მოწონებთ ის
 გავებით, მოცემული თნევა სიტყვა ვეფხისტყაოსნის შემდეგ აღვიღას.
 ავთანდილი დაეხმარა მოქარავენთ, დახოცა მეკობრენი. მოქარავენნი
 მალლობას უძღვნიან ავთანდილს:

1049. „შენგან დავრჩით ჩვენ ყველანი ფათერაკსა ეზომ ძნელსა“.

ამის პასუხად ავთანდილი ეუბნება მოქარავენთ:

1051. ღმერთმან სულსა გგოდენსა თქვენ გათნივა სისხლი თქვენი,

ე. ი. ღმერთმა თქვენ გაბატონათ, თქვენ დავითმოთ, თქვენ შეგარჩინათ
 თქვენი სისხლიო.

იბ. ავთანდილმა ფრიდონის პირით შეუთვალა ტარიელს, მას შემდეგ,
 რაც ყველანი გამარჯვებულნი თავ-თავის სახლს უნდა წავიდნენ.

1478. ესეა ჩემი საწადი და ჩემი მოსანდომარე:
 ინდოეთს განახო მორბეული, საჯდომთა ზედა მჯდომარე,
 გვერდსავე გიჯდეს ნათობი პირი ელვათა მკრთომარე,
 და მებრძოლნი თქვენი მოგესრნეს, არეინ ხნდეს მუნ მეომარე.

1479. რა გამისრულდენ ესენი ჩემნი გულისა ნებანი,
 მაშინლა მივალ არაბეთს, მომხედდენ მის მზისა ზღებანი;
 ოდესცა სწადდეს, დამიგსნეს ამა ცეცხლისა დებანი,
 და სხვა თქვენგან არა არ მინდა, მძულან ცუდნილა თნებანი.

ე. ი. მძულს ცუდი პირფერობაო.

ტარიელმა უპასუხა: მე შენი გამზრდელის, როსტევიანის, უნახავად ვერ დავედგები, ვფიქრობ, ბევრი ყმა დაუფხოცე მას და ბოდიშს მოვიხიდი მის წინაშეო:

1481. მიდი, უთხარ ჩემმაგერ სიტყვა ჩემგან არ ნათნებო.

ასეთია თნევა, თნება და მისგან ნაწარმოებ სიტყვათა აზრი და გაგება ვეფხისტყაოსანში: არსად, არც ერთ ვარიანტში, გარდა სამიოდ შემთხვევისა, იგი მოწონებას არ აღნიშნაჲს: ყველგან საპირფეროს, სააუგოს სინონიმი ა მხოლოდ.

იგ. მაგრამ ამ სიტყვის ამგვარი მნიშვნელობა ისე მკაფიოდ არსად არ ჩანს, როგორც სამთა თათბირზე, ქაჯეთის ციხის აღიბის შესახებ რომ იყო გამართული.

ტარიელი უარყოფს ავთანდილისა და ფრიდონის მოსაზრება-წინადადებებს:

1403. მაგრამ იყენით ჩემთვისცა საქმისა რასმე რჩევითა:

ზმა ესმას ჩემსა ხელმქნელსა, ზედა გამოდგეს მზე ვითა;

თქვენ გქონდეს ომი ფიცხელი, უომრად მნაზოს მე ვითა,

და ეუ მე დამსერის, ნუ უზნობთ სიტყვითა თქვენ სათნევიოთა.

ე. ი. ეს მე დამსერის, გამლანძლავს, ნუ პირფერობთ!

მაშასადამე, სათნევი, ამ შემთხვევაში, კვალად საპირფეროა, კვალად უარსაყოფია.

ამგვარად: ამხანაგთა სათნეველადაც უნდა მოიხსნას, უნდა მოიხსნას კიდევ იმიტომაც, რომ სათნევე ფუძე რომ ყოფილიყო, იგი არც ისე ადვილად შეიცვლებოდა სათრევე ფუძით.

მაშასადამე, სათრეველად უთუოდ გამორიცხულია, მაგრამ არც სათნეველად შეიძლება იყოს. აბა, რა? სართეველად.

„სააშიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სართეველად“.

სართეველად-ის სახელობითია სართეველი, რომლის წინსართიანი სახე იქნება გასართეველი, ან გასართევი.

საიდანაა ეს სიტყვა წარმოებული?

ჩვენ გვაქვს ამ სიტყვის ორი საწყისი: გართობა და გართვა, ან ევთემიანი—გართევა. გართობა სიტყვიდან გვექნება გასართობი, გასართობად, მაშასადამე, იგი უნდა მოიხსნას.

დავგრა გართვა, გართევა—საწყისი. აქედან კი სრულიად კანონიერად იწარმოება გასართევი, გასართეველი, ე. ი. ის, ვინც უნდა გაართონ.

მაშასადამე, სააშიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა გასართეველად. პროზა რომ ყოფილიყო, უთუოდ აგრე დაიწერებოდა, მაგრამ ლექსში მოითხოვა გასართეველის შეკუმშული სახე: გასართეველი, გასართეველად. გასართეველად კი საესებით კანონიერი სიტყვაა: გაეხსენოთ ნ. ბარათაშვილის

წარვედ წყლის პირსა, სევდიანი გულთ გასართეველად,

ე. ი. მე, სევდიანი, წარვედ წყლის პირს, რომ გული გამერთო.

მაშასადამე, შოთას ხაზი რომ არ გაემრუდებინა, სრულიად კანონიერად შეეძლო ეხმარა:

სააშიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა გასართველად: ლექსიც სრულყოფილი იქნებოდა და აზრიც სათანადო. შეეძლო სრულიად დაუბრკოლებლივ, მაგრამ გაწინსართიანი ფორმა მაინც არ იხმარა. რატომ?

იმიტომ, რომ წინათ, ოთხჯერვე ნახმარი აქვს საწინსართიანი ფორმა: სა-ნადიმოდ, სა-მღერელად, სა-აშიკოდ, სა-ლალობოდ! მეხუთე ატრიბუტიც საწინსართიანი უნდა მოეხმო, მაგრამ აუცილებლად სრული, გაშლილი სახით: სართველად. რატომ? იმიტომ, რომ გასართველად შეკუმშული ფორმაა, გაწინსართის ჩამოშორება კი უთუოდ კომპენსაციას მოითხოვს, ამიტომ „ე“ კვალად უნდა აღდგეს და სიტყვაც სრული, უკუმშველი სახით უნდა წარმოადგეს: სართველად, მით უმეტეს, რომ დანარჩენი მორითმივე სიტყვებიც სრული, უკუმშველი სახითაა მოცემული, სახელდობრ:

სამღერელად,

ნათელად,

გრძელად,

მაშასადამე, — სართველად.

ამგვარად, ეს სტროფი ამიერიდან, ჩემის აზრით, ასე უნდა შევიდეს ვეფხისტყაოსანში:

მესამე არს ლექსი კარგი სანადიმოდ, სამღერელად,
 სააშიკოდ, სალალობოდ, ამხანაგთა სართველად;
 ჩვენ მათიცა გვეამების, როცა ოდენ თქვან ნათელად,
 და მოშიარე არა ჰქვიან, ვერას იტყვის ვინცა გრძელად.

ბაიოზ იმედაშვილი

ორი მზე ვეზენსტაოსანში

მზე რუსთაველის შემოქმედებაში ცალკე თემია, ფრიად საინტერესო, როგორც ლიტერატურული, ისე მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით. პოეტური მეტყველების მხრივ გასარკვევია მზის ეპითეტურ-სიმბოლური მნიშვნელობა, მისი მეტაფორული გააზრების სახეობანი და მათი წარმოშობა-განვითარება. მსოფლმხედველობრივად ასახსნელია მათი წყაროები და საფუძვლები თეოგონურ-ასტროლოგიური თვალთახედვით.

ამ მხრივ განსაკუთრებული ინტერესის შემცველია ის სახეტქმანი, სადაც რუსთაველი თავის გმირთ რომელიმე მნათობთან შინაგან მიმართებაში წარმოდგენს, მისთვის რაღაც მნიშვნელობის მინიჭებით. ეს არაა მზის მხოლოდ ეპითეტებად გამოყენება, როგორც ცალკე სახისა, მაგალითად:

„იგი რა ნახა ტარიელ, თქვა მზისა დასაგვანებლად“ (სტროფი 280)

„მზე მოეგება პირითა ტურფიოა, მოციწარითა“ (1423)

„მას ემსახუროთ, ვისი პირი მზისა პირად გაგვიცდია“ (1059)

„რად გაგიშვან, რად მოსტყუდენ, ანუ მუსსა რად მოშორდენ“ (745)

„ჩემსა მუსსა დავეთხოვე, გაუშვივარ; დავდეგ მე რად!“ (786)

„აჲ მეცა მიჯობს მონახვა მის მზისა ლერწამ-ტანისა“ (863)

როგორც ვხედავთ, აქ მზეს ნაცვალსახელის ფუნქცია აქვს მინიჭებული; მაგრამ ჩვენთვის უფრო საინტერესოა მზის ურთიერთობა ცის სხვა მნათობებთან, რომელთა ანალოგიითაც რუსთაველი ადამიანთა ურთიერთობის რთულ სიტუაციებს გადმოგვცემს.

მხედველობაში მაქვს ისეთი ასტრალური მეტაფორები, რომელთა საფუძველია მნათობთა მოძრაობა—მათი შეხვედრა-დაცილება, რასაც ძველადვე საბეისტურ-ასტროლოგიური წარმოდგენით ადამიანურ ყოფაზე გარკვეული მნიშვნელობა და გავლენა ჰქონდა მინიჭებული. მათში ხედავდნენ სიმბოლოებს, და მით ხსნიდნენ ადამიანთა ურთიერთობას ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე მათ პოეტური მეტყველება როგორც ეპითეტებსა და მეტაფორებს გამოიყენებდა. მათგან ყველაზე ჩვეულებრივად გავრცელებულია პოეზიაში მზისა და მთვარის შეყრა, რამდენადაც ის მხატვრულ შემოქმედებითს აღმაფერენას თავისი მიმზიდველი სურათიანობით მდიდარ მასალას აძლევდა შედარებათათვის. შეყვარებულთა ურთიერთობა—შეყრა-დაცილება და მასთან დაკავშირებული სიხარული და მწუხარება, ბუნებრივია ამ მნათობთა ანალოგიით გამოხატულიყო. ასეთია მაგ., რუსთაველის:

„ავთანდილ ა გალელუი შესაყრელად მთვარე მზისად“ (1502)

და სხვა მსგავსი სახე-თქმანი მზის მთვარესთან თუ სხვა მნათობებთან ასეთი თუ ისეთი ურთიერთობის გამოხატვით:

- „მხესა მთვარე შეწყაროს, დაილევოს, დაცაქნებოს“ (126)
 „მთვარე მხესა მოეშორვოს, მოშორებება განანათლებს“ (830)
 „ნზე ვეშაჰსა დაბნელა, ზედა რადჰცა გაგვიოთენდა“ (1185)
 „მინამდის მთავარე შექ-კოთხოთ ჯდეს, მზისა მოშორებულა“ (1185)
 „ლურჯად ჩანს შექი მთვარისა, მზისაგან შექ-ნაქრომისა“ (1346)
 „კრომოს, წყრომით შემხვედველმან, მოიშოოვა სიტკბო მზისა“ (1415)
 „ახლად შეყრილსა მთვარესა, მზეო, ვით მოეშორებო“ (1564)

ამ თქმებში ადვილად შევნიშნავთ, რომ მთვარისა და მზის შეყრა-დაცილების მეტაფორათა მრავალგვარობა ცაზე არსებული რეალური სურათის ასახვაა, თუმცა პოეზიაში მათი მეტაფორებად შემოტანის პირვანდელი მნიშვნელობა და კვალი ყოველთვის ნათელი არ არის, მათი როგორც მეტაფორების შედარების აზრიც რუსთაველის გმირთა ურთიერთობის გამოსახატავად, ამდენადვე გასაგებია. აქ თითოეული მეტაფორის შინაარსი მნათობთა რეალური მდებარეობა და მდგომარეობა რომელიმე სხვა მნათობის მიმართ, იმის მიხედვით, თუ რა შინაგანი კავშირია სახესა და შესადაარებელ გმირს შორის. მაგ., მთვარე-მზის შეყრის მეტაფორათა საერთო აზრი რეალური ვითარებაა, — მთვარე იხილვება მხოლოდ მზის გამოსხივებაში, რომლის გარეშე უჩინარია. ამიტომ აქ მთვარე სიყვარულს მოწყურებული მიჯნურია, მარად მზის შეხვედრას ნატრული, რაც მისთვის გარდაუვალია. ამიტომაც, რომ ნესტანი ტარიელს ეფიციება:

„შენმან მუმან, უშენოსა არვის მიჰხვეს მთვარე შენი“ (1033)

ან ტარიელი ნესტანს რომ უთვლის:

„მე მეყოფა შექი თქენი, ვარ მზის ეტლთა შენასწრები“ (1651)

ნათელია, რომ აქ მზისა და მთვარის რეალური დამოკიდებულების ასახვა პოეტური მეტყველების ფერადობაში.

ამდენად, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ რუსთაველის ყოველი ასტრალური მეტაფორის წარმომშობი საფუძველი უთუოდ გარკვეული მნიშვნელობის ციური მოვლენებია, მზისა და მთვარის მრავალგვარ ურთიერთობის გააზრებაში. ამიტომ ეს ეპითეტები, მეტაფორები და სახეები მეტყველების მხოლოდ ესთეტიზაციისათვის შემთხვევით მოტანილ, პოეტური ფანტაზიის ნაყოფს არ წარმოადგენენ. ისინი ერთგვარად ასახავენ გარკვეულ ასტროლოგიურ შეხედულებებსა და ცოდნას ციური სამყაროს აგებულებაზე, პოეტურ ასპექტსა და ლექსიკაში გადატებით.

მაგრამ ყველაფერი ის, რაც ერთ მხესა და მთვარეს, თუ სხვა მნათობებს ეხება მრავალგვარ მიმართებაში ადამიანსა და ბუნებასთან, ასე თუ ისე მაინც გასაგებია; მათზე რუსთაველოლოგიაში ბევრი რამ თქმულა კიდევ. ამიტომ, ამ თვალსაზრისით, უფრო მეტად საინტერესოა რუსთაველის ისეთი ასტრალური მეტაფორები, სადაც ერთ მხესთან ერთად ორი მზე, სამი მზე, ან ორი მზე და მთვარე, ორი მთვარე და მზეა ნახსენები და მათი წარმომშობა და მნიშვნელობა კი ჯერ გარკვეული არ არის.

მართლაც, რას გულისხმობს რუსთაველის პოემაში ორი მზის გამოჩენა? მაგ., აეთანდილის, ტარიელის და ფრიდონის შესახებ რომ ამბობს რუსთაველი:

„ზგანდა, თუცა შვერილ იყვნეს ორნი მზენი, ერთი მთვარე“ (1382)

ეს მეორე მზე რუსთაველის ფანტაზიის, პოეტური წარმოსახვის ნაყოფია? ის ჩვენთვის ცნობილი ჩვეულებრივი მზის პოეტური გაორმაგებაა, თუ მისაც თავისთავად რაიმე ასტრალური და მასთან რეალური საფუძველი აქვს? მით უმეტეს, რომ ამ თქმას ძველ ქართულ პოეზიაში გარკვეული პარალელი მოეპოვება, მაგ., იოანე მტბევეარის საგალობელში:

„ეთარცა მთვარეჲ შორის ორთა მზეთა“¹.

სამწუხაროდ, ამ მშვენიერი მეტაფორის შესახებ არაფერს არ ამბობს თავის კომენტარებში ვახტანგ VI, და რაც უფრო საკვირველია, არც თეიმურაზ ბაგრატიონი, თუმცა მნათობთა განმარტებებზე ფართოდ ჩერდება ვეფხისტყაოსნის კომენტარებში. ეს მეტაფორა უგულვებელყოფილია რუსთაველის პოეტური მეტყველების მკვლევართა მიერაც.

საქმე ისაა, რომ ეს „ორი მზე“ რუსთაველის მოგონილი არ არის, ისე როგორც არც მათ შორის მდგარი მთვარეა აქ მის მიერ შემთხვევით მოტანილი. ეს ისევე რეალურად სხილველი კოსმიური სურათი ყოფილა, როგორც ჩვეულებრივი მზე და მთვარე, და უფრო მეტად მისაწვდომი თვალსაჩინო დაკვირვებისათვის, ვიდრე მუშუთარი და ზუალი. ირკვევა, რომ მისი არსებობის რწმენას პოეტური ფანტაზიის გარეშე სავესებით რეალური ატმოსფერული მოვლენა ჰქონია საფუძვლად.

ასტრონომიის ისტორიაში ორი, სამი, ოთხი მზის, ან ორი მზისა და მთვარის გამოჩენის მრავალი შემთხვევაა ცნობილი. ამ მოვლენის შესახებ აღნიშნულია მატანიებთა, ქრონიკებთა და ლიტერატურულ ძეგლებშიც. თანამედროვე ატმოსფერული ოპტიკის მონაცემებით, მეორე მზის არსებობა სავსებით რეალური მოვლენაა და ცნობილია მზის ირგვლივ სხივოსანი წრეების, ან „ცრუ მზის“ სახელით². ის წარმოადგენს გარკვეულ პირობებში სხივების გარდატეხით წარმოქმნილ მზის გამოხატულებას, მის მეორე სურათს დედამიწასთან ახლო მდებარე ჰაერის ნამიან შრეებზე ან ღრუბლებზე, რომელიც სავსებით სრული სხივით, თუმცა იშვიათად. ჩვენთვის ცნობილ რეალურ მზესთან ერთად იხილება. ასეთი ორი მზე, ორი მზე და მთვარე, სამი მზე თანამედროვე დაკვირვებებითაც ხშირად შეინიშნება, მაგრამ პერიოდულობით არ ხსიანდება. ამ მოვლენის იშვიათობა იმაზე დამოკიდებული, რომ ატმოსფეროს გარკვეულ მანძილზე მდებარე ჰაერის ფენები ნოტიოს გაყინულ ნამცეცებს—ყინულაებს უნდა შეიცადდნენ; რომელშიაც მზის შუქი უნდა გადატყდეს, მაგრამ არც მეტად თხელს, არც სქელს, რომ გარკვეული სიმკვრივის ყინულაკთა მასაზე მზის მეორე სურათი გამოიხატოს.

¹ პავლე ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, 1913, გვ. 91. მსგავსი პარალელები შესახებ ფართოდ იხილეთ ჩემი: „ვეფხისტყაოსნის პარალელები მეთექვსმეტე საუკუნის ქართულ ჰიმნოგრაფიაში“, „ლიტერატურული ძიებანი“, 1944, II, გვ. 209.

² ცრუ მზეთა, მთვარეთა და სხვა ასეთ ოპტიკურ მოვლენათა შესახებ იხ. Проф. П. И. Броунов, Атмосферная оптика, М., 1924; А. Панов, Жизнь Атмосферы, 1926.

ამიტომ, რუსთაველი რომ ასე თანამიმდევრად იყენებს თავის შედარებებში ციურ სურათებს, ეს ახსნას მხოლოდ უძველეს გადმოცემებსა და ასტროლოგიურ რწმენა-წარმოდგენათა გადმონაშთებში არ უნდა პოულობდეს. ის იმავე დროს თითონვე უნდა ყოფილიყო ასეთ მოვლენათა მხილველი და მომსწრე. უნდა მოვიგონოთ, რომ ასტრონომიის ისტორიაში სწორედ XI—XII საუკუნეები იყო ცნობილი მსგავსი ციური მოვლენებით—მზისა და მთვარის დაბნელებით, ცრუ მზეებისა და მთვარეების გამოჩენით, ცეცხლოვანი სვეტებით, და სხვ. მათი დაკვირვება და ახსნა-განმარტება იმ დროის მეცნიერული წრეების საზრუნავ საქმეს წარმოადგენდა. ამავე დროს ასეთ მოვლენათა დაკვირვებას და მათთვის გარკვეული მნიშვნელობის მინიჭებას ძველი ტრადიციები—წერილობითი თუ ზეპირი გადმოცემებიც გააჩნდა და, ცხადია, რომ რუსთაველს მათი ცოდნაც შეეძლო. მაგ., სამი მზის გამოჩენის პირველი შემთხვევა ჯერ კიდევ რომის დაარსებიდან 336 წლის თავზეა აღნიშნული იგიუტრის ბრძოლის დაწყების წინ, რასაც საერთო შემოთქმა გამოუწვევია და ომთან დაკავშირებით განგებით მოვლენილ ნიშნად მიუღიათ¹. იმავე ქალაქში 680 წელს სატურნის სახელობის ტაძარზე დანათებული სამი მზე შეუქმნევიათ. იგივე განმეორებულა 710, 712 წლებშიც.

უფრო საყურადღებოა, რომ რამდენიმე მზისა და მთვარის მოვლენებით სწორედ რუსთაველის ეპოქა მდიდარი, როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. 1118 წელს ჰენრიხ I მეფობისას ინგლისში ორი მთვარე გამოჩენილა და მოპოებული გამარჯვებაც ამითვე ახსნეს. 1156 წელს გამოჩენილა სამი მზე, რასაც შვიდწლიანი ომის დამთავრება მიაწერეს. იგივე განმეორებულა 1157 წელს. 1185 წელს იგორის მიერ ყოჩაღთა წინააღმდეგ ლაშქრობისას ერთერთი ბრძოლის დროს ოთხი მზე და შემდეგ ორი მზე დამთვარე გამოჩენილა, რასაც რუსული მატრიანეებიც იუწყებიან. ამის შემდეგ საერთოდ მთელი საშუალო საუკუნეები თანამედროვეობამდე ასეთ მოვლენათა უამრავ აღწერას შეიცავენ და მათ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ.

რუსთაველის მეტაფორების საილუსტრაციოდ განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ იგორის ლაშქრობის დროს ოთხი მზისა და ორი მზისა და ერთი მთვარის ამ გამოჩენის ამბავს გამოხატულება უპოვია თვით „Слово о полку Игореве“—შიც, რამდენადაც ეს ეხმაურება რუსთაველის ასტრალურ მეტაფორებს. ძველ რუსულ დედანში ეს ამბები ასე იკითხება: „Другаго дни велими рано кровавыя зори светъ поведают: чръныя тучя с моря идут, хотят прикрыти четыре солнца“², და მეორე ადგილას: „Темно бо бе въ ть день; два солнца померкоста, оба багряная стлыша погососта, и съ ними молодая мѣсяца тьмою ся поволокоста“ (იქვე, გვ. 70). მაგრამ ცხადია, რომ აქ ლაპარაკია ნამდვილად ოთხი მზისა და ორი მზისა და მთვარის გამოჩენის შესახებ, რასაც ბრძოლების დროს ისტორიულად ჰქონდა ადგილი და იგორის

¹ ცრუ მზეთა და მთვარეთა მოვლენის შესახებ ისტორიული ცნობები ამოღებული გვაქვს წიგნიდან: Камилл Фламарийон, Атмосфера, С. П. 1900, Круги и гало, გვ. 141—156.

² Слово о полку Игореве, Academia, 1934, გვ. 67.

ლაშქრობის ავტორი მათ აღწერს, როგორც რეალურ ფაქტებს. ამიტომ ისინი მეტაფორებს არ წარმოადგენენ, მით უმეტეს, რომ თხრობის სიტუაციითაც და პოეტური მეტყველების თვალსაზრისითაც, როგორც მეტაფორები გამართლებული არ არიან.

ამ ძეგლის კომენტატორებსა და მთარგმნელებს, თვით რუსულ ნიდაგზედაც, ეს მოვლენები ვერ აუხსნიათ, როგორც რეალური ატმოსფერული სურათები და მასში სიმბოლოები დაუნახავთ, რომლითაც ლაშქრობის ავტორი თითქოს ბრძოლის მონაწილე გამირებს გამოხატავს. მათ შესაძლებლად მიაჩნიათ ოთხ მზეში დანიახონ ოთხი რუსი დამარცხებული თავადის ალევგორია (იგული-სხმებიან ივორი, ესევილოლი, ივორის შვილი ვლადიმირი და ოლეგის შვილი სვიატოსლავი). ზოგიერთი მთარგმნელი და კომენტატორი კი, რომ სიმბოლურ-ალევგორიული ანალოგია ბოლომდე გაამართლოს, ძველი ტექსტის ოთხ მზეში ორ მზეს, ერთ მთვარეში კი ორ მთვარეს ხედავს, რითაც უნდა ბრძოლის ორ მთავარ მონაწილე თავადს ადგილი მოენახოს. ასეთი გაგებით საერთოდ მზეთა დაბნელება ძველი რუსული თავადური ღიძების დასასრულის სიმბოლოა, რამდენადაც რუსი მხედართმთავრები წინაპართა ღირსეული მემკვიდრენი ვერ აღმოჩნდნენ, რაკი ყოფილებთან ბრძოლაში დამარცხდნენ. სხვათა შორის ივორის ლაშქრობის ქართული თარგმანებიც თავის შენიშვნებში ამასვე იმეორებენ.

მაგრამ ეს მოვლენები არა მხოლოდ ძველ ვარსკვლავთ-მრიცხველობაში, მთელ საშუალო საუკუნეთა მანძილზედაც ბოლომდე არ იყო ახსნილი, როგორც ოპტიკური მოვლენა—არსებული მზის ან მთვარის გაორმაგება; ის მიღებული იყო მსწავლელად არსებულ მეორე, მესამე ან მეოთხე მზედ და, ბუნებრივია, მას პოეტური წარმოსახვისათვისაც რაოდენად დიდი მასალა უნდა მიეცა.

ცრუ მზე-მთვარეთა გამოჩენის მოვლენა ასტრალური მეტაფორის გარეშე, როგორც რეალური ფაქტის გამოხატულება, ლიტერატურულად ცნობილი ყოფილა აღმოსავლეთშიც. მაგალითად, ვისრამიანში ლაპარაკია ხორასანში ამოსული ორი მზის შესახებ, რაზედაც ქვემოთ შევიჩრდებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ორი მზე ნახსენებია კიდევ „სიბრძნე ბალაფარის“ არაბულ ვერსიაში. იქ ნათქვამია: „Есть два солнца, которые оба восходят и ни одно из: уступает другому в беспредельности блестящего света“¹.

ახლა უკვე გასაკებია, რომ ეს თავისთავად ლამაზი სურათები, რაღაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანს მოასწავებდნენ ძველ ხალხთა ასტროლოგიურ წარმოდგენაში — ბედნიერებას ან უბედურებას. ვეფხისტყაოსნით ის ბედნიერების ნიშანია². ამიტომ რუსთაველის პოემაში რამდენიმე მზისა და მთვარის

¹ Повесть о Варлааме и Иосафе, АН СССР, 1947 г., გვ. 58.

² საგულისძმთა, რომ ორი მზის ცაზე არაებობა ქართულ ფალკლორშიც არის გამოხატული, სწორედ მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებით. ხეცურულ თქმულედა „ხოგაის მინდიაში“ თ. ნართაულის თქმით, ვხვდებით ასეთ ადგილს: „ხოგაის მინდ იკვ არზოტიდან. მინდ რთ დაბადებულას, ორ მზე მდგარას ცაზე“ (დოც. ა. გ ა ჩ ი ლ ა ძ ე — ვაჟა-ფშაველას „გველას მკამელის“ წყაროს შესახებ, ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები, I, თელავი, 1947 წ. გვ. 56). აქედან ჩანს, რომ ორ მზეს ბავშვის დაბადებისას ხეცურთა რწმენაში ბედნიერების მომასწავებელი როლი ჰქონებოდა. ამავე დროს ის რეალურ მოვლენად ყოფილა მიჩნეული და არა მეტაფორად.

მეტაფორათა გამოყენება შემთხვევითი არ არის, და არც რუსთაველის ფანტაზიის ნაყოფია. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ქართულ ლიტერატურულ სინამდვილეში ის რუსთაველამდეც ყოფილა ცნობილი. იქაც მას ისეთივე ფუნქცია აქვს შედარების აგებაში, როგორც ეს იოანე მტბევეარის საგალობელიდან უკვე ვიცით. ორი მზის სურათი, როგორც შედარება, მოიპოება აგრეთვე ილარიონის დასდებელშიც:

„ვითარცა ორთა მზეთა შორის ღუთივ ბრწყინვალე მთიები აღმოჰქდა“¹,
 რაც არსებითად იგივე მასალის და მნიშვნელობის შემცველია.
 ასეთი ახსნის ნიადაგზე უკვე საეხებით გასაგები ხდება, თუ ჩვენი სამი რაინდის შეყრა—ტარიელისა და ავთანდილის შეხვედრა ფრიდონთან, რატომ არის შედარებული ორი მზისა და მთვარის სწორედ ამ შეხვედრასთან:

„ჰგვანდა, თუცა შეყრილ იყვნეს ორნი მზენი, ერთი მთვარე,
 ერთმანერთი დააშვენეს, გაემართნეს, იქცეს გარე“ (1282).

ეს მაშინ არის ნათქვამი, როდესაც ტარიელი და ავთანდილი ფრიდონს შეხვდებიან, რასაც მათი ქაჯეთის ციხის ასაღებად გამგზავრება მოსდევს. რუსთაველის მიზანია სამი რაინდის შეხვედრის სიღიად განგვაცდევინოს. ამ შეხვედრით პოემის თხრობაში გარდატეხა იგრძნობა; კეთილი აღსასრული ახლოვდება და აი სწორედ ამ დიდი ხნით ნანატრ შეხვედრას პოეტი გასაოცრად დიადი სურათითვე წარმოგვიდგენს, რასაც სამყაროს უსაზღვრო სივრცეზე თვით ბუნება ხატავს.

ამ შედარებას აზრი არ ექნებოდა, თუ დაეუშვებდით, რომ აქ მზისა და მთვარის ჩვეულებრივ მდებარეობაზეა ლაპარაკი და მეორე მზე თითქოს პოეტის წარმოსახვის ნაყოფია. აქ მთავარია მთლიანი სურათი ორი მზისა და მთვარის ერთდროული გამოჩენისა, რომელსაც ისტორიულად, როდესაც კი ჰქონია ადგილი, ხალხთა წარმოდგენაში ყოველთვის უბედურების დასასრულის, ომების დამთავრებისა და საერთოდ, სიხარულის ნიშნად ყოფილა მიღებული. ამიტომ რუსთაველი მნათობთა იშვიათი შეყრის ამ მთლიან სურათს, თავისი გმირების დიდი ხნით ნალოდინებ შეხვედრის პოეტური გააზრებისათვის იყენებს, რასაც ქაჯეთის ციხის აღება უნდა მოჰყვეს. შედარების მიზანი და აზრიც ნათელია და შინაგანად გამართლებული. რუსთაველს თვით ბუნება აძლევდა შედარებისათვის გამოხატებულ მასალას და მას არ სჭირდებოდა ძალმომროების გამოჩენა—ბუნებაში რეალურად არსებული ამ სურათის დასარღვევად. მართლაც რაღა აზრი ექნებოდა აქ მთვარის მაგივრად მესამე მზის დაყენებას მათ გვერდით? ამ შემთხვევაში მას ხომ მნათობთა სწორედ ეს იშვიათი შეყრა სჭირდება შედარებისათვის, სადაც მთვარე ფრიდონის სიმბოლოა?. ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ რუსთაველს შეეძლო მესამე მზეც ექსტენდინა, რომლის არსებობა, როგორც ქვევით დავინახავთ, მან იცის. მაგრამ მისი მიზანი სწორედ ამ „ორმზემთვარის“ სურათის გამოხატვა იყო.

¹ ათონის ივერიის მონასტრის 1074 წ. ხელთნაწერი აღაპებით, 1901 წ., გვ. 191.

ყველაფერ ამასთან ერთად, რუსთაველმა იცის ორი მზის არსებობაც მთვარის გარეშე, და ისიც იცის, რომ ეს ორი მზე არსებითად ერთი მზეა. მაგალითად როდესაც პოეტი ფატმანის პირით აღწერს უსენის მიერ ნესტანის მეფისთვის გადაცემას:

„აღღს რომელი უსენ შესძღვნა ქალი მსგავსი მზეთა ორთა“ (1172)

განა საოცარი არ იქნებოდა ნესტანის ორ მზესთან ამ შედარებაში მართლაც ორი მზე დაგვენახა? აქ თუ ორ მზეს უთუოდ ორი გმირი შეესატყვისება, რა აზრი ექნება ამ შედარებას? ეს არის მზე ყველაზე მეტად ლამაზ მდგომარეობაში მთელი თავისი ბრწყინვალეობით, თავისივე სურათის გვერდით, რაც არსებითად მიანიც ერთია. ამას გვიდასტურებს ვისრამიანის ერთი ადგილიც, სადაც ლაპარაკია რა ვისის მოაბადისაგან სამშობლოში გამგზავრებაზე „ვეშპისაგან მზე დაეცნა“—ნათქვამია: „შენთვის ხორასნით ორი მზე გამოსულათქო“¹. როგორც ვხედავთ, ორ მზეს აქაც მხოლოდ ვისი ედარება, ისე როგორც ვეფხისტყაოსნის შედარებაში „ქალი მსგავსი მზეთა ორთა“ და ცხადია, აქ მთვარე საჭირო არ უნდა იყოს.

ამის მსგავსადვე რუსთაველი ნესტანსა და თინათინს გარკვეულ სიტუაციაში თარობის მიხედვით ორი მზის სურათითვე წარმოიდგენს. თინათინისა და ავთანდილის ქორწილში, ავთანდილის გვერდით ტარიელი ზის, თინათინს გვერდით ნესტანი და ორი უებრო მზეთუნახავის შესადარებლად სწორედ გაორმაგებული ორი მზეა აღებული, ცაზე ერთდროულად რომ ჩანს:

„ნესტანჯარ ახლავს თინათინს, ვის მჭვრეტთა ამაზრუნენია,
ჭავს თუ, ცა მოდრკა ქვეყანად, შეყრილან ორნი მხენია“ (1549)

ამასთან ერთად ცხადია, რომ რუსთაველს მოეპოება ისეთი შედარებანიც, რომლებშიაც ორი მზე გამოყენებულია ასტროლოგიური მნიშვნელობის გარეშეც, ასე ეთქვავთ, მათი ჩვეულებრივი გაგებით, და კავშირი არა აქვთ ერთდროულად მბრწყინავ ორ მზესთან, რომელთა შესახებაც ვილაპარაკეთ. მაგ., ხატათილან გამარჯვებით დაბრუნებულ ტარიელს მეფე-დედოფალი ზემით შეხვდნენ, ნადიმზე დაისვენეს, ასი საჭურჭლე კლიტენი აჩუქეს და ტარიელისავე სიტყვით:

„მაკოცეს, ადგეს ორნივე, თვით იგი მხენა მხეთანი (487)

ან როდესაც ტარიელი და ავთანდილი ერთმანეთს პირველად ქვაბში შეხედებიან:

„გამოეგება ტარიელ, ჰპართებს ორთავე მზე დარად“ (281)

ან ტარიელი და ავთანდილი ერთად რომ მიემგზავრებიან:

„ფრიდონისით გაემართნეს იგი ღომნი, იგი მხენი“ (1493)

ან ქაჯეთში ბრძოლის წინ შეკავშულ ფრიდონს ტარიელი და ავთანდილი რომ შეეგებება:

¹ ვისრამიანი, 1938 წ., 95. თეიმურაზ ბაგრატიონს შედარება „ქალი მსგავსი მზეთა ორთა“ ასე ესმის, „ორი, ანუ ორიონი არს. ორიონი ის არის ოდეს ცაჲ განწყენდილ იქნება და დღლას მზის აღმოსავლის დროს ნათელი მზისა შარავანდედისა გამოსნდება მშვენიერად აღმოსავლეთით“ (განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, საქ. მუხ. ხელნ. S 3716, გვ. 153). ცხადია ეს გაუგებრობაა.

„იგი მზენი მოგებნეს ვის ზამთარი ვერ დაჰზერიდა“ (1379).

მზის ეპითეტებად გამოყენებაში რუსთაველი თავის გმირთ—ტარიელს, ავთანდილს, ფრიდონს ქებაში ერთმანეთისაგან არ ასხვავებს. მაგალითად, ინდოეთს მიმავალ ამ სამ რაიონს ევაჰარი შეეყრებიან. ისინი ფარსადანის სიკვდილს და ხატავალთა შემოსევას უამბობენ და გახარებულნი ასეთი გმირების გამოჩენით მიმართავენ მათ:

„მზენო, თქვენ შუქნი მიჰჟინეთ, ჰაი, რა ავი დარია“ (1595)

სადაც „მზენო“ ერთნაირად სამივე გმირს ეხება და, ცხადია, აქ ჩვეულებრივი მზე იგულისხმება, როგორც თითოეული სამთავანის ეპითეტი. ამიტომ იგივეა ინდოეთს გამარჯვებულ სამ გმირზე რომაა ნათქვამი.

„იგი მზენი მიგებნეს, მოგვივენს გულის-გულად“ (1630).

ყვილა ამ თქმიდან ნათელია, რომ როდესაც რუსთაველი შედარებას ასტრალურ საფუძველზე აგებს და მხედველობაში ასტროლოგიურად მნიშვნელოვანი გარკვეული სურათი აქვს, პოეტი მზეს უთუოდ რიცხვობრივად აღნიშნავს. ამის გარეშე კი თუ ეს ეპითეტია ჩვეულებრივ მას მიმართავს ფორმით: „მზენო“, „მზენი“. ამდენადვე ხდება გასაგები „სამი მზე“ და „ორი მთვარე და მზე“— როგორც ასტრალური შედარებანი, რომელნიც იმავე საფუძველზეა წარმოშობილი, როგორც „ორი მზე და ერთი მთვარე“.

ქაჯეთს დამწყვედელი ნესტანი საყვარელს წერილს უგზავნის—სიკვდილამდე მზენ ერთგული ვარ, მხოლოდ შენ გეკუთვნი, თუ ხსნა არ იქნება, თავს მოვიკლავ, შენს მეტს კი სხვას არავის მივხედავო და შესაძლებელი აღსასრულის მოლოდინში ის ფიცს სდებს:

„შენმან მზემან, უშენოსა არვის მიჰხედეს მთვარე შენი,
შენმან მხემან, ვერვის მიჰხედეს მოც.გიდენ სამნი მზენი“ (1303)

ჩვენთვის უკვე გასაგებია, რომ არც ეს სამი მზეა თავისთავად რუსთაველის მოგონილი¹. მისი არსებობა რუსთაველმა იცოდა ისევე, როგორც ორი მზისა და მთვარისა. ამ მეტაფორის საფუძველიც, ის ატმოსფერული მოვლენაა, ზეით რომ აღწერეთ. იმაშიაც დაერწმუნდით, რომ ეს ცრუ მზეები რუსთაველის ეპოქაში კარგად იყო ცნობილი. მაგრამ მაინც რატომ დასჭირდა რუსთაველს აქ ეს შესაძებ მზე? სწორედ ეს საჭიროება ხსნის ამ მეტაფორის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ჯერ საყურადღებოა ისიც აღვნიშნოთ, რომ რუსთაველი ერთხელ თქმულ ასეთ ასტრალურ შედარებას აღარ იმეორებს, უნიკალად ფასი დაეკარგებოდა მეტაფორას, რადგან მას ყოველ ცალკე შემთხვევაში აქვს მხატვრულად გამართლებული მნიშვნელობა. ამრიგად, ნესტანი თავის თავს

¹ სამი მზის ახსნის ერთადერთი ცდა თეიმურაზ ბატონიშვილს მოეპოება. ის ამბობს: „სამზეობა კაცისა დანიშნავს: პირველი—რომ ბოძენი და ძლიერი იყოს. მეორე—დიდებული და ბრძენი. მესამე—ანუ მშვენიერი და ბრძენი იყოს. სამზეობა კაცისა ამაში შეიცავს“. (განმარტება, გვ. 163). ეს ალევთორიული განმარტება ცხადია ვერ ხსნის კონკრეტ მნიშვნელობას, მის ხელოვნურობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

მთვარეს რომ აღდარებს და ტარიელს მზეს, როგორც შეუძლებელი გარემოება მოაქვს სამი მზის გამოჩენა, რადგან სამი მზე უფრო იშვიათია და მეტაფორის აზრიც ამ შეხვედრის შეუძლებლობაა. რუსთაველი შეყვარებულს ფიცს ადებინებს,—მე ნესტან-მთვარე შენით ვარსებობ, როგორც ერთი მზით, რომლის შუქშიც ვიხილვები და წარმოუდგენელია შევხვდე სხვას, თუნდაც სამი მზის სახით მომეცლინოსო. ეს ისევე შეუძლებელია, როგორც მთვარის შეხვედრა სამ მზესთან. აქ რუსთაველისათვის დამახასიათებელი ხერხია გამოყენებული იშვიათობის გაიშვიათებისა. ამავე დროს უკვე ვიცით, რომ მეორე, ან მესამე მზეც ნამდვილი მზის მხოლოდ ხატია, არსებითად მისი განმეორება, ავლენად ცხადია, მასზე უფრო მკრთალი, რაც კიდევ უფრო აძლიერებს მეტაფორის მნიშვნელობას. ნესტანის ამ ფიცის პარალელია თინათინის ფიციც ავთანდილისადმი—შენს მეტს არავის შევირთავო:

„ფიცით გითბრობ შენგან კიდე თუ შევირთო რაცა ქმარი,
მზეცა მომხვდეს ხორციელი, ჩემთვის კაცად შენაქმარი“ (135)

სადაც არსებითად იგივე აზრია გამოხატული, მაგრამ სხვა სურათით. ნესტანის ფიცი უფრო დაძაბულია, ხორციელი მზე ხომ მზესთან შედარებით ცხადია უფრო ჩვეულებრივია. ამასთან ერთად, ერთი მზე რუსთაველმა თინათინს უკვე დააფიცა და ნესტანს მისი განმეორება აღარ შეეძლო. ეს დეტალი იმასაც გვაძინობს, რომ რუსთაველის მხატვრულ აზროვნებაში სახეთა და თქმათა განაწილება მოქმედებისა და გმირთა დამოკიდებულების მიხედვით გარკვეულ კანონზომიერებაზეა დაფუძნებული.

ორი მზემთვარეა, და სამი მზის მეტაფორებთან დაკავშირებით, ყურადღებას იქცევს აგრეთვე იმავე რიგის კიდევ ერთი ასტრალური მეტაფორა, სადაც, პირიქით, მთვარეს შორის ერთი მზეა მოთავსებული:

„მას ჰგვანდეს, თუცა სამყაროს მზე უჯდა შუა მთვარეთა“ (1495)

ამ მეტაფორის საფუძველიც უკვე გასაგებია, რომ იგივე ატმოსფერული ოპტიკური მოვლენაა მთვარის ირგვლივი სხივოსანი წრეების სახელით ცნობილა და ორ, ან რამდენიმე მზესთან შედარებით უფრო იშვიათად იხილვება. ამ თქმაში რუსთაველი პირდაპირ გვაძინობს, რომ ის ციურ სურათს იყენებს მეტაფორისათვის და მისი შინაარსი და აგებულება ისე კონკრეტი და ცხადია, რომ სურათიც და შედარებაც თავისთავად გასაგებია. მაგრამ მაინც რატომ დასჭირდა რუსთაველს ამ სურათის გამოყენება? ეს თხრობის სიტუაციით და გმირთა ურთიერთ მიმართებით იხსნება. ქაჯეთის ციხის აღების შემდეგ ტარიელსა და ავთანდილს ტყვეობიდან დახსნილი ნესტანი მოჰყავთ:

„იგი მზე უჯდა კუბოსა და აგრე არონინებდეს“ (1484)

და ცხადია, ამ სტროფში რუსთაველმა ნესტანი რომ მზედ ახსენა, მომდევნო სტროფშივე აღარ შეეძლო ის მთვარედ ეხსენებინა, ან ტარიელი და ავთანდილიც მზეებად დაესახა, რადგან მაშინ შედარება შინაგანად მართალი აღარ იქნებოდა. ნესტანი თავისი ბრწყინვალე სილამაზით მზედ ჩანს ორ რა-

ინდს შორის, და ასეთი სიტუაციის გამოსახატავად რუსთაველს ატმოსფერულ მოვლენათა მომხიბლავი სურათები აქაც გამზადებულ მასალას აძლევდა ორი მთვარისა და ერთი მზის სახით.

ვეფქრობთ, ექვს აღარ უნდა იწვევდეს, რომ რუსთაველის ასტრალური მეტაფორები—ორი მზის, სამი მზის, ორი მზისა და მთვარის, ან და ორი მთვარისა და მზის მოხსენიებით რეალურად არსებული ციური მოვლენების პოეტური ასახვაა, რაც უფრო შინაარსიანსა და გასაგებს ხდის ვეფხისტყაოსნის ზოგიერთ მეტაფორულ სახეს.

ქართულ პოეზიაში მათი სურათოვანება ისეთივე შინაარსის მეტაფორების წყაროდ ქცეულა, როგორც მზისა და მთვარის შეყრა-დაცილება, მზის დაბნელება და სხვა., მაგრამ თუ მსოფლიო მწერლობაში მზის მეტაფორა საერთოდ გავრცელებული პოეტური სამკაულია, ქართულ პოეტურ მეტყველებაში ორი მზისა და მთვარის ასტრალური მეტაფორა თითქოს ორიგინალური დამუშავებული ჩანს; ამით ქართული მწერლობის და კერძოდ რუსთაველის პოეტური სიტყვის დამოუკიდებელი ოსტატობა უფრო საგრძნობლად გასაგები ხდება.

ორი ან რამდენიმე მზისა და მთვარის ეს სახეები, რომელთაც საფუძვლად სდებიათ რეალურად არსებული მოვლენები, რუსთაველმა აიყვანა ასტრალურ შედარებათა მაღალ საფეხურზე, ისინი აქცია ლიტერატურული სტილის ელემენტებად. მის მეტაფორებს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში დამოუკიდებელი აზრი და მნიშვნელობა აქვთ. ამდენად, მათი გამოხატვა, როგორც შედარების ხერხისა, გასარჩევია რეალური ფაქტისაგან, როდესაც ის ასტრალური შედარება კი არა, არამედ ასტრალური მოვლენაა, როგორც ის აღწერილია მაგალითად იგორის ყივჩაღებზე გალაშქრების ამბავში.

ამრიგად ყველა ზემოაღნიშნულიდან შესაძლოა შემდეგი დასკვნები მივიღოთ:

რუსთაველის პოეტურ მეტყველებაში მეტაფორათა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მზის ეპითეტსა და სახეს, რომლის საშუალებით ის ხატავს გმირის რთულ განცდებსა და სიტუაციებს.

ასტრალურ მეტაფორებში რუსთაველი გმირთა დამოკიდებულებასა და ხასიათს გადმოგვცემს მნათობთა ურთიერთ მიმართების ანალოგიით, რაშიაც ამქლავნებს სამყაროს აგებულების ცოდნას და სინამდვილის მაღალ მხატვრული ათვისების დიდ ოსტატობას.

ასტრალურ მეტაფორებში განსაკუთრებით საყურადღებოა ერთ მზესთან ერთად, ორი ან სამი მზის სახის გამოყენება. ასეთებია: „ჰვანდა თუცა შეყრილ იყვნეს ორნი მზენი, ერთი მთვარე“ (1363) და მსგავსი შინაარსის სტროფები (1172, 1303, 1495, 1549), რომელთა წარმოშობა და სემანტიკა რუსთაველოლოგიაში ჯერ არაა გარკვეული.

როგორც ირკვევა ეს სურათოვანი ასტრალური მეტაფორები არაა რუსთაველის მხოლოდ პოეტური ფანტაზიის ნაყოფი. მათი საფუძველი გარკვეული ოპტიკური მოვლენებია—ორი, სამი, ზოგჯერ ოთხი მზის ან მთვარის რეალური ხილვადობით ცაზე. ეს მეტაფორები უმთავრესად ასახავს მზისა და მთვარის მრავალგვარ ურთიერთობას, რაც თანამედროვე ატმოსფერულ ოპტიკაში ცნობილია „ცრუ მზეების“ და „ცრუ მთვარეების“ სახელით.

ორი მზე, სამი მზე, ოთხი მზე, ან ორი მზე და მთვარე, ორი მთვარე და მზე ისტორიულად ცნობილი და ფიქსირებულია მეხუთე საუკუნიდან (ძ. წ.) მატინიებში, ისტორიულ თხზულებებში; მხატვრულ მწერლობაში კი ასახულია როგორც ნამდვილი ამბავი, ხან როგორც პოეტური ხერხი—შედარება, და რადგან ცრუ მზის მოვლენა არ იყო მეცნიერულად ახსნილი, ის მიაჩნდათ ღვთიური მნიშვნელობის მოვლინებად.

რუსთაველი ასეთ ასტრალურ მეტაფორებში ნაწილობრივ დავალებულია ძველი ქართული მწერლობის ტრადიციებით, მხოლოდ მას უფრო მაღალ მხატვრულ საფეხურზე აპყავს მათი მნიშვნელობის გამოხატულება და მომხიბლობა. ასეთი მეტაფორები გვხვდება იოანე მტბეარის საგალობელში (ვითარცა ორთა მზეთა შორის ღუთივ ბრწყინვალე მთიები აღმოჰყდა). მოიპოება ფოლკლორიც (მინდი რო დაბადებულას, ორ მზე მდგარას ცაზე).

ვეფხისტყაოსნის ნიადაგზე ასტრალურ, მეტაფორათა ასეთი საფუძვლის მონახვასთან დაკავშირებით შესაძლებელი გახდა Слово о полку Игореве-ში ერთი ბუნდოვანი ადგილი აგვეხსნა. სახელდობრ, იგორის ლაშქრობაში ბრძოლის წინ ცაზე გამოჩენილი ოთხი მზის და მთვარის ჩაქრობა ლიტერატურულ კრიტიკაში ოთხი რუსი თავადის დამარცხების სიმბოლოდ მიაჩნდათ. ამჟამად ირკვევა, რომ ეს ბუნდოვანი ადგილი შეიცავს ჩვენ მიერ აღნიშნულ „ცრუ მზეთა“ მოვლენის ასახვას. რუსთაველისაგან განსხვავებით. აქ ასტრალური მეტაფორები სიმბოლოს და ანალოგიას კი არ წარმოადგენენ, არამედ ნამდვილ ამბავს, რაც დამოწმებულია რუსულ მატინებშიც.

ასტრალური მეტაფორები, რომლებშიაც რამდენიმე მზე და მთვარე გამოყენებული, ქართული პოეტური მეტყველების ორიგინალური ხერხია, რომელსაც მსოფლიო პოეზიასა და მწერლობაში ანალოგია არ მოეპოება.

ამბიკო ბაჩილაძე

ქართული რეალიზმის ისტორიისათვის

1. ლავრენტი არდაზიანი

ლავრენტი არდაზიანი ქართული რეალისტური სკოლის თვალსაზიის წარმომადგენელია. მან თავის შემოქმედებით მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში სათავე დაუდო რეალისტურ პროზას, გიორგი ერისთავთან და დანიელ ჭონქაძესთან ერთად ნიადაგი მოამზადა კრიტიკული რეალიზმის სკოლის ჩამოყალიბებისათვის. ლ. არდაზიანის შემოქმედება მონოგრაფიულად დღემდე არ ყოფილა გამოკვლეული. სრულიად შეუსწავლელი იყო მისი ცხოვრება. ჩვენი შრომა მიზნად ისახავს შეავსოს ეს ხარვეზი.

ლავრენტი არდაზიანი დაიბადა თბილისში. დღემდე დაბადების თარიღად მიჩნეულია 1818 წელი. ამ ცნობას საფუძვლად უნდა ედევას ლ. არდაზიანის გარდაცვალების გამო 1870 წლის იანვრის გაზ. „დროებაში“ დაბეჭდილი ნეკროლოგი, სადაც აღნიშნულია, რომ მწერალი 52 წლის გარდაიცვალა. ლ. არდაზიანის დაბადების თარიღად 1818 წლას მიჩნევა არაა სწორი. ჩვენს მოსაზრებას, სხვა ცნობებთან ერთად, ისიც ადასტურებს, რომ არც 1818 წლის და არც შემდეგი წლების თბილისის საეკლესიო ჩანაწერებში ლ. არდაზიანის დაბადება ჩაწერილი არაა.

თბილისის სასულიერო სემინარიის არქივში დაცულ მასალებში მითითებულია, რომ ლავრენტი პეტრეს-ძე არდაზიანი 1825 წელს იყო დაბადებიდან 10 წლის, 1827 წელს—12 წლის, 1828 წელს—13 წლისა და ასე შემდეგ¹. ლ. არდაზიანმა 1837 წელს დაასრულა თბილისის სასულიერო სემინარია. ამავე წლის 28 ივნისს სემინარიის გამგეობის მიერ გაცემულ მოწმობაში აღნიშნულია, რომ მას სემინარიის კურსი დაუსრულებია 23 წლისას. 1847 წელს თავად-აზნაურთა უფლებების განმზიღველ საკრებულოში წარდგენილ ცნობაში არდაზიანი მოხსენებულია 31 წლისა.

სასწავლებელში მამის მიერ წარდგენილი ცნობის მიხედვით ლავრენტი არდაზიანი 1815 წელს უნდა იყოს დაბადებული, ხოლო თუ სემინარიის ხელმძღვანელთა მიერ გაცემულ კურსის დამთავრების მოწმობას დაიუჯერებთ—1814 წელს. ჩვენი აზრით, ყველაზე სანდოა მამის ცნობა.

აღნიშნული საბუთები საშუალებას გვაძლევს დაიკავნათ, რომ ლავრენტი არდაზიანი დაიბადა 1815 წელს, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს ამ წლისა.

¹ საქართველოს სსრ. ც. ს. ი. ა., ფონდი—440, საქმე, 21,29 და 33

10. ლიტერატურული ძიებანი, ტ. VI.

მამა ლავრენტისა—პეტრე თბილისში ჯერ ანჩისხატის, ხოლო შემდეგ ქვაშეთის ეკლესიის დეკანოზი იყო. ამასთან ერთად მას ეკირა „საეკლესიო ქონების გამგებლის“ თანამდებობა. პეტრე კარგი მკოდნე ყოფილა როგორც საერო, ისე სასულიერო მწერლობისა. სინოდის კანტორის საარქივო მასალებში დაცულია პეტრეს მიმოწერა, რომელიც მეტად საყურადღებო დოკუმენტებს შეიცავს.

არდაზიანებს საქართველოში იშვიათად ვხვდებით. როგორც გამოირკვა, ამ გვარს მეტად ტანჯული ისტორია აქვს. შორეულ წარსულში მტერს საქართველოს სამხრეთი საზღვარი ვადმოუღახავს. შემოპრილა მესხეთში. ქართველთა ჯარი, მათ შორის არდაზიანთა წინაპარნი მტერს გააფთრებით შებრძოლებია. მოხუცები, ქალები და ბავშვები სოფლებიდან იხიზნებოდნენ. ერთი ოჯახი ქართლში დაუზიანებელი მოსულა. მათ ქართველობამ არ დაზიანებულები ანუ არდაზიანები შეარქვა.

ლავრენტის წინაპართა შესახებ მოუსმინოთ თვით ლავრენტის მამას—პეტრეს. 1847 წელს მას ვრცელი განცხადებით მიუმართავს მაშინდელ ხელისუფალთათვის, სადაც აღწერილია ამ გვარის ისტორია. მოვიტან აქ ამ განცხადებების მხოლოდ ერთ ნაწილს, ისე როგორც იგი დაცულია საარქივო მასალებში: „Предки мои из древне были дворяне и принадлежали князьям Баратовым. Это видно из раздельного акта князей Баратовых в имени¹, состоявшегося 21 i года, грузинского хроникона, который утверждён царем Давидом, по повелению которого тот акт был учинен медиаторами. В подлинности оного никто несомневался и не может сомневаться, об нем упоминается и в грузинской истории под названием „Картлис Цховрება;“ подлинный оный акт находится у сенатора генерал от пинфантерии князя Г. Эришова, которого росписка в том есть при деле дворянского депутатского собрания (вместе с копием с оного акта) о признании меня с детьми в дворянском достоинстве. Предки мои имели имение в деревни Ванты, которую враги грузин раззорили и жителей оной, равно как и семейство отца деда моего Робита увели в плен. у Робита остался здесь только один сын, младенец двух месячный—дед мой Ардазиани, спасенный во время нашествия врагов кормилицею в терновых кустах²“. შერთე განცხადებებში ვკითხულობთ: „Всеякий, кто только о состоянии постигнуть в полном размере ужасающиеся бедствия грузин, постигшие ей от варвар соседей, без ошибочно может сказать, что некоторые дворянские фамилии в грузин исчезли без следов, другие затерялись более или менее во мраке неизвестности. „Известно всем, знающим меня, что отец мой был единственный сын деда моего, который погиб вне пределов грузин, оставив сына кормилице. Отец мой умер на 25 году от рождения, а я, сирота, едва спасся с матерью бегством в Карталинию от вер-

¹ ბართათაშვილთა გაყრის აქტში, რომელიც 1523 წელსაა შედგენილი. არდაზიანები მოხსენებულა: „აწ მიხუდა გერმანოსს და მისთა მათა ახნაურიშვილები: ერთ წილად: ბაჰამან და ზაალ: აბრამის ძე და მაჟუღას ძე ბაჰამანს და ზაალს დავადევით: ერთ წილად ორნი ბერძენიშვილინი: ერთ წილად არ დაზიანდის შვილინი: ერთ წილად ხურაბ და სანადიგორი:“ (თ. გორდანიას „ქრონიკები“ II, გვ. 349-).

² საქ. სსრ ც. ს. ი. ა., ფონდი—213, საქმე 660.

ной смерти или плена при последнем нашествии персян на грузию, оставив врагам все свое достояние. В деревне Кавтисхевах я был призрен, я в последствии покойный митрополит Варлам узнав о моей горькой участи, принял к себе и дал приличное воспитание“...¹

როგორც ირკვევა, არდაზიანების წინაპრები ძველად ბარათაშვილების აზნაურები ყოფილან და მესხეთში, სოფ. ვანთაში უცხოვრიათ, ამავე განცხადებაში პეტრე დაწვრილებით მოგვითხრობს თავის წინაპართა ტრაგიკულ ცხოვრებას; მისი პაპის მამა ბრძოლის დროს თურქებს ჩაუგდიათ ტყვედ, გარდაცვლილა უცხოეთში, მამა ლეკებს დაუტყვევებიათ და ისიც ტყვეობაში, დაღესტანში გარდაცვლილა. თვით პეტრე, ბავშვი, სპარსელების თავდასხმას ძლივს გადაარჩენია, თავი შეუფარებია სოფ. კავთისხევისათვის. უპატრონო ბავშვი მიტროპოლიტ ვარლამს აღუზრდია (ეს ის ვარლამია, რომელმაც მწერალი გიორგი ერისთავი მოსკოვს წაიყვანა სასწავლებლად).

არდაზიანების წოდების საკითხი განიხირობ თავდაზნაურთა უფლებების გამრჩევა საკრებულომ, და იმ მოტივით, რომ ტრაქტატში მოხსენებულ თავდაზნაურთა შორის მათი გვარი არ იხსენიებოდა, უარი უთხრა აზნაურულ წარმოშობაზე. ისე რომ არდაზიანები შთამომავლობის მიხედვით გლეხებად ითვლებოდნენ.

პეტრეს ექვსი ვაჟი ჰყავდა: ლავერენტი, ნიკოლოზი, ხარლამპი, იოსები, მიხეილი და გიორგი. ამათ შორის ყველაზე უფროსი იყო ლავერენტი. დედა ლავერენტისა სოფლი თავის ექვს ვაჟს უშუალოდ თვითონ ზრდიდა. გიორგი მსახურობდა თელავის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად (გარდაიცვალა 1842 წელს), ნიკოლოზი სასულიერო პირი იყო. პეტრე გარდაიცვალა 1868 წელს, 88 წლის ასაკში.

პეტრე არდაზიანის ოჯახი ცხოვრობდა ქალაქის პირველ კვარტალში, ანჩისხატის უბანში (მაშინ თბილისი დაყოფილი იყო კვარტალებად), № 171. ანჩისხატის მახლობლად პეტრეს აუშენებია ორსართულიანი სახლი, რომელშიაც ცხოვრობდნენ არდაზიანები. ეს სახლი შემდეგ პეტრემ ლავერენტის გადასცა. მაშინ ლავერენტის მეზობლად ცხოვრობდნენ კაპიტანი ა. ხერხეულიძე, დავით ჯანდიერი და დავით ბაქრაძე; ესენი იყვნენ არდაზიანების უშუალო მოსახლერენი. პ. არდაზიანის მახლობლად ცხოვრობდა ნიკოლოზ ბარათაშვილიც. ლავერენტი და ნიკოლოზი ერთ უბანში იზრდებოდნენ. ლავერენტის მამის ოჯახი დაახლოებული უნდა ყოფილიყო ნ. ბარათაშვილის ოჯახთან. საისტორიო არქივში დაცულ საეკლესიო ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ პეტრეს, როგორც სასულიერო პირს, მელიტონის ოჯახში ხშირად უხდებოდა ყოფნა. პეტრე ზემოაღნიშნულ განცხადებაში, სადაც იგი თავისი გვარის წარმოშობის ისტორიას გადმოგვცემს, მოწმედ მელიტონ ბარათაშვილსაც ასახელებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მკიდრო ურთიერთობა იყო ალექსანდრე ყაზბეგის მამასა და ნ. ბარათაშვილის მამის ოჯახს შორისაც. ალექსანდრე ყაზბეგის მამის მიხეილის პირველი ცოლი იყო დინიტრი საგინაშვილის ქალი, ნ. ბარათაშვილის ახლო ნათესავი. ამ მხრივ საინტერესოა ანჩისხატის საეკლესიო ჩანაწერებ-

¹ საქართველოს სსრ ც. ს. ი. ა., ფონდი—3, საქვე 352.

ში დაცული ცნობები: „ჩყლა (1831 წ.) წელსა, გარეთ უბანში მცხოვრებ კაპიტანს თავადს მელიტონ ბარათოვს დაებადა ქალი... სახელი ეწოდა ელენე. ნათლიად იყო დუშეთის მაზრის პორუჩიკის მიხეილ გაბრიელის-ძე ყაზიბეგოვის მიუღლე ქეთევან დიმიტრის ასული, სტეფანწმინდის მცხოვრები“ (ფ 23, № 11).

არდაზიანების ძველებური ორსართულიანი სახლი, რომელშიაც ცხოვრობდა ჯერ პეტრე და შემდეგ ლავრენტი თავისი ოჯახით, თბილისში ამჟამადაც დაცულია, მდებარეობს ჩახრუხაძის ქუჩაზე, № 18. ლავრენტის შვილს დავითს იგი მიუყიდინა სომეხი ვაჭრისათვის.

მამამ 1823 წელს ლავრენტი შეიყვანა თბილისის სასულიერო სემინარიის სამრევლო სკოლაში. ამავე სემინარიაში სწავლობდნენ ჩვენი ცნობილი საზოგადო მოღვაწენი პ. იოსელიანი და ს. დოდაშვილი. როგორც საარქივო დოკუმენტებიდან ირკვევა, სანამ სასწავლებლად რუსეთში გაემგზავრებოდა, ლ. არდაზიანთან ერთად სწავლობდა დავით ჩუბინაშვილიც, შემდეგში ცნობილი პროფესორი.

ამ დროს სამრევლო სკოლაში ქართულ ენას ასწავლიდა ალექსანდრე სულხანიშვილი. ლ. არდაზიანი თავიდანვე წარმატებებს იჩენდა სწავლაში. საარქივო საბუთებში დაცულია სამრევლო სკოლის მოსწავლეთა წარმატებების უწყისებები. ლ. არდაზიანის სწავლაში წარმატების დახასიათებისათვის ვუჩვენებთ მხოლოდ ზოგიერთი წლის ნიშნებს. სურათი რომ უფრო ნათელი გახდეს, აღვნიშნავ მასთან ერთად დავით ჩუბინაშვილის წარმატებებსაც. პირველ კლასში, „სექტემბრის მესამედში“ მათ ასეთი შეფასებები მიუღიათ:

ყოფაქცევა:

1. ლ. არდაზიანი—კეთილი.
 2. დ. ჩუბინაშვილი—თავმდაბალი.
- ნიჭიერება და ბეჯითობა:
1. ლ. არდაზიანი—კარგი.
 2. დ. ჩუბინაშვილი—საშუალო.
- ქართული კითხვა:
1. ლ. არდაზიანი—საშუალო.
 2. დ. ჩუბინაშვილი—საშუალო.
- რუსული კითხვა:
1. ლ. არდაზიანი—კარგი.
 2. დ. ჩუბინაშვილი—საშუალო.
- რუსული სუფთა წერა:
1. ლ. არდაზიანი—წერს.
 2. დ. ჩუბინაშვილი—საშუალო.
- ქართული სუფთა წერა:
1. ლ. არდაზიანი—წერს.
 2. დ. ჩუბინაშვილი—საშუალო¹.

¹ საქ. ც. ს. ი. ა., ფონდი 440, საქმე 9.

ასეთ წარმატებებს იჩენდა პირველ კლასში ლ. არღაზიანი. ჩვენ ხელთ არის შემდეგი კლასების ნიშნებიც. ვუჩვენებთ აქ მხოლოდ ერთი კლასის ნიშნებს. 1829 წელს ლ. არღაზიანი სწავლობს თბილისის სემინარიის სამაზრო სასწავლებელში, სადაც ასეთ წარმატებებს იჩენს: ყოფაქცევა—კარგი, ნიჭიერება და ბეჯითობა—საშუალო, კატეხიზმი—კარგი, საღვთო ისტორიის მოკლე კურსი—კარგი, რუსული გრამატიკა—კარგი, ქართული გრამატიკა—კარგი, არითმეტიკის I და II ნაწ.—კარგი¹.

ლ. არღაზიანი სამაზრო სასულიერო სასწავლებლიდან 1831 წლის სექტემბერში სემინარიაში გადასულა. სემინარიის კურსი მან დაასრულა 1837 წელს. მაგრამ სემინარიის დაჰაავებების ატესტატი ვერ მიიღო. მისთვის მიუციათ კურსის მოსმენის მოწმობა. ამისი მიზეზი ნათლად ჩანს თვით ლ. არღაზიანის განცხადებიდან, რომელიც მას მიუცია 1837 წლის 3 ივლისს თბილისის სემინარიის რექტორისათვის, საქართველოს ეგზარქოსისათვის. ამ განცხადებაში აღნიშნულია, რომ საჯარო გამოცდების წინ მას სემინარიაში უეცრად გულყრა მოსვლა და უგრძობლად წაქცეულა, იცე რომ სიკვდილს ძლიერ გადაჩენილა. სემინარიის საგამოცდო კომისიის ეს გარემოება არ გამოთრეკვია, მხედველობაში არ მიუღია და გამოცდებზე გამოცხადებლობისათვის იგი მოსწავლეთა პირველ ჯგუფიდან მეორე ჯგუფში გადაურთხავთ, რის შედეგადაც მისთვის მიუციათ მხოლოდ სემინარია კურსის მოსმენის მოწმობა. ლ. არღაზიანმა საქართველოს ეგზარქოსს ასეთი თხოვნით მიმართა: „მე ამჟამად მკვდარი ვარ! უქმად ჩაიარა მთელი წლების განმავლობაში ყველა ჩემმა შრომამ და მეცადინეობამ. მე უატესტატოდ უთავო ადამიანს ვგვეარ, ხოლო დამთავრების მოწმობით, იგივე როგორც სხვა მოწაფეები, რომლებმაც დამთავრეს დიბალი კლასები. ვინაიდან სურვილი მაქვს სწავლა გავაგრძელო უმაღლეს სასწავლებელში გათხოვთ... აღმადგინოთ...“ და სხვ².

სემინარიის ხელმძღვანელობამ თხოვნის დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა. ინსპექტორამ ეგზარქოსს ახსნა განმარტება მისცა, რომელშიც ჩანს აშკარა უსულკულო დამოკიდებულება საერთოდ მოსწავლისადმი და კერძოდ ლ. არღაზიანისადმი. მიმართებაში ინსპექტორი აღნიშნავს, რომ ლ. არღაზიანის საჩივარი სემინარიის მმართველთა მიმართ სწორი არ არის და ბოლოს ასეთ დასკვნას აკეთებს: „მოსწავლეთა ჯგუფების სია თქვენი ყოვლადსამღვდელოების მიერ 28 ივნისს დამტკიცებულია და მოსწავლეებს უკვე გამოცხადდა, ამას გარდა, ლ. არღაზიანი საჯარო გამოცდის წინ ჯანმრთელად იყო და სემინარიიდან წასვლისას არ გაუფრთხილებივართ...“³

სემინარიიდან ლ. არღაზიანმა 1837 წელს მიიღო მხოლოდ კურსის დასრულების მოწმობა შემდეგი ნიშნებით:

ნიჭიერება—ძალიან კარგი, ბეჯითობა—საკმაო, ყოფაქცევა—კარგი, საღვთო მეტყველება—ძალიან კარგი, ფილოსოფია—ძალიან კარგი, სატყევიერება—

¹ იქვე, საქმე 33.

² საქ. ც. ს. ი. ა., ფონდი 440, საქმე 110.

³ იქვე.

ძალიან კარგი, ეკლესიის ისტორია—კარგი, სამოქალაქო ისტორია—კარგი, ლათინური ენა—საკმაოდ კარგი, ბერძნული ენა—საკმაოდ კარგი, თათრული ენა—საშუალო.

მოწმობაში აღნიშნულია, რომ ლ. არდაზიანი „მიეკუთვნება მეორე ხარისხის მოსწავლეთა ჯგუფს. სემინარიიდან დათხოვნილია ეპარქიალურ უწყებაში შესვლისათვის“¹.

ამ ნიშნებიდან ნათლად ჩანს, რომ ლ. არდაზიანი სემინარიის კლასებში კარგ მოწაფედ ითვლებოდა. მიუხედავად ამისა, სემინარიის ხელმძღვანელობამ მას დამთავრების ატესტატი არ მისცა, შოათავსა მოსწავლეთა მეორე ჯგუფში. იმ მასალებიდან, რომელიც სასულიერო სემინარიის არქივშია დაცული, ჩანს, რომ არდაზიანისადმი სემინარიის ხელმძღვანელობა ცუდად იყო განწყობილი.

ლ. არდაზიანის უთანხმოება სასულიერო წრის პირებთან ამით არ დამთავრებულა.

სემინარიის ხელმძღვანელთა მოქმედებით უკმაყოფილო ლ. არდაზიანს, ამავე წელს გადაუწყვეტია სასულიერო უწყებიდან გასვლა, რუსეთში სამედიცინო-პირურგიულ აკადემიაში სწავლის ვაგრძელება. ამის შესახებ განცხადებით მიუმართავს საქართველოს ეგზარქოსისათვის:

„Имея усердное желание быть медиком, желаю получить образование медицинское в медикохирургической академии. Но так как меня там не примут, ибо я нахожусь под духовным ведомством, то на сем основании при благословении родителей моих осмеливаюсь обеспокоить... прошением об увольнении меня из духовного ведомства...“² 1837 года 11 числа“.

ლ. არდაზიანის განცხადებაზე სემინარიის მმართველობა საქართველოს ეგზარქოსს ასეთ დასკვნას აძლევს:

„Правление семинарии во исполнение резолюции вашего вы-ва, рассмотрев прошение ученика ныне кончившего курс семинарского учения Лаврентия Ардазианова об увольнении его из духовного ведомства для поступления в медико-хирургическую академию, не имея в нем ни малой нужды по училищному ведомству, и не находя никаких препятствий, мнению полагает: ученика ныне кончившего курс учения Лаврентия Ардазианова совершенно уволить из училищного ведомства, почему и препроводить его аттестат в экзаршскую канцелярию; что же касается увольнения его из духовного звания, Правление семинарии не может входить в рассмотрение сего“. 1837 г. 21 августа“³.

სემინარიის გამგეობას ლ. არდაზიანის თავიდან მოცილება სურდა, ამიტომაც იგი თავის მიმართვაში აღნიშნავს, რომ ასეთ პირებზე მათ უწყებაში მოთხოვნილება არაა და მისი სასულიერო უწყებიდან განთავისუფლების საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. აღსანიშნავია, რომ ლ. ჭონქაძემ და ს. დოდაშვილმაც მოითხოვეს სასულიერო წოდებიდან ამორიცხება.

¹ საქ. ც. ს. ი. ა., ფონდი 440, საქმე 110.

² საქ. ც. ს. ი. ა., ფონდი 440, № 110.

³ იქვე.

ამორიციხეს თუ არა ლ. არღაზიანი სასულიერო უწყებიდან, ამის შესახებ ჩვენ ცნობები არ მოგვეპოვება.

1838 წლის თებერვალში თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობას სინოდის კანტორა ასეთ შეკითხვას უგზავნის ლ. არღაზიანის შესახებ:

„Синодальная контора предписывает оному Правлению доставить конторе сведения о том, на чьем иждивении воспитывался в Тифлиской семинарии и кончивший курс сын протоиерея Петра Ардазианова Лаврентий Ардазианов, т. е. на казенном или собственном?“¹.

ამ შეკითხვაზე სემინარიის გამგეობა ასეთ პასუხს აძლევს:

В Грузино-Имеретинскую Синодальную контору Донесение.

Во исполнение предписания Грузино-Имеретинской Синодальной конторы, от 9-го февраля сего 1838 года за № 302 Правление семинарии честь имеет донести оной конторе, что ученик, окончивший в 1837 году курс семинарского учения, Лаврентий Ардазианов во все продолжение учения содержался на отцовском коште². 1838 г. 23 февраля.

რისთვის დასჭირდა სინოდის კანტორას გაეგო, თუ ვის ხარჯზე იმყოფებოდა სასულიერო სემინარიაში ლ. არღაზიანი? ამის შესახებ არქივში ცნობები არაა დაცული.

ლ. არღაზიანს დიდი სურვილი ჰქონდა უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელებისა, მაგრამ ამისი საშუალება არ მისცეს. მღვდლობა, მის სულიერ სამყაროს სრულიად არ ეგუებოდა.

სემინარიის დამთავრების შემდეგ, წლების განმავლობაში მან სამსახური ვერ იშოვა. 1846 წლის სექტემბერში ლ. არღაზიანი დანიშნეს „საქართველო-იმერეთის“ გუბერნიის სამმართველოში საქმის მწარმოებლად, დაბალი ხელფასით. 1851 წელს ნამსახურობისათვის მისცეს ჯერ „კალექსი რეგისტრატორის“, ხოლო შემდეგ, 1854 წელს „კალექსი სექრეტრის“ ჩინი. ამავე წელს დანიშნეს მაგიდის უფროსის თანამდებობაზე. 1860 წელს ლ. არღაზიანი გადაუყვანიათ „საზოგადოებრივ მზრუნველობათა ამიერკავკასიის პრაქაზში“ მაგიდის უფროსის თანამდებობაზე. აქ მას ნამსახურობისათვის მიუღია „კალექსი ასესორის“ ჩინი.

1865—1866 წ. წ. ლ. არღაზიანი მსახურობდა თბილისის გენერალ-გუბერნატორის კანცელარიაში. ამ დროს თბილისის გენერალ-გუბერნატორი იყო პოეტ-გრიგოლ ორბელიანი. ლ. არღაზიანი მასთან მსახურობდა საქმის მწარმოებლად. აქ მან მიიღო „ნადგორნი სოვეტნიკობა.“ 1866 წლის დეკემბრის ბოლოს გენერალ-გუბერნატორის კანცელარია გააუქმეს, შტატი დაითხოვეს, მათ შორის, ლ. არღაზიანიც.

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცულია პოეტ-გრიგოლ ორბელიანის მოხსენებითი ბარათი კავკასიის მეფისნაცვლისადმი, სადაც იგი მზრუნველობას იჩენს თავისი დაწესებულების თანამშრომლებისადმი,

¹ საქ. ც. ს. ი. ა., ფონდი.44, საქმე № 120.

² იქვე.

მათ შორის, ლ. არღაზიანის მიმართაც. ამ მოსხენებით ბარათს მნიშვნელობა აქვს, როგორც ლ. არღაზიანის, ისე გრ. ორბელიანის პიროვნების დახასიათებისათვის. მოვიტანთ აქ ამ ბარათის ნაწილს:

„Члена Государственного Совета генерал-адъютанта князя Г. Орбелиани

Р а п о р т

...дела упраздненной ныне канцелярии Тифлисского генерал-губернатора сланы в ведение Тифлисского гражданского губернатора, при чем оказались дел конченных производством 1405 и текущих 57, с описями, реестрами и прочими к ним принадлежностями. О суммах оставшихся к 1-му января наступающего года от штатных расходов я вошел к Вашему Высочеству на общих основаниях, по примеру прежних лет, с особым представлением от 23 сего декабря за № 533.

За тем озабочиваясь устройством положения остающихся ныне за штатом чинов бывшего моего управления имею честь представить у сего список им с означением содержания каждого по штату, а как, на основаниях, изложенных в приложении к 363 ст. примечания к ней по продолжению 1863 г. и ст. 1012 III т. св. зак. гражд. изд. 1857 г., оставшимся за штатом чиновникам производится в течении года одно только жалование, а канцелярским служителям выдается единовременно оклад онаго, то из расчета сего ваше высочество изволите усмотреть, что за таким распоряжением содержание остающихся ныне за штатом сокращается против того, что они получали по должностям на 2510 р.

Столь маловажная экономия для казны и вместе с тем значительное уменьшение содержания остающимся за штатом в виду настоящей дороговизны в крае и семейного положения некоторых из них, при потере положительных надежд в будущем, не может не возбудить во мне живейшего участия в новом их положении.

В сих убеждениях принимаю смелость представить на благоусмотрение вашего высочества ходатайство мое о производстве старшему чиновнику особых поручений при мне, двум делопроизводителям и журналисту. За штатного жалования из уездного казначейства, а добавки, в виде особой милости, для восполнения содержания, какое получали они на службе из экстраординарных сумм распоряжения вашего высочества“... 28 декабря 1866 г.¹

ბარათს თან ერთვის დაწესებულების თანამშრომელთა წლიური ხელფასის უწყისი. ამ დაწესებულებების ლიკვიდაციის შემდეგ ლავრენტისათვის დაუფლებიათ მუშაობა დროებით კომისიაში. თავის სიცოცხლის უკანასკნელ წლებში,

¹ საქ. ც. ს. ა., ფონდი 1464, № 62. ტექსტი ქვეყნდება უცვლელად.

1858 წლიდან სიკვდილამდე, ლ. არდაზიანი მუშაობდა თბილისის საოლქო სასამართლოში მდივნის თანამდებობაზე¹. ამ დროს თბილისის საოლქო სასამართლოს თავმჯდომარეობდა ნიკოლოზ ღიმიტრის ძე ჭავჭავაძე. ეს ის ნ. ჭავჭავაძეა, რომელმაც, როგორც კომისიის წევრმა, „საგლეხო რეფორმის“ დებულებათა პროექტის შედგენაში მიიღო მონაწილეობა.

ლ. არდაზიანის მეუღლე იყო ქართლიდან, სოფ. მეჯვრისხევის მცხოვრების იოსებ ლოლაძის ასული, ეკატერინე, ან როგორც მას ეძახდნენ—კეკე, თავისი დროის მიხედვით, განათლებული ქალი. პაპას—ლუარსაბს, უსწავლევია მისთვის არაბული და სპარსული, შემდეგ შეუსწავლია აგრეთვე რუსული ენაც, კეკეს ზეპირად ცოდნია „ეფთხისტყაოსანი.“² ლ. არდაზიანს ხუთი შვალი ჰყოლია: კონსტანტინე (დაიბადა 1853 წ.), მარია (დაიბადა 1851 წ.), დავითი (დაიბადა 1856 წ.), ქეთევანი (დაიბადა 1857 წ.) და ანასტასია (დაიბადა 1859 წ.). დავითი პოლკოვნიკის ჩინით იყო დაჯილდოებული, მსახურობდა რუსეთში, ბოლოს დაბრუნდა სამშობლოში და გარდაიცვალა თბილისში 1925 წ. კონსტანტინე სამოქალაქო სამსახურში მსახურობდა, გარდაიცვალა თბილისში 1923 წელს.

ამჟამად ლ. არდაზიანის ჩამომავალთაგან ცოცხალია მხოლოდ მისი შვილი-შვილი, მარიამ დავითის ასული არდაზიანი, რომელიც თბილისში, ფაბრიკაში მსახურობს ლაბორატორიის გამგედ. მას შვილი არა ჰყავს.

ლ. არდაზიანი გარდაიცვალა 1870 წელს, ფილტვების ანთებით, დასაფლავეს ვერის სასაფლაოზე. თუ როგორ პირობებში უზღებოდა მას ცხოვრება, ამას გვიჩვენებს ნიკო ჭავჭავაძის მიერ, ლ. არდაზიანის გარდაცვალების შემდეგ, ოჯახისათვის პენსიის დანიშვნის თაობაზე, მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოსათვის გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი. აქ სხვათა შორის, წერია: „განსვენებული ლ. არდაზიანი გამოირჩეოდა თავისი სავაგალითო ბეჯითობითა და მუყაითი, დაუღალავი შრომით, რომელმაც ის მიიყვანა სამარმდე. მისი ოჯახი სიღატაკის გამო ჩავარდნილია საცოდავ მდგომარეობაში.“³

ლ. არდაზიანი მთელ თავის სიცოცხლეში მეფის მთავრობის ბიუროკრატიული აპარატის კანცელარიას ვერ გასცილდა, იქ ჩაყვდა მისი ენერჯია და ნიჭი. მისი სიკვდილის შემდეგ ბავშვებს დიდ სიღატაკეში უზღებოდათ ცხოვრება. ლავრენტის მეუღლე ეკატერინე უპატრონოდ დარჩენილ ხუთ ბავშვს თავდადებით ზრდიდა.

გ. თუმანიშვილი პირადად იცნობდა ლ. არდაზიანს. თავის „მოგონებაში“ იგი ლავრენტისზე წერს: „მე ბავშვობისას მასსოვს, როდესაც ის პორთფელით ხელში მიეჩქარებოდა სამსახურში. იგი ჯერ კიდევ არ იყო მოხუცი, მაგრამ მისი მოღუშული, დანაოკებული და გაწამებული სახე არ იძლეოდა საშუალებას ამ აღმაიანში გეცნო ისეთი ტალანტის მქონე იუმორისტი, როგორიც ის „სო-

¹ საქ. ც. ი. ს. ა, ფონდი 5, საქმე 1213.

² ლიტერატურის მუზეუმი, საქმე 6090/4. მოგონება ჩაწერა სოფ. მეჯვრისხევიში მწერალმა ბ. ჩხეიძემ.

³ საქ. ც. ი. ს. ა, ფონდი 5, საქმე 1213.

ლომონ ისაქიჩ მეჯღანუაშვილი¹ გამოჩნდა“. გ. თუმანიშვილი აქვე აღნიშნავს, რომ მის თავის წიგნში შოსაოავსებლად ლ. არდაზიანის სურათი დასკირდა, მაგრამ მან იგი ვერსად იშოვა, სურათი ლავრენტის ოჯახშიაც კი არ აღმოჩნდა. ლავრენტი არდაზიანის სურათი დღესაც არ გვაქვს. მოგონებაში, რომელიც ეკუთვნის ლ. არდაზიანის მახლობლებს, აღნიშნულია, რომ მას ძალიან ჰგავდა მისი შვილი დავითი და ამ დავითის ვაჟიშვალი, რომელთა სურათები დღესაც ინახება ლ. არდაზიანის შვილიშვილის მარიამის სახლში. საჭიროა ამ სურათებისა და მოგონებების საფუძველზე შეიქმნეს ლ. არდაზიანის სურათი.

დიდი სახალხო მწერალი აკაკი წერეთელი დიდად აფასებდა ლ. არდაზიანის მხატვრულ ნიჭს; „სოლომონ ისაქიჩ მეჯღანუაშვილს“ იგი ქართული პროზის საუკეთესო ნიმუშად ავლიდა. მანვე დაგვიტოვა ღარსშესანიშნავი მოგონებანი ლ. არდაზიანზე.

აკაკი წერეთელი 1862 წელს პეტერბურგიდან საქართველოში ჩამოსვლისას შინ ეწვია ჟურნ. „ცისკრის“ რედაქტორს ივ. კერესელიძეს. აკაკი აქ პირველად გაეცნო, როგორც ივ. კერესელიძეს, ისე მასთან სტუმრად მყოფ ლ. არდაზიანს, რომელმაც მასზე სამშობლო ქვეყნის დიდად მოსიყვარულე, სათნო ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. თავის „თავგადასავალის“ ბოლო ნაწილში, სადაც აკაკი ახასიათებს ჟურნ. „ცისკრის“ თინათრობლებს წერს: „ყველაზე შესანიშნავი ნიჭის პატრონი იყო ლავრენტი არდაზიანი, ის იყო სადღაც ჩინოვნიკად. ჩუმი კაცი იყო და სათნო. მის ქართველობას საზღვარი არ ჰქონდა. ერთი შეხედვით არაფრად მოგეწონებოდა, მაგრამ შესანიშნავი მწერალი იყო“. აკაკის ასეთი შეხედულება ბოლომდე შერჩა ლ. არდაზიანზე, როგორც მწერალზე და მოქალაქეზე.

*
* *

ლ. არდაზიანმა, დ. კონქაძესთან ერთად, მეცხრამეტე საუკუნეში საფუძველი ჩაუყარა ქართულ რეალისტურ პროზას. იგი ისე, როგორც ეს ახასიათებდა ქართული რეალისტური სკოლის კლასიკურ წარმომადგენლებს, მწერლობას მიზნად უსახავდა საზოგადოებრივი მოვლენების მართებულად ასახვას. მას, როგორც ჭეშმარიტ რეალისტ მწერალს, სწამდა, რომ ყოველი მხატვრული ნაწარმოები მიზნად უნდა ისახავდეს ხალხის ცხოვრების ავისა და კარგის გადმოცემას. ერთ თავის ხელნაწერ სტატიაში ლ. არდაზიანი წერს: „პოეზიის მიერ კაცი შეაქიფება უბედურებასა, დასძლევს მას. მის მიერ კაცი სცნობს ჭეშმარიტებასა, სარგებლობასა და სიკეთესა, კეთილმოქმედებისასა და მავნებლობასა ბოროტისასა, მის მიერ ძნელი ღვაწლი კეთილმოქმედებისა გარდაქცევა კაცსა სუბუქად და სასიამოვნოდ“¹. პოეზიის საშუალებით ადამიანი ერყვევა ჭეშმარიტებაში, კეთილსა და ბოროტში, რაც მთავარია, პოეზიას ისეთი ზემოქმედება აქვს, რომ ადამიანი მისი მეშვეობით, ლ. არდაზიანის სიტყვებითვე რომ ვთქვათ, „შეაქიფება უბედურებასა, მავნებლობასა“; დასძლევს მათ და ამ გზით

¹ ლიტერატურული მუხვები, საქმე № 6975/4.



გარდაქმნის თავის ცხოვრებას. მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება მისი მნიშვნელობა. ამავე წერილში იგი წერს, რომ პოეზიის მიზანია „ცხოვლად გამოხატულისა სიმშვენიერებითა განაღვიძოს, გახსნას და ლხარავით ჩვენ შორის მოცემული გრძნობა მშვენიერებისა. განავითარებს და ესრეთ ჩვენსა გრძნობასა, პოეზია მასთანვე გავაცნობს ქვემარტივებსა და შეგავყვარებს კეთილმოქმედებასა“. ასეთია ლ. არდაზიანის შეხედულებები მწერლობის სოციალური და ესთეტიკური მნიშვნელობის შესახებ.

ლ. არდაზიანის მხატვრული ნაწარმოებები, ორიგინალური თუ ნათარგმნი, „ციცკარში“ დაიბეჭდა¹. პეტრე უმიკაშვილის გადმოცემით ლ. არდაზიანი იტყობდა ხოლმე: — იმისათვის მაინცა ეწეროთ, რომ სხვებმა სთქვან ისინი ცუდათა სწერენ, ჩვენ კარვად დავწეროთ“, იმ დროს. როდესაც ჟურნალი „ციცკარი“, შესაფერი მასალების უქონლობის გამო, კრიზისს განიცდიდა, ლ. არდაზიანის ნაშრომებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. თუ რაოდენ დიდი პოპულარობა და ავტორიტეტი შეუქმნა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ დაბეჭდვამ „ციცკარს“, ეს ჩანს ჟურნალ „ციცკარის“ რედაქციის შემდეგი განცხადებიდან: „წარსული თვის ნომერში დაბეჭდილი იყო ნამდვილი ქართული რომანი, შეთხზული ჩვენის თანამედროვე მწერლის ლავრენტი არდაზიანისაგან. რედაქციამო მოგვდის ამ საგანზე სხვადასხვა პირთაგან წიგნები, სადაც ისმის ხმა ქებისა

¹ ლ. არდაზიანი სამწერლო ასპარეზზე მოწაფეობისას უნდა გამოსულიყო. ამას ამტკიცებს შემდეგი გარემოება: ჩემი ფიქრით, ლ. არდაზიანს ეკუთვნის 1829 წლის „ტფილისის უწყებანის“ № 3 მოთავსებული წერილი რუსთაველზე სათაფრით „რაიმე რუსთაველისათვის“, რომელიც ხელმოწერილია ინიციალებით „ლ. ა.—დ.“ როგორც ჩანს, რედაქციას აღწერიწვას სახელის პირველი ასო და გვარის პირველი და შესაძლოა ასო. გვარის ასეთ ფორმაში აღნიშვნა რომ დამახასიათებელი იყო „ტფილისის უწყებანისათვის“, ეს ჩანს სხვა ხელმოწერებიდანაც; მაგალითად, აქვე ვხვდებით ასეთ ინიციალებს „ნ. მ.—ვ“, „ს. პ.“ და სხვა ასეთებს. ლ. არდაზიანი ამ წერილის დაწერისას მიხალეობით 15—16 წლის უნდა ყოფილიყო; იგი სწავლობდა სასულიერო სემინარიის სამაზრო სასწავლებელში. ამ წერილის შენიშვნაშიაც აღნიშნულია, რომ წერილი დაწერილია „რუსულსა ენასა ზედა ერთისა ახალგაზრდა კაცისა მიერ, რომელიც ჯერეთ ჰსდგას ზღურბელსა ზედა სწავლისა და ქვეყნისა, მას ზედა იყო მოქმედება მასწავლებლისა, და განჯახალინე მე, რათა მათარგმნოს მუხლი ესე ბუნებისა ენასა ზედა მისსა, რომელიც გარემოვზღუდე გამოსაძიებელთა მხედველობათაგან საზოგადოებისათა“. რედაქციის ამ შენიშვნიდან ირკვევა, რომ აღნიშნული წერილი დაუწერია მოწაფეს, მასწავლებლის დახმარებით, თანაც მასწავლებელს წერილის ავტორი, როგორც ჯერ კიდევ გამოუცდელი, კვლევ-ძიებაში შეუზღუდავს. ეს მასწავლებელი სოლომონ დოდაშვილი უნდა იყოს. ამ დროს იგი მსახურობდა მასწავლებლად და გაზ. „ტფილისის უწყებანის“ კომიტეტის წევრად, მის ფაქტობურ ხელმძღვანელად. პირადი წერილებიდან ცნობილია, რომ ს. დოდაშვილი მეცნიერულად განსწავლული ახალგაზრდობის აღზრდისათვის სკოლის გარეშეც წარმოებდა აღზრდელობით მუშაობას. რედაქციის შენიშვნა წერილის ავტორის ვინაობის შესახებ მას უნდა ეკუთვნოდეს. როგორც ჩანს, ლ. არდაზიანი სამწერლო ასპარეზზე ს. დოდაშვილის ხელმძღვანელობით გამოუსულა.

აღნიშნული წერილის „რაიმე რუსთაველისათვის“ შინაარსი გამოაქვეყნა ა. აბრამიშვილმა („ბიბლიოგრაფიის მოამბე“, № 4—5). აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ა. აბრამიშვილს ინიციალები „ლ. ა.—დ.“ სწორად არა აქვს გაგებელი, როდესაც იგი ცდილობს მასში ს. დოდაშვილი ამოკითხოს. ინიციალები „ლ. ა.—დ.“ სრულიად არ შეეფერება სოლომონ დოდაშვილს. ამ დროს იგი მასწავლებელი იყო, ავტორი ფრიად საყურადღებო შრომებისა და არა მოწაფე.

და მადლობისა, რედაქცია ამ საზოგადო აზრს, დაამატებს თავის აზრს და განუცხადებს უფალს არდაზიანს მადლობას ამ გვარ შრომისათვის და ჩვენს ლიტერატურაზე ღვაწლის დადებისათვის. კვალად იმედოვნებს, რომ თავის ძვირფას შრომას არ მოაკლებს რედაქციას არდაზიანი.¹ ასეთი მაღალი შეფასება მისცა ქართველმა მკითხველმა რომანს „სოლომონ ისაკიშ მეჯღანუაშვილს“, რომელშიაც სამართლიანად დანიახეს ცხოვრების ცოცხალი და უტყუარი სურათები.

ლ. არდაზიანი როგორც კარგი მცოდნე ქართული და უცხოური მწერლობისა, 1862 წელს სამუშაოდ მიიწვიეს „ცისკარში“. „ცისკარის“ 1862 წლის ოქტომბრის ნომერში რედაქტორმა ი. კერესელაძემ ლ. არდაზიანზე ასეთი განცხადება გააკეთა: „მომივალს წელიწადს ჟურნალი გაიყოფა ექვს ნაწილად: მეორე ნაწილში იქნება უცხო ქვეყნის, ანუ საკუთარი ჩვენი ქართული სიტყვიერება, რომლის მმართველი იქნება ლავ. არდაზიანი; მესამეში—წერილი, ღირსად მიღებული ლექსები, ამ ნაწილის მმართველი იქნება თ. გრ. ორბელიანი; მეოთხეში ჰსწავლა და ხელოვნება, რომელთაც შემოვიტანთ ისტორიულს, სამეცნიეროს, საფილოლოგიოს და სხვ., რომლის მმართველი იქნება დიმიტრი ბაქრაძე; მეხუთეში იქნება საქართველოს ანბანი რამე, გარკვევა ახლად გამოცემული წიგნებისა, გინა თხზულებისა და იეექესად სხვადასხვა ამბავი, ამის მმართველი იქნება ნიკ. ბერძენოვი.“² აქედან ჩანს, რომ ლ. არდაზიანი ჟურნ. „ცისკარის“ რიგითი თანამშრომელი კი არ იყო, არამედ 1862 წლიდან მას ქართული და უცხოური სიტყვიერების განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობა ეჭირა. აღსანიშნავია, რომ „ცისკარში“, ლ. არდაზიანის გვერდით, ასევე განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობა ეკავა გრ. ორბელიანსაც.

ლ. არდაზიანი ავტორია პუბლიცისტური და პოლემიკური წერილებისა. ქართული კულტურის, აზროვნების ისტორიის მკვლევარი მათ გვერდს ვერ აუხვევს. ამ წერილებს დიდი მნიშვნელობა აქვს თვით მწერლის მსოფლმხედველობის შესწავლისათვის. 1859 წელს რუსულ გაზეთ „Кавказ“-ში ნ. ბერძენიშვილმა მოათავსა ჟურნალ „ცისკარის“ 1858 წლის ნომრების მოკლე მიმოხილვა, სადაც მან მკაცრად გააკრიტიკა „ცისკარის“ ჩამორჩენილობა. ნ. ბერძენიშვილი თავის სტატიაში აღნიშნავდა, რომ ჟურნალი არ ეთანხმება „ხლანდელი გონების მიდრეკილებას“, „უფერულია“ და „შეიცავს სტატეებს შემთხვევით შეკრებილს“. მან სამართლიანად მიუთითა, პოეზიასთან შედარებით, პროზისა და დრამატურგიის ჩამორჩენაზე. ლ. არდაზიანი გამოექმობა „ცისკარს“. იგი ეთანხმება ბერძენიშვილს, რომ ჟურნალი არ დგას მოწოდების სიმბოლურზე, რომ საჭიროა მისი მუშაობის გარდაქმნა, მაგრამ აქვე ლ. არდაზიანი აღნიშნავს, იმ დროის საქართველოს კულტურულ პირობებს, მიუთითებს ქართული ჟურნალისათვის საჭირო ძალების ნაკლებობაზე. ლ. არდაზიანი წერს: „ჩვენგან ისეთი სახით ითხოვს ვწეროთ სწავალულ საგანზე და მსწავლულის ენით, რომ თითქოს დაგვესრულებინოს ქართულ ენაზე გიმნაზიები, ლიცეები, უნივერსიტეტე-

¹ „ცისკარი“, 1861 წელი, № 4.

² „ცისკარი“, № 1852 წელი, № 10.



ბი, აკადემიები“. ლ. არდაზიანი იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში მდგომარეობა გამოსწორდება: ორი და სამი კარგნი მწერალნი მოგვევრიან ორსა და სამ სხვა კარგთა მწერალთა, ესენიც თავისი მხრით სხვებს დაჰბადავენ... და მაშინ კეთილად წვახ საქმე“. მაშინდელ პირობებში კი ლ. არდაზიანს „ცისკარი“ ნ. ბერძენიშვილის კრიტიკა მიაჩნია სასტიკად და უღროოდ.

ლ. არდაზიანის დახასიათებისათვის ამ სტატიაში საინტერესოა მისი შეხედულება ქართული ლიტერატურის ისტორიაზე. მწერალი ეხება რა ქართული მწერლობის მდგომარეობას წარსულში, ერთგან აღნიშნავს: „ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ქართველებს უნდა ჰქონებოდათ ლიტერატურა ქრისტეს შობის წინაც. მართალია, არა გვაქვს ამაზე დასამტკიცებელი სახსოვრები, მაგრამ ეს კია კეშმარიტი, რომ თუ საქართველოს არ ჰქონებოდა განვითარებული ლიტერატურა, ვერცა ასე მშვენიერის, დაწმენდილის, ნასწავლის ენით გადმოიღებდნენ საღმრთო წერილსა ქართულ ენაზე“¹. ამ წერილში ლ. არდაზიანი ეხება ჩვენ ვრამდე ქართული კულტურის მდგომარეობას. იგი ფიქრობს, რომ ამ დროს საქართველოში განვითარებული კულტურა, ლიტერატურა არსებობდა, მაგრამ ამ დროინდელმა ნაწარმოებებმა ჩვენამდე ვერ მოაღწიეს.

ცნობილია, რომ ჟურნ. „ცისკარში“ მესამოცე წლებში დიდი ბრძოლა გაიმართა „შემეხსა“ და „შვილებს“ შორის. ამ ბრძოლის საბაბი შეიქნა ი. ჭავჭავაძის სტატია, რომელიც მან მოათავსა „ცისკრის“ 1861 წლის № 4, რევაზ ერისთავის მიერ კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანზე. თაობათა შორის უთანხმოებისას ლ. არდაზიანი თერგდალეულთა მოწინავე შეხედულებებს ემხრობოდა.

ჩვენ აქ არ განვიხილავთ ჟურნალ „ცისკარში“ თ. გ. ბარათოვის სახელით ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ გამოქვეყნებულ სტატიებს, რომლებიც არ ეკუთვნის ლ. არდაზიანს. ეს წერილები მხოლოდ გაუგებრობის შედეგათაა მიწერილი ლ. არდაზიანზე². ძველსა და ახალ თაობას შორის უთანხმოებისას ლ. არდაზიანის ადგილის გარკვევისათვის მთავარია „მოგზაურობა თბილისის ტროტუარზე“, რომელიც ბიძია თონიკეს ფსევდონიმით გამოქვეყნდა ჟურნ. „ცისკრის“ 1862 წლის მეექვსე ნომერში. აგრეთვე ის წერილები, რომლებიც ამ ნაწარმოების დაბეჭდვამ გამოიწვია.

„მოგზაურობა თბილისის ტროტუარზე“ შეიცავს დრამატულ სცენებს, შედგება ფართო შესავლისა და ცხრა სცენისაგან. მასში, ისე როგორც ეს დამახასიათებელია დრამატული ხასიათის ნაწარმოებისათვის, დიალოგის ფორ-

¹ „ცისკარი“, 1859 წ., № 9, გვ. 78.

² საქართველიანადა აღნიშნული, რომ გ. ბარათაშვილი (ბარათოვი) ლ. არდაზიანის ფსევდონიმი არაა. გ. ბარათაშვილი რეალურად არსებული პიროვნებაა (იხ. დ. გამეზარდაშვილი—ლიტერატურა და ხელოვნება, 1946 წ., № 21). ლიტერატურულ მტხუნეში ჩვენ ვნახეთ გ. ბარათოვის სტრაიცი. საფიქრებელია, რომ ლ. არდაზიანი გ. ბარათაშვილს წერილებს უსწორებდა და ამ გარემოებამ მისცა ახაბი ა. წერეთელს ლ. არდაზიანზე ეთქვა: „კრიტიკული სტატიები მისი გ. ბარათაშვილის სახელით გამოდიოდა“.

მაში გადმოცემულია რეალისტური, სიცოცხლით აღსავსე სურათები მაშინდელი თბილისის ცხოვრებიდან. ასეთი ხასიათის ნაწარმოები, მესამოცე წლების ჩვენი დედაქალაქის ცხოვრებას რომ ვვიხატავდეს, არც ისე ბევრია.

მწერალი მოგზაურობს მაშინდელი თბილისის „ტროტუარზე“ და ამ მოგზაურობის დროს ნახულს გადმოგვცემს. თვითულ სცენაში გამოყვანილია ორი, სამი, ხან ოთხი მოქმედი პირი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ყველა სურათში (სცენაში) თბილისის მაშინდელ მოქალაქეთა უარყოფითი მხარეების გამკიცხავის როლში გამოყვანილია დაბალი სოციალური ფენის, გლეხობის წარმომადგენელი; იგი სცენებში იწოდება „ქალაქის ბიჭად“.

მწერალი გრძობს რა პერიოდული პრესის დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას, ნაწარმოების შესავალში მწუხარებით აღნიშნავს, რომ თბილისში ქართული გაზეთი არ გამოდის. ავტორი ამაში ბრალსა სდებს მაშინდელი საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც „უბრალო ნივთებისათვის და ლოტოსათვის“ ფულს ფლანგავს, ხოლო ჟურნალს კი არ იწერს. არდაზიანი სიხარულით აღნიშნავს, რომ საქართველოში მალე ორი ჟურნალი იქნება: „ციცქარი“ და „საქართველოს მოამბე“. ნაწარმოების გმირის მიშველობით მწერალი ასე მოუწოდებს მაშინდელ ქართველ საზოგადოებას: „უფ. ი. ჭავჭავაძე და ი. კერესელიძე ცდილობენ კარგი ჟურნალები გამოსცენ—ვნახათ რამდენი ხელის მომწერი ეყოლებათ! ორივე უნდა შევიმაგროთ, თორემ თუ ერთი იმათგანი დაეცა,—დაეცემა უთუოდ ჩვენის მიზეზით, მაშინ ქართული ლიტერატურა წარმოტეხას ვეღარა ჰპოებს“...

მწერალი წინაწარვე გვაფრთხილებს, რომ თბილისის „ტროტუარზე“ „ნახათ ჭკვიან, დაბრახილ ხალხს, კარგად განვითარებულსა. იმათგან მრავალ ნამდვილ ახალ ამბავს შეიტყობთ, მრავალს რასმე ისწავლით“. მაგრამ აქვე არიან „ერუ-მეცნიერები; გამოუსვლელნი და იმათი ტაკიმასხარები; ეს ხალხი სტეპნის და სციეთავს ტროტუარსა, ყურებს გაგიქედს ყოველგვარი სიცრუითა, მკეხნარობითა, განკიცხვითა, სხვაზედ დაცინვითა, თუმცა თვითონ არიან სასაცილო და იმას ვერა ხედავენ“.

პირველ სურათში მწერალი დასცინის ახალი ცხოვრების ფუფუნებით, „მოდებით“ ვაჭარებულ მაღალი წრის ქართველ ქალებს. ესენი მოხიბლა სავაქრო კაპიტალიზმის განვითარების პერიოდში ქალაქად შექმნილმა ახალმა ცხოვრებამ, ლამაზმა სანახაობებმა, ლხინმა, ბრჭყვიალა ნივთებმა. მათ უთავბოლოდ დაუწყეს ფლანგვა თავიანთ ქონებას. მერე და ქართველ თავად-აზნაურობას სად გააჩნდა ამისი შესაძლებლობა?—ყიდა თავის ქონებას, „პრიკაზნიდან“ სესხულობდა ფულს, ან, როგორც თვით ლ. არდაზიანი შენიშნავს, ქალების ქმრები „ლაქიის თანამდებობას“ ასრულებდნენ ფულიანის კარზე. მათი ქონების დიდი ნაწილი ვიღაც ვიგინდარა ვაჭრებს უფარდებოდათ ხელში.

ლ. არდაზიანს ძალიან კარგად ესმოდა მაშინდელი ეკონომიური ვითარება. იგი კარგად ხედავდა, რომ თავად-აზნაურობას სავაქრო კაპიტალიზმის სახით დიდი მტერი გაუჩნდა. „პრიკაზნი“, რომელიც ვითომ თავად-აზნაურობის დახმარებისათვის დაარსეს, სინამდვილეში ხელს უწყობდა მათ ეკონომიურ

გალატაკებს. ქართველი თავად აზნაურობა „პრიკაზიდან“ მიღებულ სესხს მეუხნეობას კი არ ახმარდა, არამედ მას უთავებოლოდ ფლანგავდა.

ლ. არდაზიანს არ სწამს, რომ „პრიკაზი“ ხელსშეუწყობს ფეოდალური მეურნეობის განვითარებას. მან კარგად იცის, რომ „პრიკაზიდან“ ნასესხებ ფულს ახალი ცხოვრების ფერადოვნებით გატაცებული ქართველი თავად-აზნაურობა ლხინისა და დროს ტარებაში გაფლანგავს.

მეორე და მესამე სურათში მწერალი იძლევა „სრუ განათლებულების“ პორტრეტებს. ასეთად მეორე სურათში წარმოდგენილია მეტიჩარა ქართველები, რომლებმაც რუსული არ იციან, მაგრამ ქართულად ლაპარაკს მიაწვდენ კადრულობენ და რუსულსაც ამახინჯებენ.

მესამე სურათში ურცხვადეს სახით მწერალი წარმოგვიდგენს ცრუსა და ურცხვ ადამიანს, რომელიც თვით უფიცია, და სხვებს დასცინის, როგორც გაუნათლებლებს. ურცხვადე თავხედურად მსჯელობს, ვითომ ამასხარავებს რუსეთში ნასწავლ ახალ თაობას—„წვეროსნებს“, თითქოს ისინი რუსეთში სწავლის ნაცვლად „წვეერს გამოუშვებენ“ და ისე ბრუნდებიან საქართველოში. თვით ურცხვადე „ტროტუარზე“ უსაქმოდ დაეხეტება და ყველას არწმუნებს თავის მეტნიერობაში, რომ მას ევროპის გამოჩენილ მეცნიერებთან ვითომ დიდი მიწერ-მოწერა აქვს. ჩამორჩენილი ადამიანები რომ მოატყუოს, უცხოური გვარების კორიანტელს აყენებს; გოტლიბ შტერნი—ფრანკფურტიდან, იოდან კლეინ ფიხტე—ბერლინიდან, მარტინ შაბლაუტენი—ლეიფცილიდან“, იი თურმე ვისთან აქვს მას მიწერ-მოწერა გამართული.

მწერალი ურცხვადეს უპირისპირებს გონიერ პიროვნებას დარბაისლოცს, რომელიც ამხელს მას როგორც ცრუსა და ახალგაზრდობის მოძულეს. დარბაისლოცი ახალი თაობის მხარეზეა და ახალგაზრდობის მისამართით ურცხვადის დამცინავ სიტყვებს ასე უპასუხებს: „მე და შენ ძველი ცნებებისანი ვართ, რუტინისტები, ყმაწვილკაცები ახლანდელის დროის ცნებებისანი არიან. კიდევ გეტყვი, წვეერი მოდაა, და არა მგონია იმათ სწავლა იმოდენი არ მიეღოთ, რამდენიც ნიჭი აქვთ, ამას კი გეტყვი, რომ ზევნზე ნაკლები სწავლა მათ არ ექნებათ“.

„ქალაქელი ბიჭი“ ამხელს და დასცინის ურცხვადის უფიცობას. თავის მხრივ ურცხვადე, როგორც მოძულე მშრომელი გლეხობისა, ასე მიმართავს „ქალაქელ ბიჭს“: „იოტის ოდენა ჭკუა არა გაქვთ. წადი იმუშავე. ტალახი ზილე და პური ისე ჭამე“.

„ქალაქელი ბიჭი“ სამართლიანად შენიშნავს თავისი დროის მეცნიერებას, რომ იგი მშრომელ გლეხობას მაღლიდან კი არ უნდა დაჰყურებდეს, არამედ ხალხს უნდა ემსახურებოდეს. მშრომელი გლეხობის წარმომადგენლის ამ სიტყვებს შორიდან ხალხის ხმა დასტურს აძლევს.

ლ. არდაზიანი პირდაპირ ააშკარავებს ურცხვადის მახინჯ სახეს. ამ სურათში მისი სიმპატიები მშრომელი გლეხობის მხარეზეა.

მეშვიდე სცენაში ურცხვადის მსგავსი პორტრეტია წარმოდგენილი აზნაუხის სახით. მას არასოდეს არ შეუქმნია რაიმე, სამაგიეროდ ხალხს ატყუებს: „ჯერ არა დამიწერია რა, მაგრამ გულში კი მაქვს დავწერო, ჩემ თავში ოცი-

ათასი იღეა ირევა როგორც ქიანშველა, ერთიერთმანეთზე უკეთესი, დასწყევ-
 ლოს ღმერთმა, არ ვიცი, რომელ ერთს წავავლო ხელი“. ახმახი ხალხს თავს
 აჩვენებს, რომ იგი ლიტერატურით გატაცებული პიროვნებაა. ნამდვილად კი
 მას არაფერი გაეგება. მშობლიური ლიტერატურა მისთვის, როგორც გადაგვა-
 რებულ, უფარტომო პიროვნებისათვის, არც არსებობს. იგი ვაკვირვებით
 წარმოთქვამს: „ქართული ლიტერატურა ვის ეკადრება, განა არის კი სადმე?“
 ახმახს თავი მოაქვს „დიდი კაცებთან“ სახალოვით. იგი კვებით ამბობს, რომ
 „დიდი კაცები“ მას ეკითხებიან ყოველივეს, ზოგს აბედნიერებს და ზოგს აუ-
 ბედურებს. შიში და მოკრძალებია რომ დანერგოს, ნაცნობებში გაიძახის:
 დღეს ამა და ამ „დიდაკთან“ ვიყავი სადილად მიზატიყებული, იქ მივედი;
 აქ ვერ მივედი და სხვა ასეთები. მაგრამ არცერთი „დიდი კაცი“ სახელს არ
 ასახელებს, არამედ გაიძახის ზოგადად „მისი მაღალ...ე...“, მისი ბრწყინ...დ...
 ან უკიდურეს შემთხვევაში ასახელებს ორ ასოს.

ახმახი უსაქმური, მოლაყებ და ამავე დროს პოროტი პიროვნებაა. სამსა-
 ხურში მუშაობის ნაცვლად „მარად ტროტუარზე“ მოხეტიალე. მას, როგორც
 „განათლებულ“ მოლაყებს, მწვენიერად ახასიათებს ერთი მისი ნაცნობი, რომე-
 ლიც მას ჩვეულებრივად „ტროტუარზედ“ შემოხვდა: „დღეს დიფყო ჩინელებ-
 მის და იაპონელების ამბავი, ვერ დაასრულა, კუჭმაც ძლიერ შემაწუხა, წაი-
 ყვანე სადილად იმ აზრით ეგების დაესრულებინა. მაგრამ ამ ჩემი ცოდვით
 საესემ არ დაასრულა, სადილი კი გამომტყუა.“ ასეთია ახმახი, მის დაპარაკს
 ბოლო არა აქვს! მსმენელებიც, ალბათ, იმის შიშით რომ არავისთან დავგაბეზ-
 ლოსო, იძულებულნი არიან მოისმინონ მისი დაუსრულებელი ლაყობა.

ნაწარმოების მეოთხე სურათში ცოცხალ პორტრეტებია მოცემული
 თვითმპყრობელობის მიერ საქართველოში გამოგზავნილი, ვონებრივად ჩამორჩე-
 ნილი მოხელეების—ველიკოუმოვისა და ოსტროუმოვის სახით, რომლებიც
 საქართველოში ჩინოვნიკურ სამსახურში დაბერდნენ, ახლა თავი დაუნებებიათ
 სამსახურისათვის და თბილისის „ტროტუარზე“ მთვრალეები დაეხეტებიან.
 ესენი ერთმანეთთან იკვებიან იმის შესახებ, თუ მათ, თვითმპყრობელობის
 ჩინოვნიკებმა, როგორ განათლეს „ჩამორჩენილი“ საქართველო. ველიკოუმოვი
 ამბობს: „ჩემი მშობელი ქვეყანა დავტოვე და შევწირე ჩემი ცხოვრება აზიასა,
 რომ გავმანათლებია“. ხოლო ოსტროუმოვი მოუწოდებს ველიკოუმოვს, რომ
 ეხლაც უნდა „შევაბაროთ აქ განათლება“. ანალოგიური პორტრეტია დაბა-
 ტული მეზუთე სცენაშიც „ვალოთებული ბებერი დედაკაცის“ აკსინიას სახით,
 რომელიც მთვრალი დაეხეტება „ტროტუარზე“ და ქალაქის მკვიდრ მცხოვ-
 რებლებს დასცინის: „მოლჩი, პოდლაია აზია“.

ლ. არდაზიანი სასაცილო მდგომარეობაში აყენებს ამ პირებს, მათში
 განასახიერებს თვითმპყრობელობის ვონებრივად ჩამორჩენილ მოხელეებს,
 რომლებიც გამსკვლულნი იყვნენ დიდმპყრობელური შოფინიზმით.

ნაწარმოების მეექვსე სცენაში ლ. არდაზიანმა თვითმპყრობელობის
 მოხელეთა ორპირობა და უსამართლობა დავეისურათა: როგორ იჩაგრებოდა
 მექრთამე მოხელეების ხელში სიმართლე როგორც თვით ნაწარმოებებშია

აღნიშნული, „საწყალი ხალხი“; მაგალითად, ერთი პიროვნება ბოზოლა მოხელისაგან მოითხოვს, მიუხედავად იმისა, რომ სიმართლე მისკენ არაა, საქმე მიიწვიოს მის სასარგებლოდ გადაწყვიტოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი ემუქრება ბოზოლა მოხელეს, რომ მას აფარებულ „მშვენიერ პირბადეს ჩამოხდის და ქვეყანას დაანახევებს, მის ნამდვილ „მომურულ სახეს“. შეშინებული მოხელე, რომ მისი ნამდვილი პიროვნება არ გამოაშკარავდეს, დაპირებას აძლევს: „საქმის კარებსა და ფანჯრებს ამოვქოლამ, დავაბნელებ, მერმე ჩრდილოეთის მხრით ერთ პატარა სანათურს გამოვალე და გარწმუნებთ თქვენ, რომ საქმე ისე გაივლის, როგორც თქვენ გნებავთ“. მაგრამ თაღლითურ საქმიანობაში პირველ მოხელეს არც მერმე ჩამორჩება. იგი ერთის ხელით თუ გაუკეთებს საქმეს, სანაჯიეროდ, მეორე ხელით სხვას ვააფუჭებებს. ასე ასრულებს ის თავის მოვალეობას.

„ქალაქელ ბიჭს“ კი თვითმპყრობელობის ეს მძარცველი მოხელეობა ჰყავს წარმოდგენილი კალიას სახით, რომელიც მოსაყვას ანადგურებს. „ქალაქელი ბიჭი“ ამ მოხელეთა შესახებ ყველას გასაგონად გაიძახის: „ჩოჩეთს კალია დასცემია, ეხლა აშენდა ჩოჩეთი!“.

ამ ნაწარმოებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მეცხრე სცენა, სადაც გამოყვანილია იმ დროინდელი ზოგიერთი სწავლული, მოფილოსოფოსო პიროვნება, ანუ, მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ორი მაძებარი ჭეშმარიტებისა“ და ერთი „ტაკიმასხარა“. მათ შორის მსჯელობა იმართება ლოლიკისა და ფილოსოფიის საკითხებზე. მწერალს მსჯელობის ობიექტად აღებული აქვს „ვირის არსება“. „ჭეშმარიტების მაძიებელი“ ვითომ ფილოსოფიურ პრობლემებს წყვეტენ, თავს იმტერევენ, დევა აქვთ გამართული, თუ „ვირს დიდი ყურები რათა აქვს“. პირველი მაძიებელი ამას ასაბუთებს სიმეტრიის კანონით, რომ ბუნებას თავთან შეფარდებით მიუტია ვირისათვის დიდი ყურები. „ვირს თავი აქვს დიდი, მაშასადამე ყურები ვირისა პროპორციულია თავისა“ — ამტკიცებს ის. მეორე „მაძიებელი ჭეშმარიტებისა“ ამ აზრის წინააღმდეგია, რადგან ვირის სხეულში საერთოდ არაა წონისწორობა დაცული. ამას ასაბუთებს იმითაც, რომ „ვირს ყურები დიდი აქვს, მაგრამ ფეხები პატარა“ და სხვ. ამაში მისი აზრით, ბუნება არის შემცდარი; იგი დასცინის მათ, ვინც ამტკიცებს, რომ ბუნებაში ყოველივე მიზანშეწონილად და გონიერად არის მოწყობილი.

პირველი მაძიებლის პასუხში მოჩანს განსხვავება ფორმალურ სისწორესა და არსებით სიმართლეს, ჭეშმარიტებას შორის. ამიტომაც პირველი ასე მიმართავს მეორეს: „კლტე შენი სილოგიზმისა კანონიერად დაიკეტა“. მისი აზრით, თუმცა სილოგიზმი მეორეს სწორად აღუშენებია ფორმალური ლოგიკის კანონების თანახმად, მაგრამ „თვით მის სილოგიზმში არის შეცდომა“, წინამძღვარი ამ სილოგიზმისა არ არის მართალი.

დევა „მწვავე“ ხასიათს ლეგულობს. იმართება მსჯელობა არსებობს თუ არა საგანი როგორც ობიექტური რეალობა. პირველი „მაძიებელი

ქეშმარიტებისა“ თავის გამართლების მიზნით მოიშველიებს იდეალისტურ გნოსეოლოგიას, მიუთითებს, რომ თვალი როგორც გრძნობის ორგანო „გვაცდუნებს“, არ არის სანდო. ვირის ფეხების სიპატარავე თვალს ერეენება, სინამდვილეში კი ეს ასე არაა. მაგრამ „მეორე მაძიებელი მეცნიერი“ იმავე იდეალისტური გნოსეოლოგიის საფუძველზე ცდილობს დაამარცხოს თავისი მოწინააღმდეგე. იგი მიუთითებს: „თუ მართალია, რომ თვალი გვაცდუნებს, მაშინ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ვირს აქვს დიდი ფეხები და, მაშასადამე, ვირი არის პროპორციულად აგებული და ბუნებაც არ არის შემცდარი, აქვე იმართება მსჯელობა ფორმალური ლოგიკის კანონზე. ერთი მათგანი უარყოფს ფორმალურ ლოგიკის მოთხოვნას, რომ ერთსადამივე საგანზე ითქვას: ან ჰო, ან არა.“

ასეთია „ქეშმარიტების“ ამ მაძიებელთა შორის გამართული კამათის ხასიათი. საფიქრებელია, რომ მათი სახით ლ. არდაზიანს მაშინდელი თბილისელი ზოგიერთი სემინარიელი ჰყავდეს გამოყვანილი. ლ. არდაზიანი მათს „ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას“ დასცინის.

ბოლოს, მათ მოველინა ქალაქელი ბიჭი, რომელსაც აეტორი ათქმევინებს: „ვირს აქვს თავი დიდი და ცარიელი, ეს ის არის, რომ კაცი ამოდ გამოიძიებს მიუწვდომელ საგნებს: ვირის დიდი ყურები ეგ ის არის, ვინც ამ მიუწვდომელი საგნების გამოკვლევას გამოუდგება, ის უსაშინელესი უმეცარია, ისე როგორც ვირი“. ქალაქელი ბიჭის სიტყვებში გამოხატულია დაცინვა „ქეშმარიტების“ ამ ცრუ მაძიებლებისა.

ეს სცენა, შესაძლებელია, მიმართული იყო მაშინდელ სასულიერო სემინარიაში გამეფებული სქოლასტიკური აზროვნების წინააღმდეგ.

„მოგზაურობა თბილისის ტროტუარზე“ თბილისის მესამოცე წლების საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლისათვის მნიშვნელოვანი მხატვრული დოკუმენტია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაწარმოებში მწერლის სიმპატია, „ქალაქელი ბიჭის“ სახით, ყმა-გლეხობისკენაა. შემთხვევითი არაა, რომ ყველა იმ მაზინჯ მხარეებს, რომელიც ნაწარმოებშია გადმოცემული გლეხის ბიჭი დაუნდობლად დასცინის და ჰკიცხავს. იგი ამ მხატვრულ ნარკვევში გამოიჩინება თავისი გონიერებითა და დადებითი მორალური თვისებებით.

ამ ნაწარმოებმა მაშინდელ ქართველ ინტელიგენციაში დიდი დავა გამოიწვია. ბევრმა მასში თავისი თავი დაინახა. ახალი თაობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ეს ნაწარმოები „მამათა“ ბანაკიდან გამოლაშქრებად მიიღეს. ამ ნაწარმოების იდეური მრწამსის გაგებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აკაკი წერეთლის წერილს კირილე ლორთქიფანიძესადმი. აკაკი წერს: „ბულგარზედ მოგზაურობა დაბეჭდვამდის ჩემ ხელში იყო, მაგრამ იქ ჩვენზედ არაფერია. ვიზღვდაც არას ვიცი ყოველი პირი, მაგრამ გამოსარჩლება არ გვარგებს, ღირსნი არიან, ტროსტიჩებით ეძებენ ტროტუარებზე ქეშმარიტების ნამსხვრევებს, არა იციან რაო იმას ამბობენ, მაგრამ ქართული არ იციანო. თორემ ჩვენზედ როგორ გაბედავენ რამეს დაწერას, ეს სტატია არდაზიანის არის, იმან დას-

წერა. კი დაეწერათ ჩვენზედაც პასუხი ვილაცხეებს, მაგრამ იქვე ეთქვათ, შოგ-
ლომით ტყავის გაძრობა და ეგ არისო და შიშით უქანვე წაეღოთ“¹.

ა. წერეთლის ეს წერილი ადასტურებს, რომ ლ. არდაზიანს ნაწარმოებში
„მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზე“ რეალური, ცოცხალი ადამიანები
ჰყავდა გამოყვანილი. იგი ამხელდა ნაკლოვან ადამიანებს, როგორც საზოგა-
დოებისათვის, კულტურის განვითარებისათვის მიენე პირებს. აკაკის წერილი
აგრეთვე არკვევს ლ. არდაზიანის დამოკიდებულებას „შვილებისადმი“.

მიუხედავად ა. წერეთლის წერილისა, ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ
კირილე ლორთქიფანიძემ „საქართველოს მოამბეში“ ამ ნაწარმოებზე შიშც
მოათავსა წერილი, რომელშიც ლ. არდაზიანის ნაწარმოებს აზრი სწორად
ვერ იქნა გაგებულნი. კირილე ლორთქიფანიძემ ახალი თაობის მიმართ დაცინვა,
რომელსაც ნაწარმოებში უარყოფითი პერსონაჟი (ურცხვაძე) გამოსთქვამს, მწერ-
ლის მოსაზრებად მიიღო, რაც, ცხადია, არ იყო სწორი. ეს კიდევ უფრო ნა-
თელი შეიქმნა, როცა ლ. არდაზიანმა „ცისკარში“ კირილე ლორთქიფანიძის
საპასუხო წერილში „ორიოდე სიტყვა შესახებ თერგდალეელის სტატიისა“
თვით გაარკვია ნაწარმოების აზრი და გამოამჟღავნა თავისი თანაგრძნობა
ახალი თაობის მიმართ. ლ. არდაზიანი ამ წერილში ახალი თაობის საყურად-
ღებოდ სწერდა: „უფალო ბიძია თონიკე (ლ. არდაზიანი. ა. გ.) თქვენცენ არის,
თქვენ კი ეშმაკებისკენ?... არ არის კარგი“.

საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში დაცულია ლ. არდაზიანის გა-
მოუქვეყნებელი წერილი სათაურით „ახალი მნათობები“, რომელიც მას დაუ-
წერია 1862 წლის 23 მაისს. აღსანიშნავია, რომ ამ წერილში ლ. არდაზიანი
ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ ექვთიმე წერეთლის მიერ გამოქვეყნებულ წერილს
„მაღლე დომხალს“ უწოდებს. იგი ახალი თაობის ზოგიერთ წარმომადგენელს
არ ეთანხმება მხოლოდ ჩახარუხაძის შეფასებაში.

ლ. არდაზიანი კარგად იცნობდა, როგორც ფილოსოფიას, ისე პოლიტი-
კური ეკონომიის თეორიულ და პრაქტიკულ საკითხებს. მას სამსახურებრივი
მოვალეობის მხრითაც უხდებოდა ქალაქის ეკონომიური ცხოვრების დაცვრე-
ბა და შესწავლა. ეკონომიური საკითხების ცოდნა ემზადებდა, როგორც მის მხატვ-
რულ ნაწარმოებებს „სლონომონ ისაკი მუჯღანუაშვილსა“ და „ფულს“, აგრეთვე
პოლემარიდან ნათარგმნ ნაწარმოებს „ყოველივე მოიპოვება შრომით, პოლიტიკუ-
რი ეკონომიის ნაწილი“, რომელიც დაიბეჭდა „ცისკარის“ 1863 წლის ნომერში.
აღსანიშნავია, რომ ლ. არდაზიანი ამ ნაწარმოებში წარმოდგენილი ზოგიერთი
პირის მოქმედებას უფარდებს საქართველოს მაშინდელ ვითარებას. ლ. არდაზიანი
ასეთ შენიშვნებს აკეთებს: „მარკიზი—თავადიშვილი“, ხოლო იქ სადაც ლაპა-
რაკია გლეხკაცობის შემავიწროებელ ჩარჩ-ვაჭარზე რობინოზე, შენიშვნაში
ვკითხულობთ: „ზოგი ეხლა ჩვენკენ მოიკითხონ“ რობინოების მსგავსი პირებო.
ნაწარმოებში, საქართველოს მაშინდელ ვითარებისათვის ლიბერალური აზრ-
ბია გამოთქმული. ამიტომაც უთარგმნია ლ. არდაზიანს ეს ნაწარმოები და ზო-
გიერთი ადგილი ქართული ცხოვრებისათვის შეუუარდებია. პოლემარს ეკონომი-

¹ წერილი გამოქვეყნა ს. ხუნდაძემ (იხ. ს. ხუნდაძე—გ. წერეთელი, ტ. 1, გვ. 399).

ური საკითხები მხატვრულ ფორმაში აქვს გადმოცემული. ნაწარმოებში რამდენიმე პირია გამოყვანილი. სოულის ღატაკი გლეხი ჟორჯი თავისი ქალიშვილით მადლენათი, ფაბრიკის მეპატრონე შარლი, პოლიტიკურ ეკონომიაში განსწავლული რენო და მევახშე-ვაჭარი რობინო. ნაწარმოების სიუჟეტი ამ პირთა საუბარში ვითარდება.

ღატაკი გლეხი ჟორჯი, რომელიც მეპატრონის მიწაზე ცხოვრობს, თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოა, რადგან მის ნაშრომს სხვა ითვისებს. ქარხნის მეპატრონეს შარლს იგი მშრომელთა უფლებებს მშრომელის მიერ შექმნილ საგანზე ასე განუმარტავს: „ნიეთსა... სხვა არა რა ფასი არ სძევს, გარდა იმისა, რომელსაც მისცემს მას შრომა“... „და ესრეთ, თუ ნიეთსა აქვს მხოლოდ ის სარგებლობა, რომელსაც მისცემს მას შრომა, რასაკვირველია, ყოვლის სიმაართლით უნდა ვთქვათ, რომ თვით ნიეთიც უნდა ეკუთვნოდეს იმას, ვინცა სდებს მას ფასსა“. მას აღუღებებს ის მდგომარეობა, რომ მის ნამუშევარს მემამულე ითვისებს.

ფაბრიკის მეპატრონე შარლი სხვაგვარ აზრებს ანვითარებს, იგი ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის ნიადაგზე დგას. თავის აზრებს ამგვარად გამოთქვამს: „1. კაცმა უნდა იშრომოს, 2. შრომით კაცი მოიპოვებს ნიეთსა, რომლის საშუალებით დააკმაყოფილებს თავის საჭიროებათა. 3. გაცვლა შრომისა გაავრცელებს კაცის კეთილმდგომარეობასა და დააფუძნებს საზოგადოებასა. 4. ამ გაცვლაში ყოველი კაცი არის თავისუფალი, არ არის დამონებული სხვისაგან და მასთანვე კი ერთი მხარეცა, მეორეცა არიან მტკიცეთ შეკავშირებულნი“.

რენო შრომის შესახებ ცნობილი ბურჟუაზიული ეკონომისტების ადამ სმიტისა და ჟან-ბატისტ სეის თეორიულ შეხედულებებზე მიუთითებს.

ავტორი ფაბრიკის მეპატრონეს შარლს უპირისპირებს ვაჭარს რობინოს, რომელიც „არწმუნებდა ყველას, რომ შარლის ქარხანა დასცემდა ვითომ იმათ საფეიქრო ქარხნებსა“. სინამდვილეში, როგორც ავტორი შენიშნავს, მას აწუხებდა თავისი მდგომარეობა. იგი საქონლით ვაჭრობდა და მას შარლის ფაბრიკა მოგებას შეუმცირებდა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რობინოს კონკურენციის ეშინია. რომ მსხვილი წარმოების გვერდით მას, როგორც მევახშე-ვაჭარს, არსებობა გაუჭირდება. რობანო გლეხობას ატყუებს და ავიწროებს: „ყოველ კვირას,—წერს ავტორი,—იმისი ღერეფანი გლეხკაცებით იყო გაქედლი, რომელნიც სთხოვდნენ მას სესხად ფულსა და რომელთაც ღიბხანს ატარებდა რამდენიმე მანეთისათვის... ხან დაჰპირდებოდა, ხან უარს ეტყოდა, ხან ისევ დაჰპირდებოდა და მისი საშინელი ფრაზა „ჯერ კიდევ ვნახავთ“, ხშირად აატირებდა საწყლებსა“. ლ. არდაზიანი შენიშნავს, რომ ასეთი მევახშე-ვაჭარები მან რდელ საქართველოშიაც ბლომად იყვნენ.

პოლემარის ამ ნაწარმოების გაგრძელება უკანასკნელად „ცისკრის“ 1863 წლის მეორე ნომერში გამოქვეყნდა. აქვე იყო მიითთებული, რომ გაგრძელება შემდეგ ნომერში დაიბეჭდებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ავტორმა ვეღარ შეასრულა. ისე რომ ნაწარმოები დასრულებული არ არის. რატომ არ გამოქვეყნდა გაგრძელება? უნდა ვიფიქროთ, რომ ნაწარმოების შინაარსი მაშინდელ ხელისუფალთ არ მოეწონათ და მისი ბეჭდვაც შეაჩერეს, ისე როგორც შეჩერდა მოლაპის წერილების ბეჭდვა.

* * *

საქართველოში მეფის რუსეთის დამკვიდრებას ფეოდალურ-ნატურალური მეურნეობის საძირკვლების შერყევა და სავაჭრო ურთიერთობის განვითარება მოჰყვა. ამასთან დაკავშირებით, სავაჭრო ბურჟუაზიამ თანდათანობით მოიკიდა ფეხი საქართველოში და განამტკიცა თავისი ძალა.

ლ. არდაზიანი მხატვრულ ნაწერებში ასახავს ამ პროცესებს, მას ეკუთვნის „ციცკის“ 1859 წლის ნომერში ინიციალებით „ლ. ა.“ ხელმოწერილი, ვრცელი ლექსი „ფულსი“, რომელშიაც გამოხატულია სავაჭრო ურთიერთობის, ფულის ძალა და მისი სიმტკიცე. ავტორს მშვენივრად აქვს დახასიათებული ფულის თვისებები, სავაჭრო ბურჟუაზიის ჩამოყალიბების პერიოდში მისი ორმაგი ბუნება—რომ იგი ზოგს აბედნიერებს და ზოგს აუბედურებს. მოვიყვანოთ ამ ვრცელი ლექსის ერთი ნაწილი.

„უწესოდ გაჩენილო, ურიცხვთ დასამზობელად,
იუდას სისხლით სერილო, ბოროტად სახმარებლად,
კაცთა ამპარტაუნების ამწეო მეტად მაღლად,
მაგრამ ამათთან ერგეთ კეთილს იქ დიად მრავლად

ბარემ ისევ ფულებო,
ვერცხლის სიამოვნებო,
ჩვენო თვალის სინათლევ,
ქონების მიმტაცებო.

ხშირად გიყვარს სტუმრობა მარად განუჩივებელი,
ამაო ფუფუნება, ჭამი დაუდგრომელი,
კაცთ ბუნების აღმძვრელი და შურით აღმსებელი,
სიმაართლის დამჩაგვრელი, კაცთ ზნეობის გამარყვრელი

რა ესთქვა? — ისევ ფულებო,
ვერცხლის სიამოვნებო,
ჩვენო თვალის სინათლევ,
გონების მიმტაცებო.“

„რა გინდ ეანემე გაბაგოს კვლავ და კიდევ ვართ შენი,
ლხინსა თუ ჰირეებაში შენ გიგალობს ხმა ჩენი,
ბნელის ღამის გამნათი, უცნობისა გზის მჩენი,
პერობილთა ტყვეთ გამომხსნელი, ფულებო, არს დრო თქვენი.

აბა ისევ ფულებო,
ვერცხლის სიამოვნებო,
ჩვენო თვალის სინათლევ
გონების მიმტაცებო.

ცხადია, როდესაც ლ. არდაზიანი ამ ლექსში ფულს ახასიათებს, მას მხედველობაში აქვს სავაჭრო კაპიტალიზმის განმტკიცების პერიოდი და ფული როგორც ამ საზოგადოებრივი ურთიერთობის განმასახიერებელი ძალა. გასა-

გება, რომ მწერალი ფულში უარყოფითთან ერთად დადებით მხარეებსაც ხედავს.

ლექსი „ფულა“ შეიძლება სოციალური რომანის „სოლომონ ისაკი მევლანუაშვილის“ თავისებურ შესავლად ჩაითვალოს. ამ ლექსის აზრი სავსებით შეესაბამება „სოლომონ ისაკი მევლანუაშვილის“ ავტორის იდეურ მიმართულებას.

ლ. არღაზიანი „სოლომონ ისაკი მევლანუაშვილში“ ასახავს საქართველოში მე-19 საუკუნის მეორეოც და ორმოცდამეათე წლებში, ბატონყმური ურთიერთობის დროს, ქალაქად სავაჭრო კაპიტალის პირველი დაგროვების, მისი განვითარების პროცესს და ამასთან დაკავშირებით თავად-აზნაურთა მდგომარეობის შეცვლასა და დაქვეითებას. ამ პროცესს ჯერ კიდევ ადრე გ. ერისთავი შეეხო თავის კომედიებში. ლ. არღაზიანი ეს საკითხი პროზაში გადმოიტანა და შედარებით ფართოდ, თავისებურად გააშუქა. იმ დროს, როდესაც სოლომონ მევლანუაშვილი სავაჭრო ასპარეზზე მოქმედებდა, საქართველოს დედაქალაქი თბილისი ამიერკავკასიის სავაჭრო აღებ-მიცემობის ცენტრს წარმოადგენდა. ლ. არღაზიანი „სოლომონ ისაკი მევლანუაშვილში“ აღნიშნავს, რომ თბილისის სავაჭრო მოედანზე ყოველდღიურად ნახავდით „სხვადასხვა თემის ხალხს“, „რუსი, ქართველი, სომეხი, თათარი, ნემცი, ლეკი, ოსი, ფრანგი და სხვადასხვა იეროდნენ, ყუყუნებდნენ და ვაჭრობდნენ“. ესენი არა მარტო ადგილობრივი ვაჭრობის მონაწილენი იყვნენ, არამედ შემოქმენდათ და გაჰქონდათ საქონელიც. ლ. არღაზიანის მიერ გამოხატულ ვაჭართათვის უცხო არაა რუსეთის, მოსკოვის ბაზარი. სარქისბეგაშვილი, რომელსაც თბილისში 20 დუქანი აქვს, ვაჭრობას აწარმოებს არა მარტო საქართველოში, არამედ მოსკოვშიაც. ასევე, რუსეთის ბაზრის კურსშია სოლომონ მევლანუაშვილიც.

რომანი „სოლომონ ისაკი მევლანუაშვილი“ ძირითადად აგებულია სოლომონ მევლანუაშვილის თავგადასავალზე, რომელიც ასახავს როგორ ჩამოყალიბდა ვაჭრის სახე ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ჩვენში ბატონყმობა სუფევდა. სოლომონ ისაკი მევლანუაშვილი წარმოშობით ქართველი არაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი, როგორც ახლად აღმოცენებული სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენელი, ჩვენი მაშინდელი გარდამავალი ცხოვრებიდანაა აღმოცენებული.

სავაჭრო ბურჟუაზიის წარმოშობა ქართული სინამდვილისათვის დიდ საზოგადოებრივ მოვლენას წარმოადგენდა. ეს იყო ის ძალა, რომლის განვითარებამ შემდეგ ფერი შეუცვალა მთელს ჩვენს ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებას.

მევლანუაშვილი, ისე როგორც ეს თავდაპირველად ხშირად იყო დამახასიათებელი ვაჭართა კლასისათვის, გამოსულია დაბალი სოციალური წრიდან. მისი მამა ქალაქელი მევლანე იყო, სოლომონი მაშინ დაიბადა, როდესაც საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობა ისტორიას ჩაბარდა და მისი გამგებელი თვითმპყრობელური რუსეთი შეიქმნა. სოლომონმა საქართველოში რუსეთის სავაჭრო კაპიტალთან ერთად აიდგა ფეხი. იგი წარმომადგენელი გახდა იმ ახალი სავაჭრო კლასისა, რომელმაც ჩვენში მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში იწყო ჩამოყალიბება.

სოლომონ მეჯღანუაშვილს, მომავალ ვაჟარს მშობლებისაგან არაფერი დარჩენია. ძველი თბილისის მივარდნილ კუთხეში, „ციხის უბანში“, მათი ბინა უფრო „დათვის სოროს“ ჰგავდა. ვიდრე ადამიანის საცხოვრებელ ადგილს, ხოლო მათი სახლის მთელი ქონება, რომელიც პატარა სოლომონს მამის გარდაცვალების შემდეგ დარჩა, დამსხვრეულ ტახტს, დაგლეჯილ ფარდაგს, ძველ კილობს, პატარა ქვებს და ორ შამფურს წარმოადგენდა. ამისი პატრონი, ჯერ კიდევ ბავშვი, სილატაკისაგან გამოუზიზღებულ, იბრძვის გამდიდრებისათვის. მაგრამ სოლომონი ამ შემთხვევაში მარტო არ იყო. ასევე სილატაკის ბუღიდან არიან გამოჩეკილი გ. ერისთავის კომედიების ჩარჩი ვაჟრებიც. „უჩინაჩინის ქუდი“ პერსონაჟი, მდიდარი სომეხი ივანე მინასოვი, იკვებნის კიდევ: „იცი, მამაჩემი ჰკევსა ჰყიდდა. ეხლა ბლაღაროდნი ვარ, განა ის ბლაღაროდნი, ქართველი, ფეხშიშველა აზნაური... ჩემი სახელი ვეროპამ იცის“.

არაფრის მქონემ, უპატრონოდ დარჩენილმა 16 წლის სოლომონმა მიაშურა თბილისის ბაზარს, სადაც პატიოსნების ყიდვა-გაყიდვაც კი წარმოებდა. ეს ადგილი შეიქმნა აღმზრდელი მრავალი ვაჟრისა და მათ შორის სოლომონისაც. აქ გაისვენა ამომავალი ბურჟუაზიის საძირკვლები და აქ აიდგა ფეხი სოლომონმაც. იგი აქვე დარწმუნდა, რომ ვაჟრობის სარბიელზე საჭიროა ვაღლეთა და გაუტანლობა. ისიც ასე იქცევა. სოლომონი ამბობს: „საჭიროა კაცის სისუსტის ცოდნა; ისარგებლე ამ სისუსტით და ქვეშიდან ხალიჩა ისე გამოაცალე, რომ არც კი შეიტყოს ეს. უფერად დაციე გაქირვების დროს და რაც შეიძლება მეტი ააძვრე. გქონდეს შეუბრალებლობა. მეტი არაფერია საჭირო, რომ ბედნიერი გახდე“. ასეთი მგლური მისწრაფებები შეიქნა საჭირო ჩარჩ-ვაჟრისათვის, რომ სიმდიდრე შეეძინა, რომ, ერთ დროს ლატაკი, შეძლებულა მოქალაქე გამხდარიყო.

ლ. არდაზანი, საუწყეთესო მცოდნე ჩვენი მაშინდელი ცხოვრების ვითარებისა, ცოცხლად, ღრმად და ოსტატურად გვიხატავს სავაჟრო ბურჟუაზიის, კერძოდ სოლომონ მეჯღანუაშვილის პირველ გამოცდებს ცხოვრების ასპარეზზე, მისი ვაჟრული სახის, ფსიქიკის თანდათანობით ჩამოყალიბებას.

პირველი ცდა, რომელიც ულუქმაპუროდ დარჩენილმა ახალგაზრდა სოლომონმა თბილისის ბაზარზე ჩაატარა, შუაყაცობა იყო, რის გასამრჯელოდაც მიღებული „ბაღდადი“ მან იმავე დღეს ოქროდ აქცია. ცოტა ხნის შემდეგ ბატკნებით ვაჟრობა დაიწყო. საბრუნავი თანხა, რომელიც სოლომონმა თავდაპირველად ბაზარში მოაქუჩა, 6 მანეთს წარმოადგენდა, ხოლო ერთი თვის შემდეგ ეს თანხა მან 35 მანეთად აქცია. აქ სოლომონმა, როგორც თვითონ ამბობს, „მონახა მუქთად ფულების შოვნის“ გზა. ამ გზაზე შედგომის სიხარულმა იგი სრულიად გამოცვალა, თავად ლუარსაბ რაინდიძის ოჯახიდან გამოყოლილი პატიოსანი ადამიანის ტანისამოსი გაიხადა და ჩარჩის ჩაიცვა. ფეხშიშველა დატანტალებს ბაზარში, მთელი დღე მოძრაობაშია, საქმიანობს, „ძილი და მოსვენება არა აქვს“. ქალაქში ყველაზე ადრე დგება, უთენია შემოიბრუნეს ქალაქს, რომ იქნებ სავაჟრო რამ ჩაუვარდეს ხელში. მოვიყვანოთ ნაწარმოები-

დან ერთი მაგალითი, სადაც ლ. არდაზიანის მიერ რეალურ ფერებში ოსტატურად არის გადმოცემული ჩარჩული ვაჭრობა:

სოლომონმა თვალი მოჰკრა გლეხს, რომელსაც ბაზარში ვალით გასაყიდად მოჰყავს ვარიები. ჩარჩმა გლეხი „ხელში ჩაიგდო და გამართა ვაჭრობა:

„—აბა, ჩემო საყვარელო! რამდენი ვარია არის და როგორა ჰყიდი? —თერამეტი ვარია გახლავსთ. ორი მანეთი მიბოძეთ.

—ეჰ, ჩემო საყვარელო! ასეთი ფასი თქვი, რომ ჰკუთუნდაც ახლო იყოს. სწორედ გითხრა მანეთად არ ღირს და არც არავინ მოგცემს მაგდენ ფულსა; ხომ კარგა იცი, ფული ქვიშასავით წყალში არა ყრია; ანუ პანტასავით ტყეში არ მოდის.

—ეს კარგა ვიცი, მაგრამ თქვენც კარგად უნდა იცოდეთ, რომ ვარიებიცა ტყეში არ იზრდებიან, რომ იმათაც მოვლა და გაზრდა უნდათ, რომ შორის სოფლიდან მოვლიყარ.

—მაშ, სწორე ფასი რა არის?

—ცხრა აბაზი.

ოჰ ღმერთო ჩემო! რა დრო შეგვექნა, ხუთგროშიან ვარიასაც კი ფასი დაედო! ვინ გაუძღებს ამისთანა საშინელ სიძვირესა! აბა. ღმერთი რად მოგვცემს კარგსა!

—მე იმ დროს მოვესწარ, როდესაც ქალამანს ვყიდულობდი ხოლმე შაურად და ორ შაურადა; ახლა კი—ათ შაურადაც ეღიარ გვიშოვია. თუ თქვენს ქალამნებს ფასი მოემატა, მითომ ჩემს ვარიებს ფასი რატომ არ უნდა მოემატოს?!

—ხედავ, ძმაო, ჰკვიანი კაცი ხარ, მაგრამ ძვირად კი აფასებ ვარიებსა. ოთხი აბაზი მოგცე?

—ვერა, ვერ მოგცემ მაგ ფასად.

—ოთხ აბაზს—უზალთუნი?—და ამისთან თეთრი ფული ამოვიღე და დავანახე ვარიების ბატრონსა, განგებ, რომ დამებრმავებინა ფულის სილამაზითა:

—მაგისთანა ფულები ბევრი მინახავს, მე არ მიკვირს.

—აჰა მანეთი!

—არ შეიძლება.

—მაშ რას ითხოვ?

—უკანასკნელი ფასი ცხრა აბაზი.

—მოიცა, სად მიხვალ! აბა მაჩვენე შენი ვარიები!

—აი ვარიები, გასინჯე; თითო ამისთანა ვარია აქ, ამ მოედანზე სამ შაურად იყიდება, მე—კი გთხოვ ორ შაურსა! ხუთ აბაზს რომ იძლევი, ღმერთი არ არის თქვენში!

—უჰ, რა გამხორები არიან, თითქოს არ გიკმევიარა.

—მაშ, რაღას დიდ-დიდს იძახი, შე დალოცვილო! განა გამხდარსა და მსუქან საქონელს ერთი ფასი სძევს?

—აქ ნებაყოფლობით უნდა იყოს ვაჭრობა; თუ არ მოგწონს საეაჭრო თქვენ თქვენთვის, მე ჩემთვის.



—აჰა, ხუთ აბაზს—უზალთუნი.

—არ იქნება.

—დაიჭი, დაიჭი ექვსი აბაზი; ამასაც შენი ხათრისათვის გაძლე, თორემ...

—რას მამბრიყვებ, გამიშვი!

—სად მიზვალ?

—წავალ, ქალაქი დიღია.

—მაიცა, დაიცადე, ერთ სიტყვას გეტყვი.

—აჰა, მოვიცილი: მითხარი ერთი სიტყვა.

—აი ძეაო, რას გეტყვი. აქედან სიონამდის რომ წახვიდე, ჯერ ერთი, რამდენ დროს დაჰკარგავ. მეორე—ქალამანი გაგიცვდება, მესამე—ვარიები შიმშილისაგან უფრო შემესუბუქდებიან, იქნება კიდევ დაიხოცნონ და მაშინ, რასაკვირველია, ექვს აბაზსაც არავინ მოგცემს. ჭკუას ნუ დაჰკარგავ.

—ახ, ღმერთო ჩემო! ეს რა კირში ჩავარდი! სად გაგონილა, რომ კაცს თავის საქონელზე უფლება არა ჰქონდეს, მანამ არ გაყიდოს, აღარ ვყიდი, თავი დამანებე!

—ხომ არ გაგიტეხულხარ, ოხერო! ვინ გეკიდება! ჯანდაბამდის გზა გქონდეს. მაგრამ იმასაც კი გეტყვი, ჭკუას წააგებ: ქართველი სხვა ვინ ყოფილა ჭკვიანი, რომ შენ იყო?"

ამონაწერი რომ აღარ გავაგრძელოთ, ჩარჩების, „შუაკაცების“ მეშვეობით, რომლებიც გლესს ირგვლივ შემოესავენ, სოლომონმა ვარიები გლესს იფად დატყუა და იქვე დიდი მოგებით გადაჰყიდა.

სოლომონის სავაჭრო საუბანი ხშირად იცვლება. იგი იქით მიისწრაფვის, საითაც მეტ მოგებას ნახავს. ბატკნებით, ვარიებით, ხილით „კინტუობით“ დაიწყო მან ჩარჩობა, მაგრამ შემდეგ მისი სავაჭრო მოქმედების არე თანდათან ფართოვდება, სცილდება თბილისის ბაზარს; პირველად იგი ქართლისაკენ გაეშურა პურისა და ქერის შესასყიდად. მაგრამ იგი ამ სავაჭრო ოპერაციებით არ კმაყოფილდება. მალე ჩარჩს შეეზარდა მეფახშე; სოლომონი სოფელში ფულს ასესხებს, სამ მანეთზე კოდ პურს სარგებელს იღებს. მარტო ერთი სოფელი წელიწადში 200 კოდ პურს აძლევს სარგებელში. ეს მაშინ, როდესაც, როგორც თვით მეჯღანუაშვილი აღნიშნავს, „ქართლში მტკვრის ორივე მხარეს არ იყო სოფელი, რომელსაც ჩემი ფული არ მართებოდა“. ქართლიდან მეჯღანუაშვილი კახეთში გადავიდა, სადაც სირაჯობას მიჰყო ხელი, შემდეგ ბორჩალოში ცხვარსა და საქონელს ყიდულობდა და ჰყიდა. მეჯღანუაშვილი დაეფულა მთელ აღმოსავლეთ საქართველოს. მისი მოვალენი არიან არამარტო გლეხები, არამედ თავადებიც. სოლომონის ფული მართებს თავად ლუარსაბ რაინდაძესაც, რომლის ოჯახშიაც თვით აღიზარდა.

მეჯღანუაშვილი, როგორც ეს ჩვევია აღმავლობის გზაზე დამდგარ სავაჭრო ბურჟუაზიას, უაღრესად პრაქტიკოსია. იგი პირველ ყოვლისა ცხოვრების ბაზარს უკვირდება, მის პრაქტიკას ითვისებს და ისე მოქმედებს. აქ შეიგნო მან არა მარტო ის თუ როგორ უნდა მოატყუოს ადამიანი, არამედ ისიც, თუ როგორ უნდა დაატრიალოს ფული. იგი პირველ ხანებში, სანამ საბრუნავი თანხა მისთვის მიუწვდომელ რაოდენობამდე ავიდოდა, თითქოს გრძნობს, რომ მისი მოგება ფულის ბრუნვის სისწრაფეზე დამოკიდებულია. მას ვაჭრობის, ფულის დაბანდების

თავისებური გეგმაცა აქვს. სოლომონი ვაქრობს ზაფხულში ქართლში—პურით, შემოდგომაზე კახეთში—ღვინით, ზამთარში ბორჩალოსა და განჯაში—პირუტყვით. ამასთან ერთად იგი მჭიდრო კავშირშია საქართველოს სავაჭრო ცენტრთან—თბილისთან. იგი ჩარჩიც არის, მეფახშეც და შემდეგ თბილისელი სოც-დაგარი.

მეჯღანუაშვილის სავაჭრო მარშრუტის ცვლასთან, სავაჭრო ოპერაციების ზრდასთან ერთად იცვლება, მატულობს მისი შეძლება, კაპიტალი, ხოლო ამ ცვლილებებთან ერთად იცვლება საზოგადოებრივი მდგომარეობაც. თბილისის სავაჭრო მოედანზე მას, ფეხშიშველა ჩარჩს, ახლო წარსულში თავში სცემდნენ, ახლა კი მდგომარეობა შეიცვალა. მისი ფულით დავალიანებულია ჰრავალი. სოლომონს სოფლად დიდი პატივისცემით ეგებება როგორც ბატონი, ისე ყმა-გლეხი.

სოლომონმა შეიგნო მაშინდელი ცხოვრების ვითარება, რომ ფული ყოველის შემძლე შეიქნა, რომ ის, ლატაკი, უპატრონო ადამიანი ოქრომ აიყვანა დიდ სიმდიდრედ. ამიტომაც მის არსებაში ფულმა, ოქრომ დიდი სიყვარული მოიპოვა; „გროშს გროშზე ადებს“ ენერგიას არ ზოგავს და სინდისზე ხელს იღებს, რომ რაც შეიძლება მეტი ფული მოიგდოს ხელში. სოლომონი იღენად მოხიბლა ოქრომ, რომ როგორც თვითონ ამბობს, „კაცის ენაზედ ვერ ვპოვებ სიტყვასა, რომ გამოვთქო, როგორ შემიყვარდა ოქრო! ღვიძლი შეიქნა ის ჩემი სულისა! ჩემმა გულმა კარები გაუღო და მაგრა ჩაიქრა იგი“. კ. მარქსი კაპიტალში წერს: „კაპიტალისტური წარმოების წესის ისტორიულ დასაწყისში,— და თითოეული დამწყები კაპიტალისტი გაივლის ინდივიდუალურად ამ ისტორიულ საფეხურს,—გაბატონებულია გამდიდრების წყურვილი და სიძუნწე, როგორც აბსოლუტური ენებანი“¹. მეჯღანუაშვილი კაპიტალიზმის განვითარების დასაწყის პერიოდში გატაცებულია გამდიდრების წყურვილით და მას, დამწყებ ვაჭარს, ახასიათებს სიძუნწე. მომჭირნეობათ ცდილობს კაპიტალის პირველ დაწყებით დაგროვებას. მომჭირნეობა სიძუნწეში გადადის. „ოთხმეტე თვის განმავლობაში მხოლოდ პურით ვიკვებებოდი“—ამბობს სოლომონი. როდესაც ის გამდიდრების საუბურებზე დიდი წარმატებით აღიოდა, მაშინაც კი შიმშილობდა, მომჭირნეობით ცხოვრობდა. მისი მორალი ვაჭრული მორალია. იგი არათუ სხვას, თავის საკუთარ ცოლ-შვილს, თავის მოაზარებულსაც არ ინდობს. ამ შემთხვევაში, მისთვის ამაოდ ჩაიარა ბავშვობისას თავად რაინდიძის ოჯახში მიღებულმა დარიგებებმა, „ვეფხისტყაოსნის“ კითხვამ.

მეჯღანუაშვილს ცოლ-შვილიც ჩაბმული ჰყავს ვაჭრობაში. ისინი დიდიდან საღამომდე ფეხშიშველნი, მშვიერი დაეხეტებიან ბაზარში და საპონსა და ასანთს ჰყიდენ. სოლომონმა არ დაინდო, „საკვირველი კიცის“, თავად ლუარსაბ რაინდიძის ოჯახიც, რომელმაც ის, ულუკმაპუროდ დარჩენილი, უცხო ტომის ადამიანი, თავის ოჯახში შეიკვდლა. გამდიდრების გზაზე შემდგარმა სოლომონმა ლუარსაბ რაინდიძეს ფული ასესხა. ლუარსაბის სიკვდილის შემდეგ მის შვილს, რუსეთიდან ახლად დაბრუნებულ ა. რაინდიძეს დიდი სარგებელი გადაახდევინა, თანაც თავადიშვილს დაცინვით უთხრა: „ქნიახო! ნუ კი

¹ კ. მარქსი, „კაპიტალი“ ტ. 1 გვ. 538.

გეწყინებთ, მაგრამ ერთი მიბრძანეთ, თქვენი ჭირიმე! ამას მოგახსენებთ, რომ ქართველები დაუდევრები ხართ და არ ფიქრობთ ხვალისათვის. აი, მაგალითები: კურთხეულს მამა-თქვენს ოცდაათი თუმანი მაშინვე რომ გადაეხადა, ეს-ლა იმისი შვილი ოთხას სამოცდა ცამეტ თუმანსა, ცხრა მანეთსა და ხუთ შაურ ნახევარსა არ გადაიხდიდა“. ასე დაუსწავლა ამაგი ჩარჩმა მეჯღანუაშვილმა ქართველ თავად რაინდიძეს.

პირველ დაწყებით დავგროვების პერიოდში თვით ვაჭართა კლასის შიგნით უკვე თავს იჩინეს წინააღმდეგობა, რაც აშკარა ხდება ურთიერთ კონკურენცი-აში. ამის მაგალითია ნაწარმოებში ს. მეჯღანუაშვილისა და გასპარ სარქის-ბეგაშვილის ურთიერთდამოკიდებულება. მართალია, ეს წინააღმდეგობა ჯერ კიდევ არ არის ისეთი, რაც ახასიათებს ბურჟუაზიას განვითარების მაღალ საფეხურზე, მაგრამ ამათი წინააღმდეგობაც შინაგანი, კლასობრივი წინააღმდეგობის ჩანასახია, რომელიც შემდეგ უფრო ფართო ხასიათს მიიღებს. გასპარ სარქისბეგაშვილი ყოფილი მეწვრილმანია, შემდეგ გამდიდრებული. მისი ვაჭრობის ფარგლები საკმაოდ ფართოა: იგი მოსკოვსაც სწევდება. სარქისბეგაშვილი ძლიერი კონკურენტი მეჯღანუაშვილისა, ამიტომაც ბუნებრივია, რომ ერთ-მანეთი სძულთ. სოლომონი ცდილობს სარქისბეგაშვილი ვაჭრობის გზიდან ჩამოიცილოს, და მან ეს განზრახვა ვაჭრისათვის დამახასიათებელი ხერხებით შეასრულა კიდევ; თავისი მეტოქე ცივ ქეზზე დასვა.

რა შედეგების პატრონია მეჯღანუაშვილი? რას მიაღწია მან ვაჭრობით? კარგ ხანს ეს ფეხით სოლომონმაც არ იცოდა. მას იმდენი თანხა დაუგროვდა, რომ მისი ბრუნვაში დაბანდებაც კი ვერ შეძლო. სოლომონი ფულს ინახავდა ტახტის ქვეშ ამოთხრილ საიდუმლო ორმოში. ერთ დღეს მან გადაწყვიტა იანგარიშოს, თუ რა შეიძლება აქვს მას და გამოარკვია, რომ წარსულში ლტაკი სოლომონი დღეს თითქმის მილიონერია, ამ სიმდიდრემ თვით სოლომონ მეჯღანუაშვილი გააოცა, მაგრამ მან არ იცის, როგორ მოიხმაროს ეს სიმდიდრე; იგი ამიერიდან მისიწრაფვის კულტურული ცხოვრებისაკენ, აღარ ძუნწობს, სურს ცოლ-შვილი კულტურულად, მდიდრულად აცხოვროს, მაგრამ იგი როგორც ახალფეხადგმული ბურჟუაზიის წარმომადგენელი, ამისათვის მოუმზადებელია. სოლომონი თვითონვე ამბობს: „მე გემოვნების არა ვამეგება“. ამ დროს, ვაჭართა კლასს საქართველოში ჯერ კიდევ არ ჰქონდა ჩამოყალიბებული კლასობრივი სახე, არ შეუქმნია საკუთარი კულტურა, ამიტომ გასაგებია მეჯღანუაშვილის გზადანეულობა, ლტოლვა თავადობისაკენ რომ რაინდიძე სიძველი მოიკიდოს და სხვ.

მეჯღანუაშვილი სხვისი შთაგონებით თბილისში, სოლოლაკის ქუჩაზე, რომელიც შემდეგ მართლაც სავაჭრო ბურჟუაზიის საცხოვრებელი ცენტრი შეიქნა, შეიძინს ორსართულიან სასახლეს, რომელსაც ახლებურად მოაწყობს, ცოლშვილს მდიდრულ ტანსაცმელით შემოსავს, მაგრამ თვითონვე გრძობს, რომ ისინი ამ ცხოვრებისათვის მომზადებულნი არ არიან.

ლაერენტი არღაზიანი მეჯღანუაშვილს, მის ცოლშვილს სასაცილო მდგომარეობაში აყენებს, როდესაც მათ ქართველი განათლებული თავადიშვილის აღექანდრე რაინდიძის გვერდით წარმოგვიდგენს. მეჯღანუაშვილები რაინდიძეებთან შედარებით, კულტურულად ჩამორჩენილები არიან. ვაეხსენოთ

მეჯღანუაშვილების მდგომარეობა წვეულების დროს ან საოპერო თეატრში. ისინი ოპერაში ხალხის შესახედავად დადიან და არა ოპერის მოსასმენად. სოლომონი, იტალიელი კომპოზიტორის ბელინის ოპერის „ნორმას“ მსვლელობის დროს, ლოჯაში ამპარტავნულად გაქიმული, მუშტრის თვალით სინჯავს დამსწრეებს და ტაშს იქ უკრავს, სადაც მაყურებლები სულგანაბულნი სწენად არიან გადაქცეულნი, ხოლო მისი მეუღლე სოფიო ალექსანდრე რაინდიძესთან საუბარში ბაზრული კილოთი ამბობს ოპერის შესახებ: „მე თეატრი და ჩაცმა მომწონს და არა ღრიალი“.

მეჯღანუაშვილები ახალმა ცხოვრებამ, სავაჭრო ურთიერთობის შემოჭრამ წამოსწია წინ. ვაჭრობით, თაღლითობით შეძენილმა ოქრომ შეიყვანა ის მიღირობით სისახლეში და სამეფო ლოჯის გვერდით დასვა ოპერაში, თუმცა მისი ეკონომიური მდგომარეობა ერთგვარად წინააღმდეგობაშია მის განათლებასთან. შეიძლება ამ გარემოებამ ათქმევინა სოლომონი: „მე ამისათვის არ ვიყავი დაბადებული“. სამაგიეროდ სოლომონმა თავისი ვაჟი ისააკი სწავლის მისაღებად გიმნაზიაში მიიბარა და თანაც ვადაწყვიტა, რომ, თამარი, რათაც არ უნდა დაუჯდეს, განათლებულ თავადს ა. რაინდიძეს მიათხოვოს მაგრამ განათლების მიღებისათვის ვერც სოლომონი და ვერც მისი შვილი ისააკი ვერ აღმოჩნდა საჭირო სიმძლავრეზე. სოლომონს სურს განათლებაც ფულით იყიდოს როდესაც გაიგო, რომ ისააკს სასწავლებელში სწავლა უჭირს, მის ნაცვლად, რომ შვილი მუყაითი შრომით განათლების მიღებისაკენ წაექეზებინა, გაოცებულმა უთხრა: „განა ასეთი რა სასწავლებელია მაგ შენ გიმნაზიაში, რომ ერთი წაითხვით ვერ დაგისწავლია?!“. ოქროებით გადიდებული შულმა თავის ვაჟს ბოლოს ასეთი იმედი მისცა: „შენ ნუ სწუხარ, შენი ამხანაგები შენზე წინ ვერ წავლენ, შენზე სწავლულად ვერ გამოჩნდებიან და შენზე ადრე ჩინს ვერ მიიღებენ.“ მართლაც, მაშინდელი დროისთვის, ყოვლის შემძლე ფულის მეშვეობით, ამ დაპირების გამართლება შეძლო, მაგრამ ამით მან თავისი შვილი ისეთსავე უმცირებაში დატოვა, როგორშიაც თვითონ იყო ჩაყარდნილი.

ასეთი იყო გზა მე-19 საუკუნის მეორმოცე და ორმოცდამეათე წლებში სავაჭრო ურთიერთობის, ვაჭრის ტიპის ჩამოყალიბებისა საქართველოში.

ცნობილი საზოგადო მოღვაწე სტეფანე ჭრელაშვილი ჟურნალ „იმედში“ მოთავსებულ თავის სტატიაში „ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილი“ ჯერ კიდევ 1881 წელს მეჯღანუაშვილებზე წერდა:

„ვინ არის დღეს ჩვენი პირველი კაცი? — რასაკვირველია, სოლომონ ისააკი მეჯღანუაშვილი. ვინ ატრიალებს ჩვენი ცხოვრების ჭახრაკს? — რა თქმა უნდა, მეჯღანუაშვილი. საი თკენ არიან ჩვენი თვალები მიქცეულნი სიშურით და თან გაკვირებით? — მეჯღანუაშვილისაკენ... ერთი სიტყვით, მეჯღანუაშვილი და კიდევ მეჯღანუაშვილი, ეს არის თავი და ბოლო ჩვენი ცხოვრების ბორბლისა“¹.

სტ. ჭრელაშვილს საქართველოში კაპიტალიზმის განვითარება ისტორიულ აუცილებლობად მიაჩნდა, ამიტომ მან მეჯღანუაშვილს „ჩვენი ცხოვრების ღვიძლი შვილი“ უწოდა.

¹ ჟურ. „იმედი“, 1881 წ., № 2, გვ. 59.

ლ. არდაზიანი ამ სოციალურ რომანში მარტო მეჯღანთაშვილების ცხოვრების განვითარების აღწერით არ კმაყოფილდება. მას სავაჭრო კაპიტალის განვითარების პროცესში ქართველი თავად-აზნაურობის მდგომარეობაც აინტერესებს. რომანში ნაჩვენებია, რომ გამდიდრებულ მეჯღანთაშვილებთან ერთად თბილისში ცხოვრობს სოფლიდან ქალაქად ჩამოსული, ახალი ცხოვრების ფუფუნებით გატაცებული ქართველი თავადაზნაურობა. მათი ცხოვრება დაკნინებულია. ისინი ნაწარმოებში აქა-იქ სილუეტებივით მოჩანან, როგორც ნიადაგ-გამოცილილი თესვა ადამიანები. ასეთებია „მუჟა-ტყუილა“, „მუცელ-ღმერთა“ კერპაძე, თონიკე, რომელსაც „პრიკაზში“ შესატანი ფული ბანქოში წაუგია, თეიმურაზი—სოფლიდან ჩამოტანილი ფული გაუფლანგავს და სათამაშო ფულის ჩამოსატანად კვლავ სოფელში მიემგზავრება. ამგვარადვე იქცევიან ელიზბარი, რევაზი და სხვები. მაკინეს სხვა გზა რომ ვერ მოუხაზავს, მაქანკლობა დაუწყია.

ასევე გაცვრით, მაგრამ მაშინდელი დროისათვის დამახასიათებელ სახეებში არიან წარმოდგენილი თვითმპყრობელობას მექრთამე მოხელეები—პრისტავი „აქლემა“, თარჯიშანი „ნემსი-ყლაპია“ (ქრთამების ყლაპვა უყვარდა) და „დესეტნიკი“—„წიპლიონკა“.

ლავერტი არდაზიანი თავადიშვილთა წრიდან განსაკუთრებული ყურადღებით გვიჩვენებს რუსეთში სწავლამიღებულ ალექსანდრე რაინდიძეს. იგი ნაწარმოებში, როგორც თავადაზნაურული წრის წარმომადგენელი, სოლომონ მეჯღანთაშვილს.—ახალაღმოცენებული სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენელს—უპირისპირდება. მაგრამ რაინდიძის მხატვრული სახე, მეჯღანთაშვილთან შედარებით, უსიცოცხლოა.

ა. რაინდიძემ რუსეთში იფრიდიული განათლება მიიღო. რუსეთიდან დაბრუნებული ცდილობს თბილისში შესაფერი სამსახური იშოვოს, მაგრამ ამაოდ. მისი ადგილი დაიკავა მეჯღანთაშვილის შვილმა ისაკმა, რომელმაც მამის გავლენიანი დახმარებით ქლივს დაამთავრა სისწავლეებელი. ალექსანდრე რაინდიძე განათლებით, ზნეობით ვაცილებით მაღლა დგას მეჯღანთაშვილზე, მაგრამ უპირატესობა მაინც ისაკისაა, რადგან იგი აღმავალი სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენელია, რომელსაც ცხოვრების ეკონომიური საქე ხელში უჭირავს.

ალექსანდრე რაინდიძეს თბილისში კიდევ ჰქონდა ერთი გზა—ეს იყო მეჯღანთაშვილთან შეერთების გზა. სოლომონი მას ათასობით ოქროებს ჰპირდება, ოღონდ მისი ქალიშვილი თამრო ცოლად შეერთოს. მაგრამ ამ შემთხვევაში რაინდიძე არა ჰვავს გ. ერისთავის კომედიის „გაყრის“ პერსონაჟს, მსავით რუსეთში სწავლა მიღებულ თავად ივანე დიდებულდიძეს, რომელიც ვალეების გამო იძულებული შეიქნა ჩარჩ-მეფახზე მიკირტუმას ქალიშვილი მუშანიკი ცოლად შეერთო. ა. რაინდიძემ მეჯღანთაშვილებთან შეერთების გზა უარყო.

რაინდიძემ უმჯობესად მიიჩნია მიეტოვებია ქალაქი, და კვლავ სოფელში დამკვიდრებულიყო. მართლაც, ის ცოლად ირთავს თავისივე ეროვნებისა და წოდების ქალს ელენე არაგვიშვილს, ტოვებს ქალაქს და მიემგზავრება სოფელში, სადაც მამა-პაპისეული მამული როგორც ამას თავადაზნაურობა ზშირად სჩადიოდა, უბატრონოდ ჰქონდა მიტოვებული.

რაინდიძე შემაშულვა, ყმების პატრონი იგი ცდილობს ბურჟუაზიული ვითარების პირობებში შეინარჩუნოს თავისი მემამულური დამოკიდებულება, ბატონყმური მეურნეობა. მერე რით ფიქრობს იგი ამის შესრულებას? მოუფსინოთ თვით რაინდიძეს, იგი დასახლდა რა სოფელში, „ხელი მიჰყო მეურნეობის გაუმჯობესებას. ქალაქში დარჩენილ ნათესავ ქალს მაკრინეს თავის პირადსა და მეურნეობის მდგომარეობაზე რაინდიძე სწერს: „მე მივიღე გამგეობა ყმისა და მამულისა. ყოველსავე მივეცი წესი, დაეაყენე სწორ გზაზე. ყოველივე ჩემ თვალწინ კეთდება და მე არც მეთაკილება, არც მეზარება. რასაც ხუთი კაცი ხუთ დღეს აკეთებდა, ახლა იმასვე უნდება ორი კაცი ორ დღესა, ამ მცირე ხანს საცა გუთანს არ გაველო, გაიარა; საცა ბარი არ მოხვედროდა, მოხვდა; საცა ვაზი არ იყო, ვაზით გაივსო; საცა წისქვილი არ იყო, გაკეთდა. მრავალი ვაჟაკეთე; ვაჟამშენიერე; ყოველივე აყვავდა. ყმას შეუმსუბუქდა ერთი ნახევრით სამსახური და მადლობელი არიან ჩემი გლახ-კაცები. შრომა არ მიფუჭდება. ბუნება უხვად მეწევა; ამიტომ გლახ-კაცი მუშაობს გულმონდომით, სიტკობებით, ერთგულად. ჩემი მოსავალი გავრცელდა, და ამ შემოსავალს, სარწმუნო ბრძანდებოდეთ, ქალაქში არ წაეაგებ, ანუ არ გაეაბნევა სათამაშო ნივთზე“.

„მაგრამ არ გვეგონოსთ, რომ მოკლებულნი ვიყვნეთ ჩვენ ყოველ სიამოვნებასსა. არა, თქვენ გაქვთ თეატრი, ჩვენი თეატრი ბუნებაა, და ჩვენი თეატრი სჯობია თქვენსასა. თქვენი თეატრი არის დახატული, მაგრამ ბუნებისთანა მშვენიერი რად იქნება! თქვენ ორკესტრზე ათ, ას, ათასწილ უკეთესად და მშვენიერად გალობენ, კონკერტს უკრავენ ასი ათასი ფრინველნი, რომელნიც გულს ატკობენ, სულს ახარებენ. თქვენი დეკორაციები დახატულია, ჩვენი ნამდილია. მგონია, მილიონჯერ ნამდილი სჯობდეს მოთხუბნულ ტილოებსა! ჩვენ კიდე მით გჯობივართ, რომ ყოველ დღე უფასოდ ვსიამოვნებთ ჩვენ თეატრში“.

თავადმა ა. რაინდიძემ, მისი აზრით, გამოსავალი მონახა. იგი, როგორც განათლებული მებატონე, ბატონყმურ მეურნეობას უშუალოდ ჩაუდგა სათავეში, გააუმჯობესა, გარდაქმნა, კულტურულად მოაწყო მეურნეობა და ყმებს მდგომარეობა თითქოს შეუმსუბუქა. ამან, რაინდიძის აზრით, თავისი დადებითი შედეგი გამოაღო, შრომის ნაყოფიერება ამაღლდა, „რასაც ხუთი კაცი ხუთ დღეს აკეთებდა, ახლა იმას უნდება ორი კაცი ორ დღესა.“ კლასობრივი წინააღმდეგობა თითქოს მოისპო, ყმები კმაყოფილი არიან თავიანთი მდგომარეობისა. კეთილი მებატონე რაინდიძე განცხრომით, იდილიურ ცხოვრებას ეწევა ბუნებრივი სიმშვენიერით წარმატაც სოფელში.

ცხოვრების ვითარების ასეთი გაგება მცდარია. რაინდიძე სოფლის ცხოვრებას ხელოვნურად ალამაზებს, თითქოს ბატონყმური მეურნეობის პირობებში შესაძლებელი იყოს მაღალი შრომის ნაყოფიერების მიღება, წოდებათა წინააღმდეგობის დაძლევა, იმ შემთხვევაში თუ განათლებული მებატონე, მსგავსი თვით რაინდაძისა, სოფელში უშუალოდ სათავეში ჩაუდგება და რაციონალურად მოაწყობს სოფლის მეურნეობას. რაინდიძეს ჰგონია, რომ ბურჟუაზიული ვითარების გვერდით შესაძლებელი არის ბატონყმური მეურნეობის თანაარსებობა. ეს მხოლოდ მისი ფანტაზიის ნაყოფია; სინამდვილეში ორი საზოგადოებრივი სისტემა, ბურჟუაზიული და ფეოდალური, ვაჭრული და ბატონყმური, შეუთავსებელი სისტემებია.

ცხადია, ბატონყმური ურთიერთობის დროს, როდესაც მშრომელი და შრომა მონობაშია, ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებაზე, შრომის ნაყოფიერების ამაღლებაზე მსჯელობა ზედმეტია. ამ დროს ბატონყმური მეურნეობა და მისი მმართველი ფეოდალური კლასი განწირული იყო და მას ასეთი გზები ვერ იხსნიდა.

საიდან შექმნა მწერალმა რაინდიძის სახე, მისი მისწრაფებანი? მაშინ, როდესაც „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ დაიბეჭდა, ცხოვრების ვითარების რაინდიძისებრი გაგება ქართველ თავადაზნაურობაში არც თუ იშვიათი იყო. ალექსანდრე ორბელიანმა 1859 წელს „ცისკარში“ მოათავსა სტატია სათაურით „ჩვენი საქართველოს საზოგადოება“. ამ წერილში მან თავისებური დამრიგებლობითი აზრებით მიმართა მაშინდელ საქართველოს თავადაზნაურობას: „არა, ეს ამგვარი ჩვენი უწესო ცხოვრება ანუ ქვეყა იმას მოასწავებს, ბოლოს ასე გავღარიბდებით, რომ ღარიბ ვლენე-კაცზედ უფრო მომატებით, თუ ვაჭრობისათვის არას ვიფიქრებთ და სხვას შესამატა კარგას“. ცოტა ქვემოთ ალექსანდრე ორბელიანი თავადაზნაურობას მოუწოდებს, რომ ამჟამად საჭიროა „სწავლა-განათლება, მიწის ნაყოფიერების გამრავლება და ვაჭრობა, აუცილებელი გამამდიდრებელი კაცისა. დამიჯერეთ, ყველა ეს ფიქრი უნდა გექონდეს ეხლა და ის აზრი საზოგადოდ“¹.

ალექსანდრე ორბელიანი თავადაზნაურობას ურჩევს განათლება მიიღოს, ვაჭრობა ისწავლოს და მიწის მეურნეობა გააუმჯობესოს. ა. რაინდიძე განათლებული თავადია, რომელიც მეურნეობის კულტურულად გარდაქმნის, გაუმჯობესების ნიადაგზე ცდილობს ბატონყმური მეურნეობა შეინარჩუნოს.

ლ. არდაზიანმა ამ ნაწარმოებში ასახა სინამდვილე, თუ ცხოვრების ასპარეზზე როგორ ბატონდება ახალი სოციალური ფენა, ვაჭართა კლასი. მწერალი ვეჩვენებს, რომ მომავალი სავაჭრო ბურჟუაზიას ეკუთვნის.

ერთ დროს გაბატონებული კლასის ჩამოშლელი რაინდიძეები დაქვეითების გზაზე დგანან, ბევრმა მათგანმა სწავლა მიიღო, ზოგიერთნი გაიტაცა ქალაქურმა ცხოვრებამ, სოფელი დატოვა და ქალაქს მიაშურა, მაგრამ ქალაქში მათ აღარ დაეღვამებათ, რადგან ქალაქს სავაჭრო ბურჟუაზია იპყრობს.

¹ „ცისკარი“, 1859 წ., № 10.

ქართველ თავად-აზნაურთა სიმდიდრე ვაჭრების, მეჯღანუაშვილებისა და მიკირტუმების, ხელში გადადის.

ქალაქი და სოფელი ერთმანეთთან დიამეტრულ წინააღმდეგობაშია, ქალაქში სავაჭრო ბურჟუაზია მტკიცდება, სოფლად ჩამორჩენილი, ბატონყმური მეურნეობაა გაბატონებული. რაინდიძეები მეურნეობის უშუალო ხელმძღვანელობით, კულტურულად გარდაქმნის გზით ფიქრობენ ამ წინააღმდეგობის დაძლევის, სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას.

ასეთი სოციალური ტენდენციებია დამახასიათებელი რომანისათვის.

ლ. არდაზიანმა ამ ნაწარმოებში შესანიშნავად დაასურათა კაპიტალიზირებული ქალაქი, მაგრამ ვერ შეძლო მის გვერდით ეჩვენებინა ბატონყმური სოფლის ნამდვილი სახე.

ქართულ ლიტერატურაში მეჯღანუაშვილს ყავდა თავისი წინამორბედნი გ. გირსთავის კომედიებში გამოყვანილ ჩარჩ-მეფავშეთა (კარაბეტა, მიკირტუმა, მარტირუზა) სახით. მართალია, მეჯღანუაშვილი მათთან შედარებით უფრო განვითარებულია და სრულყოფილი, მაგრამ მათ შორის ბევრი რამ არის საერთო. რუსეთის ლიტერატურაშიაც ცნობილია სოლომონის მსგავსი „საქმის კაცი“ („ობლონივი“ — შტოლცი და სხვ.).

* * *

„სოლომონ ისაკი მეჯღანუაშვილის“ გამოქვეყნების შემდეგ „ცისკრის“ 1863 წლის ნომერში დაიბეჭდა ლ. არდაზიანის საყოფაცხოვრებო ხასიათის ვრცელი რომანი „მორჩილი“. ამ ნაწარმოებში მოთხრობილია, მაშინდელ თბილისში მცხოვრებ თავად-აზნაურთა ყოფაცხოვრებითი მხარეების ფონზე, ოჯახურ, ცოლქმარული დამოკიდებულების, სიყვარულის საკითხი. როგორი უნდა იყოს ოჯახის წევრებს შორის დამოკიდებულება? რა უნდა ეღვას ოჯახს საფუძელად? — ამ პრობლემას აშუქებს რომანი.

ნაწარმოების მთავარი გმირია ნასწავლი ქალიშვილი ალექსანდრა, რომელიც გამიჯნურებულია სამხედრო პირზე, მიხაკოზე. ალექსანდრასა და მიხაკოს გულწრფელად უყვართ ერთმანეთი. მათ სიყვარულს საფუძვლად უდევს არა მარტო ფიზიკური სილამაზე, არამედ ადამიანური ღირსება. მათთვის სწორედ ეს უკანასკნელია მთავარი.

მაგრამ ამ გულწრფელ, სეტყე მისწრაფებას წინ ეღობება ალექსანდრას მშობლების — კონსტანტინესა და მარიამის სურვილი. ესენი მაჭანკლის გაღვინის ქვეშ არიან მოქცეულნი, ცდილობენ თავიანთი ქალიშვილი მიათხოვონ არა მათი ქალიშვილის რჩეულს, არამედ მათ მიერ მოწონებულს. მშობლებს შერჩეული ჰყავთ სასამართლოს ჩინოვნიკი, ამავე დროს მებატონე, სოფლად მრავალი ყმის პატრონი თეიმურაზი.

ალექსანდრა მშობლების პატივისცემელი და „მორჩილი“ პიროვნებაა. მაგრამ იგი ვერ ეგუება იმ აზრს, რომ ცოლად გაჰყვეს მისთვის სრულიად შეუფერებელ პირს.

ალექსანდრა თავისუფალი სიყვარულის მოტრფიალე ქალიშვილია. იგი ვაჟისა და ქალის, ცოლისა და ქმრის თანასწორ უფლებიანობის პრინციპზე დგას. თავის მოსამსახურე ქალს მარიკოს ასწავლის: „ქალი არ არის დაბადებული, როგორც საშუალება, დასაკმაყოფილებლად ვაჟის გულისტქმისა. ქალი და ვაჟი ღირსებით და პატივით თანასწორნი არიან და, მამასადამე, ქალმა არ უნდა დაიმციროს თავისი თავი იქამდის, რომ ვაჟს საშუალებად მიაჩნდეს იგი, როგორც მიაჩინათ თათრებს“.

ალექსანდრა ოჯახის კეთილდღეობის საფუძველს სიყვარულში ხედავს, მას სამართლიანადა დავეს ისეთი ადამიანები, რომლებიც ქალს ოჯახში უყურებენ როგორც მონას, მოსახზარ ნივთს. მან მოძებნა თავისი შესაფერი საქმრო. მაგრამ მისი სურვილი, მისწრაფება არ აღმოჩნდა საკმარისი. მშობლები მიხაკოს უბირისპირებენ თეიმურაზს. ვინ არის იგი?

თეიმურაზი, მაქანკლის დახასიათებით, არის დიდი გვარიშვილი, ნასწავლი, მდიდარი, სასამართლოს კეთილშობილი მუშაკი. სინამდვილეში ამ დახასიათებიდან მას რჩება მხოლოდ უშინაარსო გვარიშვილობა და უბრინციბო ჩინოვნიკობა. თეიმურაზი სინამდვილეში უზნეო, უვიცი, ყმების შემავიწროებელი თავადიშვილია, რომელიც ქართველობას აღარ კადრულობს და „დიდ ხალხში“ აქვს საქმე. იგი ადამიანურ ღირსებას აბუჩად იგდებს, მას ცოლი წარმოდგენილი ყავს როგორც მონა-მორჩილი ქმრისა. ეს აშკარად ჩანს თეიმურაზისა და ალექსანდრას დიალოგიდან:

„საზოგადოდ მოგახსენებთ: ცოლი ჩემის აზრით უნდა სრულიად დამორჩილდეს ქმარსა.“

—ჩემის აზრითა ქმარი უნდა დემორჩილოს ცოლსა, როგორც ცოლი ქმარსა, იმიტომ რომ თანასწორნი არიან. თუ ასე არ იქნება, ე. ი. ან ქმარი დაიჩემებს მომატებულს უფლებასა ცოლზე, ან ცოლი ქმარზე, მაშინ უთანხმოება და უბედურება დაიბადება მათ შორის.

—სჯულით მხოლოდ ცოლი უნდა დამორჩილდეს ქმარსა, მამასადამე, ქმარი უფალია ცოლისა.

—დამორჩილება ცოლის შესდგება მხოლოდ მაშინ, როცა ცოლმა სული და გული უნდა გაუსწოროს ქმარსა, ქმარს კი ნაბრძანები აქვს, ცოლს იოტის ოდენა არა აწყენის რა, ე. ი. იმანაც სული და გული გაუსწოროს ცოლსა, ანუ, მოკლედ, ერთმანეთი უნდა უყვარდეთ“.

აქედანაც ჩანს, რომ თეიმურაზი ცოლს უყურებს როგორც ქმრის მონას. ამის დასაბუთებისათვის იგი „სჯულს“, ქრისტიანული მორჩილების მორალს იშველიებს. მისი ასეთი შეხედულებანი ორგანულად დაკავშირებულია მაშინდელ ბატონყმურ ცხოვრებასთან. იგი ბატონთა იმ რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც მეფის სამსახურში შევიდნენ, ქალაქში „ნადგორნი სოფტნიკები“ გახდნენ და ამასთან ერთად შეინარჩუნეს მებატონის მხეცური სახე.

თეიმურაზი თავის ყმებს პირუტყვად თვლის. მათ ცემაში მას „ერთი კონა მათრახები“ გაუტყვეთია. დაბალი წრის ადამიანებს იგი, როგორც მისი მოსამსახურე გოჩუნა ამბობს, ადამიანებად არა თვლის, დამშეულნი, ძაღლები—

ვითა ცხოვრობენ. თეიმურაზი ფიქრობს, რომ განათლების მიღება მხოლოდ მაღალი წრის ადამიანს შეუძლია. მას ვერც კი წარმოუდგენია, რომ გლეხის შვილმა სწავლა მიიღოს. იგი გაიძახის: „მაშ ჩემმა გოჭუნამ რომ იყოლიოს შვილები, ისინიც უნდა გავამეცნიეროთ“? მენახირის შვილები „მამასავით მენახირედ უნდა ეყარნ“, და სხვა ასეთებს ქადაგებს იგი.

გორქასპის შინამოსამსახურესაც ადამიანის სახე დაუჯარგავს. მოუსმინოთ მწერალს: „გოგო იქნებოდა ცამეტის ანუ თოთხმეტის წლისა, თმა ჰქონდა აწუწილი, დაუგარცხნავი—თავზე არ ეხვია რა. კაბა ეცვა ჩაქსულა დიმიკიტონისა, ქუჭყინი და დაგლეჯილი—სიძველის და ქუჭყის გამო ვერ მიხვდებოდით რა ფერის ყოფილა დიმიკიტონი; გოგო იყო ფეხშიშველა, ხელპირდაუბანელი, ფეხებ მოტურტლული“. აი, როგორი სახე მისცა ადამიანს მაშინდელმა მოხელურმა ცხოვრებამ.

თეიმურაზს არც თავის შინაურებთან აქვს კარგი დამოკიდებულება. მის ოჯახში ყველაფერი დაფუძნებულია უხეშ ძალაზე, პიროვნების ღირსების დამცირებაზე. ამიტომაც თეიმურაზისას ირგვლივ ისეთი სიძულელია გამეფებული, რომ ძმა დასაც არ ინდობს.

მწერალი გმობს ასეთ ცხოვრებას, თეიმურაზის პიროვნებას იგი უპირისპირებს „მხნეობით და მეცადინეობით“ სწავლამიღებულს, ომში გამობრძმედილ სამხედრო პირს, „პაღოლკოვნიკ“ მიხაკოს, რომელიც საერთოდ ადამიანებს, კერძოდ ალექსანდრას, ისე კი არ უყურებს, როგორც მოსახმარ ნივთს, მონას, არამედ იგი მას გულწრფელი სიყვარულით უყვარს, როგორც თავისი თანასწორი.

მიხაკო არაა დიდი შეძლებისა, არც ისეთი დიდგვაროვანი, როგორიც თეიმურაზი. იგი თავისი ადამიანობით გაცილებით მაღლა დგას თეიმურაზზე. სწორედ ამ თვისებებით შეძლო მან ალექსანდრას მოხიბვლა, მის გულში ღრმა სიყვარულის კვალის დატოვება.

ალექსანდრა თავისუფალ სიყვარულს ეტრფის, ოჯახში ქმართან თანასწორობას მოითხოვს. მაგრამ მას არ შესწევს ძალა ყველგან ამ თავისუფალი სიყვარულისათვის მებრძოლი, მისი ქვეშაობიტი დამცველი იყოს; იგი გამოსავალს ეძებს, მაგრამ უშუალოდ ვერ ახერხებს ცხოვრებას ჩამორჩენილ, გზადანეულ მშობლებს ამკარად წინაღუდგეს. ასეთმა მორჩილებამ ის კინალამ დალუპა.

თავდაზნაურობის გვერდით ნაწარმოებში ვხვდებით დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებს—შინამოსამსახურეებს. ალექსანდრასა და მიხაკოს სიყვარულის პარალელურად, შედარებით მკრთალად, რომანში გამოხატულია მიხაკოს და ალექსანდრას მოსამსახურეთა სიყვარული; როსტომისა და მარიკოს ერთმანეთი უყვართ. მოსამსახურეებ წარმოდგენილია როგორც დიდი პატივისმცემლნი და მოსიყვარულენი თავიანთი ბატონებისა. ამ შემთხვევაში გამოინაკლის წარმომადგენს მხოლოდ თეიმურაზი თავისი შინაყმა გოჭუნათი, რომელსაც იგი „მხეცურად“ ეყარება და მათ შორის, არც სიყვარულია. მიხაკოსა და ალექსანდრას შეუღლებაში დიდი როლი შეასრულეს მათმა მოსამსახურეებმა, კერძოდ მარიკომ.



ასეთსავე როლში ხშირად ჰყავთ წარმოდგენილი მოსამსახურეები ცნობილ კომედიოგრაფებს (მოლიერი, ლოპე დე ვეგა, გოლდონი და სხვ.). მათ კომედიებში ბატონისა და ქალბატონის სიყვარულის გვერდით ხშირად მიიმართება მოსამსახურეთა სიყვარულიც, და ეს უკანასკნელნი ზოგჯერ გარკვეულ როლს ასრულებენ თავიანთი პატრონების შეუღლებაში. ასეთივე მდგომარეობაა გ. ერისთავის კომედია „ძუნწში“.

ლ. არდაზიანი სრულიადაც არაა ძველი, პატრიარქალური მანე ოჯახური ტრადიციების, „მორჩილების“ იდეის მომხრე. პირიქით, მისი აზრით, ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში სიყვარული, პიროვნების მისწრაფება მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, ბრმა მორჩილებას შეუძლია ადამიანი დაუშოს.

ოჯახი ლ. არდაზიანის აზრით აგებული უნდა იქნეს სიყვარულისა და თანასწორობის პრინციპზე. სადაც ეს არ არის, იქ არც წესიერი ოჯახი შეიქმნება.

ლ. არდაზიანი დაჯილდოებული იყო ცხოვრების დაკვირვების დიდი უნარით. იგი, როგორც რეალისტი მხატვარი, დაკვირვებას აწარმოებდა ჩვენი მაშინდელი ცხოვრების საზოგადოებრივ პროცესებზე. აქედან იღებდა ტიპობრივ სახეებს, დამახასიათებელს, და ასურათებდა მათ ტიპობრივ გარემოში. ყველა მის მიერ შექმნილი სახე, სურათი ანარკელია ჩვენი მაშინდელი, ორმოცდა მეთათე — მესამოცე წლების საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

ლ. არდაზიანი ასახავს უშუალოდ მის მიერ შემჩნეულს, განცდილსა და გამოკვლეულს. პერსონაჟებს, რომლებიც მის ნაწარმოებში მოქმედებენ, მწერალი უშუალოდ იცნობდა, ცხოვრებაშივე უკვირდებოდა მათ მოქმედებას, მისწრაფებას და მხატვრულად აზოგადობდა. ვინ არიან დრამატულ სცენებში „მოგზაურობა თბილისის ტროტუარზე“ განსახიერებელი პირები? შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ ამ ნაწარმოებში განსახიერებულმა პერსონაჟებმა დიდი დაეა გამოიწვია. აკაკი წერეთელი ამ ნაწარმოების პერსონაჟთა შესახებ კირილე ლორთქიფანიძეს სამართლიანად სწერდა, — ვიზუალად არის დაწერილი, ვიცი ყოველი პირიო. თვით არდაზიანი ამ ნაწარმოების ბოლოში მიუთითებს: „ბატონო მკითხველო! მე აღვითქვი თქვენ აღწერა ყოველივესი, რაც კი ვნახე და განვიცადე... ტფილისის ერთი ნაწილი ავწერე, დანაშთენის აღწერისაგან უმორჩილესად გთხოვთ გამანთავისუფლოთ, მიზუზი ცხადია; გაგრძელება... უსიამოვნო კაცის მოქმედებისა, დაფარებულისა სხვადასხვაფერ პირბადეთი, თქვენ არას გასიამოვნებდა და უფრო დაგოწყლულებდა გულს“... ასეთივე მდგომარეობას აქვს ადგილი „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“. ამ ნაწარმოებშიაც არდაზიანმა თავისი პირადი ნაცნობები, ცოცხალი ადამიანები განასახიერა. მეჯღანუაშვილებს, რაინდიძეებს, კერპაძეებს ავტორი კარგად იცნობდა. ამის შესახებ ლ. არდაზიანის ჩეუღლეს ეკატერინეს თავისი მამის ოჯახში, მეჯღარისხევი მეტად საინტერესო მოგონება დაუტოვებია. ეკატერინეს ძმისწული მიშა ლოლაძე მოგონების ამ ნაწილს, მამიდის ნათქვამს, ასე გადმოგვცემს: „სოლომონ ისაკიჩი ჩვენი მეზობელი იაქუხნია იყო, ერთი დევევით კაცი, მოუსვენარი ქორვაჭარი, ღარიბი და ლტაკი. რვა ბავშვი ჰყავდა. ხან სუფს უგზავნიდით, ხან პურებს, ბავშვების გამონაცვალიც საადღგამოდ ბევრ-

ჯერ გამოგზავნია. ერთხელ იაქუხჩია მოვიდა ჩემ ლავრენტისთან. ოთახში ჩაიკეტენ. რალაც წერილი დააწერინა ნიენელოროდის იარმუჯაზე გასაგზავნად, ვილაც სივცევის სახელზედ. ორი თვე გავიდა. იაქუხჩია ისევ შემოვიდა ჩვენსა, დამიტოვა ოთახი თუმანი, ლავრენტის ვადაეცი დიდის მადლობითაო. მოვიდა ლავრენტი სასამართლოდან, ნახა ფული და მითხრა: კეკე, თუ ხატრი გაქვს, ეგ ფული წაიღე, ჩაიყვანე იაქუხჩიას ბავშვები ქარვასლაში, ცეხსაცმელები შეუძინე და ჩააცვი. ერთი თუმანიც მის დედაკაცს მიეცი, იქნება ერთი კაბა ჩაიცვასო. მეც ასე მოვიქეცი.

სალამოთი ისევ მოიბრინა იაქუხჩიამ, გაჯავრებული იყო. სახეზე ხელს იფარებდა, რალაცასი რცხვენოდა. სთხოვა ლავრენტის გამომყეო და ის განათლებულიც ვაჰყვა. წაუყვანია იაქუხჩიას ლავრენტი და უჩვენებია ერთი თონე პირთანდი ვერცხლით საესე და ორი ერბოს ქილა, ოქროთი საესე.

ის დღე იყო და იაქუხჩია გამდიდრდა, დიდ საქმეებს მოჰკიდა ხელი. შეიძინა ქალაქში სახლები და მიწები. ვაჰრებს მისი ძლიერ ეშინოდათ.

ამის შემდეგ ლავრენტი კარგა ხანს წერდა და „ცისკარში“ დაიბეჭდა კიდეცა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“. მთელი ქალაქი ამ მოთხრობაზე აღაპარაკდა.

ყველაზე უფრო მას ეს მოთხრობა უყვარდა. მით უმეტეს, რომ მან მტრები გაუჩინა, განსაკუთრებით სომხობაში. „ასე გაუნათლებელ ხალხად რად გამოგვიყვანაო“¹.

ერთ დროს ლატაკი ქორევაპარი, შემდეგ გამდიდრებული იაქუხჩია. — აი, ვინ არის მეჯღანუაშვილის პროტოტიპი. ასევე რეალური სახეებია, მხოლოდ შედარებით უფერულად დახატული, „მორჩილში“ თეიმურაზი, მიხაკო, ალექსანდრა. ლიფსიმე და გოჩუნა ცხოვრების წიაღიდან ამოღებული ცოცხალი სახეებია, შესანიშნავი ოსტატობით განფეროვნებული.

საინტერესოა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის“ მხატვრული აღნაგობა. ეს ნაწარმოები უდავოდ ამჟღავნებს მწერლის დიდ მხატვრულ ერთეულობას. ნაწარმოებში ამბავი მოთხრობილია პირველი პირით, თვით სოლომონი გადმოგვცემს თავის თავგადასავალს და მასთან დაკავშირებულ ამბებს, აღამიანების ხასიათს. „სახელი ჩემი სოლომონ, გვარი — მეჯღანუაშვილი“ — ასე იწყება ეს ნაწარმოები და შემდეგ ამბავი რეალისტურ ხატვებში დიდი სიცხოველითა და დინამიკით ვითარდება, ისე რომ მკითხველში შეუწელებელ ინტერესს იწვევს. სოციალური გარემო, სახეები, მოქმედებები, ყოველი დეტალი დახატულია უაღრესად კოლორიტულ, რეალისტურ-მხატვრული სახეებით. ისე რომ გადაჭარბებულ მხატვრულ ფერს ოდნავადაც კი არ აქვს ადგილი. ნაწარმოებში ამბავის გადმოცემის ფონზე ყალიბდება მთავარი გმირის სოლომონის ხასიათი. რომანის დამთავრებისას თქვენ წინ აღიმართება გამოქანდაკებული სახე ჩვენი მაშინდელი გარდამავალი ცხოვრების ჩარჩო-ვაჰისა, თავისი ვნებებითა და მისწრაფებებით. საინტერესოა დასურათებული ალ. რაინდიძის სახეც, ოლონდ, ა. რაინდიძის მხატვრულ სახეს, სოლომონთან შედარებით, ტიპიურ გარემოში გაშლა აკლია.

¹ ლიტერატურის მუზეუმი, საქმე, № 6090, 4.

ლ. არდაზიანი დრამატულ სცენებში „მოგზაურობა ტფილისის ტროტუ-არზე“ უთუოდ მოჩანს როგორც პორტრეტების გამოკვეთის დახელოვნებული ოსტატი. აქ ყოველი სახე სიცოცხლითაა აღსავსე.

ამასვე ვერ ვიტყვით „მორჩილზე“. ამ ნაწარმოებშიც ლ. არდაზიანი რეალისტ მწერალად გვევლინება. მასში ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებიდან საინტერესო ამბავი და სახეებია მოცემული, მაგრამ ნაწარმოების სიუჟეტი მხატვრული ბუნებრივობით ვერ ვითარდება, განმეორებებსაც აქვს ადგილი. ნაწარმოები გადატვირთულია ეპიზოდებით. ზოგჯერ თავები და ეპიზოდები ერთმანეთთან მექანიკურადაა დაკავშირებული. რომანში ადგილობრივი კოლორიტი მკრთალად მოჩანს. პერსონაჟები ბევრს მსჯელობენ. თეიმურაზი, მიხაკო, მარიამი, კონსტანტინე უფრო სქემებს მოგვაგონებენ, ვიდრე ცოცხალ ადამიანებს. ამ მხრივ, როგორც აღნიშნავენ, გამოჩაქისის წარმოდგენის მაქანკალი ლიფსიმე და მოსამსახურე გოჩუნა. „მორჩილში“ მაქანკლის სახე ღიდი მხატვრული ოსტატობითაა შესრულებული.

როგორია ლ. არდაზიანის სამწერლო ენა?

ამისათვის გავცნობთ სამწერლო ენის შესახებ მის მიერ გამოთქმულ აზრებს. ერთ თავის წერილში ლ. არდაზიანი ასეთ კითხვას სვამს:—„რატომ არ გვივარგა პროზა?“ ამ კითხვას აქვე ფართო განმარტებას აძლევს. ლ. არდაზიანი წერს: „ორ გვარი ფორმა გვაქვს ენისა: საღმრთო წერილისა და საერო (სახალხო). ფორმა საღმრთო წერილის ენისა საკუთრად არ არის ძირეული ფორმა ქართულის ენისა, საღმრთო წერილი ვადმოღებულა სიტყვა სიტყვით ბერძნულ ენიდამ. ამიტომ რომ არ შეიძლებოდა ნებისითი თარგმანი ღვთის სიტყვისა. ამასობაში კი უნებლიეთ შამოგვეპარა შივადცაშვ რომელიმე ფორმაცა ბერძნულის ენისა, სულიერნი მამინ განსაკუთრებით წერდნენ მიზაძვით ამ წერილის ფორმით, და არავინ მოიფიქრა გარდაეცვალათ ეს ფორმა თავიანთ სიტყვაში საერო ენაზე. ამიტომ ეს ფორმა დარჩა ჩვენამდინ უცვალე-ბელი პროზაში“.

ამავე წერილში ლ. არდაზიანი საღმრთო წერილის ენას უპირისპირებს საერო, სახალხო ენას; „ფორმა საერო ენისა,—წერს არდაზიანი,—სრულებით არ მიემგვანება საღმრთო წერილის ფორმასა. საერო ენით ლაპარაკობდა ხალხი, სწერდნენ მოლექსენი და სხვა მწერალნი, მეფენი, მსაჯულნი. საერო ენა განვითარდა: დამტკიცებული სახსოვრები გვიწყვია თვალწინ.“

როდესაც შეიმუსრენ ჩვენში ყოველი საერო სწავლა, წერილები და მწერალნი, მაშინ შეგვარჩენ მხოლოთ მიმალულნი მონასტრებში საღმრთო სწავლა და სულიერ მამათა წერილები. უკანასკნელ საუკუნეებში მრავალნი ერისგანი სწერდნენ უფრო საღმრთო წერილის ფორმით და მცირეოდენ, ისიც მოლექსენი საეროს ენით. მოლექსენი არ მოწყვეტილან და ეს არის მიზეზი, რომ ჩვენი პოეზია უფრო განვითარებულია მინამ პროზა.“ ბოლოს თავის შეხედულებებს მეტად საინტერესო დასკვნას უკეთებს. „გამშვენიერებული პროზა შესაძლებელია მხოლოდ საერო ენაზე. საღმრთო წიგნურის ფორმაზე კი, გინდ ორი ათასს წელწადს ყოველდღე გამოიცემოდეს ორი ათასი წიგნი, მანც კიდევ

პროზა იოტის ოდენ ვერ წავა წინ: იმიტომ რომ, როგორც ვთქვით, იმისი ფორმები სრულებით არ მიუღდგება ეხლანდელს ჩვენი ენის ფორმებსა. საჭიროა, რომ პროზა, პოეზია იწერებოდნენ ერთის ენით. მაშინ დაწინაურდება ლიტერატურა¹.

ლ. არდაზიანი ერთმანეთისაგან მიჯნავს საეკლესიო ენასა და საერო, სახალხო ენას. მისი აზრით, როგორც პროზა ისე პოეზია უნდა იწერებოდეს საერო, სახალხო ენით, რადგან იგი არის, არდაზიანის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ნამდვილი ძირეული ფორმა“ ქართული ენისა.

არდაზიანი საეკლესიო წიგნების ენას არ თვლის ბუნებრივ ქართულ ენად. მასში, მისი აზრით, ბევრია ხელოვნური, არა ქართული. ამ ენაზე მხატვრული ნაწარმოების, კერძოდ პროზაული ნაწარმოების წერა შეუძლებლად მიაჩნია. იგი საღვთო წერილის ენას ქართული პროზის განვითარების შემზოკავად თვლის.

ეს წერილი ჟურნ. „ცისკარში“ გამოქვეყნდა 1859 წელს. ამ დროს ქართული სალიტერატურო ენის გახალხურებისათვის ნიადაგი უკვე მომზადებული იყო.

ლ. არდაზიანი ილაშქრებს არქაული, საეკლესიო ენის დამცველთა წინააღმდეგაც. მათ საყურადღებოდ იგი წერდა: „გრძნობენ საღმთო წიგნურის ენის სინძიმესა და ურგებლობას და მასთანვე შიშობენ წერასა საერო ენის ფორმით“. მაშინ, როდესაც ჟურნ. „ცისკარის“ ფურცლებზე გაბატონებული მდგომარეობა, ეგრეთწოდებული „ძველი თაობის“ აღამიანებს, არქაისტებს ექიბათ, საეკლესიო ენის წინააღმდეგ ასეთი აზრის გამოთქმა არ იყო იოლი. კონსერვატორთა ჯგუფიდან ლ. არდაზიანის ამ წერილის წინააღმდეგ გაილაშქრა ბარბარე ჯორჯაძემ. იგი „ცისკარის“ ფურცლებზე წერდა: „ჩვენი საღმრთო წერილის ჰსწავლა არ არის როგორც ფიქრობენ გონების დამაბნელებელი. მაშ სხვა ქვეყნებში არ არის საღმრთო წერილები? არ უნდა გესმოდეს ვინ შექმნა კაცი, ვინ იცნო ღმერთი, ვინ მოგვცა მცნება, სჯული ვისგან დაეწესა, რას ნიშნავს ქრისტიანობა, ვინ გამოიყვანა პირველ მეფედ და მიანიჭა გვირგვინი? რით იციან ესენი თუ არ საღმრთო წერილებით, და თუ ეს არ იცის კაცმა, რათ ექნება მღვთის სიყვარული, მცნების დამარხვა და პატრიოსტემა“. აქვე ბ. ჯორჯაძე აღშფოთებული ამბობს: „ნუთუ მხოლოდ საქართველოს ისტორიაა საჭირო და სხვა კი არა“.

ბ. ჯორჯაძე თავს ესხმის ენის საკითხში ლ. არდაზიანის პროგრესიულ შეხედულებებს. იგი საეკლესიო წიგნთა ენის უარყოფას მიიჩნევს როგორც საღვთო წერილის წინააღმდეგაც გალაშქრებად. მან ამით ლ. არდაზიანს საკმაოდ მძიმე მდგომარეობა შეუქმნა.

ასეთი იყო ლ. არდაზიანის თეორიული შეხედულებანი სამწერლო ენის შესახებ. მისი ასეთი აზრები ორგანულად დაკავშირებულია მისსავე სამწერლო რეალისტურ მეთოდთან. ნამდვილი რეალისტური ნაწარმოების შექმნა შეუძლებელიც იყო საერო, ხალხური ენის გარეშე.

¹ „ცისკარი“, 1859 წ., № 9.

1858 წელს შურ. „ცისკარში“ გამოქვეყნდა ლ. არდაზიანის მიერ თარგმნილი „ჰამლეტი“ პროზად. ეს იყო ამ ნაწარმოების პირველი დაბეჭდილი თარგმანი ქართულ ენაზე. როგორც ნ. ბერძენიშვილი შენიშნავს ზემოთ, მითითებულ სტატიაში, ლ. არდაზიანს „ჰამლეტი“ უთარგმნია რუსულიდან, პოლევოის მიერ თეთრი ლექსით შესრულებულ თარგმანიდან. თვით არდაზიანი „ჰამლეტის“ შესახებ ამბობს, რომ მან იგი თარგმნა „საღმრთო წიგნურისა და საეროის“ ენითა. ცხადია, ამგვარად შესრულებული თარგმანი იქნებოდა ლირსშესანიშნავი. ნ. ბერძენიშვილი სამართლიანად მიუთითებდა, რომ თარგმანში იგრძნობა ენის „სიმძიმე და ბუნდოვნება“. თვით ლ. არდაზიანიც არ იყო თავის თარგმანზე დიდი წარმოდგენის. იგი თვითონვე მიუთითებდა, რომ მისი თარგმანი ქართულ ენაზე პირველი სუსტი ცდაა ჰამლეტის თარგმანისა, შემდეგი თარგმანები უკეთესი უნდა იყოსო.

არდაზიანი თავის ნაწარმოებებს წერს ნამდვილი ხალხური ენით („მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზე“, „სოლომონ ისაკიან მეჯღანუაშვილი“ „მორჩილი“, ლექსი „ფული“). მათი დამახასიათებელია ხალხური სისადავე და სიმართლე. ფრაზა, დიალოგი ხალხური საბაასო ენითაა გამართული. ამას გარდა იგი ნაწერებში ხშირად იყენებს ხალხურ გამოთქმებს, ანდაზებს და ხალხურ ჰანგზე წარმოქმნილ ლექსებს.

ლ. არდაზიანმა თავისი ნაწერებითვე ქეშმარიტი გახადა თავისი თეორიული მოსაზრება, რომ ქართული პროზა შეიძლება განვითარდეს მხოლოდ ხალხურ ენაზე. ეს აზრი შემდეგ ქართული პროზის განვითარებამ ქეშმარიტი გახადა.

ლ. არდაზიანი სოციალური ხასიათის ყოფით მოვლენებს უმთავრესად თბილისის ცხოვრების ფონზე გადმოგვცემს. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ იგი ჩვენი დედაქალაქის, თბილისის ცხოვრების ამსახველი მწვერელით გადმოცემა („სოლომონ ისაკიან მეჯღანუაშვილი“, „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზე“). ამას ხელს უწყობს ნაწარმოებებში ჩაქსოვილი მსუბუქი იუმორი. ამ მხრივ გამონაკლისს „მორჩილი“ წარმოადგენს, სადაც იშვიათად ჩანს არდაზიანის შემოქმედებითი სტილის ეს ნიშანდობლივი თვისება.

ლ. არდაზიანმა ქართულ მწერლობაში განამტკიცა სოციალური, ყოფაცხოვრებითი რომანი. მოგვცა მოგზაურობის ქანრის რეალისტური ნიმუში. იგი დაკვირვებული, დიდი აღღოს მქონე რეალისტი მწერალია. მან ღრმად ჩაგვახედა მაშინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, გვიჩვენა ნიჭიერი მხატვრის თვალით შენიშნული ჩვენი ქვეყნის კაპიტალიზაციის პროცესი, მისი დამახასიათებელი ნიშნები, — ბურჟუაზიის განმტკიცება. მანვე გვიჩვენა ქალაქის ცხოვრების ფონზე თავადაზნაურთა ყოფაცხოვრება, მათი დაქვეითება და ამხილა ბატონყმური ცხოვრების ზოგიერთი უარყოფითი მხარე. მის მიერ შექმნილმა პერსონაჟებმა შემდეგ თავისებური გამოხმაურება ჰპოვეს ქართულ მწერლობაში.

ზრიგოლ ხინწულიძე

გიორგი ლეონიძის პოეზია

ლირიკა

სალიტერატურო კრიტიკაში ერთხმად აღიარებულია, რომ მთავარი თემა გ. ლეონიძის პოეზიისა არის სამშობლო და ბეღადი. მართლაც, უშუალო მგზნებარებით აღსავსე ხმა, საგანგებო ფერადები ერთმანეთს ეჯიბრებიან, რათა მეტი სიმძლავრით, მეტი სრულყოფით ახშიანდეს სამშობლოსა და მისი ამალორძინებლის დიდი სტალინის სადიდებელი ჰიმნი.

ბუნებრივია, რომ სტალინის გენიას უმღერის მთელი ჩვენი მოწინავე ლიტერატურა. ბოლშევიკური პარტიისა და მისი ბეღადის ამხანაგ სტალინის სახელთან არის დაკავშირებული საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვება, რაც კი მას მოუპოვებია სტალინური ხუთწლიელების პერიოდში, მშვიდობიანი ცხოვრებისა თუ ფაშისტური გერმანიის განადგურების საბრძოლო წლებში.

ბოლშევიკური პარტიისა და მისი ფუძემდებლის ლენინის წარმმართველი როლი მშრომელთა რევოლუციურ მოძრაობაში პირველად ვლადიმერ მაიაკოვსკის პოეზიაში აისახა განუმეორებელ პოეტურ სახეებში. შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ლენინის მონუმენტურმა სახემ სწორუპოვარი განსახიერება ჰპოვა მაიაკოვსკის შედევრებში. დიდი სტალინის გენიას თანამედროვე ქართულ საბჭოთა პოეზიაში მთელი ხმით უმღერა გიორგი ლეონიძემ.

პირველი სიმღერა ბეღადის შესახებ გ. ლეონიძემ 1933 წელს გამოაქვეყნა. უკვე ამ ლექსში ნათლად გამოჩნდა ავტორის უნარი თემის ღრმა გაახრებისა და ორიგინალურ პოეტურ სახეებში გამოკვეთისა. ამ ლექსისათვის დამახასიათებელია აზრის სინათლე, სადა, გულში ჩამწვდომი თქმები და ხალხურობა. ლექსში მკაფიოდ მოჩანს დიდი ბეღადის მიმზიდველი სახე, მისი შეუღრეკელი ნებისყოფა:

მთებში ნახარდო არწივო,
აღმას თვალებით ელავდი;
ფოლადო დაუგრეხელო,
კაცო, მართალო ყელამდი,
გრიალო დიდი ხმებისა,
ერთი ხარ დიდი ბეღადი!

ლექსი ერთ მთლიან ნაკადად მოედინება, სახეები ნათელი და კრისტალურია, ერთ-ერთი სტროფი, მაგალითად, მთლიანად შედარებებით არის აგებული:

დაბრილი ქედის გაშლა ხარ,
 დროშა ხარ ტარით მაღალი,
 შეუწყვეტელი „ვაშა“ ხარ,
 გულიდან გულზე სახალი!

სამამულო ომის დროს გერმანელი ოკუპანტების განადგურების საქმეში ბელადის უბადლო მხედართმთავრული ნიჭი აღაფრთოვანებდა და შთააგონებდა ჩვენს მწერლობას ახალ-ახალი ღირსეული ნაწარმოებების შესაქმნელად. გ. ლეონიძის პოეზიას ამ მხრივაც მოწინავე პოზიციები უჭირავს.

ღრმა რწმენა იმისა, რომ სტალინის გენიალური სარდლობით მოვიპოვეთ საბოლოო გამარჯვებას, განადგურებული იქნება ვერაგი მტერი, გამჯდარია პოეტის მთელ შეგნებაში:

არა ჰქონია ხალხს გამარჯვება,
 შენის ხელით არ გამოგვიქდოს,
 შეუდრეკელო ხალხის მარჯვენავე
 და ხალხის ნების მტკიცე ბეჭედი!

კვალად შენა ხარ ფოლად გულისა,
 შენ უნდა გასტრა წინ შეკრული გზა!
 და სამშობლოს ხსენის იალქანებად
 შენი დროშები მიეჭანება...

გ. ლეონიძე მაღალ პოეტურ სახეებში იძლევა ბუნების გრანდიოზულ სურათებს, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ბუნების ეს სიდიადე არაჩვეულებრივი ძალით გვაგრძნობინებს სამამულო ომის მკაცრ დღეებს, აბა, დავუკვირდეთ როგორ შესძლო პოეტმა საქართველოს ბუნების გაცოცხლება, კერძოდ მტკვრისა და მყინვარის მხატვრული ასახვა საომარ ვითარებასთან დაკავშირებით.

ამოღებული ხმალივით მტკვარი
 შენს დაძაბილზე დაიკაშკაშებს
 და მყინვარის მთა, აბჯარში მდგარი
 შენთვის მუხარადს ადგამს ვაჟკაცებს...

აქ მიღწეულია სახეებისა და აზრის დიდი სინათლე, ფორმისა და შინაარსის მყარი ერთიანობა.

გ. ლეონიძის „სიმღერა“ წარმოადგენს ქართულ ხალხურ პოეზიასთან უშუალო კავშირის ნიმუშს. პოეტი აქ ბრძოდ კი არ მიჰყვება ხალხური შემოქმედების მდინარეს და მის უბრალო გადამღერებას კი არ ახდენს, არა! ეს ლექსი ხალხურ პოეზიას უკავშირდება პირველ ყოვლისა, თავისი სისადავით, კილოთი, და, რაც მთავარია, უშუალო ამღერებით:

ხომლის მთა ხომლის ვარსკვლავის,—
 ასე ამბობენ, სწორია,
 შენი თავსმდგომი ვარსკვლავი
 თვალთ ვის განუჭონია.

შენებრ ვარსკვლავი ბელადო,
 ცამ როგორ ააფერადოს!
 შენვე ხარ სწორი შენივე
 ჩვენთვის სხივ-მოსაუნადო,
 შენი სადარი ვარსკვლავი,
 ცაში არ არის ბელადო.

დიდი საბჭოთა კავშირი, აყვავებული სამშობლო, განახლებული საქართველოს სისხლკარბი ცხოვრება გ. ლეონიძის პოეზიის სასიცოცხლო ნერვს წარმოადგენს. საბჭოთა პატრიოტიზმი არის ის ამილღებული გრძნობა, საიდანაც იღებს სათავეს ჩვენი პოეტის შთაგონების წყარო, მისი სიცოცხლის აზრი. ამიტომ არის, რომ ლეონიძეს თითქმის არც კი აქვს ისეთი ლექსი, რომელშიაც სამშობლოს სუნთქვა და მისი ბუნების სიდიადე არ იგრძნობოდეს. პოეტი ამბობს, რომ მას ფესვები სამშობლოს ნოყიერ მიწაში უდგას, რომ სამშობლო და მისი ლექსი ერთმანეთის სინონიმს წარმოადგენს: „სამშობლო—ჩემი გულის ფეთქება, სამშობლო—ჩემი ლექსის სახელი!“. პოეტი უდიდესი ძალით განიცდის თავისი ქვეყნის სიყვარულს:

მიყვარს კართლის ცა ისღერება,
 მისი ბრწყინვალე, წმინდა ტატნობი,
 თვითველი ხმა მას ეღერება,
 ჩემი გულიდან გამოუნადობი.

გ. ლეონიძეს მტკიცედ აქვს შეგნებული, რომ პოეტის უპირველესი ვალია სამშობლო ქვეყნის ერთგული სამსახური. შემოქმედის ხმას მაშინ ეძლევა ძალა და აზრი, როცა იგი ცხოვრების ფერხულშია ჩაბმული, როცა პოეტი ცხოვრების უბრალო დამკვირვებლად კი არ გვევლინება, არამედ თავისი იარაღით—მხატვრული სიტყვით ქვეყნის წინსვლის საქმეში უშუალო მონაწილეობას იღებს. ეს აზრი ლეონიძეს ბევრ ადგილას აქვს ჩამოყალიბებული.

ულამაზესი მხოლოდ ის არის,
 ვინც აყვებულა თავის დროს ძალით
 ადიღებული, დამწიფებული,
 ყანა, მდინარე, ვენახი, ქალი.

ამ სიტყვებში, რომელიც ჯერ კიდევ 1931 წელსაა დაწერილი, მთელი სისრულით მოჩანს ავტორის კონცეფცია სინამდვილისადმი დამოკიდებულებაში, აქ გასაგებად არის ჩამოყალიბებული გ. ლეონიძის ესთეტიკური კრედო. ჩვენი პოეტის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მას ამ პროგრამისათვის არასოდეს არ უღალატნია; მას ვერც კი წარმოუდგენია ცხოვრებიდან მოწყვეტა, მისგან ჩამორჩენა და ამიტომ თავის მუზას სამშობლოს კეთილდღეობისათვის საბრძოლველად მოუწოდებს:

ლექსო, რაღა კარგი ხარ,
 ლექსო, შენც დამკარგვიხარ,
 გაოხრდი, გატილდი,
 თუ სიტყვაში ჩაგიჭრა
 სამშობლოს განთიადი!

ჩვენი პოეტის ლექსებში განუწყვეტლად ისმის თანადროულობის გულისცემა. ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მომენტი პოულობს გამოხატულებას მის პოეზიაში. თბილისის მშენებლობა თუ საბჭოების მერვე ყრილობა, უმაღლესი საბჭოს არჩევნები თუ საქართველოს ბოლშევიკების ყრილობა, ხალხთა შორის მეგობრობა თუ საკოლმეურნეო სოფელი, ყველაფერი ეს თავის მაღალმხატვრულ განსახიერებას აღწევს გ. ლეონიძის შემოქმედებაში.

* *

დიდი სამამულო ომის დაწყების პირველივე დღეებიდან გ. ლეონიძემ თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობა, თავისი მხატვრული სიტყვის ღონე მაღლიანად დაუმორჩილა საბჭოთა ხალხის დიად მიზანს და ამოცანას — ბოროტი მტრის საბოლოო განადგურების საქმეს. პირველივე მისი ლექსიდან მძლავრად გაისმა საბრძოლო მოწოდება და გამარჯვების რწმენის გამღვივებელი სიტყვები. თვითული მისი ლექსი გამსჭვალული იყო ერთი აზრითა და სულისკვეთებით, ერთი ურყევი იმედით: პოეტის სიტყვები უარესად დაძაბულია, უაღრესი პათოსის შემცველია; ყოველი სტრიქონი ამოღებულ მიზანში ურტყამს; გ. ლეონიძის პოეზია ამ დროს უფრო მეტ სიმკვრივესა და სიმძლავრეს იძენს. ხმაღმემართული მხედრების ყიჟინა, სტალინური არწივების ფრთების გრიალი, ვმირი ქალაქების ლეგენდარული ბრძოლების ეხო, გაღვიძებული სახელოვანი წინაპრების იარაღის ჟღარუნია, ქართველი დედების დალოცვა, — ყველაფერი ეს ერთი ფიქრით შედუღებული, გამარჯვების წყურვილით აღსავსე, დიდი ბელადის მთავარსარდლობით დაძრული — მთელი ენერჯით მეტყველებს გ. ლეონიძის ლექსებიდან. საერთო აზრი კი ურყევი:

არ დაიხრება არასდროს
 სტალინის დროშა მაღალი,
 როგორც არ დაიხრებია
 მთები თოვლგადაწყარია!

თუ აღრე გ. ლეონიძის შემოქმედებაში ლირიკულ გმირს შედარებით მკრთალი ადგილი ჰქონდა დათმობილი და პოეტი უმეტეს შემთხვევაში თავისი სუბიექტური განცდების გადმოცემით იფარგლებოდა, სამაგიეროდ სამამულო ომის დროინდელ მის პოეზიაში მკაფიოდ ისახება გმირი მებრძოლი. ლექსებში მძაფრად იგრძნობა საბჭოთა ადამიანის რაინდული ბუნება, მისი თავგანწირული ბრძოლა სამშობლოს დიდებისა და გამარჯვებისათვის; ამავე დროს რომანტიკულ ფერებშია გადმოცემული საბჭოთა მეომრის უღრმესი განცდები. ისეთი უშუალო ლირიზმით ამღერებული ლექსები, როგორიც არის: „არ დაიდარდო დედაო“, „მხედარი პირტახია“, „მაიორ ალექსი ინაურს“, „შინ-მოსულისა“ და სხვა, კარგად დაადასტურებენ ჩვენს მოსაზრებას. ამ ხასიათის ლექსებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ქართველი მხედრის ნაამბობი“,

სადაც მეომრის თხრობაში ბრძოლის მიმზიდველი, რომანტიკული სურათია მოცემული:

მტერს ხმლით მივდვიდი ცხენდაცხენ,
მტერთა დამცემი ზარისა,—
წამომეწია წინწკალი
სამშობლოს ღრუბლის ცვარისა.

ეს წინწკალი, რომელიც მხედარს სამშობლოს სალაშქარსა და კოცნას გადასცემს და რომლის პასუხადაც გმირი უფრო მეტი სიმძაფრით ეკვეთება მტერს, მეომარს ნაჭრილობევე ადგილას დაესხურება, მისი სისხლის წვეთად გადაიქცევა, რაც უფრო ამაგრებს მას:

ვიგრძენ ისეთი სიმაგრე,
და ვიყავ იგი ურყვევი,—
არა მგონია კლდე იყოს
ქვაყვარი, ქვიტირ-ურღვევი!

ასეთია ამ მშვენიერი ლირიკული ნაამბობის შინაარსი.

*
* *

საბჭოთა ადამიანი კარგად იცის, რომ გმირულ, თავდადებულ საქმიანობას, რასაც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით ეწევა ჩვენი ავღალუწვდენი ქვეყნის მოსახლეობა, მიყვავართ ნათელი მომავლისაკენ, კაცობრიობის ისტორიაში საზოგადოების ყველაზე უმაღლესი ფორმისაკენ—კომუნისმისაკენ, სადაც ჰუმანიზმისა და პროგრესის კეთილშობილი იდეალები თავის საბოლოო გამარჯვებას იღლესაწაულენ. ამ მიზნითა და მისწრაფებით გამსჭვალული ჩვენი შრომა ხალისიანია; სწორედ ეს დიადი მიზანსწრაფვა აძლევს სტიმულს საბჭოთა ხელოვანს იღგეს თანადროულობის სიმაღლეზე და ამავე დროს გამჭირახი თვალით განსჭვიტოს ნათელი მომავალი, გადაშალოს თანამედროვე მკითხველის წინაშე მომავლის პერსპექტივები. ამისთვის სოციალისტურ რეალიზმს ორგანულად უნდა აესებდეს რომანტიზმი, მაგრამ რომანტიზმი რევოლუციური, რაც არსებითად განსხვავდება ძველი რომანტიზმისაგან, რევოლუციური რომანტიზმის საფუძველი არის ჩვენი გმირული სინამდვილე, რომელიც საესეა ჯანსაღი რომანტიკით: „ჩვენი სინამდვილე გმირულია და ამიტომ რომანტიულიც“ (გორკი).

ეს რწმენა მომავლისა, ეს ჩაუქრალი იმედი ჩვენი მართალი საქმის საბოლოო გამარჯვებისა ლეონიძის პოეზიაში სიცხადით მეტყველებს. მისი პოეზიის ფესვები გამდგარია თანამედროვეობაში და ამავე დროს იგი მძლავრად განიცდის ხვალისდელი დღის მხურვალებას. როცა პოეტი უმღერის თანამედროვე თბილისს, მის აღმშენებლობას, იქვე პათოსით მიუთითებს მომავალზე, რომელიც უფრო გაამშვენიერებს მას:

მე მიყვარს შენი ბაღების
 თარეფული და ნობათი,
 ხილის შუქში რომ ბრწყინვალეებს
 შენი აწმყო და მყობადი..

ხვალე და ზეგაც იტყვიან,—
 თბილისი ოქროს თვალია!
 მაგრამ რაც დღეს ხარ, ხვალისთვის,
 ის მხოლოდ ნათალია...

ეს განწყობილება კარგად ეხმაურება სოციალისტური ლირიკის დიდი კლასიკოსის ვლადიმერ მაიაკოვსკის ღრმა უშუალობით აღბეჭდილ ნათქვამს:

Отечество
 Славлю
 Которое есть,
 но трижды —
 которое будет.

ლექსში—„კომუნიზმის ხარაჩოები“, ავტორი იგონებს რა ყველა იმ გატაცებას, რომელსაც ოდესმე შეუპყრია მისი არსება, დაასკვნის: ბუნების სილამაზის ყოველგვარ გამოვლინებას, სიჭაბუკის დღეთა მგრძობიარე განცდებებსა და დატკბობას არ შეუძლია შედარება იმ სიხარულთან, რასაც იწვევს ადამიანში კომუნიზმის ხარაჩოების ხილვა:

მე მყვარებია ღვრჯე ყანებში ყაყაჩოები,
 მე ვარდიც მიყვარს, უფრო მიყვარს ქარიშხლის შეხლა,
 მაგრამ უმეტეს ოცნებაზე მე მიყვარს ესლა
 საქართველოში კომუნიზმის ხარაჩოები.

ამ უსაზღვრო სიხარულით პოეტის გული აღელვებულ ზღვას დამსგავსებია და სამშობლოს უბედნიერესი მომავლის ხილვით აღტაცებული სტალინის შუქით განათებულ გზას მიჰყვება:

აღელვებული ზღვის დონე მაქვს, გულში ზღვას ვიტყვ.
 ჩემი სამშობლოც, ვით მაისის დამე თბილია...
 შენს შუქზე ვდგევართ, დიდო სტალინ,
 შენს დროშას მივდევთ.
 და გულიც მხოლოდ შენს იმედზე დანდობილია!

ეს სიტყვები ნათლად გამოხატავენ პოეტის მთელ შეგნებას.

*
 * *

თვალს თუ გადავაგლებთ გ. ლეონიძის ლირიკის იმ ნაწილს, რომელიც ისტორიული სინამდვილისადმი მიძღვნილი, დავრწმუნდებით, რომ ჩვენს



პოეტს მომარჯვებული აქვს სოციალისტური რეალიზმის მეთოდი. მას თითქმის არასოდეს არ ღალატობს მხედველობა და ალლო შესაფერ ტონებში წარმოსახოს წარსულის სურათები. ეხმაურება იგი ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის მებრძოლ სახელოვან გმირთა აჩრდილებს თუ მტრის მიერ ძალით მიტაცებული ჩვენი მიწაწყლის კენესას, წარსული კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებს, თუ საუკუნეების უღელტეხილებზე გადმომშუქარ ქართველი ქალების სახეებს—ყველგან მთელი სიცხადით იგრძნობა თანამედროვეობის თვალთ დანახული წარსული, საბჭოთა პატრიოტის მაღალი ხმა.

ამ შემთხვევაში პირველად უნდა გავიხსენოთ ლირიზმით აღსავსე ნათხრობი ქართველი ქალის „ფორთოხალის“ შესახებ, რომელშიაც სწორედ, შავბნელი წარსულის ცხოვრებასთან დაპირისპირებით გამორჩელება მომხიბვლელი სილამაზე სტალინური თაობის მიერ სიცოცხლემინიჭებულ და აყვავებულ კოლხიდისა, სადაც პოეტი ამაოდ დაეძებდა ფორთოხალს საფლავს:

მე საფლავი ვერ ვიპოვე
შენახული ამანათად,
შენ რომ იდეჰ,—იმ ჭაოზე
დიდ ბღნარმა მამანათა!

გ. ლეონიძე უაღრესი სიმძაფრით გადმოგვცემს ყველა იმ წამებასა და აზრებას, რასაც კი საქართველოს თავზე გადაუვლია ყველა ჯურის დამპყრობთა თარეშის შედეგად. ამიტომ არის, რომ პოეტისათვის განსაკუთრებული სიყვარულის საგანს წარმოადგენენ ის სახელოვანი წინაპრები, რომლებიც შემოსულ მტერს გმირულად ებრძოდნენ და რომლებმაც ჩვენს ხალხს უანდერძეს პატრიოტიზმისა და რაინდობის, სიყვარულისა და მეგობრობის კეთილშობილი ტრადიციები. სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ეს მოღვაწენი განსაკუთრებით მახლობლნი ვახდნენ ჩვენთვის სამამულო ომის დღეებში; ამ ძვირფასი ადამიანების თავგანწირული ბრძოლა მამულისათვის, ჩვენი გმირული საბჭოთა არმიისა და ხალხისათვის მისაბამ მაგალითს წარმოადგენდა. გორგასალი, გიორგი სააკაძე, ცხრა ძმა ხერხეულიძე, სამასი არაგველი და სხვები—ლეონიძის ლექსებში ცოცხლებიან.

* *

გ. ლეონიძემ ორგანულად აითვისა ყველა ის ჯანსაღი განწყობილება, რაც ჩვენი სახელოვანი წინაპრების—ქართული სიტყვის მედროშეების სულიერ საგანძურში მოიპოვება. კერძოდ, ამის თქმის საბაზს უსათუოდ გვაძლევს მისი სატრფიალო ლირიკა. აქ უსათუოდ საგრძნობია ცხოველი კვალი სიყვარულის რუსთველური გაგებისა—„სიყვარული აგვამაღლებს, ვით ეყვანნი, ამას ქლერენ“. ამავე დროს, რაც მთავარია, მის ლექსებში ისმის ის ახალი, საკუთარი და თავისებური, რაც უარბად ახასიათებს ლეონიძის პოეტურ ხმას.

გ. ლეონიძე მთელი არსებით განიცდის სიყვარულის ყოვლისშემძლე ძალას, მთლიანად მინდობილია მის სტიქიაზე:

გავლიძეზღვარ მეც სიყვარულით,
 მეც მარხვეს მისი ჭარი მქუხარი,

თავისი შეხედულება სიყვარულის შესახებ პოეტს კარგად აქვს გამოთქმული ერთ ლექსში, რომელშიაც იგონებს ტაძრის ჩუქურთმაში გამოყვანილ ყვავილს, რომელმაც გაუძლო დროის განსაცდელს და ისევ ლამაზად გამოჰკრთის ტაძრის ქვებიდან. პოეტს სურს, რომ საკუთარი განცდა, სულიერი კავშირი, რომლითაც იგი გადაჯაჭვულია სატრფოსთან, სამუდამოდ დარჩეს მზის სინათლეზე ისეთივე უქნობი სილამაზით, „როგორც ჩარჩა ჩუქურთმაში ყვავილი“. აქ, თუ გავისხენებთ იმ სწრაფვას მარადიული ახალგაზრდობისაკენ, რაც მკაფიოდ არის გამოვლენილი მის პოეზიაში, ჩვენ წინ აღიმართება მთლიანი და მყარი ფიგურა შემოქმედისა, რომელიც ერთი აზრით არის გაქლენილი. ეს არის მარადიული სიცოცხლისა და მშვენიერების წყურვილი.

გ. ლეონიძის სატრფიალო ლირიკისათვის უცხოა უიმედობა და წუწუნე; მასში არ იგრძნობა სასოწარკვეთა, მისი ლექსი ყოველთვის იმედის სხივითა ფეთქავს. ამ მხრივ ლეონიძის წინაპრად ვაქა-ფშაველია უნდა ჩაითვალოს. ყველაზე მეტად იგი ვაქას რაინდულ ბუნებას ენათესავება.

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ გ. ლეონიძის ლექსი „ნინა ჭავჭავაძეს“ აღწევს გრძნობათა ისეთ სრულყოფას, როგორსაც დიდი ლირიკოსების ქეშმარიტად პოეტურ ქმნილებათა კითხვის დროს განვიცდით ხოლმე:

ოუ გადამქრალი შენ ხარ ვარსკვლავი,
 ახლაც მინათებს შენი მშვენება...
 შენგან შევითქვ, რომ სილამაზეს
 არ უწერია გადაშენება.

შენც ცოცხალი ხარ, შენი მგოსნებიც
 და გაერჯობება მათი გულისა,
 თავშესაფარი რამდენ ოცნების,
 იყავ ბანაკი გახაფხულისა!

აქ ავტორს ორგანულად აქვს განცილებილი თემა. სტრიქონებიდან მართლაც იგრძნობა ნაზი და საამური გრივალის ქროლა. „გადამქრალი ვარსკვლავი“, „ბანაკი გახაფხულისა“, „სილამაზის ნაზი გრივალი“, „მკერდზე, რომ ვარდსაც ძლივს იკარებდა“, — ეს მშვენიერი შედარებანი შესანიშნავად წარმოგვიდგენს ნინო ჭავჭავაძის რომანტიკულ მიმზიდველობას. ერთი კონტრასტის მეოხებით პოეტი მკითხველის თვალწინ აცოცხლებს ნინო ჭავჭავაძის ნაზ თვისებებსა და კლემამოსილებას:

შენ მოგაყარეს მიწა ბელტებად,
 მკერდზე, რომ ვარდსაც ძლივს იკარებდი.

ულავოა, ეს ლექსი უახლესი ქართული პოეზიის ერთი მარგალიტობანია.

სამამულო ომისადმი მიძღვნილ ლირიკაში თავისი პოეტურობით გამოირჩევა ლექსი—„ბერლინს მყოფო ქართლის ვაჟო“. აქ ავტორისათვის ჩვეული აღმაფრენით გადმოცემულია ახალგაზრდა ქალის სიხარული, რაც მასში გამარჯვების ძვირფას დღეს—9 მაისს გამოუწვევია:

გაზაფხულო, ცხრა მაისო,
 მაისებზე ასჯერ მეტო,
 საკუთარი მაისი ხარ,
 საუკუდაოდ საიმედო!

მაისის ამ ბედნიერ დღეს ქართველი ქალი გამარჯვებას ულოცავს თავის იმედს, ქართველ ვაჟაკს, რომელიც სახელოვანი, დიდებით შევიდა მტრის დედაქალაქში. აღტაცებისა და გულწრფელი სიყვარულის გრძნობასთან ერთად ქალის სიტყვები შეიცავენ ერთგვარ საბრძოლო ანგარიშსაც. ჩვენს წინაშე დგება ზურგის თავდადებული მუშაკი, რომელსაც თავისი ვალი სამშობლოსა და ოჯახის წინაშე პირნათლად შეუსრულებია:

შენს ხმაღს და შენს დროშას ვფიცავ,
 ყანასა და ქარვის მტევანს,
 დედაც ვიყავ; გუთნის დედაც,
 და მოსავალს არ აქვს ტევა!

ამ ლექსის ფინალი წარმოადგენს მძაფრი ლირიკული ტემპერამენტის შემცველ რეჩიტატივს, სადაც კარგად არის გადმოცემული ქართველი ქალის სიფაქიზე, ერთგულება და შეუვალი ნებისყოფა:

თუ შენა ხარ ჩემი ცალი,
 და მე შენი ბეჭდის თვალი,
 შენთვის ვენთე,
 სანთლის ლვეთებერ,
 დღეს აცხადდა, რაც შორს ჩანდა
 და გული თუმც დაეშანთა,
 ვერ დაგვძლიეს კავშანთა!

სიყვარულის გრძნობის გადმოსაცემად გ. ლეონიძე არ იშურებს თავის პოეტურ შესაძლებლობას; მისი მდიდარი შემოქმედებითი არსენალი ყოველთვის მზად არის გამოსცეს აღგზნებული ხმა, ლამაზი ფერადოვნება და სულიერი სითბო. მისი ტრფიალების ობიექტი მუდამ შემკულია ათასგვარი სამკაულით.

* *

ფორმის სიახლის პრობლემა სოციალისტურ რეალიზმში მთელი სისრულით დგას. კარგად ცნობილია, რომ ახალი შინაარსი ყოველთვის ახალ ფორ-

მას მოითხოვს. ამიტომ ვასაგებია, რომ ჩვენი მწერლობა სოციალისტური ცხოვრების წინაარსის მხატვრული ასახვისათვის ენერგიულად ეძიებს მხატვრული გამომსახველობის ახალხალ საშუალებებს.

ქართული ლექსის განახლებისა და სრულყოფისათვის გ. ლეონიძე ვაბედულად იბრძვის. ფორმის სიახლის წყურვილი საგრძნობია მის პოეზიაში. მის თამამად შემოაქვს ლექსში ხალხური მეტყველების წიაღიდან ამოკრეფილი სიტყვები და გამოთქმები. ამას გარდა, ძალიან ხშირად იგი მიმართავს სიტყვის ორიგინალურ წარმოებას. ბევრ შემთხვევაში პოეტი სრულფასოვან სიტყვებსაც წარმოქმნის ხოლმე; მაგალითად, ჩვენ მისაღებად მივაჩნია ასეთი კომპოზიციები: სახემშუქარი, მტრედისმხარული.

გ. ლეონიძისათვის დამახასიათებელია, აგრეთვე რთული პრეფერებების დახმარებით თავისებური წარმოება გამოთქმისა, მაგალითად: ვადანამქრული, ვადანაშინდული, ვადარუბლული, ვადმომესხივა. შეიძლება ზოგიერთი მათგანი სალიტერატურო ნორმებს არ ექვემდებარებოდეს, მაგრამ ისინი თავთავის ადგილას ზელს უწყობენ სურათის სისრულეს.

იმისთვის, რომ აზრისა და გამომსახველობის მეტ დინამიურობას მიადვიოს პოეტი შივადაშიგ ნაცვალსახელების გრადაციულ წყობას იძლევა. ვთქვათ, როცა პოეტს სურს ხაზი გაუსვას დიდი ბელადის ღვაწლის მნიშვნელობას ჩვენი სამშობლოს აღორძინების საქმეში, იგი ასე აწვითარებს აზრს:

და თუ სამშობლო მშენიერიცა,
 ვით აყვავება გაზაფხულისა,
 შენი, შენგანი, შენშიერიცა,
 მისი ფეთქვა და მისი გულისხმა...

სხვა ადგილას კიდევ პოეტი ასე მიმართავს ამხანაგ სტალინს: „შენგან, შენშიერ, ვით შევარდენი, შენს გმირულ მკერდზე დავიზარდენით“. ასეთივე ხერხს იყენებს თავისი მშობლიური კუთხის—კახეთისადმი დიდი სიყვარულის დასამტკიცებლად:

შენ დამიწიფე სიტყვები,
 ვით ხეს გასული მტენებო,
 შენი, შენდამი, შენს შუქთა,
 შენს ციმციმთ მისადგენები!

გ. ლეონიძის ლექსებიდან ძალიან იშვიათად ვაივონებთ უცხოურ სიტყვებს. აქ ქართული ლექსიკა მთელი ძალით მოქმედებს. სანიმუშოდ ყველა ლექსის, ყველა ადგილის მოტანა შეიძლებოდა.

ლექსის განახლებისა და ახალი ხერხების ძიების გზაზე გ. ლეონიძე ყოველთვის ვერა დგას თანაბარ სიმალღეზე. ალაგ-ალაგ ამ სიახლის ძიებაში აღვილი აქვს ცალკეულ ხარვეზებსაც. კერძოდ ეს ითქმის სიტყვათა თავისებური წარმოების შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში მის ნეოლოგიზმებს სალიტერატუ-

რო ქართულის ნორმებზე ვერ იგუებ: ასე მავალითად, ჩვენ არაბუნებრივად მიგვანჩნია ასეთი გამოთქმები: საშვილიერო, სიჭაბუკური, მიმოვლულობით და სხვ. ყველა ამ გამოთქმას ხელოვნურობის ელფერი დაჰკრავს.

რადგანაც ჯერი შენიშვნებზე მიდგა, გვინდა შევიჩრდეთ პოეტის ზოგიერთ არსებითი ხასიათის ნაკლოვანებაზე. პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ განხილული პერიოდის (დაწყებული 1931—32 წლებიდან დღევანდლამდე) ლექსებიდან ყველა ვერა დგას ერთ სიმაღლეზე, ზოგიერთი მათგანი ლეონიძის მაღალ-ნიჭიერ პოეზიაში დისონანსივით გაისმის. მავალითად, ისეთ მძლავრსა და ყოველმხრივ მდიდარ ნაკადში, როგორც არის სამამულო ომის თემატიკა, თავისი საერთო გაუმართაობით თვალში გეცემათ ლექსი „ქართველ პარტიზანებს“. პოეტს მიზნად დაუსახავს ემღერნა სახელოვანი ქართველი პარტიზანებისათვის, მაგრამ მიზანი მიზნად დარჩა და ლექსი კი ვერ უპასუხებს ამ ფრიად საინტერესო თემას; მასში საგრძნობია რიტორიკა და საერთო ნაუცბათეობა. სხვანაირად არ იხსენება ასეთი სტრიქონები: „შუბლს გემთხვევით, მკლავს გიკოცნით, გულ-პირ გაერთებით!“ აქ აშკარად იგრძნობა გამოთქმის უფერულობა, ასეთი ადგილები კი ლექსში სხვაც არის.

შემდეგ, ახალი მოვლენებისა თუ თანამედროვე ადამიანის ასახვის დროს გ. ლეონიძე ზოგ შემთხვევაში ძველ სახეებსა და გამოთქმებს იყენებს, რაც, რა თქმა უნდა, ზუსტად ვერ გადმოგვცემს ახალი დროის ხასიათს. არ შეიძლება, მავალითად, აღწერდე სოციალისტური მშენებლობის სურათს და იყენებდე მოძველებულ მხატვრულ მასალას. ან კიდევ, ვთქვათ, როცა პოეტს სურს დაგვიხატოს სამამულო ომის გმირის გარეგნობა, თუ შინაგანი გაცნობები, აქ მას არ გამოადგება იმ იარაღების, ნივთების და საერთოდ იმ ლექსიკის ქარბი გამოყენება, რაც წარსულის საკუთრებას შეადგენს. ასეთ შემთხვევებს კი არაიშვიათად ვხვდებით ჩვენი პოეტის შემოქმედებაში.

მაგრამ ასეთი ხასიათის ნაკლოვანებანი რა თქმა უნდა, ოდნავადაც არ ანელებს იმ ცხოველ შთაბეჭდილებას, რასაც მკითხველზე ლეონიძის შემოქმედება ახდენს.

გ. ლეონიძე ქართული ლექსის შესანიშნავი ოსტატია. შეიძლება ითქვას, ქართული სიტყვის კულტურას იგი სრულყოფილად ფლობს. მისი ლექსის კითხვის დროს არ იგრძნობა სიმძიმე და ნაძალადეობა, ლექსი თავისუფლად და ენერგიული ხმაურით მოეჩვენება.

მრავალჯერ არის აღნიშნული, რომ ლეონიძე მკვეთრი ინდივიდუალური ხმის მქონე პოეტია. ეს არავითარ ეჭვს არ იწვევს. საკმარისია კაცმა ერთხელ გადაიკითხოს მისი ლირიკის ნიმუშები, რომ იგრძნოს ის განსაკუთრებული და ახალი, ის სწორედ ლეონიძისებური, რაც მას დანარჩენ პოეტთაგან ასე მკვეთრად გამოარჩევს. ლეონიძის ლექსის იმანენტური თვისებები საგრძნობი და ხელშესახებია. ესენია: გრძნობის უშუალოება, აზრის სინათლე, ფოლადისებური ტემბრი, უაღრესი ხალხურობა.

გ. ლეონიძე თანაბარი სიმღიერით ფლობს როგორც ფერწერის, ისევე ხმების რთულ ნიუანსებს; ოღონდ, როგორც უკვე აღნიშნულია, მისი ლექსი უფ-

რო მაქორულ მელოდიებზეა აგებული, მის ხმაში უფრო ღელვისა და გმირული ყიჟინის ტონები ჭარბობენ.

გ. ლეონიძეს, როგორც ბუნების მხატვარს უაღრესად საპატიო ადგილი უკავია ქართულ საბჭოთა პოეზიაში. საქართველოს და კერძოდ, ქართლ-კახეთის მშვენიერი ბუნება მის სტრიქონებში თვალისმომკირეელი ბრწყინვალეობით ანათებს. ბუნების სურათების რაც შეიძლება მეტი სისრულით დახატვისათვის ლეონიძე არ ზოგავს საღებავებს და ხმის სიძლიერეს, პოეტური სახეები, შედარებანი, ეპითეტები და ცალკეული გამოთქმები ერთმანეთს ჩნაცვლებიან პეიზაჟის გადმოცემაში; ამასთან, ეს სახეები და შედარებანი ბუნდოვნად, თვითმიზნურად კი არ არიან განლაგებულნი, ისინი თითქმის ყოველთვის გამკვირვალე და გასაგებია, ყოველთვის მკიდრო კავშირში არიან მთავარ აზრთან. ლექსი „კახეთი“, მაგალითად, მთლიანად მეტაფორებსა და ფერადოვან პოეტურ სახეებზეა აგებული. კახეთის მშვენიერი ბუნების მიდლი აქ მძლავრად არის გადმოღვრილი: ვახდაბურული სამშობლო მოჩანს, როგორც მოჭრილი ჩუქურთმა, მოსჩანს გადამარჯნული ბალებით. ღარზე გასული მაქრის ბუტბუტით და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ სტროფები ჯერც კი იტყვენ უამრავ ფიგურალობას. ასეთი უხვი ხელგაშლილობით ჩვენს პოეტს ბევრი ლექსი აქვს აგებული.

პოეტი შესანიშნავად ფლობს რთული ალიტერაციის ტექნიკასაც, კარგად ემარჯვება ტაქების გამართვა ძარღვიანი ბგერების შეხმატკბილებით. მაგალითისათვის, ერთგან ასეთ ვირტუოზულ სტრიქონს შევხვდებით: „ციხის ციხის აყვება შუქი შორეულ შუქურთა...“; სხვა ადგილას: „მოფრიალენ მანდილებით მოფრინავდა ქარი, ქალაქს ქარი მოარბევდა—მთათა სერასკარი!“.

სხვა შესანიშნავ მხატვრულ თქმებს შორის, რომლებითაც ჩვენი პოეტის შემოქმედება ხვარეილად არის მოფენილი, განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ერთი პოეტური სახე, რომელიც მკაფიოდ გვაგრძნობინებს ლეონიძის პოეტური შთაგონების ცხოველმყოფელობას. იგი ასე მიმართავს ახალ ქართლს:

თვისუფლების ზომალდად იქცა
 აკვანი შენგან გადარწული!

ამ ორ სტრიქონში, რომელიც ხატოვანი აზროვნების ნიშნულად უნდა ჩაითვალოს, ყველაფერი ნათელია: დიდი ბელადის აკვანი, ე. ი. მისი ბავშვობისა და სიკბაბუის ადგილი, აქ ბუნების ამ წიაღში აკინძული მისი პირველი ნათელი ფიქრები დღეს აყვავებულან, სინამდვილედ ქცეულან.

გ. ლეონიძის პოეზიაში თეთრი ლექსის რამდენიმე ნიმუშსაც შევხვდებით. კარგად არის ცნობილი ილია ჭავჭავაძის აზრი თეთრი ლექსისა, და, ამ წყობით აგებულ გრიგოლ ორბელიანის „მუშა ბოქულაძის“ შესახებ: „მან ამით გვიჩვენა,—ამბობს ილია,—რომ ქართულადაც შეიძლება ურითმო ლექსი. ეგრეთ წოდებული „თეთრი ლექსიწყობა“, რომელიც ხმოვანებით და მუსიკით არანაკლებია რითმიან ლექსისა!“¹ დიდებული მწერლის ეს სიტყვები თამამად

¹ ილია ჭავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, ტ IV, გვ. 256.

შეიძლება გავიმეოროთ გ. ლეონიძის მისამართითაც; მისი ლექსები: „მცხეთის მთებში“, „მხარე, ვახუშტი გამომხვეული“ და „გომბორიდან“, ურთიმოდ ლექსთ-წყობის მაღალი ნიმუშებია. მაგალითისათვის ერთი ადგილის მოტანაც საკმა-რისია:

არ მინდა ჩანგი მე ხელნაჭერი,
 ნარტყამი ხმალი სააკაძისა;
 არ მინდა სირჩა სხვისი ნახვამი,
 ვარსკვლავი სხვისი შარავანდითა,
 სხვის იალქანი ათრთოლებული
 მე მიპოვნია ჩემი სიმღერა,
 ჩემი სიტყვები გამაპოებელი,—
 სიტყვა ამტყდარი წვიმასავითა,
 ცისარტყელებით ვარაყ ფრქვეული!

ღიხაც, გ. ლეონიძეს ნაპოვნი აქვს თავისი სიმღერა, თავისი საბატო ადგილი საბჭოთა პოეზიის ასპარეზზე. მისი შემოქმედებამსახურება იმ სულის-კვეთებას, რომლითაც გამსჭვალულია საბჭოთა ხალხი.

ჩვენი გმირული ცხოვრების ღრმა განცდით, დიადი მომავლის მშენებელ ადამიანთა გრძნობების ორგანული ათვისებით, სიტყვის შესანაშნავი ოსტატობით—გ. ლეონიძე მოწინავე საბჭოთა პოეტის სახელს სამართლიანად იმსახურებს. ჩვენი გმირული თანამედროვეობის მაჯისცემას იგი ყოველთვის ახალ-გაზრდული გატაცებით ეხმარება:

სიჭაბუკე და ლექსი ერთია—
 ერთ ჩუქურთმაში გამოყვანილი!

ეს ჩუქურთმა, რომელიც ოსტატის ჯადოქრული ხელით არის მოჭრილი და რომლის ხვეულებშიც საქართველოს ბუნების მაღლი და ვაჟკაცური გულის თრთოლვა ცნაურდება, ლეონიძემ სამშობლო-ქვეყნის სამსახურში მიიტანა.

შ. მ. მ. ა. ს. ბ. ლ. ნ. ი. მ.

უფლისციხის „დასავლით არს ქალაქი გორი. ამან სახელი მოიგო გორი-საგან, რომელი აღმოსულ არს მუნ დიდი, ლიხვის მდინარის კიდესა ზედა... არს გორასა ზედა ციხე დიდი. დასავლით არს გვირაბი, ჩატანილი ლიხვამდე, ქვიტიკრისა. ამის გარმოხვეული ლიხვიდამ ლიხვამდე ქალაქი... არამედ არს ადგილი ჰაეითა შვენიერი, წყალი კარგი, გარემოს აქვან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი ზაუხულ კეთილი, ზამთარს ცივი, ქარიანი... მსახლობელნი არიან ქართველნი და სომეხნი, ჰაეროვანი, ტანოვანი, შვენიერი, ამყინი და დიდის მთქმელი“¹, — გვამცნობს ვახუშტი ბატონიშვილი.

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ., გვ. 73, 74.

გორის აშენების თარიღი ჯერჯერობით არ არის დადგენილი ისტორიო-გრაფიაში. ოღონდ ერთი კი ცხადია: გორი უძველეს ციხე-ქალაქთა რიგს განეკუთვნება. არაჩვეულებრივად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობის გამო იგი ძველთაგანვე უაღრესად მნიშვნელოვან სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენდა. თავისი არსებობის მანძილზე გორს და მის გარშემო მდებარე ქართლის მიწებებს ბევრი სისხლისმღვრელი ბრძოლა გადაუტანია. ასეული წლების განმავლობაში თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი გმირულად უმკლავდებოდა უცხოელი დამპყრობლების ბრბოებს. სიკვდილ-სიცოცხლის ამ კიბილში გორის ციხის ბედს ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ხოლმე, როგორც მომხდური, ისე დამხდური მხარისთვის, რადგანაც, «გორი შიდა-ქართლის გული იყო, შიდა—ქართლი—კი მთელი ქართლის გული»¹. ცნობილია, რომ ოსმალების წინააღმდეგ გორთან გამართულ ერთ ბრძოლაში დ. გურამიშვილსაც მიუღია მონაწილეობა; უშუალოდ განცდილი მძიმე წუთები დავითმა ტრაგიკულ პოეტურ სახეებში გადმოგვცა:

იეგს მეფეს მოხსენდა
გორს ადგას ქართველთ ჯარები,
მუნ შეიყარა ოსმალო,
იქმნა თიფლისით მარები.
მოხედნენ ერთმანეთს; დაიქცა
რაც მაშინ სისხლის ღვარები,
აღაბრუნებდა ბევრს წისქვილს,
თუმცა სდებოდა ღარები!²

მრავალრიცხოვანი ბრძოლების შედეგად გორს ბევრი გაქირვება და ნგრევა გამოუცდია, გორის ციხის ქონგურები ბევრჯერ ჩამორღვეულან, მაგრამ ქართველი ხალხის დაუღალავ, გამრჯე მარჯვენას იგი ისევ აღუდგენია და თავდადებით დაუცავს. დავით აღმაშენებელი, სიმონ მეფე, ერეკლე მეორე და საქართველოს სხვა ნიქიერი გამგებლები გორის ციხის რესტავრაციისა და გამაგრების საქმეს ყოველთვის დიდი გულისყურით ეცილებოდნენ³.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამ საზღვარი დაუდო ჩვენს ქვეყანაში გარეშე მტრების შემოსევებს.

გ. ლეონიძის პოეზიაში უდიდესი სიძაფრით არის განცდილი ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ისტორიული წარსული; პოეტი მძაფრი ფერებით ხატავს შორეული წარსულის მნიშვნელოვან მოვლენებსა და გამოჩენილ ადამიანებს. ამას თვალნათლივ ადასტურებს, კერძოდ, ჩვენს მიერ განსახილველად

¹ ი. ჯაფახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწილი 1, მესამე გამოცემა, გვ. 321.

² დ. გურამიშვილი, დავითიანი, აღ. ბარამიძის და ს. იორდანიშვილის რედაქციით, 1931 წ., გვ. 81.

³ გორის შესახებ ვრცლად იხილეთ დ. გვრიტიშვილის ნაშრომში—«გორის ისტორიიდან».

აღებული ეპოპეის—„სტალინის“ შესავალიც. აქ ჩვენი თანამედროვე ადამიანისა და ხელოვნის განცდილ აღქმულია დიდი ხნის წინ გარდასულ დროთა ცხოვრება—ტკივილები. აქ მოთხრობილია თვით იმ დროდან დაწყებული, როცა ჩვენს ტერიტორიაზე დაბნავდა „ხეთის ქვეყნიდან მოსული ხალხი“. შემდეგ, როცა „აქ მტაცებელთა იყო სადოღე“. მაგრამ მტრის მრავალრიცხოვანმა შემოსევებმა ვერ დათრგუნეს ქართველი ხალხი:

დაგვწევს, დაგვდავს და ვერ წაიღეს
თავისუფლების ამაყი სული.
იგი ვადურჩა ბორკილს და ციხეს,
ის მთებში იყო გადახიზნული!

პოეტს ზოგადიდან თანდათან კონკრეტულისაკენ მიეყვარათ; ყოველ ახალ ნაბიჯზე უფრო გასაგები ხდება, თუ საით გვიზიდავს აზრთა ლოგიკური განვითარება. და აი ქართლის ბაღის შუაგულში გამოჩნდება ძველი ქალაქი თავისი ამაყი ბურჯით—ციხე-სიმაგრით, რომელიც დარბაისული სიღინჯით გადაპყურებს გარემოს. პოეტის შთაგონება თავს დასტრიალებს ამ სანუკვარ ალაგს. აქ თქვენ დაინახავთ ქალაქის ძველ სახეს, კარვად იგრძნობთ ბიზანტიის იმპერატორის ერეკლეს მძარცველურ ლაშქრობას, როცა მან, სპარსეთისაკენ გზად მიმავალმა აურაცხელი ნადავლი სიმიდირე გორს შეინახა, ამის შესახებ აკი გვაუწყებს მემატინე, რომ გორსაო „ერეკლე კეისარმან უწოდა ტონთიო (რომელია არს ოქროს მთა) და ჰყო საფლაველად საგანძურთა“. მოვლენათა შემდეგი განვითარებაც მსგავს სურათს იძლევა, ახალ-ახალი შემოსევები, „ხალხს მოსვენება არვინ აღრთავა“, ისკანდერი და მიტრიდატი, მონგოლები და ხალიფატი, ყივჩაღები და ხაზარები აწყდებიან გორს, „მაგრამ ამ სისხლის მოედანიდან ხმალმოუქნეველად არვინ გასულა“, გააგებული ბრძოლები, ხოცვა-ჟლეტა, ფეხზე წამოდგომა და ისევ ბრძოლები; ასე ნიადაგ ქართლის ისტორია ომებისა და სისხლისღვრის განუწყვეტელ ჯაჭვს წარმოადგენს:

აქ წარსულს დარჩა ხავსი და ბაღბა...
დროშის ნაჭრები... ხმალი გამტყდარი...
გორის ატმებქვეშ რამდენი დაღბა
როშის, აზიის ბაირახტარი.

მართალია, რუსეთის მფარველობაში გადასვლის შემდეგ გარეშე მტრები საქართველოს ეგრერივად ვეღარ აწუხებდნენ, მაგრამ ახლა მას სხვა უბედურება დაატყდა თავს; საქმე იმაში იყო, რომ ცარ იზმის პოლიტიკის შედეგად საქართველო თანდათან რუსეთის იმპერიის კოლონიად გადაიქცა. ნაციონალური ჩაგვრისა და ძალადობის რეჟიმი უფრო და უფრო სულის შემზუთავი ხდებოდა. მეფის სამხედრო მოხელეთა, ჩინოვნიკებისა და ობრანკის თავგასულობას ზედ ერთვოდა ადგილობრივ მემამულეებისა და თავადიშვილების თვითნებობა. ყველაფერი ეს მძიმე ტვირთად აწვა მშრომელ მოსახლეობას. პროლოგის შემდგომ სტროფებში სწორედ ეს მდგომარეობა პოულობს გამოხატულებას. მკვეთრ

ხაზებშია მოცემული გორის სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა მე-19 საუკუნის 70-იან წლებში, რაც ტიპიური იყო იმ დროის საქართველოსათვის საერთოდ.

სურათი სურათსა სცვლის, მოვლენა—მოვლენას, პეიზაჟი აზრთა განვითარებას ექსპოზება. კითხვა იბადება, რისთვის დასჭირდა პოეტს ვრცელი ისტორიული ექსპურსი, რატომ გადაგვიშალა ასე გულმოდგინედ ქართველი ხალხის ბრძოლის ფართო პანორამა? სწორედ აქ არის გამონასკული ავტორის მონაფიქრის ძირითადი აზრი, საერთო უსამართლობისა და ჩაგვრის პირობებში, როცა ქალაქისა და სოფლის პატიოსანი მშრომელი მისა მხოლოდ და მხოლოდ ექსპლოატატორულ კლასთა ყველგვის ობიექტს წარმოადგენდა, როცა პარიზის კომუნარების სახელოვანი ბრძოლის ეზო ევროპაში მქუხარედ გაისმა,—ამ ვითარებაში მსოფლიოს უნდა მოვლენოდა ადამიანი, რომელიც შემდეგ თვით წარუძღვებოდა დაჩაგრულ ხალხს თავისუფლებისა და საბოლოო გამარჯვების დასამკვიდრებლად. ეს ნაკარნახევი იყო ისტორიის მსვლელობის აუცილებლობით, ეს იყო საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების უდიდესი კანონზომიერება. ამ ისტორიული მისიის აღსრულება ლენინსა და სტალინს ხედავთ წილად.

პოეტი აღნიშნავს, რომ ამხანაგ სტალინის დაბადება საქართველოში სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო, ბუნების მშვენიერებით შემკულ, გამრული ტრადიციებისა და დიდი შემოქმედებითი პოტენციის მქონე ხალხს შესწევდა ძალა და კიდევაც მისცა ქვეყანას მზიური აზრისა და მოქმედების ტიტანი. ნაწარმოებში განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ ამ ყრმის ელოდნენ არა მარტო ქართველი მშრომელები, არამედ მთელი მსოფლიოს ჩაგრულები.

შოლტის, საზრის ქვეშ ყმა მოღუნული,
გლადიატორი ვეფხვის მრჩოლელი,
ხანძარმტყორცნელი აჯანყებული,
მტარვალზე ბოღმა შეურჩომელი;
აზრის მოწამე ცეცხლში დამწვარი,
მუშა გაფიცენილი, მინდვრის მთესველი,
მონა, ბოგანო და გაყიდული,
ყველანი იყვნენ ამ ყრმის ფესვები...

გ. ლეონიძის პოეტური ხედვა და მგონობელობა შემოზღუდულ ჩარჩოში ვერ ეტყვა. იგი პოულობს ახალ-ახალ უძლიერეს სახეებს უარესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენის გადმოსაცემად:

იბადებოდა...
ქვეყნის სიცოცხლე
თითქოს იმ აკვანს ფესვით მიება.

ეს არაჩვეულებრივი ძალის მქონე შედარება მთელი უშუალობით გვაგრძობინებს, რომ იმ აკვანში მართლაც ქვეყნის სიცოცხლე იწვა. ამიტომ პოე-

ტი ყოველთვის დიდი სიამაყის გრძნობით უმღერის ბელადის ნააკვნარს, ვერხვის ფოთლებში გამოხვეულ ქალაქს:

ბელადის აენის ხარ შემნახველი,
საყვარელია შენი სახელი!

* * *

საბჭოთა ლიტერატურის უპირველესი და საპატიო მოვალეობაა იყოს გამარჯვებული სოციალისტური ქვეყნის წინსვლის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. მხატვრულ ლიტერატურას, როგორც იდეოლოგიის მოწინავე დარგს, ცხოვრების განვითარებაში დიდმნიშვნელოვანი როლი ენიჭება. ინტელექტუალური შემოქმედების ეს ფორმა მოწოდებულია მკითხველის წინაშე მხატვრულ სახეებში გადაშლოს ცხოვრება მთელი მისი მრავალფეროვნებით, აღზარდოს და განაწარმოს მომავალი თაობა ჯანსაღი, კომუნისტური სულისკვეთებით; მხატვრული ნაწარმოები უნდა ნერგავდეს ადამიანში რწმენას საკუთარი ძალისადმი, უნდა ეხმარებოდეს მას მოქმედებაში.

სოციალისტური რეალიზმი მწერლისაგან მოითხოვს მხატვრულ ფერებში ასახოს ახალი, სოციალისტური სინამდვილის შემოქმედ ადამიანთა შრომა და თავდადება, გეიჩვენოს მათი გადამწყვეტი როლი კომუნისტური მშენებლობაში. ჩვენი დღეების გმირის ჩვენება მოქმედებასა და წინსვლაში, — აი, საბჭოთა მწერლობის უპირველესი ამოცანა. საესებით ბუნებრივია, რომ ყოველი მოწინავე საბჭოთა მწერლის უპირველეს ყურადღებისა და შემოქმედებითი აღმაფრენის უღვევ საგანძურს წარმოადგენს ჩვენი სიცოცხლის დამმკვიდრებლის ამხანაგ სტალინის შინაარსიანი ცხოვრება და მოღვაწეობა, რადგანაც იგი არის უპირველესი გმირი ჩვენი ჰეროიკული დღეებისა.

ამხანაგ სტალინის ცხოვრება და მოღვაწეობა მდიდარ და ამოუწურავ მასალას იძლევა ყოველი ჭეშმარიტი შემოქმედის ნიქისა და შესაძლებლობის გამოსავლენად. რა თქმა უნდა, ეს საპასუხისმგებლო საქმე გულისხმობს ენერჯიის სრულ დიქაბვას. მხატვრული არსენალის მრავალფეროვნებას, დაუღალავ შემოქმედებით შრომას.

გიორგი ლეონიძემ უკვე კარგა ხანია, რაც დიდი ბელადის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი თემა თავისი პოეზიის მთავარ ფოკუსში მოაქცია. იგი ნამდვილი ხელოვანის ვატაცებით ეძიებს ახალ და ახალ პოეტურ საღებავებს უსაყვარლესი ადამიანის სახის რაც შეიძლება მეტი სრულყოფით წარმოდგენისათვის. საკმარისია გავიხსენოთ ამ აქვით შთაგონებული მისი მრავალი შედევრი. ჩვენს მიერ გასარჩევად აღებული ნაწარმოები — ბელადის ბავშვობისა და ყრმობის წლებისადმი მიძღვნილი ეპოპეა ამის ყველაზე მნიშვნელოვან დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენს. ამ ნაწარმოებში მალალმხატვრული ასახვა ჰპოვა ამხანაგ სტალინის ბავშვობის წლებმა. პირველად საბჭოთა ლიტერატურაში გ. ლეონიძემ სცადა ფართო მოცულობის ტილოზე აესახა გარემო, საზოგადოებრივი ყოფა, რომელშიაც ფეხი აიდგა სოსო

ჯულაშვილმა, სცადა ამ ფონზე მოეცა პატარა სოსოს ზრდისა და ფორმირების პროცესი.

ეპოპეის პირველ წიგნს, გარდა ზემოგანხილული პროლოგისა, ორი კარი შეადგენს: დაბადება და ბავშვობა. პირველი კარი ცხრა თავისაგან შედგება. ესენია: დაბადება, ძეობა, იავ-ნანა, ბატონები, ამირანის მთვარე, სისხლიანი მიწა, კერა, არწივის ფრთები, ზაზა ჯულაშვილი. მეორე კარიც აგრეთვე ცხრა თავს აერთებს, აი ესენიც: შენი ნააკვნარი, მისის წვიმა, არსენა, კრივი, სულისა და ტვინის ციხე, სახრჩობელა, გულის ფიქრი და ნიშანი, თქვენი რიგია ახლებო და ჩაუხტეთ ბარათაშვილსა.

პოემის პირველი კარი 1879 წლის 21 დეკემბრის ისტორიული დღით იხსნება. ბესო ჯულაშვილის ოჯახს ბავშვი შეეძინა, „დაიძახეს მეზობლებმა: ბიჭი გაჩნდა ჩვენ უბანში!“ ზამთრის ეს ყინვიანი დღე არაფრით არ განსხვავდებოდა წინაღობებისაგან, „ჩიტს შიოდა... არც ქოხებში იყო ლხინი დარხეული“. ამ ვითარებაში აახილა თვალი პატარა სოსომ. ვაჟის დაბადებას მოსდევს სხვადასხვა რიტუალი, რასაც ძველი ხალხური წესის თანახმად ასრულებენ აკენის გარშემო. ძალიან დამახასიათებელი და საინტერესოა ერთი მათგანი:

მამალი გადააბტუნეს
—ბავშვი ფხიზელი გამოვა!
მერცხალი პირს გამოავლეს,
—ენაჭიკეკა გამოვა!

აკენის თავს დაადგეს მარილი,
—მარილიანი გამოვა!
გულზე შაქარი დაადეს,
—მოიყვარულე გამოვა!

საესე მთვარეზე აწვიენენ,
—ვაჟი ჯანმრთელი გამოვა!
აკვანში რკინა ჩაუდეს,
—შეუღრეკელი გამოვა!

აქ ჩამოთვლილი სასურველი თვისებებით მინიშნებულია სწორედ ისინი, რომლებმაც ცოტა მოგვიანებით, ყრმობისა და სწავლების წლებში სრული სიცხადით იჩინეს თავი იოსებ ჯულაშვილის არსებაში; გონებრივი სიფხიზლე, სიმართლისმოყვარეობა, გამძლეობა და შეუღრეკლობა ახალგაზრდას ტაიფის დამახასიათებელი ნიშნებია.

ძველი საიდათო ჩვეულება—ძეობა ნაწარმოების ავტორმა თავისი მიზანდასახულობისათვის კარგად გამოიყენა. ოჯახში გამართულ ვაჟიანობის აღსანიშნავ ზეიმის ფონზე, პოეტმა დამაჯერებლად გადმოგვცა საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ფიქრები და ტკივილები. ნაწარმოებში ნაჩვენებია განსხვავებული ასაკისა და სოციალური წრის წევრები: გლეხი, მეჭურჭლე, მეტივე, თერძი, მესტიერე, ხურო, რკინიგზელი მუშა და სხვები. ყველა ესენი უუფლებო, დაჩაგრულ მასას შეადგენს, მათ ალაღმართალი გული აქვთ,

მაგრამ გულში კი—ქრილობა...“ . ეს ქრილობა აერთებდა მსოფლიოს შრომის-
მოყვარე ხალხების აზრსა და გულისთქმას:

ჩვენ ვმუშაობთ, სხვისი არი—
პური, ღვინო, ბაღეული;
შიშნოილი და სიღარიბე
კალთაში გვაქვს გახვეული.

ცხოვრების უკუღმართობაზე მოსთქვამს გლეხი, რომელსაც ქვაზე მიწა
ულოკნია, ბედის ქომდურავია მქედელი, მეჭურჭლე; სიღარიბეზე ლაპარაკობს
თერძი, რომელსაც ბედმა ახალუხზე სიღარიბე დააკერა; მეტივე მზად არის თა-
ვისი ტივით შორს გასცუროს სამშობლოდან, სადაც შექვეარტლულ ბუხრის ბოლ-
ში სიკვდილი უწერია. ამ საერთო სურათში ორგანულად არის ჩართული მესტიე-
რე, ავტორის სტირი დანქირდა არა როგორც შეკრებილთა უბრალო გასართობი,
ძეობის ერთ-ერთი აქსესუარი, არამედ იგი აქ გამოყენებულია, როგორც ხალ-
ხის შემოქმედებითი ფანტაზიის შესანიშნავი ნაყოფი, მისი ქირ-გარამის მოზიარე
და მთქმელი. ჩვეულებრივი დალოცვის შემდეგ, სწორედ მესტიერე აღვივებს
ხალხში რწმენას სადაც არსებული თავისუფალი ქვეყნისადმი, მის მიერ და-
ხატული საოცნებო ქვეყანა გულისხმობს იმ ბედნიერ მომავალს, სადაც „ვინც
თესს, ვინც ვეშაობს,“ მოსავალიც მისი არი!“ ამ პატარა ფაქტითაც კარგად
მოჩანს პოემის ავტორის კონცეფცია ცხოვრებისა და ხელოვნების განუყოფლო-
ბისა, პოეზიის კეთილისმყოფელი მნიშვნელობისა ხალხის მოქმედებასა და წინ-
სვლაში. ძეობაზე სტუმართა შორის მყოფ რკინიგზელის სიტყვები უკვე სავ-
სებით აშკარად შეიცავს საბრძოლო მოწოდებას. ამ სიტყვებში ნაკარანხევია
პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმის საჭიროება: „ძმებო, გვეყო, არა კმარა მშა-
გვრელების ფეხქვეშ წოლა?“ მუშა ღრმად ჩაახედებს ხალხს ცხოვრებაში, იგი
ნერგავს მათში რწმენას საკუთარი ძალისადმი: „იცოდეთ, რომ ჩვენ ხელთ არი
ჩვენი ბედის გამარჯვება“.

ბავშვის აკვანთან შემოკრებილი ხალხი, მათი ღრმად დამფიქრებელი სა-
უბარი ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებზე ბუნებრივ ფერებშია გადმოცე-
მული. საკვირველი არ არის, რომ საზოგადო აზრი და ტყვიელები სწორედ
ამ ქობის ჰერქვეშ ინასკვება. ხალხის ფიქრი მიმართულია მომავალი თაობისა-
კენ, მასში ხედავს ხალხი ხსნასა და იმედს; აკვანში მწოლარე პატარა სოსო
წარმოდგენილია, როგორც მომავალი ბრძოლებისა და გამარჯვების სიმბოლი-
ური სახე. ამას გვანიშნებს ერთობლივი მიმართვა: „პაწაწინა აკვნის მდგმურო,
გაგვეზარდე საბრძოლველად!“ ხოლო უფრო ნათლად ეს იგრძნობა პოემის ამ
ნაწილის ფინალში:

გიხაროდეთ, ქოხმახებო,
აღსდგა თქვენი ნარისხვალი,
დიდ მუხაში დაბინავდა,
დასაქუქად ქარიშხალი..

ძეობის ფონზე ავტორმა მოგვცა მკვეთრი სოციალური პროფილი. მშრო-
მელთა წარმომადგენლები ცდილობენ გაარკვიონ საკითხი: „ღობვე, რადა ხარ

დაბალი, მდიდარის გადასათელი. რად ვერ ანათებს ღამეში ღარიბი კაცის სანთელი?“ სხვადასხვა აღამიანთა ფიქრებისა და მისწრაფების განზოგადოებით, პოეტმა წოდებრივი უთანასწორობებისა და სოციალური ჩავვრის ამსახველი დამაჯერებელი სურათი შექმნა.

ნაწარმოების ერთ-ერთი მომზიბველი თავია იავ-ნანა.

ქართულ იავ-ნანაში აშკარად შეინიშნება საბრძოლო მოტივი. იავ-ნანას მჭიდრო დაკავშირება ცხოვრების საზოგადო საკითხებთან, მასში მძლავრი მეზობლი სულის შეტანა უშუალოდ არის შერწყმული ილია ქაეჭავაძისა და აკაკი წერეთლის სახელებთან. ეს შეპირობებული იყო, რა თქმა უნდა, საქართველოს იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარებით.

გ. ლეონიძე ამ შემთხვევაში აგრძელებს თავისი დიდი წინაპრების ხაზს. ილიასა და აკაკისაგან განსხვავებით, რომლებიც საოცნებო გმირს დამღეროდნენ, ლეონიძეს კონკრეტული მასალა ჰქონდა ხელთ, რადგანაც ეს სიმღერა სტალინის აკენისათვის იყო განკუთვნილი. პოეტმა ჩინებულად გადასწყვიტა ამოცანა და გადაუქარბებლად უნდა იოქვას, რომ ბრწყინვალე ლექსი გამოთქვა. ჩაივითხოვთ ლექსი ბოლომდის:

ხელთსანის ღარიბ ქოზნი,
დედა დამღერს ბავშვის აკვანს,
რა ტუბილია ეს სიმღერა,
ბუღბუღების მღერასა ჰგავს.
რასა მღერის იავ-ნანა,
რას იძახის ვარდო-ნანა?
თითქოს ასი მტრედი ერთად
ღუღუნებდეს იავ-ნანას.
თითქოს კაეჭის კაკანია:
—ნანი-ნანა, ვარდო-ნანა;
ნეტა ვისი აკვანია,
პირი მოვევარდიანა.
—დატკბი, როგორც თავფლი სკაში,—
ამას ამბობს იავ-ნანა.
—გაიზარე მზის კაშკაშით,
ნანი-ნანა, ნანი-ნანა!
სხვას რას ამბობს იავ-ნანა,
აყოლებით ვარდო-ნანა?
—მინდვრად იცდის მწიფე ყანა,
ფხანათელი, სიფრიფანა;
რომ არ დაზრას ბუხანკალამ
ბიჭს მოვლის მოსამკალად.
კიდევ, კიდევ რასა მღერის:
ყელშეჭევეთ იავ-ნანა.
—ვინც დაზობლა პურით ყანა
სამართალი მას აქვს განა?
ზოგი ჩერებში გაგვახვია,
ზოგი ცამდის აიყვანა!

—ცაში ქორმა გადიარა
გული დამიდარდიანა,

ქორი ლუგმას გამოგეტაცებს,
კლანჭები აჭეს, როგორც დანა,
გვიტრიალებს გაზღადანა!

ავერ ჩიტი ჩაიჭირა,
შავ ღრუბლებში მიიშალა;
ადე, ბიჭო გამეზარდე,
ჩამოაგდე ყირიშალა!

ამას ამბობს იაე-ნანა,
თან დასძახის ვარდო-ნანა...

ხმა გაფრინდა, ვარდის ფურცლად
გაიფანტა ზამთრის კარში,
ცას ვარსკვლავი ჩაეხვია,
გადამდნარი მინანქარში.

ჩვენ განგებ მთლიანად მოვიტანეთ ეს მართლაც მეტად საინტერესო ადგილი პოემისა, რომ სისრულით გვეგრძნო, თუ რა დიდი განცდა, რა უსახლეო სიყვარული და აზრი ჩააქსოვა პოეტმა იმ სიმღერაში, რომელიც პატარა სოსოს აკვანთან უნდა ეთქვა დედას. აქ მშვენიერად იგრძნობა აკვის რწმენასთან აყოლებული რიტმი, ფაქიზი და ტკბილი მელოდია, და ამავე დროს, დედის ჩავონება ქვეყნად გამეფებული უსამართლობისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობის შესახებ. ქართლის ცაზე მტაცებელი ფრინველის — ქორის ნადირობა კარგად მიგვითითებს ცარიზმის მძარცველურ რეჟიმზე, — „ამიტომ დედის მუღარა პატარა ბავშვის მიმართ — „ადე ბიჭო, გამეზარდე, ჩამოაგდე ყირამალა“ ეს მტაცებელი ფრინველიო, — ხალხის ღალადისად გაისმის. მართლაც, ისტორიის შემდგომმა განვითარებამ თვითმპყრობელობის დამამხობელი დიდი ბრძოლების მხედართმთავრობა ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს არგუნა.

პირველი კარის შემდგომ თავებში მოთხრობილია, თუ რა მოვლენებთან იყო დაკავშირებული პატარა ბავშვის პირველი შთაბეჭდილებანი. შემდეგ და შემდეგ პატარა სოსოს გონებრივ განვითარებაზე ღრმა გაელენას ახდენს ოჯახში გაგონილი ზღაპრები და ხალხური თქმულებები, ხოლო მათ შორის, ბავშვზე წარუხოცველ შთაბეჭდილებას ტოვებს მიჯაჭვული ამირანი. მისი თავგადასავალი ერთსა და იმავე დროს იტაცებს და ანცვიფრებს სოსოს გონებას: „ბავშვი შეხედავს დაბმულ ამირანს, კლდეს ამირანი შეჰხორცებია“. პატარა სოსოს პირველი დაფიქრება სწორედ ამირანთან არის დაკავშირებული: „ბავშვს ერთი უკვირს — ხალხი ძლიერი — რათ არის დაბმულ კაცის ამირი?“. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამირანის სახე ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე გასდევს. მიჯაჭვული გმართა-გმირი აქ წარმოდგენილია, როგორც სიცოცხლისა, თავისუფლებისა და ბრძოლის სიმბოლო. საგულისხმოა, რომ პროლოგის დასაწყისშივე ბელადის სილიადე პოეტმა ამირანის სახეს დაუკავშირა:

გამოჩნდა მთების გაზრდილი,
თვით ამირანის ჯიშისა.

პატარა სოსოს ცნობისმოყვარეობა, მისი გულისთქმა სულ უფრო და უფრო ღრმავდება, ოჯახი, ვარემო—სინამდვილე, ხალხური გადმოცემანი თავის გავლენას ახდენს ბავშვის ზრდა-განვითარებაზე, თანდათან ფართოვდება მისი ინტერესების რკალი. როცა ერთხელ დედა ამთავრებს გულშემაზრავი თქმულების ნოჟოლას სისხლიანი მიწის შესახებ, სოსოს კითხვა ებადება: „დედი მიწა სისხლიანი რად არი? შიმშილი და სიღარიბე რად არი?“ იგი ისწრაფვის გაიგოს ქვეყანაზე გამეფებული წესების საიდუმლოება. პასუხი ერთია:

დიდი სჩაგრავს პატარასა,
ბელურას სჯამს ხარბი ქორი,
კაცს ნადიროს ხორტი უყვარს,
აფთარს უყვარს კაცის მძორო.

რა თქმა უნდა, ყოველივე ამან განაპირობა ბავშვის ღრმა ინტერესი ცხოვრების საკითხებისადმი, მისი ფხიზელი გულისყური ვარემო მოვლენებისადმი. შემდეგ, ქართლის ბუნების სიმშვენიერეს არ შეიძლებოდა თავისი კეთილისმყოფელი ზემოქმედება არ მოეხდინა პატარა სოსოზე. ქილაქის თავზე წამომდგარი მრავალბრძოლაგამოვლილი გორის ციხე, ქართლის ლაშაზი ველ-მინდორი, ზავთიანი ღიახევი და მოდუღუნე მტკვარი იყო ახალგაზრდა სოსოს გართობისა და მოქმედების ასპარეზი, „აქ მეოცნებე ბავშვს თან დასდევდა სევდა არწიფულ თავისუფლების...“ პოემაში კარგად არის ნაჩვენები, თუ როგორი უშუალოდით არის შერწყმული ყრპის ხასიათი ბუნების მოვლენებთან, მკითხველი კარგად გრძნობს, რომ სოსო ამ დიდებული ბუნების ღვიძლი შვილია. ამხანაგ სტალინის სიყრპის მეგობარი პეტრე კაპანაძე თავის მოგონებებში წერს: „დაუდგვარი და შეუპოვარი ღიახევის ტალღათა სრბოლა პატარა სოსოს ძლიერ მოსწონდა და ამიტომაც საბანაოდ ყოველთვის ღიახევის ამჯობინებდა. —„მდორე მდინარე გარშემო უსიცოცხლოდ შემოვადგება, არსებობას ოდნავ გავრძნობინებს. აბა, შეხედე, სულ სხვაა ღიახევი: წაგაქცევს, წამოუდგები, ფეხქვეშ ქვებს გამოგაცლის, ებრძვი, გებრძვის,—ასე ამბობდა 11—12 წლის მომავალი დიდი რევოლუციონერი და მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადი.“¹ აქ მოტანილ სიტყვებში მკაფიოდ იგრძნობა ახალგაზრდა სოსოს მოქმედების წყურვილითა და შეუდრეკელი სულით აღბეჭდილი ბუნება.

გმირის ასეთმა ხასიათმა ეპოპის ფურცლებზე თავისი ნიმიზიველი ასახვა ჰპოვა. ღიახევის ტალღებში უშიშრად სრბოლაში თუ სიმღერის შემოძახებაში ჭიდაობასა თუ კრივში, ლახტსა თუ ჩილიკაობაში, —ყველგან და ყოველთვის მკლავნდება სოსოს უნარი და მოხერხება. აქვე არის ცდა გმირის პორტრეტის დახატვისა, რისთვისაც პოეტს მონდომება და სიტყვის ეშხი არ დაუშოვავს:

თავგადაწულს, პატარას,
უხდება წარბის ყრილობა,
სანდომიანი სიცილი
და ბავის გაწყობილობა.

1 პ. კაპანაძე, ბელადის ბავშვობა და ყრობა, მოგონება, გვ. 15—16.

შეგრუხა თმები უბზინავს,
 თითქოს გიშერში გარია,
 შავი, მაგალი კოჩორი
 ბუჩქიკით წამომდგარი აქვს.

მოგრძო სახე აქვს ჭართული,
 გაცინებული თვალები;
 არწიველ მზერას ამჟღავნებს
 გამზდარი, ნაფერმკრთალევი...

მაგრამ ჩასმული ბიჭია,
 ცქციტი, კირკიტი, კენარი,
 უდრეკია და გულადი,
 სხარტი და მოუსვენარი.

განსაკუთრებით უნდა ითქვას, რომ პოეტის სიტყვა გმირის ხასიათისა და მოქმედების გადმოცემის დროს დამაჯერებლობის დიდი გრძნობით არის აღჭურვილი. ყოველი ეპიზოდი, ყოველი სიტუაცია, სადაც სოსოს თვისება ვლინდება, ბუნებრივ ელფერს ატარებს. იგრძნობა, რომ ცალკეული შემთხვევა თუ ამბავი სწორედ იმგვარად შეიძლება მომზადდეს, როგორც ეს პოეტს აქვს გადმოცემული. ყველაზე უფრო მკვეთრად მჟღავნდება ეს იმ სურათებში, რომლებიც სოსოს სკოლაში გატარებულ დღეებს ეხება. ახლო ამხანაგებისა და მეგობრების მოგონებით, იოსებ ჯულაშვილი პირველ მოწავედ ითვლებოდა სკოლაში. მიუხედავად იმისა, რომ გორის სასულიერო სასწავლებელში ღვინის მსახურთა თაობას ზრდიდნენ, ახალგაზრდა სოსოს თავისი გონებრივი განვითარების ძირითად წყაროდ სამღვთო რჯული თუ კატეხიზმი როდი დაუსახავს. იგი უფრო მეტი გულსისყურით ეკიდებოდა სკოლის გარეშე ლიტერატურას. მისი უსაყვარლესი საკითხავი ცხოვრების წიგნა იყო.

სკოლაში გატარებული დღეები უფრო ათვითცნობიერებს, უფრო ღრმად ჩააკვირებს ისედაც ცნობისმოყვარე ბავშვს ქვეყნის ავტორიანობაში. გამჭრიახი მოწაფე მალე სწვდება ღვთისმსახურების უაზრობას, მის სრულ წინააღმდეგობას საზოგადოებრივი ცხოვრების ნამდვილ შინაარსთან. „ნეტარნი მშვიდნი არიან“... ნათქვამია სამღვთო წერილში, ეს სიტყვები აკვირებს სოსოს: როგორ, — ფიქრობს იგი, „მშვიდი — ბიძია გიია, მშვიდი — ნინია პაპა“, მაგრამ თავიანთი დღე და მოსწრება მათ ნეტარი წუთიც კი არ განუცდიათ, პირიქით, დღენიადღვ სილატაკესთან არიან შეხლილი. ასეთი მსჯელობის შემდეგ სოსო მიდის დასკვნამდე: „მშვიდი“ ის არი, ვინც სვა ცხოვრების ნეტარი...“

პეტრე კაპანაძის წიგნში მოთხრობილია კიდევ ერთი საგულისხმო ამბავი. ბელადის ბავშვობის მეგობარი გადმოგვცემს: ერთხელ მე და სოსომ ქალაქგარეთ, ტყისპირად მოთავსებულ წმინდა გიორგის ხატს შაჟრიანი სანთელი დაეუწთეთ და ვთხოვდით სწავლაში დაგვხმარებოდათ; როცა მეორე წელსაც შევთავაზე ხატის ნახვა, სოსომ ასე მიპასუხა: „ჩვენი გროშით ღმერთს რას შევმატებთ, ის ხომ „ყოველისმხილველა“, უსანთლოდაც ყველაფერს ხე-

დავსო. ღმერთზე ასეთი ლაპარაკი პატარა სოსოსი იმ დროს ცოტა არ იყოს მეუტხოვარ, — დასძინე მოგონების ავტორი.

აქ მოთხრობილი შენახვევა ძალიან ემსგავსება პოემაში გადმოცემულ ერთ ეპიზოდს, პოემაში („სახარჩობელა“) აღწერილია, თუ როგორ ჩამოახრჩეს ხელმწიფის ჯალათებმა გორში საჯაროდ ორი ყაჩაღი. ამ სახარელმა სანახაობამ ხალხზე და კერძოდ პატარა სოსოზე ამაღელვებელი შთაბეჭდილება მოახდინა, „მეორე დღეს გაღვიძებულს, სძულს მთავრობა და სძულს მეფე...“ მისთვის ნათელი შეიქნა, რომ ქრისტიანიზმის ჩავონება ღმერთის ყოვლისმცოდნეობისა და კეთილისმყოფელობის შესახებ სიყალბეა. ამის თაობაზე მასწავლებელთან კამათის დროს გონებაგახსნილი მოწაფე ლოგიკური მსჯელობით ფარდას ხდის რელიგიის უაზრობასა და სიმკაცრეს; თუ ღმერთი ყველგანარსებული და მარადიულია, მას უნდა სცოდნოდა, რომ ყაჩაღები ქვეყნად არიან და თუკი ეს მისთვის ცნობილი იყო, მაშ რატომ დართო ნება ყაჩაღთა ტომის გაჩენისა; მასწავლებლის პასუხი, ღვთაებამ ამით აღამიანი გამოსცადაო, — სოსოში განცვიფრებას იწვევს:

— მაგრამ ღმერთი ხომ ყოვლად ბრძენია
და არა ვინმე კაცი რიოში?
რისთვის დასჭირდა ყველაფრის მცოდნეს,
გამოეცაღნა აღამიანი?
უნდა სცოდნოდა, რომ შესცოდავდა,
არ ასცდებოდა ცოდვით ხიანი..
რით ვერ მოაწყო ღმერთმა ცხოვრება
გარეშე ყოველ გამოცდენისა?.. —

ეპოპეის ბოლო თავებში გმირის ამგვარი მსჯელობა, მისი ათვისტური ბუნება მოულოდნელი როდია; ნაწარმოებში თანდათან არის მომზადებული ამის საფუძველი. საქმე იმაშია, რომ მშრომელი ხალხის წიაღში აღზრდილ სოსოსათვის ანტირელიგიური სულისკვეთება უცხო არ უნდა ყოფილიყო. გავიხსენოთ გლეხების საუბარი ძეგობის დროს, სადაც მოხუცის სიტყვებზე — „ღმერთს შევეხვეწოთ, ვილოცოთ, ლოცვა არასდროს მომცდარა!“ ახალგაზრდა ამბობს: „ნახეს ვთხოვე, იმან კი მომცა, ღმერთს ვთხოვე, — არა მომცა-რა!“ მერმე, ამირანსა და ღმერთს შორის მომხდარ მძაფრ კონფლიქტში მეოცნებე ბავშვის სიმპაფიები, რა თქმა უნდა, მიჯაჭვული გმირის მხარეზე იქნებოდა, გმირისა, რომელიც ხალხს მოუწოდებს:

ჩემს პურს რძე გასდის, თქვენს ნამცხვარს — სისხლი!
ამის ცოდნა ჩემი სიყვე;
ადეკი ხალხო, ფრთები შეისხი,
ნუღარ ხარ უფლის მონისიყვე!

ამის გარდა, თუ გავიხსენებთ პოემის მთელ რიგ ადგილს, სადაც თვალნათლივ მოჩანს ხალხის ჭირ-ვარამი და მის შეგნებაში გაღვიძებული რელიგიური სტეპტიციზმი, — მაშინ საყვესებით გასაგები გახდება სოსოს ჯულაშვილის სიძულვილი თეოლოგიურ-მისტიკური სქოლასტიკისადმი.

ყოველივე ამის შემდეგ დიდი დამაჯერებლობით არის აღბეჭდილი პოემის სტრიქონები:

რალაც „სხვას“ ბავშვმა მიაგნო,
 აზრმა იქამდის იარა,
 გაიგო, ზრდიან მონებად
 და არა—აღამიანად!

იმ ხანად გორის სასულიერო სასწავლებელში ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა ცნობილი ქართველი მწერალი სოფრომ მგალობლიშვილი. ჩვენში იმ დროს ფეხმოკიდებული ხალხოსნური იდეების მხურვალე პროპაგანდისტი სკოლის კედლებში, მოწაფეთა შორის ნერგავდა მშობლიური კულტურის სიყვარულს, ეროვნული თვითშეგნებისა და სიამაყის ნათელ გრძნობას. აი რას წერს ამის შესახებ თვით ს. მგალობლიშვილი: „მასწავლებლები შეეუდეთ სკოლაში ახალ სიოს შეტანას. უფროს კლასებში, სადაც უკვე 14—15 წლის ყმაწვილები იხდნენ, შეგვექონდა რევოლუციონური შინაარსის ნაწერები, მოთხრობები, ლექსები... აშკარად შემქონდა მესამესა და მეოთხეში, განსაკუთრებით მეოთხეში ჩვენთა მწერალ-პოეტთა მოთხრობები, პატრიოტული ლექსები. იმისთანა ლექსები, როგორც „მუშა“ ილიასი, „მუშა ბოქულაძე“ გრ. ორბელიანისა—შემთხვევას მიძღვედნენ მოწაფეთა წინაშე გადამეშალა მუშა-გლეხის ყოფა-მდგომარეობა. ვაცნობდი ქართული მწერლობის და ენის დევნა-შევიწროებას მონარქიული რეჟიმისაგან, ვუკითხავდი შესანიშნავ ისტორიულ ამბებს, რომელსაც მე თვით საგანგებოდ ვამზადებდი. ბავშვებს შეუყვარდათ ქართული ისტორია, სამშობლო, დედა-ენა, ქართული მწერლობა¹. ამასვე ადასტურებს პეტრე კაპანაძე: „ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი სოფრომ მგალობლიშვილი, ჩვენში კარგად ცნობილი ბელეტრისტი და საზოგადო მოღვაწე, სასწავლებელში გაკვეთილების დროს მრავალ საუკეთესო გარეშე წიგნს გვაკითხებდა; მან შეგვაყვარა მშობლიური მწერლობა. დღესაც პატივისცემითა და სიამოვნებით ვიგონებთ სოფრომს მისი ყოფილი მოწაფეები“².

ეს საყურადღებო ისტორიული მასალა ეპოპეის ავტორს საინტერესოდ აქვს გამოყენებული. მემუარისტების მიერ მოთხრობილი ფაქტები ორიგინალურად არის გადამტყდარი გ. ლეონიძის ნაწარმოებში. ყურადღებას იპყრობს გულთბილი ფერებით შესრულებული ეპიზოდური სახე სოფრომისა. მისი მკაფიო, გულშიჩამწვდომი საუბარი საქართველოს სახელოვანი წარსულის შესახებ. ილიასა და ყაზბეგის ნაწარმოებთა გმირების მემომოხე სულისკვეთებით გამსჭვალული ბუნება მოწაფეთა შორის აღვივებს პატრიოტიზმის ცხოველმყოფელ გრძნობას. მასწავლებლის სიტყვების ძირითადი აზრი ნათელია, იგი უსახავს ახალგაზრდებს გზას ხალხისაკენ:

¹ სოფრომ მგალობლიშვილი, მოგონებანი, გვ. 84—85.

² პ. კაპანაძე, ბელადის ბავშვობა და ყრობა, მოგონება, გვ. 22.

თქვენი რიგია ახლებო...
 დღეს ასპარეზი მზათ არი!
 ნუ შეგაშინებთ სიმშლიო,
 ნურც ნაზავთარი

ზამთარი

ხალხთან,
 ხალხისკენ, ბავშვებო,—
 შრომით, ფიჭრით და ოცნებით,
 და მაშინ სისხლბოცეულად
 ხალხის გულს შევეხორცებით...

ეპოპეის ბოლო ფურცლებზე მოცემული ფართო სურათი, სადაც დახატულია ქართლის მინდვრებზე მომუშავე გლეხებს შორის ჩამდგარი ყრმა სოსო, წარმოადგენს ყველაფერ იმის ლოგიკურ დასკვნას, რაც გაშლილი არის მთელი ნაწარმოების მანძილზე. ხალხის შუაგულში მდგარი სოსო, რომელმაც ურყევად შეიგრძნო მშრომელთა ბედითი ტკივილები, კენესა გულისა და მათი მოზიარე გახდა, მოჩანს, როგორც ხალხის სიმართლისა, მისი უკვდავი გმირული სულისა და გამარჯვებული მომავლის ცოცხალი სახე. პოეტმა დიდი შემოქმედებითი გზნებით დაგვიხატა ეს სურათი. მშვენივრად შერჩეული ძველი ქართული სიმღერით სოსო წინ მოუძღვება გლეხებს:

რა გააჩერებს, რა ძალა
 ხალხს აზვირთებულს, აშლილსა?!
 — „ჩაუხტეთ“, სოსო დასძახებს,
 „— ჩაუხტეთ. ბარათაშვილსა!“.

ქართლის თვალწარმტაცი ბუნების ფონზე აზვირთებული ხალხის გულის-თქმა და მომავალი ბელადის ნათელი სახე ერთი განუყოფელი მთლიანობით შედუღებული, ეპოპეის ფინალურ სტროფებში გამოკვეთილია, როგორც საკაცობრიო მზიური ოცნების აღსრულების რეალური საწინდარი:

მღერით მოდიან, წინ უძღვით
 მღერალი სახე ბრწყინავი.
 მღერა იყო თუ ბრძოლის ხმა,
 ქარი იყო თუ ნიავი?

აფეთქებული გულია,
 თუ პირგახსნილი იარა?
 გორის ცაზე და ციხეზე
 არწივმა გადაიარა...

სწივაკრფილი მზე ჩადის
 ვარსკვლავმაც შეიჭახჭახა...
 მზე ჩადის..
 მზე ხვალ ამოვა—
 უფრო დიდი და ჩახახა!

* * *

საინტერესოა, თუ რა სიმაღლეზე დგას ეს თხზულება, როგორც ხელოვნების ქმნილება? პოეტური შემოქმედების რა ფორმა გამოიხატა ავტორმა ამ

მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო თემის გასაშლელად? რა ლირებულებისაა საერთოდ ამ ნაწარმოების მხატვრული ქსოვილი? ლიტერატურული შემოქმედების ამ მხარეს განუზომელი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი მწერლობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე, როცა ხალხი ჩვენი ეპოქის ხელოვანისაგან სრულიად სამართლიანად მოითხოვს ყოველმხრივ დახვეწილ და სრულყოფილ ნიმუშს მხატვრული შემოქმედებისა, რადგანაც მხოლოდ ის მხატვრული მოვლენა დაიმიჯიდრებს სამარადისო ადგილს ხალხის გულში, სადაც დიდი შინაარსი ასეთსავე დიდსა და შესაფერის პოეტურ ფორმაშია ჩამოძვრილი.

სალიტერატურო კრიტიკაში არა ერთხელ აღნიშნულა, რომ გ. ლეონიძის პოეზია ღრმად ორიგინალურია. მართლაც, ფაქტობრივი მასალა ამის დადასტურების სრულ შესაძლებლობას იძლევა. მაინც რა არის მისი ლექსის ძირითადი ნიშანდობლივი თვისებები? ჩვენი ფიქრით, პირველ ყოვლისა, ესენია: მაღალი, ღონიერი, უაღრესად კოლორიტული ხმა, პოეტური სახეების მდიდრული ბრწყინვა და საზრიანობა, და, რაც მთავარია, კემშარიტი ხალხურობა.

ეპოპეაში მთელი სისრულით გამოვლინდა ავტორის ლექსის დამახასიათებელი ნიშნები, რიტმი, რომელზედაც აგებულია ნაწარმოების აზრობრივი განვითარება, ძლიერი დინამიზმით ხასიათდება, ლექსი თავიდან ბოლომდე ცოცხალი ტემპით მოემართება, ამ მხრივ თითქმის არსად არ იგრძნობა მოდუნება, ჩავარდნა, ამიტომ მკითხველი ყოველთვის დაძაბული გულისყურით მიჰყვება მოქმედების მსვლელობას; ამასთან უსათუოდ საგრძნობია ავტორის შინაგანი მღელვარება, რაც, სწორედ, სტროფების დინამიკურ დინებასა და, საერთოდ, მაღალ, საზეიმო ტონში მღვანედება.

ძნელია იმის თქმა, თუ რომელი სალექსო წყობა უფრო ემარჯვება ჩვენს პოეტს. პოემა გვარწმუნებს, რომ ვერსიფიკაციის სხვადასხვა სახე ავტორს თანაბარი სიმძლავრით გამოუდის, აქ ერთნაირი მიმზიდველობით ხმოვანებენ მაღალი და დაბალი შაირი, ათ, თერთმეტმარცვლოვანი და შერეული ლექსიც; მაგრამ მაინც, ჩვენი ფიქრით, გ. ლეონიძის სტიქია ქართული ხალხური რვა-მარცვლოვანი დაბალი და მაღალი შაირია. ასეთ წყობაში იგი თანამედროვე ქართული პოეზიის საუკეთესო ოსტატად მოჩანს. ამის თვალნათლივ დამტკიცება უამრავი ნიმუშით შეიძლებოდა.

პოეტური სამკაულების მდიდარი მარაგი ერთ-ერთი ძირითადი პირობაა, რომელიც პოემას მაღალ ესთეტიკურ და დიდ შემეცნებითი ზემოქმედების ძალას ანიჭებს. ძლიერი მეტაფორებითა და შედარებით გამოკვეთილი მხატვრული სახეები ქმნიან ფართო ხედის მთლიან და ამაღლევებელ სურათებს.

გ. ლეონიძისათვის პოეტური სახეების ძერწვა თვითმიზანს არ წარმოადგენს. მისი მხატვრული თქმები უმეტეს შემთხვევაში გამსჭვალულია სინათლითა და საზრიანობით, ისინი ძირითადად მთავარი იდეის გაშლასა და განმტკიცებას ემსახურებიან. ამის დასამტკიცებლად ძალიან ბევრი მაგალითის მოტანა შეგვეძლო, დავჯვრდეთ მხოლოდ რამდენიმეს.

პროლოგის გარჩევისას უკვე ვთქვით, რომ პოეტი წარმატებით ეძიებს ახალ-ახალ უძლიერეს სახეებს დიდი ბელადის დაბადების გრანდიოზული მნი-

შენელობის დასამტკიცებლად. ამას ყველაზე უფრო მეტი სიმძაფრით გვაგრძობინებს ეს მხატვრული სახე:

არც ყრმა, არც გმირი და არც მესია,—
 ქვეყანა ახლად იბადებოდა!..

აქ, ყოველი ახალი, ერთმანეთზე უფრო ძლიერი ცნების უარყოფის შემდეგ პოეტი იძლევა მოკლენის შესაფერ, ადექვატურ ცნებას. „არც ყრმა, არც გმირი და არც მესია,“ ასე თანდათან უფრო ზეაღმავალი საფეხურით მიჰყავს პოეტს მკითხველი, რომელსაც უნებლიედ ებადება კითხვა, თუ რაღას უნდა შეედაროს ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტი? და აქვე სრული რწმენითა და ღელვადუოკებელი სიღინჯით ვაისმის: „ქვეყანა ახლად იბადებოდა!...“ ამხანაგ სტალინის შედარება ახალი ქვეყნის გაჩენასთან, ქვეყნის ახალ სიცოცხლესთან შეუდარებელი ძალით გადმოგვცემს ამ გენიოსი ადამიანის მსოფლიო, საკაცობრიო სასიცოცხლო მნიშვნელობას.

გ. ლეონიძის მხატვრულ თქმას მრავალფეროვნებასა და სიღრმესთან ერთად ახასიათებს სისადავე. პოეტი სახის შესაქმნელად ცდილობს შეარჩიოს გასაგები, ხალხის შეგნებასთან ახლოს მდგომი საგნები. ამიტომ მისი ვადატანიითი მნიშვნელობით ნახშიარი გამოთქმები ადვილად ასათვისებელია და ხელშესახები. მაგალითად, როცა საჭიროა მთელი უშუალოებით განვიცადოთ გორის ციხის საბრძოლო თავგადასავალი, მისი სისხლიანი ისტორია, პოეტი ამისათვის შეარჩევს სრულიად გასაგებ, ყოველდღიურ საგნებს:

მისი კედლები ცხელი თონა,
 სისხლიან პურის გამომცობელი.

ქემარატი პოეტის თვისება, სხვათა შორის, ისიც არის, რომ დაჯილდოებულია უნარით ხშირად ერთ სტრიქონში სრულყოფილობით გააცოცხლოს და დაგვიხატოს რომელიმე მნიშვნელოვანი მოვლენა. ამ ნიქს ლეონიძე არა იშვიათად ამჟღავნებს თავის პოემაში. ეპოპეის პროლოგში, ქმაგალითად, საქართველოს შესახებ ვკითხულობთ:

ფოლადიც აქ მოიგონეს...

ამ ერთ პატარა სტრიქონში დიდი აზრია ჩატეული: მკაფიოდ არის თქმული, რომ ფოლადის სამშობლო ფოლადისებური გაუტეხელი ვეჯაკების სამშობლოცაა და ამით, პირველ რიგში, მინიშნებულია იოსებ ჯულაშვილის ბუნების ფოლადაურობაზე.

პატარა კახის შესახებ პოემაში ნათქვამია:

ერთველ ცხენზე დაბერდა...

დამეთანხმებით, რომ ამ სამ სიტყვაში სისრულით ისახება ერეკლეს გმირული ხასიათი, მისი განუწყვეტელი სახელოვანი ლაშქრობების სიცხოველე.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ გ. ლეონიძე მახვილი თვალის პოეტია, იგი ადვილად იჭერს ყოველ წვრილმანს, ყოველ აქსესუარს და პოეტურია გააზრების განსახორციელებლად კარგად იყენებს. ასე, მას ბევრი ადგილი აქვს გამართული.

ეს იგრძნობა განსაკუთრებით ყოფითი სურათების ხატვის დროს, სადაც შეღავნდება ცხოვრების კარგი ცოდნის მისაბამი მაგალითი. დიდი სიყვარულითა და მონღოზებით ხატავს პოეტი, მაგალითად, ჯულაშვილების ქოხს. ავიღოთ ერთი მომენტი:

ბზის კონა და თავთავები
ბოძს მიკრული სამ-სამ ტოჩად,
ზედ სურათი: ჩოქმოყრილი,
სიყვარულის წიგნს სწერს შოთა.

აქ გამოყენებული ქართული სახლისათვის დამახასიათებელი რეალიები ზუსტ და მშვენიერ ეთნოგრაფიულ სურათსა ჰქმნიან.

ერთგან პოეტი დეტალის ოსტატური გამოყენებით, კარგად გვაგრძნობინებს პატარა სოსოს ზრდა-განვითარების თანამიმდევრობას:

ბიჭის ტანტს კი წლისთავს დედა
ფიცრის ნაჭერს უმატებდა.

გ. ლეონიძე თავისუფლად ფლობს ლექსის ტექნიკას. პოეტი გამოცდილი მოქანდაკის ხელით ძერწავს ახალ-ახალ სახეებს, იგი მხატვრული სიტყვის საგანძურის ნამდვილი მესაიდუმლეა. ეპოპეაში გამოყენებულია ლექსის თითქმის ყველანაირი სამკაული: მეტაფორა თუ შედარება, ალიტერაცია თუ პიზერბოლა, მეტონიმი თუ ეპიტეტი. ლექსი უმეტესად აწყობილია მედურ, ვაჟაკურ რითმზე. ორ დღილას მაჯამასაც კი შეხედებით. განსაკუთრებულ გემოვნებას იჩენს პოეტი ბელადის სახის მხატვრული გამოქანდაკების დროს. ამხანავ სტალინის სიდიადის გადმოსაცემად გამოკვეთილია ბევრი შესანიშნავი პოეტური სახე და, აგრეთვე, ცალკეული ფიგურალური თქმები, როგორიც, მაგალითად: ქეყენის გამთენებელი, შარავანდედი, ნათლის მდინარი, მწვერვალი მალაღმთიური, ნათელმზიური, ახალ ცეცხლის დამრიგებელი, ვეფხვთა წინამძღომელი და სხვა მრავალი.

ნაწარმოები უაღრესად საინტერესოა წმინდა ენობრივი თვალსაზრისითაც. ამ მხრივ საყურადღებოა, კერძოდ, მისი უხვი ლექსიკური მარაგი. გ. ლეონიძის შემოქმედებაში ქართული სიტყვა მთელი თავისი მოქნილობით მეტყველებს. პოეტი შესულია ქართული ხალხური ენის წიაღში, ზედმიწევნით შესისხლბორცებულია მის ბუნებასთან, რაც მას საიმედო საძირკველს უქმნის სიტყვის სრულყოფილი დაუფლებისათვის.

ეპოპეა ზედმეტად ადასტურებს ავტორის გამბედაობას ახალი სიტყვიერი ფორმების ძიებისა და წარმოების საქმეში. ვფიქრობთ, ენათმეცნიერული თვალის ნაწარმოებში ბევრ ახალსა და საინტერესო მოვლენას შეამჩნევდა. ჩვენი მცირედი, უპრეტენზიო დაკვირვება კი ასეთია. უხვევს რა გრამატიკულ ნორმებს, გ. ლეონიძე ნებისმიერად და თავისებურად წარმოქმნის სიტყვებს; ხშირ შემთხვევაში მისი ნეოლოგიზმი სრულფასოვანია და სალიტერატურო ქართულში დასამკვიდრებლად საიმედო პირი უჩანს. ასეთებად მიგვაჩნია: დაჩუქურთმული, ამოჩანგლული, ამოძიული, პაპათეული, მოიგალავნებს და სხვ. ასეთივე

წარმატებით არის წარმოქმნილი რთულფუძიანი სიტყვებიც, მაგალითად: ნათელზშიერი, ჩოქოყრილი, ღიმნათელი, ცრემლდაწვიმული, წითელბაწარშელოცვილი და სხვ.

პოემაში ხშირად გვხვდება ქართლ-კახური დიალექტიზმები, რითაც პერსონაჟების ვარდა, არაიშვიათად თვით ავტორიც მეტყველებს ხოლმე, მაგალითად: შეურომელი, დაბლერტა, მენახსოვრეა, აიშო, დგა, თქმულობა, ძლივლა და სხ.

შეინიშნება „ვით“ თანდებუდიანი სიტყვების ნაცვლად „ურ“ და „ულ“ აფიქსებით თავისებურად წარმოქმნილი ზმნისართების გამოყენება, მაგალითად: ბულბულურად (შდრ. ბულბულივით), ნიაურად (შდრ. ნიავევით), ფარშეევანგულად (შდრ. ფარშეევანგევით); ასეთი ფუჭე გვხვდება ზედსართაული ფორმითაც: ბარტყული.

გ. ლეონიძე ძალიან ეტანება აგრეთვე, სიტყვების წარმოების „ნა“ პრეფიქსის დახმარებით, მაგალითად: ნატყვევარი, ნამიწისძვრალი, ნალოდინარი, ნაწურვალი, ნასაყდრი, ნაბორგალი, ნასალამურზე და სხვა მრავალი.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ რიგ შემთხვევებში ნეოლოგიზმების წარმოქმნის დროს პოეტი ვერ იცავს სათანადო ზომიერებას. მის მიერ ორიგინალურად წარმოებული სიტყვა ხანდახან ხელოვნურია და სალიტერატურო ქართულისათვის შეუთვისებელი. ასეთებად გვეჩვენება მაგალითად: ტალღასთანაობს, მასუქანდელი, თავებლმარტონი, უცაბედურად, ნამოგონარია და სხ. მაგრამ ის გრამატიკული შეცოდებანი, რასაც ეპოპეაში აქა-იქ შევხვდებით, იჩრდილებიან ნაწარმოების ენობრივი სიმდიდრის საერთო ფონზე.

ნაწარმოების ყველა ნაწილის მხატვრული ღირსება თანაბარი არ არის. მასში აქა-იქ შეიმჩნევა პოეტური გამომსახველობის მხრივ სუსტი აღგვილიც.

ნაწარმოების ზოგიერთი მოქმედი პირი ეპოპეაში მხოლოდ ეპიზოდურად ჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ ეპოპეას ერთი მთლიანი სიუჟეტური ქარვა არ გააჩნია, ავტორს მაინც შეეძლო რამდენიმე ხასიათის გამოკვეთა, თუნდაც, ვთქვათ, სოსოს ამხანაგების წრიდან, ან, კიდევ პოემაში მოქმედი ხალხიდან. ამას გვაფიქრებინებს შედარებით უფრო ხორცშესხმულ მოცენული სახეები სოსოს მშობლებისა და ზაზა ჯულაშვილისა, რომლის შრომისმოყვარეობა მეამბოხე ბუნება კარგად ისახება მცირე მოკულობის ტექსტში.

ისიც უნდა ითქვას, რომ ამბავთა ვადმოცემის დროს ავტორი ყოველთვის ვერ იცავს საჭირო თანამიმდევრობას; მოქმედების მსვლელობაში ალაგ-ალაგ შეინიშნება ავტორის მოუთმენლობა, წინსწრაფვა და უკუსვლები.

ამ შენიშვნების მიზანი ნაწარმოების ნაკლოვან მხარეთა გაზვიადება როდია. ამ მხარეთა ხვედრითი წონა მცირეა და ოდნავადაც ვერა კბლალავს ეპოპეის საერთო მთლალმხატვრულ ღირსებებს.

ოქტატურად მიგნებული და გამართული დასაწყისი და დასასრული ყოველი ლიტერატურული ფაქტის გამარჯვებისათვის აუცილებელი პირობაა. როგორადაც საოპერო ნაწარმოების უვერტიურაში, ისევე, ლიტერატურული ქმნი-

ლების პროლოგშიაც მკლანდებდა ხოლმე მისი ლეიტმოტივი და როგორადაც მუსიკალური ნაწარმოების ფინალური აკორდები, ისევე, პოეტური ქმნილების საბოლოო სტროფები წარმოადგენენ ხოლმე მოქმედების ლოგიკურ დასკვნას. ამიტომ, ცხადია, თუ რა გულისყურით უნდა ამუშავებდეს შემოქმედი ამ ორ მეტად მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს მთლიანი მხატვრული ორგანიზმისა. ამ მხრივ ეპოპეა ძალზე სასურველ შთაბეჭდილებას ტოვებს. შესავალში გმირული ტონებით დახატული კავკასიონის პანორამა, მისი ბუმბერაზი მთების ურღვევი ხერხემალი და შეუვალობა გააზრებულია, როგორც ქართველი ხალხის უღრვეკი რაინდული სულის გამოხატულება:

მთა მთაზე მოსჩანს მაღალი,
არწივის ჩრდილით ფარული,
თაზე თოვლგადანაყარი
წარდენიდან ამოპარული.

ბან სჩანს მზის ამოსახედი.
ბან შავი ღრუბლის ნახირი,
მეზის, ნიაღვრის ხმას ერთვის
ხმალდარტყმულ ვეფხვის ძაბილი ..

ამ დიდებული ბუნების წიაღში პოეტი შეადუღებს თავისი შთანთქმის დერიტას:

გამოხნდა მთების გაზრდილი,
თვით ამირანის ჯიშისა,
ვინც ხალხი დახსნა მარადის,
თავისუფლების შიმშილსა.

ასე იწყება ეპოპეა. რაც შეეხება მის ფინალს ჩვენ ამის შესახებ უკვე ვთქვით, რომ მასში მოცემული სურათი დიდი ძალით განგვაცდევინებს ხალხისა და მისი მომავალი ბელადის ურღვევ კავშირს გამარჯვების მომავლისათვის ძლევაშის ბრძოლებში.

თვით ეს ფაქტი, რომ ავტორი ეპოპეას ბუნების მრავალმეტყველი სურათებით იწყებს და ამთავრებს, უსათუოდ საყურადღებოა. აქედან კარგად ჩანს, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პოეტი ბუნებას თავისი შემოქმედებითი დანტაზიის სრულქმნისათვის.

საერთოდ გ. ლეონიძე ერთდება განყენებული პეიზაჟების ხატვას. იგი ბუნებას იყენებს, როგორც ფონს, რაზედაც უნდა გაიშალოს მთავარი მოქმედება; მასთან ბუნების სურათები ყოველთვის დატივრთულია შინაგანი გააზრებით; გ. ლეონიძე პეიზაჟის ფერპყერლის დიდოსტატობას ამჟღავნებს.

ეპოპეაში ბუნების მოვლენათა აღწერას ავტორი სხვადასხვა მიზნით ურთავს. ერთი, როცა პოეტი ბუნების ამათუიმ სურათში უშუალოდ აქსოვს ძირითად აზრს, ე. ი. ამ დროს პეიზაჟი გამოყენებულია, როგორც საშუალება ძირითადი აზრის მეტი სიძნადით გამოკვეთისათვის. ასე მაგალითად, რომ უფრო ნათელი გახდეს პატარა სოსოს პირველი ღრმა შთაბეჭდილება, რაც მასში გორის ციხის დანახვამ გამოიწვია, ასეთი სურათი იხატება:

ვით გამოხრული არწივის მხარი,
 ქალაქის თავზე ჩანს ნაციზარი.

როდის ააგეს, როდის ჩაწიხლეს,
 რას იტყვის ჩონჩხში ჩასული ჩრჩილი?—
 ბავშვმა პირველად შეხედა ციხეს,
 აკვანს დაეცა ციხის აჩრდილი..

ამგვარ ადგილებში გ. ლეონიძე ახერხებს ხოლმე ბუნების საიდუმლოების გაქსებურ შეცნობას, პოეტური სახის მისებურ გამოკვეთას. ამის სანიმუშოდ გამოდგება ადგილი სადაც მთების განსულიერებით პოეტი იშვიათი ძალით წარმოგვიდგენს ამხანაგ სტალინის სიდიადეს:

მთებს უკვირთ მისი სიმაღლე,
 სინაგრაე იმათებური.
 დგანან უკვდავნი...
 ფესვებში
 სიმტკიცე იმიტებული.

მეორე შემთხვევაში ბუნების ცალკეული სურათის ჩართვით პოეტი უჩვეულოდ აძლიერებს თვით სიტუაციას, ე. ი. ასეთ დროს პეიზაჟი გამოყენებულია, როგორც ძირითადი საშუალება მოქმედების განსაზღვრული მომენტის რაც შეიძლება მეტი სიმძაფრით შეცნობისათვის; ასე მაგალითად, რომ უფრო ცხადი გახდეს ხალხის უუფლებობა და ამით გამოწვეული უკმაყოფილო განწყობილება, პოეტი ასეთ სურათს იძლევა:

ღრუბლის ღრუში მთვარე იჯდა,
 ვრტყა ღრუბლის გაღავანი.

თოვლიანი ქარიშხალი
 ფოცხვერივით კლდეზე ზტოდა,
 შავი ქოხი ზანაუგბდა,
 აკვნის თავზე ქარი თრთოდა.

ამავე მიზნით არის მოცემული ბუნების სურათი პირველი კარის დასაწყისში, სადაც კარგად იგრძნობა ის საერთო მდგომარეობა, რომელშიაც მოუხდა თვალის გახელა პატარა სოსოს:

არც ერდოზე ორბი იჯდა,
 არც მღეროდნენ არწივები.
 ქოხზე ჩიტი დაფრინავდა,
 შეყინული ნამძივებით.

ჩიტს შიოდა... არც ქოხებში
 იყო ღზინი დარბეული,
 იღო თოვლი, როგორც მატყლი,
 თითისტარზე ჩახვეული...

მესამე შემთხვევაში ბუნების სურათების ჩართვა გამიზნულია, როგორც ერთგვარი პაუზა მოქმედებაში, ე. ი. ასეთ დროს პეიზაჟი გამოყენებულია როგორც ძირითადი საშუალება შესვენებისათვის და ერთი ადგილიდან მეორეზე

ბუნებრივი გადასვლისათვის, ასე, მაგალითად, რომ შექმნას მოსამზადებელი განწყობილება სხვა მოქმედების დაწყებისათვის, პოეტი ასეთ სურათს გვიხატავს:

მზე ჩადის მთა-მთა გორებში,
ვით ვეფხვი ნაზამბნარევი,
მტკვრის მიწურულში ჰფეთქავდა
ბურუსი თეთრლურჯნარევი,

როგორც მთელემარე მტრედი ხის,
ბუდეში ფრთადაკეცილი,
ისეთი იყო მთებშუა
ქართლის საღამო კეთილი...

ხოლო ამას მოსდევს ბევრისმთქმელი ფინალი ეპოპეისა. ამავე ნიჟნით არის ჩართული პატარა სურათი მესტვრის სიმღერის შემდეგ არსენა ოძელა-შვილზე:

მზე ჩაეწურა ნწვერვალებს,
ხარობს მესტვირე ხმოვანი...
ფარშევანგულად ელვარებს
მტკვრის პირი ვენახოვანი...

ხოლო ამის შემდეგ ნაჩვენებია მარაბდელი გმირის კეთილშობილებით ჩაგონებული სოსოს გულანთებული სახე.

ამგვარად, ეპოპეაში მოცემულ პეიზაჟებს გარკვეული შინაარსობრივი ფუნქცია გააჩნიათ; მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ძირითადი აზრის განვითარებისა და მისი სრულყოფით ათვისების საქმეში.

როგორც ვთქვით, საქართველოს ბუნების წარმტაცი ფერადოვნება შესანიშნავ გამოხატულებას პოულობს ნაწარმოების ფურცლებზე. საქვეყნოდ აღიარებული „ქართლის ბალი“ თავისი მდიდრული ბრწყინვალეობითა და ფერების არაჩვეულებრივი შეხამებით თანაბრად შეიძლება ჩაითვალოს როგორც პოეტური ოსტატობის ისე ფერწერითი ხელოვნების მაღალ ნიმუშად; სხვა რაუნდა ითქვას, მაგალითად, ამ ადგილის შესახებ:

ბრწყინავს ბალი, ელავს ბალი,
ფირფხქარით დარბეული;
ყურძნის მსხვილი იავუნდი,
ვაზი ვარსკვლავჩახვეული,

ოქროს წყალი, ატმის ლალი,
შინდის ლალი, მარწყვის ლალი,
ბროწეულის ყვავილები,—
თითქოს თონის ნაკვერცხალი,—

ათენებენ ქართლის დილას
ტოროლების ტაშისკვრაში,—
მარწყვისფერად, შინდისფერად,
იღებება გარიჟრაჟი...

ეს ლექსი გვაოცებს მხატვრული მასალის არაჩვეულებრივი მდიდარი ფაქტურით; შეიძლება პირდაპირ ითქვას, რამდენი სტრიქონიც არის ამ ლექსში, იმდენი ფიგურალობა დაითვლება. აყვავებული ქართლის ბაღი, აქ თვალის-მომჭრელ ფერებში ელვარებს: მინანქრით შეფრქვეული ვარდის ბაღი, ხობზის ყელი შვიდ მაისის წვიმით მთვრალი, რომელიც ვეფხვის ჭრელი პერანგით არის გაშლილი ყვავილების ფერად ზღვითა; სადაც ალვისხე საქორწილოდ მორთულ სიძესა ჰგავს, ხოლო ვაშლი სარკმლიდან მზირალ ქალს, სადაც მარჯანი და ზურმუხტქარვა ნათელს სტყორცნის ყველა ხიდან...

ბუნების სურათების მკაფიოდ ჩვენებისათვის გ. ლეონიძე მრავალნაირ პოეტურ ხერხს მიმართავს. პოემის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თავი „ამირანის მთვარე“ ასეთი სტროფით იწყება:

შაშვასფერი ღამე იყო
 და კანჩის ტყავზე შავი...
 შაოსანი ნისლი იწვე
 შავი ფიჭის დამგეშავი.

სხვაგან ალიტერაციით ასეთი ღამაში სტრიქონებია გამართული:

ცაზე კი ციმციმ ცურავენ
 ციური ცინათელები.

შესანიშნავი თვისება გ. ლეონიძის პოეზიისა არის მისი უაღრესი ხალხურობა. უპირველესი მიზეზი საბჭოთა მკითხველებს შორის გ. ლეონიძის პოეზიის ფართო პოპულარობისა და სიყვარულისა უსათუოდ უნდა ვეძიოთ მის ცხოველმყოფელ ხალხურ ბუნებაში.

ხალხის გულისთქმისა და გრძნობების შეცნობა, მისი ორგანული განიარება და გამომწვეურება, ხალხურობა საერთოდ, ყოველთვის იყო ქეშმარიტი მხატვრული შემოქმედების მაცოცხლებელი პირობა. არა ერთი და არა ირცინობილი ლიტერატურული მოვლენა სახელოვნად უძღვებს საუკუნეთა გამოცდას სწორედ იმიტომ, რომ აღბეჭდილია თავისი წარმომშობი დროისა და ხალხის მოწინავე სულისკვეთებით. შორს რომ არ წავიდეთ ილია, აკაკი, ვაჟა და სხვა დიდი ქართველი კლასიკოსები ეხმაურებიან ჩვენს ეპოქას უწინარესად თავიანთი ხალხურობით; მათ სახელოვან ტრადიციებს ღირსეულად განაგრძობს თანამედროვე საბჭოთა ქართველი მწერლობა რომელც ქმნის სამშობლოსა და ხალხისათვის თავდადების გრძნობით გამსჭვალულ მხატვრულ ნაწარმოებებს.

ჩვენი გმირული თანადროულობა, დიადი სოციალისტური ეპოქა ყველა დროსა და ეპოქაზე განუზომლად უფრო დიდი და ხალხურია, რადგანაც მხოლოდ მასში ჰპოვეს განხორციელება ხალხის მრავალსაუკუნოვანმა საოცნებო იდეალებმა; ამიტომ საბჭოთა ლიტერატურა, როგორც ჩვენი გმირული ცხოვრების ანარეკლი და მისი აქტიური მონაწილე, არის მსოფლიოში ყველაზე უფრო ხალხური ლიტერატურა, კომუნისმის მშენებელი ხალხის მოქმედებისა და მისწრაფებების გამომხატველი ლიტერატურა. ლიტერატურის ხალხურობას ითვალისწინებს უპირველესად სოციალისტური რეალიზმის სტალინური მეთოდი.

მაგრამ, ამათუიმ ლიტერატურული მოვლენის ხალხურობა გულისხმობს თავის მეორე მხარესაც. სახელდობრ, იგი გულისხმობს საკითხს თუ რა დამოკიდებულებაშია მწერლის შემოქმედებითი ფანტაზია ხალხის გენიის მიერ საუკუნეების მანძილზე გამოიმუშავებულ, ცოცხალ ზეპირსიტყვიერებასთან, ხალხურ მეტყველებასთან, როგორ განიცდის და იყენებს მწერალი თავის მუშაობაში ხალხური შემოქმედების საუფჯეს? ისიც კარგად არის ცნობილი, რომ ფოლკლორულ მასალაზე დაყრდნობით, მისი მოტივებისა და სახეების უხვი გამოყენებით მსოფლიო ლიტერატურის მრავალი გენიალური ნაწარმოებია შექმნილი. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ვიტყვით მხოლოდ, რომ ქართული ლიტერატურას ამ მხრივაც შესანიშნავი ტრადიცია გააჩნია.

რომ გ. ლეონიძის პოეზია ცოცხლობს საბჭოთა ხალხის სულიკვებებითა და იდეებით, რომ მის ლექსებში მძლავრად გაისმის თანამედროვეობის სუნთქვა, რაც მის პოეზიას ჩვენი ხალხის სულიერი კულტურის განუყოფელ საკუთრებად აქცევს,—ეს უდავო, საქვეყნოდ აღიარებული ფაქტია. ამას ადასტურებს გ. ლეონიძის შესანიშნავი ლირიკა, რომელიც საბჭოთა პატრიოტიზმის ცხოველმყოფელი სხივებით არის განათებული; ყველაზე უფრო ნათლად ამაზე ნივითითებს ეპოპეა „სტალინი“, რომელშიაც სიმართლია ისახება მშრომელი კაცობრიობის უსაყვარლესი ადამიანის, გენიოსი ბელადისა და მასწავლებლის ბავშვობისა და ყრობის წლები.

ახლა დაგვჩა საკითხი გ. ლეონიძის პოეზიის კავშირისა ქართულ ხალხურ შემოქმედებასთან. შეიძლება თანამად ითქვას: გ. ლეონიძის ლექსებში მთელი სიცხადით ცნაურდება ქართული ხალხური პოეზიის ძარღვის ფეტქვა. ამ მხრივ ეპოპეა მდიდარ მასალას იძლევა. როგორც უკვე გზადაგზა დავინახეთ ხალხურ თქმულებებსა და გადმოცემებს ნაწარმოებში დიდი ადგილი აქვთ დათმობილი. სახეები ამირანისა და არსენისა, უამრავი თქმულებები და ზღაპრები ბუნებრივად ერწყმიან მოვლენათა განვითარებას და გმირის ხასიათის ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვან ფაქტორებად გვევლინებიან.

ზემოთ კარგად დავინახეთ, თუ რა ბუნებრივი ოსტატობით არის ჩაქსოვილი მოქმედებაში იაგ-ნანას მოტივი. ასევე იყენებს და ააზრებს პოეტი ხალხურ საწესჩვეულებო მოვლენას და ლექსს წითელბატონებზე:

ავადყოფი ბავშვი კენისს,
დიდი სიცხით ვათავულო...
მისჯღღამია დედა გვერდით,
იმდგამშრალს სტკივა გული.

ნართაულად ნათქვამი სიტყვა ნათელ წარმოდგენას გვაძლევს სოსო ჯუღაშვილის მეტრძოლი ბუნების შეურიგებლობაზე თვითმპყრობლურ-ბურჟუაზიულ წესწყობილებასთან:

მღერის დედა დარდანი,
ჩემად, ხან ხმაგაგონებთ,
ჯერ არა ჰყავს ექვსი წლისა,
თავს დაადგენ ბატონები,

გ. ლეონიძე გამოცდილი ოსტატის ხელით იყენებს ფოლკლორულ მასალას. ხალხური სახეებისა თუ მოტივების დამუშავების დროს ავტორი მათი იმიტატორის როლში როდი გვევლინება; იგი დიდი ყურადღებითა და სიყვარულით არჩევს ხალხურ თქმებს და მათი თავისებური გააზრებითა და დახვეწით პოეტური ოსტატობის მაღალ საფეხურზე ადის. ამას იგი აღწევს ქართული ზეპირსიტყვიერების ზედმიწევნითი ცოდნით, ხალხური პოეზიის მდიდარი ბუნების საიდუმლოებათა უშუალო შეგრძნებით.

ეპოპეა სავსეა ხალხური პოეტური გამოთქმებით, ხალხური სული და ელფერი ყოველ ნაბიჯზე საცნაური ხდება. მაგალითად, პოემის პირველი თავი, რაც თითქმის მთლიანად ხალხურ საწესჩვეულებო რიტუალებზე* აგებული, ასეთი ვირტუოზული სტროფით ბოლოვდება:

თან პირის გზას ასწავლიან,
 ვარდის ტუჩმა სწოვოს ძუძუ.
 „მზე შინა და მზე გარეთა“—
 უერთდება ქარის ზუზუნს...

შალრესად ხალხურია მთელი ნაწარმოების ენა. აქ მოქმედი ხალხი თავისი ბუნებრივი სალაპარაკო ენით მეტყველებს. ერთგან საერთო სიღუბნეობისა და უსამართლობის მდგომარეობაზე გლეხი ასე მსჯელობს:

სიმღერასაც კი გვპარაფენ,
 რაღა ლუქმას და აღდასა;
 „ოროველ მოდი კალოსა,
 არაეინ მოვიპაროსა“;

ნაწარმოების ქანობრივი ფორმა სავსებით შეესაბამება ძირითადი თემის შინაარსს. ავტორს მართალი ვარაუდი გაუწევია, როცა არჩევანი ეპოპეაზე შეუჩერებია. მაგრამ მართებული არ იქნებოდა, თუ ამ ნაწარმოებს მარტორდენ ტიპურ ეპიკურ ქმნილებად მივიჩნევდით; მასში დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლირიკულ წიადსვლებსაც. გ. ლეონიძის ორიგინალობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან ოსტატურად შესძლო ლირიკული და ეპიკური პასაჟების ურთიერთ შერწყმა, მათი მონაცვლეობით ფართო სურათის დახატვა. პოეტმა თავისებური საშუალო კვალი გაიტანა პოეზიის ეპიკურ და ლირიკული ქანრებს შორის, და ამავე დროს, უზრუნველყო ნაწარმოების მთლიანობა. ერთი სიტყვით, თხზულების კომპოზიციური მხარე მისი ცვალებადი, მრავალფეროვანი მდინარეება სრულ უფლებას გვაძლევს მივაკუთვნოთ იგი ლირო-ეპიკურ ნაწარმოებათა რიგს.

როგორც განხილვამ დაგვანახა, პოემა იძლევა ხალხის მომავალი ბედის ზრდისა და ფორმირების მართალ სურათს. მოვლენათა ლოგიკურ განვითარებით აქ სწორად ისახება გმირის ხასიათის ჩამოყალიბების პროცესი; კარგად არის ნაჩვენები, თვით პოეტის სიტყვებით რომა ვთქვათ, თუ როგორ „იწრთობოდა წვეთ-წვეთად პატარა გულში ფოლადი...“

ეპოპეის პირველი წიგნის მაღალმხატვრული, დიდი შემეცნებითი ღირებულება ექვემოტანელი და უდავოა. იგი თავისი პოეტური შთანაფიქრის დიაპაზონითა და ესთეტიკური ღირსებებით საუკეთესო ქმნილებაა ამხანაგ სტალინისადმი მიძღვნილ საბჭოთა პოეზიის სხვა ნიმუშებს შორის. საქართველოს ბოლშევიკების X ყრილობაზე ამხ. ლ. პ. ბერიამ ამ ნაწარმოებს მაღალი შეფასება მისცა: „განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს გ. ლეონიძის ახალი პოემა „ბელადის ბავშვობა და ყრმობა“, რომელიც დიდი პოეტური აღმაფრენით არის დაწერილი“¹.

გ. ლეონიძის ეპოპეა ფართო პოპულარობით სარგებლობს ჩვენი დიდი სამშობლოს ფარგლებს გარეთაც: იგი თარგმნილია როგორც საბჭოთა კავშირის ხალხთა, ისე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ბევრ ენაზე. სტალინური პრემია, რომელიც მინიჭებული აქვს ეპოპეას, სრული გამოხატულებაა იმ სიყვარულისა და საპატიო ადგილისა, რაც ამ პოეტურმა ქმნილებამ საბჭოთა ხალხის სულიერ საგანძურში დაიმკვიდრა.

¹ ლ. პ. ბერიამ, საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ანგარიში საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) X ყრილობას, 1937 წ., გვ. 70.

მის. ჩიქოვანი

ხალხური სიტყვიერების შესწავლის პრობლემა XIX საუკუნეში

I

კახური სიტყვიერების განხილვის შემდეგ ქართლის გაცნობას ვიწყებთ¹. ახლა საკითხის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გამოვარკვეოთ როდის, ვის მიერ რა მასალებია შეკრებილი ქართლში და თანაც რა შეხედულებები გამოთქმულა ამ მასალის შესახებ დროთა ვითარებაში. ჩვენ ისტორიულ პერსპექტივას ვიცავთ და ქრონოლოგიურად ვალაგებთ, როგორც შემკრებლობით საქმიანობასა და მთქმელთა შემოკმედებას, ისე კვლევა-ძიების სფეროში ჩატარებულ მუშაობას.

წინამდებარე შრომა სცილდება ჩვეულებრივი მიმოხილვის ფარგლებს. აქ ცალკეული მკვლევარები და შემკრებნი წარმოდგენილი არიან სრული სახით, ე. ი. ნაჩვენებია არა მარტო ის, რაც მათ შეუკრებიათ, არამედ ისიც, თუ რა მოსაზრება გამოუთქვამთ ფოლკლორისტიკის ზოგად და კერძო საკითხებზე. ამდენად გათვალისწინებულია როგორც პრაქტიკულ-შემკრებლობითი მუშაობის მდგომარეობა, ისე თეორიული ხასიათის ძიებანი. წინა პლანზეა წამოწეული ფოლკლორის საადმზრდელო მნიშვნელობა და ამ საკითხის გადაჭრის ცდა XIX საუკუნეში.

ორიოდე სიტყვით თემის გეოგრაფიული ფარგლებიც უნდა განვსაზღვროთ, რათა მკითხველმა თავიდანვე იცოდეს, თუ რას ვგულისხმობთ ქართლისა სახით.

ისტორიულად «ქართლს» სხვადასხვა დროს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა. ზოგჯერ ამ სიტყვით ეთნოგრაფიული მხარე აღინიშნებოდა, ზოგჯერ კი მას პოლიტიკური მომენტიც ერთვოდა და მთელი სახელმწიფოს სახელად გვევლინებოდა. ამრიგად, «ქართლი» იხმარებოდა როგორც ვიწრო, ისე ფართო გაგებით. ჩვენ ტერმინის ვიწრო გაგებას ვიღებთ და ვიფარგლებით იმ ეთნოგრაფიული ერთეულით, რომელიც «შინა ქართლის» სახელითაა ცნობილი. ტერიტორიულად მას ისტორიკოსი ლეონტი მროველი ასე შემოფარგლავს: «ქუეყანა არაგვითგან და ტფილისითგან ვიდრე ტასის კარამდე და ფარავნამდინა»... ჩვენი სამოქმედო ასპარეზი კონკრეტულია: მროველისეფ სიტყვით იგი წარმოადგენს „შინა ქართლს“ და მოიცავს ადგილებს „არაგვითგან და არმაზისგან ვიდრე ტასის კართამდე“, თბილისის ჩართვით. მაშასადამე, ჩვენ ვითვალისწინებთ იმ ფოლკლორულ მასალას, რომელიც XIX საუკუნეში შიდა ქართლშია მოპოვებული. ასეთი შემოფარგულა საჭიროა არა მხოლოდ დღევანდელი საკვლევე ობიექტის გარკვევის მიზნით. საქართველოს პოლიტიკური ზრდის, მისი სახელმწიფოებრიობის გაძლიერების ხანაში „ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რო-

მელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვად ყოველი აღესრულეზის“,—ამბობდა მე-10 საუკუნეში გიორგი მერჩული¹. მე-10 საუკუნეში «ქართლია იმავე მნიშვნელობის მქონე იყო, რასაც მე-11 საუკუნიდან «საქართველო» ატარებდა. ამის გამო მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ეთნოგრაფიული „შინა ქართლი“ გვაქვს მხედველობაში და არა „ფრიალი ქუყყანა“², სადაც კი ქართული ენა მკვიდრობს.

ქართლის ზეპირსიტყვიერების შესახები ცნობები და თვით ამ სიტყვიერების მცირეოდენი ნიმუშები საშუალო საუკუნეებიდან მოგვეპოვება. „ნიმუშები“ მცირეა, ცნობები უფრო მეტი. მათი სისტემაში მოყვანა და ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით განხილვა სპეციალური კვლევის საგანს წარმოადგენს. ეს საქმე ჩვენს სახელმძღვანელოში ნაწილობრივ უკვე შესრულებულია, მომავალში იგი ახალი ფაქტებით უნდა შეივსოს და გაფართოვდეს.

* *

მართალია, დღევანდელი თემის ფარგლები XIX საუკუნეს არ სცილდება, მაგრამ ჩვენ მაინც გვინდა ყურადღება შევაჩეროთ საშუალო საუკუნეებში ფიქსირებულ ერთ მხატვრულ ნიმუშზე. ამას ჩავდივართ იმიტომაც, რომ თვით ეს „ნიმუში“ ქართული უნდა იყოს.

ისტორიანისა და აზმანის ავტორს, გიორგი მესამის დახასიათების დროს, მოჰყავს ოთხსტრიქონიანი შაირი:

შენ, ვახტანგ, სანატრელი ხარ შენთვის ღმრთის მამებარისა,
ცნამცა შენი მტერთა ძლევა, თუთონ მზეებრ მშვეებარისა,
მუსულმანთ ამწყუფედლისა, ქრისტიანთ მშენებარისა,
და ვინ დაგბადა, მასვე ჰნებავს ბადება შენებარისა.

მე-12 საუკუნის მიწურულის ისტორიკოსმა ამ ლექსის ავტორის ვინაობა არ იცის. იგი ამბობს: ესევეთარად დალექსავს მლექსავი ვინმე. უკანასკნელი სიტყვები „მლექსავი ვინმე“ მწერალზე, ინდივიდუალურ პოეტზე არ მიუთითებს. აქ იგულისხმება უსახელო პოეტი. მაშასადამე, „მლექსავი ვინმე“ ხალხურ პოეტს, მგოსან-მომღერალს უნდა გულისხმობდეს, რომელსაც ხოტბა შეუთხზავს.

თუ ტექსტს ჩავუკვრდებით, დავინახავთ, რომ მისი ენა განსხვავდება ლიტერატურული ენისგან. მასში არააწიგნობრული გამოთქმები იჩენს თავს. ასეთია, მაგალითად, „მუსულმანი“, იმავე ისტორიანსა და აზმანში ხმარებულ „მაჰმადიანის“ საპირისპიროდ (გვ. 56). ამაირად, ისტორიკოსის მითითება „ვინმე მლექსავზე“ და ლექსის ენა გვაფიქრებინებს, რომ აქ საქმე გვაქვს ზეპირსიტყვიერებით გავრცელებულ სახობტო ნაწარმოების ფაქსაციასთან მე-13 საუკუნის დასაწყისში.

* *

ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ძეგლებიც მრავალმხრივ საყურადღებო ცნობებს გვაწვდის ფოლკლორისტიკის საკითხებზე. ერთ სასულიერო

¹ გ. მერჩული. ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, პ. ინგოროყვას რედ., 1949 წ., გვ. 97.

² ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, კ. კეკელიძის რედ., გვ. 55—56.



დიდაქტიკურ კრებულში, რომელიც 1796 წელს გადაუწერია პორფირე ბერს, 45-ე თხრობის სახით შესულია ამბავი მესტიერისა. საეკლესიო მწერლის აზრით, უბრალო მოხეტიალე სახალხო მომღერალს შეუძლია ისეთივე სარწმუნოებრივი სიკეთე მოიმოქმედოს, როგორც რელიგიისათვის თავდადებულსა და უდაბნოში მრავალ წელს სავედრებლად დაუდებულ მონაზონს.

რადგან ამ მოთხრობას გარკვეული სამსახურის გაწევა შეუძლია ჩვენთვის, ამიტომ აქვე გადმოვსცემთ მთლიანად.

თხრობა მე. მესტჯრისათს რწლი მოწყალებისა მიერ ჰსცხონ და

იყო ვენმე მონაზონი უდაბნოსა შა ქუყანასა ირაკლი თებაილისასა, სახელით პატნოტი. რწლისათს მრავალნი ფდსა ქუყელის საქმესა და მალასა სათნოებასა მოგვეთხრობდენ. ესე პატნოსანი მამა შდ მრავალთა შრომათა ევედრა ღთსა გამოცხადებად მისა, თუ რწლთა წთა მსგავს არს. ხ გამოუჩნდა მას ანგელოსი ღთსა და ჰრქუა: მსგავს ხარ შენ მესტჯვრისა მის ვისმე რწლი ქალაქსა შა იყოფის

ხ პატნოტი მსწრაფლ წარვიდა მესტჯრისა მრთ და ეტყოდა: ვინ ხარ შენ ძმაო და ვრ არს ცხოვრება შენი? ხ მან ჰრქუა: ფდ მტაცებულ და მემთრუალე ვარ მე, პატნოსანო მამაო. და მცირეოდენ ყამი არს ვინთაგან მოვეგე თავსა ჩა და ავაზაკობისაგან გამოვედ. ვდ გამოვიძიებდა მისგან პატნოტი და ეტყოდა: ნუ უკუშ კეთილი რამე ვიქმნიესაი ძმაო? ხ მან ჰრქუა: არა რამ კეთილი მიქმნიეს უო ჩო, გარნა იმისა, რ ოდეს ავაზაკობასა შა ვიყავ, ორნი ქენ მოყუარენი შეიპყრეს ავაზაკთა მოყუასთა ჩემოთა. ხ მე განვარინენ იგინი ღამით და სოფლადმდე წარუმართე მათ; და ვდ ოდეს მე ვპოვე დედაკაცი ფდ შუშნიერი, შეტომილი უდაბნოსა ადგილსა და მტირალი მწარედ. ხ მე ვპოვებედ მიზეზსა ტირილისა მისისასა. და მან მჰრქუა: ნუ მკითხავ მე უბადრუკსა რამასამე, უო ჩო, ად ვა მვევალი შენი წამიყუანე სადაცა გნებავს, რ ქმარს ჩა მრავალგზის ჰტუშმდენ ორ წელ ვახშისათს, სამასისა ოქროსა და შეაყენეს საპყრობილესა, და სამთა შულთა გამსყიდულ ვიქმნენით. და მისთს ვიქენ მე მავალ ადგილთი ადგილად, და აწ უდაბნოსა ამას ვრონიებ, რ მრავალგზის ვიპოვე მე მათგან, და ვივუშმებოდი წამ და წამ. და აჰა სამი დღე ვარ უდაბნოსა ამას შა უქმელი.

ხ მე ესე რა მესმა, შევიწყალე იგი და წარვიყუანე ქუბასა ჩემსა, და დაუგე მას ქამადი და მივეც სამასი ოქროს, და მივიყუანე იგი ქალაქადმდე და განვათავისუფლე იგი ქმრით და შკლებითურთ. მაშინ მიუგო პატნოტი: მე თავით თსით არა რამ უწყობდი შენთს ძმაო, გარნა სასმენელ ჩემდა იქმნა რ დიდებულ ხარ, და არა რამთ ჩემსა უდარეს ხარ, რწლსა მრავალნი წელნი ფდითა შრომითა უდაბნოსა შა დამიყოფიან. აწ ნუ უდებ იქნები შკლო, რ გამომიცხადა მე ღთს შენთს, რათა არღარა შეაქირვო შენ სულსა შენსა. ხ მან მეყუესულად განაგდო სტჯრი და საგალობელი თსი და შეუდგა მას და წარვადა უდაბნოსა, და სამ წელ კეთილად შურებოდა. მოლუაწებითა, ლოცვთა და

ვალობითა ცხოვრება თსი აღასრულა. და სანატრელსა მას ცხოვრებასა მისწრაფა და გუნდსა წთსა შეეძინა“ (H211, გვ. 47—48)¹.

როგორც ცნობილია, ქრისტიანული ეკლესია დიდი ხნის განმავლობაში სასტიკად ებრძოდა ძველ სახალხო შემსრულებლებს მათი წარმართული რებერტუარისა გამო. XI საუკუნეში გ. მთაწმინდელის მიერ თარგმნილ ბასილ დიდის თხზულებაში ლაპარაკია იმაზე, თუ როგორ „დასთხევდეს გესლსა თუსსა მოწყულულთა მათ ზედა“ სტივრი, სახალხო მელექსის ხელში². მე-4 საუკუნის საეკლესიო მოღვაწეს მეტისმეტად უარყოფითი შეხედულება აქვს ფოლკლორული შემოქმედების ისეთ მატარებლებზე, როგორც იყვნენ მეფანდურენი, მენესტენი, საერთოდ კი მსახიობნი ძნობის მიმდევარნი³.

საყურადღებოა, რომ „გვირგვინის“ ავტორი სხვანაირ ასპექტში წარმოგვიდგენს სტივირზე დამკვრელის შემოქმედებას. მესტივირე თუმცა ავაზაკთა ამქარია, მაგრამ მაინც სიკეთეს თესავს. ამ თხზულების მიხედვით მესტივირე საგალობლებს მისდევს, ე. ი. მის რებერტუარში სასულიერო ნაწარმოებებსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

„გვირგვინში“ მოთავსებული მესტივირის მოთხრობა, სხვათა შორის, სიუჟეტური თვალსაზრისითაც საყურადღებოა. მასში ხალხური ზღაპრული ეპოსის მოტივები და ეპიზოდები იჩენს თავს. ასეთია, მაგალითად, მოტივი პაფნოტის სწრაფად წასვლისა მესტივირის საკვირველი ამბის შესატყობად. ამნაირადვე, ქართული ხალხური ზღაპრის გმირი, ნანადირევის სასწაულებრივად გაცოცხლებით განცეიფრებული, მიდის გიორგი მონადირესთან, რათა გაიგოს ამ უქანასკნელის თავგადასავალი⁴.

ჩვენს მიერ დასახელებული „გვირგვინი“, ანუ „ლუთივ შუშნიერნი თხრობანი სულისა ფრიად სარგებელნი“ საყურადღებო კრებულს წარმოადგენს. მასში ასი იგავისებური მოთხრობაა, რომელთა შორის თავს იჩენს ფოლკლორული ტრადიცია. ამ მხრივ ეს კრებული კვლევა-ძიების საგანს წარმოადგენს.

* * *

ქართული ხალხური სიტყვიერების მრავალი ნიმუში მიმოზნეულია მე-17—18 საუკუნეების სხვადასხვა ხელნაწერ კრებულში. თითქმის ყველა ანთოლოგიური კრებული შეიცავს ფოლკლორულ ნიმუშებს. სამწუხაროდ, დღემდე ყველა ეს კრებული გულდასმით გასინჯულ-შესწავლილი არაა, რაც ჩვენი მეცნიერების ისტორიოგრაფიის ჩამორჩენილობით აიხსნება.

ამეამად ამ ხარვეზის შევსებას ჩვენ ვერ გამოუდგებით, რადგან ჯერჯერობით საბოლოოდ დადგენილი და გარკვეული არაა, თუ სად დგებოდა ფოლკლორული ნიმუშების შემცველი ქრესთომატიები და რომელი კუთხის მასალა-

¹ გვირგვინი, III, გ. კარბელაშვილის გამოცემა, 1892 წ., გვ. 151—53.

² ბასილ დიდი. ექვსთა დღეთა, გ. მთაწმინდელის თარგმანი. მ. კახაძის რედ. გვ. 111.

³ იქვე, გვ. 4.

⁴ თ. რაზიკაშვილი, ხალხური ზღაპრები, II, № 46.

ბია შიგ მოთავსებული. ასე, რომ ქართული ანთოლოგიური კრებულების ფოლკლორისტული თვალსაზრისით მიმოხილვა კვლავ მომავლის საქმეს წარმოადგენს.

ახლა ჩვენ პერსონალურად იმ შემკრებთ შეეხებით, რომელთა მიერ დავროვილი მასალა უდაოდ ქართლიდან მომდინარეობს.

თბილისში XIX საუკუნის 30-იან წლებში ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს აგროვებდა ისტორიკოსი პ. იოსელიანი. ჩვენამდე არ მოღწეულა ზუსტი ცნობები, თუ როდის დაიწყო პლ. იოსელიანმა შემკრებლობა. აღმოჩენილია ერთი თარიღიანი ხელნაწერი, ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში დაცული, რომელიც პლ. იოსელიანის შეკრებილ გამოცანებს შეიცავს. ხელნაწერს შემდეგი სათაური აქვს: „გამოცანანი ქართულნი, შეკრებილნი პლატონ იოსელიანის მ-რ, 1839-სა წელსა ქ. თფილისს“ (E 140). ხელნაწერი 114 გამოცანას შეიცავს და 1946 წელს გამოვაქვეყნეთ¹. 1839 წლის 9 მარტს პლ. იოსელიანი მარი ბროსეს ატყობინებდა, რომ სამ დღეში ჩემს მიერ შეკრებილ გამოცანებს გამოგიგზავნიო და თანაც დასძენდა, ამგვარი შრომა, ე. ი. ზეპირად გავრცელებული ხალხური გამოცანების შეკრება, „ჯერეთ არავისგან არს ქმნილ“². მაშასადამე, პლ. იოსელიანი ქართული გამოცანების ქანრისერთ-ერთი პირველი შემკრებია. ეს საქმე მას 1839 წლამდე უწარმოებია.

სალტკოვო-შჩედრინის სახ. ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერებში იპოვება ანდაზებისა და გამოცანების რვეული, რომელიც პლ. იოსელიანისა უნდა იყოს. დაწერილია იგი 1835 წელს. ამ რვეულში 12 გამოცანაა, 1839 წლის გამოცანებისაგან განსხვავებული³. მაშასადამე, პლ. იოსელიანი XIX საუკ. მესამე ათეული წლის დასასრულს ჰკრებდა რა თბილისში გამოცანებსა და ანდაზებს, თავის ჩანაწერებს პეტერბურგში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას უგზავნიდა. ალბათ, ამავე პერიოდშია შეკრებილი დასახელებული ქანრების ყველა ის ნიმუში, რაც ლენინგრადში არის დაცული.

იოსელიანისეულ ჩანაწერებთან ერთად ჩვენ 13 სასულიერო გამოცანა გამოვაქვეყნეთ უთარილო ლენინგრადული ხელნაწერის მიხედვით. როგორც შინაარსი, ისე ენა უეჭველს ჰხდის ამ გამოცანების სიძველეს. სიტყვა-სიტყვით იგივე ტექსტი დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმის H 21 ხელნაწერ კრებულში, რომელიც 1805 წლით თარიღდება⁴. პლ. იოსელიანს ეპიტაფიებიც ჩაუწერია⁵. სხვა ქანრების შესახებ ახლა ვერაფერს ვიტყვით, რადგან იოსელიანის არქივი ამ თვალსაზრისით ჯერჯერობით კარგად შესწავლილი არ არის.

¹ მ. ჩიკოვანი, ახალი საარქივო მასალები. ლიტერატურული ძიებანი, III, 1946.

² იქვე, გვ. 142.

³ მ. ჩიკოვანი, ქართული ფოლკლორული ჩანაწერები ლენინგრადში: პუშკინის სახ. ინსტიტუტის შრომები, V, გვ. 92.

⁴ საქ. სახ. მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, I, გვ. 16.

⁵ მ. ჩიკოვანი, ქართული ფოლკლორული ჩანაწერები ლენინგრადში. პუშკინის სახ. თბილისის პედაგოგიკის ინსტიტუტის შრომები, V, გვ. 93.

* *

პლ. იოსელიანის თანამედროვე გამოჩენილი ლექსიკოგრაფი დ. ჩუბინა-შვილი ხალხურ ანდაზებს ჰკრებდა. პირველი ცნობა დ. ჩუბინაშვილის მიერ ჩაწერილი ანდაზების შესახებ იოსელიანის პირად წერილში გვხვდება. პ. იოსელიანი 1839 წლის მარტში მარი ბროსეს წერდა: „ჩუბინოვისა მიერ შეკრებილი მაქუნან მე ანდაზები, თუ არ გაქუსთ, მოგართმევთ ამათანცა“. ბროსეს არქივში მართლაც იპოვება ჩუბინაშვილის ანდაზები, რაც აკადემიკოსს ფრანგულ ენაზე უთარგმნია!

დ. ჩუბინაშვილმა მის მიერ შეკრებილი ანდაზები რიცხვით ორასამდე, თავის ქრესთომატიკაში შეიტანა და ამით სათავე დაუდვა ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშების ბეჭდვის საქმეს.

ჩუბინაშვილისევე ჩანაწერები უნდა იყოს შესული პ. იოსელიანის 1835 წლის რეგულში, რომელიც სალტიკოვ-შჩედრინის სახ. ბიბლიოთეკაშია დაცული და გამოცანებთან ერთად ანდაზებსაც შეიცავს. ამ ანდაზების ძირითადი ნაწილი ჩვენს მიერ უკვე გამოქვეყნებულია.

XIX საუკ. დასაწყისში ქართული ანდაზები შეუკრებია და გაუღეჭსავს დ. ბაგრატიონს.

* *

XIX საუკუნის პირველი ნახევრის შემკრებთა შორის უნდა დავასახელოთ ს. კოპაძე და პ. ქებაძე. მათ მიერ ჩაწერილი მასალები აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტშია დაცული, და რადგან მათ შესახებ ერთხელ უკვე გვქონდა საუბარი¹, აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

* *

თბილისური რუსული პრესა უყურადღებოდ არ სტოვებდა ფოლკლორს. მებალითად, გაზეთ „კავკაზი“, გამოცემის პირველი წლიდანვე, დრო და დრო, აქვეყნებდა წერილებსა და ცნობებს კავკასიელი ხალხების ზეპირსიტყვიერებაზე. ამ გაზეთში კანტიკუნტად, მაგრამ მაინც იბეჭდებოდა ქართული ლექსები, თქმულებები, ლეგენდები და მათი შესრულების აღწერილობა. საყურადღებოა ისიც, რომ პირველ ხანში გაზეთში ქართულ ტექსტებსაც ბეჭდავდნენ თარგმანთან ერთად. ამ ნარკვევთან დაკავშირებით, ჩვენ სპეციალურად შევისწავლეთ „კავკაზის“ ფოლკლორისტული მუშაობა 1846—1860 წლების მანძილზე. „კავკაზის“ ასი წლის წინანდელ ფურცლებზე ბევრი საყურადღებო მასალაა გამოქვეყნებული. ახლა გაზეთის მთლიანი მიმოხილვა არ შეგვიძლია, რადგან ახლანდელი თემა ამის შესაძლებლობას არ გვაძლევს. „კავკაზს“ ჩვენ მომავალში კვლავ დავუბრუნდებით. ამჟამად შევხებით იმ მასალას, რომელიც ქართლთანა დაკავშირებულია.

¹ იქვე გვ. 92—93.

ქართლი საქართველოს გულია. ძველ ავტორთა სავაზეთო და საეურნალო წერილებში, განსაკუთრებით 70-იან წლებამდე, როცა საქართველოზეა საუბარი, მასში უმთავრესად დღევანდელი საქართველოს აღმოსავლეთი ნაწილი იგულისხმება, ხოლო დასავლეთი ნაწილი ცალკეა გამოყოფილი და მას, უმთავრესად, „იმერეთის“ სახელით აღნიშნავენ. მაგალითად, ალ. ჯამბაკურ-ორბელიანი და სხვები „ქართულს“ „იმერულს“ უპირისპირებენ. ასეთ დაყოფაში ჯერ კიდევ გამოსჭვივების ძველი ფეოდალური სეპარატიზმი, საქართველოს მცირე სახელმწიფოებად და სამთავროებად დაყოფის ტრადიცია.

ქართულ ფოლკლორზე მსჯელობისას ამ საკითხს პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ზოგი ფოლკლორული ნაწარმოები, მიუხედავად მისი ადრინდელობისა, საერთო ქართულ მოვლენად მოგვიანებით იქცა, კერძოდ მის შემდეგ, რაც ცალკე სამთავროები ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდნენ, პერიოდული პრესა გაძლიერდა და ქართველი ერის ჩამოყალიბების პროცესი დასრულდა. ი. სტალინის მოძღვრებას ქართველი ერის ჩამოყალიბების შესახებ დიდი მნიშვნელობა აქვს ფოლკლორისტიკის, საერთოდ კი ჩვენი კულტურის ისტორიის დარგში მომუშავეთათვის. „ქართულისა“ და „იმერულის“ დაპირისპირება არაა შემთხვევითი მოვლენა. როგორც ითქვა, ამას ისტორიული ფესვები აქვს. „რეფორმამდელ ხანაში,—წერს ი. სტალინი,—ქართველები საერთო ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, მიუხედავად ამისა, ისინი არსებითად ერთ ერს არ შეადგენდნენ, ვინაიდან დანაწილებული იყვნენ მთელ რიგ ერთმანეთისაგან მოწყვეტილ სამთავროებად, არ შეეძლოთ საერთო ეკონომიური ცხოვრებით ეცხოვრათ, საუკუნეთა განმავლობაში ეომებოდნენ და ანადგურებდნენ ერთმანეთს, ერთიმეორეს უსისიანებდნენ სპარსელებსა და თურქებს. სამთავროთა ეფემერული და შემთხვევითი გაერთიანება, რასაც ზოგჯერ ესა თუ ის იღბლიანი მეფე ახერხებდა, უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ზედაპირულ-ადმინისტრაციულ სფეროს ეხებოდა და მალე ირღვეოდა მთავრების ჟინიანობითა და გლეხების გულგრილობით. სხვანიირად არც შეიძლება საქართველოს ეკონომიურ დაქუცმაცების პირობებში... საქართველო, როგორც ერთი, მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში გაჩნდა, როცა ბატონყმობის გაუქმებამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროთა სამეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთელად შეაკავშირა ისინი“.¹

ენისა და ტერიტორიის ერთიანობა ადრინდელ ხანაში ხელს უწყობდა ფოლკლორული ნაწარმოებების ერთი კუთხიდან მეორეში გადასვლას, მაგრამ ხალხური შემოქმედების მნიშვნელოვანი ნაწილი მაინც ადგილზე რჩებოდა და ეთნიკური კარჩაკეტილობის გამო ყველა ქართველისათვის ხელმისაწვდომი ვერ ხდებოდა. ეს გარემოება უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული ფოლკლორული და რელიგიური გადანაშთების შესწავლის დროს. როცა რომელიმე ძველი ნა-

¹ ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 317—18.

წარმოები ან წარმართული შეხედულება მხოლოდ ერთ კუთხეში გვხვდება, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მოცემული ნაწარმოები ან შეხედულება უთუოდ ადრინდელი საერთო ქართული მოვლენის გადანაშთია. ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია ფაქტიურად საქმე გვექონდეს ადგილობრივ, ერთი კუთხის შემოქმედებასთან და ჩვენ კი საერთო ქართულ მოვლენად მივიჩნიოთ იგი. ამ გარემოებას მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, რათა ყოველი სიძველე თავიდანვე ყველა ქართველი ტომის შემოქმედებად და გადანაშთად არ გამოცხადდეს.

დავუბრუნდეთ გაზეთ „კავკაზს“. 1850 წელს „კავკაზის“ 64—65 ნომრებში გამოქვეყნდა ი. ევლახოვის ვრცელი წერილი: „О народных песнях и певцах в Грузии“. ამ წერილს ჩვენ ცალკე გამოვეყოფთ, რადგან, ჯერ ერთი, იგი ასი წლის წინად დაიბეჭდა და, მეორე, პრეტენზია აქვს მოგვეცეს ქართული ლექს-სიმღერების და მათი შემსრულებლების დახასიათება. მართლაც, აღნიშნული წერილის გამოქვეყნებამდე თითქმის არავის უცდია პრესაში სპეციალურად გაერჩია ქართული ხალხური სიმღერები, მოეცა საილუსტრაციო ტექსტები და აეწერა მოხეტიალე მგოსნების ცხოვრება.

ავტორი პრინციპულად მკდარ პოზიციაზე დგას. მისი აზრით, დასაუღეთის ქვეყნების ხალხური პოეზიის გაფურჩქვნა XIII საუკუნეში დასრულდა, რის შედეგადაც ყველაფერი ხელოვნურობის მკაცრ წესებს დაექვემდებარა და აზრის თავისუფალი აღმაფრენა ფორმალურ ჩარჩოებში მოექცა. ავტორი იმეორებს ჰერდერისა და ჰერესის შეხედულებებს ხალხურ პოეზიაზე. ევლახოვის წერილის დადებითი მხარე ისაა, რომ მასში მოცემულია რამდენიმე ქართული ლექსის სიტყვა-სიტყვითი თარგმანი. ახლა ეს თარგმანი ლექსების პირველჩანაწერის ადგილას უნდა გამოვიყენოთ, რადგან მათი უფრო ადრინდელი ტექსტები ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. ამ ასპექტშია წარმოდგენილი შრომის პოეზია, ისტორიული და სატრფიალო ლექსები.

შრომის ლექს-სიმღერების ნიმუშებად ავტორს მოყვანილი აქვს გუთუნურის ოთხი ლექსი. პირველი ნიმუში ასეთია:

Ну буйволик, рогатый,
Я тебе товарищ по ярму,
Но не могу нести его с тобой:
Меня называют еще мальчиком!

თარგმანი დედანთან ძალიან ახლოს დგას. თქმულის სისწორეში დაგვარწმუნებს თარგმანის ქართულ ჩანაწერებთან შედარება.

ჰო-ტუჰ კამეჩო, რქიანო,
შენი მეუღლე მქვიანო,
მეხრეობას ვერ გაიფიცე:
პატარა ბიჭი მქვიანო.

ამ სრული ლექსის მესამე სტრიქონში საუბარია „მეხრეობაზე“, რაც თარგმანში არ მოჩანს, მაგრამ მოიპოვება უფრო ადრე, მაღამ ფონ დერ ნონეს მი-

ერ ქართლში ჩაწერილი მოკლე შაირი (პატუ კამეჩო რქიანო, შენი მეუღლე მქვიანო), რომლის კახური ვარიანტის მეორე ნაწილი სწორად უდგება ევლახოვის თარგმანს: „მე მეუღლეობას ვერ გიზამ, პატარა ბიჭი მქვიანო“¹. თუ გავითვალისწინებთ ქართლ-კახურ ლექსებს, თარგმანის დედანს შემდეგი სახე უნდა ჰქონოდა:

პატუ კამეჩო, რქიანო,
შენი მეუღლე მქვიანო,
მე მეუღლეობას ვერ გიზამ:
პატარა ბიჭი მქვიანო.

წერილის ავტორი უმართებულოდ ფიქრობს, რომ გუთანზე სათქმელი ლექსები სიტყვების ისეთ უბრალო გროვას წარმოადგენს, რომელიც მესხიერებიდან მალე ჰქრება. ასეთი ლექს-სიმღერა პროფ. დ. არაყიშვილს ურმულის სახითაც მოუსმენია².

მეორე ლექსი:

О, плуг! Готов я тебе пожертвовать собой,
Люблю я твою дугообразную шею...“

წარმოადგენს ქვემოთ მოყვანილ ტექსტთან ახლო მდგომი ვარიანტის თარგმანს.

შენი ჰირიმე გუთანო, მა შენი მრუდე ყელისა,
პური და ღვინო შენ მოგდევს, დამძველებელა ქერისა³.

მესამე ლექსი სავაქავაცოა (ჩუ чому молодцу украшения света) და ძალიან ახლოს დგას ქვემოთ მოყვანილ, ილ. ჭავჭავაძის მიერ 1871 წელს ჩაწერილ, ტექსტთან:

ვაქავაც რას გამოადგება სოფელს შენება თავისა,
ხმაღს უნდა აკრევინებდეს, იმედი ჰქონდეს მკლავისა⁴.

მეოთხე ლექსი (Смерть сказала жизни) არაა ტიპიური შრომის ლექსი, იგი სამელოეიარო-ელეგიური რეპერტუარიდან არის შემოჭრილი.

ევლახოვის არ მოსწონს შრომის პოეზიის ხალხური შინაარსი და გაკვირვებულა, თუ რატომ ასე უყვართ ქართველებს სიმღერა სხვებზე უმეტესად.

ქართულ ისტორიულ ნაწარმოებთა შორის ყურადღებას იმსახურებს თამარ მეფის ლექსი: „Царицей была я Тамарой“. იგი თარგმანია დღემდე ფართოდ გავრცელებულ ელეგიური ხასიათის თხზულებისა. თანამედროვე ვარიანტებისაგან ევლახოვის მიერ სიტყვა-სიტყვით თარგმნილი გადმოცემა იმით განსხვავდება, რომ მასში მეტი ისტორიული რეალიებია: თამარი მოგვითხრობს, რომ მან მანგლისი ააშენა, სასხოორში ავად გახდა და ვარციხეს მიიკვალა.

¹ პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 597.

² Д. И. Аракишвили. Обзор народной песни восточной Грузии. 1948. стр. 14.

³ პ. უმიკაშვილი, № 954.

⁴ იქვე, № 1331.

И девять аршин полотна (т. е. саван)
С собой унесла я в мою...

თამარის ლექსი ახლაც ამნაირადვე მთავრდება: ამდენი საქმის შოქმედმა ცხრა ადლი ტილო წავიღო.

ისტორიული ხასიათისა აგრეთვე ლექსი: *Слышно Лезгины идут, Лезгины!*“ ამის სრული შესატყვისი ამჟამად ჩვენ ხელთ არა გვაქვს.

წერილში სატრფიალო ლირიკის ნიმუშებიც არის, მაგალითად: „*Вот от летина пляшет не дурно, на пальпы становится ног*“. ეს წარმოადგენს საყოველთაოდ გავრცელებული საცეკვაო—სასიმღერო შაირის თარგმანს:

ეს ბიჭი კარგად თამაშობს, ფეხის ცერებზე დგებაო,
ამან რომ რამე იტყინოს ჩვენ ხომ არ დაგებრაღდებაო!

სატრფიალო-სამიჯნურო ნაწარმოებებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ბალადას „*Когда построили Манглис*“. ამ ლექსის ვარიანტები სხვადასხვა ადგილასაა ჩაწერილი, მაგ., სტეფანწმინდაში, თელავში, კარბში, მარაბდაში, ველისციხეში და ხოდაშენში. აქედან არც ერთი ტექსტი მთლიანად არ უდგება თარგმანს. როგორც ჩანს, XIX საუკ. 50-იან წლებში კიდევ სხვანაირი ვარიანტი ყოფილა ცნობილი.

ი. ველახოვი ქართველ შემსრულებელთა შორის პირველ ადგილს მესტიერეს უთმობს. წერილში მოკლედ გადმოცემულია მესტიერეობის ტრადიცია.

მოხეტიალე მგოსნის მადლიანი სიტყვა უმთავრესად თანამემამულეთა გმირობას შეეხება. მის შაირსიტყვაობაში საუბარია ქვეყნის ჰირვარამზე, გარეშემტრების, განსაკუთრებით ალა-მაჰმად-ხანის შემოსევაზე. ისტორიულ ლექსების გარდა მესტიერეები ხშირად საღრმთო წერილსაც მიმართავენ. აქედანაა ამოღებული ლეგენდები აბელის სიკვდილზე, წარლენაზე და სხვ. მაგრამ მესტიერე მარტო წარსულით არ ცხოვრობს, მას მხედველობიდან არ რჩება თანამედროვეობის საჰიბროროტო საკითხები. წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ მესტიერე მოგვითხრობს ხოლერის ეპიდემიაზე, უმღერის იმდროინდელი საომარი მოქმედების გმირებსა და რამდენიმე ხნის წინად მყოფ ყაჩაღ არსენას. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ცნობა არსენას შესახებ. არსენაზე საუბარი „*კავკაზში*“ უფრო ადრეც იყო. 1846 წლის 16 თებერვალს გაზეთი მკითხველებს აუწყებდა: „სჯობია მოუსმინოთ მესტიერე ბლიძეს. ხალხში სტიერის დაკვირით, სეირნობისას, ის წარმოთქვამს, სხვადასხვა სახუმარო ამბებს, ანდა რეჩიტატივით გადასცემს მსმენელებს ლეგენდებს ყაჩაღ არსენასა და სხვა სახალხო გმირების შესახებ“. მაშასადამე, გაზეთი „*კავკაზი*“ საშუალებას გვაძლევს დანამდვილებით ვთქვათ, რომ „*არსენას ლექსი*“ 1846—50 წლებში გავრცელებულ მესტიერულ ლექსს წარმოადგენდა და თვითონ ნაწარმოების გმირი 1846 წელს ცოცხალი არ იყო. 1850 წელს ევლახოვმა იცის, რომ არსენა ყაჩაღად მის მახლობელ ხანში, სულ რამდენიმე ხნის წინად იყო და ამიტომ წერს: *О бывшем недавно разбойнике Арсене*.

წერილის ავტორი ამბობს, რომ მესტიერეები უმთავრესად ქართლიდან არიან გამოსული, და თანაც გაკვირებულია იმით, თუ რა აიძულებს ასეთი მდი-

დარი კუთხის წარმომადგენლებს გუდანაბადი აიკრან და სამოწყალოდ ქუჩებში ხეტიალს შეუდგნენ. 1850 წლის ცნობა გვიდასტურებს, რომ ქართლელი მესტიკირეები, მსგავსად სხვა კუთხის მესტიკირეებისა, ხშირად სტოგებდნენ ხილითა და პურეულით მდიდარ სამშობლოს და მოხეტიალე მუსიკოსის ცხოვრებას მისდევდნენ.

ავტორის მსჯელობა ხალხური პოეზიის ბუნებისა და თვისების შესახებ ზერეულია. მტკიცება, ქართულ პოეზიაში ასახული არაა ქართველების ისტორიული ცხოვრება და ვანცდებოი, იმის მაჩვენებელია, რომ ავტორი არ იცნობს თავისი მსჯელობის საფაზს. როგორც ჩანს, ველახოვი ვერ ითვალისწინებს ქართველი ხალხის სულიერ სამყაროს, მის კულტურას, თვითმყობად მდიდარ ფოლკლორს და დაუსაბუთებლად აყენებს ისეთ დებულებას, რომლის გადაწყვეტის ძალა მას არ შესწევს. ქართველ ხალხს მუდამ ჰქონდა თავისი გულწრფელი და ელეგიური იერით შეფრქვეული ლირიკა, ვაჟაკური ეპოსი და ფილოსოფიური შეგონებანი. ამ ეროვნულ ხმას დაეწაფა ძველი და ახალი მწერლობა. ქართული მწერლობა და ხალხური პოეზია მუდამ იბრძოდა საკუთარი ხმისათვის, რუსთველური ხმისათვის.

*
* *

ქართული ფოლკლორის შეკრებისა და შესწავლის სურვილი ჩვენში ადრე ილვიძებს. ამ მხრით საინტერესოა ალექსანდრე ჯამბაჯურ-ორბელიანის ქართულ ხალხურ შემოქმედებასთან დამოკიდებულება. მან 1861 წელს ერთმა პირველთაგანმა აღძრა საკითხი ქართული ვალობის, სიმღერის და ლილიანის მნიშვნელობისა და შენარჩუნების თაობაზე. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ალ. ორბელიანი ახლოს იცნობდა საქართველოს, კერძოდ, მისი აღმოსავლეთი ნაწილის ტრადიციულ ჩვეულებებს, მიღებულს როგორც მძალა, ისე დაბალ ფენებში. ალ. ორბელიანი ქართული ხალხური შემოქმედების, კერძოდ, მუსიკალური შემოქმედების მეცნიერული შესწავლის წამომწყებია. ამ გზას გაყვა შემდეგში დ. მაჩაბელი და სხვ.

სანამ ალ. ორბელიანის ფოლკლორისტულ მოსაზრებებს შევხებოდეთ, მანამდე რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვათ მის მსოფლმხედველობაზე. ალ. ორბელიანი თავისი მსოფლმხედველობითა და ისტორიული კონცეფციით ძველი ფეოდალური ინტელიგენციის წარმომადგენელია. იგი არაა მომხრე რადიკალური სოციალური გარდაქმნებისა. დამახასიათებელია მისი დამოკიდებულება ბატონყმობისა და ევროპული ცივილიზაციისადმი. წერილში, სადაც საუბარია ივერიელთა მუსიკალურ კულტურაზე, ავტორი გარკვევით აყალიბებს იმ საფუძველს, რომელიც ლიბოდ უნდა დაედვას ერის მომავალ ცხოვრებას. ალ. ორბელიანი წერს: „იმ უწინდელს ჩუშნს ბატონყმობას და იმ უწინდელს ჩუშნს უმანკოებას ახლანდელი ევროპული სრული განათლება ზედ რომ დაერთოს და ერთს ზნეობად გაკეთდეს, მაშინ იტყვან: „აი ზეციური ცხოვრება ქუშყანაზედ გადმოვლენილია“¹. ამ სიტყვებს, როგორც ამბობენ, კომენტარი არ სჭი-

¹ ცისკარი, № 1 1861 წ., გვ. 143.

რდება. მისი ავტორი მტკიცედ დგას ძველ ფეოდალურ ნიადაგზე, და თუ ცივილიზაციის მიღების აუცილებლობას მაინც აღიარებს, მისი აზრით, ეს უნდა მოხდეს ბატონყმობის ბაზაზე.

ახლა ადვილი გასაგებია, თუ რატომ აინტერესებს ალ. ორბელიანს ივერიელთა მუსიკა, ზნეჩვეულებები და წარსული. ყველაფერი ეს მისთვის ძვირფასია რომანტიკული თქალსაზრისით, რადგან მასში ხედავს ერის უმანკობას, ზნეობრივ სიფაქიზესა და თვითმყოფადობას.

ალ. ორბელიანის დასახელებული შრომა შეეხება როგორც სასულიერო, ისე საერო მუსიკასა და ეროვნულ ტრადიციას. ჩვენ პირველ რიგში საერო ტრადიციებზე გვექნება მსჯელობა.

ალ. ორბელიანი ანსხვავებს „სოფლურ სიმღერებს“ საეკლესიო გალობისაგან. „სოფლური სიმღერები“ ანუ, როგორც ახლა ვამბობთ, ხალხური სიმღერები ნაშრომში ავტორს დაკავშირებული აქვს ყოფიერებასთან, იმ საწესჩვეულებო გარემოსთან, რომლის გარეშე ისინი არც არსებობენ სინამდვილეში.

მართალია, ალ. ორბელიანის შრომა მუსიკას ეხება უმთავრესად, მაგრამ მასში მხატვრული სიტყვიერი შემოქმედებაც იგულისხმება, რადგან არც ერთი მის მიერ დახასიათებული სიმღერა პოეტური ტექსტის გარეშე არ გვხვდება. ზოგი ტექსტი წერილის ავტორს იქვე აქვს ნაჩვენები, ზოგი კი მომდევნო პერიოდში იქნა ჩაწერილი.

1. ალ. ორბელიანი ქართული ხალხური მუსიკის დახასიათებას საძეო სიმღერებით იწყებს. „უწინდელს დროს ჩვლი კმაწვლი რო დაიბადებოდა, თან უნდა სიმღერით ეთქოთ ეს ლექსი, ქალებს და ყმაწვილებს: „მზე შინაო, მზე შინაო, მზე შინ შამოდიო“ და სხუანი¹“. „მზე შინა“ ი. ბატონიშვილის აზრითაც ტიპიური საძეო ლექსია. ალ. ორბელიანის სიტყვით: „ეს ერთიანი ლექსი ასეთი შესაფერი ლექსია ძეობისა, უკეთესი არ იქნება“². ძეობის ლხინს ქალები იწყებდნენ. ამაზე „კავკაზის“ კორესპონდენტი ამბობს: როგორც კი ახალდაბადებულის ხმას გაიგონებენ, ქალები ლხინს შეუდგებიანო (კავკაზი, № 14, 1846). ასეთი ლხინის დროს „მზე შინას“ გარდა სხვა ლექსებიც ითქმებოდა თურმე, მაგრამ ნაშრომში ისინი დასახელებული არ არიან.

2. ქორწილის დროს მაყრულს ასრულებენ. მასაც თავისი ლექსი და მოტივი აქვს. ა. ორბელიანი მოგვითხრობს: „მეფე-დედოფალს ეკლესიიდან ჯვარდაწერილებს რო გამოიყვანდნენ, მომღერალნი მაყრულის სიმღერით წამოუძღვებოდნენ მექორწილებით და სალხინო სახლში შემოიყვანდნენ მღერით. იქ მხიარული ლხინი უნდა გამართულიყო სხვადასხვა სოფლურის სიმღერებით და ლიდინებით“.

საქორწილო ლხინში განსაკუთრებული ადგილი სჭერია მესტვირის. „თან თუ მესტვრე ეყოლებოდათ, იმის სტვრის დაკერაზე როკუას დაიწყებდნენ ქალნი და კაცნი, და თუ მესტვრე არ ეყოლებოდათ, როკვს სიმღერასა იმღერებდნენ

¹ ცისკარი, № 1 1861 წ.

² იქვე, გვ. 145.

მომღერალნი და იმ ჯმავლად ჰყვებოდნენ დიახ კარგათ“. მგოსნობა ქორწილის ოდინდელი ნაწილია. სახალხო მგოსან-მეხობტის როლში ქართულ ქორწილში მესტვირეუც გამოდიოდა. ამ წესს ალ. ორბელიანი მოკლეთ ვადმოგვეცემს: „თუ მესტვრით იყო ხოლმე ქორწილი, ის მესტვრე მრავალს ქებას შეასხამდა მექორწილეებს, სხუა და სხვს სიმღერის ხმებში, რომელიცა ამისთვის მიიღებდა საჩუქარს ყველასგან“.

3. ქართველებს მამაპაპათაგან ნაანდერძევი აქვთ სუფრული სიმღერები. ალ. ორბელიანის წერილში ერთმანეთისაგან განირჩევიან სხვადასხვა კლასში გავრცელებული სანადიმო ჩვეულებები. წერილში ნაჩვენებია ფეოდალების სასახლეებში მიღებული ნადიმის სურათი: „სადაც დიდი სადილი იქნებოდა, ნადიმი, სადაც იქ პირველი გუამი იჯდებოდა თავზე, იმის პატივისცემისათვის, იმის სუფრის წინ პირდაპირ, უნდა მისულოყენენ მგალობლები და სალხინოსა-გალობასა მოჰყოლოდნენ დაჩოქილნი: „დღეს საღმთომან მადლმან წმინდისა სულისაჲან შეგვეკრიბნა ჩუჲნ“ და სხუანი. ჯერ პირველად ამ ლუთის დიდებით მოიღებდნენ გულით და სულით, მასუკან მომღერალნი მოვიდოდნენ, სოფლიური სიმღერების მთქმელნი; სხუადისხუას სიმღერასა იტყოდიან, თავის დალიდინებით, თავის სადღეგრძელოს მრავალყამიერით და სამადლობელის ვადახდით“ (გვ. 146—47).

4. მეოთხე ადგილზე ალ. ორბელიანი საფერხისო სიმღერებს ათავსებს. ჩვენში მრავალგვარი თამაშია გავრცელებული, მაგრამ მე ერთ მათგანზე შევჩერდებო, და იქვე იწყებს ქალების ცნობილ ფერხულს „სამაიას“ აღწერას, ორ დასად გაყოფილ მოცეკვავე გუნდს ჰქონია სასიმღერო ლექსი, რომელიც ასე იწყებოდა თურმე: „სამაია სამთაგანა ტურფა რამ ხარო... და სხუანი“ (გვ. 148). ეს ლექსი დღემდეა შემონახული.

სამაია სამთაგანა, რა ტურფა რამ ხარო;

სამაის თავი მიყვარდა, რა ტურფა რამ ხარო;

ღისო, ღისო, ქარი ქრისო, ღისიმ დალაღეო;

შევარდენი ფრთასა შლისო, ღისიმ დალაღეო...

1861 წელს ჩაწერილი ნაწყევტის ბოლოდროინდელ ტექსტთან შედარება გვიჩვენებს, რომ ამ ქართულმა სასიმღერო ლექსმა ტექსტის უძველესი სახე შემოინახა. ფრაზები— „სამაის თავი მიყვარდა“ და „შევარდენი ფრთასა შლისო“— ამჟღავნებს ლექსის სატრფიალო ხასიათს. ტექსტის საშუალებით ისიც ირკვევა, რომ „სამაიას“ თავისი მეთაური, ცეკვის წამყვანი სოლისტი ყავდა, თუმცა ალ. ორბელიანი ამაზე არაფერს ამბობს. „სამაიას“ ფერხისულად ახასიათებს დ. მაჩაბელიც: „სამაია ფერხისა, ანუ ფერხული“ (ცისკარი, 1864, № 5, გვ. 55). სამაია 60-იან წლებშიც საუცხოო სანახაობას წარწოდებდა, იგი მნახველებზე წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებდა თურმე. „ჩემ სიყმაწულეში, ერთს გამოჩენილს ქორწილში დაბაეს „სამაია“ ორმოცმა მეტმა მახლობლად ქალებმა, გათხოვილებმა და გაუთხოვრებმა. მე ეს ასე მამეწონა, რომ, როცა მოვიგონებ ხოლმე, იმ დართულ-დაკაზმულს ქალებს, იმათ საუცხოოს შეწყობილს მღერას და იმათ მშუშნიერსა ნარწარსა მიმოსვლელობას მღერითვე? ოჰ! მეტად მესიამოვნება.“ დაბოლოს ალ. ორბელიანი ნაღვლიანად შენიშნავს: „არ ვიცი, ეს ამგვარები რომ დაიკარგოს ჩუჲნში, რისთვის და რაათ?“.

სამაიის აღწერილობის ბოლო ნაწილში ალ. ორბელიანი დაბეჯითებით გვეუბნება, რომ ამ ცეკვას ქალები ასრულებენო. საგულისხმოა ისიც, რომ საგანგებოდ შესრულებულ ხალხურ სანახაობაში არც ერთ მამაკაცს მონაწილეობა არ მიუღია. ცხადია, ეს იმიტომ, რომ, ძველი ჩვეულების თანახმად, „სამაის“ მხოლოდ ქალები ასრულებდნენ. ამის გამო ალ. ორბელიანისვე პირველი ცნობა სამაიის მოცეკვავენი „ქალნი და კაცნი ორ დასად“ გაიყოფებოდნენო, ან შემთხვევითი ფრაზა ანდა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარშიც მას შერეულად ცეკვავდნენ, მსგავსად თანამედროვე ფშაველებისა. სამაიას რომ ქალები ასრულებდნენ, ამის უფრო ადრინდელი ცნობა თეიმურაზ მეორეს მოეპოვება.

თეიმურაზ მეორის მოწმობით ახალდაბადებულის დღესასწაულის ღამეს გამართავენ ფერხულს და „შემოსძახებენ ძეობას“. საერთო პურისქამის დროს

ცალგნით არის კაცის ხმანი, ცალგნით იყო ქალებისა,
 ძეობაში უკუყრა და ყოფა არის მენესტისა,
 სამაიაში ქალებსა იღლიაში უძეგებისა,
 და შაირს ეტყვის სამიჯნუროს, უკრავს, ახლოს უდგებისა.

„სამაიის ჩაბმისას“ მესტიერე მოცეკვავე ქალებს სატრფიალო ლექსებს უძღვნიან. ამის გადანაწილი ახლაც გვხვდება ხალხურ ლექსში: სამაის თავი მიყვარდაო.

სიტყვამ მოიტანა და აღვნიშნავ, რომ სამაიის ირგვლივ ჩვენს ლიტერატურაში ბოლო დროს ერთგვარი გაურკვეველობა შეიქმნა. დოც. დ. ჯალიძემ უარყო მოსაზრება, რომ სვეტიცხოვლის ცნობილ ფრესკაზე სამაია არის გამონახული. აღწერს რა ფრესკის ფრაგმენტს, იგი ასკვნის: „სვეტიცხოველის ფრესკაზე გამოსახული არა სამი მოფერხისე ქალის „სამაია“, არამედ რთული წყობის საფერხულო სანახაობა მწკრივთა შორის მოთამაშე სოლისტით და მემუსიკეთა ორი მწყობრით, რაც ძნელი სათქმელია, რომ „სამაია“ იყოს“ (ლიტ. და ხელოვნება, № 33 1947 წ.). დოც. დ. ჯანელიძე 1948 წელს გამოსულ წიგნიც იმსხვე იმეორებს. ამ საკითხთან დაკავშირებით ხალხური სანახაობების მკვლევარი არ ეთანხმება ჩვენს მოსაზრებასაც, ყველა ცნობით სამაია ცეკვის გარკვეულ სახეს ეწოდება და მისი ასრულება სამ მოთამაშე ქალზე მოდის; თვითონ სანახაობის გასცენიურება, ცხადია, მთელი გუნდის მონაწილეობას საჭიროებს. მაშასადამე, ვააკვირი არაა თუ მცხეთის სვეტიცხოვლის ფრესკაზე გამონახულია 21 (3×7) მოთამაშე ქალი და მომღერალთა და მესაკრავეთა მწყობრი¹. სწორედ ამ რთულ სანახაობაში წინა პლანზე დგას სამი ოსტატურად ხელიხელ ჩაკიდებული მოფერხისე ქალი. ჩვენი აზრით, არც ტერმინი უნდა იყოს უტოპური წარმოშობისა; „სამაია“ სამიდანაა ნაწარმოები, იმნაირად, როგორც „ერთა“-იდან წარმოქმნილია „ერთა“ („დედის ერთა“)².

5. ქართველებს წყლის მოტანის სიმღერაც შეუქმნიათ. ეთნოგრაფიულად ეს უფრო აღმოსავლეთ საქართველოსთვისაა დამახასიათებელი. ალ. ორბელიანი მოხდენილად გადმოგვცემს ძველი სოფლის სურათს. „ბეგრჯელ მახსოვს ესეც. ერთი სოფლის დედაკაცები და გაუთხოვარი ქალები, ერთათ შეყრილნი საღამო-

¹ დ. ჯანელიძე. ქართული თეატრის ხალხური ნაწილები. გვ. 182; სურ. 54.

² მ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი. ქართული ფოლკლორი, 1916 წ., გვ. 40.

ქამს, წყალზე მიმავალი კოკებით მხრებზე შედგმული თან შეწყობილს სიმღერასა ანბობდნენ, ამას მეტად კარგად: „თინა მიდის წყალზედა, ახ თინანო, თინანო“... და სხუანი. ესეც წყლის მოსატანი სიმღერა არის“ (გვ. 149). წყლის მზიდავთა ლექს-სიმღერები ახლაც გვხვდება. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს „თებრონე მიდის წყალზედა, კოკა უდგია მხარზედა“.

6. მეექვსე ადგილი შრომაში „ნანას“ უჭირავს. ავადმყოფის სიმღერაა „ნანა“, „უკეთესი ჯმა რაღა უნდა“-ო (გვ. 149).

7. ალ. ორბელიანის შრომაში ცალკეა გამოყოფილი „სხუა და სხუა მუშაობის სიმღერები“, ანუ, როგორც ახლა ვამბობთ, შრომის სიმღერები. სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებით დასახელებულია: 1. სიმღერა ვენახის მუშაობისა, 2. ქვევრის გარეცხისა, 3. ყურძნის დაწურვისა, 4. სახლის აშენებისა, 5. მიწის ხვნისა, 6. მიწის დაფარცხისა, 7. ყანის მომკისა და ნამგლის გაღვსვისა, 8. ძნის მოტანისა, 9. კალოს ლეწისა, 10. ხვავის განიაგებისა, 11. საბაროს ურმით წასვლა-მოსვლისა.

სამწუხაროდ ნაშრომის ავტორს ამ სიმღერების ტექსტები და შესრულებები აღწერილობა არ მოუცია.

8. ჩვენ ცალკე გამოყოფთ კალენდარულ—საწესჩვეულებო სიმღერებს, რომლებიც ალ. ორბელიანს შრომის სიმღერების სიაში აქვს შეტანილი. ესენია ჭონა და ალილო. ალ. ორბელიანი თითოეულის მოკლე აღწერილობას გვაწვდის. ჭონაზე იგი ამბობს: „ბზობის კვრაში დადიან მომღერალნი კაცნი, ჭონა სიმღერას ანბობენ და კვერცხებსა ჰკრეფენ სააღდგომოთ“ (გვ. 157). ალილო შობის წინაღამის სიმღერაა. „სახლით სახლად დადიან კაცნი და ფულებსა ჰკრეფენ ამ ალილოს მომღერალნი“ (გვ. 158). „ალილოს“ ტექსტი ავტორს მოყვანილი არ აქვს, მაგრამ ის ცნობილია. ერთ-ერთი ლექს-სიმღერა ასე იწყება: „ოცდახუთსა ამ თვესა ქრისტე დაბადებულა“.

ქართლ-კახეთში იმერეთიდანაც გამოდიოდნენ ალილოს მომღერლები. „ერთს შობის წინაღამეს მახსოვს ამ ოც და ათის წელიწადის წინათ, ჩუშნი სახლის ფანჯრების ქვემოთ ქუჩაში, უცარი სიმღერა დაიწყეს, ალილო: თქმა, მოძახილი და ბანი. ასე გაწყობილის მშვენიერის ჯმით ანბობდნენ იმ ალილოს, რომ ყოველი ჩუშნი გონება იმ სიმღერამ მოიტაცა. ვინც იმ დროს შინ ვიყავით გაჩუმებული ყურს უგდებდით იმ სიამოვნებას მეტის სიამოვნით. იმათ რომ ის თქმა დაასრულეს აქ ჩუშნი შევწუხდით, გარდა ბატონიშვილის დედი ჩემისა¹, რომელმაც ბძანა: ეს უთუთოთ იმერლები არიანო. ამ სიტყვასთან ჩემი უმცროსი ძმა წამოხტა და საჩქაროთ მოსამსახურეს ამოაყვანინა სამნივე. გამოვიკითხეთ, მართლა იმერლები იყვნენ. კარგა ხანი აღარ გაუშუთ, ბევრი კარგი სიმღერები და ლღინები ვათქმევინეთ იმერული“ (გვ. 158). რაჭა-ლეჩხუმში ალილოს შემოვლითი ხასიათი აქვს².

¹ ალ. ორბელიანის დედა იყო ერეკლე მეორის ასული თეკლა.

² Д. Джаниридзе. Народные праздники, обычай и поверия рачинцев. Сбор. мат. для опис. местн. и пл. Кавказа, т. XXI, стр. 128.

ამ ქრისტიანულ გალობა-სიმღერებს ძალიან შორეული, ქრისტიანობამდეელი წარსული უნდა ჰქონდეს. ისინი საგანაფხულო-საკულტო სიმღერების ტრანსფორმირებულ გადანაშთებს წარმოადგენენ.

9. სამგლოვიარო სიმღერებიდან ალ. ორბელიანს მხოლოდ „ზარი“ აქვს დასახელებული. „სამგლოვიარო გალობა სრულიად განსხვავებული ვმა არის, საღბუნებელი და ცრემლის საფრქველი“, ამბობს იგი. ჰანგის მოსმენის დროს „კლდის გულიც რო ჰქონდეს ვისმე, იმასაც აუღუღდება გული და ცრემლებს გადმოაფრქვევს ბევრსა“ (გვ. 159). სწორედ ამაზე ამბობს თუშური სამგლოვიარო ლექსი: ძნელი არს დალაობაი.

ჩვენ ჩამოვთვალეთ ყველა ლექს-სიმღერა, რომელთა შესახებ ალ. ორბელიანი ჩაკვირებულსა და რეალურ ცნობებს გვაწვდის.

შრომის ავტორი ერთმანეთისაგან ასხვავებს აღმოსავლეთ-ქართულ და დასავლეთ-ქართულ ხმებს. „საკურველია, — ამბობს იგი, — რომ არაფერში არ მივსგავსება იმერული ხმები საქართველოს ხმებსა“ (159). აქ ავტორი მითლად მართალი არ უნდა იყოს. განსხვავების აღსანიშნავად ალ. ორბელიანს სათანადო ტერმინებიც აქვს შემოღებული: იმერულ ხმებს ლილინებს უწოდებს, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს ხმებს — სიმღერებს (გვ. 159).

სხვადასხვა ხმისა და ტექსტების შესწავლა ალ. ორბელიანს საფუძველს აძლევს დაასკვნას: „ჩუშნისა ერსა უღრმეს და უძველეს დროში თავის საკუთარი ჯმის მუსიკა ანუ ახლანდელ გვარზედა ვსთქვათ: პოეზია ჰქონია“ (გვ. 149).

უნსოვარ დროში შექმნილი ძეგლები დღემდე შემონახული, „დღესაც ზოგიერთმა იცის ის ათასობითი წლების გალობანი ანუ სიმღერანი; ის იმათი დამიწებული ჩუშნი მამაპაპების ჯმები, ანუ მაშინდელი ბუნებითი ძველი მუსიკა“ (149). ძველი მუსიკა და სიტყვიერება თანდათან ჰქრება. ამის გამო „ღირსსახსოვრად დარჩება იმისი სახელი მარადის, ვინც ავდენსა ჯმებსა, ერთად შემოჰკრებს და ნოტებზე დააწყობს სულერთიანად, ის შეიქმნება ისტორიის პირი საჩენი“ (გვ. 159).

მკვლევარი მადლობის გრძნობით მოიგონებს წინაპრებს, რომლებსაც მრავალი ტანჯვა ჩადუტანიათ, მაგრამ მაინც „ყოველს კარგსა ღირსებასა, ანუ ხასიათსა, ანუ ჩვეულებასა, ანუ ზნეობასა, არა ჰკარგავდნენ არას დროს“.

ალ. ორბელიანიმა იცის, რომ ერს კარჩაკეტილად ცხოვრება არ შეუძლია. ისტორიულად ადგილი აქვს ერთა ურთიერთობას; ერთი ხალხი მეორის მაგალითზე სწავლობს. ქართველები, ალ. ორბელიანის აზრით, ნაკლებად ექცეოდნენ უცხო გავლენაში, განსაკუთრებით კი ჩვენი გლეხობა; იგი კარჩაკეტილად ცხოვრობს და სხვის მიბაძვას გაურბისო. 1861 წელს ა. ორბელიანი წერდა: „ღიახ, კარგი, უთუთო მაშინ ისე უნდა ყოფილიყვნენ ჩუშნი წინაპრანი, რომ გარეშე უცხო თესლების ჩუშლება არა მიეღოთრა იმათ, გარემოებისა განო, მაგრამ ძნელი ეს არის: თითქმის ეხლაც ისეა ჩუშნი გლეხები, რომელნიცა არავეისგან არ სწავლობენ, ახლანდელსა კარგს, არავეისას“ (გვ. 142). მიუხედავად ასეთი განწყობილებისა, საქართველო მაინც ვერ ასცდა უცხოური ნაკადის შემოჭრას. გარედან შემოტანას განსაკუთრებით ხელს უწყობდნენ გაბატონებული კლასის წარმომადგენლები, იქცეოდნენ რა დამპყრობელთა ყურმოჭრილ მონე-

ბად და მიმბაძველებად. „როსტომ მეფეს სპარსეთის ჩუშლება შემოუტანია საქართველოში და ის ჩუშლება ისე ეგრგინა მთელს საქართველოს ერსა, რომ საერთოთ იძახდნენ თურმე: ყიზილბაშებმა წაგვპილწეს და გაგვრყვენსო“ (გვ. 141).

აღ. ორბელიანი მოსურნეა ქართული ეროვნული კულტურის სიწმინდისა. თავისი შრომის დასასრულს მოწოდებით მიმართავს მკითხველებს: „ქართველებო! აიღეთ ყიზილბაშურს ყიყინზედ, იმათ სიმღერების ვმეზედ ხელი, რა შეედრება ჩუშნს მამაპაპის სიმღერის ვმეზსა!“ (გვ. 159—60).

ქართველ ერს არ სჭირდება ბრმა სესხება, რადგან მას აქვს „ათასობითი წლების გამოცინება, მხოლოდ ჩვენი კუთვნილი საკუთარი გალობანი, სიმღერანი და ლილინები“.

აღ. ორბელიანს თავისი აზრი აქვს მუსიკის, პოეზიის წარმოშობაზეც. ის ფიქრობს, რომ ხელოვნება ქვეცნობიერად იბადება, რადგან გარემო ბუნების სიმშვენიერე თავისთავად აღძრავს, პოეტურად ამეტყველებს ადამიანს. „ის პირველი ჩუშნი ძმა ამ საკურველს უშუშუშნიერესს ქვეყანას რო ნახავდა, ამთენს განსხვავებულს საუცხოვოს ბუნებას, რა საკურველი იქნება, რომ იმისი გრძობა აღეღებულყო და თავის კლდეში, ჯერ ფუტკარსავით ბზუილი შეექნა, მასუკან ის ბზუილის ვმა თანდათან გაელამაზებინათ, გალობად ან სიმღერად? თუ ჩუშნი ქვეყანა პირველი კაცის ბუდე არის მართლა, მაშინ უთუთო ესეც ასე უნდა იყოს, როგორც ვანბობ“ (გვ. 150).

შემთხვევითი არაა, რომ აღ. ორბელიანი საქორწილო სიმღერების დახასიათების დროს საგანგებოდ ჩერდება მესტეირზე. ამის მიზეზი პირველყოვლისა აღმ. საქართველოს სინამდვილეა, ერთი მხრით, ხოლო, მეორე მხრით, ისიც გასათვალისწინებელია, რომ აღ. ორბელიანი ახლოს გასცნობია მესტეირულ პოეზიას. შეიძლება ვთქვათ, რომ მესტეირეთა ცხოვრება და ტრადიცია თავის საგანგებო დაკვირვების საგნადაც გაუხდია მას. მესტეირული პოეზიის კვალი მწერლობაშიც შეუმჩნევია აღ. ჭავჭავაძის შემოქმედების საბაზოზე. შემონახულია აღ. ორბელიანის საინტერესო მოგონება, სადაც გარკვეულია აღ. ჭავჭავაძის მესტეირებთან დამოკიდებულება¹.

აღ. ორბელიანის ყურადღებას იპყრობს კარის მგოსნობის ტრადიციაც. მან შემოგვიანა ისტორიული ცნობა სახელმოხვევილ კარის მგოსან იარალის შესახებ². ზემოთქმულის მიხედვით ადვილი გასაგებია, თუ რატომ ეპყრობოდა აღ. ორბელიანი ასეთი გულსისყურით ხალხური პოეზიის ამსრულებლებს. აპ. ცანავამ თავის საკანდიდატო დისერტაციაში გაარკვია, რომ აღ. ორბელიანს ერთი მესტეირის ზაქარიას ბიოგრაფიაც შეუდგენია. ეს ბიოგრაფია საინტერესოა როგორც ზაქარიას პიროვნების გაცნობის, ისე საერთოდ მესტეირეთა ყოფის წარმოდგენის მიზნით მე-18 და მე-19 საუკუნეთა მიჯნაზე.

აღ. ორბელიანს შეუნიშნავს, რომ ხშირად ტერმინ „მესტეირე“-ს გვარი „ბლიაძე“ ენაცვლება, ისინი სინონიმებად გვევლინებიან. „მესტერესა ახლა ბლი-

¹ ა. ჭავჭავაძე, თხზ., ი. გრიშაშვილის რედ., გვ. VIII.

² მ. ჩიქოვანი, ფოლკლორული ეტიუდები. პუშკინის სახ. პედაგოგიკის შრომები, VI, გვ. 85.

აქეს ეძახიან, მაგრამ ბლიაძე გუარია და არა მესტურე. რადგან საგანგებო მესტურე ყოფილა რომელიმე ბლიაძე, იმის სახელი მესტურესათვის დაურქმევიათ“. აქ საინტერესო შემთხვევაა ფიქსირებული: კერძო გვარის (ბლიაძე) განზოგადება მოხდა ამ გვარის მატარებელ მესტურის პოპულარობისა გამო და ელოზის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა. ისიც საგულისხმოა, რომ ალ. ორბელიანს 60-იან წლებში არავითარი ცნობა არ ჰქონია მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე-19 საუკ. დასაწყისის განთქმული მესტურის ვინაობაზე, თორემ არ იტყოდა „რომელიმე ბლიაძე“.

ახლა გავეცნოთ ზაქარია მესტურის ბიოგრაფიას.

„დღემამისაგან ობოლს მე, არც დაამყვანდა და არც ძმა, თვინიერ ერთი მოხუცებული ქვრივი მამიდა[სა], რ'ლსაცა ორი ყმაწვილი კაცი შვილები ჰყუანდა, სოფლის გუარზედ კარგად გაზრდილი ღვდელთან, და მე კი ერთს მონასტერში ბერებს მიმაბარა შავირღათ, სადაც კარგახანი დაერჩი იმათში და ვისწავლე მართლა კარგათ საღმთო-სასულიერო სწავლა.

ერთს დღეს ჩემი მოხუცებული მამიდა მოვიდა იქ მონასტერში ბერთან და ჩემი ამბავი გამოჰკითხა. უანბეს ჩემი ნიჭი და სწავლა. იმან ეს რომ გაიგონა, მაშინვე გამომიყვანა, და გზასაც ჩქარა მოვდიოდით ჩვენის სოფლისაკენ.

ჩვენს სოფელში შემამეხვეივნენ დედაკაცი და კაცნი სიხარულით, მე იმათი ნახუა დიდად მეუცხოა, ამისათვის, რომ შვიდი წელიწადი მე ისინი არ მენახა და რიგიანად აღარ მაგონდებოდნენ არც ერთნი.

ამ სოფლის ღვდელს ვესმარებოდი ეკლესიაში, უფრო დიდ ღვდესასწაულებში, რ'ლნიცა ყველანი გაკვირვებულნი იყვნენ ჩემს წიგნების კითხვაზე: ასე კარგად და ჩინებულად ვკითხულობდი.

მამიდაჩემი მე ასე მანებიერებდა, ასე მიფრთხილდებოდა თავის შვილებზე მომეტებულად, მაგრამ ამ უცნოს ჩემს ნიჭთან ერთი ვნება დამემართა და არ ვიცი სასაცილოდ გეჩვენებათ, თუ არა?

იმ ჩუენს სოფელში ერთი საუცხოვო მესტურიე იყო, ავეყე იმას და ასე კარგად ვისწავლე, მართლა საუცხოვოდ. მე ეს იმისაგან არ ვიკმარე, გავსწიე და მთელი ქართლ-კახეთი შემოვიარე: სადაც გამოჩენილი მესტურიე ვნახე ანუ მომღერალი, იმათი ხმები სულ ვისწავლე და ბოლოს ჩემი საკუთარი ბევრი დაუმატე. ასეთი მომღერალი და მესტურიე შევიქენ, რომ საკურგელი!

ამ ყოფით ოთხი წელიწადი შემოვიარე ქართლ-კახეთი, მასუკან იმერეთში გადავედი; იქაური დიდინები და სიმღერაც სულ ვისწავლე. სულ სტვირზე ვანბობდი ყველას: ასე მშვენიერად, რომ მართლად გაკვირვებულნი იყვნენ ყველანი.

იმერეთშიაც ერთი წელიწადი დავყავი, მერე ვთქვი: წავალ ჩემ სოფლისაკენ, სადაც დაბადებულვარ, სადაც ჩემს მშობელს დედას თავის ძუძუს რძით გაუზრდივარ და სადაც მე, ობოლს, მამიდაჩემი მანებიერებდა მეოჭი...

ნაშოგენი ორასი თუმანი ფული ცხენს ავიცილე, შევეჯექე ჩერქეზულს საუცხოვოს იაბოზე, რ'ლიცა იმერეთის მეფე სოლომონმა მიბოძა და ჩუენი სოფლისაკენ გამოვწვიე. ჩუენ საფელს რომ დაუახლოვდი, იმის დანახვა ასე მიამა, უკეთესი სიამოვნება თავის დღეში ჩემს გულს არ უგრძენია. მეტის სიამოვნით



ავიღე სტვირი, მოვაშაღე, ამასთან დაკვრას მივყევე და ზედ ჩუენი სოფლის სი-
მღერა დაეძახე მშვენიერს ვმითა.

ჩუენი სოფელი მიღობზე იყო დასახლებული, საიდგანაც იმის წინ და-
ცემული მამულები ჩანდა სრულიად. ეს დღე იყო კვირა, ახალი წირვა გამო-
სული დიღისა, და სოფლის ხალხი ეკლესიის გარეთ იდგნენ. დედაკაცი და კა-
ცი სულერთიან ჩემქმა სიმღერამ და ჩემქმა სტვრის ვნამ, იმ სოფლის მიდამო
ადგილები სრულიად მოიცო და სოფლის ხალხის ყურამდისინაც მიხწევილ
ყო, რითაცა ჯერ ყური დაეგდოთ, მასუკან ჩემს მოხუცებულს მამიდას დაეკი-
ვლა: ჩემი ძმისწული ზაქარია არისო¹. ამასთან გეჟსავით გამოქცეულიყო, თან
მთელი სოფლის ხალხი დაეინახე, ერთიანთა წამოვიდნენ, დედაკაცი და კაც-
ნი. ამ დროს მეც სოფლის ვენახებს დაუახლოვედი ორღობის მახლობლად.

ამ ორღობეში შევხვედი მოხუცებული მამიდაჩემი ქეთევანა ჯღლებავალილი,
თვალეზე მსხვილი ცრემლით მორბოდა და უკან სოფლის ხალხი მოსდევდა, დე-
დაკაცი და კაცი, დიღნი და პატარანი სულ ერთიან. ეს რომ ვნახე, გული
ამიდულდა, ამისათვის, რომ დედა რომ მყოლოდა მომეტებული სიყვარული არ
მექნებოდა იმისი, როგორც მამიდაჩემი მიყვარდა მე. დიდი ჭინახული ჰქო-
ნდა ჩემზე. იმის ფიქრით ღვდლად მამზადებდა ჩუენი სოფლისთვის, ამისთვის,
რომ იმ ჩუენი სოფლის ღვდელს ერთი ქალის მეტი არა ჰყვანდა და ის ქალი დ-
რითვე დაენიშნათ ჩემთვის, რლაცა ორის წლით ვიქნებოდი იმაზე უფროსი, მა-
გრამ ჯერ თვალთ კი არ ვენახა ის ქალი.

რალა მოგახსენოთ, მეც ცხენიღან გადავხტი გულდადუღებულ, სტვირი
შორს გავტყორცნე, იქიღან მოხუცებული მამიდაჩემი და აქედგან მე გადა-
ვხვივენით ერთმანეთს გეჟსავით; საწყალმა გულში ჩამიკრა ნახევარ საათი მე-
ტი და ორნივე ვეჭვითინებდით საცოდავად, რისყოფით ჩუენმა ნათესავეებმა და
ხალხთა ძლივს გავგყარეს ერთმანეთს. შემდგომ მოვიდნენ და ყველანი მომე-
სალმნენ სიხარულით.

წამოვიდნენ და წამომიყვანეს მხიარულ სიცილით. სოფლის თავში სოფ-
ლის ღვდელი მამეგება თავის ცოლით, რლთაცა დიღის სიამოვნით მიმიღეს;
ღვდელმა გულმხურვალეთ დამლოცა და მეც გულდამობიერად ჯღლზე ვემთხვიე-
მეტის სიამოვნით ღვდელმა ერთიან სოფელი სადილად მიიპატიფა მაშინვე და
თავის დიკუნებს და ნათესავეებს უბრძანა: ეხლავ ორი ჩემი ძროხა, რამდენიმე
ცხვირი, ქათმები, დაკალით და მარანში ქვევრები დახადეთ ღვინისა, დღეს
დიდი ლხინი უნდა გავდვიხადოთ, ამისათვის რომ ჩემი სასიძო მშვიდობით ვნა-
ხეო. არც სიმდიდრე აკლდა არაფრისა იმ ღვდელს.

მამიდა ჩემქმა თავის სახლში მიმიყვანა. ამისი ვეჟკაცი უცოლშვილო, ხუთი
შვილი გარს მეხვეოდნენ სიამოვნით, სადაც ჩემი სასიამორო და სასადედროც
შემოვიდნენ და სხვანიც ბევრნი. მიმიყვანეს და ხალიგავალილს ტახტზე დამ-
სვეს. მამიდა ჩემქმა ჩითის ბალიში მომიტანა: ჩემო სიცოცხლეო შვილო, დაე-
ყუდე, დადალული ხარო. მაგრამ მაშინ მე თვრამეტის წლისას რა დამილა-
მდა! ამასთან მამიდაჩემმა საყვედურსავით მითხრა: რა იყო შენი მავისთანა

¹ ხელნაწერში „ზაქარია“ გადახაზულია, გვ. 63.

თვთ რჯულობა, რომ არ დაიშალებ; გაიკალ თავი და წახვედიო? ამის პასუხათ მეც ეს უთხარ:

— „არა დამიკარგავს რა, ჩემო უსაყვარლესო მამიდავ და დედიჩემის მსგავსო. მთელი იმერეთი, ქართლ-კახეთი შემოვიარე, მეტათ მამეწონა ის ქვეყნები, მოხუცებულს მეფე ირაკლის ვახლდი; იმერეთის მეფეს ვეახელ და ბევრი სხუა ლიდრონი კაცები ვნახე და ორასი თუმანი ფულიც მოვიტანე, მამიდავ.“

ეს სიტყვა მამიდას ეწყინა: „არა, შვილო, მე ანგაარი დედაკაცი არავარ. შენ რომ ავტეხოდა რამე, წყალში გადავივდებდი თავსა. რად მინდა შენი ორასი თუმანი, ღთმა მოგახხაროს შვილო. ჩემი შვილებიც ასე იტყვიან, შენმა გაზრდამ“.

მასუკან ღვდელმა გადაასხვაფერა:

— „ჩემო სასიძო, ზაქარიავ, მეფე ირაკლი სად ნახე? ან მეფე სოლომონ?“

— „მეფე ირაკლი ვნახე თელავს; ამ ჩემს სტვირს თორმეტი სხუა ვმაჩუბატე, რ’მლიც სულ თითხმეტი იყო; ზოგი სალამურისა და ზოგი სხუა და სხუა ვმის საკრავი, მაღალი და მდაბალი, შეწყობილი ვმეტი, რ’მლსაცა ვინ მოსთვლის რომ რავდენს შეწყობილისა ვმეტი და ვავაკრევიინებდი ხოლმე მეტად საუცხოვოდ. ეს ამბავი მეფის ირაკლისთვს მოეხსენებიათ. მაშინვე ებრძანებინა ჩემი მიყვანა. მიმიყვანეს, მაგრამ დიდად დამკრთოლად. პატივცემულსა ბატონს თაყვანი მეც; დამკრთოლობა რომ შემატყო, მიბრძანა: ემაწვილო კაცო! ნუ იზიშე, მეც შენსა ვით კაცი ვარ. მე უფრო თაყვანი ვეც მდაბლად. ჩემი სადაურობა და ვინაობა გამამკოთხა, მე რაც ვიცოდი მოვახსენე, მასუკან სტვირის დაკვრა მიბრძანა, მოყვე; საუკეთესო ვმეტი დაუკარ და ზედ დავაძხე. ასე მოეწონა ბატონს მეფეს, რომ სიამოვნის ცრემლები ვადმოყარა. კარგახანი დაუკარ და ბატონსაც დიდად იამებოდა. ბოლოს ვაეწყვიტე. ბატონმა დიდი მადლობა მიბრძანა და შევერცხილი თოფიც მაჩუქა ყირიმისა. ჩემი ვამოსვლის დროს მიბრძანა მე: ბევრი საქმე მაქუს, თორემ არ ვავიშვებდიო, მაგრამ მაგ ჩემს თოფს ვაუფრთხილდი, როცა საქირო იყოს, მოდი და მამულისათვის შემსახუროო. მე ეს რომ ბრძანა, თაყვანი ვეც და წაველ. იქილგან შემოვიარე ყოველი ჩემი ქვეყანა. ბოლოს იმერეთში ვადაველ და ქუთაისს მეფე სოლომონს ვეახელ. იმასაც ისე მოეწონა ჩემი სიმღერა და სტვირის დაკვრა, როგორც მეფე ირაკლის, რ’ლმაცა ეს საუცხოვო ლურჯი ჩერქეზული იაბო მიბოძა და ჩემს საჯდომად მყავს. ვარდა ამისა ყოველს დიდ კაცს ვეახლებოდი, რ’მლნიცა დამსაჩუქრებდნენ და კარგად გამისტუმრებდნენ. ბევრმა დიდმა კაცმა მთხოვის ვხლბოდი, მაგრამ ეს ჩუენი სოფელი რომ მაგონდებოდა, ვერსად ვერ დავდებ, და ვმადლობ ღთსა, რომ ერთი კიდევ მეღირსა ამის ნახვა“.

იმ ღღეს ჩემი სასიამირო საუცხოოთ დავვიხვდა, რ’მლსაცა მთელი სოფელი სულ იქ ჰყვანა მიპატიებული სადილად, დედაკაცი და კაცი; კაცი ერთს დარბაზში ისხდნენ და დედაკაცი მეორეს დარბაზში. რაღა მოგახსენოთ, ასეთი ლხინი ვაღიხა[და] ღვდელმა, მართლა მოსაწონი. სიმღერა, ლინები და ვალობა საუკეთესო და საუკეთესო იყო ხოლმე.

სადილს უკან ჩემი სტვირი მომიტანეს, მოვამზადე და დაკვრას მოყვევ. მთელი სოფლის დედაკაცი და კაცი თავს მამეხვიენენ, რ’მლთაცა

ყველამ გაიკვირეს: ეს რა მოუგონია ამისთანა საკურველი საკრავიო. თვთონ აღარც სიმღერა თქუეს, აღარც ლაღინი და აღარც გალობა, სულ ჩემს სტვირში გამომყვანდა ყოველი ჳმა. ბოლოს ფერხულისათჳს დაუჳარ, ჩემგნით გაკეთებული ახალი ჳმა, რლშვიაც მოძახილი, ბანი, დვრინი, თქმა და სხვა წვრილი ჳმები სულ სტვირში გამამყვანდა, ასე კარგად, რომ გეგონებოდათ ბევრი დედაკაცი და კაცი ერთად იმღერისო, სულ თავ თავის შეწყობილს მშვენიერს ჳმას ამბობენო.

ეს დღე მეტად მხიარულად გავატარეთ და საღამო ჟამზე ყველანი თავთავისად წავედით.

მეორე დღეს ორშაფათსა, მთელი სოფელი სამუშაოდ გავიდა, მეც დილა ადრიან ავდეგ, ეკლესიაში ღვეღეს ცისკარზე მოვეხმარე და შუგ წირვაზედაც, რლმაცა დიდი მადლობა მითხრა: კიდევ კარგად გხსომებია და კარგად მამეხმარეო!

—რად დამავიწყდებოდა, რომ გარდა შექცევისა სამხთო წერილსაც კვითხულობდი ხშირად და ღვეღესაც ვეხმარებოდი, სადაც მივიდოდი იმ სოფლის ეკლესიაში. ამისთჳს უფრო მადლობა მითხრა ჩემქმა სასიამაოო ღვეღელმა, რლიცა სადილად მოვიწვიე, მობრძანებულყო ჩემთან, მაგრამ უარი მითხრა: მე და შენი სადიდრო ეხლა ცხენებზე უნდა შევსხდეთ, ჩემს დიდაშვილთან წავიდეთ აგერ ახლო სოფელში და ხეალ ისევ მოვალთო შინ. ამასთან ჳელზე ვემთხვიე და შინისაკენ წამოველ. გლხე ვიფიქრე, ჳერ ხომ სადილის დრო არ არის, აქ ამ სოფლის ტყეში ერთი მშვენიერი წყარო რომ გამოდის მუხის ძირში, წავალ იმ მშვენიერს ადგილს ვნახავმ და იმ წყაროს წყალსაც დავლევ მეთქი. ეს ტყე თითქმის სოფლის პირში იყო უკან მხრივ და სხუა ტყიანი მთაც ჳედ მოებმებოდა. შინ მოველ, ჩემი სტვირი ავიღე და იქითკენ გავსწიე“.

ალ. ჯამბაკურ-ორბელიანის ხელნაწერებში ხშირად ვხვდებით მორალურ—დიდაქტიკური ხასიათის შეგონებებს (S 1634). ზოგ ნაწერში ძველი ხალხური სენტენციები და გადმოცემებიც იჩენს თავს. 1863წლის 14იანერის თარიღის ერთ წერილში მოყვანილია შემდეგი „ძველად თქმული“ ანდაზა: „როგორც მოხუალ სვინაო, ისეთიც წახუალ შინაო“ (S 1634, გვ. 34). ამნაირ თხზულებათა შორის ვხვდებმა ჳემოთ ნახევრები ბიოგრაფია. აეტორის მიერ ბიოგრაფია სტილიზებულია და მხატვრული მოთხრობის სახე აქვს მიცემული. იგი დაწერილია 1858 წელს. ჩვენ არ ვიცით, თუ ვინ იყო ჳაქარია მესტვირე. ხელნაწერი შეიცავს ფართო ფურცლის ნახევარსვეტად დაწერილ რვა გვერდს. თხზულება აეტოგრაფითაა შემონახული და დაწერილია ფანქრით, შავის სახით. მესტვირე ჳაქარიას ბიოგრაფია, ჩვენის აზრით, დასრულებული არაა, მას აკლია ის ნაწილი, რომელშიც მოთხრობილი უნდა ყოფილიყო მესტვირის დაქორწინებისა და სოფელში ცხოვრების ამბავი. ალ. ორბელიანი სახალხო მესტვირის სახეს კოლორიტულად გვიჩვენებს.

* * *

XIX საუკუნის მეორე ნახევრის კოლექციონერთა შორის პ. უმიკაშვილს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მის კოლექციაში მასალების მრავალფე-

როგანებასთან ერთად საქმე გვაქვს შემკრებთა სიმრავლესთანაც. პ. უმიკა-შვილი ხალხური პოეზიის ნიმუშებს უფრო მეტად თავის ნაცნობების, კორესპონდენტების საშუალებით აგროვებდა. ეს გარემოება იჩენს თავს მისი მასალების ქართლურ ნაწილშიც.

პ. უმიკა-შვილის „ხალხური სიტყვიერების“ I ტომში დაბეჭდილი ქართლური ტექსტები რამდენიმე პირს ჩაუწერია. მათ შორის აღსანიშნავია არიან:

1. ანდრ. როინიშვილი, რომელსაც შეკრება უწარმოებია სოფ. ქარგლში 1868 წელს. მის მიერ ჩაწერილია: ხალხური ვეფხისტყაოსნის ნაწყვეტი, „ლექებმა რომ დამიპირეს“ (უ 323 გ), „ქალი ტიროდა ქართლელი“ (უ 356 გ), „ერთი ვინმე თეთრი ქალი“ (უ 412), „ანდუყაფარ“ (უ 491), „ობოლი მარგალიტი ხარ“ (უ 648), „შორით შესმა შენი ქება“ (უ 804), „ლამაზო და მშვენიერო“ (უ 816) და სხვ.

2. თუმანიშვილი გიორგი. ის ხალხური პოეზიის ნიმუშებს კრებდა 70-იან წლებში თბილისში. უცნობი ხელთუბნელი ქალის თქმით მის მიერ 1870—71 წლებში ჩაწერილია ისტორიული ლექსი „ყენი რომ წინ წამოდგა“ (უ 174), „ციციანოვი“ (უ 197), „მღვდელი“ (უ 247); მასვე უცნობი გორელი ქალის თქმით 1868 წელს ჩაუწერია „შენ გიორგივ მეფისაშვილო“ (უ 279 ა), ქალაქური ლექსი „შუბაშოვი“ (უ 282) ჩაწ. 1870 წელს (უმ. გვ. 573), ცნობილი „სურამისა ციხე“ (უ 289), „ორმოში ფეტვი საყარე“ (უ 294ბ), „ხოშიაო, ხოშიაო“ (უ 295), ბალადა „ელიელამდაო“ (უ 298), ვარიანტი ლექსისა „ქალი ტიროდა ქართლელი ქართლისა შუა გზასა“ (უ 356 ბ), „არაფინა მყავს პატრონი“ (უ 419), „ეგსო მეგსო, ეს რა მიყვესო“ (უ 480), „ყიყვიო მამალო“ (უ 527), „ადიდებულა ტანაო“ (უ 530 ა), „ქინჭარი ჭირის ჭირია“ (უ 540), „ძილის წინ“ (უ 578), „ხომალდში ჩავჯექ, ზღვას გაველო“ (უ 683 გ).

გ. თუმანიშვილი დაინტერესებული ყოფილა ქართული ხალხური ლექსების სხვა ერთა ზეპირსიტყვიერებასთან შედარებითაც. ამას ამტკიცებენ სურამის ციხის ლეგენდაზე დართული შენიშვნა. 1871 წელს ხელთუბნელი ქალის კარნახით ჩაწერილი ვარიანტის შესახებ გ. თუმანიშვილი შენიშნავს: „ამ ბალადის მსგავსი ბალადა არის ვალახიაშიც“ (უ., გვ. 573).

პ. იოსებ ამირეჯიბი, ქართლის გარდა შემკრებლობით მუშაობას აწარმოებდა კახეთშიც¹. 1870 წელს მას მოუვლია ქართლის სოფლები საწიხური და აბისი, სადაც ჩაუწერია: გიორგი ავთიაშვილის ლექსის ერთი ვარიანტი (უ 72), „ქალონუ ვინდა ეგ ქმარი“ (უ 379), ვარიანტი ლექსისა „მალღოდან ვაღმადგარიყო“ (უ 385 ბ), „შენ რომ წიგნი მოგეწერა“ (უ 694), „იავ გულო, იავ სულო“ (უ 588), „ქალო მიყვარს შენი ევა“ (უ 615), „ნეტამცა რათმე მაქცია“ (უ 621), სასიმღერო ლექსები (უ 522—525), შაირები (უ 636—37), „ოდეს ვენახი აყვავდა“ (უ 642), „ნეტავი შენსა დედასა“ (უ 647), სატრუფილონი (უ 657—58), „შენ ქალო ამპარტავანო“ (უ 668), „წამოდი ქალო წავიდეთ“

¹ მ. ჩიქოვანი ქართული ხალხური სიტყვიერება (კახური მასალები). ლიტერატურული ძიებანი, V, 1949 წ.

(უ 671), „ხომალდში ჩაეჯექ, ზღვას გაველ“ (უ 683 ა), „ნეტავი ქალო“ (უ 684), „აქამდი გულით გიყვარდი“ (უ 729), „ნეტავი ქალო“ (უ 752), „წყალში შეცუ-რდა კურდღელი“ (უ 768), „აღმასის ფანჯარაშია“ (უ 795).

4. ს. ბასილაშვილი, ჩაწერას აწარმოებდა სოფ. ნაღარბაზევეში 1871 წელს. მისი შეკრებილია: ლექსი ობოლზე (უ 243), საყოფიერო ლექსი „ეო, მეო, ბიჭო დემეტრეო“ (უ 280), ვარიანტი ლექსისა „ორმოში ფეტვი ჩაყარე“ (უ გვ. 574), „ლექებმა რომ დამიპირეს“ ვარიანტი (უ 323 ბ). „მალიდან გადმო-მდგარიყო“ (უ 385), „ანდუყაფარ“ (უ 491), „ქალო ადი მაგა ხესა“ (უ 758), „მალიდან გადმოვიხედე“ (უ 771).

5. ი. ამილახვარი, 1875 წელს შეკრებას აწარმოებდა სოფ. კასპში. მის მიერაა შეკრებილი: გიორგი ნათელაშვილის ლექსის ერთი ვარიანტი (უ 91 იგ), „ნონიანთ ქალი ვიყავ“ (უ 382), „მთიულის ქალი ვითხოვე“ (უ 391 ა), „გიგო, გიგო ბარაქა“ (უ 393), ხორველას ლექსი (უ 413 გ), „ანდუყაფარ“ (უ 496 დ), შაირები (უ 730—41), „რას გამივლ-გამომივლი“ (უ 753).

6. ა. კვალაიაშვილი, 1875 წელს სოფ. სურამში სვ. მაქარაშვილის თქმით ჩაუწერია ხილთაქების ერთი ვარიანტი (უ 486 გ.).

7. ივ. ტერ-სტეფანოვი, შეკრება უწარმოებია მე-19 საუკ. უკანასკნელ მეოთხედში. მას ჩაუწერია: როსტომიანის ნაწყვეტი (უ გვ. 554), „ხელთ-უბანზე ჯარი ზოდის“ (უ 73), „ნათლისმცემელი და გლახა“ (უ 222), ვარიანტი ლექსისა „როცა აშენდა მანგლისი“ (უ 293 ბ, გვ. 573), მანვე „ივერიაში“ 1887 წელს გამოაქვეყნა „ხალხური ლექსები“ (ივერია, № 115).

8. ვანო ჯაჯანიოვი, რომელსაც 1878 წელს ჩაუწერია იმირანის თქმუ-ლების ერთი ნაწყვეტი (უ 5 იე) და „აღმოსავლეთი დაბნეულია“ (უ 106).

9. შამაცაშვილი დარია, ხალხური პოეზიის ნიმუშებს ჰკრებდა 70-იან წლებში. 1872 წელს ჩაუწერია ცნობილი გიორგი ქებაძის ლექსები „საქართვე-ლოს გადაცემა რუსებზედ“ (უ გვ. 566) და ბატონყმობაზე (უ 329); გარდა ამისა — „ტყვე ქალი“ (უ 324).

10. გაბაშვილი ეკატერინე. ჩვენი სახელოვანი მწერალი ხალხური პოეზიის ნიმუშებს ზოგჯერ არა თუ იყენებდა თავის ნაწარმოებებში, არამედ კრებდა კიდევაც ფოლკლორისტული თვალსაზრისით. მის მიერ შეკრებილია სხვადასხვა ქანრის ნიმუშები, მათ შორის 1887 წელს ს. კოლაში ჩაწერილი ცოლ-ქმრის ლექსის ერთი ვარიანტი (უ 253), „სოლომან ბრძანა“ (უ 301), „ბებერო, შენი ჯარაო დაბერდა“ (უ 311), „ღედის ალერსი“ (უ 333—336), ნეტავ რა ხარ მაგისთანა“ (უ 337), „წაიყვანეს თამარ ქალი“ (უ 399), „ქალი ვიყავ ქა-ლაუცი“ (უ 410), „ჰა ქალო, ვაშლი წითელი“ (უ 681), „თარგმანსა და სტე-პანდას შუა რუები“ (უ 737), „გაღმა გავრეკე ხარები“ (უ 738), „ა ქალო, მძივი, რა მძივი“ (უ 757), „ბიჭო, ბრიყვო და რეგვენო“ (უ 800), „გამხიარუ-ლდი ბუხარო“ (უ გვ. 598), „ნინო, ნინო თასით ღვინო“ (უ 1000), „გოგო წითელი პერანგი“ (უ 1168), „მინდორში არ დამიძინა“ (უ 1206), „ნეტავი წყლის პირსა მიძინა“ (უ 1212), „ალექსანდრე საზრეო“ (უ 1235), „ქალო, ქალო კი-სკასაო“ (უ 1272), „დაბერებულხარ, ბებერო“ (უ 1529), „სოფელო ქირვე-ული ხარ“ (უ 1539), „ორი ბატონის ყმა ვიყავ“ (უ 1550).

ე. გაბაშვილი ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს აქვეყნებდა საბავშვო ჟურნალებშიაც; მაგალითად, ე. „ჯეჯილი“ დაბეჭდილია მის მიერ ჩაწერილი გამოცანა (ჯეჯილი, № 1 1892 წ., გვ. 71) და სხვ.

11. მაღამ ფონ დერ ნონე, ქართლში ჩაუწერია სასიმღერო შირი „ატენსა და გორს შუა“ (უ გვ. 572), „ორშაბათობით აშენდა ციხე-ქალაქი ქვაზედა“ (უ 442) „ავი გუთნის დედის სული დაწერილია ქვაზედა“ (უ 443), „ილი ილევი“ (უ 532), „დიდება ღმერთსა“ (უ 568), „ამა მინდორში ბევრია“ (უ 654), „ტანა-წვრილათ აღზრდილო“ (უ 694), „ეცე წიგნი ჭრელიაო“ (უ 711), „წიგნს მოგწერ“ (უ 714), „წიგნს დაწერ, გამოგიგზავნი“ (უ 715), „ეგრე კარგი რამ გაგზარდა“ (უ 778 ა), „ხელმანდილსა გადმოგიგდებ“ (უ 793), „ახა, ილილმე, ილილმე“ (უ 810).

12. ი. გოგებაშვილის ჩაწერილი ლექსებიც არის პ. უმიკაშვილის წიგნში: „ვარიანი გვარიანი“ (უ გვ. 613) და „არაშენდა—გადაშენდა“ (უ 1564).

ი. გოგებაშვილი რომ კარგად იცნობდა როგორც თავისი სოფლის, ვარიანის, ისე მთელი ქართლის სიტყვიერებას, ამაში სხვა დროს უფრო დარწმუნდებით.

შემკრებლებთან ერთად საჭიროა ვიცოდეთ მთქმელები, რომლებიც ქართლური ფოლკლორული ტრადიციის საუკეთესო მატარებლები იყვნენ მე-19 საუკუნეში. ასეთ სახალხო მგოსანთა შორის შეიძლება დავასახელოთ:

1. პაპიაშვილი სოფიო, ს. კოდელი. მასთან ჩაწერა უწარმოებია ეკ. გაბაშვილს 1887 წელს. სოფიოს რეპერტუარს საყოფაცხოვრებო ხასიათი აქვს. ამას ადასტურებს ლექსი ცოლქმარზე (უ 253), „სოლომან ბრძანა“ (უ 301), „ბებერო, შენი ჯარაო“ (უ 311), „დედის აღერსი“ (უ 333—336), „ნეტავ რა ხარ მაგისთანა“ (უ 337), „წაიყვანეს თამარ ქალი“ (უ 399), „ქალი ვიყავ ქალაუცი“ (უ 410) და სხვ.

ე. გაბაშვილის მიერ ჩაწერილი ლექსები ყველა ს. პაპიაშვილის რეპერტუარიდანაა.

2. ორჯონიკიძე ნატალია (ქართლი, ს. ტეზერი). 1886 წელს მისგან ჩაწერილია საყოფიერო ლექსი „ყიყლიყო მამალო“ (უ 527 ბ) და „ფიცარ ფიცარ ნაორიალო“ (უ 553).

3. გაბრელი მაქსიმე (ს. ქვიშეთი), რომლისაგან 1902 წელს ჩაუწერიათ სატრფიალო-სახუმარო ლექსი „აფარავნელი ბიჭი ვარ“ (უ 742) და „ხარებში უნდა წავიდე“ (უ 955).

1949 წლის ივლისში ჩვენ ქართლის სამეცნიერო-ფოლკლორულ ექსპედიციაში ყოფნის დროს ქვიშეთში სპეციალურად გამოვიკითხეთ მაქსიმეს ვინაობა, მაგრამ უმიკაშვილის წიგნში აღნიშნული გვარის მაქსიმე იქ არც ცხვრობს და არც არავის ახსოვს. ამის მიზეზი ისაა, რომ შემკრებს გვარი სწორად არ აქვს აღნიშნული; მაქსიმე გაბრელი კი არა უნდა იყოს, არამედ გომარელი. ასეთი პირი მართლაც ყოფილა ამ სოფელში და კარგი ხალხური ლექსებიც სცოდნია, როგორც მამაბო ას წელს მიღწეულმა მოხუცმა კიმოლაკაბიძემ (ექსპედიციის დღიურიდან).

4. იოსებაშვილი მიხეილ (ს. სურამი), 1887 წ. გადმოგვცემს ცნობილ ლექსს „სიზმარს“ (უ 291), რომელსაც ნახევრად სამკლოვიარო ხასიათი აქვს.

5. მაჭარაშვილი სვ. (სურამი), 1875 წელს შემკრებს აწერინებს ხითა ქებას (უ 486 გ).

6. სხირტლაძე სოსო (მოხისი), 1870 წელს ი. ამირეჯიბს აწერინებს საყოფიერო ხასიათის ლექსებს: „ნეტამცა რათმე მაქცია“ (უ 621) და სხვ.

7. ვარძელაშვილი ზურაბ (ს. ქარელი), მისი გადმოცემით 1869 წელს ჩაწერილია სოლაღას ლექსის ვარიანტი (უ 94 ია).

8. გირმისელი ეფრემ (ს. კარბი), საყოფიერო ქანრის ნაწარმოებთა მთქმელი. ეს დასტურდება ჩვენამდე მოღწეული ჩანაწერების მიხედვით. აქ პირველ რიგში აღსანიშნავია ცნობილი ბალადის „მინგლისი რომ ააშენეს“ ვარიანტი, რომლის მოქმედ გმირი ქალს ეთერი ჰქვია (უ, გვ. 573).

9. პ. დავითაშვილი (ს. რუსი), 1869 წელს მისგან ა. როინიშვილს ქარელში ჩაუწერია საყოფიერო ლექსი „ქალი ტიროდა ქართლელი“ (უ 356 ე).

10. როინიშვილი მარიამ (ს. ქარელი), 1869 წელს მისგან ჩაუწერიათ ბატონების ლექსი (უ 341).

11. გულბათაშვილი თედო (სოფ. წინამძღვარიანთკარი), არის მთქმელი შრომის ლექს-სიმღერის: „აჩჩამ უთხრა გუთანსა“. ახლა ამ საინტერესო მთქმელის შესახებ დაწვრილებითი ცნობები მოგვეპოვება. 1949 წელს ფოლკლორული ექსპედიციის წევრმა თ. ოქროშიძემ ს. წინამძღვარიანთკარში ინახულა ღრმად მოხუცი თედო და მისგან რამდენიმე ლექსი ჩაწერა. თედო გუთნისდებდა. თავის რეპერტუარში საერთოდ გავრცელებულ ლექსებთან ერთად საკუთარიც მოეპოვება. როგორც თ. ოქროშიძემ გამიარკვია, ასეთია შრომის ლექს-სიმღერა „სახნისმა სთქვა: ქვეყნელს დაეაღ“ (ლიტერატურა და ხელოვნება, № 40 1949 წ.).

როგორც ჩანს, გაბასების ქანრზე აგებული სადა ხალხური ნაწარმოებია თ. გულბათაშვილს გადაუწეშავებია და საკუთარი ვარიანტი შეუთხზავს. ამის გამო „სახნისმა თქვა“ ნაწილობრივ ძველია და ნაწილობრივ კი ახალი. ძველია იმდენად, რამდენადაც მისი ადრინდელი, 1884 წელს ჩაწერილი, ვარიანტი მოგვეპოვება, ხოლო ახალია, რამდენადაც ძველი სიმღერა ახალგაზრდა გუთნისდელს გადაუწეშავებია და 1888 წლის 20 მკათათვეს საგურამოში ი. ჭავჭავაძის დღეობაზე წარმოუთქვამს. აქედან ლექსმა პრესაშიც გაიკაფა გზა (ივერია, 1888 წ. 12 აგვისტო, № 169).

დღემდე ზუსტად გარკვეული არაა, თუ ვინ ჩაწერა საგურამოში გულბათაშვილის ვარიანტი. თ. ოქროშიძე ფიქრობს, რომ მისი ჩამწერი ი. გოგებაშვილია. შეიძლება გულბათაშვილის ლექსის პირველი ჩამწერი ი. გომიქვეყნელი პ. უმიკაშვილი იყოს. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ პ. უმიკაშვილის კოლექციაში იპოვება როგორც ადრინდელი, მოხვეე ალ. გოძიაშვილის თქმით, 1884 წ. ჩაწერილი ვარიანტი, ისე გულბათაშვილისეული ლექსის 1888 წლის ჩანაწერი¹.

¹ პ. უმიკაშვილი ი. ხალხური სიტყვიერება. I, გვ. 581.

რა საფუძველი გვაქვს, როცა ვამბობთ: გულბათაშვილის ვარიანტი? რატომ ვარიანტი და არა ახალი ლექსი? ამას ვამბობთ იმის გამო, რომ გუთნის ნაწილების გაბაასება უფრო ადრინდან არის ცნობილი და იგი შეიცავს ისეთ ადგილებს, რომელიც შესულია გულბათაშვილისეულ ლექსში. მოვიშველიოთ ორიოდე მაგალითი:

გოძიაშვილისეული 1884 წ.
ვარიანტი

1. ის სახნისმა გაიგონა...
ამდენა ძირს სიარულით
მზის დანახვა მენატრება.
2. ის ჯაბარამ გაიგონა:
მე ვგ რათ გამიკვირდება...
ავდარია, თენა ვლპებია,
დარია და—მენა მცხება.
3. ახლა ხარმა გაიგონა:
მე ვგ რათ გამიკვირდება,
დამადებენ ხის უღელსა,
ხევიდგან მებრე მაწვება...

გულბათაშვილისეული 1888 წ.
ვარიანტი

1. სახნისმა თქვა: ქვეშენს დავალ
მზისა შექი მენატრება.
2. ის ჯაბარამ გაიგონა:
ჩემსე მეთი თქვენ რა გვხვდითათ?
ავდარია, მე დავლპები,
დარი ცეცხლად მომედება.
3. ის ხარებმა გაიგონეს:
ჩვენზე მეთი თქვენ რა გვხვდითათ?
დაგვადებენ მძიმე უღელს,
ხედაც მებრე დაგვაჯდება.

ეს მაგალითები იმის დამამტკიცებელია, რომ გუთნის ნაწილების გაბაასება ჩვენში ადრე ყოფილა გავრცელებული მსგავსად სხვა გაბაასებებისა და ქართულ გუთნისდედას, პოეტური ნიჭით დაჯღღღობულ თ. გულბათაშვილს ძველი ლექს-სიმღერა გადაუმუშავებია. პოეტურად უფრო დახვეწილმა და გაუმჯობესებულმა ვარიანტმა საყოველთაო ყურადღება დაიმსახურა და ფართოდ გავრცელდა როგორც ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით, ისე ზეპირი გზით.

თ. გულბათაშვილი გარდაიცვალა 1949 წლის სექტემბერში. სიკვდილის წინა პერიოდის რეპერტუარი დაცულია რუსთაველის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში.

12. ზ. კვირიკაშვილი (ს. კასპი), 1875 წ. აწერივნეს საყოფიერო ლექსს: „ნონიათ ქალი ვიყავ“ (უ 382) და შაირებს (უ 740—41).

13. ნაცვლიშვილი ტატე (ს. კასპი), საყოფიერო მთქმელია. მისგან 1875 წელს ამირეჯიბს ჩაუწერია „გიგო, გიგო ბარაქა“ (უ 393).

14. ანანა ანასოვი გორელია. მის რეპერტუარში შედის: როსტომიანი (უ გვ. 554), ნათლისმცემელი და გლაზა (უ 222).

15. ბესო საძაგლიშვილი (ს. საწიხური), არის მთქმელი „გიორგი აეთიაშვილის ლექსისა“ (უ 72).

ზემოთ ჩამოთვლილი მთქმელების რეპერტუარი სრული სახით არაა წარმოდგენილი. ყველაზე დამაკმაყოფილებლად ს. კოდელი სოფიო პაპიაშვილი გამოიყურება. ჩანს ეკ. გაბაშვილს მისი ზეპირსიტყვიერი მარაგის ამოწურვა უტოლია.

*
**

ცალკე მხარეთა ზეპირსიტყვიერების შესწავლა პრინციპულ-თეორიულ მნიშვნელობასაც არაა მოკლებული. ამ დროს კონკრეტული სახით წარმოგვიდგება როგორც მოცემული მხარის პოეტური სიმდიდრე, ისე მისი მთქმელები და შემკრებნი. ამ გზით შესწავლილი კუთხეების ურთიერთ შედარება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ძირითადი სიუჟეტების არსებობა და გავრცელება, მოვნახოთ ადგილობრივი სპეციფიკური ნაწარმოებები და აღვადგინოთ მათი განვითარების გზები. შემდეგ კი საერთო დასკვნა გავაკეთოთ მთლიანად მხარის პოეტური შემოქმედების საფეხურებრივ განვითარებაზე.

ამ მხრით ქართლის მხარის ხალხური სიტყვიერების შესწავლა მეტად საინტერესო სურათს წარმოგვიდგენს.

ქართლი იმ თავითვე იზიდავდა ფოლკლორისტთა ყურადღებას, აქ შემკრებლობითი მუშაობა უწარმოებია სხვებთან ერთად თედო რაზიკაშვილსაც.

საერთოდ თედო რაზიკაშვილის მიერ შეკრებილ მასალებს შორის ქართლურ სიტყვიერებას წამყვანი ადგილი უჭირავს, ჩანაწერები კი შეიცავს როგორც პოეტურ, ისე პროზაულ ტექსტებს.

თ. რაზიკაშვილის ქართლური მასალები მთლიანად დაბეჭდილია. პროზაული ტექსტები, 107 ნაწარმოებია, მოთავსებულია 1909 წელს გამოცემულ ხალხურ ზღაპრების პირველ წიგნში, ხოლო პოეზია გამოქვეყნდა „ძველ საქართველოში“, 1306 ნიმუშის სახით 1914 წ.

თ. რაზიკაშვილის ქართლური კოლექცია ყველაზე მდიდარი და მრავალფეროვანია რევოლუციამდე მოპოვებულ მასალებს შორის. ამის გამო იგი უფრო დაწვრილებით უნდა განვიხილოთ.

თედო რაზიკაშვილი ქართლში შემკრებლობით მუშაობას მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში აწარმოებდა. „ქართლურ ზღაპრებში“ მოქცეული თარიღიანი ტექსტები 1894—1907 წლებს პერიოდშია ჩაწერილი. ძირითადი ტექსტები მოპოვებულია შუა ქართლში, ყოფ. გორის მაზრაში, სადაც შემკრები დიდი ხნის განმავლობაში მასწავლებლობდა. თ. რაზიკაშვილის ძირითადი სამოქმედო სოფლებია: ხელთუბანი, ქიწინისი, უფლისციხე, სვენეთი, გარეჯგარი, მეტეხი. ხელთუბანში მას ჩაუწერია 8,14,15,16,17, 22,26,90,92,93,94,95 და 96-ე ნომერი ზღაპრები; ქიწინისში 2,3,4 და 103; სვენეთში 21-ე.

თ. რაზიკაშვილს შეხვედრა ჰქონია სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან. მისი ინფორმატორები საინტერესო შინაარსის რეპერტუარს ფლობდნენ და მათი პოეტური სამყაროს გათვალისწინება ერთ-ერთ მორიგ ამოცანას წარმოადგენს.

ამემაღ ზგენს მიზანს არ შეადგენს რაზიკაშვილის მთქმელების რეპერტუარის სრული დახასიათება. ზგენ აქ შევეცდებით გამოვყოთ ქართლური ზეპირსიტყვიერების მატარებლები და მოვხაზოთ მათი რეპერტუარის ფარგლები.

თედო რაზიკაშვილისგან მიგნებული მთქმელები მეტნაკლები რეპერტუარის მქონენი არიან. ზოგი მათგანი მრავალფეროვნადაა წარმოდგენილი, ზო-

გისგან კი მხოლოდ თითო-ორიოლა ძეგლია ჩაწერილი. ამ შემთხვევაში ყურადღებას არ მივაქცევთ ჩანაწერ ტექსტთა რაოდენობას და შევეცდებით სრულად აღვრიცხოთ რაზიკაშვილის ქართლელი მთქმელები და დავადგინოთ მათი საღაპრობა.

1909 წელს გამოქვეყნებულ ქართლური ზღაპრების კრებულს საინტერესო თავგადასავალი აქვს. დიდხანს, ორი საუკუნის მიჯნაზე ეს წიგნი გამოცემლობის თაროზე უძრავად იდგა და სქელი მტვერი ფარავდა. აი ამ კრებულში შესულია საუკეთესო ქართლელ ნეზღაპრეთა რეპერტუარი. მომავალმა თაობამ უნდა იცოდეს მათი ვინაობა.

1. სონა ფალელაშვილი ხელთუბნელი იყო. მისი თქმით ჩაწერილია სამი ზღაპარი: „ცეროდენა“ (№ 15), „სამი და“ (№ 16) და „მუჭა-ნახევარი“ (№ 17). ეს ხელთუბნელი ქალი სანიმუშო მხატვარია. მას კარგად ეხერხება ამბის სიუჟეტური განვითარება და პოეტურ შედარებათა გამოყენება. ს. ფალელაშვილის ენა მხატვრულია. აი ცეროდენას ზღაპრიდან ერთი ადგილი: „ბედ-დად ცამ მოიდრუბლა, წარბი შეიკრა, შავი ღრუბლების ზეწარი გადიბურა, დაიქუხა, დივირიალა, ვაგვრიალ-გამიავრიალა თავისი რკინის ბურთები ცაზედ და ერთი კოკისპირულათ წამოლუშა წვიმა“. ქართლელი გლეხის ქალი უფრო სოფლის მეურნეობის სურათებს ჰხატავს, მისი გმირები გუთანზე მუშაობენ, ხორბალს თესენ და ძნებს კრავენ. ცხოვრობენ ძალიან ღარიბად: სათესლეთ სამი მარცვალი პური აქვთ, ხოლო საქამაღისათვის მარილიც არ მოგოვებათ.

ს. ფალელაშვილის ზღაპრებს ადგილობრივი ვარიანტებიც მოგოვება. ასეთია, მაგალითად: „სამი დისათვის“ — ფოლკლ. არქივის 31, 53, 72, 130-ე ნომრები, ხოლო რაზიკაშვილისვე კრებულში — მოთხრობა „ია ხათუნისა“ (№ 88); „მუჭა-ნახევარისათვის“ — რაზიკაშვილისვე წიგნში დაბეჭდილი „მუჭა-ნახევრის ზღაპარი“ (№ 45) და ა. შ.

2. არტემა ფალელაშვილიც ხელთუბნელი მთქმელი უნდა იყოს, თუმცა შემკრებს ეს აღნიშნული არ აქვს. მისგან ჩაწერილია ორი ჯადოსნური შინაარსის მოთხრობა: „ქალაბიჭისი და ვაქვავებული ქალაქისა“ (№ 13) და „ზღაპარი უხეიროსი“ (№ 19). პირველის ჩაწერის თარიღია 1895 წლის 28 იანვარი, მეორისა — იმავე წლის 31 იანვარი.

ა. ფალელაშვილს საგმირო-ჯადოსნური თავგადასავალი აინტერესებს. მიუხედავად იმისა, რომ ფალელაშვილის ზღაპრის სიუჟეტები ფართოდ გავრცელებულია როგორც საქართველოში¹, ისე მის გარეთ², ამ ჩანაწერებს მაინც არ აკლია ადგილობრივი კოლორიტი.

3. სოფიო დათუნაიშვილი ხელთუბნელი მეზღაპრე ქალია. თ. რაზიკაშვილმა მისი სამი ზღაპარი გამოაქვეყნა: „ლურჯასი“ (№ 86), „ია ხათუნისა“ (№ 88) და „ქილყავის საწუქარი“ (№ 95). ჩაწერილია ისინი 1907 წელს. შინაარსით სამივე ჯადოსნურ-სათავგადასავლოა და გავრცელებულ სიუჟეტების

¹ „ქალა-ბიჭასათვის“: ფ. არქ. № 4, ჩვენი ჩაწერილი ლენხუმური „ალმასხან ვეზირი“ (Грузинские сказки, М., 1937 г. стр. 39—42); А—А 314, 514.

² „უხეიროსათვის“: ფ. არქ. № 18, 32, 39, 43, 117, 130, 788, 1162; А—А 1001+301 В.

რიგს ეკუთვნის. „ლურჯას“ ზღაპარს კახეთში „მშენახათუნი“ ეწოდება. ია ხათუნის ამბავი ისეთ ეპიზოდებს შეიცავს, რომელიც ქართლურ „სამი დის“ თავგადასავალში გვხვდება; „ქილყავის საჩუქარში“ ის ამბავია მოთხრობილი, რომელიც აკაკი წერეთელს აქვს გამოყენებული პოემა „ნაცარქექიაში“ (A—A—563).

4. ხელთუბნელი შაქრო და თუნაშვილი ორი მოთხრობითაა წარმოდგენილი. პირველი მოთხრობა ადგილობრივია და ანეკდოტური ხისიათი აქვს („კირბალელისა და ზერტელის ამბავი“, № 94), ხოლო მეორე („ზღაპარი ტიტელი მგლისა“, 96) მსოფლიოში გავრცელებულ ჯადოსნურ სიუჟეტს შეიცავს (A-A 400 a).

5. სოსე გაგნიძე, ს. ხელთუბნის მცხოვრები, კრებულში ერთი ნაწყვეტითაა შესული („და ძმობის ძალა“, № 90). თ. რაზიკაშვილი სამართლიანად მოტყუვლა, როცა ეს დაუმთავრებელი მოთხრობა შეუტანია ქართლურ კრებულში, მიუხედავად იმისა, რომ იქვე ამის სრული ვარიანტიცაა მოთავსებული (№ 44). სოსეს ზღაპარს ბოლო აკლია. მის სრულ ვარიანტს კი, სამწუხაროდ, მითითება არ ახლავს, თუ ვისი სიტყვითაა ჩაწერილი (44). ერთიცა და მეორეც ქრისტიანულ-მორალური შინაარსისაა.

სრულ ვარიანტში ისე მძლავრადაა შეკრილი ადგილობრივი ისტორიული და ეთნოგრაფიული მოტივები, რომ ეს ზღაპარი შეიძლება ქართლურ მოთხრობად მივიჩნიოთ. სასძლოს საძებრად წასული ვაჟი წყაროსთან სახეაბეულ ქალს ნახავს და დამძობას ეტყვის. მერმე ქალის შშობლები ვაჟის მამას დამოყვრებაზე უარს ეუბნებიან. ეს მომენტი უცნობ მთქმელს ასე აქვს მოტივირებული: „ქალის დღე-მამა ცოტა ნაკლებად ცხოვრობდნენ და, როგორც ეხლაც იციან, ფეხი დაჰკირეს, წლელ დრო არა გვაქვს, ვერ გავათხოვებთო.“ ვაჟის მამამ მალე მოიგო უარზე დამდგარი მშობლების გული: „მისცა ათი თუმანო ფული, სხვითაც ყველაფრით ხელი შეაწია“ და ქორწილიც გააჩაღდა. ქართლელი მთქმელი ამ ეპიზოდის გადმოცემისას თავისი კუთხის საქორწილო ჩვეულებებით სარგებლობს. ამაზე მიუთითებს პირველყოფლისა მისი სიტყვები: როგორც ეხლაც იციანო. სოსე გაგნიძე სხვანაირად გადმოგვცემს ამ საინტერესო ეპიზოდს. უკანასკნელში სარძლოს ვაჟის ძმა დანიშნავს ისე, რომ ქალსა და ვაჟს ერთმანეთის ნაცნობობა არ აქვთ. „ვაჟმა რა იცის თუ ვინ უთხოვეს, ან სადაური, ან როგორი?“ მაგრამ ორივე შემთხვევაში საერთო საუფძველია დადებული: დამძობის სიტყვა წინასწარაა გაცემული.

უცნობი მთქმელი სიუჟეტის გაშლისათვის ისტორიულ სარჩულს იყენებს. მან ქრისტიან ქართველებს მაჰმადიანი ლეკები დაუპირდაპირა და ქრისტიანული სასწაულმოქმედების ძალა მოპირდაპირე სარწმუნოების მიმდევრებზეც გაავრცელა. აი მაგალითი:

„ამ დროს ომიანობა გაჩნდა, არეულობა, ლეკებმა ტყვეები მოიტაცეს. ამ კაცის ჯვარდაწერილი ცოლიც ლეკებმა დაატყვევეს და დაღესტანში წაიყვანეს. როცა ომიანობა გათავდა, მოვიდა წერილი: დაიხსენით თქვენი ტყვეებიო. ყველა წავიდა დასახსნელად, აბა ან ეს კაცი რაღას დადგებოდა. შემოიკრა ფული და გასწია ლეკეთისაკენ. იკითხეს ტყვეები, იპოვეს, მარტო ამან ვერ იპო-

ვნა. კითხვა-კითხვით გაიგო, რომ იმისი ცოლი სამეფოში ნაიბს წაეყვანა, მაგრამ ნაიბი მომკვდარიყო და იმის ცოლს ემსახურებოდა. მივიდა ვაჟი და უთხრა, რომ აქ ტყვე არის ჩემი და მაჩვენეთ, უნდა დავიხსნაო.

„წავიდა ნაიბის ცოლი და, რო მიდის, ამ კაცის ცოლი უკან მისდევს; ქმარი რომ დინახა, ვაეციდა. დაიწყეს ლაპარაკი. შესცქერია ეს თათრის ქალიც. ამოდის ვაჟის ყელიდან ნათელი და ქალის პირში ჩადის. ნაიბის ცოლი კარებში სდგას და ჰხედავს ამას. ძალიან გაჰყვირდა“...

ამ ნაწილში ქრისტიანული ლეგენდა-ზღაპარი ისტორიული თქმულების სახეს იღებს. მაგრამ მალე პირველ სასწაულს მეორე სცვლის, მეორეს—მესამე და მღვდლად კურთხებული. ხელმწიფის სიძე უკვე წმინდანის როლში გამოდის. მოთხრობა მთავრდება იმით, რომ ახალგაზრდა მღვდელი მლოცველებს ანდერძს დაუტოვებს: „ხელ ამადაამ დროს მოგვკვდები, შეაბით ჯერ უბნელი მოზერები, დაუდგე ჩემი გვამი და გაანებეთ თავი; სადაც დადგნენ, იქ ააშენეთ ეკლესიაო. მეორე დღეს მარალაც დანიშნულ ვადაზედ განისვენა“... ანდერძი ასრულეს. სადაც მოზერები გაჩერდნენ, გვამი იქ დაფლეს და სალოცავიც ააგეს.

როგორც ვთქვით, სოსე გავანიძის ვარიანტს დაბოლოვება აკლია და ამის გამო ჩვენ არ ვიცით, თუ როგორი დაბოლოვება აქვს ლეგენდას ხელთუბანში.

უცნობი მთქმელის ზღაპრის სასწაულებრივი დასასრული არაა უჩვეულო. მის ქრისტიანული ლეგენდის სახე აქვს და ხშირად მოძრაობს: იგი ზოგჯერ ხატის გადასვენებას უკავშირდება, ზოგჯერ კი მიცვალებულის დასაფლავებას. ასეთი ლეგენდა ლეჩხუმშიც მოგვისმენია, სადაც იგი მურის წმ. მაქსიმეს სახელობის ეკლესიის აშენების ისტორიას გადმოგვცემს. რელიგიურ-მორალური შინაარსის „დაძმობის ძალა“ ზღაპარია, რომლის მთქმელი ღრმად არის დარწმუნებული ქრისტიანული სასწაულების არსებობაში და ეჭვი არ შექვს მონათხრობის სიმართლეში.

6. კოლა გავანიძეც ხელთუბნელი უნდა იყოს, თუმცა ამაზე მითითება არ მოგვეპოვება. იგი ჯადოსნური ზღაპრის მოყვარული მთქმელია. მისი რიპერტუარიდან ცნობილია ზღაპრები „მეცხვარე ბრმა დევისა და ფეიქრის შეგირდისა“ (A—A 530) და „სამი ძმისა“ (№ 93).

7. გიგა გავანიძეც ხელთუბნელად გვესახება, რომლისაგანაც 1895 წელს ჩაწერილია საბავშვო არაკი „ჩარქა“ (№ 9; A—A 210 a, 130) და „ზღაპარი ბულბულის ცოლისა და ქალისა“ (№ 20).

8. ილია გავანიძეც ჩვენ ხელთუბნელი გვევლინა. მისგან 1894 წლის 18 იანვარს თ. რაზიკაშვილს ჩაუწერია მცირე ფორმის მოთხრობა „ჯანაბას წამსლელი“ (№ 12).

9. ხელთუბნელი მიხეილ იაშვილი არის მთქმელი ფართოდ ცნობილი ჯადოსნური ზღაპრის „ბოკემის ყვავილი“ (№ 14).

10. ხელთუბნელია აგრეთვე ისაკ ილარიონი (გვარია), რომლისგანაც თ. რაზიკაშვილს, 1895 წლის 28 თებერვალს, მოუსმენია „გმირების ზღაპარი“ (№ 22).

ეს ქართლური მოთხრობა საყურადღებოა როგორც უნარობრივად, ისე შემადგენლობის მხრივ (შრდ. როსტომიანს). მისი პირველი ნაწილი დამოუკიდებელი მოთხრობის სახით გვხვდება და მას ქართლში ლექსის ფორმაც აქვს.

ქართულ ფოლკლორში სულ რამდენიმე შემთხვევა გვაქვს ზღაპრის ლექსის სახით არსებობისა. ერთ-ერთ ასეთ ნიმუშს სწორედ ხელთუბანში ჩაწერილი ხალხური მოთხრობა წარმოადგენს. თუ რა მსგავსებაა ორ სხვადასხვა ეპოსის ნაწარმოებს შორის, ამას მათი ტექსტობრივი შედარება გვიჩვენებს.

ლ ე ქ ს ი

შეგვიერე ერთი ტიკტორა,
შიიდი კამეჩის ტყავია,
შეიდასი კოკა ჩავასხი,
ტიკტორა ისევ ზნელია.
შეიდასი კიდევ ჩავასხი,
ძლივას მოგვკარი ყელია.
წინ კაცი შემომყვარა,
აღმართი ასასვლელია.
—მაგ ტიკტორას მე ავიტან,
თუ გამისეველა ყელია.
დაეჭოჯა და დაცალა,
ტიკტორა დარჩა ზნელია.
კაცი ჩემპაში ჩაისვა,
მაგრა მოაკრა ყელია.
აბა ეს სიტვა ახსენით,
რა უფრო საკვირველია?
(№ 1235).

ზ ლ ა პ ა რ ი

იყო ერთი მონადირე, ძალიან მძლავრი
კაცი იყო... ერთხელ გზაზე მოდის და დინაზა,
რომ მეურნეებს ღვინო მოჰქონებიათ, ურმები
ტალახში ჩასცივინათ, ეწვიან, გელარ ამოუ-
ტანიათ. თითო ურმეზე სულ ათ-ათი კოკიანი
რუმბები უწყვია.

—კაცო, რას გწვადლებით, მერო ამოგი-
ტანით, რას მომცემით, უთხრა მონადირემ.

—ღვინოს დაგაღვინებთო.
...ორივე ამოიტანა. დააღვინეს ღვინო.

მოეტოკა, ერთი რუმბი სულ გამოიკალა.

—კიდევ დამაღვინეთო.

—არ დაგაღვინებთო.

კიდევ დამაღვინებთო!

—არაო!

მოუვიდათ ჩხუბი. აიყვანა ერთი ერთ
ჩემქის ყელში ჩაისვა, მერე—მეორეში და წავი-
და (გვ. 66).

ლექს-ზღაპარს სამი ვარიანტი მოეპოვება, აგრეთვე ილარიონის ნაამბობ-
საც თავისი ვარიანტები გააჩნია.

ზემოთ დასახელებული ათი მთქმელის მაგალითზე შეგვიძლია დავასკვნათ,
რომ თ. რაზიკაშვილის ქართლურ კოლექციაში ხელთუბანი ყველაზე უფრო
სრულადაა წარმოდგენილი და შემკრები ცდილა თავისი საცხოვრებელი სო-
ფელი მაქსიმალურად ამოეწურა.

11. სოლომონ გულიშვილი, 60 წლის ქიწინსელი გლეხია. კრებულ-
ში აღნიშნულია, რომ მას ეკუთვნის ზღაპარი „სამი დღის ხელმწიფისა“ (№ 3)
და ამბავი „ბეიანისა, როსტომისა, გივისა და გოდერძისა“ (№ 103). მაგრამ
ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია, რომ უსახელოდ გამოქვეყნებული ქიწინსური ტე-
ქსტები (№ 2,4) ყველა ს. გულიშვილის ნაამბობია და დაბეჭდილ ტექს-
ტში მისი გვარი შემთხვევით არაა აღნიშნული. გარდა ამისა რუსულ ენაზე გა-
მოქვეყნებული ტექსტების საშუალებით ვადგენთ, რომ თ. რაზიკაშვილის ქარ-
თლურ კრებულში მოთავსებული ორი ზღაპარიც („მიწა თავისას მოითხოვს“
№ 50 და „იღბალი“ № 58) გულიშვილის რეპერტუარიდანაა.

ს. გულიშვილი ორიგინალური მთქმელია, მისი შემოქმედების დახასია-
თებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს თ. რაზიკაშვილის ერთ ცნობას.

შემკრებლობითი მუშაობის წარმატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა
აქვს მთქმელისა და ჩამწერის მეგობრულ, საქმიან დამოკიდებულებას. ურთი-
ერთ ნდობისა და საქმის სიყვარულის გარეშე ფოლკლორული მასალების შე-

კრება შეუძლებელია. თ. რაზიკაშვილმა გამოცდილებით იცოდა, რომ ურთიერთ გაგებისა და ცნობის გარეშე საქმე ადგილიდან არ დაიძვრის. ამის გამო იგი ყოველთვის გულისხმიერად ეპყრობოდა თავის ინფორმატორებს და მათთან საქმიან კავშირს ამყარებდა, მთქმელებიც კეთილი თვალთ შეყურებდნენ სოფლის სიტყვიერებით გატაცებულ შემკრებს და ყოველმხრივ ეხმარებოდნენ მას. ს. გულიშვილი მეგობრულ დამოკიდებულებაში ყოფილა - ახალგაზრდა ფოლკლორისტიან. ამას ამტკიცებს თედოსადმი მიძღვნილი ლექსი:

შორით მესმა ქება შენი, უცხო თემსა მიაშბესა,
 შენი ბედი, შვილო ჩემო, ღმერთმან იცის, მეამბეხა...¹

ამ ლექსს საყურადღებო შენიშვნაც ახლია. „ეს ლექსი სოლომონ გულიშვილმა მიძღვნა. ამან ბევრი ზღაპარი და ლექსი ჩამაწერინა. ქართლში ჩაწერილი ზღაპრები ნახევარი თითქმის იმისი ნათქვამია. მე რომ სემინარიაში ვსწავლობდი, იქ იყო მებაღედ. ვუყვდი ხოლმე 3 კაზ. თამბაქოს, დავსვამდი და ვაამბობინებდი. სამწუხაროდ, „ქრებულში“ ყველა იმის ნათქვამ ზღაპარს არ უწერია იმიოი სახელი. დიდი მეტყველი კაცი იყო და რაც შეეშლებოდა, ეტყობოდა, თვითონვე სთხაზდა. ძალიან ნავალი კაცი იყო.“²

„სამი დღის ხელმწიფის ზღაპარში“ თავს იჩენს ძველი მითოსი ბავშვის მოტაცების შესახებ. ნახელმწიფარს მგელმა შვილი მოსტაცა. „მგელმა ბავშვით ერთს მეცხეარეს გაუბრინა გვერდზედ. მეცხეარე გამოუდგა ამ მგელს, გააგდებინა ვაჟი და დაუწყო შვილივით ზრდა“ (გვ. 7).

იგივე ეპიზოდი ძველისძველ სვანურ საკულტო პოეზიაში მტკიცედაა დაცვირებული დალის სახელთან. დალსაც ბავშვი მგელმა წაართვა; მერმე ჩვილი ყრმა მგელს მონადირემ დაატოვებინა და კლავდელას დაუბრუნა³.

სამწუხაროა, რომ საშუალება არ გვაქვს ვილაპარაკოთ ს. გულიშვილის პოეტურ რეპერტუარზე ჩამწერის მითითებათა უქონლობის გამო.

როგორც ჩანს ს. გულიშვილის რეპერტუარის ფიქსირება რაზიკაშვილს 1889 წლამდე მოუხდენია გორში.

სოლ. გულიშვილის ხალხურ ოსტატობას მართო თ. რაზიკაშვილის, გორის სამასწავლებლო სემინარიის მსმენელის, ყურადღება არ მიუტკევიდა. გულიშვილის ზღაპრებს სემინარიის მასწავლებლების, აღმზრდელების ყურადღებაც დაუშინებია. ამას ადასტურებს რუსულ ენაზე 1890—96 წლებში გამოქვეყნებული ქართული ფოლკლორული მასალები. ს. გულიშვილისაგან ზღაპრები და ლეგენდები ჩაუწერია სემინარიის III კლასის აღმზრდელს პავლე პრინიას, რომელსაც რუსულ ენაზე უთარგმნია ლეგენდა ალექსანდრე მაკედონელისა (Александр Македонец; СМОНПК, X. 1890; стр. 37—44) და პეტრე დიდი (Петр Великий; იქვე, გვ. 46—47). ერთი ისტორიული ლეგენდა ს. გულიშვილისაგან ა. ციციგასაც ჩაუწერია (О названии реки Цхенис-Цкали. СМОНПК, XIX, 1896. стр. 90—91).

¹ შდრ. პ. უმიკაშვილი, № 804.

² ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 275.

³ მ. ჩიქოვანი. მიჯამეულა ამარანი, 1947.

„მასალათა კრებულში“ ფოლკლორულ ტექსტებს მარტო გორის სემინარიის აღმზრდელები არ აქვეყნებდნენ, ასე იქცეოდა მათი შეგირდიც თ. რაზიკაშვილი. „მასალების, კრებულის“ X ტომში მოსწავლე თ. რაზიკაშვილის სახელით დაბეჭდილია გულიშვილის ფილოსოფიური ზღაპარი „მიწა თავისას მოიახოვს“ (Земля свое возмоет. стр. 51—54), რომლის დედანი შესულია ქართლური ზღაპრების კრებულში (1909, № 50). იქვეა ს. გულიშვილის მეორე საყურადღებო ზღაპარი „იღბალი“ (Счастье, стр. 49—51). ამ უკანა. სკნელის ჩამწერი აღნიშნული არაა, მაგრამ იგი თ. რაზიკაშვილს უნდა მიეკუთვნოს, რადგან მისი სრული შესატყვისი ტექსტიც ქართლურ კრებულშია გამოქვეყნებული (1909, № 58).

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ გორის ინტელიგენცია 8) — 90-იან წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქართლის ზეპირსიტყვიერების შეკრების საქმეში. ამის მაჩვენებელია ის მასალები, რაც რუსულ ენაზე გამოაქვეყნეს კრებულში ალ. ჯავახიშვილმა (Вып. II), პ. პრიხინამ, სურკოვმა, ი. შახპარუნოვმა, ალ. ფურცელაძემ, გ. ყანჩელმა, გ. კვალაიშვილმა, მ. გიორგაძემ (Вып. X), ან. თოიძემ (Вып XXI) და სხვ.

12. ფილო ბეჟანიშვილი, სოფ. სვენეთელი გლეხი, მთქმელია ჯადოსნური ზღაპრისა „ქალის გული უფრო ზღვა არის თუ კაცისა“ (№ 21). თ. რაზიკაშვილს იგი 1895 წლის 8 თებერვალს მოუხმენია.

13. ერთი საბავშვო ზღაპრათაა წარმოდგენილი მიტრა ქავთარაძე (№ 10), მისი სადაურობა არა ჩანს.

14. ასევე ერთი ნიმუშით ვიცნობთ გლეხ ქეთილაძეს. მისგან ნათქვამი „ზღაპარი დასავლეთის და აღმოსავლეთის ხელმწიფისა“ (№ 1) გონებამახვილურ პასუხის პრინციპს ემყარება და იგაეს მოგვაგონებს.

15. ისაკა დალაქიშვილი უფლისციხელი მელექსეა. მისგან თ. რაზიკაშვილს სხვადასხვა ჟანრის მრავალი ლექსი ჩაუწერია. ისაკას რეპერტუარში შედის: 1. როსტომიანი (№ 1271—1277; ქართლ. ზღაპ., გვ. 249), 2. *ალხური ვეფხისტყაოსანი (№ 1257—1267), 3. თავგებისა და კატის ომი (№ 1085) და სხვ.

შემკრები კარგ შეფასებას აძლევს ისაკას შემოქმედებას. ხალხური ვეფხისტყაოსნის სალექსო ნაწყვეტების გამო რაზიკაშვილი შენიშნავს: „ეს ისაკა დალაქიშვილი ძალიან მეტყველი კაცია და ბევრი სხვა ლექსი და ანდაზა ჩამაწერინა. ბარემ ზღაპრად მიამბო „ტარიელის ამბავი“, მაგრამ მაშინ მე მხოლოდ ლექსები ჩავწერე და ამრიგად ეს ვარიანტი დამრჩა ჩასაწერი. თუმცა ის კაცი დღესაც ცოცხალია და ვიცნობ, მაგრამ ისე აღარსად შემხვედრია, დაბერდა კიდევ, გაღარიბდა და არ ვიცი, ახსოვს რაზე კიდევ, თუ არა“¹.

16. ისაკა ვალიშვილი საყოფიერო ჟანრის მელექსეა, რომლის რეპერტუარში მთავარი ადგილი საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა დახასიათებას უჭირავს. ამგვარი შინაარსისაა მისი ლექსი „გაბუნია და იმერელი“ (№ 455). შემკრები სწორედ ამ უკანასკნელთან დაკავშირებით გვა-

¹ ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 365.

ცნობს თავისი ინფორმატორის ვინაობას. „ეს ლექსი (გაბუნია და იმერელი) და კიდევ რამდენიმე სხვა „კრუხი და ძერა“. „მელია და ძერა“ 85 წლის ისაკა ვალი-შვილმა მასწავლა 18 წლის წინათ“, —სწერდა თ. რაზიკაშვილი 1913 წელს¹.

17. იოსებ ბაჩქალიანი შვილი ახალქალაქელი მელექსია. თ. რაზიკაშვილის მოწოდებით იგი თვითონ თხზავდა ლექსებს. მისი ერთი ლექსი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა.

ამდენს დაგივლი შაირებს, როგორც ფოთოლი ხესაო,
 გაეხამ და გამოვაბამ, რთ ფეიქარი ქუსლსაო, (№ 8989)

ამბობს გლეხი პოეტი თავის თავზე. ეს ცნობა გადაქარბებული არაა, თუ თ. რაზიკაშვილის დასტურსაც მივიღებთ მხედველობაში.

18 სოსანა ბერიანი ძე, გარეჯკრელი გლეხი, ავტორმთქმელის როლში გვევლინება. მას ლექსი გამოუთქვამს არცევეში მომხდარ ერთი შემთხვევისა გამო (№ 226). თ. რაზიკაშვილის ცნობას სოსანას ავტორმთქმელობაზე ნაწარმოების დაბოლოვებაც ამტკიცებს:

ამ შეირის გამომთქმელი შუა სოფელში ხირია,
 სახელად სოსანა ჭქვიან, გვარად ედელაშვილია?²

19. მირზეული. თ. რაზიკაშვილის მოგოვება ერთი ლექსი, სადაც დახასიათებულია ხალხური სიტყვიერების საყვარელი გმირი, მოსწრებული სიტყვა-პასუხის პატრონი გლეხი მირზეული.

ჩემანლა მირზეულმა ჩემგან ისწავლა თათრული,
 შინ კატა ვერას შეუჭამს, გარეთ გაუდის ფაფხური. (№ 263)

შემკრები მირზეულის ვინაობაზე წერს: „ეს მირზეული, მგონია, ის მირზეული უნდა იყოს, რომელზედაც ათასი ანეგდოტია დარჩომილი ხალხში. ნამდვილი ქართველების მოლა მასრადინაა და არ ჩამოუვარდება აგრეთვე განთქმულს თარხანს. მეტეხელი გლეხი იყო“. ეს ცნობა შემოწმებასა და დამატებით შესწავლას საჭიროებს.

თარხანაზე შემონახულია შემდეგი ლეგენდარული ცნობა: როცა შაჰ-აბაზმა სპარსეთში 100 ათასი ქართველი გადაასახლა, უკანასკნელთა შორის ალექსანდრე კახეთის მეფის ხუშარი თარხანიც იყო. ამ თარხანმა თავისი სიტყვამოსწრებულებით ათასი ტყვე გამოიხსნა და სამშობლოში დააბრუნა (H 2002, „მეფის თარხანი“).

20. იოსებ ბლიაძე მოხსენებულია მესტეირულ ლექსში, რომელიც უცნობი ჯავახელი კაცის თქმითაა ჩაწერილი. თ. რაზიკაშვილს აღარ ჰხსოვებია იმ კაცის სახელი. „ჯავახეთელი კაცი დადიოდა, მღეროდა და ფულებს აგროვებდა... როგორც იმანა სთქვა, მე ისე ჩავეწერეო“, ამბობს თედო. ამ ნიშნების მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცნობი მომღერალი მესტეირე იყო. მისი ნამღერი ზუსტადაა ჩაწერილი და ლექსში ავტორადაც მესტეირე იოსებ ბლიაძეა დასახელებული.

¹ ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 263.

² შერქმეული მეტსახელია.

მესტირე ვიყავ ნაქები, მე ამ ლექსების მამოქმელი, რომ გავიარე კარები, მაშინ დამიდგა თვალები: დამეცა ლოდის ნაპობი, დამემტვრა მხარი, მკლავები, ტირილდენ ჩემი ძმანები, ივლიჯეს ქოჩორ-თმანები. მოვიდენ ცოლი და შვილი, იმათ ჩაიცივეს შავები. საზელად ჰქვიან იოსებ, გვარადაც გახლავთ ბლიაძე. (№ 1029)

20. ხ ა ტ ი ს კ ა ც ი, არბოელი გლეხი, მოქმელია „ხილთა ქებისა“ (№ 1118). რადგან ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა ამ ნაწარმოებზე ცალკე გვესაუბრა¹, აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ. ზილთა ქების ერთი ვარიანტი, დ. კავკასიძის ჩაწერილი, თ. რაზიკაშვილმა 1914 წელს გამოაქვეყნა „ქართლურ ლექსებში“ (№ 123).

21—22. თ. რაზიკაშვილის შეკრებილ „ქართლურ ლექსებში“ ავტორ-მოქმელებად ხშირადაა ნახსენები ვანო და შაქრო. ვანო (ვანუა) გვარად მეზვერი შვილია, შაქრო კი გაგნიძე უნდა იყოს, სოფელ ხელთუბნიდან. ეს შაქრო ის პირია, ვისგანაც რაზიკაშვილს შემდეგი პატრიოტული ლექსი ჩაუწერია საქართველოს შესახებ:

მალა მალალსა მთახედა სისხლისა გუბე მდგარიყო,
ჩენი მტერი და ორგული სეამა, ვერ გამაძღარიყო².

გამოჩენილ ქართლელ მელექსეთა შორის ვანო (ვანუა) მეზვერი შვილიც უნდა დავასახელოთ, რომლის რეპერტუარი თ. რაზიკაშვილმა ჩაწერა მე-20 საუკუნის დასაწყისში. ვ. მეზერიშვილის სრული ბიოგრაფია ჯერჯერობით უცნობია. ვიცით მხოლოდ ის, რასაც თ. რაზიკაშვილი ლექსის კომენტარში მოკლედ აღნიშნავს: „ეს ვანუა სოფელ გარეჯვარში ცხოვრობს, მეზერიშვილია გვარად, სომეხი, დიდი მოლექსე. ამან ჩამაწერინა 70 ლექსი. რა ვიცი, თითონ იგონებდა, თუ ნასწავლი ჰქონდა, როგორც სთქვებს, სულ იმის ლექსებია. თან ახლებსაც იგონებდა, თან მღეროდა. წიგნი არ იცის, შუახნის კაცია“³.

თ. რაზიკაშვილის მიერ გამოქვეყნებულ ქართლური ლექსების მიხედვით შეუძლებელია ვანოს რეპერტუარის სისრულით დადგენა: ლექსს ყოველთვის როდი მოეპოვება ცნობა მოქმელის ვინაობაზე!

ვანო მეზერიშვილის სამშობლო გორის მახლობელი სოფელი გარეჯვარია, სახელდობრ, პატარა გარეჯვარი („ჩიქთხე ჩემი ამბავი პატარა გარეჯვარია“)⁴. მისი ლექსების შესახებ საინტერესო ცნობებს პირველ ყოვლისა თვით ხალხურ მასალებში ვპოულობთ. აქ რამდენიმე ადგილას ვხვდებით მითითებას იმის შესახებ, რომ ვ. მეზერიშვილს მეტოქე ჰყოლია შაქროს სახით. ისინი ერთმანეთს პირველობას არ უთმობდნენ და ხშირად პაექრობდნენ.

¹ მის. ჩიქოვანი, ფოლკლორული ეტიუდები. პუშკინის სახ. თბილისის პედინსტიტუტის შრომები, VII ტ., გვ. 106—117.

² ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 371.

³ ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 257.

⁴ იქვე, გვ. 315, 347.

ე შეაქრუა და ვანუა არიან ყანთარივითა,
 ვანო რა მაგის ღირსია—შავია თათარივითა,
 სუ მოიღრუბლა თავ-პირი, აქა ზის არაბივითა.
 იქნება ლექსი დამაკლდა, მაწევება ვარამივითა,
 ეს მეზვერიანთ ვანუა გაუწნდა ალაღივითა ..

* მოწინააღმდეგეს ვანო მკვავხე სიტყვებით მიმართავს, სადაც ქედმაღლობა და დაუბრუნებლობა გამოსჭვივს.

მედიატორე იყავი, წადი მამული გაუყავ,
 ვანუას რო გაეჯობრე, ჭკუა-გონება რა უყავ?
 წუწკი ლექსები რონა სუქვი, კაი ლექსები რა უყავ? № 963

შაქროს თ. რაზიკაშვილი პირადად ნაცნობა. ქართლში მუშაობის დროს თედო შაქროს სწევდია და მისგან ზოგი რამ ჩაუწერია. რაზიკაშვილისეულ ერთ შენიშვნაში ვკითხულობთ: „ამ შაქრუასთან ვიყავი სადილად და იქა მღეროდა, თან მღეროდა და თან შაირებს იგონებდა“. შაქროცა და ვანოც ხალხური მგონების არიან, ისინი თან მღერიან და თან თხზავენ. მომღერალ—მგონსობა მათვის დამახასიათებელია; ამ გზით ვრცელდებოდა, ალბათ, ტრადიციული საქილიკო ლექსებიც.

ვანოს ლექსებში საქმის ვითარება ისეა წარმოდგენილი, თითქოს შაქრო პოეტურ შეჯიბრში დაამარცხა, და შაქროს მხოლოდ ლენოში დარჩა პირველობა.

ვენაცვალე შაქრუასა მაგრა არის ღვინოზედა,
 ვანუაც კაი ბიჭია, ლექსებს იტყვის კალოზედა.

ან კიდევ:

შაქრუას ლექსი დააკლდა, ძალიან შევიც ტოკვასა,
 ვანუა ძრიელ დაითრო, ახლა დაიწყებს როტვასა.

შეზარბოშებული გლეხი, როგორც ეს ქართლში სჩვევიათ, ნელ-ნელა შედის ექსტაზში პოეტურ გუდას მანამდე ძნელად მოუხსნის თავს, სანამ ღვინო კარგად არ გაუფუძდება.

ვ. მეზვერიშვილი კვხნით ამბობს:

ჯერ ჩემი მაჯობნებელი ქართლში არ დაიბადება,
 არც ჩემი მჯობნი გამოვა, არც ფეხზე გაიარება...
 ვინც რო ვანუას აჯობებს, თვალთ არ დაინახება...
 ვინც ვანუას ეჯობრება ლექსებში დაიტანჯება.

ვანო ხშირად იგონებს შაქროს, უმიმოსოდ ენა იშვიათად მოუბრუნდება:

გაგვიჩნდა რუსის ბეგარა, ჩქარა შევბამთ ურემსა;
 აქ რო შაქრუა გაიგებს, ძალიან ცქვეტავს ყურებსა,
 წინ კაი სუფრას გაგვიშლის, ზედ დაგვილაგებს პურებსა.
 თუ თქვენი ნებაც იქნება შევაქებ მზარეულებსა,
 ამ მეზვერიანთ ვანუას ლექსებში ვინ გაახუნება?

შაქროს არ სჯერა ვანოს უპირატესობისა, ენაწყლიანობა ვერ აშინებს. გარე-ჯერელ მელექსეს შაქრო სიმღერაშიც იწვევს. იგი მოზიარეთა სტილზე მიმართავს ვანოს:

თუ გინდა ისე გატარებ, როგორც ურემმა გოგორა,
ქართულს ვერა ლაპარაკობ, შენ ლექსებს იტყვი როგორა?!
გინდ ლექსს თავი დავანებოთ, ახლა ვიმღეროთ „გოგონა.“¹

ვანოს შეთხზულ საქილიკო ლექსებში იმდროინდელი სოციალური ურთიერთობაც კარგად იგრძნობა. სიღარიბე, უუფლებობა და კლასობრივი ჩაგვრა ყველგან თან სდევს გლეხს, ამ ხასიათისაა თ. რაზაკაშვილის კოლექციაში მოქცეული შემდეგი ლექსები: 419, 420, 959—964. 969—988. აღნიშნული ნაწარმოებები ყველა არაა ვანოსი, ზოგი შაქროს შემოქმედების ნაყოფია. დამახასიათებელი არის, რომ შაქროს თავის მოპირდაპირის სახელს არ ახსენებს, არც ავტორმთქმელობაზე ამბობს რაიმეს. მაგრამ საკმარისია ლექსის შინაარსის გაცნობა, რომ მიხედვით, თუ ვინ ჰყავს ავტორს მხედველობაში და ვის მიმართავს.

ვანუს რად ეჯიბრები, შე უბედურო საწყალო!
თუ შაირები არ იცი, მოდი ჩემთან და გასწავლო!

ამის საპასუხოთ, შეურაცხყოფილი გლეხი პოეტი გარეჯერელ მგოსანს მიმართავს:

ისე გავიხდი საქმესა, ლექსები დაგათვლევინო;
ცოცალები აქ ადღეგრძელო, მკედრები სულ დაგათბრევინო...

ქართლელ გლეხს არ მოსწონს, რომ მის გამოთქმულ ლექსებს „წუწუკი ლექსები“ უწოდეს. ამის გამო გაჯავრებით ამბობს:

რაც აქ ფსონი მოიტანე, ისიც თან წაგალებინო;
ეს ჩემი წუწუკი ლექსები შენ სწორეთ გაგაგებინო;
სულ აქ დაგაბარჯვინო, განა შინ წაგალებინო!
გაგზავნო საეპროზედა, ფული არ მოგაგებინო;
შეხვიდე საცხე ვენაში, ხილი არ მოგაკრუვინო!

ვანო მეზვრიშვილს სატირული ლექსები უფრო ემარჯვება. მას ორი ლექსი გამოუთქვამს ადგილობრივ მღვდელზე (№№ 419—420). იგი სამარცხვინო ბოძზე აკრავს სოფლის წურბელას:

ჩვენი ტერტერა რომ მოკვდეს, ცხარე ცრემლი დავაყაროთ,
შაბათ დილით ადრე მოკვდეს, კვირა დილით მივაბაროთ.

ეს ძველი სასიმღერო შაირი სამამულო ომის პერიოდში გადაკეთდა და ახალი სახე მიიღო: „პიტლერი მოკვდა დილითა“ და სხვ.

ვ. მეზვრიშვილის თქმით ჩაწერილია ცნობილი ლექსი „საწყალი დედაბერი“ (№ 1119), რომლის ერთი ქრისტიანიზებული ვარიანტი ი. გოგებაშვილის „ღედანაშიც“ იყო დაბეჭდილი.

მხარეთა სიტყვიერების შესწავლა თანდათან ახალ-ახალ მთქმელებსა და ავტორმთქმელებს ამქლავნებს. ვანო მეზვრიშვილისა და შაქროს რეპერტუარში

¹ „გოგონა“ ძველი ქართული სიმღერაა; მასზე მითითება მოეპოვება დ. მაჩაბელს (ცისკარი, № 5, 1864 წ.).

ჩვენ ვხვდებით როგორც ტრადიციულ ფოლკლორს, ისე ახალს, ყოველდღიურ საკიბროროტო თემებზე შექმნილ სიტყვიერებას.

II

1770 წლის 20 აპრილი (ძვ. სტ.) საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ ბრწყინვალე თარიღს წარმოადგენს. ამ დღეს ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორემ ასპინძაში სასტიკად დაამარცხა ოსმალებისა და დაღესტნელთა შეერთებული ჯარი. ეს სახელოვანი ბრძოლა ასახულია როგორც საისტორიო, ისე მხატვრულ მწერლობასა და ფოლკლორში.

ასპინძის თემა ზეპირსიტყვიერებაში სხვადასხვა ჟანრის სახითაა დამუშავებული, რომელთა ჩანაწერები 70-იან წლებიდან მოგვეპოვება. ასპინძის ომზე შექმნილ ხალხურ ნაწარმოებთა შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ერთი ხევისურული ლექსი, რომელიც ფოლკლორისტულ ლიტერატურაში სხვადასხვა სათაურითაა ცნობილი, მაგალითად: „ავარდა ბატონიშვილი“¹, „ვეესურები აწყურთან“², ანდა ზოგჯერ უსათაუროა და პირდაპირ დასაწყისი სიტყვებით აღინიშნება: „იარალაის კუდაი ხევის მთას გარდმობდებო“. მართო პ. უმიკაშვილის კრებულში ამ ლექსის 1871—76 წლებში შეკრებილი ოთხი ვარიანტია გამოქვეყნებული (№ 147—150).

„ავარდა ბატონიშვილის“ ყველაზე ადრინდელი ჩანაწერი ეკუთვნის საქართველოში მე-19 საუკუნის ნაციონალურ-გამათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწეს ილია ჭავჭავაძეს. სამწუხაროდ, არ ჩანს, თუ სად დავისგან მოისმინა ილიამ ეს ისტორიული ლექსი. როგორც სხვა ადგილას აღნიშნული გვაქვს³, ეს ჩანაწერი ილია ჭავჭავაძის დღეში მოღვაწეობის პერიოდს ეკუთვნის, და, მაშასადამე, მისი მთქმელიც ამ რაიონის მცხოვრები მოხევე ან ხევისური უნდა ყოფილიყო. ამაზე აშკარად მიუთითებს აგრეთვე ტექსტის დიალექტოლოგიური მონაცემები. ეს ლექსი ილიას 1871 წელს ჩაუწერია და სხვა ნიმუშებთან ერთად პ. უმიკაშვილისათვის გადაუცია. 1937 წ. უმიკაშვილის მიერ მოგროვილ მასალების გამოქვეყნებასთან ერთად ილიას ჩანაწერიც დაისტამბა. რამდენიმე წლის წინად, 1936 წელს, მესხეთ-ჯავახეთში ჩვენი ხელმძღვანელობით ჩატარებულმა სამეცნიერო ექსპედიციამ გულდავულ მიმოიარა 1770 წლის ბრძოლის ადგილები და სოფ. ასპინძაში ადგილობრივ მკვიდრთა შორის საყურადღებო ცნობები შეკრიბა. ექსპედიციის მასალები ჯერ-ჯერობით დაბეჭდილი არაა და ინახება საქ. მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტის ფოლკლორულ არქივში.

¹ პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 97—98.

² ა. შანიძე, ხალხური პოეზია, I, გვ. 19.

³ ქართული ფოლკლორი, 1946 წ., გვ. 148.

ასპინძის ომის ზეპირსიტყვიერი მონაცემების მიხედვით შესწავლას ისტორიულ და მხატვრულ ღირებულებასთან ერთად მეთოდოლოგიური მნიშვნელობაც აქვს. ესმთა აღმწერელთაგან ნაანდერძვე წყაროებთან ფოლკლორული მონაცემების შედარება საშუალებას გვაძლევს გავარკვიოთ ხალხური ლექსების რეალისტური ხასიათი და ნათლად წარმოვიდგინოთ ის სიმართლე, რომელსაც 170 წლის მანძილზე მოუთხორობენ მთქმელები და მგოსნები უმთავრესად სამხრეთსა და აღმოსავლეთ საქართველოში.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ფოლკლორულ შემოქმედებაში თავიდანვე სწორად აისახა ასპინძის ომის მთავარი მომენტები და მებრძოლთა გმირობა. სახალხო პოეტი ისტორიული სისწორით აღწერს აწყურის ციხეზე შეტევას, გენერალ ტოტლებენის ბრძოლის ველიდან გამობრუნებას, ქართველთა ჯარის მტრის ზურგში გაბედულ შეჭრას და ლეკ-ოსმალთა შეერთებული ძალების განადგურებას. ავტორმთქმელი ეპიკური ტრადიციის წესზე ხაზს უსვამს მეომართა პირად თავდადებასა და მამაცობას. ლექსის მიხედვით, პირველ რიგში გამოირჩევიან ჯარის სარდალი ერეკლე მეორე და შვიდი ხევსური. მემბატანეს იმ შვიდი მამულისშვილის სახელი არ შემოუნახავს, მაგრამ ამ ნაკლს ხალხური გადმოცემა ასწორებს.

ისტორიკოსი ომან მდივანბეგი წერს: ასპინძის ომში ერეკლეს მხარში უდგნენ და „იყვნენ ყოველი მეთისთანა მყოფნი ქართველ-კახნი მხნედ და უმეტეს შვიდნი იგი ხევსურნი“¹. ისტორიკოსი პერსონალურად არ ასახელებს, თუ ვინ იყო ეს შვიდი მამაცი, და ერთგვარი ბოდიშის კილოთი შენიშნავს: „გარნა გავრცელებისათვის დავიდუმნე“. თედო რაზიკიშვილის მიერ ჩაწერილი ვარიანტი „ჩვესურები აწყურთან“ ავსებს ომან მდივანბეგის ხარვეზს. ხალხური გადმოცემით, აწყურისა და ასპინძის ომში ერეკლეს თანამებრძოლი ხევსურები იყვნენ: 1. სუმბატა ლოხაურისძე, 2. სუმბატა გუგულისშვილი, 3. ჯამბათა ივანური, 4. დედისერთა გუდანელი ჯანშაისძე, 5. ბლოელი აბა ბიტურაისშვილი, 6. ლერენა გუგაისშვილი და 7. ლომნი ვაგაისშვილი. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, ისტორიკოსისაგან განსხვავებით ფოლკლორული ნაწარმოები გვიჩვენებს, რომ ამ ბრძოლაში ფშაველებსაც მიუღიათ მონაწილეობა; ფშაველთაგან დასახელებული არიან: მამუკა წოწყურაული და საღირათ ელიზბარი².

ასპინძის ომის ასი წლისთავზე ი. ჭავჭავაძის მიერ ჩაწერილ ხევსურულ ლექსის ვარიანტებს შორის ყველაზე სრული რაზიკიშვილისეული ვარიანტია. როგორც ჩანს, ხევსურეთიდან გავსლის შემდეგ ლექსს სახე უცვლია: შეკვეცილა და ნაწილობრივ გადასხვაფერებულა³. პირვანდელი სახე უფრო სრულად ხალხურ ნაწარმოებს მხოლოდ იმ სოციალურ გარემოში შემოუნახავს, სადაც იგი ჩამოყალიბდა.

¹ ქართლის ცხოვრება, II, გვ. 492.

² ა. შანიძე, ზალხური პოეზია, I, გვ. 361 - 62.

³ პ. უმიკაშვილი, № 149 - 50.

როდის შეიქმნა ლექსი „ხევისურები აწყურთან“? ამ კითხვაზე პასუხის გაცემის დროს ჩვენს დასაყრდენს ლექსის დასასრული წარმოადგენს, სადაც ნათქვამია:

ამა ქართლის მათქომი ბლოში ბიტურა ზიასო,
ბიტურამ ვერა იცოდა, აბამ უამბო ცდისაო.

ძველი წესისამებრ ავტორმთქმელი თავის ვინაობას ნაწარმოების ბოლოში გვაცნობს. იგი დამატებით იმასაც აღნიშნავს, რომ ასპინძის ომის ამზავი, რომელიც მან ვალექსა, აბამ უამბო. ვინ არის ეს აბა? იგი ლაშქრობის მონაწილეა. მის შესახებ ლექსში ნათქვამი არის: „ბიტურაისა აბაი დედასამც დაღურჩებისა“. მაშასადამე, შეილის ნაამბობის მიხედვით მამა თხზავს ლექსს ხევსურების აწყურ-ასპინძის ომში მონაწილეობაზე. თუ მოვივლინებთ იმისაც, რომ ისტორიკოსები დავით და ბაგრატ ბატონიშვილები და ომან მდივანზევი ერთხმად აღიარებენ ხევსურთა ჯარის მონაწილეობას 1770 წლის აპრილის ლაშქრობაში, რომ ხევსურთა შორის განსაკუთრებით შეიდი ყმა გამოირჩევიდა და ბლოელ ბიტურას მიერაც სწორედ შეიდი გმირია შექმებული, უნდა დავსაკნათ, რომ ეს საგმირო-ბატრიოტული ნაწარმოები შექმნილია ასპინძის ომის დამთავრებისთანავე მე-18 საუკუნის 70-იანი წლების მეორე ნახევარში.

ილია ჭავჭავაძისეულ ვარიანტს თან ახლავს ჩამჭერის განმარტებები¹. ლექსში ასეთი გამოთქმაა: „დაბრუნდა იარალაი“. ამის შესახებ განმარტებათა ავტორი ფიქრობს, რომ „იარალაი“ არის „სარდალი ლექის ჯარისა“². სიტყვა-სიტყვით იგივე აზრია ვანგეორებული ამ ლექსის 1942 წლის გამოცემაში³. ეს გამოთქმა სხვა ვერსიებშიც გვხვდება, მაგალითად, 1876 წლის ჩანაწერში კვიციანიძის: „იარალაის კულაი ხევის მთას ვადმოხდებოა“⁴. აქ „იარალაი“ არის არა „სარდალი ლექის ჯარისა“, არამედ როგორც ერეკლე იტყოდა — „იანარალი“, ან ისტორიკოსის გამოთქმით „ლიანარალი“⁵, ე. ი. „გენერალი“ და მასში იგულისხმება რუსების მაშველი ჯარის მეთაური გენერალ-მაიორი ტოტლებენი. „დაბრუნდა იარალაი“ — ტოტლებენის ღალატს, მის ბრძოლის ველიდან გამობრუნებას ნიშნავს. მესხური ვადმოცემა პირდაპირ ამბობს: „ტოტლებენმა უღალატა, სხვას დაადვა თავის ბრალი“⁶.

პირველ წყაროების ანალიზი ადასტურებს, რომ ფოლკლორი მართლად ასახავს ასპინძის ბრძოლის ძირითად მომენტებს. ისტორიულ ცნობათა შორის ჩვენ პირველ ადგილზე ვაყენებთ ქართველთა ლაშქრის სარდლის, ომის უშუალო მონაწილისა და წამმართველის ერეკლე მეორის წერილებს. ამჟამად ჩვენს ხელთ არის ერეკლეს ორი ბარათი; პირველი მათგანი სამხრეთისაკენ ლაშქრობის სამზადისს აღწერს, მეორე — მის მიმდინარეობასა და შედეგებს. ორი-

¹ იქვე, გვ. 97—98.

² იქვე, გვ. 97.

³ ს. ცაიშვილი, ერეკლე მეფის გმირული სახე ხალხურ შემოქმედებაში. 1942 წ.

⁴ პ. უმიკაშვილი, გვ. 98.

⁵ ბაგრ. ბატონიშვილი, ახალი მოთხრობა, გვ. 54.

⁶ ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 417.

ვე ბარათი ძვირფას მასალას იძლევა როგორც სამოქალაქო ცხოვრების, ისე ხალხური პოეზიის მკვლევარისათვის. რადგან წერილები მაინცა და მაინც არაა დიდი ზომის, ამიტომ მათ აქვე მოვიტანთ შენიშვნების გარეშე. ტექსტის დედანი ინახება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის არქივში, რომლის ფოტოკოპირი ჩვენ 1945 წელს ჩამოვტანეთ ლენინგრადიდან¹. აი ისიც.

ქ. უგანათლებულესა და უსაყვარელესა | ჩემსა დედიდას ცარევენსა |
 ანნას.

ჩემს სასურველს გულს კოცნას სურვილით გაუბედავ. თქვენი ჩემთვის სასურველი წიგნი, რაოდენ გზის სიშორეს შეემსგავსება, არ მაკლია, და კიდემ | კნიაზ რატისშვილს ნიკოლას ყიზლარიდამ გამოეგზავნა, რომლისა-საცა ნახვით სიხარულთან მწუხარებაჲ მივიღე. და გებძანა, რომ ცარე-ვისს რომ ცალკე მწუხარების წიგნი ვერ ვახხელ. საბაბი ეს იყო: რად-ვანაც თქვენს უგანათლებულ[ე]სობას წიგნს ვახლ[ე]ბდი ხოლმე, იმაშივე ჩემს მწუხარებას მოეხსენებდი ხოლმე და ამისათვის ველარ მოვსწერ. და ახლაც კიდემ მიწოდდა მომერთოშვი წიგნი, მაგრამ ეს კაცი დიად ჩქარა წამოვიდა და ველარ დავასწარ, თვით ამ წიგნის დაჩაბას ეტ-ყობა |.

თქვენს უგანათლებულესობას ოსმალზე მიისის დიდებულობის ჯარის გამარჯვება რომ | ებრძანა, ღმერთს ვმადლობ, რომ კაის ამბავს შევეს-წარ. ჭეშმარიტად ყური უკეთესს სასიამოვნოს ველარას გაიგონებდა. ამ-ჟამად ამაში თქვენი სამახარობლო მმართვებს. ჩვენს ამბავს ამას მოგახ-სენებ, რომ ყოვლად მოწყალის ველმწიფის ჯარები მოლის და ზოგი კი-დეც შვიდა ღვთით. ამ მარტში ახალციხეზე მისვლის ვაპირებთ. და ჩემზე მისის დიდებულ[ე]ების უნამეტნავისს წყალობის მოსვლის და ბო-ძების იმედი გვესმის და ჯერ არ მოსულა, მაგრამ უეჭველად ამ ოცდღეს ან ერთს თვეს მოველით. და სხვა, რაც თქვენს წიგნში გებძანათ, მად-ლობელნი ვართ. და ხატებისა, რომ გებრძანა, წმინდის პეტრესი | კარ-გად მოვიდა და წმინდის პაულესი ცოტად | სახისაგან შეძრულიყო. შენ ირჯები ჩემზე და ხიჯალათში მაგდებ, მაგრამ ღვთისაგან ვსასოებ მეც მსა-ხურო და კიდევ მესხლისება შენი სამსახური. ნეტავ შენი ნახვა ჩემს და თქვენს გუნებად მაღირსოს ღმერთმა, თვარემ მსუმბუქი რამ საქმე, რომ მოგართვა რამე ყოვლისფრით თანამდები ვარ თქვენის უგანათლებუ-ლესობის სამსახურისა.

ეს წიგნი ასე საჩქაროთ დავსწერე. ვისთვისაც მოკითხვა გებრძანათ ამის დაწერა არც კი შეუტყვიით და ამისათვის ველარა მოგახსენესთ რა. ამი-სთანას დაჩხატულის წიგნისათვის ნუ გამიწყრები, შენს პირს შევეყარო, ჩემო დედიდავ.

მარადის თქვენის უგანათლებულესობის კეთილის ამბის მოსურენე |
 თქვენი დისწული | მეფე ირაკლი.

¹ მ. ჩიქოვანი, ახალი საარქივო მასალები. ლიტერატურული ძიებანი, III, გვ. 140. აგრეთვე: ქართული წერის ნიმუშები. პალეოგრაფიული აღბრძნა, პროფ. ილ. აბულაძის შე-დგენილი, 1949 წ., გვ. 274.

[არშიაზე მინაწერი, 3 გვ.]: ქ. ამას წინათ თქვენ მოგახსენე და სანატრელის ბიძის ჩემის, ვახუტის დაწერილი | იმირეთისა და საათაბაგოს ცხორება ვითხოვე|. და ცარევიჩს რომ ჩემ მაგიერ გაახსენოთ, ეგების გვიბოძოს და კიდემ | ჩემს რძალს ლევანის სახლს ყოველის სოფლის ისტორია ვითხოვე და მოაგონეთ. თუ იქნება | ეგების მაგანაც გამომიგზავნოს. მეცვემსახურები.

[მე-2 გვერდზე მონაწერი]: ქ. ჩემს საყვარელს ბიძაშვილსა და | დას მოკითხვისათვის მადლს მოგახსენებ. და ჩემს სასურველს პირზე კოცნას ვნატრი. სიღ ვახსოვარ, დიად გამიკვირდა|. ამას იქით მოვალე | ვარ მაგისის სიამოვნისა.

თებერვლის ი¹⁸ [18],

ჩ ლ ო [1770].

ამ ბარათიდან ჩანს, თუ რა დიდი იმედით მოელოდა საქართველო მეგობრული რუსეთის დამხმარე ჯარს. მესხეთ-ჯავახეთში შექმნილი ხალხური ლექსი პოეტური აღფრთოვანებით გვამცნობს სასახლისა და გლეხის ქონის ამ საერთო განწყობილებას.

ოთხი კუთხე სულ შეინძრა, თავი რუსთ ხელმწიფე არი,
 ერეკლეს შემოუთავლა სალამი და საჩუქარი,
 ასრე მიყვარხარ, ერეკლე, როგორც ჩემი და და მშანი,
 მანც მადლობა მოახსენა, მეგობრობა შენი ვცანი“.

მარტისათვის გამიზნული შეტევა აპრილში განხორციელდა. შეერთებული ჯარი ტაშისკარით აწყურის ციხე-სიმაგრეს მიადგა. რადგან „რუსის ჯარი შემწედ ჰყავდა“, ერეკლემ ხალხით განელო ვიწროები და ახალციხის გზაზე მდებარე პირველ ციხე-სიმაგრეს მედგრად დაჰკრა.

„ადგა და ქართლი შემოვლო, გაამაგრა ტაშის-კარი,
 ხეობაზედ შემოწკიბა, აწყვერს მოვა წინა ჯარი,
 აწყვრის ციხეს შემოადგა, შეუშალა ცალი მხარი“¹.

აქ მოულოდნელად სტრატეგიული გეგმა ჩაშლის წინაშე აღმოჩნდა. აწყურის ციხე-სიმაგრეზე ალყის შემორტყმის მესამე დღეს, გენერალ ტოტლებენის ბრძანებით, რუსის ჯარი აიშალა და ქართლისაკენ გამობრუნდა.

„დაბრუნდა იარაღი,—მაგას რა ნეგერებისა?
 ბატონიშვილი შასწუხდა: „ჯარი რაით გამიწუდებისა!“².

კრიტიკული მდგომარეობიდან მხოლოდ ერთი გამოსავალი იყო: მტრის ზურგში შეჭრა. ეს გაბედული მანევრი აღწერილია ერეკლეს მეორე წერილში.

ა ნ ნ ა ვ, |

უგანათლებულესობასა თქვენსა ბრწყინვილეცა გულსა, მწყალობელსა ჩემსა სურვილით მოხვეენასა | მოვახსენებ. ცარევენა, დეიდა ჩემო საკუთარო“.

¹ ხალხური სიტყვიერება, I, გვ. 417.

² ა. შანიძე, ხალხური პოეზია, გვ. 19.

ქ. თქვენი ჩემთვის ძვირფასი წიგნი არ მაკლია, მომივა ხოლმე. | ამისი მადლობა გონებას დაუხევედება და მოკლეთ, მადლობელი ვარ სიტყვით, მაგრამ შინაგან გონებით მიურიდებლად დიდად გიმაძლი შენს ჩემზე უცვალბებელს წყალობას. მე შენი უმსახურო და უსარგებლო და შენ აგრე ჩემზე მოწყალე, სიყვარულის გამოცხადებელი! ჩემზე ვითხოვ ღვთისაგან შემადლებინოს შენი სამსახურა, რომელიც არის სახალისო ჩემი.

წმინდათ მოციქულთ ხატები რომ გებოძა, მადლობით მიმიღია და უწინდელი ხატებიც დიად კარგი ხატებია. წაგდომა, ვეჭობ, მოგხსენებია. მაგრამ არც ერთი არ წამქდარა. ცოტად წმინდის პავლეს ხატი, წყალი რომ მოხდომოდა, ქალაქი დაქრულიყო და მხატვარმა ასწმინდა და ისევ გააკეთა. უწინდელის სახისაგან მაგდენი არა წაგდომა რა. ქეშმარიტად ვწუხარ, რომ ამდენს ჩემის გულისათვის | ირჯები და გაწუხებ, და მე კი უმსახუროდ ვრჩები.

ბიძის ჩემის ცარევიჩის და თქვენის განათლებულობის მშვიდობის | ამბისათვის ღვთის მადლობელი ვარ.

თქვენს უგანათლებულესობას, რომელიც ყოვლად მოწყალის ტელმწიფეს წყალობა მოელოცა, სარწმუნო ვარ. თქვენგან რომ | ჩემთვის ყოველი კეთილი გემეტებათ, ღმერთმან თვისსა ერდგულობაში თქვენის გულის წადილისამებრ მოგცეთ სიცოცხლე და ჩემი შენი ყოველითურთ ერდგული თავი მრავალ | წელიწადს კიდემ თქვენის სიცოცხლით გულისაებრ თქვენისა გამსახუროს.

ვიცი თქვენთვის ჩემზე სიყვარულისაგან ჩემს და ქვეყნის | ამბავს მოიხსენებ. რომელიც იანარალ-მაიორი აქ, ამ ქვეყნებში მობრძანდა, ისიცა და ჩვენც ჯარებით ახალციხისაკენ წავედით და აწყურის ციხეს მივედით. ერთი დღე ვადექით და ომი გეჭონდა. და მტერი ციხეში შეყრილი და შეწუხებული გყვანდა. და მესამეს დღეს ჩვენ შეუტყობრად გამოიპარა | ეს იანარალ-მაიორი და ქართლში წამოვიდა. და ჩვენ ჩვენის | ჯარით იქ გავეიშვა. მაგრამ ჩვენ უფრო უშინაგანესს | მტრის ქვეყანაში შესვლა ვამჯობინეთ და ოსმალებთან და რომელნიც დაღისტენელი იმათი მომშველებელნი იყვნენ, იმათ ორთავეთთან ორჯელ და სამჯერ ძალიანი | გაჯვარებული და გაანჩხლებული ომი მოგვიცდა. ჩვენგან დიად | შეუძლებელი იყო, მაგრამ ღვთის ძალმა, და მისგანვე ბოძებულის | დიდის ტელმწიფის ბედნიერობამ, ასეთი გამარჯვებები მოგვცა, | რომ ჩემის კეთილის მყოფელის გული დასჯერდება და მეტს აღარ მოინდომებს ერთხანათ. და კიდემ ჩვენის ქვეყნის მონაპირეს კაცთაც ოსმალთზე ძლევა მიიღეს. ქეშმარიტადმ ღვთის წყალობის და ბედნიერობის მე დირსი არა ვარ, მაგრამ ღვთის წყალობას | რა გავწყობა! ეს ქეშმარიტი მოხსენება არის, რომ ახალციხეს ასეთი ძალი დაემართა, რომ მართებული კაცი, რომელიც ჩინებულნი | იყვნენ, აღარ დარჩომილა. და აგრეთვე დაღისტენელი შვიდი თაქი კაცნი დაიჯოცნენ და ხუთ ათასამდინ კაცი ასე ამოსწყდენ, რომ | ამ ორის-სამის შებმით, რომ მეხუთედი არა ვგონებ

მორჩომილიყოს | ვმლისაგან და წყალში მოშობისაგან. და ამ ექვსსა და შვიდს დღეზე რამდენსამე იმ ომებში დაჭერილს კაცებს და იმათ დროშებს და სხვას იარაღებს გამოვგზავნით უმაღლეს კარს. თქვენის ჩემზე წყალობიანის გულისაგან ვიცოდი, რომ გიამებოდათ და ამისათვის მოგახსენე. და კაცს რომ გამოვგზავნით, რომელიც ჩემი თანამდებობა არის, თქვენთვის აქეთის ყოვლათის (?) მორთმევისა. თქვენს განათლებულობას მიერთმევა ესენი. ახლა დიღლ საქაროთ გამოვისტუმრეთ და ნუ გამიწყერები და საწვლმწიფო და საქვეყნო საქმეებიც დიღლ ბეგრი მქონდა. ამისათვის ახლა ვერ მოვასწარ.

თქვენის უგანათლებულესობის სურვილით | სამსახურის წადიერი თქვენი დისწული მეფე | ი რ ა კ ლ ი.

ალიწერა წელსა 1770,

მაისისთვის 15,

ქალაქსა ტფილისს.

[პირველი გვერდის მარჯვენა არშიაზე მინაწერი]: ქ. ბიძაჩემს ბატონს ცარევიჩს სამსახურის ნატ[ვ]რას მოგახსენებ.

აგრეთვე ჩემს დას, მაგათ ქალს ტუჩზე ვაკოცებ.

ქ. თქვენმა რძალმა იმ გამარჯვებამს შემდგომად კიდემ ვაჟზედ მორჩომილმა და გამარჯვებულმა სამსახურის | სურვილი და გულის კაცნა მოგახსენათ“.

ერეკლეს წერილით ვგებულობთ, რომ იგი აწყურში მხოლოდ სამი დღე იდგა, სახალხო პოეტი კი ამაზე გაზვიადებით ამბობს: „ერეკლე აწყურს მოსულა, შვიდი დღე-ღამე მდგარაო“. გამარჯვების შემდეგ ნადავლი მეფემ თბილისში გადაატანინა, ხოლო მისი ნაწილი (იარაღი, დროშები, ტყვეები) ძღვევის ნაშნად რუსეთის მეფეს გაუგზავნა. სახალხო მგოსანიც ამბობს: ერეკლემ დამარცხებულთა „თოფ-იარაღი ქალაქში გადიტანაო“.

მეფე სარდალი კმაყოფილებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ოსმალების მოკავშირე დაღესტნელებს ქართველებმა შვიდი გამოჩენილი მეთაური მოუკლეს. ბარათში არაფერია ნათქვამი თვითონ ერეკლეს გმირობაზე. ამის შესახებ ისტორიკოსები და სახალხო მგოსნები მოგვითხრობენ. ბაგრატ ბატონიშვილი წერს: „მხნედ იყო მეფე ირაკლი ვითარცა ლომი, რომელმანცა მოკლა თვისითა ხელითა დაღესტანიდამ გამოსრული დიდსახელოვანი გოლიათი მალაჩინ სარდალი მათი“¹. ხევსური ბიტურა პატარა კახს ამის გამო შეამკობს:

ერეკლე ბატონიშვილსა პირს მზეი ეფინებისა,—
 მუჟღავ კობტა ბელადი, გლეხი არ ეკადრებისა.

საინტერესოა მტრის ზარალის რაოდენობის გარკვევა. ამ საკითხზე ისტორიკოსები სხვადასხვანაირ ცნობას იძლევიან. დავით ბატონიშვილი ამბობს: ასპინძის ომში „მოიშთუნენ უმეტეს წყალთა შინა ორი ათასისა ლეკნი და თათარნი“². უახლოესი გამოკვლევით მოკლულთა და დამხრჩვალთა რიცხვი უფრო

¹ ბაგრ. ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი მოთხრობა, გვ. 55.

² დავით ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ახალი ისტორია, გვ. 11.

დაზუსტებულია¹. ერეკლე მეორე ომის მოგებიდან 25 დღის თავზე ვარაუდობდა, რომ მტერმა ხუთი ათასი ჯარისკაციდან 4 ათასზე მეტი მებრძოლი დაკარგა.

ასპინძის ომის შესახებ უკანასკნელი 80-წლის მანძილზე შეკრებილი ფოლკლორული ნაწარმოებების ისტორიულ წყაროთა შესწავლა გვიჩვენებს, რომ 1871 წელს ილია ჭავჭავაძის მიერ ჩაწერილი ლექსი — „ავარდა ბატონიშვილი“ — ხევესური პოეტის ბიტურას ნაწარმოების ერთ-ერთ ვარიანტს წარმოადგენს. ამ ლექსში დაცულია ისტორიული სინამდვილე, და შინაარსის მხრით ემყარება არა მწიგნობრულ წყაროს, არამედ ასპინძის ომის უშუალო მონაწილის ზეპირ გადმონაცემს.

¹ ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია, საქ. ისტორია, I, 88-394.



თორნიკე ჯჷონია

ვახტანგ VI თხზულებათა ფრაგმენტები

ვახტანგ VI თხზულებანი ძირითადად ხელნაწერი სპეციალური კრებულ-ბითაა მოღწეული, ცალკეული ლექსები შემოუნახავს აგრეთვე სხვადასხვა ხელნაწერებს. ეს ცალკეული ლექსები უცვლელად არის დაცული, ხოლო კრებულში შეტანილ თხზულებებს განუცდია შესწორება. რედაქტირებული ტექსტი გადაუწერიათ, მაგრამ ავტორს კვლავ შეუსწორებია იგი ახალ კრებულში. ასე არაერთხელ გადაუშუშავებია ვახტანგს თავისი თხზულებანი, ამიტომაც ერთიდაიგივე თხზულება საკმაოდ სახეცვლილი ჩანს სხვადასხვა კრებულებში¹. ის ლექსები, რომელიც კრებულშია შეტანილი, ცალკე არ შენახულა, ამიტომაც გაურკვეველი რჩებოდა, თუ რა სახით შევიდა ეს ლექსები კრებულში. ამ საკითხის გარკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ვახტანგ VI ზოგიერთი თხზულების ფრაგმენტებს, რომელიც ჩვენ ჰოვიპოვეთ სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთისმცოდნეობის ინსტიტუტის (ლენინგრადი) ქართულ ხელნაწერთა ფონდში. იქ დაცულია ხელნაწერი M 4, რომელიც შეიცავს „რამლის წიგნს“. ამ ხელნაწერის დასაწყისი ორი ფურცელი (4 გვერდი) მთლიანად დაკავებულია ვახტანგ VI ლექსებით, აგრეთვე რამდენიმე სტროფი დაუცავს ხელნაწერის უკანასკნელ ფურცლებს. ქვემოთ ვაყენებთ მათ იმ თანმიმდევრობით, როგორც M 4 ხელნაწერშია დაცული.

1. მიკვირს სოფელს რატომ დავეშერი, რომ ვიცოდი ამის ზნენი, ვაგემოვენ ჯორცი ცუდი, სულს არ მივეც მისი მნენი, ჯორცი მწადლა უკუდავ მყოფად, გამოუჩნდა მისი ზნენი, და ეს კი დამჩნა საკიცხელად სულისათჳს კულავ უმზნენი.

¹ გამოყენებული ხელნაწერები:

C—ს. ჯაბაშაის სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების S ფონდის № 4500.

B—იმვე მუზეუმის საკუთარ ხელნაწერთა ფონდის (Q) № 548.

D—იმვე მუზეუმის S ფონდის ხელნაწერი № 171.

A—სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთისმცოდნეობის ინსტიტუტის ქართულ ხელნაწერთა ფონდის—M 6.

აღნიშნული ხელნაწერებით სარგებლობს ვახტანგ VI თხზულებათა ბეჭდური გამოცემის რედაქტორი პროფ. ა. ლ. ბარამიძე (ვახტანგ VI, თხზულებანი, ალ. ბარამიძის რედაქტორობით და შენიშვნებით, თბილისი, 1947, გვ. 171).

E—საქართველოს ცენტრარქივის 238/8 ფონდის ხელნაწერი № 138. გადაწერილია, როგორც ჩანს, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში. ის შეიცავს ვახტანგ VI ლირიკულ ლექსებს.

G—„კინკლისის“ ხელნაწერი (გადაწ. 1734 წ.) დაცულია საქართველოს ცენტრარქივში (ფონდი 233/8 № 484).

2. სულმა რქუა წორცა: უგბილო, ვერ ნახე მფრინველთ ჯარები, ანუ პირუტყუთა სიმრავლე, ხეთა, მდღლოთა ზარები, ანუ ქუემძრომნი ცას ქუეშეთ, სულ წარმავალი არები, და რად მიმეც კირისა, რომ არის ბოლომდი გაუხარები.
3. მწადს ხანი დავყო მოკვდავმა, ვარ ყველას დამპირნენია, ამად ვიხარებ, რა წავალ, ჩემს ნივთთანა მაქვს ზენნია, შენ, ცხოვლად, ბრძენად შექმნილო, ჩემიც შენა ხარ მენნია, რასთვის მიმიშვი საწაღზე, შეიქმენ დასანთქმენია.
4. სულმან უთხრა: უგუნურო, რადგანა ვარ შენზე მეფე, შენ ჩემი ხარ ქური რამე, საყვარელი, გულის სეფე, ამად მოგდევ ნდომისაგან არ შემექნა გასაყვლემე, შენ შენს ნითსა შეერევი, მე დავრჩები მტერთ საყეფე.
5. ძვალსა ძალდი ხვრას დაუწყებს, კბილსა სისხლი ედინება, თავის სისხლი ემლაშება, ექვს უსრულდა მისი ნება, ბოლოს ძვალი ძვალსა დარჩა, მას მიხვდება კბილთა ვნება, სოფლის ნივთა შემსკვალულსა მალ ხვდეს ასე შენანება.

ვახტანგ ჯოხზე დასწერა:

6. ერთპირობა ყოვლის ვისმე ამას მგვანობს, ამას დარობს, ამის ტოლი რომ მივაკრათ, ოთხი, ხუთი ანუ ჯარობს, ვერვინ გასტებს მწვე ადვილად, მოზიდვითა თუ ვინ ვმარობს, და ერთი, დიად, მალ გატყდება, ცოტა ძალი მალ ეკმაროს.
7. ამ ჯოხს ძალუც თვალში იკრას, წაითხაროს, წაიმწაროს, ესეც ძალუც დაიბჯინო, მოგისვენოს, მოგეხმაროს, სწერო ზედა სამლთო სიტყუა და საერო რომ ეკემაროს, ყუელა კაცთვს საწმარად იქმნა, თუ კარგისთვს არ იზაროს.
8. ბლუნძველა ყაჭსა აკეთებს, ვერად ვერ მოიხმარებსა, მაგრამ ცუდათა ყოფნისთვს მისავე ქსელსა არებსა, მეც ისეუ დავრჩი უსაქმო, მოვშორდი სპათა ჯარებსა, და ხან ამ ცულს ვიქ, ხან სხვას ცულსა, ვლეუ სოფლისა ცულს არებსა.
9. სოფელსა სჭირს, თუ კარგს მოვცემს, ავიც თანვე მოაბეროს, აგრეუ ავსა კარგი მოსდევს, სოფლის ნახვამ დავაჯეროს, მაშ, მეც ველი ავზე კარგსა, ვარ მალღისა შენამზეროს, და მაგრამ კრულმა ხანის გავლით ყოვლი ვინმე მოაბეროს.
10. მართალ არს ერთი პირობა, ბურთ სუსტის[ა] მძლედ მაგრობსა ვით ეს ფიცარი ერთ სესტი, თუ სხვაცა თანა მყარობსა. უსაქმობასვე საქმე სჯობს, თუ ვინცე ცულად მჯდარობსა, და ნუ თუ რას ველით ხან წავლით ნუ ვინმე შემუდარობსა.

11. ვაი, სამნეო(?), სამნეო, ასე რად გამისამნეო,
არ მომცა, გული დამიწვა და დარჩა გაუსამნეო,
უთხარ: ამგვარსა საქმეზე ნეტარ თუ რად მაწამნეო.
მსახურთა მისთა უბრძანა: ნუ აწყენთ, ცოტა ამნეო.
მს დარჩა, მე კი წამოველ, სხვა ვერა შევიწამნეო.
დავჯექ და ღმერთსა ვეხვეწე ეს საქმე დამიამნეო.
და ვახტანგ, ამგვარსა საქმესა კვლავ ნულარა იქ სამნეო.
12. წყალი რა მალალს ადგილსა შეხვდების, დაწყნარდებისა,
ნელნელა ვსებას დაიწყებს და ძალით გადიდებისა,
რა ძალს შეიკრებს ან ვახეთქს, ან თავსა გარდვარდებისა,
და ასე ხამს კაციც დასწყნარდეს, საქმე ქნას გულსადებისა.
13. და მოცდით იცოდე ისრიში ტკბილისა მომცემარია.
14. ამ სოფელს და იმ სოფელსა ორისავე ხარ მონამჭირო,
და არ იქნების ერთის ხელით ორი ნესვი დანამჭირო.
15. სვავი ძვალსა გამოიზომს ჩანთქმა ძალუც ანუ არა
რა გასინჯავს შეიძლება, მერმე რადმცა დაიზარა.
აგრევე შენც ქენ შენი საქმე შეგიძლია ანუ არა,
რაც შეგეძლოს მის ეცადე, სხვას ნუ ეძებ გარისგარა.
16. ნახე ფუტკარი ზამთრისთვის, თუ რამითონს შრომას ნახავსა,
სად აქვს თავისი სამყოფი, მუნ მრავალს შეინახავსა,
ვინც ამ სოფელსა დაშერბილს, ზაფხულად გამოსახავსა,
მუნ უტყვირობას შეიკრებს, რად ვინმე სხვასა ჩმახავსა.
17. ზამთარი ამად უქნია მიწას მიეცეს წყალია,
ზაფხულის სიცხე დაადგეს, აწვანდეს იგ საწყალია,
მაგრამ ქვიშას და მლაშესა სიმწვანის არ აქვს ძალია.
შენ მას ბაძევდე, ნუმცა ხარ ის უნაყოფო მშრალია.
18. მიწისგან რაცა გამოვა, მუნვე არს მიმქცეველია,
ვერას ვერ იტყვის უარსა, ტკბილია ანუ მწველია.
მაშ, შენგან რაცა გამოვა შენდავე შემთხვეველია,
სხვას ნუ აბრალებს, თავისა შენვე ხარ გამრეველია.
19. მოწყალეება კალატოზს გავს, თავის საქმეს მუშაობდეს,
რამითონს აფურს ხელით დასდებს, კიდევ სხვითა ევსებოდეს,
აგრევე შენცა რაც დახარჯო, კვლავ¹ ადგილს გედებოდეს,
რათღა ზოგავ სხვისას შენთვის, ცეცხლი აღარ გედებოდეს.

¹ ხელნაწერში ავტორის მიერ გადაზახულია, ვ. ი. წაშლილია ზოგიერთი სიტყვა ან სტრიქონი და ზედ აწერია მისი შემცველი. მაგალითად, ხელნაწერში ყოფილა უთხრა, რომელიც ვახტანგს გადაუზახავს და ამ სიტყვის ზემოთ დაუწერია უბრძანა. ცვლილებანი ასე გააქვს აღნიშნული: უბრძანა] უთხრა.

² კვლავი] კიდევ.

20. მეტრფისთვის გვიხამს ტირილი, მოღბეს და შეგვეწყალოსა, გაპრა მინდორად ტყე და კლდე, სოფელსა გაეძალოსა, რას ვაქნევთ სოფლის სიმდიდრეს, თუ ის კი მოგვეკრძალოსა, ვასრულოთ მისი ბრძანება, რაც ბძანოს მისმა რძალოსა.
21. რძალია ტურფად შემკული სიწმინდით, უმანკობითა, ხამსცა იგი მისი ასონი მისებრივ იყოს მკობითა. მან მიათხოვოს ერთს კაცსა, უბიწო ვარდ-კოკობითა, არ ითხოვს თუცა იგია მემრუშე, მსმელ კოკობითა.
22. რძალთან მინდა, რომ მივიდე, ვიშვებდე და ვიხარებდე, მაგრამ ტანთა არ მიცვია, არ შემიშვან ვიხარებდე, ასე მიჯობს დავგლახაკენ, სოფლის საქმით ვიხარებდე, მაშინ აღარ დამიშლიან ღიას კარსა ვიხარებდე.
23. რძალსა ყავს ქალი სათუთი, ტურფა, კეკლუცი პირითა, მისი ტრფიალი შევექნილვარ ლახვრითა განავგირითა, გამოუტდელად არ მაძლევს, არას ფაით და ნირითა, თუცა ვარ კაცი, მეც მართებს¹ დაკომო სოფელი ძირითა.
24. კაცსა მართებს სატრფიალოს, რომ ხედევდეს ერთს რამ კარგსა, არ შეუღრკეს მისა ჭირსა, არ ეძებდეს სხვასა ვარგსა. მისთვის ცეცხლი ბამბად უწნდეს მეფობისა შენადარგსა, დასთმოს მისთვის ეს სოფელი, არ ეძებდეს მისა ბარგსა.
25. რძალს მწვე უნდა მისვლა ჩემი, მაწვევს ხოლმე, დიახ, ხშირად, მაგრამ მე კი ვერ მივსულვარ, საქმით ვჩანვარ მწვე დუხპირად, მწიკელი მაქვს და არ მაცვია მართებულად ჩემად ჭირად, უღონობით დავრჩომილვარ სატრფოსავან ასე მწირად.
26. რა შესმოდა ესე ჩემვან ამაღ გველტვის, გვერძალეების, ებრძანა თუ: ეგე საქმე კაცისაა მწვე ნაკლების, მე კაცს ვეძებ კაცთა წესსა, ღირსი იყოს ჩემის ხლების, თვარ პირუტყვთა საქციელი ჩემვან არის გაუძლების.
27. ვინ არის მეფე მდიდარი იყოს ამისა მქნელია, მინდვრის შრომანთა მსგავსი რამ შემოსად არ ქნას ძნელია. თვით სოლომონცა ვერ უძლო, ნახე ამბავი ძველია, მაგრამ მე იგი თივანი მჩანს თორნედ დასაწველია.
28. ამით უთხარ, წამწამითა, შესამზგავსი შესხმანია, ამით ფერით წამწამითა ეშყის გულში შესხმანია, ამით შექმნა წამწამითა თვალ-მარგალიტთ შესხმანია, და ამით მოვრჩეთ წამწამითა მადლ წყლებრ უყოთ შესხმანია.

¹ თუცა ვარ კაცი მეც მართებს] თუცა ვარ კაცი მეც დავსთმო

29. ძაფსა სკირს, რაშიც ჩაადგებ, მის ფერს დაიქერს ახავი,
ილეკრო მისთვის მათა სჯობს, არის ამისი მსახავი,
რომ ფერით ფერი იცვალოს არავინ არის მნახავი.
და კაცის სიკეთის სისრულე პირია მართლის მზრახავი.
30. ნახე, ნარინჯის ფოთოლი, თუ ფერით როგორ მწვანობსა,
სიცხეში მას გავს და ყინვა სულს და ფერს მოუფანობსა,
აგრევე ყრმა გამოუცდელი სოფელში ამას მგვანობსა,
და რა დაიდგება ფერსა და სულს მატებს შესამგვანობსა.
31. ვინცა რა ქნა ამ სოფელსა, მასვე მიხვდა მისი წილი,
32. მის ლაწვის დარად¹ მაგ ქვებსა ცუდით აწითლებ იამან,
ხანი გამოვა მანამდის იმას უღაროს იამან,
ზილფი ხუჭუჭად ნაგრები რით ნახოს ურცხვად იამან,
და მისად შეყრამდი თუ დარჩი, მოიწყენ თუცა იამან.
33. სიბრძნით ადაგო ყოველი საქმითა განასრულითა,
წესიერებით შეუმკო საზომი განასრულითა,
უსხეულონი მსახურათ ზოგნი ყო განასრულითა,
და არვინ დაავდო წყალობის კართა განასრულითა.
34. ძოწ ტურფით ხჩა გჯგებნ ქმლდს ჟამზჳკ კი შჳყვჳ—სიავესა.
ეს ანბანია მთლად, სხვა არ ურევია თითოს ასოს
მეტე, ოღონ ლექსის გაწყობისათვის ბოლოს სიავე მეტი არის,
რომ სხვაში ვითავდა ანბანი.
35. მაიმუნისთვის გახვრეტენ კაკალს, ხელს შეყოფს ზესადა,
ცოტცოტას არა სჯერდება, მჯილღვს იესებს უნდა ძესადა,
ველარ დაადრობს ამრიგად, მტრისგან გახდების კენესადა,
და მამონას ბევრჯელ მოუა ეს საქმე ამა წესადა.
36. ამაზე ბრუნავს მბრუნავი, სხვა რა აქვს რამცა ვებული,
რომ შექმნას ორი მოყვარე გაყრილი, გათვისებული.
37. არვინ არის სოფლისაგან ჩემებრ სამე წამონარცხით,
გარდამავდო მართ ვითამცა საწუთრომან წამონარცხით,
ჩემი მათზე ავი რამე არ თუ კაცთა წამონარცხით,
და ის დიდება პირველ ჩემი აღარა მაქვს წამონარცხით.
38. რაც რომ ფერი ცარიელი ადვილია ასაღებლად,
მაგრამ მძიმე გაჭირდება ასაწეველ გასაღებლად,
მაშე გქონდეს თავი მძიმე ტვინის ფერით გასაღებლად,
და თვარ მსუბუქი შეგექნების მტრობის კლიტით გასაღებლად.
39. სიმალღე არის დიადი ვის ეძებს მისი პურია,
აგრევე სიმდაბლე, ვინც ეძებს არ არი ვაჟაკურია.

¹ მის ლაწვის დარად] იმისად მსგავსად.

18. ლიტერატურული ძიებანი, ტ. VI

40. სჯობს მერცხალი მწვე ბულბულსა და ის უფრო ნაქებია, ამოდ შინ ზის, სულ ჭიკჭიკებს, ის ხომ ძვირი სახლებია, თვარ ხმითა და უსულითა, თქვით თუ რათი ნაკლებია.
და ცოტა თქვი და ბევრს ისმენდეს, არ გვხვდეს მისი ეკლებია.
41. დავრჩი ასე, აღარა მშვენის, აღარცა მაქვს მოსაგონი, რათ ვიხმარო აღარ ვიცი, მქონდეს კიდევ მოსაგონი, გამიცუდდა ცოდვის ნაცვლად ყოვლი რაჟე მოსაგონი,
და მტერსა დარჩა, აღარა მაქვს ჩემი სრულად მოსაგონი.
42. თუცა გინდა ოქრო იყოს უყალბო და ფეროვანი, ბევრჯელ უნდა გარდაადნო, ხენჯსა მისცე ცეცხლით წვანი. ნახე, კაცი რამითონით სჯობს, რა მეტი აქვს შესაგვანი, თუცა ბევრჯელ არ გარდადნა, არ იქნების მინდობანი.
43. ნახე, ვაშლი უნდო ხილი, რა კარგი აქვს შვენებანი, გაახარებს თვალსა, ცხვირსა, მისცეს პირსა მან ნებანი. შენ კაცი ხარ გონიერი, გჭირდეს მაშიგ რამე კლებანი, ავი არის უსაცილოდ გქონდეს, რომე ეს ვნებანი.
44. ქალ თუ ყოვლისა მხედველი ვერა დროს ვერა ნახავსა, მეფე ხანდინან, მაგრამე ზოგჯერ იმათგან ახავსა, სხვა კაცი ყოვლთვის, უყურებს და მათსა სახეს სახავსა, ბრძენად ჩავადებ ვინც ამას მის მსგავსად განიზრახავსა.
45. ვარდს ეტრფის მიწყევ ბულბული, სული უყვარს და ფერები, რომ იმისთანა შეიქმნას, ქონდეს ასეთი წერები, ის უგუნური მას ცდილობს[ს] კარგ იყოს შესამზერები, სახედ უქნია მოქმედსა ვიყოთ მის შესაფერები.
46. გულის სევდისა სალხენად განსა ვკარ აქარხალითა, მზევ, გული ჩემი ტყვე ქმნილი მისწიე აქარხალითა, გაველურდე და გავიჭრე, დავრჩე ვით აქარხალითა,
და საზლოდ ვიკმარო სიცოცხლე ვატარო აქარხალითა.
47. თუ ცეცხლით თივა გაზარდო, ცხვარს მისცე საქმლად მგელია, დათვი მეედანს აბურთო, ვირი ქნა კაი მზმელია¹, ტვირთი ჰეპელას აკიდო, კრელი ფრთით გამფრენელია²,
და აღვისრულდების მაშინლა, რაცა გაქვს საწადელია.
48. დავემონე კავშანსა, სევდა მექნა მისა წამლად, ნღველს ვხმარობ მუდამ მელნად, ფიქრსა მისა მისად კალმად, ლხინსა ჭირად, ჩანგ-ბარბითსა დაუყოვნლად ცრემლის ლამად,
და კიდევ ველი გამოიჩინდეს ის მკურნალი ჩემად მალმად.

¹ ვირი ქნა კაი მზმელია] ქათამს ამოყვსო მელია.

² კრელი ფრთით გამფრენელია] შუშა ქნა კაი მზმელია.

49. გულს მებაღედ, მიდამოსა ბაღად ვამბობ ძველის ძველად,
ყინვას მისად გამახმოზლად და სიცხესა მისად მწველად,
თუ წყალი აქვს ანუ სითბო, მებაღეა ლხინის მშველად,
და გულსა ჩემსა ეს ორივე საშოვრად აქვს მეტად ძნელად.
50. ჩემებრ ცოდვილთა საქმენი პეპელიკისას მიგავსა,
რა აღენთების სანთელი, ის მწუხარებას იგავსა,
იშვებს, იხარებს, განსცხრების, ვერ ზედავს მისა იგავსა,
და ბოლოდ დაიწვის იმისგან და ჩაჲარდების იგავსა.
51. მეშურნე ბუხსა მიგავს ყინვითა ფთა შეკრულეგსა,
ანუ შიმშილით მომყმარსა, საკვდავად ჰიმარულეგსა,
რა სახლს გაუთბობ ან შაქრით მშიერს დაუტკობ გულეგსა,
მაშინდა შენად საწყინლად ისრით იწადებს წყულეგსა.
52. უნდა მიგვანდეს ეკალსა ყრმა ახალ ნორჩი რგულეგსა,
ბერი ბანბასა გაქონდესთ, ითბობდენ იმით გულეგსა,
არ სატატურსა გველსა გავს, იჩემებს მას უსულეგსა,
და ვერც ხუთოს მოგვეკემს, ვერც შამსა სარგოს და დასაწყულეგსა.
53. ჩემსა საქმესა უგბილი სანთლისა მსგავსად მოველი,
თავის მტერს მიწყვიც ძალს აძლევს თავისა დამაწყვეელი,
შენს წინაშე ვარ მცოდველი, ცოდვისა ძალის მძლეველი,
და ვა, თუ დავიწვა, შევიქნა შენგანცა დასაწყვეელი.
54. აბრამც შვილს კლავს იფთთაცა¹ მას უქეს და მას უგინეს,
და უადგილოთ კარგვც რომ ქნა არად ვარგა, გიძეს წინეს.
55. და არ იცი, თავლი არა ღირს ფუტკრის კბენად და წყინებად.
56. დაწვი ქონდა ვარდის ფურცლად, პირი ბროლად, ტუჩი ლალად,
თვალნი მეღნად, წარბი სათად, თმა სუმბუღლად, კბილი სრალად,
ყელი ვერცხლად, ძუძუ-მკერდი მარმარილოს განათალად,
და ტანი ალვად, ხელ-მკლავები შოლტი იყო მშვიდი მკრძალად.
57. წავალ მეცხარედ დავდგები, ვივლი მთებსა და ბარებსა,
ნარგის თვალთ ნაცვლად უყურებ თმისათვის სუმბულთ არებსა,
ტანათ ალვასა მრბეველსა, ვარდს დაწვთა მაზიარებსა,
და დაგვას მოვრჩები, ზამბახსა უმზერ პირით ვერ მდარებთა.
58. ტურფა, კეკლუცად ნაქნარო, მისის სანდომო არევდა,
მაჯუნურთა მელნის მორევი უცხოთ რამ რივად არევდა,
მისი სათუთი მიხედვა მისთანა მჯდომთა არევდა,
და ტანსა ალვისებრ ნაზარდსა იქით და აქით არევდა.
59. განბწყინეგებისთვის სანთელი ერთ ფეხზე დგას და ტირისა,
ცეცხლის წვით არის მიმღები საწადლის, განაპირისა,

¹ იფთთაცა ქალბეც მას იქს.

- მიხამს მეც ვიღგე, ვიწოდე დამბანი ცრემლით პირისა,
 და ეგებ რა მნახოს¹, შემიტკბოს ტრფიალმა გამძლე ქირისა.
60. კეკლუცი ხარ ტურფა რამე უკაზმავი მოიბალით,
 ვარდო, ახალ ვაბუტკენილო, ჩემ კერძ ირე მოიბალით,
 გულმა ჩემმა სიყვარული შენი უცხოთ მოიბალით,
 და სიძულილი შენგან ჩემი მოიგლიჯე მოიბალით.
61. ცრუ არის ვინც სოფლისათვის ზრუნავს, ქმუნავს, შეწუხდების,
 ღმერთმან იცის² ვინ იშოვნის, ვინ იღვწის და ვის მიხვდების.
62. მაწონს მისი სანდომობა ქებისათვის დაღალულად
 თვალი სხივმა დამიქუხა, კინლამ შემქნა დაღალულად,
 ასე ვავხე, ჩემნი მნახი მეტყვის ხარო დაღალულად,
 და არ მიწამლებ, გამხდომია გული ჩემი დაღალულად.
63. შენთა ტრფიალთა კეთილი არ მიეცემის კართია,
 სიყვარულითა მისითა გული, გონება კართია,
 მისისა მიახლებისა ეშუსა სურვილი კართია,
 ეგება რომე გაღირსოსთ შესვლა სამოთხის კართია.
64. მიკვირს სოფლის გულისათვის კაცი ასე რად იქირვის.
 ანუ ვინცა მისის ნდობით ვფიქრობ, ვცვიფრობ ვით იქირვის,
 უხამს მისცემს სიმდიდრესა, ზოგი ხამსი მწევი იქირვის,
 და საუჯუნოდ ცოდვის გვარლით გარდახვანჯვით რად იქირვის.
65. ტოლსა შივა გამოჩენით არასადა დამედარა.
 მტერთა ზედა რას მარგებდა თუმცა სადმე დამედარა,
 თუ დამიკლეს, რა დამიკლეს, საქმეშია დამედარა,
 და მაგრამ ბოლოს ყველა ვინმე, რა ვავსინჯე, დამედარა.
66. გულსა მისცემს უცხოდ შვებას ოდეს ვინმე შეეყრების,
 თვალს ის უნდა, სხვა სპეკალი ცუდათ რათმე შეეყრების,
 ვერ მიხვდომია³ წინ სამუდმოდ თვალთა ცრემლი შეეყრების,
 და უჯვობს კაცსა სოფლით გასვლა, თვარ ლახვარი შეეყრების.
67. ზღვაში ჩნახე ლედვის მთები მომავალი თავს დაცემად,
 ერთსა წამსა ხუთჯერ უფრო სულს ველოდი გასაცემად,
 იგ ანდაზათ გარდაქარდა, ლხინს მივეციოთ ბუქსა ცემად,
 და რალას ვსწუხვარ, ქირთა ჩემთა სოფელია ასე მცემად.
68. როს მეტრფისა ტრფიალება გულსა ჩემსა დამაჯერა,
 მშლელი მიშლის უცხო რიგიდ, ლამის კიდე(ჯ) დამაჯერა,
 მეუბნების: ყმაწვილი ხარ, არ იციო, დამაჯერა,
 და მაგრამ მისმა სიყვარულმა ისევე მასვე დამაჯერა.

¹ რა მნახოს] რომე.

² ღმერთმან იცის] ვინ იცის თუ

³ მიხვდომია] მხლებელთა.

69. ეწყის ზღვისა უფსკრულშია მან მომიდგა მასე, მასე,
ერთი ესე შამომზღულდე მასე, მასე,
საფერხები მისგან ჩემზე, რომ განეხეთქე მასე, მასე,
და შაქრისგან უფრო ტკბილი შენი ეწყი მასე, მასე.
70. რა მიყო ხედავთ სოფელმან ცრუმა და ანაზღეულმა,
აწ გაათავე, დასწყნარდი სიჩქარით ანაზღეულმა,
შენი სიგლისპე, სიმკვახე აწყნარე ანაზღეულმა,
და ახლა კეთილი მოიღე სიავის ანაზღეულმა.
71. ოქრო და ვერცხლი რა არი ან თვალი მარგალიტები,
მიწაა სხვადასხვა ფერი კვლავე მიწადე იღები,
სხვა ყოველი სოფლის სიმდიდრე გაცვდება ვითა ხილები,
რადგან ტრფიალობ—ესენი ქენ ყველა განაჰიღები.
72. შეენება, ხორცთა ფუფუნე, ფშვა სურნელთ მრავალე ფერია,
გონიერთ კაცთა ეს საქმე არსად არ შესამზერია,
ხედავ, მატლს რაში ფუფუნებს, რა კარგად დაუჭერია,
ისიც მასა გავს უთუოდ, ბრძენთ ასე დაუწერია.
73. მე ის ვარდი ვარ, რომელსაც აქეს მრავლად ეკლის ხშირობა,
ბულბულსა ჩემსა მიჯნურსა ხამს ქონდეს მისი ჰირობა,
დასთმოს ყოველი სოფლისა შეგებისა განაპირობა,
და მაშინდა მივსცე¹ უკვდავი ხლებისა² არა ძვირობა.
74. სატრფოს ნეტრფი თუცა სძებნი, პირველ გიხამს მონათელსა
ბნელმა კაცი დაბნელოს, ჰირით ბაძე მონათელსა,
ეწყსა უნდა მწვეე გამოცდა მაშინ ჰპოებ მონათელსა,
და დაუცდელად ეს იცოდე ეშმაკისა მონათელსა.
75. ნუ ბაძავ კაცსა უღვთოსა რაზომ გადილდეს მთა ვითა,
მის უმეტრების სისრულეს გონებ ყოველითა დავითა,
ღმერთიც მოუშვებს გასინჯოს სიკეთით ან სიავითა,
და ბოლოს გაცვდების, აივსოს სამყოფი მისი სეავითა.
76. დასჯრდი რაცა მოგეცეს მალლისგან³ მონიჭებითა,
დაუთმეთ ყველა უფალსა რაზომცა გაირჯებითა,
მაშინ იხილოს უფალმა ეს საქმე თვალუხვებითა,
და ორშივე მოგცეს გვირგვინი საფერი მით უხვებითა.
77. რა არი, თავებერ მსუნაგობ, დაძვრები კარის კარადა,
ამას თაყვანსცემ და იმას შესტირი სულთქმით მწარადო,
ძალებერ ლაქუცობ და მელებერ ატყუებ შეუფგარადო,
და მომცემი სხვა გვყავს, ცუდია, დარჩები გარის-გარადო.

¹ მივსცე] მიეცეს.

² ხლებისა] სოფლის.

³ მალლისგან] მღთისაგან.

„რამლის წიგნის“ ხელნაწერს (F) შემოუნახავს სულ 289 სტრიქონი. ცალკეული სტროფები შინაარსობრივად ერთმანეთს არ უკავშირდება. ვახტანგ VI თავდაპირველად ცალცალკე დაუწერია ისინი და შემდეგ შერჩევით არის შეტანილი თხზულებთა კრებულში. ამ ლექსებს ჩვენ, პირობით, ვუწოდებთ ფრაგმენტებს, რადგანაც ისინი საბოლოოდ იქცნენ ცალკეულ თხზულებათა შემაღგენელ ნაწილად და მათი მეშვეობით იყვნენ დღემდე ცნობილი.

F ხელნაწერიდან ამოკრებილ სტრიქონებს შეიცავს ვახტანგ VI ხუთი თხზულება:¹ „კაეშანი“ (შეტანილია მისში 1,2 და 10 სტროფები, ე. ი. 12 სტრიქონი), „სალბუნად გულისა“ (105,4—ე. ი. ერთი სტრიქონი), „სატრფიალონი“ (142 სტრიქონი). „სიბრძნე მალაღობელი“ (60,3—4—ე. ი. ორი სტრიქონი) და „ანბანთქება“ (ერთი სტრიქონი). ქვემოთ ვუჩვენებთ, თუ როგორ არის ჩართული სტროფები ან ცალკეული სტრიქონები, მაგალითად, ლექსში „სატრფიალონი“.

K—2,5,6,7,8,9,10,11,12,15,16,18,25,26,27.

F—20,21,23,22,24,25,26,27,11,12,13,14,60,62,28.

ასევე მიმობნეულია აღნიშნულ ლექსში ჩართული სხვა სტროფების უმრავლესობა. მაგრამ ლექსს აქა-იქ შემოუნახავს F ხელნაწერიდან ამოღებულ სტროფთა მცირე ჯგუფებიც, მაგალითად, F—25,26,27.

ვახტანგ VI მრავალმხრივ ასწორებს თავის ლექსებს კრებულში შეტანამდე და კრებულში შეტანის შემდეგაც. იგი სცვლის: სიტყვას და მის ფორმას, სიტყვის ადგილს ტაეპში, ტაეპს—ნაწილობრივ და მთლიანად, ტაეპის ადგილს სტროფში, სტროფსა და მის ადგილს ლექსში.

1. სიტყვათა შეცვლა.

ა) უცხოური სიტყვა შეცვლილია ქართულით.

F

თუცა გინდა ოქრო იყოს უყალბო და ფეროვანი.

ამ ტაეპში გვხვდება სიტყვა უყალბო. საბას განმარტებით, „ყალბი სხვათა ენაა, ქართულად რიოში ჰქვიან“.

ვახტანგს შეუცვლია უცხოური სიტყვა ქართულით, როდესაც F ხელნაწერიდან კრებულში შექონიდათ აღნიშნული ტაეპის შემცველი სტროფი:

C

თუცა გინდა ოქრო იყო ურიოშო, ფეროვანი.

ბ) ქართული სიტყვა შეცვლილია—უცხოური.

F

ტანად ალვასა მრხველსა, ვარდს ღაწუთა მაზიარებსა.

¹ სტროფების რიგი ნაჩვენებია ბექდური გამოცემის მიხედვით, (ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, აღ. ბარამიძის რედაქტორობით და შენიშვნებით), რომელიც აღნიშნული გვაქვს K-თი.

B

ტანად საროსა მრხველსა, ვარდსა ღაწუთ მაზიარებსა.
 საბას განმარტებით, აღვის ხე არის სარო. მაგრამ ალვა ქართული სიტყვაა, სარო (سرو)—სპარსული.

გ) ძველი ქართული სიტყვა ან სიტყვის ძველი ფორმა შეცვლილია ახლით.

F

ხამსცა იგ მისნი ასონი მისებრივ იყოს მკობითა.

სიტყვა ხამს, რომელსაც შეიცავს ეს ტაეპი, ქართული მწერლობის უძველესი ძეგლებიდანაა ცნობილი. ეს ძველი სიტყვა შერჩენია ტაეპს B კრებულშიც. მაგრამ საბოლოოდ ავტორს ძველი—შეუცვლია ახალი სიტყვით.

D

უნდაცა მისი ასონი მისებრივ იყოს მკობითა.

სიტყვა უნდაცა, მიმუჟა ბარათაშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ლექსს აუგემურებს, ამას, ალბათ, გრძნობდა ვახტანგი და კვლავ შეუცვლია ახალმომოტიანილი სიტყვა ტაეპში.

A

შეშვენის მისა ასოთა სამსგავსო იყოს მკობითა.

F

D

ასე მიჯობს დავგლახაკნე... უმიჯობა დავგლახაკდე...

დ) ახალი—შეცვლილია ძველით.

F

C

მწადს ხანიდაეცო მოკვდავმა... მწადსხანი დაეცო მოკუდავმან...

F

D

რძალსა ყავს ქალი... სძალს უვის ქალი...

F

C

სადაქეს თავისი სამყოფი... სადაც აქუს თჯისი სამყოფი...

ე) სიტყვათა შენაცვლება მხატვრული შედარების სრულყოფისათვის.

F

A

პირი ბროლად... პირი შროშნად...

F

მარმარილოს განათლად... ბროლსა გვანდა განათლად...

ვ) ზოგადი—შეცვლილია კონკრეტული მნიშვნელობის სიტყვით.

F

დასთმოს მისთვის ეს სოფელი, არ ეძებდეს მისა ბარგსა.

A

დასთმოს წუთისა შვებელი, მისით გვანდეს განაბარგსა.

სოფელი—ზოგადი მნიშვნელობის სიტყვაა. იგი ხასიათდება სხვადასხვა ნიშნით. სოფელი არის ცრუ, მწარე ტყბილი, წარმავალი და სხვ.



თუ კაცი დასთმობს თავის მიჯნურისათვის სოფელს ცრუს, მწარეს, გაუ-
ტანელს—ეს ვერ ჩაითვლება დად მსხვერპლად. ამიტომ ვახტანგ VI ზოგადი
მნიშვნელობის სიტყვას—სოფელს სცვლის მისი დამახასიათებელი კონკრეტული
ერთერთი ნიშნით—წუთი სამივებელი; წუთი, ე. ი. წუთი სოფელი არის სამივე-
ბელი, ტკბილი და ეს სიტკბოება უნდა იქნას დათმობილი მიჯნურისათვის.

ბ) შეცვლილი სიტყვის ან მისი ფორმის კვლავ აღდგენა.

F	B	D	A
ლახვრითა განაგმირითა.	გულ-ლახვრით განაგმირითა.	ლახვრითა განაგმირითა.	გულ-ლახვარ განაგმირითა.

F

ოქრო და ვერცხლი რა არი, ან თვალი მარგალიტები,
მიწასხვადასხვა ფერი, კვლავ მიწადე იღები.

C

ოქრო და ვერცხლი რა არის, სპეკალი მარგალიტებით,
მიწა სხვადასხვა ფერი კვლავ მიწათა იღებით.

D

ოქროვანობა, ვერცხლობა, სპეკალი, მარგალიტები,
მიწანი დაფერებულნი, გასამიწებლად იღები.

ორივე შემთხვევაში თითქმის მთლიანად აღდგენილია წინათ შეცვლილი
სიტყვები ან სიტყვათა ფორმები. პირველი მაგალითი (F—ლახვრითა განაგმი-
რითა) ნათლად გვიჩვენებს, თუ რა მიმართულებით მიმდინარეობს სიტყვათა
ძიება; ერთმანეთს ენაცვლება ზოგადი და კონკრეტული. ლახვრით განაგმირვა—
ზოგადია. ლახვარი შეიძლება ჩასცენ აღამიანს მუცელში, თავში. კონკრეტუ-
ლია—გულის განგმირვა ლახვრით. საბოლოოდ ავტორი ირჩევს კონკრეტულს
(გულ-ლახვარ განაგმირითა) რადგანაც მიჯნურობის საკითხთან დაკავშირებით
ის უფრო ნათლად განმობატავს პოეტის აზრს.

რას გვიჩვენებს მეორე მაგალითი? D ხელნაწერში აღდგენილია რითმები
F ხელნაწერიდან ცნობილი ფორმებით (მარგალიტები, იღები), მაგრამ თვა-
ლი (F—ხელნაწერი) შეცვლილია სპეკალით (C—ხელნაწერი). ამგვარად მე-
სამე რედაქცია (D) წარმოადგენს პირველი (F) და მეორე (C) რედაქციების
ერთგვარ სინთესს.

სიტყვათა შესწორება-შეცვლა ზოგჯერ ნაქარნახევია არა ლაკონურად და
უფრო მხატვრულ ფორმებში აზრის ნათლად გადმოცემის საჭიროებით, არა-
მედ სოციალური ინტერესებით. მაგალითად, „მსახურთა უთხრა“ (F)—არ მო-
ითხოვს განმარტებას, აზრი ნათელია. მაგრამ ფეოდალურ საქართველოში მსა-
ხურს არ ეტყოდა ზედამდგომელი (ბატონი, უფროსი), არამედ უბრძანებ-
და. ვასაგებია, რომ ვახტანგ VI წაუშლია უთხრა და ამის ნაცვლად დაუ-
წერია უბრძანა.

F

მსახურთა მისთა უბრძანა: ნუ აწყენთ, ცოტა ამნეო.

თ) პირის შეცვლა.

F

შენთა ტრფიალთა კეთილი არ მიეცემის კარითა.

C

მისთა ტრფიალთა კეთილი არ მიეცემის კარითა.

F

კეკლუცი ხარ ტურფა რამე, უკაზმავი მოიბალით.

C

კეკლუცია ტურფა რამე, უკაზმავი მოიბალით.

F

მიწისგან რაცა გამოვა, მუნვე არს მიმქცეველია,
ვერას ვერ იტყვის უარსა, ტკბილია ანუ მწველია,
მაშ, შენგან რაც გამოვა, შენდავე შემთხვეველია,
და სხვას ნუ აბრალებ, თავისა შენვე ხარ გამრეველია.

A

მიწისგან გამომავალი მიწადვე მიმქცეველია,
ვერას ვერ იტყვის უარსა, სიტკბოა დასაწველია,
რაცა ვისგანვე გამოვა, მისდავე შემთხვეველია,
და ნუვის აბრალებ, შენვე ხარ თავისა გამრეველია.

ამ სტროფის პირველსა და მეორე ტაეპნი განმარტებულია ბუნების კანონი. ორივე ტაეპი (F), შინაარსის ნხრივ, უცვლელად არის დატოვებული A ხელნაწერში. მაგრამ სტროფის მესამე ტაეპიდან ჩანს სხვაობა F და A რედაქციებს შორს. პირველ რედაქციაში (F)—ბუნების კანონის პარალელს წარმოადგენს ერთი ადამიანის (მეორე პირი) მოქმედება—მდგომარეობა. მეორე რედაქცია (A) აღარებს ბუნების კანონს არა ერთი ადამიანის (მეორე პირი), არამედ საერთოდ ადამიანის (მესამე პირი) მოქმედებას. ამასთან დაკავშირებით ტაეპში მეორე პირი შეცვლილია მესამე პირით:

A

ვისგანა რაცა გამოვა, მისდავე შემთხვეველია.

რადგანაც ბუნების კანონი ვრცელდება საერთოდ ყველა ადამიანზე, მას აგრეთვე ძალა აქვს ერთი ადამიანის (მეორე პირი) მიმართ:

A

ნუვის აბრალებ, შენვე ხარ თავისა გამრეველია.

შედარება (ბუნება, ადამიანები და ერთი ადამიანი) მიემართება ზოგადიდან კერძოსაკენ.

ი) სიტყვათა გადაჯგუფება ტაეპში.

F

რძალს მწვე უნდა მისვლა ჩემი, მაწვევს ხოლმე, დიად, ხშირად.

E

რძალს მწვე უნდა ჩემი მისულა, მაწვევს ხოლმე, დიად, ხშირად.

F

სჯობს მერცხალი მწვე ბულბულსა და ის უფრო ნაქებია.

D

ბულბულებსა მერცხალი სჯობს იგი არი ნაქებია.

სიტყვათა გადაჯგუფებით აღდგენილია წინადადების ძირითადი წევრების—ქვემდებარისა და შემასმენლის—თანამიმდევრობა. მაგრამ ზოგჯერ, შესწორების შედეგად, ეს თანამიმდევრობა დარღვეულია.

F

სულმა უთხრა: უგუნურო, რადგან ვარ შენზე მეფე.

A

უთხრა სულმან: რადგან ვარ პატრონი და შენი მეფე.

2. ტაიპის ძირითადი ცვლილებანი.

ა) შეცვლილია ტაიპის პირველი ნახევარი.

F

უჯობს კაცსა სოფლით გასვლა, თვარ ლახვარი შეეყრების.

A

ვინ არ მისდევს სადევარსა, მას ლახვარი შეეყრების.

A რედაქცია გვიჩვენებს, F რედაქციასთან შედარებით, არა მარტო ლექსიკურ, არამედ შინაარსობრივ სხვაობასაც.

ლექსიკური ხასიათის ცვლილება ყოველთვის არ იწვევს ტაებში შინაარსობრივ ცვლილებას. აი, მაგალითი.

F

რაც შეგძლოს, მას ეცადე, სხვას ნუ ეძებ გარის-გარა.

A

შესაძლისა აღმოსწიე, ნუ ეძიებ გარის-გარა.

უნდა შევნიშნოთ, რომ პირველი რედაქციით (F), ე. ი. გადამუშავებამდე ტაების პირველი ნახევარი უფრო გასავები ჩანს, ვიდრე საბოლოო შესწორების შემდეგ.

ბ) შეცვლილია ტაიპის მეორე ნახევარი.

F

თუ ცეცხლით თივა გაზარდო, ცხვარს მისცე საკმაოდ მგელია, დათვი შეედანს აბურთო, ქათამს ამოყვსო მელია, ტვირთი პეპელას აკიდო, ვირი ქნა კაი მზმელია, და აღვისრულდების მაშინა, რაცა გაქვს საწადელია.

მეორე და მესამე ტაების მეორე ნახევარი F ხელნაწერშივე მთლიანად

შეუცვლია ავტორს.

დათვი შეედანს აბურთო, ვირი ქნა კაი მზმელია,

ტვირთი პეპელას აკიდო, კრელი ფრთით გამფრენელია.

დამოწმებული სტროფი ყურადღებას იპყრობს თავისი აღნაგობითაც, ხუთი შეუძლებლობაა გამწკრივებული, რომლისაგან გამომდინარეობს ერთი შესაძლებლობის უარყოფა.

გ) ტაეპის მთლიანად შეცვლა.

F

უღონობით დავერჩომილევარ სატროფოსაგან ასე მწირად.

C

არ მინათებს ლამპარს ზეთი, ვიქმენ მისგან განაწირად.

3. სტროფის ძირითადი ცვლილებაანი.

ა) ტაეპის ადგილმონაცვლება.

F

1. არვინ არის სოფლისაგან ჩემებრ სამე წამონარცხით,
2. გარდამავლო მართ ვითამცა საწუთრომან წამონარცხით,
3. ჩემი მათზე ავი რამე არ თუ კაცთა წამონარცხით,
4. და ის დიდება პირველ ჩემი აწ არა მაქვს წამონარცხით.

შიც. ამ სტროფის ტაეპთა რიგი უცვლელად არის დატოვებული B კრებულ-

D

1. უნახია სოფლისაგან ჩემებრ რამე წამონარცხით,
 2. ჩემი მათგან დსაკლისი არ თუ კაცთა წამონარცხით,
 3. გარდამავლო საწუთრომა ასე ვითა წამონარცხით.
 4. და დიდებანი პირველივე აღარა მაქვს წამონარცხით,
- ჩანს, რომ D-ს მესამე ტაეპი შეესატყვისება F და B-ს მეორე ტაეპს.

ბ) რითმების შეცვლა.

F

მეტროფისთვის გვიხამს ტირილი, მოლბეს და შეგვიწყალოსა,
გაქრა მინდორად ტყე და კლდე, სოფელსა გაეძალოსა,
რას ვაქნეთ სოფლის სიმდიდრეს, თუ ისევ მოგვეკრძალოსა,
ვასრულოთ მისი ბძანება, რაც ბძანოს მისმა რძალოსა.

B

ჩემთვის სატროფო, შენთვის ესტორ მოლბე და შემეწყალო და,
გავიქრე მინდურად ტყე და კლდე სოფელსა გაეძალო და,
რას ვაქნეუ სოფლის დიდებას, თუ შენ კი მომეკრძალო და,
ვასრულოთ მისი ნებანი, რაც ბრძანო მისმა სძალო და.

რითმების შეცვლა დაკავშირებულია პირის შეცვლასთან.

გ) ზუნღოვანი ადგილის გასწორება სტროფში.

F

რა შესმოდა ესე ჩემგან ამაღ გელტვის, გეკრძალების,
ებრძანა თუ: ეგე საქმე კაცისაა მწვე ნაკლების,

მე კაცს ვეძებ კაცთა წესსა, ღირსი იყოს ჩემი ხლების,
 თვარ პირუტყვეთა საქციელი ჩემგან არის გაუძლების.

მეოთხე ტაეზი ცალკე—სრულიად გასაგებია, მაგრამ სტროფის სხვა ტა-
 ებთან არ არის შეხამებული თავისი შინაარსით; იგი ჰქმნის ერთგვარ ბუნდო-
 ვანობას სტროფში.

ლექის მოკლე შინაარსი ასეთია: ქალი ეძებს ღირსეულ კაცს და წუნობს
 პირუტყვის საქციელს. რა კავშირშია ღირსეული კაცის ძიება პირუტყვის საქ-
 ციელთან? ეს ბუნდოვანი აღგილი შემდეგ გაუსწორებია ვახტანგს.

რა იხილა ესე ჩემზე გამრიდა და მეკრძალების,
 ებრძანა თუ: ეგე საქმე კაცისა მწვე ნაკლების,
 კაცთა ვეძებ კაცთა წესით, ღირსი იყოს ჩემის ხლების,
 და თვარ პირუტყვეთა მიმბაძავთა ჩემგან აღარ გაეძლების.

ღ) მაღალი შაირი შეცვლილია—დაბალით.

F

მიკვირს სოფლის გულისათვის კაცი ასე რად იჭირვის.

D

უცხოა ამის გამოით ვინმეცა სად იჭირვისა.

ე) სიტყვათა ეკონომია.

F

ბლუნძველა ყაჭსა აკეთებს ვერად ვერ მოიხმარებსა,
 მაგრამ ცუდათა ყოფნისთვის მისავე ქსელსა არებსა,
 მეც ისეუ დავრჩი უსაქმო, მოვწორდი სპათა ჯარებსა,
 ხან ამ ცუდსა ვიქ, ხან სხვა ცუდს, ვლეუ სოფლის ცუდსა არებსა.

D

ბლუნძველა ყაჭსა აკეთებს ურგებსა, მოუვმარებსა,
 ცუდაობისთვის ქსელებსა დაახვევს, შემოარებსა,
 დანარჩომილი უსაქმოდ მოვწორდი გასაჯარებსა,
 საცუდმადოსა საქმეთა გამოვატარებ არებსა.

F სტროფი შეიცავს 30 სიტყვას, აქედან D-ში შესულია უცვლელად—5,
 გადაუშუშავებელი სახით (F—დავრჩი, D—დანარჩომილი)—8, გამოუყენებე-
 ლია—17.

ტაეპის შემადგენელი სიტყვების რაოდენობა მინიმუმამდეა დაყვანილი D
 სტროფში. შედარება გვიჩვენებს ასეთ სურათს:

F

D

ტაეპთა რიგი. სიტყვათა რაოდენობა ტაეპში. ტაეპთა რიგი. სიტყვათა რაოდენობა ტაეპში.

I	6	I	5
II	6	II	4
III	7	III	4
IV	11	IV	4

ვახტანგ VI თხზულებათა ფრაგმენტები

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგჯერ შემცირების შემდეგ, კვლავ გადიდებულია სიტყვათა რაოდენობა ტაევში. მაგალითად.

F

სიტყვათა რაოდენობა ტაევში

ნახე, კაცი რამთონით სჯობს, რა მეტი აქვს შესაგვანი—8

C

ნახე, კაცი რამთონით სჯობს, რამთონი აქვს შესაგვანი—7

D

უმჯობე აქვს კაცობასა რამთენი აქვს შესაგვანი—6

A

მას კაცი სჯობს რამდონ რივად, რამთონი აქვს შესაგვანი—8

ვახტანგ VI თხზულებათა ხელნაწერი კრებულების ურთიერთ შედარებით ირკვევა, რომ ლექსების გადამუშავება ძირითადად მიმდინარეობს სტროფის თითოეულ ტაევში სიტყვითა რაოდენობის შემცირების მიმართულებით.

ვახტანგ VI სხვადასხვა ხერხით აღწევს ტაევში სიტყვათა რაოდენობის შემცირებას.

ა) მრავალმარცვლიანი ერთი სიტყვით სცვლის რამდენიმე მოკლე სიტყვას. აი, მაგალითად:

F

ა რ ვ ი ნ ა რ ი ს სოფლისაგან ჩემებრ სამე წამონარცხით.

B

ვე რ ვ ი ს ვ ხ ე დ ა ვ სოფლისაგან ჩემებრ რასმე წამონარცხით.

D

უნ ა ხ ი ა სოფლისაგან ჩემებრ რასმე წამონარცხით.

ვახტანგ VI ზოგჯერ ხელოვნურად ავრცობს სიტყვას. მაგალითად:

F

D

მე კაცსა ვეძებ კაცთა წესსა... წესიერსა გამოვეძებ...

F

მაშინლა მივსცე უკვდავი ხლებისა არა ძვირობა

D

მაშინლა მიეხუედრების უკვდავი დაუძვირობა

F

D

თუ დამაკლეს, რა დამაკლეს... დამაკლესცა რა დამაკლეს

F

სულმან უთხრა: უფუნურო, რადგან ვარ შენი მეფე, შენ ჩემი ხარ კურო რამე, საყვარელი გულის სეფი, ამოდ მოგდევ ნდომისაგან არ შემექნა გასაყლელენ, და შენ შენს ნი[ვ]თსა შეერევი, მე დავრეჩები მტერთ საყუფე.



A

უთხრა სულმან: რადგანა ვარ პატრონი და შენი მეფე,
ჩემი ხარო ქუთრი რამე, სამყოფელი, გასასეფე,
მიგდევ შენსა სანდომელსა, რაცა გწადდეს, გაიფე,
და ნივთთა შენთა შეერთვი, მე გავხდები მტერთ საყუფე.

დამოწმებული სტროფი სხვა მხრივაც არის საყურადღებო. ის შეიცავს სულისა და ხორცის გაბაასების მოტივს.

სულისა და ხორცის გაბაასება—საკმაოდ ცნობილი თემაა აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში. სულისა და ხორცის დაპირისპირება აშკარაა ვნებს სულის უპირატესობას, მაგრამ დაპირისპირებულთა ურთიერთობის საკითხს სხვადასხვაგვარად სწვევტენ ქართველი პოეტები. მაგალითად, დავით გურამიშვილი ვერ ხედავს სულისა და ხორცის ჰარმონიის საფუძველს.

სულია ღვინო კეთილი,

ჯორცი ქურჭელი მყარალა¹.

ვახტანგ მეექვსეც სულს ანიჭებს უპირატესობას, სული მეფეა, მაგრამ მას უყვარს მისი სამყოფელი ანუ ქუთრი—ხორცი.

F

შენ ჩემი ხარ ქუთრი რამე, საყვარელი გულის სეფე.

სულისა და ხორცის დაპირისპირებულობაში მოძებნილია ერთიანობის შეთავსების საფუძველი.

ვ) სტროფების გამოთიშვა.

F ხელნაწერში დაცული ის სტროფები, რომელიც ვახტანგ VI სხვადასხვა ადგილას ჩაურთავს თავის თხზულებებში, ცოტა თუ ბევრად უკავშირდება შინაარსით ამ თხზულებათა სხვა სტროფებს, მაგრამ მაინც ვერ არის მიღწეული ორგანული მთლიანობა. საფიქრებელია, ვახტანგ VI გრძნობდა მისი ზოგიერთი ლექსის (მაგ. „სატრფიალონი“) ამ თავისებურებას და სხვადასხვა კრებულში—ერთიდაგივე ლექსის სტროფებს, ალბათ, მათ შორის მეტი შინაარსობრივი კავშირის დამყარების მიზნით, უცვლიდა თანმიმდევრობას. ზოგჯერ ლექსს აკლებდა სტროფს ერთ კრებულში, მაგრამ შემდეგ სხვა კრებულში შეტანისას იმავე ლექსს კვლავ ჰმატებდა დაკლებულ სტროფს. აი, ერთი მაგალითი ლექსიდან „სატრფიალონი“.

სტროფების რიგი	C	B	D	A
	92 (დასაწყისი: „ზღვაში ვნახე“...)	92	92	92
	93 (ჩემებრ ცოდვილია...)	93 (აკლია)	93	93
	94 (თუ თივა...)	94	94 (აკლია)	94

ზ) სტროფების ადგილმონაცვლევა.

ლექსი „სატრფიალონი“-ს ზოგიერთი სტროფი განსხვავებულად არის დალაგებული E ხელნაწერში.

¹ დავით გურამიშვილი, თხზულებათა კრებული, ტექსტი, გამოკლევა, ლექსიკონი—აღ. ბარამიძის და ს. იორდანიშვილის რედაქციით, გვ. 114, სტროფი 460, 3—4.

E	K
129 (დასაწყისი: „კარგს მოლაშქრეს“...)	130
130 (ოქრო მიწა...)	131
131 (დამრგველმა მისმა...)	135
132 (იოსებისთვის განეგო...)	136
133 (ნუ გიკუირს...)	137
134 (ეს სოფელი...)	138
135 (ყვავილთა ტურფა ბიბინი...)	139
136 (გნახე ბერი ყრბათა უყრმე...)	140
137 (უგუნურსა სქირს...)	129
138 (ნურც იძიძიმებ, ნურც იხარებ...)	132
139 (რა მოვა საქმე საზეო...)	133
140 (ცუდად ვიყავ სოფლისაგან...)	146
141 (შენი ტრფიალნი შენს ნახვას...)	134
142 (ძოწ ტურფადთ...)	არ არის
143 (თუ შენს ტვირთს...)	141
144 (თუ სიტყუას...)	142
145 (ისარსა გავს პირით სიტყუა...)	143
146 (ბუზს მწვევ მიგავს...)	144
147 (კაცს გულს აურევს...)	145

სტროფების რიგი

ვახტანგ VI პრავლმხრივ, ხანგრძლივად მიუშაობა თავის თხზულებებზე გვარწმუნებს იმაში, რომ ავტორს სურდა აზრი გადმოეცა სრულად, ნათლად და გასაგებად, უფრო მხატვრულ ფორმებში და ლაკონურად.

აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში პირველად თეიმურაზ I დასვა საკითხი პოეტური შემოქმედების ბრძმედში ლექსის გახალასება-გაწმენდის შესახებ.

მელექსემან ხამს, თუ სიტყვა ახალასოს, წმინდად ვერცხლოს¹.

არც თეიმურაზ I, არც სხვა რომელიმე პოეტს ისე ხანგრძლივად და საუფძღლიანად არ უხალასებია თავისი ლექსის თითოეული სიტყვა, როგორც ვახტანგ მეექვსეს.

გადაუმუშავებლად, კრებულის გარეშე დარჩენილ, დღემდე სრულიად უცნობ იმ სტროფებს, რომელიც F ხელნაწერში დაცულ სხვა სტროფებთან ერთად თავის ადგილას გვაქვს მოტანილი, აქვე ცალკე ვაქვეყნებთ:

ვახტანგ ჯოხზე დასწერა:

6. ერთპირობა ყოვლის ვისმე ამას მგვანობს, ამას დარობს, ამის ტოლი, რომ მივაკრათ, ოთხი, ხუთი ანუ ჯარობს, ვერვინ გასტეხს მწვევ ადვილად, მოზიდვითა თუ ვინ ემარობს, და ერთი, დიად, მალ გატყდება, ცოტა ძალი მალ ეკმაროს.

¹ თეიმურაზ პირველი, თხზულებათა სრული კრებული, ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი, აღ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით, გვ. 4. სტროფი 11,4.

7. ამ ჯოხს ძალუც თვალში იკრას, წაითხაროს, წაიმწაროს,
 ესეც ძალუც დაიბჯინო, მოვისვენოს, მოგეხმაროს,
 სწერო ზედა საღმთო სიტყუა და საერო რომ გეკმაროს,
 ყუელა კაცოჲს საგმრად იქმნა, თუ კარგისთჲს არ იზაროს.
10. მართალ არს ერთი პირობა ბეურთ სუსტისა[ა] მძლელ მაგრობსა
 ვით ეს ფიცარი ერთ სესტი, თუ სხვაცა თანა მყარობსა.
 უსაქმობასვე საქმე სჯობს, თუ ვინმე ცუდად მჯდარობსა,
 და ნუ თუ რას ველით ხან წავლით, ნუ ვინმე შემუღარობსა.
11. ვაი, სამნეო(?), სამნეო, ასე რად გამისამნეო,
 არ მომცა, გული დამიწვა და დარჩა გაუსამნეო,
 უთხარ: ამგვარსა საქმეზე ნეტარ თუ რად მაწამნეო.
 მსახურთა მისთა უბრძანა: ნუ აწყენთ, ცოტა ამნეო.
 ის დარჩა, მე კი წამოველ, სხვა ვერა შევიწამნეო.
 დავჯექ და ღმერთსა ვეხვეწე ეს საქმე დამიამნეო.
 და ვახტანგ, ამგვარსა საქმესა კვლავ ნულარა იქ სამნეო.
44. ქალ თუ ყოველისა მხედველი ვერა დროს ვერა ნახავსა,
 მეფე ხანდიხან, მაგრამე ზოგჯერ იმათგან ახავსა.
 სხვა კაცი ყოველთვის უყურებს და მათსა სახეს სახავსა,
 ბრძენად ჩავაგდებ ვინც ამას მის მსგავსად განიზრახავსა.
45. ვარდს ეტრფის მიწყივ ბუღბული, სული უყვარს და ფერები,
 რომ იმისთანა შეიქნას, ქონდეს ასეთი წერები,
 ის უფუნური მას ცდილობს[ა] კარგ იყოს შესამზერები.
 სახედ უქნია მოკმედსა ვიყოთ მის შესაფერები.
61. ცრუ არის ვინც სოფლისათვის ზრუნავს, კმუნავს, შეწუხდების
 ღმერთმან იცის ვინ იშოვნის, ვინ იღვწის და ვის მიხვდების.
 ვახტანგ VI ერთი უცნობი, პატარა ლექსი ბოლოში ერთვის C ხელნა-
 წერს. (ფ. 48v). აი, ეს ლექსიც.
1. მიწა ვართ კაცი ყოველი, მიწისგან დანაბადია,
 სახელოვნება კაცისა კვამლია განბნევალია,
 ბოლო ყოველთა—ნაცარი, ვინც ვისმე მწეთა ხადია,
 და მაშ რაღას ვსწუხვარ, თუ ცოდვა შემქონდეს განახადია.
2. საწუთთა საცთურითა, ვარ საქმისა უნაწილო.
 მოყვარეთა ცრემლი სცვივა, მტერთა გავზე სასაცილო,
 ქაში ვზივარ, უსაბლოსა არვინა მყავ ამაცილო,
 და თუ ღმერთსა სწადს, ადრე იქნას, რომ, სოფელო, გაგაწილო.
3. რალა დარჩათ სევდის წამლად, რომ რამ მეთქვა სულიერი,
 ზღაპრობას შლის ესაია, მცნება არის ზეციერი,
 თუცა იყო თემსა ჩვენსა კინკლოსები წესიერი,
 და ეს მათშიგან, ვახტანგ, შევრთე სახსოვარი ჩემიერი.

4. ქება მესმა ბევრთ კაცთგან აქაური მრავალფერი,
ტკბილია და მოალერსე მუნებური ყრმა და ბერი,
ვინც მიენდოს, არ უტყუნონ, პატივი სცენ შესაფერი,
და რა მართლა თქვეს, მატიანეს მათთანმც არი დასაწერი.

ამგვარად ვახტანგ VI ლიტერატურულ მემკვიდრეობას ემატება დღემდე სრულიად უცნობი 45 ლექსითი სტრიქონი.

ამ, დღემდე უცნობ, ლექსებში გამოიჩინება ორი მოტივი: მიჯნურობა და პატრიოტიზმი.

მიჯნურობის მოტივი ორი სახითაა წარმოდგენილი. პირველი: ვარდისა და ბულბულის მიჯნურობა.

ვარდს ეტრფის მიწყივ ბულბული, სული უყვარს და ფერები.

რომ იმისთანა შეიქნას, ქონდეს ასეთი წერები,

ის უგნური მას ცდილობ[ს] კარგ იყოს შესამზერები.

სახედ უქმნია მოქმედსა ვიყოთ მის შესაფერები.

ვარდისა და ბულბულის მიჯნურობის მოტივი საქმოდ არის ცნობილი აღორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში. ვახტანგს არ მოუცია მისი აზლებურად დამუშავება.

მიჯნურობის მეორე სახე, რომელიც გამოხატავს ქალ-ვაჟის ურთიერთობას, ორნაირად არის ნაჩვენები. პირველია—იდეალური მიჯნურობა. მას იცნობენ არა მარტო უბრალო ადამიანები, არამედ მეფენიც—აღჭურვილნი განუსაზღვრელი უფლებებით.

ქალ თუ ყოვლისა მხედველი ვერა დროს ვერა ნახავსა,
მეფე ხანდიხან, მაგრამე ზოგჯერ იმათგან ახავსა,
სხვა კაცნი ყოვლთვის უყურებს და მათსა სახეს სახავსა.
ბრძენად ჩავადგებ, ვინც ამას მის მსგავსად განიზრახავსა.

ხორციელი მიჯნურობის კონკრეტული ფაქტი აღუბეჭდავს ვახტანგის ერთ ლექსს.

ვაი, სამნეო(?), სამნეო, ასე რად გამისამნეო,
არ მომცა, გული დამიწვა და დარჩა გაუსამნეო.
უთხარ: ამგვარსა საქმეზე ნეტარ თუ რად მაწამნეო.
მსახურთა მისთა უბრძანა: ნუ აწყენთ, ცოტა ამნეო.
ის დარჩა, მე კი წამოველ, სხვა ვერა შევიწამნეო.
დავჯექ და ღმერთსა ვეხვეწე ეს საქმე დამიამნეო.
და ვახტანგ, ამგვარსა საქმესა კვლავ ნულარა იქ სამნეო.

პატრიოტულ მოტივს, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ვახტანგ VI ორიგინალურ თხზულებებში. დღემდე უცნობ ლექსებშიც მძლავრად იგრძნობა ვახტანგ VI პატრიოტიზმი, რომელსაც სათავეები აქვს ქართველი ხალხის ცხოვრების სინამდვილეში.

ფეოდალურ საქართველოს დაქსაქსულობამ, შინაგანმა უთანხმოებამ შეასუსტა სახელმწიფოს ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება. საქართველოს,

რომელიც დაყოფილი იყო ცალკეულ სამეფოებად, უპირისპირდებოდა მაჰმადიანურ სამყაროდან ძლიერი მტრები — სპარსეთი და ოსმალეთი. ასეთ პირობებში საქართველოს მთლიანობის აღდგენას ჰქონდა უდიდესი მნიშვნელობა. გასაგებია, რომ ერთობის იდეის ქადაგებას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ალორძინების ხანის ქართულ ლიტერატურაში. «ქართლის კირის» მოზარე დავით გურამიშვილი ასე მოსთქვამდა:

კახელების აღმა ჳნული ქართველებმა დაღმა ფარცხეს,
 ძმამ ძმას საჭრე ვადუჭირა, მტერთ კომბალი თავში დასცხეს¹.

სულხან-საბა ორბელიანი — მეფისა და მისი შვილების იგავით ასწავლიდა ქართველ ხალხს, რომ ძალა ერთობაშია².

ერთობის იდეის მგზნებარე მქადაგებელია ვახტანგ მეექვსეცე. ერთპირობა ყოვლის ვისმე ამას გვანობს, ამას დარობს, ამის ტოლი, რომ მივაკართ, ოთხი, ხუთი ანუ ჯარობს. ვერვინ გასტეხს მწვე ადვილად მოზიდვითა თუ ვინ ხმარობს. და ერთი, დიად, მალ გატყდება ცოტა ძალი მალ ეკმაროს.

ვახტანგ VI კიდევ სხვა მაგალითით ცხადპყოფს ერთობის მნიშვნელობას: მართალი არს ერთპირობა ბეურთ სუსტისა[ა] მძლედ მაგრობსა, ვით ეს ფრცარი ერთ სესტი თუ სხვა(ა თანა მყარობსა.

საქართველოში ერთობის დარღვევის შედეგები მწარედ განიცადა ვახტანგ VI. ქართული კულტურის დიდი მოამაგე მეფე — პოეტი მოაშორეს სამშობლოს და გაიწვიეს ისპაანში. «კინკლოსის» ხელნაწერს (G) დართული აქვს ანდერძი, რომელიც მოკლედ აღმოგვცემს ვახტანგ VI ამ თავგადასავალს.

«ოდეს გარდავემეტე ცოდვითა ტომსა მას ჩემსა მანასეს, ამასთვის მსგავსად მისა მივეცი მეცა ჳელთა უცხო თესლთასა. ქეს აქათ ჩლიბ, აბ. — კბ წამოველ ტფილისით და ივლის დ მოველ ისპაანს და აწ ვიმყოფები აქა. დადაცათუ პატევემულ ვარ, არამედ მწირ ვარ. წესია ჩემებრთა მწირთა თავის-წინობა და ხალვა. ვინათგან ესე ესრეთ არს, უქმად ყოფას ეუფლების მოწყინებ[ა], და ვინათგან მოწყინება დედა არს ყოვლისა ცოდვისა, ნუკვე შეესძინო ცოდვა ცოდვასა ჳედა, აღვიღე ჳელთსაქმარად წინა მღებარე ესე. უკეთუმცა არს ქართლსა შინა კინკლოსნი, ჳელთა და ქორონიკონი, მიზეზითა მრავალნი ვერას იცნობენ და არცა იცნობებე რაოდენი ამაშინა წერილ არს. დადაცათუ სხვანიცა იშოებოდა საქმენი, უქმობისა წამლად იტყვის მოციქული: შეეწეოდეთ ურთიერთსა. თუცა ხმისა მის მსმენელნი ჩემთვის თემთა და ძმთა ჩემთაგანი არავინ არს და განგდებულ ვიქენ, ვითარცა მკვდა[რი], მოძაგებული მათგან, ხოლო მე არავე დამაშურალ ვარ შეწევნასა მათსა რაოდენი რა ძალმიც. ხოლო ჳელთსაქმარი ჩემნი აქათგან ვერა რომელი ესრეთ შეეწევიან, ვი-

¹ დავით გურამიშვილი, თხზულებათა კრებული. ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი. აღ. ბარამიძის და ს. იორდანიშვილის რედაქციით, გვ. 51, სტროფა 182, 1—2; 5—6.

² სულხან-საბა ორბელიანი, «სიბრძნე სიტრუსა», გიორგი ლეონიძის რედაქტირებით და ს. იორდანიშვილის რედაქციით, გვ. 47.

თარ ესე, და ამად დავშვერ და აღვსწერე და გამოვიღე თვით თავით ჩემით მე მეფემან ვახტანგ, ვინც გამოიყენოთ რასმე, შენდობასა ყოფდეთ ჩემთვის. ქ'ეს აქათ ჩლიგ, ჩემდაცა ჯერ იყო აღწერა, ნუკვე რისხვასა შინა არა მოიხსენოს წყალობა. ასე მომიხდეს საქმე, სამღდელოთაგანი აღარავინ მყვანდეს.¹

ანდერძი დათარიღებულია 1713 წლით. თვე არ არის აღნიშნული. მაგრამ შესაძლებელია ამ თარიღის უფრო დაზუსტდება. ვახტანგი ჩივის, რომ მას თან არ ახლავს სამღდელოთაგანი. როგორც ცნობილია, ვახტანგს ისპაანში გაპყვა სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც 1713 წლის აგვისტოს გაემგზავრა ევროპაში. ვახტანგი იმყოფებოდა ისპაანში 1714 წლის 10 მარტამდე. მასასადამე, „კინკლისი“ ბოლოს დართული 16 სტრიქონიანი ლექსი და ანდერძი დაწერილია 1713 წლის 18 აგვისტოდან 1714 წლის 10 მარტამდე.

სამშობლოს მოშორებული პოეტი თავის უსაზღვრო მწუხარებას აქსოვს მშვენიერ ლირიკულ ლექსში.

საწუთოა საცთურიძა, ვარ საქმისა უნაწილო;

მოყვარეთა ცრემლი სცვივა, მტერთა ვაგზე სასაცილო.

ქაში ვზივარ, უსაბლოსა არვინა მყავ ამაცილო,

და თუ ღმერთსა სწადს, ადრე იქნას, რომ, სოფელო, გაგაწილო.

ამ ლექსში იგრძნობა ვახტანგ VI მებრძოლი სული. ვახტანგი არ მიდის სასოწარკვეთილებამდე, არ ჰკარგავს იმედს უკეთესი მომავლის მოლოდინში. ამ ოპტიმიზმის დაუმორეტელ წყაროს, სულიერი სიმტკიცის საძირკველს წარმოადგენს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული.

სპარსეთში მყოფი ვახტანგ VI საქართველოზე ფიქრობდა და ზრუნავდა. მისი მოსვენება—ეს იყო ქართველი ხალხისათვის, ქართული კულტურის განვითარებისათვის საპირო საქმის კეთება. ჰემმარიტად ვახტანგ VI შეეფერებოდა ძველად თქმული: „არა ვჰსცე ძილი თვალთა ჩემთა, არცა ჰრული წამთა ჩემთა, არცა განსუენება ჳორცთა ჩემთა“. სიცოცხლეში მოუსვენარს, სიკვდილის შემდეგაც არ ეღირსა მშობლიურ მიწაში განსვენება.

¹ საქართველოს ცენტრარქივის ფონდი 233/8, ხელნაწერი № 484 ფ. 49.

Ф. БЕГИАШВИЛИ—„ИСТОРИЯ ДРЕВНЕГРУЗИНСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ“

V—XII სს. თბილისი, 1949, გვ. 240

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე აგებული ქართული ლიტერატურის ისტორიის კურსი დღემდის არ დაწერილა. არ მოგვეპოვება ამ ისტორიის არც ცოტად თუ ბევრად სრულყოფილი საერთო მიმოხილვა. მოთხოვნილება ასეთი მიმოხილვისა, განსაკუთრებით რუსულ ენაზე, დიდია. თ. ბეგიაშვილის სარეცენზიო წიგნის გამოსვლა მისასალმებელი იქნებოდა, რომ ის მინიმალურად მაინც უბასუხებდეს საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე მდგომარეობას. თ. ბეგიაშვილი თავის ნაშრომს აქვეყნებს როგორც „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის სისტემატიურ კურსს XII საუკუნის გასულამდე“ (წინასიტყვაობიდან), სამწუხაროდ, ნაშრომი ოდნავადაც ვერ ამართლებს ასეთ დანიშნულებას: ის დაბალი იდეური ღონისაა, იდეოლოგიური და ფაქტოლოგიური ხასიათის უამრავ შეცთომებსა და დამახინჯებებს შეიცავს, ზერელეა და უწესრიგა.

დაეწყეთ იქიდან, რომ თ. ბეგიაშვილს თავისთვის არავითარი დასკვნები არ გამოუტანია იმ ბრძოლებიდან, რომელიც ჩატარდა ბურჟუაზიული კოსმოპოლიტიზმის, ანტიბატრიოტიზმისა და მშობლიური ლიტერატურის ისტორიის გაყალბების წინააღმდეგ. ავტორი იცნობს ვაზეთ „კომუნისტის“ ცნობილ სარედაქციო წერილს (II.V.49). ამისდამიუხედავად იგი არა თუ არ ემიჯნება თავის ადრინდელ შეცდომებს, არამედ ახლაც მკაფიოდ ამტკიცებს ბურჟუაზიული ევროპისა და პატრიარქალურ-ფეოდალური აღმოსავლეთის მიმართ მონური ქედმობრლობის მიდრეკილებას. თ. ბეგიაშვილი ეპიური სიმშვიდით იუწყებს, რომ თურმე XI—XII საუკუნეებში: „Грузию залила волна иранских литературных течений, находивших восторженный прием в особенности среди светской части феодальной общественности“.

ეს ცოტაა. ავტორი ქვევით განაგრძობს: „Сильно лает звать о себе философское направление, известное под названием суфизма, с его культом вина и любви. Думается, что в развитии культа женщины, возникшего на почве феодально-рыцарского преклонения перел „прекрасным полом“, эти направления имели бесспорное значение“ (გვ. 86). ამგვარად, გამოდის, რომ თავისი მატერიალური და სულიერი ძალების უაღრესად განვითარების პერიოდში საქართველო მოუცავს უცხოურ ლიტერატურულ მიმდინარეობებს, რომლებსაც „აღფრთოვანებით შეხვედრია“ ქართული საერო-ფეოდალური განათლებული საზოგადოებრიობა. თ. ბეგიაშვილი ამტკიცებს, რომ „მანდილოსნის კულტის“ შექმნაში უცილობელი როლი უნდა ეთამაშა სპარსულ-მუსლიმანურ რეაქციულ თეოსოფიას, რომელსაც სუფიზში ეწოდება და რომელიც თ. ბეგიაშვილს ფილოსოფიური მიმართულების ხარისხში აჰყავს. ქართულ მეცნიერებაში დიდი ხანია განმტკიცებულა ის აზრი, რომ მანდილოსნის კულტი საქართველოში აღმოცენდა და განვითარდა ეროვნულ

ნიდაგზე. აღნიშნულის შემდეგ გასაკვირი არ არის, რომ „ისტორიული მეცნიერების, გეოგრაფიის, მედიცინის და სხ. დარგების განვითარებას“ XI—XII საუკუნის საქართველოში თ. ბეგიაშვილი უკავშირებს მეცნიერების უწყებულო დარგების წარმატებას არაბულ-მუსლიმანურ სამყაროში (გვ. 85—86). თ. ბეგიაშვილი არ ცნობს ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანის ძველი კულტურის თავისთავადობას. XI—XII საუკუნეების შირვანსა და ირანს იგი აცხადებს უბრალოდ „ირანის პროვინციებად“, რომლებიც წარმოადგენდნენ „ირანული კულტურისა და ლიტერატურის ცენტრს“ (средоточие), „ირანული კულტურული და ლიტერატურული ტრადიციების გამტარებლებს“ (გვ. 86). განთქმული პოეტები ნიზამი და ხაკანი ხან აზერბაიჯანული კულტურის გამომხატველებად არიან მიჩნეული, ხან სპარსულ-მუსლიმანურისა (86, 129).

საერთოდ და მთლიანად თ. ბეგიაშვილი იცავს და ავითარებს საბჭოთა მეცნიერული საზოგადოებრიობის მიერ უკვე მხილებულსა და დაგმობილ ბურჟუაზიული ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისს. ეს რაც შეეხება აღმოსავლეთს, მონურ ქედმოხრას იჩენს თ. ბეგიაშვილი დასავლური ბურჟუაზიული კულტურის წინაშეც. წინააღმდეგ ისტორიული ფაქტებისა, თ. ბეგიაშვილი ფიქრობს, ვითომც XVII—XVIII საუკუნეების საქართველოში სასწავლებლები „იხსნებოდა უმთავრესად კათოლიკე მისიონერების ინიციატივის შედეგად“ (გვ. 18). ამ ყალბ თვალსაზრისზე მდგომი ავტორი შემდეგ დებულებასაც აყენებს: „Постепенное знакомство грузин с западно-европейской культурой через католических миссионеров или через лиц, побывавших в Европе и получивших там образование, меняет характер литературного творчества и вообще книжного дела“ (24). სამწუხაროდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ციტირებული დებულებით თ. ბეგიაშვილი მონურ ქედმოხრას იჩენს კლერიკალური კათოლიციზმის წინაშე.

თ. ბეგიაშვილი ხშირად უხეშად ამახინჯებს მშობლიური ისტორიისა და ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტებს. დავიმოწმებ ზოგიერთ საგულისხმეო მავალითს.

ქართული მწერლობის თავისებურებად თვლის თ. ბეგიაშვილი „ორი შრიფტის—ხუცურისა და მხედრულის—არსებობას“ (14). ამასთან იგი შეცდომით ასკვნის, ვითომც „მხედრულის საბოლოო ჩამოყალიბება და დამოუკიდებელ შრიფტად გამოყოფა მოხდა XIV—XV საუკუნეებში“ (იქვე). ნამდვილად მხედრული დაწერილობა ყალბდებოდა გაცილებით ადრე. მართლაც, სხვაგან თ. ბეგიაშვილს უწერია: „Мхедрули оформляется только к концу XI века“ (13). მაგრამ ვაოცებას იწვევს თ. ბეგიაშვილის განცხადება იმის თაობაზე, რომ: „ორივე ამ შრიფტს (ე. ი. ხუცურსა და მხედრულს, ა. ბ.) დღემდის იყენებენ ქართულ მწერლობაში და ბექდვიოს საქმეში“ (გვ. 13—14). როგორც ჩანს, თ. ბეგიაშვილი ვერ არჩევს, თუ რა განსხვავებაა ხუცურის საყოველთაო გავრცელებასა და მის გამოყენებას შორის ძველი ქართულის ქრესტომათიეში სპეციალური პალეოგრაფიული მიზნით. თ. ბეგიაშვილის: მსჯელობიდან ისე გამოდის, თითქოს თანამედროვე საქართველოში ერთგვარად იყოს გავრცელებული მხედრული და ხუცური. და ეს აზრი გატარებულია რუსულად დაწერილ

წიგნში. თ. ბეგიაშვილის წიგნს შეუძლია შექმნას სრულიად ყალბი წარმოდგენა ქართული დაწერილობისა და ქართული შრიტის შესახებ.

ქართული მწერლობის წარმოშობას თ. ბეგიაშვილი უკავშირებს საქართველოში ქრისტიანობის გავრცელებას. ერთსაც და მეორესაც, მწერლობის წარმოშობასაც და ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადებას, თ. ბეგიაშვილის აზრით, ადგილი უნდა ჰქონოდა მეხუთე საუკუნეში. იგი წერს: „С пятого века христианство в Грузии делается уже государственной религией“ (12); „начало грузинской письменности, а отсюда и литературы, мы относим к пятому веку“ (11). მოკვანილ დებულებას თ. ბეგიაშვილი ურთავს სულგრძელ შენიშვნას: „Вполне возможно, что письменность существовала и до этого времени, но документальные сведения о существовании книжной литературы сохранились только с пятого века“ (იქვე).

ჯერ ერთი, როგორც ცნობილია, ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად გამოცხადდა საქართველოში არა მეხუთე საუკუნეში, როგორც თ. ბეგიაშვილი ფიქრობს, არამედ მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში. მეორეც, რად ავიწყდება თ. ბეგიაშვილს „ქართლის ცხოვრების“ დოკუმენტური ცნობა ქართული მწიგნობრობის შენობებაზე ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში, ფარნაოზის დროს. რად არ უწევს იგი ანგარიშს მცხეთა-არმაზის გათხრების შესანიშნავ მონაპოვართ? დასასრულ, რატომ უყურადღებოდ სტოვებს ივ. ჯავახიშვილისა და სხვა მეცნიერთა კვლევაძიებით შედეგს ქართული მწიგნობრობის არსებობაზე ქრისტიანობის ხანამდე, წარმართულ პერიოდში? თ. ბეგიაშვილი ერთი კალმის მოსმით (და ისიც ვიფიქროვო დოკუმენტურ ცნობებზე დამყარებით) ასე ზერულედ წყვეტს ქართული კულტურის ისტორიის ამ უმნიშვნელოვანეს პრობლემას.

სხვათა შორის, თ. ბეგიაშვილის წიგნისათვის დამახასიათებელია ერთმანეთთან შეუთანხმებელი, წინააღმდეგობით სავსე და ერთი მეორის გამომრიცხავი შეხედულებების გაეოთარება, ანთი აიხსნება ის გარემოება, რომ ის ერთი მხრით მეხუთე საუკუნით ათარიღებს ქართული მწერლობის წარმოშობას, მეორე მხრით კი იმავე მეხუთე საუკუნის საქართველოში ეგულება მთელი ფილოსოფიური-თეოლოგიური მიმართულებები — „Документальная история философско-теологических течений в Грузии восходит к V веку“ (94). ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადებასაც სხვაგან მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში ჰგულისხმობს (გვ. გვ. 28, 61).

წიგნის შინაგან წინააღმდეგობისა და ავტორის დაუდევრობის მაჩვენებელია თ. ბეგიაშვილის შემდეგი მსჯელობა: „Позднее, в XVII—XVIII веках, значение монастырей, как центров культуры и очагов письменности, сводится на нет. Литературное творчество из монастырских стен переходит во дворцы царей и крупных феодалов и появляются писатели уже из светской среды“ (გვ. 24. დაყოფა ჩემია. ა. ბ.). გამოდის, რომ საერო მწერლები საქართველოში ჩნდებოდა გვიან, XVII—XVIII საუკუნეებში, როდესაც მონასტრები ჰკარგავს კულტურის ცენტრებისა და მწერლო-

ბის კერების მნიშვნელობას, ხოლო ლიტერატურულ-მემოქმედებითი საქმიანობა მეფეების სასახლეებსა და დიდ ფეოდალების კარზე გადადის. მოყვანილი დებულებით უგულვებელყოფილია XI—XII საუკუნეების მდიდრული ქართული საერო მწერლობა, რომელიც მიმოხილულია ბეგიაშვილისავე წიგნში. სხვათა შორის ერთგან თ. ბეგიაშვილი ჩაბრუნაძესა და რუსთაველს XI—XII საუკუნეების მწერლებად იცხადებს (56). საყურადღებოა შემდეგი ფაქტიც. თ. ბეგიაშვილს თავის წიგნში ასე თუ ისე განხილული აქვს აგიოგრაფიული ჟანრის შემდეგი ძეგლები: წამებანი შუშანიკისა, ევსტათი მცხეთელისა, აბო ტფილელისა; ცხოვრებანი—ნიონოსი, სერაპიონ ზარზმელისა და გრიგოლ ხანძთელისა. დასასრულ ავტორი შენიშნავს: „განხილული ძეგლებით არ ამოიწურება ქართული მხატვრული ლიტერატურის უმდიდრესი აგიოგრაფიული ჟანრი“ (69), და ჩამოთვლის ზოგიერთ განუხილავ თხზულებას, ესენია: „წამება დავითისა და კონსტანტინესი“, „წამება მეფე არჩილისა“, „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა და მრ. სხვა“-ო (იქვე). თ. ბეგიაშვილს დაავიწყდა, რომ სერაპიონ ზარზმელს საგანგებო მოზრდილი თავი მიუძღვნა (გვ. 57—61) და ის განუხილავ თხზულებათა რიგში მოაქცია.

თ. ბეგიაშვილის წიგნში ბევრი მაგალითია ისტორიული ფაქტების დამახინჯებისა. ასე, „კურსის“ ცნობით სპარსელებს მეფობა გაუუქმებიათ ქართლში ვარქსენ პიტიახვის დროს, მეხუთე საუკუნეში (42, 44). ნამდვილად კი ვარქსენის დროს, ქართლში მეფობდა განთქმული ვახტანგ გორგასალი, რომელიც წარმატებით ებრძოდა სპარსელებს და რომელმაც 484 წელს მოაკვლევინა სპარსელების ადგილობრივი აგენტი, იგივე ვარქსენ პიტიახვი.

არაბული ტომების გაერთიანებას, სხვათა შორის, მუსლიმანობის ნიადაგზე თ. ბეგიაშვილი ვარაუდობს მეექვსე საუკუნისათვის. იგი წერს: „Разрозненные арабские полуварварские племена в VI веке объединяются в единое государство, чему не мало способствовало распространение между ними мусульманства“ (48). მუსლიმანობა კი თავის არსებობას ითვის მეშვიდე საუკუნედან, უფრო ზუსტად, ჩვენი წელთაღრიცხვის 622 წლიდან.

XI—XII საუკუნეებში მატერიალური კულტურის აყვავების საილუსტრაციოდ თ. ბეგიაშვილი ასახელებს ისეთ არქიტექტურულ ნაგებობათ, როგორცაა: ბაგრატის ტაძარი ქუთაისში, გელათი, ბოლნისი, ახტალა და ვარძია (გვ. 85). ამრიგად, XI—XII და XIII საუკუნეების ძეგლებში ათავსებს თ. ბეგიაშვილი ბოლნისის სიონს, მეხუთე საუკუნის წარწერის მქონე ტაძარს.

ათონზე თ. ბეგიაშვილს ეგულება ხან სემინარია (გვ. 18), ხან ნამდვილი აკადემია. იგი პირდაპირ წერს, რომ ათონის ივერიის ტაძარი გადაიქცა დიდ სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად, „известный под именем Афонской академии“ (20—21). სად, ვინ, როდის უწოდა ათონის კერას აკადემია?! ჩვენ არ ვიცით, პეტრიწი იყო თუ არა გელათის აკადემიის რექტორი, როგორც ამას წერს თ. ბეგიაშვილი (17). არც ისაა სწორი, განზოგადებულად მაინც, თითქოს მონასტრებში ითარგმნებოდა „лучшие памятники изящной литературы“ (87). გიორგი ათონელს არ შეიძლება ვუწოდოთ ექვთიმეს მოწაფე, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით (87). გიორგი არ მოსწრებია ექვთიმეს გიორგი იყო ექვთიმეს მიერ წამოყენებული საქმის გამგაძელებელი და გამრღმავებელი.

საიდან მოიტანა თ. ბეგიაშვილმა, თითქოს გრ. ხანძთელმა ოპიზის მონასტერში დაიწყო სამოწიგნობრო მოღვაწეობა (გვ. 22)? შუშანიკის წამების მოკლერედაქცია, როგორც სომხური ნაციონალურ-კონფესიური ტენდენციის გამომხატველი, არ შეიძლება იყოს ქართული ვრცელი „წამების“ შემოკლებული გადაწმუგება. ის არც ქართულ საეკლესიო მღვდელთმსახურებაში გამოდგებოდა სახმარებლად (გვ. 46). არც შუშანიკის და არც შემდეგი დროის საქართველოში ჩვენი მანდილოსნები მუსლიმანური აღმოსავლეთის ჩადრს არ ატარებდნენ, როგორც ეს თ. ბეგიაშვილს ჰგონია (გვ. 45). შუშანიკს თავის საბურველად ჰქონდა კუხასტი, რაც ლეჩაქს ნიშნავს (იხ. მარტივლობაი შუშანიკისი, ილია აბულაძის რედაქციით, თბ. 1938 წ. გვ. 94). საერთოდ შუშანიკის მარტივლობა თ. ბეგიაშვილს გადმოცემული და განხილული აქვს უაღრესობამდე დამახინჯებულად.

მოვიყვან ერთ მაგალითს. ქართული მწერლობის ამ ძეგლში მოთხრობილია, რომ პიტიახში ვარსკენმა გამართა შინაური, საოჯახო პურობა. პურობას უნდა დასწრებოდნენ შუშანიკი, ვარსკენის ძმა ჯოჯიკი და რძალი, ჯოჯიკის მეუღლე, სხვამ არავინ გაბედოს შემოსვლაო, განკარგულება გაუცია ვარსკენს. თ. ბეგიაშვილის მიხედვით კი „Варксен устроил званый обед“, რომელზედაც ზევით დასახელებული პირების გარდა, ვითომც მიიწვია აგრეთვე „близкие родственники“ (გვ. 43). არა სწორად აქვს ბეგიაშვილს მოთხრობილი შუშანიკის წამების ამბავიც. უხეზბულია, ისიც რუსულად გამოქვეყნებულ წიგნში, თითქოს ფალაური ძველ სპარსულ ენას ეწოდება (გვ. 132).

თ. ბეგიაშვილი ვერ ერკვევა ძველ და საშუალო ქართულის სპეციალურ პოლიტიკურ-სოციალურ ტერმინოლოგიაში და ამ ნიადაგზე უხეშ შეცდომებს უშვებს. ავიღოთ „ამირან-დარეჯანიანის“ ერთი ცნობილი ტექსტი, ქვიტიკის სახლის კედელზე რომ იყო „დაწერილი“: „მე—ამირან დარეჯანის-ძე, ყმა ჩემი სავარსამიძე, ბადრი იამანის-ძე და ყმა მისი ინდო ჰაბუკი, ნოსარანისრელი და ყმა მისი ალი დილაში...“ ეს ნაწყვეტი თ. ბეგიაშვილს შემდეგნაირად უთარგმნია: „Я—Амирган-Дареджаниани, раб (слуга) мой Саварсамидзе, Бадри Яманидзе, раб его юноша Индо, Носар Нисрели и раб его Али Дилами“ (104). თ. ბეგიაშვილს არ ესმის ტერმინების ყმისა და მოყმის სპეციფიკური სოციალური შინაარსი XI—XII საუკუნეებისათვის. ეს ტერმინები ბეგიაშვილს გაუგია მონის მნიშვნელობით. რომ უფრო მკაფიო გახადოს აღნიშნული მცდარი მნიშვნელობა, ფრჩხილებში საგანგებოდ განმარტავს „слуга“. ანრივად, ვლემულობით ტექსტის სრულიად ყალბ გაგებას. როგორც ცნობილია, ნ. მარმა და ივ. ჯავახიშვილმა სპეციალური გამოკვლევები უძღვნეს „ყმისა“ და „მოყმის“ გაგების საკითხს. მათი აზრით, ეს ტერმინები ნიშნავს ვასალს, ქვეშევრდომს, რაინდს (витязь, рыцарь) და არამც და არაღც მონას. აღარას ვაშბობ იმის შესახებ, რომ გმირის სახელია ამირან-დარეჯანის-ძე და არა „ამირან-დარეჯანიანის“, როგორც ეს აქვს თ. ბეგიაშვილს. სხვათა შორის, საკულისხმიეროა, რომ გმირს მან მისცა ასეთი „სუუფერებელი სახელი, ხოლო იმავე ძველით ქალაქს უწოდებს დარისპანიძეს—„Богатый город Дариспанидзе“ (119). არც ინდო ჰაბუკი ნიშნავს „юноша Индо“, არამედ „Индийский витязь“, ან

„Витязь Индо“. სწორედ ყმის უმარაბეზლო გაგების ნიადაგზე ¹⁷⁶ კალი აკად. ივ. ჯავახიშვილს მიაწერს გასაოცრად უნგვანო დებულებას, თითქოს ივ. ჯავახიშვილი ამბობდეს, რომ XI—XII საუკუნე-საქართველოში „рабы могли иметь своих собственных рабов, для которых они являлись патронимами...“ (გვ. 113). აქ თ. ბეგიაშვილი ყალბად თარგმნის ივ. ჯავახიშვილის ცნობილ ადგილს „ქართული სამართლის ისტორიიდან“: „ყმებ საც შეიძლება თავიანთი საკუთარი ყმები ჰყოლოდათ, რომელთათვის ისინი პატრონები იყვნენ“ (II, 1, გვ. 63). *Слуга*-ს უწოდებს (გვ. 90) თ. ბეგიაშვილი ბალაღარსაც („სიბრძნე-ბალაღარისა“), რომელიც იყო მეფე აბენესის წინაშე „უწარჩინებულეს ყოველთა“, აიენესი ბალაღარს „ყოველთა წაჩინებულთა მისთავან უმეტეს პატიეს სცემდა“. ნ. მარი ბალაღარის მდგომარეობასა, თუ თანამდებობას გამოხატავს გამოთქმებით „придворный сановник“, „вельможа“. (ЗНО, III, 9, 13). „Вельможа-ს“ უწოდებს ბალაღარს ივ. ჯავახიშვილიც „ბალაღარაინის“ რუსულ თარგმანში (იქვე, т. XI, вып. I—IV, გვ. 5). საიდან მოიტანა თ. ბეგიაშვილმა XI—XII საუკუნისათვის სოციალური ტერმინი თავადი, და ისიც საგანგებო განმარტებით „помешики не на службе“ (82). თ. ბეგიაშვილს არ ესმის პოლიტიკურ ტერმინ აფხაზეთის მნიშვნელობა. იგი წერს, რომ „აბო ტფილელის“ ავტორი, იოვანე საბანის-ძე არ კმაყოფილდება მარტოოდენ საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობის აღწერით. მას (იოვანე საბანის-ძეს) მოცემული აქვს ძვირფასი ცნობები საქართველოს მეზობელი ქვეყნების, თუ ხალხების: ხაზარების, ოსების, აფხაზების და სხვ. შესახებო (გვ. 51). აქ თ. ბეგიაშვილი ერთიმეორეს უპირისპირებს აფხაზეთსა და საქართველოს, აფხაზეთი მოქცეულია ხაზარეთისა და ოსეთის გვერდით, როგორც მეზობელი ქვეყანა საქართველოს მიმართ. ნამდვილად კი VIII საუკუნეში, და შემდეგაც დიდხანს, აფხაზეთი ეწოდებოდა დასავლეთ საქართველოს საზოგადოდ, აფხაზი კი ნიშნავდა ქართველს. სიტყვამ მოიტანა—და ცოტა რამ „აბო ტფილელის წამების“ თაობაზე. თ. ბეგიაშვილს შედარებით დაწვრილებით აქვს გადმოცემული ძეგლის შინაარსი, ოღონდ ფანტასტიკურად მოგონილი შინაარსი (49—50). თმცათ. ბეგიაშვილის წიგნში შინაარსების ხვედრითი წონა დიდია, ავტორს ამ მხრით გამოუჩინია არაჩვეულებრივი უპასუხისმგებლობა. არც ერთი ძეგლის (მათ შორის არც ვეფხისტყაოსნის) შინაარსი თ. ბეგიაშვილს სწორად არ აქვს გადმოცემული. ეს მით უფრო გასაოცარია, რომ როგორც თ. ბეგიაშვილი, ისე იმისი წიგნის რედაქტორი (ტრ. რუხაძე) უშალესი სასწავლებლების მუშაკებია დიდი ხნიდან.

თ. ბეგიაშვილი ამახინჯებს საკუთარ სახელებს. მაგალითებრ, ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე სახელს იგი წერს სამგვარა ფორმით: Китаврос, Китаврос, Китоврас (გვ. 34—35). როგორ გაერკვს მკითხველი, თუ ამათგან რომელია სწორი? ამირანდარეჯანიანის მუშაილს თ. ბეგიაშვილი უწოდებს Мули-ს, სიმანს—Симеон-ს, ლასურს—Лакур-ს, ხოსროს—Хосра-ს და ა. შ. ვისრამიანის გმირის ვისის სახელს თ. ბეგიაშვილი დამახინჯებული ფორმით ხმარობს—ვისო (132, 133 და შემდ.). ეს დამახინჯებული ფორმა ასეა მიღებული: ვისრამიანი ნათარგმნი ძეგლია, სპარსულად მას ეწოდება ვის-ო-რამინ. ო კავში-

რ ილაკია და ნიშნავს და-ს რუსულად и (Вис и Рамин, ან Виса и Ра- და რამინი. ვაუგებრობის ნიადაგზე ზოგმა მკვლევარმა ძველად ი- ნაწილად ეცდომით მიაკერა ვისის სახელს და მივიღეთ დამახინჯებული ვისი და რამინი. ეს შეცდომა უკანასკნელი დროის ლიტერატურაში უკვე გას- წორებულია. თ. ბეგიაშვილი იმეორებს დიდი ხნის წინად უკვე უკუგდებულ ამ ფორმას. ვისოს ანალოგიით ხმარობს იგი აგრეთვე უმართებულო ფორმას გულო. თ. ბეგიაშვილს ერთი მხრით აქვს გამოთქმა Серапион Зарэмский, მეორე მხრით იქვე Василий Зарэмели“ (გვ. 57). საკუთარ სახელთა დამა- ხინჯების სხვაც ბევრი შემთხვევაა თ. ბეგიაშვილის სარეცენზიო წიგნში, მაგ- რამ ყველას ვერ გამოვუღდებთ.

ბევრია თ. ბეგიაშვილის „ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ სხვადასხვა ხასიათის უმართებულო, ან და აშკარად მცდარი დებულებანი და მოსაზრებანი, ფორმულებანი და ა. შ. აქაც რამდენიმე სანიმუშო მაგალითს დავიშოვებთ. თ. ბეგიაშვილი ვითომც ალაგებს ნ. მარის თეორიას „საღვთო წერილის“ თარგმანის გზების შესახებ და ასკვნის: „Таким образом, мы ви- дим, что грузинская библия состоит из трех элементов: сирий- ского, армянского и греческого“ (გვ. 31, დაყოფა ჩემია. ა. ბ.). მოყვანილი დებულებისა არაფერი მესმის. ჯერ ერთი, სრულიად ვაუგებარია, რა არის ეს სამი ელემენტი? მეორე, რაა ქართულ ბიბლიაში ქართული, თუ ის სირიული, სომხური და ბერძნული ელემენტებისაგან შედგება? თ. ბეგიაშვი- ლის აზრით, ბერძნულ-ქართული კულტურული დაახლოება განუსაზღვრავს ქართველი და ბერძენი ბერების მჭიდრო ურთიერთ კავშირს (31). მაგრამ მაშინ საკითხი ისმის, რამ გამოიწვია თვითონ ბერების ეს „მჭიდრო კავშირი“? შეუძლებელია, თითქოს „к IX веку на грузинском языке уже имелись все византийские гимнографические сборники“ (73).

იოვანე პეტრიწონელს თ. ბეგიაშვილი აცხადებს „რადიკალურ-დე- მოკრატული ფილოსოფიური სკოლის“ მეთაურად საქართველოში (97), რომელმაც თითქოს განამტკიცა საერო მიმართულება ფი- ლოსოფიურ აზროვნებაში, მეცნიერებაში და მხატვრულ ლიტერატურაში (100). ნეოპლატონიზმს კი თ. ბეგიაშვილი თვლის „გონებრივი მოძრაობის იმ მაგისტრალად, რომელსაც მივეყვართ რუსთაველის ოქროს საუ- კუნემდე“ (95). ამის შემდეგ გასაკვირი აღარ არის, რომ თვითონ რუსთა- ველიც მიჩნეულია რაღაც კოსმოპოლიტად, რომელიც თურმე თავის გენიალურ პოემაში ხატავს არა საქართველოს ისტორიულ-სოციალური სინამდვილით განსაზღვრულ ცოცხალ ადამიანურ პერსონაჟებსა და სახეებს, არამედ განყე- ნებულსა და უსავნო „ადამიანს საერთოდ“, თუ „ზოგად ადამიანს“ „человека вообще“ (168, 174, 203).

მდარეა „კურსის“ ბიბლიოგრაფიული მიმოხილვაც. მოვიყვან ერთ მა- გალითს. „ბალავარიანის“ შესახებ თ. ბეგიაშვილს უწერია: „Русский перевод повести под ред. Крачковского и Джавахишвили напечатан в „Зап. Вост. Отд. Рус. Арх. Общества“ т. XI, 1899 (გვ. 89, შენ. 2). ნამდვილად კი დასახელებულ ორგანოში გამოქვეყნებულია მხოლოდ ივ. ჯავახიშვილის რუსუ-

ლი თარგმანი ქართული ტექსტისა. ე. კრაჩკოვსკის რედაქციით კი დაიბეჭდა არაბული „ბალავარიანის“ რუსული თარგმანი, შესრულებული აკად. ვ. როზენის მიერ. ეს უკანასკნელი გამოქვეყნდა არა 1899, არამედ 1947 წელს.

თ. ბეგიაშვილი წერს, რომ ნ. მარის სცემდა სერებივს, როგორცაა „Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии“, „Материалы по яфетическому языкознанию“ და სხვ., სადაც ბეჭდავდაო ძველ ქართულ სალიტერატურო ძეგლებს სათანადო კომენტარიებითა და კრიტიკული განხილვითო (გვ. 9, დაყოფა ჩემია, ა. ბ.). უნდა შევნიშნოთ, რომ სერიაში „Материалы по яфетическому языкознанию“ არასოდეს არ დაბეჭდილა ძველი ქართული სალიტერატურო ძეგლი. იქ მხოლოდ საენათმეცნიერო (ლექსიკოლოგიური და საგრამატიკო) მასალები ქვეყნდებოდა. ნ. მარს ათონზე და იერუსალიმში არ ხლებია ივ. ჯავახიშვილი, რასაც თ. ბეგიაშვილი იუწყება (გვ. 9). ივ. ჯავახიშვილს არ შეუდგენია სინის და იერუსალიმის მონასტრების ხელნაწერთა აღწერილობანი (გვ. 9—10). როგორც აღვნიშნეთ, ივ. ჯავახიშვილი საერთოდ არც ყოფილა იერუსალიმში. თ. ბეგიაშვილის ეს შეცდომა მით უფრო საკვირველია, რომ ამჟამად გამოცემულია სინის მთის ხელნაწერთა აღწერილობანი, შესრულებული ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის მიერ: 1) Н. Я. Марр. Описание грузинских рукописей Синайского монастыря, М. Л. 1940 г.; 2) ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ. 1947 წ. დასახელებული გამოცემების არსებობას თ. ბეგიაშვილი არ იცნობს.

დაბალ დონეზეა თ. ბეგიაშვილის „კურსი“ ენობრივ-სტილისტიკური თვალსაზრისითაც. წიგნი არაიშვიათია ენობრივი შეცდომებით კი. ბევრია უხეში კორექტურული შეცდომა.

დასასრულ, უნდა შევნიშნოთ, რომ ჩვენ რეცენზიაში მხილებული და გაკრიტიკებულია თ. ბეგიაშვილის უხეში იდეოლოგიური და ფაქტოლოგიური შეცდომები. ჩვენ არაფერი გვითქვამს ისეთი ხასიათის შეცდომებზე, რომელთა ავტორი პირადად თ. ბეგიაშვილი არ არის, მაგრამ რომელთაც ადგილი არ უნდა ჰქონოდა სახელმძღვანელოს ტიპის ნაშრომში. ასეთია, მაგალითად, მოსახზრება, ვითომც რუსთაველი და ჩახრუხაძე იყოს ერთი და იგივე პირი (გვ. 233). ასეთივეა თამარის ფანტასტიკური ლაშქრობის ამბავი, ვითომც თამარი მოგზაურობდა უცხო შორეულ ქვეყნებში, ვითომც მან ამ მგზავრობისას კონსტანტინეპოლში ააგო ხომალდები (230) და სხვ.

დასკვნა შეიძლება იყოს მხოლოდ ერთადერთი: თ. ბეგიაშვილის წიგნი დაბალი ხარისხისაა, ის თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს. სამწუხაროა, რომ ეს წიგნი გამოქვეყნდა განათლების სამინისტროს საპატიო მარკით.

ალ. ბარამიძე

დაიბეჭდა საქ. სსრ მეცნიერებათა აკად.
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

ტიპოგრაფიული № 6. ჯაფარიძე

გამომშვები ან. თოდუა

სტამბის შეგ. 147. ჟე G2395. ტირ. 1500.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 15.5.50.
ქალ. ზომა 70×108, ანაწყოების ზომა
7×11. საბეჭდ. ფურც. 21. საადრიცხვო-
საგამომცემლო ფურცელი 27,5.

ფასი 25 მან.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა,
აკაცი წერეთლის ქუჩა, 7
Типография АН Грузинской ССР
ул. Церетели, 7

356 25 356.

2p 50



40 137/1